თზულებანი

არჩილ ჯორაძისა.

წიგნი მეოთხე

წერილები „ცნობისფურცელ-
მოამბიდან“ 1901-1902 წ.

1911

ტფილისი.

სარჩევი.

		გვ.
წინასიტყვაობა.	. . . . .	I – III.
1901 წ. წერილები.		
I ჩვენი საჭირ-ბოროტო კითხვები	. . .	1.
II საერთო მოქმედების ნიადაგი.	. . . .	7.
III მოკამათე დასთა საერთო მოქმედების ნიადაგი ევროპაში.	. . . . .	16.
IV რა არის ინტელიგენცია?	. . . .	25.
V ჩვენი ეკონომიური პროგრამის გამო	. . .	32.
VI ჩვენი მოქმედების სახელმძღვანელო დედა-აზრი.	.	39.
VII ვის უნდა დარჩეს ჩვენი მიწა?	. . . .	47.
VIII ეროვნული საკითხის განმარტების გამო.	. .	51.
IX კიდევ საერთო მოღვაწეობაზე..	. . .	55.
X ისტორიული მატერიალიზმის გამო.	. . .	73.
XI თვით-მოქმედებაზე.	. . . . .	85.
XII თვით-მოქმედების შიშის ზარი.	. . .	87.
XIII ხალხის მოღალატეობაზე.	. . . .	89.

XIV სახალხო სამკითხველოებზე. . . . . 91.
XV ჩვენი მიმართულებანი. . . . . 93.
XVI სოფელი და ქალაქი. . . . . 96.
XVII ქიზიყს შველა უნდა. . . . . 112.
XVIII საქართველოს რუსეთთან შეერთების გამო . . 115.
XIX ბიბლიოგრაფია. (Присоединенія Грузіи къ Россіи З. Авалова, Петербургъ 1901 гю). . . 116.
XX კიდევ ერთი განყენებული საუბარი. . . 121.
XXI კოოპერაციების გამო . . . . . 126.
XXII დასავლეთ ევროპის დემოკრატიზმი. . . 129.
XXIII მოლოდინი და საქმე . . . . . 134.
XXIV ჩვენი სოფლის ჩამორჩენის მიზეზი . . . 137.
XXV ბ. გელეიშვილს. . . . . 142.
XXVI სალიტერატურო ეთიკის გამო . . . 143.
XXVII მთარგმნელი საზოგადოება . . . . 145.
XXVIII სახალხო კითხვები . . . . . 148.
XXIX წ.-კ. საზოგადოების წევრთა საყურადღებოდ. . 150.

II

XXX პარტიათა შეტაკება წ.-კ. საზოგადოების კრებაზე . . . . . 153.
XXXI რა მოხდა? . . . . . 156.
XXXII თეატრი და ხალხი . . . . . 165.
XXXIII აუცილებელი მოვალეობა . . . . 166.
XXXIV დაგვიანებილი იმედი. . . . . 169.
XXXV როდემდის? . . . . . 173.
XXXVI განახლებულ „ივერიის“ გამო . . . 175.
XXXVII შინაური მიმოხილვა (ხალხი და ინტელიგენცია) . 181.

1902 წ. წერილები.

I ახალი წელიწადი?! . . . . . 192.
II ეკონომიური განკერძოება და ეროვნული ერთიანობა. . . . . 194.
III „ლიბერალიზმის“ გამო . . . . 208.
IV „ძველი წესის" სულთ-ბრძოლა . . . 210.
V ბრძოლა თუ კავშირი? . . . . 217.
VI ბრაზიანი უძლურება. . . . . 219.
VII უკუღმართობის გამართლება. . . . 223.
VIII კიდევ მომავალ არჩევნების გამო . . . 231.
IX ავსტრო-უნგრეთის ახალ ისტორიიდან . . 233.
X დაჟინებული მრავალსიტყვაობა . . . 240.
XI გზაში. . . . . 249.

XII საგანი სიცოცხლისა . . . . . 253.
XIII თ.-აზნაურთა წინამძღოლების შორის შეთანხმების საჭიროება . . . . 262.
XIV პროვინციელ კორესპონდენტთა საყურადღებოდ. . . . . 265.
XV აღმზრდელთა საყურადღებოდ. . . . 268.
XVI საქალაქო არჩევნები. . . . . 270.
XVII ახირებული „მცველი". . . . . 273.
XVIII დონკიხოტობა. . . . . 276.
XIX „ივერიის“ ახალ გამომცემლობის გამო . . 278.
XX დიდებული მოსაზრება. . . . . 280.
XXI ჩვენებური კამათი. . . . . 283.
XXII ირლანდია მე-19 საუკუნეში. . . . 286

წინასიტყვაობა

წინასწარის ვარაუდით ამ წიგნში ის წერილები და მასალები უნდა მომეთავსა, რომელნიც 1903 - 1907 წლამდე მქონდა დაწერილი. მკითხველი შეამჩნევდა, რომ ჩემი ნაწერების ცალკე წიგნებათ გამოქვეყნების დროს შეძლების დაგვარად ვხელმძღვანელობდით ერთგვარის ქრონოლოგიურის წესით, რომელიც 1911 წლიდან, თან-და-თან, 1901 წლამდე ჩამოდიოდა. ამ სახით, გამანთავისუფლებელ ხანაში დაწერილი წერილები, „ცნობის-ფურცლის“ წერილების წინ დაბეჭდილები, მკითხველს მისცემდნენ საშუალებას, როგორც იმ დროინდელ ჩემი ნაწერების დახასიათებისა, ისე წინა ხანის წერილების უფრო სამართლიანად გათვალისწინებისათვის. მაგრამ, საუბედუროდ, სხვა და სხვა მიზეზების გამო, აღნიშნულ მასალების გამოქვეყნება ამ ჟამად ვერ მოხერხდება. ამიტომ ამ მეოთხე წიგნში ვათავსებ „ცნობის-ფურცელი-მოამბის“ დროინდელ წერილებს, იმ მასალას, რომელიც სამწერლო ასპარესზედ ჩემს პირველ და დასაწყისს ნაწარმოებს შეადგენს. ამ სერიის წერილებიდამ წიგნში, რა თქმა უნდა, აღარ მოთავსდებიან ზოგიერთი ნაწერები მეორე და მესამე წიგნებში დაბეჭდილი.

მე აქ ვერ შევუდგები, რასაკვირველია, ამ ნაწერების ღირსება-ნაკლულევანების მხრივ დაფასებას. ხოლო მათ შესახებ რამდენიმე მოსაზრების თქმა კი საჭიროდ მიმაჩნია. ათი წლის შემდეგ ჩემთვის უფრო ნათლადა სჩანს ის, თუ რა იყო დროებითი და წარმავალი ამ ნაწერებში და რა დარჩა დღესაც ჩვენი მწერლობის საჭირ-ბოროტო საკითხად. ყველა იმ ნაწერებს რომ გადავავლოთ თვალი, დავინახავთ ერთ მკაფიოთ გამოსახულ აზრს. ვიღებდი რა მხედველობაში ქართველ ერის

პოლიტიკურ უნუგეშო მდგომარეობას, ძებნა დავუწყე საერთო მოქმედების ნიადაგს, სადაც ჩვენი ერის სხვა და სხვა საზოგადოებრივ ჯგუფთა წარმომადგენლების სოლიდარული მოქმედება უნდა გამხდარიყო შესაძლებელი. აზრი თავის და თავად

II

აღებული საღი და სამართლიანი იყო, მაგრმ უნდა აღვიარო დღეს, რომ ჩემი ამგვარი მოწოდება სრულიად და სავსებით იყო დამარცხებული იმ ხანებში. გარემოებას რომ ვაკვირდები, სხვანაირადაც არ შეიძლება რომ მომხდარიყო.

საზოგადოებრივ ჯგუფთა შორის საერთო მოქმედება იმ შემთხვევაშია მხოლოდ შესაძლებელია, როდესაც, ერთის მხრივ, ამ ჯგუფთა ფიზიონომია არის ნათლად გამორკვეული და, მეორეს მხრივ, როდესაც პოლიტიკური სიმწიფე თვითეულ ჯგუფისა იმდენათ არის განვითარებული, რომ პოლიტიკო-ეროვნულ ხასიათის განსაცდელის წინაშე, საერთო მოქმედების პრინციპი მათთვის აუცილებლივ და ბუნებრივ მოვლენად ხდება. ჩვენში კი იმ ხანაში ჯერ კიდევ არამც თუ დამთავრებული და გარკვეული სახის საზოგადოებრივი ჯგუფები არ არსებობდნენ, არამედ იმათ მხოლოდ იმ დროს დაიწყეს განცალკევებულ ვინაობის და ფიზიონომიის გარკვევა-გამოსახვა.

ადვილი გასაგებია ამიტომ ის გარემოება, რომ „ცნობის ფურცლის“ მოწოდება საერთო მოქმედებისადმი მარცხნივ და მარჯვნივ მდგარჯგუფებში შეწყნარებული არ იყო. მარცხნივ კლასთა ბრძოლის პრინციპის წინააღმდეგ გალაშქრება ამოიკითხეს ჩვენს მოწოდებაში, მარჯვნივ იუკადრისეს შეკავშირება კლასთა-ბრძოლის მქადაგებელ ჯგუფთან. მარცხნივ – დოქტრინის სიწმინდეს შესწირეს ცხოვრების მოთხოვნილება; მარჯვნივ – ძველ ტრადიციის თაყვანის მცემლობის წყალობით, ვერ დაინახეს ვერც ცხოვრების მოთხოვნილება, ვერც შიგ არსებულ ეკონომიურ ინტერესებთა წინააღმდეგობა. და ამგვარად „ცნობის ფურცლის“ ჯგუფი, რომელიც უნდა გამხდარიყო შუამავლად და ხიდად ეროვნულ მთლიანობისა, განკერძოებული და განმარტოებული დარჩა საზოგადოებრივ ასპარესზე. საერთო მოქმედების პრინციპი დროებით დამარცხდა და ჩვენს ცხოვრებაში არსებულ საზოგადოებრივმა ჯგუფებმა განაგრძეს თავიანთი მსვლელობა და ზრდა-განვითარება, თანახმად არსებულ პირობებისა და მათის მომზადებისა.

შემდეგში, როდესაც ეროვნული პრობლემა განსაზღვრულ დაწესებულებათა შემოღების პრობლემის სახით იყო წამოყენებული ჩვენს მწერლობაში, საზოგადოებრივ ჯგუფთა შორის უთანხმოება და შეურიგებლობა კიდევ მეტად თვალსაჩინო შეიქმნა. ამ უთანხმოებას ხელს უწყობდა ისიც, რომ იმ დროს

რევოლუციის ხანაში ვიმყოფებოდით და თვითვეული საზოგადოებრივი ჯგუფი მეტის თავგამოდებით და გაბედულებით იცავდა საკუთარ პოზიციას და საკუთარ იდეალებს.

ასე თუ ისე, პოლიტიკურ აზროვნების საძირკველი ჩაიყარა ჩვენში. დღეს საზოგადოებრივი დიფერენციაციის პროცესის ხანაში ვიმყოფებით. ამ დიფერენციაციას ბევრი რამ ეღობება წინ, მაგრამ იგი მაინც სწარმოებს. ამისი შედეგი იქნება უფრო ბუნებრივი დანაწილება საზოგადოებრივ ჯიუფებისა. ამიტომ ნამდვილ კონსტიტუციანალურ რეჟიმის დამყარებასთან, როდესაც პოლიტიკურ ცხოვრების ზრდა-განვითარების ხელშემშლელი პირობები მოისპობიან, ჩვენს საზოგადოებრივ ჯგუფების წინაშე, მათს პროგრესიულ ნაწილის წინაშე, ხელმეორედ წარმოსდგება და იშვება საერთო მოქმედების ნიადაგის გამონახვის საჭიროება. ამ ნიადაგს ახალი შინაარსი ექნება. ხოლო პრინციპი, ჩემის შეგნებით, იქნება ის, რომლითაც ვხელმძღვანელობდი „ცნობის ფურცლის“ წერილებში.

1911 წ. ღვინობისთვე.

არჩილ ჯორჯაძე.

1901 წ. წერილები.

I. ჩვენი საჭირბოროტო კითხვები

იმ მრავალ საკითხთა შორის, რომელნიც აღძრა ჩვენმა ცხოვრებამ, ყველაზე მეტად ღირს-შესანიშნავი ეროვნული საკითხია, რადგან მისი სისწორით განმარტება და აღსნა ამავე დროს აღსნაა სოციალურ საკითხისა, იმ საკითხისა, რომელმაც ასე თვალსაჩინოდ დაჰყო, დაანაწილა ჩვენი ინტელიგენცია ერთმანეთის მოპირდაპირე დასებათ.

ეროვნულ საკითხს საქართველოში, როგორც ყოველ სხვა საკითხს, არასოდეს არ უნდა შევხედოთ დოქტრინალური თვალშით, იმიტომ რომ ამ სახით ძნელია განმარტება ცხოვრების ყველა მოვლენათა, მთელის მათის სივრცით და სისრულითა, ეს საკითხი სხვა არა არის-რა, თუ არ წესიერად წამოყენებული საკითხი ადამიანთა სიცოცხლისა და თავისუფლებისა, თანახმად იმ პირობათა,რომელთანაც საქმე აქვს ადამიანს ამა თუ იმ ადგილას და ამა თუ იმ დროს.

რა თქმა უნდა, არავინ უარჰყოფს იმ აზრს, რომ ადამიანმა უნდა დაიცვას თავისი სიცოცხლე და იბრძოლოს ცხოვ-

რების გაუმჯობესებისათვის. ადამიანთა უმრავლესობა ამ აზრისაა ხოლმე. უთანხმოება მათ შორის მხოლოდ იმ შემთხვევაში ჩამოვარდება ხოლმე, როდესაც ერთნი ამტკიცებენ, რომ ამა და ამ დასის ანუ მთელის ერის სიცოცხლე განსაცდელშიაო, ხოლო მეორენი კი ამ აზრის წინააღმდეგნი არიან; ან როდესაც ზოგს თავისუფლებად ის მიაჩნია, რაც სხვებს მონობად. მხოლოდ ამგვარს კითხვებს მოჰყვება ხოლმე განუწყვეტელი კამათი და აზრთა წინააღმდეგობა.

- 2 -

ერთის მხრით, ერთი ნაწილი ჩვენის საზოგადოებისა, ძველთა გმირთა მოგონებით გატაცებული, ოცნებობს წარსულის ცხოვრების შესახებ და თვალებ დახუჭვილს, არა ჰსურს დაინახოს რთული პირობები თანამედროვე ცხოვრებისა, თავს არ იტკივებს აწინდელის წესწყობილების უთანხმოების ასაცილებლად, და ასე კი შეუძლებელია ნორმალური წარმატება ჩვენის ერისა. მეორეს მხრით კი, ჩვენი ახალ-დაბადებული ეგრედ-წოდებული „მესამე დასი“ საქართველოს ორ კლასადა ჰყოფს და ამბობს ამ კლასთა შორის ეკონომიური განხეთქილება არსებობს, რის გამოც მათ არავითარი საერთო ინტერესები არა აქვთო. ეს დასი იმის ცდაშია, იდეოლოგიურად შექმნას განკერძოვებული კლასები, და ეს მისი ცდა ეწინააღმდგება ხშირად ქართველ ერის ნამდვილ ინტერესებს.

საჭიროა, ამ ორმა მოკამათე მხარემ კარგად გაითვალისწინოს, თუ რა აშორებს მათ ერთიერთმანეთს და რომელ შემთხვევაში შეუძლიანთ ხელი ხელს მისცენ.

ჩვენმა ბურჟუაზულ-ეროვნულმა ჯგუფმა სახეში უნდა იქონიოს ის გარემოება (ჩვენ ვამბობთ იმ პირთა შესახებ, რომელთა იდეალი ძველი ფეოდალური საქართველოა), რომ საქართველო ადრე თუ გვიან ვეღარ ასცდება კაპიტალისტურ პროცესს და აგრეთვე ამ პროცესის შედეგს, ესე იგი შრომის გასაზოგადოებრივობას და მით შრომის და კაპიტალს შორის წინააღმდეგობის მოსპობას. ის გარემოება, რომ ჩვენში ჯერ კიდევ არ არიან მკაფიოდ განკერძოებული კლასები (პროლეტარიატი და ბურჟუაზია), რომ ჩვენი მრეწველობა ჯერ განუვითარებელია, რომ საქართველოს ზოგიერთ კუთხეში ჯერ კიდევ ნატურალური მეურნეობაა, – ყოველი ეს შეუძლებელია ჩაითვალოს იმის საბუთად, რომ საქართველო, ერთხელაც არის, მრეწველობის გზას არ დაადგეს. ეს ფაქტები მხოლოდ იმას ჰმოწმობენ, რომ ჩვენ ცოტა გვიან დავადგებით ამ გზას. მიუხედავად ამისა, ჩვენს ცხოვრებაში უკვე ისეთი პირობებია, რომელთა გავლენით ჩვენი ქვეყანა ვერ ასცდება კაპიტალისტურ პროცესს. ქართველი მწარმოებელი, უმეტესს შემთხვე-

ვაში მეურნე, დიდი ხანია მსოფლიო ბაზრისთვის მუშაობს, და ჩვენის სოფლის ნატურალური წარმოება თანდათან ადგილს უთმობს ფულით წარმოებულ მეურნეობას. საკმაოა ამ ორი თითქო უმნიშვნელო ფაქტორის არსებობა, რომ შეუმცდარათ

იწინასწარმეტყველოს კაცმა ის ეკონომიური პროცესი, რომელსაც დაადგება ესა თუ ის ერი. ჩვენს ბურჟუაზულ ნაციონალისტებს, რომელნიც ხალხის კეთილდღეობისათვის ჰფიქრობენ, მიუხედავად მათის მიმართულებისა (ლიბერალი იქნება, თუ კონსერვატორი), არ შეუძლიანთ უარჰყონ ის მოვლენანი, რომელნიც წინ გადაეღობებიან ამ კეთილდღეობის განხორციელების საქმეში, რადგან განვითარება **ეროვნულ** ცხოვრების ფორმათა ყოველთვის არ არის ხოლმე თავმდები ამ ერის კეთილდღეობისა და წარმატებისა.

მეორეს მხრით, ჩვენს „მარქსისტებს“ არ შეუძლიათ არ დაინახონ, რომ რთული და საშიში საკითხი ქართველთა ცხოვრებისა ის კი არ არის, რომ ჩვენს ეკონომიურ დამოკიდებულებაში უთანხმოებაა – ის უთანხმოება, რომელიც ყველა თანამედროვე საზოგადოებათა ცხოვრებაშიაცაა (არ უნდა დავივიწყოთ, რომ ეს უთანხმოება ჩვენში ნაკლებ მწვავეა), არამედ ის, რომ მთელი ჩვენი ერი და ქვეყანა განსაცდელშია, რომ ჩვენ ერს თანდათანი გადაგვარება მოელის. ჯერ ერი უნდა დავიცვათ და მერე ის ვიზრუნოთ, თუ რა გზაზე დავაყენოთ იგი. როდესაც მოწამე ხარ ერის გადაგვარებისა, როდესაც ჰხედავ, რომ ეს გადაგვარება ერთნაირად ემუქრება ხალხის ყველა კლასთა, პირველი აზრი, რომელიც უნდა დაიბადოს ამ ხალხის გულის სიღრმეში – თუ ჯერ კიდევ სრულიად არ არის ღონემიხდილი – არის აზრი საერთო აღორძინებისა და საერთო მოქმედებისა თავის ვინაობის დასაცავად და შესარჩენად.

ასე რომ, როგორც ჩვენი ბურჟუაზული ნაციონალისტები სცდებიან ქართველ ერის იდეალების შემუშავებაში, ისე სცდებიან ჩვენი „მარქსისტებიც“ იმის გამორკვევაში, თუ რა გზას უნდა დავადგეთ ჩვენი ხალხის კეთილდღეობისათვის.

ქართული პრესის მოვალეობაა – შეიმუშაოს, ერთის მხრით, ის იდეალი, რომელიც უნდა იყოს დაყენებული ჩვენს წინაშე, და მეორეს მხრით – იმ გზისა და საშუალების გამტკიცება, რომელიც მიაღწევინებს ხალხს ამ იდეალამდე.

2.

ამ ჟამად ჩვენ არ ვკისრულობთ ამ იდეალის ფორმულის

შექმნას, არც ვკისრულობთ განმარტებას იმ წარმატების გზი-

სას, რომელსაც უნდა დაადგეს ჩვენი ხალხი. ჩვენ ვიწვევთ მხოლოდ ჩვენს ქვეყნის ერთიმეორის მოპირდაპირე დასებს სინიდისიერად გადაშინჯონ თავიანთი რწმენანი; ჩვენ ვიწვევთ მათ საერთო შეთანხმებულ მოქმედებისათვის იმიტომ კი არა, ვითომ გვინდოდეს შევარიგოთ შეურიგებელი, შევაერთოთ შეუერთებელი, არამედ იმიტომ, რომ, მიუხედავად იმ ბუნებრივ დიფერენციაციისა, რომელიც ხდება ჩვენის ხალხის წესწყობილებაში, ჩვენს ქართველ ინტელიგენციის წინაშე წამომდგარია ერთი ინტეგრალური საკითხი ჩვენის ერის ეკონომიურ და სულიერ წარმატებისა, ის საკითხი, რომლის შემუშავებაში მონაწილეობა უნდა მიიღოს ჩვენი ქვეყნის ყველა შეგნებულმა წევრმა. ხშირად ჩვენ ერთმანეთს არ ვეთანხმებით ხალხის ეკონომიურ და სულიერ წარმატების საქმის ახსნის დროს, მომეტებულად იმ მიზეზის გამო, რომ ამა თუ იმ მოვლენათა დაფასებაში რუტინით და დოქტრინით ვხელმძღვანელობთ. ეს რუტინა მემკვიდრეობაა დამდორებულ წარსულისა, რწმენაა, ვითომ ქართველ ერს რაღაც განსაკუთრებული თვისებები ჰქონდეს, მუხლის მოდრეკაა ყოველ შეცდომის წინაშე, ოღონდ კი ამ შეცდომას ნაციონალური ელფერი გადაჰკვროდეს. ხოლო დოქტრინა უძლური იდეოლოგიური ცდაა, ამ ცხოვრების ძველთა ფორმათა ერთბაშად ბოლო მოუღოს, შემუსროს გარსი ძველის საზოგადოებისა და ძალად ჩასტიოს იგი პროკრუსტის სარეცელში, რომელიც გაკეთებულია ახალმოდურ ბროშურათა ხელმძღვანელობით. პირველია ნიშანი აზრის უმოძრაობისა, მისი შეჩერებისა, ხოლო მეორე ნიშანია მისი ნახტომებისა და სხვათა აზრთა გავლენის ქვეშ ყოფნისა, მათი ყურ-მოჭრილი ყმობისა.

როცა პირველ ჯგუფის პირთ ეუბნები, რომ ჩვენს ხალხში უკვე თავი იჩინა ახალმა ეკონომიურმა პროცესმა, რომ იმ პროცესის შეჩერება იმგვარადვე შეუძლებელია, როგორც შეუძლებელია კაცმა იძულებულ ჰყოს მდინარე აღმა იდინოს; როცა ამათ უთითებ იმ ცვლილებაზე, რომელიც ჩვენს მეურნეობაში ხდება, როცა ეუბნები რომ ქალაქში ქართველი მუშები ჩნდებიან და რომ ჩვენი თავადაზნაურობა გადაგვარების გზაზეა დამდგარიო, როცა ეუბნები მოვაჭრეთა და მრეწველთა წოდება ჩნდება, როცა ეუბნები, რომ, ამ მოვლენათა გავლენით, საჭიროა ახალი კრიტერიუმი და ახალი საზოგადოებრი-

ვი იდეალის შექმნაო, – აი სწორედ ამ დროს ამ პირველ ჯგუ-
ფის პირნი განგაშსა სცემენ და მაღალის ხმით გაიძახიან –
არიქათ, მამულს განსაცდელი მოელისო!..

ხოლო, მეორეს მხრით, როცა მიჰმართავ მეორე კატე-
გორიის პირთ და ეუბნები, რომ საჭიროა დაიცვათ **საერთო
ეროვნული** ინტერესები (თუნდა, მაგალითად) სომეხთა ცრუ
პატრიოტთა დასის წინააღმდეგ) რომელსაც ჰსურს აღმოფხვ-
რას კავკასიაში ყოველი ნიშან-წყალი საქართველოს ძველის
კულტურისა); როცა ეუბნები, რომ გარედან მტერი მოგვ-
დგომია და ამ დროს შეუძლებელია კლასთა ბრძოლა გავუხა-
დოთ საფუძვლად ჩვენს პრაქტიკულს მოქმედებასაო; როცა
ეჭვის თვალით დაჰყურებ იმ „სამეცნიერო“ ეკონომიურ
კანონებს, რომელნიც შემუშავებულნი არიან გერმანელ ავ-
ტორთა დიდტანიან თხზულებებში, – თქვენ სიტყვას გაწყვე-
ტინებენ, ქედმაღლურად და ზიზღით გნათლავენ „ბურჟუას“
სახელით. ამ თავიანთის ზიზღის დასასაბუთებლად იმას მოგახ-
სენებენ, რომ ქართველთა ძველ ნაშთთა და წარწერათა დაცვა
ქართველ ბურჟუაზიის ინტერესს შეადგენსო, და გერმანელ
ავტორთა დიდტანიან თხზულებათა მხოლოდ არ იწამებს და
არ აღიარებს ის, ვისაც თავის წოდებრივის პრეროგატივების
დაცვა ჰსურსო.

დოგმატის და სხვისის აზრის უარყოფა და შეუწყნარებ-
ლობა ნიშანია დიდის სისუსტისა და უბედურებისა. და უნდა
აღვიაროთ, ეს ნაკლულევანება ჩვენი საერთო სენია.

აი, ამისთვის მიგვაჩნია აუცილებელ საქმედ, გულდასმით
გადავსინჯოთ ყველა ჩვენი რწმენანი და შეხედულებანი. აუ-
ცილებლად საჭიროა შესწავლა ჩვენის ცხოვრებისა, ამასთანავე
საჭიროა გაცნობა მოწინავე ერთა კულტურულ და მატერია-
ლურ ცხოვრებისა. აი, ერთადერთი გზა, რომელიც შეუძ-
ლიან თავიდან აგვაცილოს თვალხუჭულა, უგზო-უკვლოდ სია-
რული. შემდეგში ჩვენ კიდევ დავუბრუნდებით ამ კითხვებს.
ხოლო ამ ჟამად გვსურს, ამ წერილის დასამთავრებლად, განვ-
მარტოთ წერილის დასაწყისში გამოხატული აზრი.

ჩვენ ვამბობდით, რომ კანონიერად განმარტებული ეროვ-
ნული საკითხი, საკითხია ადამიანთა სიცოცხლისა და თავი-
სუფლებისა, თანახმად წინამდებარე დროისა და ადგილისა. და
ამისათვის ჩვენებურ დასთა შორის ატეხილ კამათს მხოლოდ

მაშინ მოეღება ბოლო, როდესაც თვალსაჩინოდ განმარტე-
ბულ იქმნება თავისუფლება ადამიანთა ცხოვრებისა, თანახმად
დროისა და ადგილისა. როცა ჩვენ ვახსენებთ სიტყვა „თავი-
სუფლებას“ და „ადამიანთა თავისუფლების“ შესახებ ვლაპარა-

კობთ, სახეში გვაქვს არა მეტაფიზიკური ახსნა ამ მცნებისა, რომელიც, როგორც მოგვითხრობენ ფილოსოფოსნი, ტრიალებს ზესთა-გრძნობათა სფერაში, არამედ სრულიად რეალური, განსაზღვრული, შუათანა ნიჭის ადამიანის გონებისთვის ადვილად მისაწდომი და გასაგები ახსნა სრულიად ბუნებრივი მოვლენაა ადამიანისათვის განავითაროს ფიზიკური და სულიერი თვისებანი; ამიტომ, ეროვნება ამ ჟამად, განსაკუთრებით ჩამორჩენილ ერთა შორის, აუცილებელი პირობაა ადამიანთა თავისუფლად განვითარებისათვის და მხოლოდ იმდენად შესაწყნარებელია, რამდენადაც იგი სავსებით ემსახურება ამ დანიშნულებას. მართალია, თანამედროვე ევროპაში აქა იქ აღძრულია ბრძოლა ეროვნულ იდეის წინააღმდეგ და ეს მხოლოდ იმითი აიხსნება, რომ ეროვნება, რომელმაც უკვე აღასრულა **თავისი ისტორიული მისია**, ახალ პირობებში შეიქმნა იარაღათ თავისუფლების დამხობისათვის და არა მის დაცვისათვის. ბრძოლა ეროვნულ პრინციპის წინააღმდეგ იბადება ყოველ ხალხში მხოლოდ მაშინ, როდესაც ეს ხალხი იმ ზომამდე განვითარდება, რომ ეს ეროვნული პრინციპი ვეღარ დააკმაყოფილებს ახლად დაბადებულ მატერიალურ და სულიერ მოთხოვნილებას და მაშინ ეროვნებაც ხდება ძალად უკუქცევისა. მხოლოდ იმ დრომდე, ვიდრე ეროვნული პრინციპი გადაიქცეოდეს დაქვეითებულ ერთათვის ამ გვარ საშიშ ძალად, უსათუოდ საჭიროა მათთვის განვლონ ის გზა მატერიალურ და კულტურულ განვითარებისა, რომელიც უკვე გაუვლია თანამედროვე ევროპას.

ჩვენში კი ერთნი, დაძაბუნებულნი და გულგატეხილნი აწინდელ მდგომარეობით, ოცნებითაც კი ვერა ჰბედავენ ჩევნს ეროვნულ ცხოვრების გაუმჯობესებას; მეორენი, განსჭვალულნი ცრუ ეროვნულ აზრებით, ძველ წესწყობილების დარღვევაში ჰხედავენ დაკარგვას იმ აუცილებელ ცხოვრების პირობათა, ურომლოდაც ვითომც შეუძლებელი იყოს ხალხის წარმატება. მესამენი კი, გატაცებულნი ევროპიდან გადმოტანილ დოქტრინულ თეორიებით და გახარებულნი იმით, რომ ჩვენ

ცხოვრებაშიაც იჩინეს თავი ევროპისათვის საზოგადო კანონად გადაქცეულ მოვლენათა, მიჰყვეს ხელი იდეოლოგიურ მცნების გავრცელებას იმ ხალხში, რომლისგან, შესაძლებელია, ამ მოკლე ხანში მარტო ეთნოგრაფიული მოგონება-ღა დარჩეს.

ჩვენ თითქოს ბურუსში გახვეულნი ვართ, ჩვენს თავს ვეღარა ვხედავთ, ვამაყობთ ძლიერთა პირთა საპირფერო სიტვებით, წინაპართა გმირობით ან და კიდევ გერმანულ

ბრძნულ-ბრძნულ წიგნებიდან გამოკრეფილ ტექსტებით და ამავე დროს ვერ ვამჩნევთ, როგორ ვითხრით ჩვენისავე ხელით სამარეს.

ამ ჟამად კი ორი რამა გვაქვს საზრუნავი: ა) შესწავლა და განმარტება იმ ცხოვრების ეკონომიურ და სულიერ პროცესისა, რომელიც, თანამედროვე პირობების შეფარდებით, ქართულ ეროვნების ხასიათში გამოისახება და ბ) ამ ეროვნულ ფორმების საშუალებით მომზადდება ქართველ ხალხის შესათვისებლად და შესაფერებლად მსოფლიო კულტურისა.

II. საერთო მოქმედების ნიადაგი.

1.

ჩვენი საზოგადოება ჯგუფებათ დაიყო. რასაკვირველია, ამ ჯგუფების დაბადებას თავისი საძირკველი თვით საზოგადოებაში, ხალხის მატერიალურ ცხოვრებაშივე აქვს. მიწის მფლობელი და მიწის მომქმედი, მრეწველი, ვაჭარი და დღიური მუშა ერთი ერთმანეთის ეკონომიურ წინააღმდეგობაში სცხოვრობენ. ამას ვერ უარ-ვყოფთ. მხოლოდ, ამისდა მიუხედავათ, ჩვენსავე საზოგადოებაში იმგვარი მოვლენანიც არსებობენ, რომელნიც არამც თუ ასუსტებენ ამ წინააღმდეგობას, არამედ ჰბადამენ ნიადაგს მოკამათე ჯგუფების საერთო პრაქტიკულ მოქმედებისათვის. ეს მოვლენანი გვასწავლიან, რომ საქართველო იმ ისტორიულ ხანაში ჩადგა, როდესაც საზოგადოების და ხალხის დაყოფა და დაქუცმაცება კი არ გვესაჭიროება, არამედ იმისი გამთელდება და გაერთება.

ჩვენ გვსურს დავასახელოთ სამი უმთავრესი საკითხი ჩვენის ცხოვრებისა, რომლის გარკვევაში ჩვენს მოპირდაპირე დასებს საერთო მოქმედება შეუძლიანთ. ჩვენ სახეში გვაქვს: ა)

ქართულ ენის დაცვა ბ) ქართულ ვაჭრობა მრეწველობის შექმნა და გ) ქართულ მეურნეობის ქართველთა ხელში შერჩენა.

ჩვენ აქ ბანალურ აზრების გამეორებას არ შეუდგებით იმის შესახებ, რომ სამშობლო ენა გონების წარმატების აუცილებელი პირობაა და რომ სამშობლო ენის დაკარგვასთან ხალხს ეკარგება საჭირო ორგანო გრძნობების და იდეების გამოთქმისათვის. არც იმას ვიტყვით, რომ სამშობლო ენის დაკარგვასთან ხალხს სიცოცხლე აკლდება, ცხოვრება ფერს და სისრულეს ჰკარგავს და რომ ამგვარ საზოგადოებაში მეცნიერებას და ხელოვნებას ადგილი არა აქვთ, რადგან მეცნიერება მოითხოვს აზროვნობის მოძრაობას, ხელოვნება კი გრძნობების და საზოგადოთ შინაგან ცხოვრების განვითარებას, უენოთ კი ყველა ეს იხუთება. ჩვენ მხოლოდ იმის თქმა გვინდა, რომ

დროა რამე პრაკტიკული ღონისძიება შევიმუშაოთ, რათა გადავარჩინოთ სიკვდილს სამშობლო ენა და ამასთან ერთად მთელი ჩვენი ეროვნული ხასიათი.

თუ მართლა ჩვენს საზოგადოებაში სამი დასი არსებობს, აი ის პირველი საკითხი, რომელიც უნდა აერთებდეს ამ დასებს და რომლის განმარტებაში არც „დიალექტურ პროცესს“ აქვს ადგილი და არც „ეკონომიურ მატერიალიზმს“.

მეორე საკითხი, არა ნაკლებად რთული და მნიშვნელოვანი, **ქართულ** ვაჭრობა-მრეწველობის შექმნის, წარმატების საკითხია. ბევრსა ჰგონია ჩვენში, რომ აი სწორედ ეს საკითხია ის, რომელმაც აუცილებლათ ჩვენი საზოგადოება მოპირდაპირე ჯგუფებათ უნდა დაჰყოს. და ეს დასკვნა უფრო იქიდან გამოჰყავთ, რომ სხვა ქვეყნებში სწორედ ამ ნიადაგზე თავს იჩენს კლასთა ბრძოლა. ჩვენის აზრით კი კაპიტალიზმის ზრდა-განვითარებამ საქართველოში, თანამედროვე პირობებში, **ნაციონალური** მიმართულება უნდა მიიღოს. საქართველოს ეკონომიური წარმატება – ქართველ ვაჭარ-მრეწველთა გამრავლება და მუშათა რიცხვის ზრდა ქალაქებში – კლასთა ბრძოლის ნიადაგად კი არ უნდა ჩაითვალოს, არამედ აუცილებელ პირობად ჩვენის ხალხის ნაციონალურ აღორძინებისა. ქართველი კაპიტალისტი [1]), ესე იგი ვაჭარი და მრეწველი, ქართ-

[1]) დიდის შიშით ვხმარობთ ამ სიტყვას – ისე ცოტანი არიან ჩვენში ისინი, ვისაც კაპიტალისტებს ეძახიან.

ველს მუშას კი არ უნდა დავუპირდაპიროთ, არამედ იმ უცხო ტომის ელემენტს, რომელსაც ხელში უჭირავს აღებ-მიცემობის მონოპოლია. ქართველი მუშა, ასოთ-ამწყობია იგი, თერძი, მეჩექმე თუ კარის დარაჯი, ამავე ეროვნული აზრით უნდა იყოს გამსჭვალული. მართალია, ამ სახით შესანიშნავად ვერ გაუმჯობესდება რამდენიმე ხნის განმავლობაში იმისი მატერიალური მდგომარეობა, რადგანაც ნაციონალურის იარაღით შრომისა და კაპიტალის წინააღმდეგობა ვერ აღმოიფხვრება, ხოლო ქართველი მშრომელი ხალხი იძულებულია თავისი კერძო კლასიური ინტერესები საერო ინტერესებზე დაბლა დააყენოს და მით დაამტკიცოს თავისი ეროვნული თვით-ცნობიერების სიმწიფე. ჩვენთვის ფულიანი კაცები საჭირონი არიან, რადგანაც უფულოდ ჩვენ ვერ ვაწარმოვებთ ჩვენის ქვეყნის სიმდიდრეს, რადგან უფულოდ ჩვენ ვერ ვახეირებთ ვერავითარს ქართულს საზოგადო საქმეს – თეატრია იგი, წერა-კითხვის საზოგადოებაა თუ გამომცემელი საზოგადოება. ჩვენთვის საჭირო არის ქალაქებში შეგროვილი და გამრავლებული ქართველი მუშა-ხალხი, რომელიც შეჰქმნის ნიადაგს ჩვენის ერის

ეკონომიურ ევოლიუციისათვის [2]).

მესამე საკითხი ამავე ხასიათისაა. ქართული მიწის მფლობელობა ამ ჟამად დიდ განსაცდელშია. ჩვენი თავად-აზნაურობა, რომელიც მიწად-მფლობელი წოდება იყო ჩვენში, თანდათან თავის მამულებს ჰკარგავს. ჩვენი ბანკები, მიწად-მფლობელობის სასარგებლოდ დაარსებულნი, იმის მტრად გადაიქცნენ, რადგან მამულების გაყიდვის პროცესი დააჩქარეს. ფული, გამოღებული მამულის გირაოთი და არ მოხმარებული მამულის საჭიროებისათვის, სწორედ ის ულმობელი, დამარღვეველი ძალაა, რომელმაც წოდებრივ მიწად-მფლობელობას საქართველოში ბოლო მოუღო. მხოლოდ ვის უნდა ჩაუვარდეს ხელში ის მამულები, რომელნიც ჩვენს თავად-აზნაურობას ეკარგება? იქნება ჩვენ იმის ცდაში უნდა ვიყოთ, რომ

[2]) დღესაც აღვიარებ ქართულ ვაჭრობა-მრეწველობის და ბურჟუაზიის ზრდის საჭიროებას ეროვნულ ცხოვრების განვითარება დაცვისათვის. ხოლო მგონია რომ კლასთა ბრძოლის წაფარება ეროვნულ ცხოვრების ფარფლებში, გადამეტებული შიშია. ეროვნული მთლიანობა კლასთა ბრძოლის საჭიროებას არ უნდა აქარწყლებდეს, რადგან ეს ბრძოლა წარმატების ერთი ფაქტორთაგანია. ა. χ. 1911 წ.

დავეხმაროთ თავადაზნაურობას და რამე ღონისძიება ვიხმაროთ, რომ შევირჩინოთ მამული და თავისი წოდებრივი ხასიათი? ჩვენის აზრით, ძალიანაც რომ გვდომოდა თავადაზნაურობის აღდგენა, იგი უკვე წარსულს ეკუთვნის და მისი წოდებრივი აღორძინება შეუძლებელია. მიწათ-მფლობელობა მხოლოდ იმათ შერჩებათ, ვინც მამულს ფულით ახეირებს, ე. ი. ვინც მრეწველობის გზას შეუდგება. და რადგან ჩვენს თავად-აზნაურობაში ამ იარაღით შეიარაღებულნი პირნი ძალიან ცოტანი არიან, ამიტომ იმ საკითხმა, თუ ვის ხელში დარჩება ამოდენა ქართული მამული, ღრმად უნდა ჩაგვაფიქროს და აგვაცილოს ის შეცდომა, რომელშიაც ადვილად გავებმევით, თუ ამ მოვლენას დოქტრინის თვალით შევხედეთ. ჩვენის აზრით, ჩვენ ყოველი ღონისძიება უნდა მოვნახოთ, რომ გასაყიდი მამულები **ან** ქართველმა გლეხკაცობამ შეისყიდოს, **ან** კიდევ ქართველმა ვაჭარმა, მრეწველმა და საზოგადოთ იმათ, ვისაც მეტი ღონე აქვს გარეშე პირობებთან ეკონომიურ ბრძოლისათვის. ასე რომ მესამე პრაქტიკული საგანი, ჩვენ ცხოვრებაში წამოყენებულ საგანია, რომლის განმარტებაშიაც ჩვენი შეერთებული ძალაა საჭირო, საგანი **ქართულ** მიწათ-მფლობელობის და **ქართულ** მიწად-მოქმედობის დაცვისა.

შეიძლება ბევრი არ დაგვეთანხმოს იმაში, რომ ამ სამ

საკითხთა გარკვევაში შესაძლებელი ყოფილიყოს ჩვენი დასე-
ბის საერთო მოქმედება. იქნება ჩვენ საზოგადოებაში იმისთა-
ნანიც გამოჩნდნენ, რომელთაც არაფრად მიაჩნდეთ ქართული
ენის დაკარგვა, ქართული ლიტერატურა ღარიბი არის, იგი
არ აკმაყოფილებს განვითარებულ მკითხველს. ქართული ენა
პრაქტიკულადაც საჭირო არ არის, რადგან არავითარი საქმე
ქართული ენის საშუალებით არ გაკეთდება, იტყვიან ისინი.
ყველა ამაზე ერთი პასუხია. თუ ჩვენ გვსურს და ძალგვიძს
სიცოცხლე, ჩვენ გავამდიდრებთ ქართულ ცხოვრებას და ლი-
ტერატურას, ჩვენ შევქმნით ქართულ საქმეებს და თუ სი-
ცოცხლე არა გვსურს, მაშინ, რასაკვირველია, დღეს ხვალ
გახრწნილ გვამად გადავიქცევით და ყოველივე, რაც შეადგენს
ჩვენს ვინაობას, ჩვენს სულს, გაჰქრება და განიქარვება. მხო-
ლოდ ქართველი ერი სიკვდილს არ აპირებს. და თუ მაინც
და მაინც ჩვენ ინტელიგენციას და თავად-აზნაურობას საუკუ-

ნო განსვენებაში წასვლა ჰსურს, ქართველ ხალხს, პირიქით,
სიცოცხლის უნარი და მხნეობა ეტყობა. ყველა ეს კარგად
უნდა ავწონ-დავწონოთ.

მეორეს მხრით, შესაძლებელია, ქართულ კაპიტალიზმის
და ქართულ მეურნეობის საკითხის გარკვევამაც ჩვენ დასთა
შორის უთანხმოება და განხეთქილება გამოიწვიოს.

რათა ჩვენი აზრი ამ საგანზე უფრო ნათელი და მკაფიო
გამოჩნდეს, ვიტყვით, **ნორმალურ** პირობებში ამ კითხვების
განმარტვაც ნორმალურია, ე. ი. ეკონომიურ მოვლენათა გა-
მოსარკვევად ეკონომიური კრიტერიუმია საჭირო. საფრანგე-
თის კაპიტალისტთა და მუშათა შორის განხეთქილება მაშინ
მოისპობა, როდესაც შრომის და კაპიტალის წინააღმდეგობა
გაჰქრება. ინგლისის ლენდ-ლორდებს, ფერმერებისა და სოფ-
ლის მუშათა შორის თანხმობის ჩამოვარდნა დამოკიდებულია
წმინდა ეკონომიურ მიწათ-მფლობელობის ფორმათა შეცვლა-
ზე. ეკონომიურ ანტაგონიზმის განსამარტავად ამ ერთა ცხოვ-
რებაში ნაციონალურ პრინციპს არავითარი ადგილი არ უჭი-
რავს. სულ სხვაა ჩვენს პირობებში აღძრულ ეკონომიურ კით-
ხვების განმარტება.

ჩვენი საზოგადოება, შედის-რა სულიერ და ეკონომიურ
წარმატებაში, ჰკარგავს თავის ერთგვარობას. სოფელი, რო-
მელსაც ეკონომიური ევოლიუცია ამოძრავებს, ჰბადავს არა
მარტო მიწისმომქმედს არამედ ხელოსანსა: დურგალს, მჭე-
დელს, მეკრამიტეს და სხ., სოფელი ჰქმნის ცხოვრებისათვის
საჭირო ნივთებს, რომელთა შემუშავებისათვის და გასასაღებად
ჩნდებიან საჭირო აგენტები – მრეწველები და ვაჭრები, ვაჭრე-

ბი და მოეწველები უმეტეს შემთხვევა თავიანთ საქმეებს ქალაქებში აწარმოებენ, რის გამოთაც ქალაქების მცხოვრებთაც მრავალგვარი პროფესიები ებადებათ. **თანამედროვე ცხოვრებაში აუცილებლად საჭიროა, რომ ჩვენ დაქვეითებულ ერს თავისი საკუთარი ორგანოები ჰქონდეს ყველა ამ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის** [3]), საღი ერის ზრდა, იმისი სიმძლავრე ვიწროდ არის დაკავშირებული იმაზედ, რომ მრავალგვარი იმისი მოთხოვხილებანი თვით ერის საშუალე-

---

[3]) ეს აზრი მეცნიერულად არის დასაბუთებული Baton-ის წიგნში „ერი და კაცობრიობა“. ა. ჯ. 1911 წ.

ბითვე იყვნენ დაკმაყოფილებულინი. რაც ჩვენ შეგვეხება, მაგას მოითხოვს არა ნაციონალური ეგოიზმი, არამედ დალახვრული სიმართლე და ერთა შორის დამოკიდებულობის ნაცვლად თანასწორობის გამტკიცება. ნაციონალური ცხოვრების გამაგრება საჭიროა თვით ეკონომიურ წარმატების განმტკიცებისათვის.

ჩვენ აქ მოკლედ აღვნიშნეთ სამი საკითხი, რომელთა ახსნა, თუ ჯეროვანი ყურადღება იქნა მათზე მიქცეული თანდათან გზას გაგვიკაფავს და მოგვიმზადებს ნიადაგს საერთო პრაქტიკულ მოქმედებისათვის.

2.

წინა წერილში ჩვენ ვამბობდით, რომ საღი ერის ზრდა, იმისი სიმძლავრე, მჭიდროდ არის დაკავშირებული იმასთან, რომ მრავალგვარ იმისი მოთხოვნილებანი თვით ერის საშუალებითვე იყვნენ დაკმაყოფილებულნი და ამისათვის ჩვენ აღვნიშნეთ ნაციონალურის ლიტერატურის განვითარების, ნაციონალურის მეურნეობის აღდგენისა, გამაგრებისა და ნაციონალურის მრეწველობის შექმნის აუცილებელი საჭიროება.

ამ წერილში ჩვენ გვინდა სამ აღძრულ კითხვას ორი სხვაც მივუმატოთ, რათა გავაგანიეროთ საერთო მოქმედების ნიადაგი.

1) ჩვენმა ინტელიგენციამ სახალხო კულტურული მოღვაწეობა უნდა იკისროს და 2) ჩვენივე ინტელიგენცია უნდა ენერგიულად ჩაერიოს ქალაქების თვით-მმართველობის არჩევნებში.

როგორც წინადაც აღვნიშნეთ, საქართველოს ამ ჟამად გამრთელება და გაერთიანება ესაჭიროება და „სახალხო მოღვაწეობა“ არის ერთი იარაღთაგანი ამ გაერთიანებისა. განუ-

რჩევლად ჩვენის აზრებისა და რწმენებისა, ჩვენ შეგვიძლიან ვიკისროთ ხალხის განათლება, დავაარსოთ საკვირაო სკოლები, სახალხო ბიბლიოთეკები, სახალხო თეატრები და სხვა.

ჩვენ ვიცით, რომ ჩვენში ზოგიერთი იმ აზრისაა, ვითომ ინტელიგენციას არ ძალუძს „სახალხო მოღვაწეობის“ გაძღოლა. ამგვარი უცნაური მოსაზრება დამყარებულია შემცდარ შეხედულობაზე ინტელიგენციის მნიშვნელობის შესახებ ხალ-

ხის ცხოვრებაში. ამ საგანს ჩვენ შემდეგ წერილში დავუბრუნდებით. მხოლოდ ამჟამად იმას ვიტყვით, რომ ქართულ დემოკრატულ და ეროვნულ წარმატებაში „სახალხო მოღვაწეობას“ უპირველესი ადგილი უნდა ეჭიროს.

მეორე საკითხი, რომელიც ჩვენ ამ წერილის სათაურში აღვნიშნეთ, უფრო რთული საკითხია, რადგანაც მის განმარტვაში ჩვენ უნებლიედ უნდა შევეხოთ უცხო ტომებსაც, სახელდობრ, სომხებს და შეიძლება იმისთანა რამე ვთქვათ, რაც არ მოეწონოთ ჩვენს ლიბერალებსა და დემოკრატებს.

საქმე ის არის, რომ თითქმის ყველა ქართლ კახეთის ქალაქების თვით-მმართველობებიდან ქართველობა **განდევნილია** და მოქალაქოებრივ საქმეებში არავითარს მონაწილეობას არ ღებულობს. ჩვენ ვამბობთ „განდევნილია“, რადგანაც ეჭვს გარეშეა, რომ ქართველების წინააღმდეგ არჩევნების დროს სხვა ტომთა შეთანხმებული ნაციონალური ძალა მოქმედობს ხოლმე. იკითხავთ, რა მიზეზია ქართველების ამგვარი სისუსტისა და რა ღონე უნდა ვიღონოთ ამ ჩვენ მოქალაქობრივ უმოქმედობის მოსასპობად? ან იქნება ჩვენ ნორმალურ მოვლენად მიგვაჩნია ის გარემოება, რომ ქალაქში ორმოცი ათასი ქართველია, სიღნაღში, თელავში და გორში ქართველ მკვიდრთა რიცხვი ნახევარზე მეტია და ყველა ამ ქართულ ქალაქების მართვაში ქართველები გამორიცხულნი უნდა იყვნენ? რა მიზეზია ჩვენი ამ მოქალაქობრივ ცხოვრებიდან გამორიცხვისა? ჩვეულებრივად ამ კითხვაზე იმას ამბობენ, რომ უპირველესი მიზეზი ამ მოვლენისა ქართველების ეკონომიური დაქვეითებაა, რომ ქალაქებში ვაჭრობა და მრეწველობა სხვა ტომთ ხელშია და რომ რიცხვი ქართველ მესაკუთრეთა ძალიან მცირედია. ბევრი მართალიც არის ამ მოსაზრებაში. მხოლოდ მასში არ ისახება სრული სიმართლე. რითი აიხსნება, რომ ამ ათი თორმეტის წლის წინად ქალაქის საბჭოში ამორჩეულ იქმნა 24 ხმოსანი ქართველი? საიდან გაჩნდა ამოდენა ქართველი ამრჩეველი, რომ 70 ხმოსნიდამ '/3 ქართველობა ამოირჩია? აშკარაა, აქ ამომრჩევლების მცირედი რიცხვი არაფერშია. ამ პატარა ამრჩეველთა დასმა შესძლო ნაყოფიერი მოქმედება და

ჯეროვანი მხნეობის გამოჩენა ქალაქის არჩევნების აგიტაცია-
ში. ყველა ეს იყო შედეგი შეწყობილის და შეთანხმებულის
მოქმედებისა.

მას აქეთ ბევრი ცვლილება მოხდა ჩვენში. საკვირველია,
ქართველების ქალაქებში დაბინავებამ და მოქმედობამ შესა-
მჩნევად იმატა ამ ბოლო ხანებში, მხოლოდ, მიუხედავად ამ
ჩვენი ზრდისა და წარმატებისა, საზოგადოთ ქართველების ძა-
ლა როგორღაც არა სჩანს და არც იღებს თავის ნაყოფს. ჩვე-
ნის აზრით, ეს მხოლოდ იმითი აიხსნება, რომ ერთმა ნაწილმა
ჩვენის ინტელიგენციისამ საჭიროდ სცნო ჩვენი საზოგადოების
ძალ ღონე გაენაწილებინა, შუაზე გაეყო და რომ ეს განაწი-
ლება მან აღიარა პროგრესსის და წარმატების აუცილებელ პი-
რობად. ეს ჩვენი საზოგადო უნაყოფობა იმითი აიხსნება, რომ
ხსენებულმა ნაწილმა ჩვენის ინტელიგენციისამ ეკონომიური
განხეთქილება დაიდო თავის მოქმედების საფუძვლად და არა
ეროვნული გამაერთებელი პრინციპი. აქედამ იწყება უმნიშვნე-
ლო სიტყვიერი კამათი ჩვენს ლიტერატურაში, აქედანვე იწ-
ყება დიდმნიშვნელოვანი განხეთქილება ჩვენი საზოგადოების
ცხოვრებაში.

რაკი ეკონომიური ბრძოლის პრინციპი გამოცხადებულ
იქმნა ჩვენი ცხოვრების მოვლენათა განმარტებისათვის და პარ-
ტიების პრაკტიკული მოქმედებისათვის, ეს პრინციპი ყველგან
წამოაყენეს და ამისი შედეგი ის იყო, რომ ჩვენ ეროვნულ
ინტერესებს დაქვეითება და უკან დაწევა დაეტყოთ. სომხების
და ქართველების ინტერესებზე კი აღარ ლაპარაკობდნენ, არა-
მედ კაპიტალისტებზე და მუშებზე... აქედან იწყება ჩვენი და-
ნარჩენი შეცდომებიც. მართლაც, რა კეთილი დაეყრებოდა იმ
ხალხს, რომელსაც ჯერკიდევ თავისი ვინაობა არ შეუგნია,
და რომელსაც ეუბნებოდნენ, რომ ამ ვინაობის შეგნება საჭი-
როც არ არის – საქმე ეკონომიური პროცესიაო. დიდი შეც-
დომაა ქართველების და სხვა ტომთ ურთიერთობის დამოკი-
დებულება მხოლოდ ეკონომიურ ნიადაგზე ავაშენოთ. ჩვენ
უარ-ვჰყოფთ ეკონომიურ პრინციპის აღიარების სარგებლობას.
პირიქით, ჩვენა გვგონია, რომ იმისთანა საზოგადო საქმეში,
როგორც, მაგალითად, თვით-მმართველობის არჩევნებია, სა-
დაც ჩვენ აშკარად შევეჯახებით ხოლმე სრულიად განზრახულ
სომხების ეროვნულ ორგანიზაციას, იმავე იარაღით უნ-
და ვიბრძოლოთ, რადგან ამას მოითხოვს გარემოება და სა-
მართალი, რადგან ეროვნულ ძალის საშუალებით ჩვენ ვინა-

ობას და პიროვნებას გავამტკიცებთ და ეკონომიურ ბრძოლი-
სათვისაც მეტად მომზადებულნი შევიქმნებით.

იქნება ჩვენ გვისაყვედურონ, რომ ერთა შორის ერთო-
ბის და მეგობრობის მაგივრად ჩვენ ბრძოლის საჭიროებას ვქა-
დაგებთ. ნაციონალურ გრძნობების გაღვიძება და გახურება
საზოგადოებრივ ბრძოლაში მოსახმარებლად შელახავს ლიბე-
რალურ პრინციპებს, იტყვიან ერთნი. ქალაქის თვითმმართვე-
ლობა ხომ ბურჟუაზული დაწესებულებაა, იტყვიან მეორენი.
ხმოსნები მოურავითურთ ბურჟუაზულ ინტერესების დამცვე-
ლი და გამომსახველია და ამ ბურჟუაზულ დაწესებულებაში
ეროვნულის პრინციპის საშუალებით ბრძოლა უარყოფაა დე-
მოკრატულის პრინციპებისაო.

მხოლოდ ლიბერალებს ჩვენ იმას ვეტყვით, რომ თუ რო-
დისმე შელახულა ლიბერალიზმი, ეს სწორედ ეხლაა, როდე-
საც ჩვენ ჩვენი ხალხის ღვიძლ ინტერესებს მწიგნობარ ფორ-
მულებს ვანაცვალებთ ხლმე. დემოკრატებს კიდევ იმას მიუ-
გებთ, რომ ქალაქის თვით მმართველობა ქართველების არ
არის, ჩვენი ინტერესები იქ არ არიან წარმოდგენილნი. ის
ჩვენთვის არც ბურჟუაზულია, არც დემოკრატული, ის ჩვენ-
თვის არ არსებობს, ანუ იმის არსებობას ჩვენ ვგრძნობთ მხო-
ლოდ იმით, რომ ერთ ნაწილს ჩვენის ხალხისას ხარჯს ახდე-
ვინებენ და ნაცვლად კი მას არაფერს აძლევენ. და თუ რო-
დისმე დემოკრატულ პრინციპის შელახვა ყოფილა სადმე, ეს
სწორედ ჩვენშია, სადაც ეროვნობაზე ლაპარაკი ცრუ-მორწმუ-
ნეოებად მიაჩნიათ, სადაც ჩვენ მორჩილად თავს ვაჭმევინებთ
ჩვენ მძლავრ მეზობლებს და სადაც თავის თავის დაცვა დიდ
ცოდვად ითვლება. ლიბერალიზმი და დემოკრატიზმი მოით-
ხოვს, რომ ჩვენც გვქონდეს ჩვენი ადგილი საზოგადოების მარ-
თვა-გამგეობაში, რომ ქართველ ხალხსაც გვყვანდეს თავისი
წარმომადგენლები იმ დაწესებულებაში, რომელსაც ჰქვიან თვით-
მმართველობა და რომელსაც თუნდაც ბურჟუაზულ დაწესე-
ბულების ხასიათი ჰქონდეს. და რადგან ამ მიზნის მისაღწევად
ჩვენი ეროვნული გაერთებაა საჭირო, სწორედ ამისათვის ჩვე-
ნა ვდებთ ეროვნულ პრინციპს საერთო მოქმედების საფუძვლად.

ქართველთა ამომრჩევლები უნდა შეერთდნენ და თავიან-
თი მოპირდაპირეები იმათივე იარაღით მოიგერიონ. ამგვარია
მეხუთე კითხვა საერთო მოქმედების პროგრამისა.

ჩვენი ცხოვრება მდიდარია იმისთანა მოვლენებით, რო-
მელნიც ჩვენს შეთანხმებულ მოქმედებას შინაარს მისცემენ და
რომელნიც გაავარჯიშებენ ჩვენი ერის თვით-ცნობიერებას. ენა

და ლიტერატურა, მრეწველობა და მეურნეობა, თვითმმართველობა და სახალხო მოღვაწეობა – აი ის ფართო ასპარეზი, რომელზედაც ყველასთვის მოიპოვება ადგილი, ვისაც კი მართლა შესტკივა გული საქართველოს წარმატებისათვის.

III. მოკამათე დასთა საერთო მოქმედების ნიადაგი ევროპაში.

1.

დასავლეთ ევროპის საზოგადოებაში ორი ელემენტი ჩაითვლება აუცილებელ პირობად ეკონომიურის განხეთქილების გაჩენისა: ა) დაყოფა საზოგადოებისა შეძლებულ და უსახსრო წოდებათ და ბ) ამ უსახსრო წოდებათა მიერ შეგნება ბრძოლის საჭიროებისა. ევროპიულ საზოგადოებაში ამ ორ ელემანტთა ბევრად თუ ცოტად განვითარება სავსებით გვაჩვენებს, თუ რამდენად ძლიერი და მწვავეა ეკონომიური ბრძოლა ხსენებულ საზოგადოებაში. მხოლოდ თვით ხასიათი ამ ბრძოლისა ხშირად სუსტდება და უჩინარი ხდება სხვა-და-სხვა ისტორიულ გარემოებათა გავლენით. თანამედროვე ცხოვრება წამოაყენებს ხოლმე ისეთ კითხვათ, რომელთა გადაწყვეტა შეუძლებელია მარტო კლასთა ბრძოლის პრინციპის საშუალებით.

დასავლეთ ევროპაში სამ გვარი აზრი არსებობს ეკონომიურ ბრძოლის დედააზრის შესახებ. სამისავე თეორიის მიმდევარნი პრინციპიალურად ერთმანეთს ეთანხმებიან და აღიარებენ, რომ დასავლეთ ევროპის საზოგადოება დაყოფილია ორ ბანაკად: პირველ ბანაკს შეადგენენ მესაკუთრენი, რომელთა ხელშიაც არის იარაღი წარმოებისა, ხოლო მეორე ბანაკს – არა მესაკუთრენი, რომელნიც წარმოადგენენ სამუშაო ძალას, და რომ ამ ბანაკთა მატერიალური ინტერესები დიამეტრალურად ეწინააღმდეგებიან ერთმანეთს. ამავე დროს ეს თეორეთიკოსნი სულ სხვა-და-სხვა აზრისანი არიან იმის შესახებ, თუ როგორ მოქმედობს ამგვარი ეკონომიური წეს-წყო-

ბილება სხვადასხვა პარტიების პრაქტიკულ პროგრამების შემუშავებაზე.

ევროპის ცხოვრების მიერ წამოყენებული საკითხი ამგვარია: რა ურთიერთი დამოკიდებულება უნდა არსებობდეს უსახსრო კლასთა და მათ დამცველთა და მესაკუთრეთა შორის, პროლეტარიისა და ბურჟუაზულ დაწესებულებათა შორის. ანუ მატერიალური და სულიერი (ნაციონალური, პოლიტიკური, ზნეობრივი და სხვა) ინტერესები მებრძოლთა

კლასთა ყოველთვის და ყოველ პირობებში არიან ერთმანეთის წინააღმდეგნი, თუ **ზოგჯერ** ისინი ერთმანეთს ეთანხმებიან კიდეც?

ეგრედ წოდებული „უკიდურესი მემარცხენე“ ნაწილი საფრანგეთის სოციალისტურ პარტიისა, თავის წარმომადგენელის გედის პირით, ამ კითხვაზე შემდეგ პასუხს იძლევა: „კლასთა ბრძოლამ უნდა მისცეს მიმართულება პროლეტარის ყოველ დღიურ მოქმედებას, მის პოლიტიკას და ტაქტიკას… ეს ბრძოლა უნდა იყოს სტიმული ჩვენის ყოველდღიურ და ყოველ წუთის მოქმედებისაო“. რადგან ორ კლასთა შორის წინააღმდეგობა არსებობს, სოციალისტებს, გედის აზრით, თუ არ ოპოზიციისა, სხვა პარტიის შედგენა არ შეუძლიანთ და ამიტომ ხსენებულ პარტიას სოციალისტებისას არ შეუძლიან შეიწყნაროს არავითარი კავშირი და კომპრომისი ბურჟუაზულ საზოგადოებასთან. რაც უნდა უსამართლობა მოხდეს ბურჟუაზულ საზოგადოებაში, რაც უნდა დაითრგუნონ მისთა წევრთა უფლებანი, სოციალისტთა პარტიამ ამას არავითარი ყურადღება არ უნდა ათხოვოსო. ამასთანავე, ამ პარტიის თვალში ყოველს მნიშვნელობას მოკლებულია ის საკანონმდებლო მოქმედება, რომელსაც აზრად აქვს მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესობა, რადგან იმას ისეთი მცირედი გაუმჯობესობა პალიატივად მიაჩნია და უებარ წამლად არა სთვლის. ამ საზოგადო მოსაზრებით აიხსნება ის გულგრილობა, რა გულგრილობითაც მოეკიდნენ „უკიდურესი მემარცხენენი“ ფრანგთა სოციალისტებისა (გედისტები და ბლანკისტები) დრეიფუსის „პროცესს“ და საბუთად ამ გულგრილობისა იმას ასახელებენ, რომ პროლეტარებს არ შეუძლიანთ გამოესარჩლონ მდიდარ კაპიტანს, რომლის ცხოვრება და მოქმედება სავსებით ეწინააღმდეგება მუშათა ინტერნაციონალურ ინტერესებსო.

ამითივე აიხსნება ის გარემოებაც, რომ ეს ფრაქცია მტრულად შეეგება სოციალისტთა დეპუტატს მილიერანს, როდესაც ის შევიდა ვალდეკ-რუსოს „ბურჟუაზულ“ სამინისტროში. „მე ვფიქრობ, – ამბობს იგივე გედი, – რომ როცა ბურჟუაზიის შორის რამე უსამართლობა ხდება, ამ ბურჟუაზიას არა აქვს ნება პროლეტარიატს დახმარება სთხოვოს... ერთი ნაწილი პარტიისა, – განაგრძობს გედი, – იძულებული შეიქმნა მოსცილებოდა კლასთა ბრძოლის ნიადაგს და ამის შემწეობით შევიდა მისი ერთი წარმომადგენელი სამინისტროში და ეს შესვლა პროლეტარიატის გამარჯვებად მიაჩნია... თანამედროვე საზოგადოებაში გამოსაცვლელი არაფერია, ვიდრე კერძო მფლობელობის ფორმა ძირიანად არ შეიცვლებაო...

ასე ჰფიქრობს გედი, დამფუძნებელი ფრანგ მუშათა პარ-
ტიისა. მაგრამ ეს მხოლოდ „ფიქრებია“ იმისი, რადგან მთე-
ლი პრაქტიკული მოღვაწეობა გედისა უარყოფაა აქ წარმო-
თქმულ მოსაზრებათა. გედი, უმთავრესი ავტორი ფრანგ მუ-
შათა მინიმალურ და აგრეთვე აგრარულ პროგრამებისა, რომ-
ლებშიაც აღნიშნულია გზა მუშათა მდგომარეობის **თანდათანი**
გაუმჯობესობისა კანონმდებლობის შემწეობით, გედი, რომე-
ლიც ოცი წლის განმავლობაში მხურვალე მონაწილეობას
იღებდა საფრანგეთის მუშათა კანონმდებლობის შემუშავებაში,
გედი, რომლის გავლენითა და მეცადინეობით უმრავლესობა
ჩრდილოეთ საფრანგეთის ქალაქების თვით-მმართველოებისა სო-
ციალისტთა ხელში გადავიდა, რეფორმისტი და პრაქტიკი
გედი თავის თავს ეწინააღმდეგება, როცა ამბობს, რომ რე-
ფორმა და, საზოგადოდ, საკანონმდებლო მოქმედება არ აუმ-
ჯობესებს მუშათა ცხოვრების მდგომარეობასო.

ბებელი (გერმანიაში), ენრიკო ფერი (იტალიაში) და ვან-
დერველდი (ბელგიაში) სრულიად არ ეთანხმებიან გედს ბურ-
ჟუაზიასთან **საერთო მოქმედების** საკითხის გადაწყვეტაში.
მხოლოდ ეთანხმებიან იმაში, რომ სოციალისტები ბურჟუა-
ზულ სამინისტროში თავის წარმომადგენელის ყოლას პრინ-
ციპიალურად არ უნდა გამოუდგნენო. თუმცა ეს ასეა, გარე-
მოება კი ხშირად არღვევს ამ პრინციპიალურ გადაწყვეტილე-
ბას და ამისათვის ეს საგანი უფრო ტაქტიკის საკითხია, ვიდრე
პრინციპისაო.

გერმანიის სოციალისტთა დამოკიდებულება ბურჟუაზულ

დაწესებულებათა და პარლამენტარულ მოქმედებასთან ამ უკა-
ნასკნელ ოცდა ათის წლის განმავლობაში თვალსაჩინოდ შე-
იცვალა. 1869 წ. ლიბკნეხტი კატეგორიულად წინააღმდეგი იყო
საპარლამენტო მოღვაწეობისა. „პარლამენტში ჩვენ მიერ წარ-
მოთქმულ სიტყვებს, – ამბობს ლიბკნეხტი, – არავითარი გავ-
ლენა არა აქვთ კანონმდებლობის შემუშავებაზე. ჩვენ ლიტონ
სიტყვებით პარლამენტს ვერ დავაჯერებთ... და ან რა პრაქ-
ტიკული სარგებლობა აქვთ პარლამენტში წარმოთქმულ სიტ-
ყვებს? – არავითარი!.. ხოლო პარლამენტალურ მოქმედების
ზარალი კი აუარებელია. სახელდობრ, აი რა შედეგი მოსდევს:
პრინციპიალური კომპრომისი, დაქვეითება პოლიტიკურ ბრძო-
ლისა საპარლამენტო სიტყვიერ კამათამდე, დარწმუნება ხალ-
ხისა, რომ ბისმარკისეული პარლამენტი მოწოდებულია სო-
ციალურ პრობლემის გადასაწყვეტად“. მაგრამ რამდენისამე
წლის შემდეგ იგივე ლიბკნეხტი, მოწინააღმდეგე საპარლამენ-
ტო მოქმედებისა, არამც თუ რეიხსტაგში დეპუტატობას ჰკის-

რულობს, არამედ შედის საქსონიის ლანტაგშიაც, რაიცა მისგან შემდეგ ფიცს მოითხოვდა: „ვფიცავ უზენაესსა, რომ არ უღალატებ და ერთგული ვიქნები კონსტიტუციისა და ვემსახურები მეფისა და სამშობლოს განუყოფელ ინტერესებს. ღმერთი იყოს ჩემი შემწე“. ლიბკნეხტს თავის დროზე უსაყვედურებდნენ ძველ ტრადიციების ღალატისა და ამ ფიცის მიცემისათვის. მხოლოდ ლიბკნეხტი თავს იმით იმართლებდა, რომ ამნაირ ფორმალურ დაბრკოლებას თითქმის არავითარი მნიშვნელობა არ აქვს შედარებით იმ სარგებლობასთან, რომელთც იმის პარტიას შეეძლო ენახა ბურჟუაზულ დაწესებულებებში შესვლითო. ამ აზრისავე იყო მარქსიც, რომელიც ამბობდა: „ჩვენ პროლეტარიატთან ერთად ბურჟუაზიის წინააღმდეგ ვმოქმედობთ და ბურჟუაზიასთან **ერთად** აზნაურებისა და მღვდლების წინააღმდეგო“.

გერმანელთა თანამედროვე სოციალ-დემოკრატული პარტია ამაზე მეტსაც ამბობს. იმის მიერ აღნიშნულ აზრის მისაღწევად იგი ბურჟუაზიას მეტსაც უთმობს და უფრო ადუნებს კლასთა ბრძოლის პრინციპს.

2.

რათა უკეთ გავეცნოთ მოკამათე დასთა საერთო მოქმედების ნიადაგს, საჭიროა გულდასმით განვიხილოთ ფილოსოფია ჟორესისა (საფრანგეთში) და ბერნშტეინისა (გერმანიაში.), რომელთაც დღითი დღე მეტი გავლენა აქვთ პარლამენტალურ სოციალისტთა შორის.

ეკონომიური და პოლიტიკური ფილოსოფია ჟორესისა შემდეგია: „თანამედროვე ხანას პოლიტიკურ და სოციალურ ევოლიუციისას ევროპაში შეიძლება დაერქვას ხანა ბურჟუაზულ წეს-წყობილების ტრანსფორმაციისა. რეფორმები, რომელთაც ბურჟუაზულ საზოგადოების გაუმჯობესება აქვთ აზრად, იმის ბოლოს მომღებნი შეიქმნებიან, იმიტომ რომ პროლეტარიატის მდგომარეობის გაუმჯობესობასთან ერთად ისინი ამზადებენ ნიადაგს პროლეტარიატის კლასოურის თვითცნობიერების წარმატებისათვის. და აი სწორედ ამიტომ იმ გუნდთ ბურჟუაზულ პარტიებისას, რომელნიც სოციალურ რეფორმების მომხრენი არიან, (სამუშაო დღის შემოკლება, შრომის მფარველობა და სხვ.) სოციალისტებმა უეჭველად მხარი უნდა დაუჭირონ, რადგან ეს გუნდნი (იქნებ უნებლიედაც) სოციალისტთა სასარგებლოდ მოქმედებენო. ამაზედ უნდა იყოს დამყარებული პრაქტიკული პროგრამა პარლამენტალურ სოციალისტებისა. სოციალისტები ჰგზავნიან თავიანთს დეპუტატებს

პარლამენტში (ბურჟუაზულ დაწესებულებაში) იმისთვის, რომ ამათ, კანონების შემუშავებით, გააუმჯობესონ მუშათა მდგომარეობა, მხოლოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ, რაც უნდა გავლენა და ფხა გამოიჩინოს სოციალისტების დეპუტატმა იმ დაწესებულებაში, რომელიც, იმის შეხედვით, ბურჟუაზულ ინტერესების გამომხატველია, იმისი იქ მოქმედება კომპრომისზეა დამოკიდებული, იმ აუცილებელ დათმობაზე და იდეალის შეკვეცაზე, ურომლოდაც შეუძლებელია ამა თუ იმ პარლამენტალურ რეფორმების გაყვანა. რაკი დეპუტატი-სოციალისტი კომპრომისს სახავს აუცილებელ პირობად პრაქტიკულის მოქმედებისათვის, იმ ფიქრმა, – შეუძლია მას თუ არა ბურჟუაზულ მთავრობის წევრად გახდეს, – არ უნდა შეაყენოს იგი. ლოღიკის წინააღმდეგია, რომ კაცმა დეპუტატობა იკისროს, ქალაქის თვით-მმართველობაში მოქმედებდეს და სამინისტრო

პორტფელზე კი ხელი აიღოს! სოციალისტის მდგომარეობა მინისტრთა კაბინეტში (მმართველობის ორგანოში) იგივეა, როგორიც არის მისი მდგომარეობა პარლამენტში (საკანონმდებლო დაწესებულებაში), ანუ როგორიც არის მდგომარეობა სოციალისტისა მუნიციპალიტეტში (ქალაქის თვით-მმართველობაში). ყველა ეს დაწესებულებანი უმრავლესობის პრინციპზე არიან დამყარებულნი, ესე იგი ამა თუ იმ გადაწყვეტილებაში უკანასკნელი სანქცია უმრავლესობას აქვს მინიჭებული. ყველა წევრთათვის, რა აზრისაც უნდა იყოს იგი, სავალდებულოა ამ უმრავლესობის გადაწყვეტილების დამორჩილება, რადგან, ვინც მოისურვებს „ლეგალურ“ ნიადაგის მოშორებას, ის დაჰკარგავს თავის „უფლებას“, არსებულ იურიდიულ წესწყობილებაზე დამყარებულს. ერთის სიტყვით, თუ სოციალისტს ერთ შემთხვევაში კომპრომისი არ ეთაკილება, რა ლოღიკური საბუთი აქვს მას ითაკილოს ეს კომპრომისი სხვა მსგავს შემთხვევაში, უკეთუ ხსენებული კომპრომისი ევოლუციის აუცილებელი პირობაა ყველა ამისათვის, რომაელთა თქმულებას – „რამეთუ ადამიანი ვარ და ყოველი ადამიანური არ მეუცხოვების“, – ზედ-გამოჭრილი ფორმულაა განსამარტავად იმ პოზიციისა, რომელზედაც უნდა იდგნენ სოციალისტები ბურჟუაზულ ერთი-მეორის მოპირდაპირე დასების შეტაკების დროს. სოციალისტები ერთმანეთისაგან არჩევენ იმათ, ვინც პოლიტიკურ თავისუფლებას და რესპუბლიკურ დაწესებულებათ იცავენ – იმათგან, ვინც რეაქციისა და ძველის რეჟიმის მომხრენი არიან.

მოკლედ რომ მოვჭრათ, ჟორესის პოლიტიკური ფილოსოფია ასე გამოითქმის დიდის რევოლუციის დროიდან დაწ-

ყებული იდეათა ბრძოლა ჯერაც არ დასრულებულა. „ადამიანის და მოქალაქის უფლებათა დეკლარაციაში“ (La déclara-- tion des Droits de I’homme et du citoyn) გამოთქმულნი პრინციპნი, რომელნიც საფრანგეთის კონსტიტუციას საფუძვლად ედებიან, ჯერ კიდევ სავსებით არ შესისხლხორცებია საფრანგეთის საზოგადოებას. პროცესი რესპუბლიკურ და დემოკრატულ საფრანგეთის შექმნისა ჯერ კიდევ არ დამთავრებულა. ძველი რეჟიმის ძალნი საზოგადოებაში ცოცხალნი არიან – კათოლიკეთა ეკლესია და იმპერია ჯერ ისევ ემუქრებიან აწინდელ დემოკრატულ თავისუფლებას. სოციალისტები, რო-

მელნიც მხურვალე მონაწილეობას იღებენ საფრანგეთის საზოგადოების დემოკრატიზაციის პროცესში, ხშირად **იძულებულნი** არიან ხელი გაუწოდონ ბურჟუაზულ რესპუბლიკელებს, რომელნიც მათთან ერთად მზად არიან ძველ რეჟიმის წარმომადგენელთ ებრძოლონ ხოლმე. აქედან გამომდინარობს პოლიტიკა დაკავშირებისა და საჭიროება თანამედროვე საზოგადოების გადაქმნისა და არა იმისი დამხობისა. ამ სახით, თანახმად ჟორესის აზრისა, კლასთა ბრძოლის წმინდა პრინციპს პრაქტიკულ, ყოველდღიურ მოქმედებას.

3.

ბერნშტეინი (გერმანიაში) ამ გზით უფრო შორს მიდის. ხასიათი მისი აზრებისა უფრო ზომიერი, მშვიდი და ბურჟუაზულია. ლიბერალიზმის მისია, ბერნშტეინის აზრითაც, ჯერაც არ არის დასრულებული ევროპიელთა საზოგადოებაში, განსაკუთრებით გერმანიაში. მისი უმთავრესი აზრი დემოკრატულ დაწესებულებათა შექმნაა. და ამ სახით დემოკრატია ლიბერალიზმის პოლიტიკური ფორმაა. იქ, სადაც დემოკრატია ჯერ გამაგრებული და გამტკიცებული არ არის (გერმანია სწორედ ამ მდგომარეობაშია) ამ დემოკრატიის ყველა მომხრეთა შორის – ბურჟუაა ის თუ სოციალისტი – მკვიდრი კავშირია საჭირო. და ეს კავშირი მოწინავე ბურჟუაზულ ფრაქციებთან, ამბობს ბერნშტეინი, ამით უფრო აუცილებელია, რომ „თანამედროვე საზოგადოებათა ლიბერალური დაწესებულებანი უმეტესად იმითი განსხვავდებიან ფეოდალურ დაწესებულებათაგან, რომ პირველნი უფრო მოზნექილნი, ცვალებადნი და საზოგადოთ განვითარების უნარის მქონენი არიანო“.

მხოლოდ ბერნშტეინის აზრი უფრო მკაფიოდ გამოისახება გერმანიის საკოლონიო პოლიტიკის კითხვების გარკვევაში. ყველამ იცის, რომ კოლონიზაცია და საახალშენო პო-

ლიტიკა ნიშანდობლივი მოვლენაა კაპიტალისტურ წესწყობილებისა. საჭიროება ახალ ბაზრებისა და კაპიტალისთვის ახალის ასპარეზის მოპოება – ერთი უძლიერესი სტიმულია თანამედროვე საზოგადოებათა შორის კოლონიზაციის წარმატებისათვის. ყველამ იცის, რომ ზრდა თანამედროვე მილიტარიზმისა ვიწროთ არის დაკავშირებული დასავლეთ ევროპის საა-

ხალშენო პოლიტიკასთან. და ამ ჯარის ზრდის კითხვაში ბერნშტეინი ბურჟუაზულ ნაციონალისტებს გვერდში უდგება და ამბობს, რომ გერმანიის **სახელმწიფო** ინტერესები უფრო მაღლა უნდა იდგნენ კლასიურ ინტერესებზე, თუნდაც ეს ინტერესები მუშა კლასისა იყოსო.

ღირს შესანიშნავია, რომ ამ კითხვაში ინგლისელი სოციალისტი ჰაიდმანი იმავე აზრისაა. „ჩვენი (ინგლისის) არსებობა, როგორც თავისუფალ ხალხისა, – ამბობს იგი, – დამოკიდებულია ჩვენს საზღვაო ძალასა და უპირატესობაზედო“.

ჩვენ არას ვიტყვით იმის შესახებ, თუ რამდენად მართლა საჭიროა გერმანიის და ინგლისის ხალხის კეთილდღეობისათვის იმათი ჯარის რიცხვის ზრდა, ჩვენ მხოლოდ აღვნიშნავთ იმ გარემოებას, რომ ამ კითხვის გადაწყვეტაშიაც მოკამათე დასნი საერთო მოქმედების ნიადაგზე დგანან. ამ გარემოებამ არ უნდა გაგვაკვირვოს, თუ მხედველობაში ზემოდ აღნიშნული მოსაზრებანი მივიღეთ. **დემოკრატულ დაწესებულებათა შექმნისათვის საჭიროა შეერთებული ძალა ყველა პროგრესიულ პარტიებისა**, და ამ მიზნის მისაღწევად საჭიროა ხშირად კლასთა ბრძოლის სიმწვავის შესუსტება. და რაკი ამგვარი მოსაზრება სოციალისტთა პარტიის პრაქტიკულ პროგრამას საფუძვლად დაედო, არ უნდა გაგვაკვირვოს ამ ბოლო წლებში მოკამათე დასთა შორის ჩამოვარდნილმა კავშირმა.

მაგრამ იქნება ეს კავშირი და საერთო მოქმედება სავალდებულოა მხოლოდ იმ პარტიებისათვის, რომელნიც პოლიტიკურ ნიადაგზე დგანან და რომელთათვისაც პოლიტიკური დაწესებულებათა ევოლუცია ხალხის პროგრესსის და წინსვლის პირობათ მიაჩნიათ? იქნება განკერძოვებული ეკონომიურ განხეთქილებაზე დამყარებული მოქმედება მხოლოდ იმათთვის შესაძლოა, ვინც პოლიტიკურ ნიადაგიდან ჩამოდის და არ ერევა სხვადასხვა სახელმწიფო დაწესებულებათა საქმეებში? რომ პრაქტიკულად დამოუკიდებელი და განკერძოვებული მოქმედება ხშირად შეუძლებელია, ამას გვიმტკიცებენ თვით ისინიც, რომელნიც პოლიტიკურ ცხოვრებას არავითარ მნიშვნელობას არ აძლევენ და სცდილობენ იმოქმედონ **მხოლოდ** ეკონომიურ ნიადაგზე. ჩვენა გვყავს სახეში, ეგრედ წოდებული, „ლი-

ბერტერები“.

„ლიბერტერების“ აღსნა ეკონომიურ განხეთქილებისა გა-

ნირჩევა სოციალისტების ამგვარივე აღსნიდამ: მაშინ, როდე-
საც მეორენი აღიარებენ კლასთა ბრძოლას, პირველნი მხო-
ლოდ მქონეთა და არ მქონეთა შორის ბრძოლაზედ ლაპა-
რაკობენ. „ლიბერტერები“ კლასს ისე არ უყურებენ, რო-
გორც რამე მთელს და განუყოფელს, რადგან მათის საზოგა-
დო შეხედულებით ყოველგვარ საზოგადო აგლომერაციის
შემქმნელ ელემენტს ადამიანი, ინდივიდუუმი შედგენს და
შეუძლებელია, რომ ყოველი ადამიანი, ინდივიდუალური ხა-
სიათის პატრონი, მეორე ადამიანის ხასიათის განმეორებათ ჩა-
ითვალოს. ასე რომ შეიძლება ილაპარაკოს კაცმა კერძო პი-
რების თვით-ცნობიერებაზედ, და არასოდეს – კლასიურ თვით-
ცნობიერებაზედ, რომელშიაც კერძო პირები მხოლოდ შემად-
გენელ როლს თამაშობენ. და თუ საერთო კლასიური თვით-
ცნობიერება არ არსებობს, შეუძლებელია საერთო კლასიურ
მოქმედების პროგრამის არსებობაც, რადგან ყოველში პირი –
მდიდარია ის თუ ღარიბი – თავის კერძო შეხედულების და-
გვარად მოქმედებს. და მას არამც თუ შეუძლია თავისუფლად
გამოესარჩლოს ბურჟუაზულ საზოგიდოებაში დაჩაგრულ სა-
მართალს, არამედ ეს გამოსარჩლება, თუ მისი სინიდისი მო-
ითხოვს, თავის მოვალეობად უნდა ჩაითვალოს.

ნამდვილი ინდივიდუალიზმის ფილოსოფია ამგვარია. მხო-
ლოდ აქაც, ამ მოძღვრების ბურჯსაც აქვს გამონგრეული კე-
დელი, საიდამაც კაცს გარეთ გამოსვლა და ქვეყნის საქმეებში
ჩარევა შეუძლია. „ლიბერტერები“ მხურვალე მონაწილეობას
ღებულობდნენ დრეიფუსის საქმეში, რადგან ამ საქმეში სი-
მართლის და ადამიანის დაჩაგვრას ხედავდენ. შარშანწინ იმათ-
ვე მიიღეს მონაწილეობა დიდ **რესპუბლიკურ** მანიფესტაცია-
ში, რომელიც რეაქციონერთა მოქმედებით იყო გამოწვეული.
და ამ თავის მონაწილეობას „ლიბერტერები ასაბუთებენ
იმით, რომ ჩვენ მზადა ვართო გამოვექომაგოთ ძველ რეჟიმის
წინააღმდეგ იმ ნაწილს თავისუფლებისას, რომელიც დღეს
ბურჟუაზულ რესპუბლიკაში განხორციელებულიაო. ამას
ამბობდენ ისინი, რომელნიც უარ-ყოფენ სახელმწიფო ცხოვრების
ფორმებსა! ამგვარია ევროპის პოლიტიკურ საზოგადოების პრაქ-
ტიკა, იგი იწვევს იდეოლოგებს და თეორეტიკოსებს ისტო-
რიულად შემუშავებულ ნიადაგზედ და ხშირად მათ მათის იდეა-

ლების წინააღმდეგ),ამ ნიადაგის მოთხოვნილების დაგვარად ამოქმედებს.

ასეთია ცხოვრების და თეორიის დუალიზმი ევროპის საზოგადოებაში. ჩვენა ვნახეთ, რომ თანამედროვე პირობებში წმინდა კლასთა ბრძოლის პრინციპით პრაქტიკულ ცხოვრების განმარტება თვით ევროპაშიაც სრულიად უნაყოფოა; ჩვენა ვნახეთ, რომ გედის აზრები და გედის მოქმედება, ერთმანეთს ეწინააღმდეგებიან, რომ ჟორესი და ბერნშტეინი უფრო მყუდრო სოციალურ ცსოვრების ევოლუციისათვის, ვიდრე კლასთა ბრძოლის გამწვავებისათვის, მუშაობენ და რომ „ლიბერტერებიც“, რომელნიც მთელ საზოგადოებას ომს უცხადებენ ბოლშე, ხშირად, პრაქტიკულ მოქმედების დროს იძულებულ არიან გარემოების და დროის მოთხოვნილებით იხელმძღვანელონ. და ყველანი თითქოს უნებლიეთ აღიარებენ აღნიშნულ ცხოვრების და იდეალის დუალიზმს.

IV. რა არის ინტელიგენცია?

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ ზოგიერთი პრაქტიკული საკითხები, რომელთა განმარტება ქართველ ინტელიგენციის მოვალეობად მიგვაჩნდა. ჩვენ გავითვალისწინეთ ის ასპარეზი, რომელზედაც ამ ინტელიგენციას მოქმედება შეუძლია და რომელზედაც იგი ავად თუ კარგად უკვე მოღვაწეობს. და ამ პრაქტიკულ კითხვათა დაყენებამ გაგვიადვილა პასუხის მოცემა იმ საკითხზედაც, რომელიც ამ წერილის საგანს შეადგენს. მართლაც, თუ ცხოვრების სიღრმეში დაბადებულ მოვლენათ ახსნა და განმარტება სჭირიათ, თუ ამ განმარტებას, გარემოებათა მიხედვით, ერთი დასი, ერთი პატარა ხალხის ნაწილი ჰკისრულობს, თუ ეს დასი თავისს სულიერს ძალ-ღონეს ხალხის კეთილდღეობას ანდომებს, განა აშკარა არ არის პასუხი იმ კითხვაზე, თუ რა არის ინტელიგენცია? მხოლოდ ისტორიის მსვლელობაში ინტელიგენციას არა ჰქონია ერთი და იგივე ხასიათი და მნიშვნელობა. ჩვენ დროშიაც სხვა-და-სხვა

ერთა ცხოვრებაში ინტილიგენციას არა აქვს ერთი და იგივე მოქმედების მიზანი და მისი ღირსება-ნაკლულევანება ერთი და იგივე ზომით არ გაიზომება. ამასთან ისიც უნდა გვქონდეს მხედველობაში, რომ იმ დასს, რომელსაც რუსეთში და ჩვენში ინტელიგენციას უწოდებენ, საზღვარგარეთ, დასავლეთ ევროპაში, სხვადასხვა პოლიტიკურ პარტიების სახელებს არქმევენ. ევროპაში, რამდენად ვიცით, არც არსებობს იმგვარი შემაერთებელი სიტყვა (ინტელიგენცია), რომელიც ყველა პო-

ლიტიკურ, მეცნიერულ და ლიტერატურულ დასების დამახასიათებელი ყოფილიყოს. ფრანგული – les intellectuels – უფრო სწავლულთა და მეცნიერთა სახელია. „ინტელიგენტის“ მაგიერობას ცოტად თუ ბევრად ფრანგული „ბურჟუა“ და ინგლისური „ჯენტელმენი“ გაუწევს. მხოლოდ ეს დაახლოვებითი მგზავსებაა, რადგან ევროპაში ინტელიგენტად ბევრი იმისთანაც ჩაითვლება, ვინც ბურჟუაზიის და ჯენტელმენების წრეს არ ეკუთვნის. ყველა ამისათვის **ინტელიგენციის დახასიათოვნებაში წოდებრივ და პროფესიონალურ პრინციპით არ უნდა ვიხელმძღვანელოთ**. თუმცა ამასთან არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ისტორიულ მსვლელობაში ინტელიგენციას ხშირად წოდებრივი და პროფესიონალური ხასიათიც ჰქონია. მხოლოდ ჩვენ მისი ტიპიური თვისებები უნდა გვქონდეს მხედველობაში, იმისთანა თვისებები, რომელნიც ცხოვრების ცვლილებათა მიუხედავად, ყოველთვის ინტელიგენციის არსებითს კუთვნილებას შეადგენენ. ამ თვისებების გამორკვევისათვის გადავავლოთ თვალი ევროპიულ ცხოვრების მსვლელობას.

ფეოდალური საზოგადოებრივი შეხედულება აშენებულია ძველ წოდებრივ წეს-წყობილებაზედ, რომელიც თავის დროზე ნორმალურ წყობილებად მიაჩნდათ იმათ, ვისაც იგი აძლევდა უპირატესობას. გაბატონებული მაღალი წოდება თანდათან თავის უპირატესობას ეჩვევოდა; როგორც მეტად მომზადებული და გონებით განვითარებული დასი, ხალხს წინამძღოლობას უწევდა ხოლმე. მართალია, წოდებრივ ინტელიგენციის მზრუნველობა და წინამძღოლობა ხშირად ხალხის კეთილდღეობას არ მოასწავებდა, მხოლოდ, რადგანაც ხალხს მოზრდილ ბალღადა სთვლიდენ და ბატონობა იმ ბალღის საკეთილდღეო დაწესებულებად მიაჩნდათ, ამისათვის ამგვარ წოდებრივ ინტელიგენციას ხალხის წინსვლაში და განთავისუფლება-

ში იმ დრომდე არ ექნებოდა ნაყოფიერი ზედ-გავლენა, სანამ თვით ამ წოდებაშივე ფართო ხალხური იდეალები არ დაიბადებოდნენ და სანამ შემენილ ცოდნას იგი არ მოახმარებდა ხალხის განთავისუფლების საქმეს, როგორც იყო, მაგალითად, რუსეთში მესამოცე წლებში. ამისათვის შეიძლება ითქვას, რომ **წოდებრივ ინტელიგენციას იმდენად მეტი მნიშვნელობა ჰქონდა ხალხის ცხოვრებაში, რამდენადაც ნაკლებად ეტყობოდა მას წოდებრივი ხასიათი.**

ბურჟუაზიულ შეხედულებას მეტი თანამედროვე ინტერესი აქვს, და მასზე აშენებულ ინტელიგენციის დახასიათოვნება მეტი ყურადღების ღირსია. წოდებრივ წეს-წყობილების დამხობასთან, კანონმდებლობის გაერთგვარებასთან და იური-

დიულ და პოლიტიკურ უფლებათა გათანასწორებასთან ერთად წოდებრივ ინტელიგენციის საძირკველიც დაირღვა. ხალხი დაიყო პროფესიონალურ ჯგუფებათ: ვაჭარ-მრეწველებათ, მიწის მომქმედებათ, ხელოსნებათ და სხვა. ამისდა მიხედვით ინტელიგენციის ფარგალიც თანდათან გაგანიერდა. ინტელიგენციის წრეში შესვლა ყველასთვის თავისუფალი შეიქმნა, ვისაც კი სწავლა და განათლება ჰქონდა. რასაკვირველია, სწავლის შეძენას ფული სჭირდება, ამისთვის ბურჟუაზიულ ინტელიგენციის წრეს ბევრად თუ ცოტად შეძლებული პირნი შეადგენენ (რუსეთში და ჩვენშიაც, სადაც საზოგადოებრივი დიფერენციაცია ჯერ კიდევ ცხადად არ გამოირკვა, ინტელიგენციას ბურჟუაზული ხასიათი ნაკლებად ეტყობა). მხოლოდ ამ წრემ კასტური, მიუდგომელი ხასიათი დაჰკარგა . და თუმცა ფულს მეტი მნიშვნელობა მიეცა და ის ინტელიგენციის განკერძოვება, რომელიც უწინ წოდებრივ წეს წყობილების ნაყოფი იყო, ჩვენ დროში სიმდიდრეზე შეიქმნა დამყარებული, ამის და მიუხედავად, ნიჭს და გონიერებას მაინც მეტი გზა მიეცა. დიდ რევოლუციის შემდეგ ევროპის ინტელიგენციას ბურჟუაზია შეადგენდა და ამ ბურჟუაზიის მისია იყო დემოკრატულ დაწესებულებათა შექმნა, იმათი დაცვა და განვითარება, თანახმად ცნობილ „ადამიანთა უფლებათა დეკლარაციისა“. ამ მიზნის მისაღწევად ბევრი სისხლი დაღვარა ბურჟუაზიამ და მითი აასრულა ხალხისადმი მოვალეობა. ასე რომ **ბურჟუაზულ ინტელიგენციასაც იმდენად მეტი მნიშვნელობა ჰქონდა, რამდენადაც ნაკლებად იყო იგი ბურჟუაზული და რამ-**

დენადაც მეტად გამსჭვალული იყო იგი დემოკრატულ ინტერესებით.

ჩვენში ქართველ ინტელიგენციის მისია ბატონყმობის გაუქმების შემდეგ იყო – **ევროპიულ ფორმებში მრავალფეროვან ეროვნულ ცხოვრების განვითარება**, და ამგვარი ჩვენი ინტელიგენციის მიზანი უკვე გამოირკვა ბატონ-ყმობის არსებობის წინადაც, მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისშივე. თანამედროვე ინტელიგენციამ მემკვიდრეობით მიიღო ამგვარივე მოქმედების ეროვნული პროგრამა, და ამ ეროვნულ პროგრამის უარყოფა თვით ქართველ ერის არსებობის უარყოფაა. რა მიზეზია, რომ ევროპაში და ჩვენში ერთ და იმავე ეპოქაში ინტელიგენციას სრულებით განსხვავებული მიზნები ჰქონიათ? ამის მიზეზი ერთად-ერთია მე-XIX საუკუნის დასაწყისიდან, ევროპიელ დიდ ერთა ინტელიგენციის ცდა და ნატვრა იყო გაუმჯობესება **უკვე არსებულ** მრავალშტოიან ნაციონალურ ცხოვრებისა და დემოკრატულ დაწესებულებათა

საშუალებით ეკონომიურ და პოლიტიკურ თანასწორობის და-
ფუძნება მოქალაქეთა შორის. ჩვენში ქართველ ერის პოლი-
ტიკურ ცხოვრების ძირითად ცვლილებათა გამო ყოველ გონება-
გახსნილ ქართველის მოვალეობა იყო – შეექმნა, გამოერკვია
და გაემტკიცებინა ის ახალი საქართველოს ვინაობა და პიროვ-
ნება, ურომლოდაც არამც თუ წარმატება, არამედ მისი არ-
სებობაც შეუძლებელი იყო. ჩვენს ძველ მოღვაწეების დაფასე-
ბაში ეს ყოველთვის უნდა გვქონდეს მხედველობაში; წინა-
აღმდეგ შემთხვევაში ჩვენ ადვილად ავცდებით ისტორიულ
ნიადაგს და იდეოლოგიურ სფერებში ფრენას დავიწყებთ.

მესამე, სოციალური ცხოვრების განმარტება აღმოცენდა
ევროპაში ბურჟუაზულ ცხოვრების ნიადაგზე. მიუხედავად დე-
მოკრატულ დაწესებულებათა შემოღებისა და პოლიტიკურ
უფლებათა გაფართოება-გათანასწორებისა, ევროპის ხალხის
ეკონომიურ ურთიერთობაში თანხმობა ვერ ჩამოვარდა, შრომის
და კაპიტალის წინააღმდეგობა არ აღმოიფხვრა. ბურჟუაზიამ
კერძო საკუთრების ხელუხლებლობა აღიარა და მუშათა მდგო-
მარეობის მხოლოდ გარეგანი გაუმჯობესობა იკისრა. ამ გა-
რემოებამ გამოიწვია მწვავე ბრძოლა ეკონომიურ ნიადაგზე და
ამ ბრძოლამ დაჰყო ევროპიელი ინტელიგენცია ორ დიდ მო-

პირდაპირე ბანაკად. ერთ მხარეზე დარჩნენ ისინი, ვინც სო-
ციალურ რევოლუციის წინააღმდეგ იყვნენ, მხოლოდ მეო-
რეზედ ისინი, ვინც ბურჟუაზულ წეს-წყობილებაში რწმენა
დაჰკარგეს და ვინც შრომის და კაპიტალის გასაზოგადოებრი-
ვობას წინასწარმეტყველებდნენ. მართალია, ამ ორ ბანაკთა
შორის, გარემოებათა მიხედვით, ხანდისხან ზავი ჩამოვარდება
ხოლმე და ორივე მხარენი ერთიერთმანეთს ბევრს რასმეს
უთმობენ, მხოლოდ ახლად მოვლენილი ძალა მაინც თავის
ნაყოფს იღებს და იმის ზეგავლენით თანდათან ირკვევა ახალი
სოციალური ხასიათი ევროპიელ ინტელიგენციისა. ახალი ინ-
ტელიგენცია არსებულ დაწესებულებათა და ეროვნულ ფორ-
მათა საშუალებად და იარაღად ხმარობს იმ იდეალის მისაღწე-
ვად, რომლის განხორციელება გაუქმებაა სახელმწიფო საზღვ-
რებისა და ქონებრივ განსხვავებისა ადამიანთა შორის. ამგვა-
რია ევროპიელ ერთა ევოლუცია. სულ სხვაა იგი ჩვენში.

როგორც ჩვენ ზემოდ აღვნიშნეთ, მეცხრამეტე საუკუნის
დასაწყისიდამ **ჩვენ დრომდე** ქართველ ინტელიგენციას ერთად-
ერთი მიზანი უნდა ჰქონოდა – ჩვენი ქვეყანა ახალ პოლიტი-
კურ პირობებში აეღორძინებინა, მისი ვინაობა შეექმნა, ლი-
ტერატურის და საზოგადოებრივის მოღვაწეობის საშუალებით,
ახალ აზრების, გრძნობების და ევროპიულ ცხოვრების ფორ-

მები დაენერგა, აეშენებინა. ეს მიზანი ჯერ ნახევრადაც არ არის მიღწეული, ამისათვის თანამედროვე ქართველ ინტელიგენციის ძალ-ღონე ამავე მიზნისადმი უნდა იყოს მიმართული.

ყველა ამითი ჩვენ იმისი თქმა არ გვინდა, ვითომ ერთ საუკუნის განმავლობაში ქართველ ხალხის ცხოვრებაში ღრმა ეკონომიურ ცვლილებათ არა ჰქონოდათ ადგილი, ანა და რომ ჩვენს ეკონომიურ ურთიერთობაში თანხმობა და ჰარმონი ჰსუფევს. ჩვენ მხოლოდ იმას ვამბობთ, რომ **მიუხედავად** ბატონყმობის არსებობისა მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნაწილში და **მიუხედავად** წოდებრივ წესწყობილების დარღვევისა ამ საუკუნის მეორე ნაწილში, **მიუხედავად** ჩვენ დროის სოფლების და ქალაქების ზრდისა, ვაჭრობა-მრეწველობის ცოტად თუ ბევრად განვითარებისა და საზოგადოთ ეკონომიურ ევოლუციის წარმატებისა, ჩვენი ინტელიგენციის პროგრამა იყო, არის ღა უნდა იყოს ღრმად ეროვნული. ამას მოითხოვდა და მოითხოვს თვით ხალხის ეკონომიური კეთილდღეობაც. დაქვეი-

თებული ეროვნული ცხოვრება ისე ჰლახავს ხალხის ეკონომიურ ცხოვრებას, რომ მეორის წარმატება უპირველოდ შეუძლებელია. ჩვენს პირობებში ეროვნება ერთად ერთი იარაღია ქართველ ხალხის ყოველმხრივ წარმატებისათვის და აღორძინებისათვის. მაშასადამე, ჩვენ წინ ეროვნული იდეალები არიან წარმომდგარნი და ჩვენი ინტელიგენციის მოქმედების ნიადაგი ეროვნული ნიადაგი უნდა იყოს.

თუ ეს ასეა, რითი აიხსნება გაუგებარი უარ-ყოფა ქართველ ინტელიგენციისა, უარ-ყოფა, რომელიც ჩვენს ლიტერატურაში დროგამოშვებით გაისმის ხოლმე? განა ამგვარი ინტელინგეციის უარყოფა თვით ეროვნულ საქმის უარ-ყოფას არ მოასწავებს? ერთად ერთი, – ან ჩვენს „უარ-მყოფელებს“ მართლაც და ეროვნება არა სწამთ, აწ კიდევ ისინი ეროვნების საქმეს თავისებურად, ჩვენთვის გაუგებრად, ემსახურებიან.

ან იქნება ყველა ეს უბრალო მიბაძვაა, მწიგნობრობაა, ჩვენს ნიადაგზე იმ აზრის განმარტება, ვითომ ჩვენის ინტელიგენციის დაფასებაში საჭიროა წოდებრივ და კლასსიურ პრინციპით ხელმძღვანელობა? თუ მაინც და მაინც გვინდა ევროპას არ ჩამოვრჩეთ, ის მაინც უნდა ვიცოდეთ, რომ სწორედ ევროპიულ ცხოვრების პრაქტიკამ გამოარკვია კლასთა ბრძოლის პრინციპის უნაყოფობა და უსაფუძვლობა თანამედროვე რთულ ცხოვრების განსამარტავად და ნუ თუ ჩვენში, ამ იდეოლოგიურ ცდას უნდა შევალიოთ ჩვენი ძალ-ღონე?..

ინტელიგენცია, როგორც ადამიანთა გონიერების და თვით-ცნობიერების გამომსახველი, წოდებას და კლასს არ შე-

ადგენს და თუ ინტელიგენციას ისტორიულ მსვლელობაში კასტური და წოდებრივი ხასიათი ჰქონდა, ამის მიზეზი გონების განუვითარებლობა იყო და არა ის, ვითომც არსებითი თვისება ინტელიგენციისა უთანასწორობის და უსამართლობის განმტკიცება ყოფილიყოს. ინტელიგენციის ზნე-გონიერებაზე დიდი გავლენა აქვთ ისტორიულად დაარსებულს წეს-წყობილებას და სხვა-და-სხვა გარეშე გარემოებათ და მოვლენათ. ბევრჯელ კაცის გონება ამ გარემოებათა ზედგავლენით იხუთება, ხშირად მას მავნე და ცრუ მიმართულება ეძლევა, ხშირად კაცის გონება კერძო ინტერესებს ემსახურებოდა ხოლმე. ან კიდევ პატარა ჯგუფის ან წოდების კეთილ-დღეობა ჰქონდა ხოლმე მხედველობაში, მხოლოდ, როდესაც კი კაცის გონება

შემბოჭველი ბორკილებიდან განთავისუფლდებოდა და თავის თავის ფასს შეიგნებდა, იგი მამაცურად და უშიშრად გადაბიჯებდა იმ ღობეებს და კედლებს, რომელნიც ადამიანთა შორის აყუდებულია. და რაც უფრო მეტი თვით-ცნობიერება ებადებოდა კაცს, მისი გონება და სულიერი ძალ-ღონე უფრო მეტად იყო მზად ყველა დაჩაგრული და დავრდომილი ენუგეშებინა და აემაღლებინა. და ასეც უნდა ყოფილოყო, რადგან კაცის სულიერი ცხოვრება თავის საკუთარ კანონებს ემსახურება. იგი ჰქმნის და არა ხელოსნობს, მისი მოქმედება პროფესიონალურ ხელობად არ ჩაითვლება; იგი საყოველთაოდ მოქმედობს და მას ადამიანის კეთილდღეობა აქვს სახეში. ამ გვარია სულიერის ცხვრებს არსებითი თვისება. ამგვარია ნამდვილ ინტელიგენციის ხასიათიც, ვინაიდგან ინტელიგენცია ცხოვრების შეგნებაა, გონიერებაა და ამ შეგნების და გონიერების დაგვარად მოქმედება.

ქართველი ინტელიგენცია სწორედ თავის გონების და შეგნების დაგვარად მოქმედებდა მეცხრამეტე საუკუნის მსვლელობაში – იგი ხალხს ემსახურებოდა და არა კერძო წოდებას. მან დაჰბადა ქართული ახალი ლიტერატურა, ქართული პრესსა, ქართული თეატრი, ქართული საზოგადოებრივი ცხოვრება. მან შეჰქმნა ახალი საქართველო. და დღეს სწორედ ამ ინტელიგენციის მოწყალებით ჩვენ შევდივართ ევროპიულ ცხოვრების ფარგალში. ყველა ამისი დავიწყება დიდი უსამართლობაა. შეიძლება დღეს ჩვენ სხვა მოთხოვნილებანი დაგვებადნენ, შეიძლება ჩვენ ვერ გვაკმაყოფილებდეს ჩვენი ლიტერატურა, რომ ჩვენ ახალი ცხოვრების გზის ძიებაში ვიყვნეთ გართულნი, შეიძლება, ჩვენ ჩვენი დროის იდეალები და აზრები გვაღელვებდნენ, მხოლოდ ყველა ეს ნებას არ გვაძლევს ჩვენს ძველს ინტელიგენციას „არისტოკრატიზმი“ დავწამოთ და

კერძო და წოდებრივ ინტერესების სამსახური უსაყვედურო.
ჩვენს თანამედროვე „დემოკრატიზმზე“ ფა „დემოკრატიაზე“
ჩვენ კიდევ გვექნება ბაასი, გვექნება ბაასი აგრეთვე იმაზე, რომ
ჩვენ ხშირად ჩვენთვის გაუგებარ სიტყვებს ვხმარობთ ხოლმე
და ამ გზით ცარიელ ფრაზეოლოგიას ვეჩვევით. ამ წერილს კი
იმ დასკვნით ვაბოლოვებთ, რომ თუ ჩვენ ინტელიგენტური
მოვალეობა გვსურს სინიდისიერად აღვასრულოთ, ვეცადნეთ

ნამდვილ ცოდნის და სიმართლის გავრცელებას ხალხში, ვინა-
იდან მოვა დრო, როცა გამოფხიზლებული ერი სიცრუეს, ცი-
ლისწამებას და მიდგომილობას დაგვწამებს.

V. ჩვენი ეკონომიური პროგრამის გამო.

1.

საქართველოს ეკონომიური ხასიათი რთული მრავალ-
ფეროვანია. ჩვენში არა თუ ერთი ქალაქი განირჩევა მეორი-
საგან და ქალაქი, საზოგადოდ, სოფლისაგან, არამედ თვით
სოფლებიც ხშირად განსხვავდებიან ერთი ერთმანეთისაგან. ეს
მრავალ გვარიანი ხასიათი ჩვენის ეკონომიურის ცხოვრებისა
შედეგია ჩვენის წარსულისა, ქართველი ხალხის ძველი ისტო-
რიისა, როდესაც საქართველო იყოფებოდა სამეფოებათ და
სამთავროებათ და როდესაც ამ სამეფოებს და სამთავროებს
კარ ჩაკეტილი ცხოვრების ხასიათი ჰქონდათ. ჩვენი წარსული
ისტორიის დიდი ნაკლულევანება სწორედ იმაშია, რომ მე-XIX
საუკუნემდე ვერ განხორციელდა პოლიტიკური, ეროვნული
და ეკონომიური გაერთიანება საქართველოსი. ქართველ სამე-
ფოების და სამთავროების განკერძოვებამ და ერთი-ერთმანეთ-
თან ქიშპობამ დააუძლურა ჩვენი ეროვნული ძალ-ღონე და
დაგვაკარგვინა პოლიტიკური დამოუკიდებლობაც. მხოლოდ,
რა იყო მიზეზი ამ ჩვენი განხეთქილებისა და გან-კერძოებისა?
ის, რომ ჩვენ ვერ დავარღვიეთ კარჩაკეტილი ეკონომიური
ცხოვრება, ან კიდევ ის, რომ ჩვენ ვერ შევქმენით'შემაერთე-
ბელი ეროვნული პოლიტიკური ძალა, – ამის გამოკვლევაში
ჩვენ ამ ჟამად არ შევდივართ. პოლიტიკური ძალაა მიზეზი
ეკონომიურის გაერთიანებისა, თუ ეკონომიური გაერთიანება
ჰქმნის მთელს განუყოფელს პოლიტიკურს სისტემას, – ამ საკა-
მათო საკითხს ჩვენ არ ვეხებით. ჩვენი ცდა იმაშია მხოლოდ,
რომ შეძლების დაგვარად, შევაგროვოთ ჩვენი დაფანტული
ძალ-ღონე, შევაერთოთ სხვა-და-სხვა ნაწილი ჩვენის ერისა და ამ
შეერთებით აღვადგინოთ ჩვენი ეროვნება, ვინაიდან ჩვენს პირო-

ბებში მყოფ ხალხისთვის ეროვნების ძალა უნდა ჩაითვალოს ერ-
თად-ერთ წარმატების იარაღად. ვიცით, რომ საქართველოს გაერ-

თიანებას ხელს შეუწყობს იმისი ეკონომიური საერთო კეთილ-
დღეობა, მისი ნივთიერი გაერთიანება, ამისათვის საჭიროა გან-
ვმარტოთ იმ გვარი მიმართულება ჩვენის ეკონომიურის პრო-
გრამისა, რომელიც ჩვენის გაერთიანების იარაღად შეიქნება.
რასაკვირველია, ჩვენ ვერ გავსინჯავთ ამ საგანს იმის სიგანე-
სივრცით, ვერ შევეხებით მას სრულის თავისუფლებით. ჩვენ
მხოლოდ წინა წერილში დაყენებულ კითხვების გარკვევას შე-
ვუდგებით.

როგორც ზევით ვსთქვით, საქართველო იყო დაყოფილი
პატარა სამეფოებათ. ამ სამეფოებს ჰქონდათ განკერძოებული
და განცალკევებული ეკონომიური ცხოვრება. შრომის განა-
წილება პატარა სამეფოს ფარგალს არ გადასცილდებოდა ხოლ-
მე. ყველაფერი, რაც კი იყო საჭირო ცხოვრებისათვის – სანო-
ვაგე-სურსათი, ტანსაცმელი, სამუშაო იარაღი და სხვ. ადგი-
ლობრივ მზადდებოდა. ჩვენ დროშიაც საქართველოს სხვა-და-
სხვა კუთხეებში იმგვარსავე მოვლენას შეხვდებით. სვანი, თუ-
ში, და ხევსური ეხლაც ამზადებს და აწარმოებს თითქმის ყვე-
ლაფერს, რაც კი მას ესაჭიროება. მხოლოდ ჩვენი დროის
ნიშან წყალი სწორედ ამ განკერძოვების და განცალკევების
დარღვევაშია, შრომის განაწილების გაფართოვებაში, ძველ სა-
მეფო-სამთავროთა მიჯნების გაუქმებაში, ერთის სიტყვით, სა-
ქართველოს ნივთიერ გაერთიანებაში. ასე რომ ჩვენ ეკონო-
მიურ პროგრამის დედა-აზრი – **საქართველოს ეკონომიური
გაერთიანება** უნდა იყოს. და ამ გაძლიერება-გაერთიანებისა-
თვის საჭიროა მტკიცე მფარველობითი სისტემის გზას დავა-
დგეთ. ჩვენს ვაჭრობას, მრეწველობას და მეურნეობას მფარ-
ველობა უნდა აღმოუჩინოთ, ვინაიდან ქართველ ხალხის კე-
თილდღეობისათვის აუცილებლად საჭიროა ეკონომიურ მო-
ნობიდან განთავისუფლება.

ჩვენი გამზიდავი ვაჭრობა ძალიან სუსტია. კავკასიიდამ
ყოველ წლივ 14-16 მილიონის საღირალი გადის რუსეთში
და უცხოეთში, მაშინ როდესაც ჩვენში მოაქვთ 50 მილიონი-
სა. ნავთი რომ გამოვრიცხოთ, ჩვენ ვყიდულობთ 50 მილ.
საქონელს და ვყიდით მარტო 5 მილიონისას[1]). ამ 5 მილიო-
ნის გასასყიდ საქონელსაც სხვის ხელით ვასაღებთ. ჩვენს მწარ-

[1]) „მოამბე“, 1894 ნ. ნიკოლაძე.

მოებელს და მყიდველს შუაში უცხო ტომის შუამავალი უდგა. ყოველი შუამავალი ხომ მწარმოებელის და მყიდველის შუა ორთავე მხარისათვის მავნებელია. ხალხის ეკონომიური ევოლუცია შუამავლების თან და თანი გაუქმებისაკენ მიმდინარეობს. სარგებლობა მწარმოებელს და მყიდველს უნდა რჩებოდეს და არა გარეშე პირებს, მხოლოდ სანამ ჩვენ ამ წერტილამდე მივაღწევთ, უცხო ტომის შუამავალთ (აგენტი-ვაჭარი) ადგილი უნდა დაუთმონ ქართველ ვაჭრებს, რადგან ფული – ეს მძლავრი თანამედროვე ცხოვრების ფაქტორი, ჩვენშივე დატრიალდება. ასე რომ პირველი მუხლი ჩვენის პროგრამისა **მფარველობითი სისტემის შემოღებაა ქართველ ვაჭრების გასამრავლებლად და გასამაგრებლად**. ამ მიზნის მისაღწევად საჭიროა სავაჭრო სინდიკატების და ამხანაგობების დაარსება, ვინაიდან ამ სახით შეიძლება პატარა თანხებიდან შესდგეს დიდი სავაჭრო კაპიტალი. ჩვენი საზოგადო ეკონომიური მონობა იმაში მდგომარეობს, რომ მიუხედავად ჩვენი ბუნების სიმდიდრისა, ვერ ვაწარმოვებთ ამ სიმდიდრეს და ის საქონელი, რომელიც ჩვენშიაც შემუშავდებოდა, რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მოგვაქვს. მარტო თამბაქო შემოდის ჩვენში 2 მილიონისა. ჩვენ სამჯერ მეტს ვყიდულობთ, ვიდრე ვყიდით და, საუბედუროდ, ის შემოგვაქვს რაც ჩვენშიაც კარგად შემუშავდებოდა: ჩითი, მიტკალი, ძაფი, რკინეულობა, თუჯი, სამუშაო იარაღი, შაქარი და სხვა და სხვა. ყველა ამ საქონლის სასყიდლად ჩვენი მყიდველი ღირებულობის ორ ფასს იხდის. და სანამ ჩვენი ამგვარი დამოკიდებულება არ გაუქმდება, წელში ვერ გავმაგრდებით და მუდმივ უცხოელების სასარგებლოდ ხარჯის მძლეველნი ვიქნებით. აი სწორედ ამ მოსაზრებიდან გამომდინარეობს მეორე მუხლი ჩვენის პროგრამისა – **საჭიროება ნაციონალურ მრეწველობის წარმატებისა.**

2.

მესამე მუხლი ჩვენის ქკონომიურის პროგრამისა, ქართულ მიწა-წყლის საკითხია. ჩვენის მოსაზრებით, ამ კითხვას უმეტესი ყურადღება უნდა მივაქციოთ, რადგან ენასთან და გვარტომობასთან მიწაა ერთი უპირველესთაგანი ფაქტორი ეროვნულის ცხოვრებისა.

რასა ვხედავთ ჩვენს დაბა-სოფლებში?ერთის მხრით – მწარმოებელ გლეხებს, რომელნიც უმეტეს ნაწილად სხვის ადგილებზე დგანან, ხნავენ და სთესვენ, მეორეს მხრით – უსაქმო

თავად-აზნაურობას,რომელსაც ხელში უჭირავს **დავალიანებუ-ლი** მამა-პაპეულ მამულ-დედული. ის მოსაზრება, ვითომ უმ-რავლესობას ჩვენის თავად-აზნაურობისას მიწა უკვე წაუვიდა ხელიდან, საფუძველს მოკლებულია. ოფიციალურის სტატი-სტიკით (1894 წ.) ტფილისის და ქუთაისის გუბერნიებში კერ-ძო საკუთრებას 2,491,426 დესიატინა შეადგენს, მხოლოდ აქედამ 2,075,782 დესიატინა თავად-აზნაურობას ეკუთვნის. 1894 წლიდამ ეს რიცხვი ცოტა არ იყოს შემცირდა დიდ მამულების გაყიდვით ტფილ. გუბერნიაში. მხოლოდ ეს რიც-ხვი მაინც თვალსაჩინოდ დიდია. გლეხკაცების საკუთრებას შე-ადგენს ამ ორ გუბერნიაში მხოლოდ 416,644 დესიატინა. ამ ჟამად საქმე იმგვარად მიდის, რომ სოფლის მიწის მფლობე-ლობის ფიზიონომია დღითი დღე ძირიანად იცვლება. დაუ-კვირდეთ ჩვენს მდგომარეობას პირნათლად, ვსთქვათ ხმა მაღ-ლა ის, რაც სათქმელია და რის დამალვა ჩვენი ბოლოს მომ-ღები შეიქმნება. ჩვენი აზნაურობა ამ ჟამად იმ წერტილამ-დე მივიდა, რომ იგი თავის მამულების მყიდველების მოლო-დის გაყიდვის პროცესსი უფრო ჩქარა წავიდოდა და რომ-დინშიღა იმყოფება. ვალი რომ არ ედვას ამ მამულებს, აქამ-დის გაყიდვის პროცესსი უფრო ჩქარა წავიდოდა და რომ დღეს არა სდომნოდა კიდეც ჩვენს თავად-აზნაურობას თავის მამულების გაყიდვა, ხვალ იგი იძულებული შეიქმნება ამ მა-მულებს გამოეთხოვოს. ამას მოითხოვს ის ულმობელი ცხოვ-რების კანონი, რომლის ძალითაც უშრომოდ და უწარმოებ-ლად სიცოცხლე შეუძლებლად ხდება. ერთს ჩვენს წერილში აზრი გამოვსთქვით, რომ მხოლოდ იმ თავად-აზნაუ-რობის ნაწილს შერჩება ჯერ-ჯერობით მამული, რომელიც მრეწველობა-ვაჭრობის გზას დაადგება, ან რომელიც ასე თუ ისე შეძენილ **ფულით** აწარმოებს მას. დანარჩენ ნაწილს თა-ვად-აზნაურობისას არ შეიძლება რომ არ დაეკარგოს მამული, რადგანაც მისი შემოსავალი ვერ აკმაყოფილებს მის მრავალ-ფეროვანს მოთხოვნილებას ჭამა სმისას, ჩაცმა-დახურვისა, შვი-ლების აღზრდისა და სხვა და სხვა სასარგებლო და უსარგებ-ლო ხარჯისას. ამ მდგომარეობამდე აუცილებლად უნდა მი-სულიყო ჩვენი აზნაურობა, რადგან ჩვენ დროში მას აეცალა

არსებობისათვის გასამართლებელი საბუთი, ის ნიადაგი, რო-მელზედაც იგი მკვიდრად იდგა ძველ დროში და რომელიც აძლევდა მას ხელში საშუალებას საზოგადო საქმის ასრულები-სას. იგი იყო მამულის სამხედრო მცველი წოდება, მას ჰქონ-და საერთო მნიშვნელობა და თავის ეკონომიურ უპირატესო-ბის გასამართლებელი საბუთი. ჩვენ დროში ის აღარ არის მა-

მულის მცველი; უმცირესი მისი ნაწილი გაერია საზოგადოებრივ ცხოვრებაში – ვაჭრობაში, მრეწველობაში სხვა და სხვა სამსახურში. უმეტესობა კი დარჩა უმიზნოდ და უსაქმოდ; იგი დააწვა ხალხს და შეიქმნა ერთ უპირველეს მიზეზად ჩვენის საზოგადო უილაჯობისა და ღატაკობისა. ეს ასეა. ამის უარ-ყოფა შეუძლებელია. ყოველი შეგნებული წევრი ამ წოდებისა თავის გულის სიღრმეში ჰგრძნობს მაგას, მხოლოდ მაგისი გამოთქმა ეძნელება. ასე თუ ისე საქმე ის არის, რომ ორ მილიონ დესიატინას განსაცდელი მოელის. დღეს თუ ხვალ იგი უნდა სხვის ხელში გადავიდეს. მხოლოდ ვის ხელში, კიდევ ვიკითხავთ ჩვენ?

ჩვენს მწერლობაში ის აზრი გამოითქვა, ვითომ მიწის დაკარგვის განსაცდელი არამც თუ აზნაურს, მოელის გლეხსაც კი; ვითომ თანამედროვე ეკონომიური ევოლუციის პროცესსი იმაში მდგომარეობს, რომ სოფელი უნდა დაცარიელდეს, ხალხი გაღატაკდეს, ბოგანო შეიქმნეს და ქალაქებში მუშაობის საძებნელად წამოვიდეს და იქ დაბინავდეს. არც ჩვენი ცხოვრება იძლევა ამ დასკვნისათვის საჭირო ფაქტებს, არც ევროპის ხალხთა ცხოვრება. ინგლისში, სადაც მთელი მიწა მცირე რიცხვის კუთვნილება იყო და სადაც გლეხკაცობის კერძო მფლობელობა არ არსებობდა, ამ ბოლო წლებში ამ სახით დიდი ცვლილება ხდება. სოფლებში პატარა მფლობელების რიცხვი თანდათან იზრდება. ამის შესახებ ოდესმე გვექნება ბაასი და ფაქტებით და ციფრებით გავითვალისწინებთ საგანს. ჩვენში ბატონ-ყმობის შემდეგ იმ პროცესსმა კი არ იჩინა თავი, ვითომ გლეხებს თან-და-თან მიწა ეკარგებათ, არამედ იმან, რომ როცა კი შეეძლოთ მათ, ისინი ყოველთვის იძენდნენ საკუთრებად მიწა-წყალს. ტფილისის გუბერნიაში 120,182 დესიატინა არის გლეხების საკუთრება. ქუთაისის გუბერნიაში – 262,515 დესიატინა. ჩვენ ვხედავთ, რომ იქ (იმერეთში) სადაც წოდებრივ წეს-წყობილობის დარღვევის პროცესსი უფრო

ჩქარი და შესამჩნევია, იქ გლეხები უფრო მკვიდრად ეტანებიან მიწას და იძენენ მას. რასაკვირველია, ამ ბოლო წლებში სამრეწველო ცენტრებში დიდძალი ქართველობა დაიძრა. მხოლოდ ეს იმის მომასწავებელია მარტო, რომ **ჩვენში უფრო და უფრო იჩენს თავს შრომის განაწილება** და რომ ამისათვის ერთი ნაწილი ქალაქებს ეტანება, მეორე სოფლებში რჩება. ამ მოსაზრებას თავი რომ დავანებოთ, ყველასთვის, ვისაც კი უცხოვრია სოფელში და ლაპარაკი ჰქონიათ გლეხებთან, ცხადია, რომ ჩვენი გლეხის თვალსაჩინო თვისება ინდივიდუალიზმია, სურვილი მიწის შეძენისა და მასზე გამაგრებისა.

მაგრამ დაუბრუნდეთ საგანს. ჩვენი მდგომარეობა მეტად მძიმეა. გარემოება შემდეგია: ორ მილიონ დესიატინა მიწა-წყლის ბედია განსაცდელში. ამ უთვალავ მიწას დაცვა უნდა. თვითონ მკითხველმა წარმოიდგინოს, რა უნდა დაემართოს ჩვენს ხალხს, ჩვენს ეროვნებას და პიროვნებას, ამ მიწის ნახევარსაც რომ უცხოელები დაეპატრონონ? ჩვენი გადაგვარება, გაქარწყლება სწორედ მაშინ იქნება. რასაკვირველია, იმ მოძღვრების შეხედულებით, რომელიც ჩვენში კაპიტალისტების და მუშების შეტაკების და ბრძოლის მეტს არაფერს ხედავს ამ კითხვის სიმწვავე არა სჩანს. მართლაც, ამ შეხედულების ძალით, განა სულ ერთი არ არის – რა ტომის კაცია მამულის პატრონი, ქართველი თუ სომეხი? ქართველი მემამულე, როგორც კაპიტალისტი ისეთივე მტერიაო მუშისა, როგორიც იქნებოდა სომეხი და სხვ. ჩვენის აზრით, ეგ დიდი შეცდომაა. **მიუხედავად** ჩვენის მემამულის და გლეხის ერთმანეთთან წინააღმდეგობისა, ხალხის საერთო კეთილდღეობა მოითხოვს, რომ მამული მაინც ქართველს დარჩეს, გლეხია იგი თუ თავადია. ჩვენი მიწა-წყალის უცხოელების ხელში ჩავარდნას, ისევ, თუ კი შეიძლებს, ქართველ თავად-აზნაურობას შერჩეს იგი!

დიაღ, ქართველი ხალხის ინტერესები ამასაც კი მოითხოვენ მხოლოდ, როგორც ზევით ვსთქვით, ჩვენი აზნაურობის აღორძინება საეჭვოა და ამისათვის უნდა იმის ზრუნვაში ვიყოთ მაინც, რომ ჩვენი მიწა-წყალი (განურჩეველად წოდებისა) ქართველობას შეუნარჩუნოთ. სილეზიაში (გერმაწიაში) პოლონელებმა დააარსეს განსაკუთრებული ეროვნული ბანკი, რომელსაც მიზნად ჰქონდა შეეძინა ყოველი პო-

ლონელებისაგან გაყიდული მამული. ამ შეძენილ მამულებს ჰყოფდნენ ნაწილებათ და პოლონელებს აყიდვინებდნენ ნაწილ-ნაწილად ან კიდევ ერთიანად. განა ჩვენ კი არ შეგვიძლიან დავაარსოთ ამგვარივე დაწესებულება, რომელიც გაუადვილებდა ქართველებს მამულის შეძენას? თუ ფულიანი მყიდველი გამოუჩნდებოდა გასასყიდ მამულს – აზნაური იქნება იგი, თუ მრეწველ-ვაჭარი, ის იყიდდა ამ მამულს, თუ არა და, ბანკი გაანაწილებდა ხსენებულ მამულს და გრძელ ვადიანის სესხის საშუალებით ქართველ გლეხ-კაცობას მიჰყიდდა. ფული არ არისო ჩვენში ბანკების დაარსებისათვის. ამ საქმისთვის ფული მოიძებნება. აი დღესაც აქვს სჯა ჩვენს აზნაურობას, რას მოახმაროს გამოსატანი საადგილმამულო ბანკის დამფუძნებელი ფული. ამას სხვაც მიემატება, თუ შეიგნო ჩვენმა საზოგადოებამ თავისი მოვალეობა, და თუ ჩვენი თავად-აზნაურობა თა-

ვის უკანასკნელ დანიშნულების ასრულებაზე ხელს არ აიღებს. მან უნდა მოიპოვოს ყოველი ღონისძიება, რათა არ უღალატოს თავის საზოგადოებრივ მოვალეობას.

ამ მოსაზრებიდან ნათლად ირკვევა მესამე მუხლი ჩვენის ეკონომიურ პროგრამისა – ჩვენ ყოველი ღონისძიება უნდა ვიხმაროთ, რომ ქართველების მიწა-წყალი მათვე შერჩეთ.

პოლიტიკო-ეკონომიური მდგომარეობა საქართველოსი იმ გვარია, რომ ჩვენ გვესაჭიროება ჩვენი ერის ეკონომიურად გაერთიანება. ეს გაერთიანება, **ვრცელ შრომის განაწილებაზედ და არა კლასიურ ანტაგონიზმზედ აშენებული**, საჭიროა ჩვენის ეროვნულის წარმატებისათვის.

ჩვენ არ შევეხეთ სხვა წვრილმან ეკონომიურ კითხვებს, რომელთ განწყობა და განმარტება განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს, არ შევეხეთ ამხანაგობების, სინდიკატების, იაფ-ფასიან კრედიტის, ზების გაუმჯობესობის და სხვა ამგვარ კითხვებს. არ შევეხეთ ამ კითხვებს იმ განზრახვით, რომ ჩვენი დედა-აზრი არ დაგვეფარა, ნათლად და მტკიცედ გამოგვესახა მიმართულება ჩვენის ეკონომიურ პროგრამისა, რომელიც მფარველობითი სისტემის დამყარება-დაფუძნებაში მდგომარეობს ვაჭრობა-მრეწველობის დასაცველად და წარმატებისათვის. ამ სისტემის რიგიანათ მოწეს-რიგებას მოჰყვება შრომის განაწილების ასპარეზის გაგანიერება, რაიც საფუძვლად დაედება ჩვენის ქვეყნის ეკონომიურ გაერთიანებას.

VI. ჩვენი მოქმედების სახელმძღვანელო დედა-აზრი.

1.

მკითხველს გაუკვირდება ეს რაღაც „სახელმძღვანელო დედა-აზრის“ შესახებ ლაპარაკი ჩვენში, სადაც არც პოლიტიკური დასები არსებობენ და არც საზოგადოებრივი თვითცნობიერებაა იმდენად განვითარებული, რომ გამოისახებოდეს მოქმედების ამა თუ იმ გეგმის შემუშავებით. თუ ჩვენ „პროგრამების“ შესახებ დავიწყეთ ლაპარაკი, ეგ მხოლოდ იმ განზრახვით, რომ მივაქციოთ მკითხველის ყურადღება იმ გარემოებაზე, რომ, რაც უნდა დაქვეითებული იყოს საზოგადოება, მას უნდა ჰქონდეს სრული და მიუდგომელი წარმოდგენა თავის ცხოვრებისა, მისი წევრების მოქმედება უნდა იყოს აწონილ-დაწონილი, გამოანგარიშებული ცხოვრების მოთხოვნილებათა შესაფერად. ჩვენს მოქმედებას აზრი და მიზანი უნდა ჰქონდეს. საჭიროა ნათლად და გარკვევით გვესმოდეს ჩვენი

მდგომარეობა, და თუ ყველა ამას დაუკვირდებით, ადვილად მივალთ იმ აზრამდისაც, რომ ჩვენც გვესაჭიროება ცხოვრების შესაფერი რამე „სახელმძღვანელო“. რასაკვირველია, ის, რასაც ჩვენ მოქმედების გეგმას უწოდებთ: არც ჩვენი სრული აზრის გამომხატველია და არც ჩვენი ხალხის მრავალგვარ საჭიროებისა. ჩვენ გვსურს რაიმე სისტემით ხელმძღვანელობა, რათა ჩვენს აზრებს და ჩვენს მოქმედებას რიგი და წყობა ეტყობდეს. დროა უგზო-უკვლო სიარულს თავი დავანებოთ და რამე მტკიცე ნიადაგს დავადგეთ.

როგორ უნდა იყოს ჩვენი ცხოვრების გამოსარკვევი „სახელმძღვანელო“ დედააზრი? რა უნდა ედვას მას საფუძვლად? ამაზე ერთად ერთი პასუხით ჩვენ უნდა გვქონდეს გათვალისწინებული ყოველი ის, რაც შეადგენს ერის ნორმალურ ცხოვრებას და ურომლოდაც ამ ცხოვრების წინსვლა შეუძლებელია.

ერთხელ და საბოლოოთ უნდა გადავწყვიტოთ, გვინდა თუ არა ჩვენი სამშობლო ენა, თუ უიმისოდაც იოლად წავალთ? აგრეთვე საჭიროა ვიცოდეთ, რა მიმართულებას უნდა ადგეს ჩვენი ლიტერატურა და საზოგადოთ ხელოვნება? უნდა

გავიგოთ და გვესმოდეს ქართულ ეკლესიის მნიშვნელობა ეროვნულ ცხოვრების წარმატებისათვის. ყველაზე ნათლად და ცხადად კი ის უნდა შევიგნოთ, რომ ჩვენი ცხოვრების ნიშანწყალი ჩვენი ეროვნების ჩამორჩენაა, რის გამოც უნდა განვსაზღვროთ ის, თუ რა ურთიერთობა აქვს ქართველობას სხვა ხალხებთან როგორც საზოგადოებრივ მოედანზე, აგრეთვე ეკონომიურ განწყობილებაში? ყველა ამ კითხვების ჯეროვანი განმარტება შეადგენს დედა-აზრს ჩვენი მოქმედების გეგმისას.

ბევრ ფრაზებს ლაპარაკობენ ჩვენში ქართულ ენის შესახებ. ყველანი იმას სჩივიან: ენა გვეკარგება, სკოლებიდან და საზოგადო დაწესებულებებიდან განდევნილიაო იგი; საჭიროა მთავრობის ყურადღება მივაქციოთ ამ საგანზე, იქნებ გვეშველოს რამეო და სხვა. საკვირველია, კაცის ბუნება იმ გვარადაა მოწყობილი, რომ თავისი შეცდომა და დანაშაულობა სხვას თუ არ დააბრალა, ვერ მოისვენებს. ჩვენც სწორედ ეს გვემართება. რასაკვირველია, სკოლებში რომ ქართულს არ გვასწავლიან და საზოგადო დაწესებულებაში რომ არა ხმარობენ ჩვენ ენას, ყველა ამას დიდი ზიანი მოაქვს ჩვენთვის, ცოტა არ იყოს გვავიწყებინებს დედა-ენას. მხოლოდ, თუ ჩვენ მართლა გვესმის სამშობლო ენის საჭიროება, რატომ არა ვხმარობთ მას შინ, ოჯახში, გარედ სხვადასხვა ქართულ დაწესებულებაში, **სადაც ქართული ენის ხმარება კანონით არ არის**

აღკრძალული? ქართული ენა იკარგებაო. დიაღაც დაიკარ-
გება. რომელი ენა გაუძლებდა ამგვარ ძალმომრეობას? რატომ
არა ვსარგებლობთ ჩვენ იმ კანონის შეღავათით, რომლის ძა-
ლითაც ჩვენ გვაქვს ნება ჩვენი საქმეები ჩვენს კრებაზე ქარ-
თულად ვაწარმოოთ? განა თავად-აზნაურობის (წარსულ) სა-
განგებო კრებაზე წამლად ერთი ქართული სიტყვა წარმო-
ითქვა? ქართული ენა არ ვიცითო. მაშ რომელი ენა ვიცით?
იქნება ჩვენი ორატორების რუსული მჭერმეტყველობა მართ-
ლა რუსული ენის ცოდნათ ჩაითვლება? მე დარწმუნებული
ვარ, რომ ბევრს იმ „საგანგებო“ კრებაზე დამსწრეთ ქართუ-
ლი უფრო ეხერხებათ. რატომ არა ხმარობენ ისინი ამ ენას?
ან იქნება ქართული ენის ხმარება იმ დაწესებულებაში, სადაც
კანონი ხელს არ გვიშლის, რაღაც უკანონოდ, „ბუნტად“
მიგვაჩნია? რითი უნდა დავასაბუთოთ მთავრობის წინა-
შე თხოვნა სკოლებში ქართული ენის შემოღების შესახებ? განა

არ ექნება საბუთი მთავრობას გვითხრას, რომ ქართული ენის
შემოღება თქვენი, ქართველების ტანჯვა-ვაებად შეიქმნება,
რადგან თქვენს ცხოვრებაში, სოფელში თუ ქალაქში, ოჯახში
თუ საზოგადო კრებაზე რუსულსაც კარგად ხმარობთო? და
ვაძლევთ რა ამ მოსაზრებას საფუძველს ჩვენი დაუდევრობით
და უზრუნველობით, ქართულ ენის ბედ-იღბალს ჩვენვე
ვსწყვეტთ. მხოლოდ ვიდრე ამ კითხვას საბოლოოდ გადავს-
წყვეტდეთ, საჭიროა მოვიგონოთ ის საყურადღებო გარემოე-
ბა, რომ ხალხის ჯეროვანი განათლება, სასამართლოებში სი-
ნიდისიერი და საქმეების სამართლიანი წარმოება და ბევრი
სხვა ერის ნამდვილი მოთხოვნილებანი არა მშობლიური ენით
დაკმაყოფილებულ ვერ იქმნებიან. ხალხის დაქვეითება ნივ-
თიერ მოუწყობლობის გარდა გაუნათლებლობითაც არის გა-
მოწვეული. განათლება და ცოდნის შეძენა კი დედა-ენის სა-
შუალებით უნდა იყოს შეძენილი.

ჩვენი მოწინავე დასი, შედარებით, იოლად მიდის სამ-
შობლო ენის უცოდინარობით, მან ავად თუ კარგად შეით-
ვისა უცხო ენა, რომელიც აძლევს მას საშუალებას თავის-
თავის რჩესნისას სამსახურით თუ საზოგადო მოღვაწეობით.
ხალხის აღზრდა-განათლებაზე, უნდა ვსთქვათ, მაინცა და მაინც
იგი არა ზრუნავს. და როცა ენის დაკარგვაზე ჩივილს იწ-
ყებს, ეგ ჩივილი რაღაც ყალბ პატრიოტობად მიგვაჩნია. და
თუ მართლა შეგტკივა გული ხალხისათვის, ჩვენ იმას ენას ვერ
დაუკარგავთ, ჩვენ შემოვიტანთ მას ქართულ ოჯახში, ჩვენ
დავამყარებო მას ქართულ საზოგადოებრივ ასპარეზზე. მხო-
ლოდ ამ გზით დავამწიფებთ და გავაძლიერებთ ჩვენს სამშობ-

ლო ენის საჭიროების საკითხს და მხოლოდ ამის შემდეგ გვექ-
ნება საფუძველი მთავრობასაც მივმართოთ ამ ჩვენის საჭიროე-
ბის დაკმაყოფილებისათვის. აი სწორედ ამ მოსაზრებიდან გა-
მომდინარეობს სამშობლო ენის სკითხის განმარტების საჭი-
როება ჩვენი ცხოვრების სახელმძღვანელო დედა აზრის შემუ-
შავების დროს.

2.

ენასთან ვიწროდაა დაკავშირებული ლიტერატურა და
ლიტერატურასთან, საზოგადოდ, ხელოვნება – მხატვრობა, ქან-
დაკება და მუსიკა. ხელოვნებას მეცნიერებასთან აქვს ის უპი-

რატესობა, რომ იგი უფრო მისაწვდომია ხალხისათვის, რადგან
იმის მოქმედების ასპარეზი ადამიანის გრძნობაა. პოეზია, მხა-
ტვრობა, ქანდაკება, მუსიკა – სიტყვების, ფერადების, მარმარი-
ლოს და ხმების საშუალებით ადამიანის გრძნობა-გონებას აღ-
ვიძებენ. ამისათვის ნამდვილ ხელოვნებას ყოველთვის აქვს
დიდი საზოგადოებრივი მნიშვნელობა. იგი ამთავრებს და სის-
რულეში მოჰყავს გონიერების მოქმედებას, იგი აღელვებს ადა-
მიანს, ხშირად აღფრთოვანებს მას და მისი კაცისადმი უფლე-
ბა განუსაზღვრელია. ლიტერატურა და ხელოვნება საუკეთესო
იარაღია იმ გრძნობათა და აზრთა გაღვიძებისათვის, რაზედაც
უნდა იყოს მიქცეული ჩვენი ყურადღება. ჩვენის აზრით,
ეროვნულ პროგრამის გარკვევასთან ერთად უნდა გაირკვეს
ჩვენი ხელოვნების მიმართულებაც, ის, თუ რა კითხვები, ერის
დამახასიათებელი თვისებებია წამოყენებული მის წინაშე. ან
იქნება ჩვენი ეროვნული ცხოვრება ვერ მისცემს შინაარსს ჩვენს
ლიტერატურას, მხატვრობას, ქანდაკებას და მუსიკას? ჩვენის
აზრით კი, უნდა მისცეს, რადგან ჩვენს ცხოვრებაში ყველა-
ფერია, რაც კი საჭიროა ნამდვილ ხელოვნებისათვის. სიცოცხ-
ლე და სიკვდილი – ორი დიდი პრობლემაა, რომელიც ყო-
ველთვის აღფრთოვანებდა პოეტებს და მხატვრებს. ჩვენი
ცვალებადი გულუბრყვილო, მომხიარულე და მომღერალი
ერის ხასიათი მკვიდრად შეეთანხმა ჩვენს მრავალ-ფეროვან
მძლავრ, სიცოცხლით აღსავსე ბუნებას. ჩვენი ერის დაუღა-
ლავობა, მისი სიცოცხლის სურვილი, მიუხედავად სასტიკ გა-
რემოებათა, მუდმივი განუწყვეტელი ბრძოლა და ბრძოლასთან
ერთად ლხინი – განა ყველა ეს არ წარმოადგენს მდიდარს მა-
სალას ჩვენის ლიტერატურისა და ხელოვნების გასაცოცხლებ-
ლად? მეორეს მხრით, გადაგვარება… გადაგვარების და მოსპო-
ბის აჩრდილი, რომელიც დაგვდევს ჩვენ ფეხდაფეხ და რო-

მელსაც ჩვენი დაშინებული გონება ვერსად ვერ გაურბის? ჩვენი ცხოვრება ჩვენის გოდება-ვაებით შემოდგომის სურათს გვაგონებს. დამჭკნარ ყვითელ ფოთლების ხმაურობა გაისმის თქვენს ფეხქვეშ, გაშიშვლებული, ოდესღაც ამწვანებული სიცოცხლით სავსე ხეები ობლადა დგანან და უნუგეშოდ არხევენ თავიანთ ტოტებს, სიკვდილის აჩრდილი ჩვენს სულსა ჰხუთავს, სასოწარკვეთილებაში აგდებს მას და სასოებას გვიკარგავს. მხოლოდ ჩვენ, როგორც ჩვენი ბუნება, ხასიათის

სიღრმეში ვპოულობთ ღონეს და სიმაგრეს. და როგორც გაზაფხულის მზიან დღეში არ გვაგონდება მოღრუბლული ბურუსით მოსილი ცა და დედა მიწა, ისე ჩვენც ვივიწყებთ ხოლმე ჩვენს მწუხარებას და სიკვდილის აჩრდილიც თითქოს ჰქრება, იკარგება. დაგვანახოს ჩვენმა ლიტერატურამ და ხელოვნებამ ჩვენი სულიერი მდგომარეობა, დაგვარწმუნოს, რომ ჩვენ ცხოვრებისათვის გამოსადეგნი ვართ და ღირსნი უკეთესის მომავალისა, და სწორედ მოქმედების გეგმის მოვალეობაა გაარკვიოს ის, თუ რა ადგილი უნდა ეჭიროს ლიტერატურას და ხელოვნებას ჩვენი იდეალების შექმნის საქმეში.

3.

ჩვენს მდგომარეობაში, როდესაც ჩვენი პიროვნება, ყოველი ჩვენი განსაკუთრებული თვისება და ხასიათი დიდ განსაცდელშია, არ შეიძლება არ მივმართოთ ყოველგვარ საშუალებას, რომელიც კი ცოტად თუ ბევრად ჩვენთვის სასარგებლო გამოდგება და დაგვიფარავს გადაგვარებისაგან. ჩვენა გვაქვს სახეში ქართული ეკლესია და ეროვნების დაცვაში მისი მნიშვნელობა. თავდაპირველად კი საჭიროა ვიცოდეთ აქვს ნიადაგი ჩვენს მდგომარეობაში იმას, რასაც ევროპაში „კლერიკალიზმს“ და მის წინააღმდეგ „ანტიკლერიკალიზმს“ უწოდებენ? თავისუფალი მოაზრენი იქ, ევროპაში, უარ-ჰყოფენ ეკკლესიას და მის დოგმატურ მოძღვრებას, რადგანაც ეკკლესიას (კათოლიკეთა) ჰქონდა იქ დიდი პოლიტიკური ძალა, მას ყოველთვის ჰქონდა სურვილი მფლობელობისა და იგი ყოველთვის გონების და მსჯელობის დამოუკიდებლობის წინააღმდეგი იყო. ანტიკლერიკალიზმი ძალაა, რომელიც ებრძვის **ეკლესიის მიწიერ** პრეტენზიებს. აქვს ამნაირ ბრძოლას ნიადაგი ჩვენს განსაკუთრებულ მდგომარეობაში, თუ არა? რა თვალით უნდა ვუყურეთ ჩვენს ეკკლესიას და რა ურთიერთობა უნდა დამყარდეს ამ ჟამად ჩვენ შორის?

წარსულ დროში, მე-XlX საუკუნემდე, ქართულ ეკლე-

სიას ღრმად ეროვნული ხასიათი ჰქონდა. ჩვენი ტაძრები და მონასტრები ხშირად ციხე-ბურჯებით იყვნენ ქცეულნი. დააკ-ვირდით ჩვენს ნაშთებს. თქვენ ვერც ერთ დიდ საყდარს და მონასტერს ვერ ნახავთ, რომელსაც მკვიდრი კედელი არა ჰქონდეს გავლილი, რომლის კუთხეებში არ იყოს აყუდებული

კოშკები და ბურჯები მტრის მოსაგერებლად. ეკკლესია და მამული მტკიცედ აძლევდნენ მხარს ერთი ერთმანეთს და ამ ჟამად ძნელიც არის განსაზღვრა იმისი, თუ ვისა ჰქონდა უპი-რატესობა – სახელმწიფოს, მამულს თუ ეკლესიას – იმგვარად იყვნენ ისინი გადაბმულები და შესისხლხორცებულნი ერთი ერთმანეთთან. ჩვენს ეკკლესიას უფრო ეროვნული ხასიათი ჰქონდა, ვიდრე ქრისტიანული, ვინაიდგან ქრისტეს მოძღვრე-ბა არღვევს საზღვრებს ეროვნულ ცხოვრებისას, და ქართული ეკკლესია კი ამ საზღვრების დაცვაში იყო. ისტორიულ მსვლელობაში მარტო ქართულ ეკკლესიას არა ჰქონდა ამნაი-რი ხასიათი. ებრაელთა ცხოვრება შესამჩნევ ნიმუშებს წარ-მოგვიდგენს ამგვარ ზეციერ და მიწიერ ელემენტების ერთი ერთმანეთთან შერევისა და გადაბმისას. იუდეიზმი – შერე-ვაა რელიგიურ აზრისა მამულის სიყვარულში, დაცვაა მამუ-ლისა, რჩეულ ხალხისა, ღვთის ხვედრისა. ჩვენი ისტორიული ქრისტიანიზმიც ამ ხასიათისაა. საქართველო, **წილი** ღვთის-მშობლისა, მუდმივ ბრძოლაში იყო მაჰმადიანთ წინააღმდეგ. ეკკლესია მხარს აძლევს მამულს, წინ უძღვება ღვთისნიერ ჯარს და ღმერთს ევედრება მას დარჩეს გამარჯვება. ჩვენთვის საყურადღებო ყველა ამაში ის არის, რომ ქართულ ძველ ეკ-კლესიას ეროვნული ხასიათი ჰქონდა და ამ სახით მას დიდი ღვაწლი მიუძღვის ჩვენი ერისადმი. ჩვენ უნდა გვახსოვდეს ეკ-ლესიის საზოგადოებრივი სამსახური. ამ მოსაზრებიდამ გამო-ირკვევა ჩვენი და ჩვენს ეკკლესიის შორის ურთიერთობა და ისიც, რომ ჩვენს დროშიაც ქართულ ეკკლესიას შეუძლია ჰქონდეს იგივე საერო ხასიათი ქართულ წირვა-ლოცვის, გა-ლობის, ისტორიის და ეროვნულ ტრადიციის დაცვით. ამისა-თვის ქართულ ეკკლესიის საკითხის გარკვევასაც უნდა ჰქონ-დეს ადგილი ჩვენს მოქმედების გეგმის შემუშავებაში.

4.

მხოლოდ უპირატესი საკითხი ჩვენის ცხოვრებისა, რაზე-დაც უმთავრესი ყურადღების მოქცევაა საჭირო, საკითხი, რომ-ლის ჯეროვანი გარკვევიდამ გამომდინარეობს სხვა კითხვების გარკვევაც, ეროვნულ ნიადაგზედ პრაქტიკულ მოქმედე-

ბის კითხვაა. უწინარეს ყოვლისა იმის გადაწყვეტა და განმარ-
ტებაა საჭირო, არის თუ არა ჩვენში ერთა შორისი ბრძოლა?

ჩვენი საერთო ინტერესები ეწინააღმდეგებიან თუ არა უცხოე-
ლების ინტერესებს? თუ ეს ბრძოლა მართლა არსებობს, მაშინ
ადვილია პასუხის მიცემა იმ კითხვაზედ, თუ როგორ უნდა
მოვიქცეთ ჩვენს პრაქტიკულ მოქმედებაში, ვინაიდგან ამ მოქ-
მედების ხასიათი სულ სხვა უნდა იყოს. თუ აღმოვაჩი-
ნეთ, რომ ჩვენი დროის პირველი კითხვა ერთა შორის ბრძო-
ლის კითხვაა და არა ეკონომიური, წოდებრივი ან კლასიური
ბრძოლა, თუ ჩვენთვის ცხადად გამოირკვა ეროვნული და არა
ეკონომიური ხასიათი ჩვენი ბრძოლის ნიადაგისა, მაშინ საჭი-
როა შევიმუშავოთ ერთ პრინციპზედ დამყარებული რთული
ეროვნული პროგრამა, საჭიროა გავიგოთ, ან როგორ უნდა
მოვიქცეთ საზოგადოებრივ ასპარესზედ (თვით-მართველობის
კითხვაში), ან ძველ ქართულ ნაშთების დაცვის საქმეში და ან
სხვა ტომებთან ეკონომიურ ურთიერთობაში. ლოღიკის წინა-
აღმდეგი იქნება, ვცნობთ რა და გამოვაჩენთ ჩვენში ეროვ-
ნულ ბრძოლის ნიადაგს, ერთ შემთხვევაში მტერი მოვიგე-
რიოთ ეროვნულის იარაღით, მეორე შემთხვევაში კი ეს ია-
რაღი უარ-ვყოთ.

ჩვენ ამ წერილში დაწვრილებით ვერ გამოვარკვევთ ამ
საგანს, მხოლოდ მკითხველს დავეკითხებით, რას ნიშნავს ის
გარემოება, რომ ბაქოში, მაგალითად, მრეწველები იმერელ
მუშებს აღარ იღებენ და, აქ, ტფილისშიაც, ქართველ მუშებს
ისტუმრებენ ზოგიერთ ქარხნებიდამ და მათ ადგილზედ გად-
მოსულებს აყენებენ? ან რა არის თუ არ გამწვავებული ეროვ-
ნული ბრძოლა ტფილისის ხმოსანთა არჩევნების საკითხი, რა არის
თუ არ თავგასული ეროვნული ჯიუტობა ეხლანდელ ქალაქის
საბჭოს გადაწყვეტილება არჩევნების რიგის შეუცვლელობისა?

ნუ თუ ყოველივე ამაზე ზრუნვა მხოლოდ ბურჟუა-
ზიის საქმეა და არა საერო საქმე? ან იქნება ქართველ
მუშებს აქაურ ქარხნებიდან გამორიცხვაც ბურჟუაზულ
და არა ქართველ მუშის, ჩვენი საერო საქმე არ იყოს?
მაშ სხვა ერის ბურჟუაზიის გამეფება მუშათა კეთილდღეობის
კითხვათ ჩაითვლება? თუ ქალაქის არჩევნების წესის შეცვლა
იმ რიგათ, რომ დამყარდეს თანაბრივი წარმომადგენლობა,
ბურჟუაზული კითხვაა და არა საერო, მაშ აწინდელი საარჩევ-
ნო წესი, რომლის საშუალებით ქართველები ყოველთვის და-
მარცხებულნი იქნებიან, რადგან ერთ საარჩევნო ნაწილში

სხვებს ყოველთვის ექმნებათ უპირატესობა, ჩვენი, ქართველების, საერთო კეთილდღეობის წესად ჩაითვლება. თუ ქართულ წარწერების წაშლა, ქართულ ისტორიის გადაკეთება და ქართულ ნაშთების სხვათაგან მითვისება მარტო ბურჟუაზიის საქმეა, რატომ ერთი სინიდისიერი „დემოკრატი“ არ გამოუჩნდათ სხვა ერებს სიმართლის აღსადგენად და ქართველების სამართლიან წყრომის დასაშოშმინებლად? არა, თავი დავანებოთ ამ კლასიფიკაციას. იგი ჩვენში არ გამოდგება. უცხოელ სიტყვიერებას ნუ გამოუდგებით – იგი ჩვენ არას გვეუბნება, არაფერს გვიხსნის. ჩვენ ჩვენი წყლული გვაწუხებს. ეს წყლული ჩვენი ეროვნების დაჩაგვრაა. ნუ დავაჩაგვრინებთ ჩვენ თავს. სხვის მაყურებელნი ნუ შევიქნებით. თუ თვითონ არ უშველეთ ჩვენ თავს, სხვები, თუ მეტსაც არ გვაზიანებენ, არას გვიშველიან! ასეთია ცხოვრების კანონი, იგი არსებობისათვის გამწვავებული ბრძოლაა. ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხეებში დაეტყო შედეგი ამ სასტიკი კანონისა. იმიერ საქართველოში, როგორც ამიერში ერთი და იგივე მოვლენას ჰხედავთ. ყველგან ერთი და იგივე ძალმომრეობაა, ჩვენი ეროვნულ პიროვნების გათახსირებაა; ჩვენ მეტად გულუბრყვილონი ვართ. კაცობრიობა და მისი ჭირ-ვარამი გვაწუხებს. ჩვენი ცხოვრების უკუღმართობა კი არ გვაღელვებს. შორს ვიყურებით და ფეხქვეშ კი ეკლები გვედება და სიარულს გვიშლისო.

ყველა ამას საჭიროა ბოლო მოუღოთ, დაუკვირდეთ ჩვენს ცხოვრებას და თუ „კაცობრიობა“ მართლა გვაწუხებს, ვემსახუროთ მას ჩვენი ხალხის საშუალებით. ჩვენ აღვნიშნეთ ოთხი უმთავრესი მოვლენა ჩვენის ცხოვრებისა და ვსთქვით, რომ მათი ჯეროვანი განმარტება ჩვენი ეროვნული პროგრამის განმარტებად ჩაითვლება; ასე რომ ჩვენი ეროვნული პროგრამის შინაარსს შემდეგი კითხვები შეიცავენ: 1) საჭიროება ენის დაცვისა, 2) ლიტერატურის და ხელოვნების საშუალებით ეროვნულ იდეალების შემუშავება და ეროვნულ გრძნობების **ხალხში** გაღვიძება, 3) ქართულ ეკკლესიის დაცვით ძველ ტრადაციის განმტკიცება ხალხში (მამულისათვის თავდადება) და 4) ეროვნულ ნიადაგზე, არსებულ საზოგადოებრივ და ეკონომიურ ბრძოლის მიხედვით, ეროვნული პრინციპით ხელმძღვანელობა თვით-მართველობის საარჩევნოებში და მრეწველობა-მეურნეობის კითხვებში.

VII. ვის უნდა დარჩეს ჩვენი მიწა?

ერთ ჩვენ წერილში შევეხეთ ქართულ მიწა-წყლის ბედ-

იღბალს და, სხვათა შორის, ის აზრი გამოვსთქვით, რომ უნდა ვეცადოთ, რომ ჩვენი მიწა **ქართველებს** შევარჩინოთ. ამის შესახებ ორნაირი საყვედური მოგვივიდა. ერთის მხრივ გვისაყვედურებენ, რომ ჩვენი დასკვნა მკაფიოდ გამოსახული არ არის, წერილიდან არა სჩანსო საჭიროა თუ არა, რომ ჩვენი მიწა გლეხკაცობის ხელში გადავიდესო, მეორეს მხრით, გვისაყვედურებენ, რომ ჩვენ თავადაზნაურობის ინტერესების წინააღმდეგი აზრები გამოვსთქვით და იმის ცდაში ვართ, რომ მას ეხლავე უსათუოდ მიწა ჩამოერთვასო. რათა ამ ორ საყვედურს საფუძველი ავაცალოთ, ჩვენ ვამბობთ – **პრინციპიალურად** იმ აზრისა ვართ, რომ მიწა, ეს საწარმოვო იარაღი, მწარმოებლის, ე. ი. გლეხის ხელში უნდა გადავიდეს, მხოლოდ რადგან ეს **პრაქტიკულად** არ მოხერხდება ამ ჟამად, ამისათვის უნდა ვეცადოთ, რამდენადაც შეიძლება, გლეხ-კაცობას ვაყიდვინოთ გასაყიდი მიწა და რასაც იგი ვერ შეისყიდის, უფულობის თუ სხვა მიზეზების გამო, ყოველი ღონისძიება უნდა ვიხმაროთ, რომ იგი ჩვენს თავად-აზნაურობას შეურჩინოთ. ასე რომ ჩვენი მიწა, გარემოების და დროების მოთხოვნილებით, **ქართველობას** უნდა დარჩეს, ე. ი. ყოველ იმ ქართველს, **განურჩევლად წოდებისა**, ვინც კი შეიძლებს განაყიდ მაწის შეძენას. იმ წერილში ჩვენა ვსთქვით: „ჩვენი მიწა-წყლის უცხოელების ხელში ჩავარდნას, ისევ, თუ კი შეიძლებს, ქართველ თავად-აზნაურობას შერჩეს იგი. ქართველი **ხალხის ინტერესი** ამასაც კი მოითხოვსთქო“. ქართველი ხალხის ინტერესია – ჰქონდეს მას საცხოვრებელი მიწა-წყალი. მხოლოდ თუ ჩვენ მიწას **უცხოელები** დაეპატრონებიან, ქართველ გლეხის ხელში იგი ვეღარ ჩავარდება. ასე რომ ჩვენ წინ ამგვარი დილემაა: ჩვენს აზნაურს მამული ეყიდება, გლეხს იმისი ყიდვა არსებულ პირობებში არ შეუძლოთ, დავეხმაროთ თუ არა აზნაურს, რომ მან დროებით მაინც არ დაჰკარგოს მამული, თუ გულგრილად უყურეთ ქართულ მიწა-წყლის სხვის ხელში გადასვლას? ჩვენ იმ აზრისა ვართ, რომ **საზოგადო ინტერესის მიხედვით, საჭიროა ამ აზნაურს დავეხმაროთ**.

თავადაზნაურობის მიწის-მფლობელობის დაცვის საჭიროება გამომდინარეობს ჩვენი გლეხ-კაცობის ინტერესიდან, რადგან ჩვენი აზნაურობის მამულ-დედული გლეხ-კაცობის და ქართველ მრეწველების (განურჩევლად წოდებისა) **მემკვიდრეობაა და რადგან სხვის ხელში გადასვლასთან ამათ ეს მემკვიდრეობა სამუდამოთ დაეკარგებათ**. ამ გვარად ვუპასუხებთ იმათ, ვინც ჩვენს ნაწერებს „ფეოდალების“ მიდგომილობასა სწამებს. მხოლოდ ჩვენი მეორე პასუხი, გამოწვეუ-

ლი იმ საყვედურით, ვითომ ჩვენ ნაწერებს გადამეტებული „დემოკრატიზმი“ ეტყობა, ჩვენ ვასაბუთებთ შემდეგის მოსაზრებით.

როდესაც ჩვენ ეროვნებაზე ვლაპარაკობთ, ჩვენ უნდა გვქონდეს მხედველობაში იმისთანა ნივთიერი და სულიერი პირობები, ურომლოდაც შეუძლებელია ხალხის წარმატება. ჩვენი ეროვნება ცარიელი სიტყვა იქნება, თუ ჩვენ არ ვეცადეთ ჩვენი ხალხის ნივთიერი მდგომარეობის გაუმჯობესობას. ჩვენი ეროვნული აღორძინება დამოკიდებულია ჩვენი მწარმოებელი ხალხის, უმრავლესობის კეთილდღეობაზე, ამისათვის ჩვენს ეროვნულ იდეალში ხალხის ნივთიერ მდგომარეობის გაუმჯობესობას პირველი ადგილი უნდა ეჭიროს. თუ ამაში დავთანხმდებით და თუ მხედველობაში მივიღეთ ჩვენი ხალხის აწინდელი უკიდურესი მდგომარეობა, მაშინ ცხადზე უცხადესი იქნება საჭიროება გლეხ-კაცის მიწის-მფლობელობის საკითხის მკვიდრ საფუძველზე დაყენებისა.

მივაქციოთ ყურადღება სინამდვილეს. ჩვენს გლეხკაცობას სოფელში 112,861 სარჩენი კაცი ჰყავს [1]). ამასთან ჩვენი გლეხი იხდის საერთო და საწელმწიფო გადასახადს. (ამ ბოლო დროს საკომლო გადასახადის გაუქმების გამო სახელმწიფო ბეგარა მას ცოტა არ იყოს შეუმცირდა). მხოლოდ რა ეკონომიურ პირობებში სცხოვრობს ჩვენი გლეხი? **დროებით ვალდებული** გლეხი არც ყმაა, არც თავისუფალი მიწად-მოქმედი. მას აქვს „ნადელი“, მიზომილი მიწა, რომლის შესყიდვით იგი ხდება თავისუფალ მეურნედ, სანამ კი გლეხი ამ „ნადელს“ შეისყიდიდეს, იგი უფრო ყმას მიაგავს, რადგან ის მე-

[1]) ტფილისის და ქუთაისის გუბერნ. 85,952 თავად-აზნაურია და 26,909 სასულიერო წოდების პირი.

ბატონესაგან სრულ დამოკიდებულებაშია. გლეხი მიწის შემოსავლიდან ნაოთხალს იხდის. ამ ნაოთხალში მიწის სარგებლობის უფლების ფასიც გამოისახება და მისი შრომის და მამულის გაუმჯობესობის ფასიც. ასე რომ დროებით-ვალდებული გლეხი ფაქტიურად ძველ ყმას მოგვაგონებს, რადგან მას ჯერ არ აქვს კერძო საკუთრება. შესყიდვის პროცესსი ტფილისის გუბერნიაში უჩინარია. 24 წლის განმავლობაში გლეხ-კაცობამ (1888 წლის ცნობებით) 264 „ნადელი“ შეისყიდა – სულ 235,333 მანეთისა. და თუმცა ქუთაისის გუბერნიაში ამავე 24 წლის განმავლობაში 4,000,000 მანეთი იყო დახარჯული „ნადელების“ შესყიდვაში, მხოლოდ ეს დიდი თანხა იმის მაჩვენებელია, რომ იმერეთში ვიწროობის გამო [1]) მიწა ძალიან

ძვირია (200-300 მან. ერთი დესეტ.). შედარებით ამერეთ-
თან იმერეთში მეტი „ნადელია“ შესყიდული. მხოლოდ ამ ორ
გუბერნიაში დროებით-ვალდებულ გლეხთა რიცხვი მაინც თვალ-
საჩინოა, თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ ორ გუბერნიაში
გლეხკაცობას 416,644 დეს. ეკუთვნის 2,491,426 დესეტინი-
დან. ისიც არ უნდა დავივიწყოთ, რომ ამ რიცხვში **სახაზინო**
გლეხთა საკუთრებაცაა ჩარიცხული. სახაზინო გლეხების სა-
კუთრება კი საკუთრებად არ ჩაითვლება. სახაზინო გლეხი მი-
წის სამუდამო მოსარგებლეა და არა მისი მოსაკუთრე (ПОСТ0-
ЯННОЕ ПОЛЬЗОВАНiЕ, А НЕ СОБСТВЕННОСТЬ). სიტყვა „სამუ-
დამო“ თავის შინაარსის მიხედვით არ უნდა ავხსნათ. „სამუ-
დამო სარგებლობა“ სახაზინო გლეხების შემთხვევაში) ნიშნავს
სარგებლობას იმ დრომდე, რა დრომდენაც ამგვარი „სარგებ-
ლობა“ არ ეწინააღმდეგება რომელიმე საზოგადო ან სახელმწი-
მწიფო ინტერესს. ჩვენს სახაზინო გლეხს შეიძლება წაერთვას
მიწა, თუ ეს მიწა საჭირო იქნება ტყის მოშენებისათვის, ფერ-
მების და სკოლების დაარსებისათვის, სარწყავი არხების გაყვა-
ნისათვის და სხვა საზოგადო მოთხოვნილებისათვის და **სახელ-
მწიფო მოსაზრებისათვის**. ტფილისის გუბერნიაში თითო სა-
ხაზინო სულზე მოზომილია 1,72 დესეტინა, ქუთაისის გუბ. –
0,77 დეს. რა უნდა დარჩეს მას, სხვა და სხვა საზოგადო და
სახელმწიფო მოსაზრებისათვის მისი პატარა „ნადელი“ რომ
დაქუცმაცდეს? ამისათვის სახაზინო გლეხთა ეკონომიური მდგო-

[1]) Земельные вопросы, Туманова.

მარეობა ერთ დროში შეიძლება ხიზნების მდგომარეობას და-
ემგზავსოს. გადავავლოთ თვალი **ხიზნებსაც**. საქართაელოში
ითვლება თითქმის 50 ათასი ხიზანი ძველი ადათის მიხედვით,
ხიზნებს სამუდამოთ იმ მიწების სარგებლობის უფლება ჰქონ-
დათ, რომლებზედაც ისინი იყვნენ შეხიზნულები. მებატონეს
აძლევდნენ ისინი განსაზღვრულ ბეგარას და ხიზნების ეკონო-
მიური მდგომარეობა ბევრ ადგილებში ყმების მდგომარეობასა
სჯობნიდა. 1891 წლის კანონის ძალით ხიზნების ნივთიერი
მდგომარეობა იცვლება. კანონმა სცნო ისინი მოიჯარადრებათ.
ნამდვილად კი ხიზნები მოიჯარადრები არ არიან, რადგან ყო-
ველი მოიჯარადრე დადგენილ პირობებს უნდა აკმაყოფილებ-
დეს – მან უნდა იცოდეს მამულის მიჯნები, საიჯარო უფლე-
ბის ფული უნდა გადაიხადოს, საიჯარო ვადაც უნდა ჰქონდეს
განსაზღვრული. ჩვენი ხიზნები არც ერთ ამ პირობებს არ ას-
რულებენ. ამისდა მიუხედავად ისინი მოიჯარადრებათ არიან
ცნობილნი. ამისთვის ისინი მემამულის სრულ უფლებაში არი-

ან ამ ჟამად, რადგან მას (მემამულეს) მათი (ხიზნების) მიწიდან აყრის უფლება მიეცა. მართალია, ამ შემთხვევაში მებატონემ უნდა უზღას ხიზანს. მხოლოდ ეს საზღაური ძრიელ მცირეა, იგი ვერ უზღავს ხიზანს შრომას და ჭირნახულს.

ასეთია ქართველ გლეხთა ცხოვრების სურათი. ჩვენ ვნახეთ, რომ დროებით ვალდებული გლეხი ფაქტიურად ყმობიდან არ არის განთავისუფლებული, სახაზინო გლეხის ბედ-იღბალი სახელმწიფო მოსაზრების ცვალებადობაზეა დამყარებული. რაც შეეხება ხიზნებს, ისინი მემამულის სრულს უფლებაში იმყოფებიან, რადგან არა მოიჯარადრენი მოიჯარადრებათ ითვლებიან.

თუ გვსურს ჩვენს ეროვნებას მკვიდრი საფუძველი დაუდოთ, მივაქციოთ უპირატესი ყურადღება იმ გარემოებას, რომ ჩვენი მწარმოებელი არ არის დამკვიდრებული იმ მიწაზედ, **რომელსაც იგი ამუშავებს და რომელიც – საქართველოს ტერიტორიას შეიცავს.** დავეხმაროთ გლეხკაცობას მიწის შეძენის საქმეში. რაც მან ვერ შეიძინოს, შეურჩინოთ მიწა დანარჩენ ქართველობას. ამ განზრახვით საჭიროა ჩვენში სპეციალურ ბანკის დაარსება.

ასე რომ ყველა ამ მოსაზრებიდან, ის, ვინც „ფეოდალობას“ გვისაყვედურებს, დაინახავს, რომ ჩვენი სურვილი აზნა-

ურთა მამულის დაცვისა ტაქტიკის და არა პრინციპის კითხვაა; ის კიდევ ვინც გადამეტებულ „დემოკრატიზმს“ გვწამებს, დაინახავს, რომ ჩვენი ეროვნული სიმაგრე დაფუძნებულია ჩვენი მწარმოებელის ნივთიერ გამაგრებაზედ, ვინაიდან ყოველი ცოცხალი ერი შრომით და მხნეობით სულდგმულებს. ამისათვის თუ ჩვენს ეროვნების გამაგრება-გამტკიცებას შევუდგებით, არ შეიძლება არ ავაშენოთ მისი მომავალი შეურყეველ მიწის საძირკველზედ.

VIII. ეროვნულ საკითხის განმარტების გამო.

არსად, არც ერთ საზოგადოებაში არ შეხვდებით იმისთანა ბუნდოვან და გამოურკვეველ შეხედულებას ეროვნებაზე, როგორც ქართველ საზოგადოებაში. ამ საგანზე ჩვენში ბევრს ლაპარაკობენ – სიტყვით და ბეჭდვით – მხოლოდ ამითი საქმეს არა ეშველა-რა – ეროვნება იყო და არის ჩვენთვის რაღაც გაუგებარი ამოცანა. ჩვენ არა ვკისრულობთ ამ ჟამად ამ ცნების ფილოსოფიურ განმარტების შემუშავებას. ფილოსოფიური განმარტება ყოველთვის მეტად ზოგადია და ჩვენ მკითხველს არ მოვაბეზრებთ თავს ამ ზოგადის ციტატების მოყვა-

ნით, გვინდა მივმართოთ უბრალო მეტოდს, გვინდა სხვა
გზით გავარკვიოთ ეს საგანი. ამისათვის მივაქციოთ ყურადღე-
ბა ჩვენი ხალხის ცხოვრებას, გადავშალოთ მისი შინაარსი, მი-
სი სული და გული. ამ ცხოვრების შინაარსის შესწავლით გა-
გვიადვილდება გაგება იმისი, თუ რა არის ერი, ეროვნება,
ეროვნული საკითხი?

ქართველი ხალხი ძველ დროიდანვე დასახლდა ერთს გან-
საზღვრულ მიწაზე. ამ ხალხს ისტორიულ მსვლელობაში, ერთ-
გვარობა დაეკარგა და იგი დაიყო წოდებებათ. გლეხი, მღვდე-
ლი, თავადი და მეფე – შეადგენდნენ ოთხს საფეხურს ერთ და
იმავე ძიებისას. შემდეგში, სხვა-და-სხვა ცვლილებათა ზედგავ-
ლენით, ჩვენს ცხოვრებას უფრო რთული ხასიათი დაეტყო.
მისი სოციალური აგებულება მრავალფეროვანი შეიქმნა და
იგივე ხასიათი დაეტყო ჩვენს სულიერ ვითარებასაც. მხოლოდ
ამ ხნის განმავლობაში ქართველი ხალხი სცხოვრობდა იმ მიწა-
წყალზე, რომელზედაც იგი ძველადვე დამყარდა, და ამავე

დროს მას არ დავიწყებია ის ენა, რომელზედაც იგი იმ თა-
ვითვე ლაპარაკობდა. მაშასადამე, თვალი რომ გადავავლოთ
ჩვენს ცხოვრებას, დავინახავთ, რომ ქართველ ხალხს საუკუ-
ნოების განმავლობაში, მიუხედავად მრავალ გვარ სოციალურ
და პოლიტიკურ ცვლილებათა, შეურყევლად შეურჩენია ორი
რამ: **მიწა და ენა.** რასაკვირველია, ჩვენს ტერიტორიას ამ
ხნის განმავლობაში ხან აკლდებოდა ერთი ნაწილი, ხან ემატე-
ბოდა მეორე. ჩვენს ენაშიაც ხან ერთი უცხო სიტყვა შემო-
დიოდა, ხან მეორე. მხოლოდ დღემდე მაინც ქართველ ხალხს
აქვს განსაზღვრული ტერიტორია და განკერძოებული ენა და
ეს ორი საგანი ჩვენის ცხოვრების არსებით თვისებას შეადგენ-
და და ეხლაც შეადგენს: მიწა და ენა – ორი ძირითადი ფაქ-
ტორი ჩვენის ეროვნებისა – მიწა და მისი ნაწარმოები – ცხოვ-
რების ეკონომიური საფუძველია; ენა და ყოველი ის, რაც
ენის საშუალებით გამოისახება (ლიტერატურა, აზროვნება და
სხვა), ცხოვრების სულიერ ანუ ფსიხიურ საფუძვლად ჩაითვლე-
ბა. მიწა – ეკონომიურ ურთიერთობათა დასაწყისია: მიწას ამუ-
შავებენ, გამოაღებინებენ ნაყოფს, შეუმუშავებელ ნივთს, სა-
ქონელს. ამ საქონლის ერთ ნაწილს სოფელში სტოვებენ, მე-
ორე ნაწილი ქალაქებში მიაქვთ. სოფელში ჩნდება მეურნეო-
ბა, ქალაქში – ვაჭრობა და მრეწველობა. მეორეს მხრით, შე-
იგნო რა ქართველმა კაცმა ენის მნიშვნელობა, მან დაიწყო
იმის საშუალებით თავის აზრის და გრძნობის გამოხატვა. აქე
დან წარმოსდგა კულტურა: კანონმდებლობა, ღვთისმეტყველე-
ბა, ლიტერატურა და სხვ. ჩვენ აქ არ შევდივართ იმის ძიება-

ში, თუ რა დამოკიდებულება ჰქონდა ერთმანეთში ამ ორ ცხოვრების ფაკტორს ეკონომიურ ურთიერთობას და კულ-ტურას. ჩვენ ვამბობთ მხოლოდ, რომ ქართულ ცხოვრების შინაარსს შეადგენს ის, რაც ამ ორ ნიადაგზედ აღმოცენდა. **ეკონომიურ ურთიერთობის** შინაარსს შეიცავს გლეხი და მი-სი მემამულესთან დამოკიდებულება; მუშა და მისი დამოკიდე-ბულება მრეწველთან. ამ ეკონომიურ ურთიერთობას თავისი იურიდიული ფორმა აქვს, სოფელში, – თემობა, ქალაქში – თვითმმართველობა. **კულტურულ ცხოვრების შინაარსს** შე-ადგენს: ლიტერატურის, ხელოვნების და მეცნიერების განვი-თარება, ჩვენი პიროვნების და ვინაობის აზრის გამტკიცება.

მაშასადამე, ყველა ეს ერთად შეერთებული, ჩვენის ეროვ-

ნულ ცხოვრების შინაარსსაც შეადგენს, მხოლოდ ეგ აზრი უფ-რო გამოაშკარავდება შემდეგის მოსაზრებით. როდესაც ჩვენს ტე-რიტორიას გარეშე მტერი ემუქრებოდა ხოლმე, ქართველი ერი ამ მტერს ებრძოდა, რადგან იცოდა, რომ მიწა იმის მარჩენე-ლია, რომ ამ მიწაზედ სცხოვრობს ერთ ენაზედ მოსაუბრე ერი, რომელსაც ერთი ზნე, ერთი ჩვეულება, ერთი სარწმუნოება, ერთი ლხინი და პირი ჰქონდა.

ყოველივე ეს სწორედ ის ძალა იყო, რომელიც აერთებდა ჩვენს ერს და მეორე ერისაგან არჩევდა მას. მხოლოდ, საკით-ხია, განა ჩვენი ხალხის ყველა ნაწილი ერთსა და იმავე მდგო-მარეობაში იმყოფებოდა, განა ძველ დროში არ იყო ნივთიე-ერი უთანასწორობა, ღარიბი და მდიდარი, ბედნიერი და უბე-დური? ჩვენის ისტორიის ზედაპირული შესწავლაც გვეუბნება, რომ წარსულში, თუ არ მეტი, არა ნაკლები ქონებრივი უთა-ნასწორობა იყო ჩვენში, და რომ წოდებათა დაყოფას ღრმა ეკონომიური საფუძველი ჰქონდა. ნივთიერი ძალა ერთი წო-დების ხელში იყო, ასე, რომ ეკონომიური განხეთქილება, კლასთა შეუგნებელი უთანხმოება ძველ დროშიაც იყო. ამის-და მიუხედავად, ქართველი ერი ყოველთვის ებრძოდა ხოლმე ყველას, ვისაც კი მისი პოლიტიკური დამონავება ჰსურდა. რითი აიხსნება ამგვარი გარემოება? ხალხი შევიწროებული და შეხუთულია, ხოლო მოადგებოდა რა მას გარეშე მტერი, იგი ივიწყებდა თავის ვარამს, ხელს აძლევდა თავის მჩაგვრელს და მასთან ერთად მტერს ებრძოდა. ეტყობა, ის გარეშე მტერი მას უფრო მავნებელ მტრად მიაჩნდა, ვიდრე შინაური ბატო-ნი, რომ მიუხედავად ნივთიერ უთანასწორობისა, ჩვენი გლე-ხი რიღათითაც დაკავშირებული იყო სხვა წოდებებთან და მას თავისი შინაური მონობა ერჩივნა გარეშე ძალის მონობას. ეს „რაღაც“ იყო – ენა, ზნე-ჩვეულება, სარწმუნოება, ისტორიუ-

ლი ტრადიცია და სხვა – ის, რასაც მეცნიერები ცხოვრების ფსიხიურ ფაქტორს უწოდებენ. მაშასადამე, ჩვენი ხალხი თავის თავს იცავდა, იცავდა თავის მიწას, ენას და სარწმუნოებას. ყველა ამისი დაცვა მას თავისუფლების დაცვად მიაჩნდა და თავის გარეშე მტერს იგი უყურებდა, როგორც იმის სიცოცხლის და თავისუფლების დამამხობელს. ასე, რომ ძველ დროში ეროვნული კითხვა ქართველ ხალხის „სიცოცხლის და თავისუფლების“ კითხვა იყო. „სიცოცხლე და თავისუფლება“

ხომ ხალხს თავისებურად ესმოდა. სიცოცხლე – გამრავლების და ბედნიერების უფლებაა; თავისუფლება კი – ამ უფლების ხელუხლებლობა, შეურყევლობა.

ჩვენს დროში რაღა არის ეროვნული საკითხი? რა ნიადაგზე შეიძლება შეთანხმება ორგვარ მოვლენისა – ერთის მხრით, ეროვნულ ერთობისა, – მეორეს მხრით, თანამედროვე ეკონომიურ წინააღმდეგობისა, განხეთქილებისა? რანაირად შეზავდება ერთმანეთში კლასთა ბრძოლის პრინციპი და ეროვნება? ამ კითხვის გამოკვლევისათვის ჩვენ დაბეჯითებით უნდა ვიცოდეთ ის, თუ რა არის ეროვნება. ეროვნება, ანუ ნაციონალიზმი შეგნებაა იმ აზრისა, რომ მე, როგორც კერძო ადამიანს, მაქვს ნივთიერი და სულიერი კავშირი ჩემ ხალხთან. ხოლო საიდან წარმოსდგება ამგვარი კავშირი? იმ შეგნებიდან, რომ ეს კავშირი თავმდებია სიცოცხლის, ბედნიერების და თავისუფლებისა. ისტორიულ მსვლელობაში ადამიანი ერთბაშად ვერ მიხვდა, რომ ყოველი ადამიანი ადამიანია. ვიდრე ის ამ აზრამდე მივიდოდა, მისთვის საჭირო იყო გავლილი გზა განევლო. ოჯახების შეერთებიდან თან-და-თან თემი შესდგა, თემების შეერთებიდან – ხალხი და ხალხი ცნობიერების გაღვიძების წყალობით **ერად** იქცა. ასე რომ მხოლოდ ის ხალხი ჩაითვლება ერად, რომელსაც აქვს თავის ხალხოსნობის შეგნება, თვითცნობიერება. მაშასადამე, ერი თვით მცოდნე ხალხია. ეროვნება – შეგნებაა ნათესავობისა და კავშირისა **განსაზღვრულ** ადამიანთა შორის, შეგნებაა აგრეთვე იმ აზრისა, რომ ეგ კავშირი სხვა, უფრო ძლიერ მტერთან ბრძოლისათვის აუცილებელი და უსაჭიროესი იარაღია. მაშასადამე, ეროვნება კავშირი ყოფილა, ხალხის მთლიანობა, გაერთანება. ეკონომიური ბრძოლა კი – განხეთქილება, ცხოვრების გათიშვა, ერთობის დარღვევა. რა საფუძველზე შეიძლება შეთანხმება ამ წინააღმდეგობისა? ჩვენის აზრით, იმავე საფუძველზე, რა საფუძველზედაც უვნებლად დარჩა ჩვენი ეროვნება ჩვენს წარსულ ისტორიაში. ეკონომიური წინააღმდეგობის დაფარვა ჩვენს დროში შეუძლებელია. თუ ძველად ეს წინააღმდეგობა ხშირად შეუგნებელი იყო, ჩვენ დრო-

ში იგი აშკარა შეიქმნა ხალხისათვის. მხოლოდ ჩვენი დროის უპირატესობა კიდევ იმაშია, რომ ჩვენ მეტი ეროვნული სიმწიფე დაგვეტყო. ამისათვის, ვეცადნეთ, რამდენადაც კი ღონე შეგვწევს, ჩვენი ხალხი ნივთიერად გავაღონიეროთ და მი-

თი შევუმსუბუქოთ ეკონომიური წინააღმდეგობის სასტიკი ზეგავლენა. მხოლოდ ამ ჩვენს ცდაში ყოველთვის ვიქონიოთ მხედველობაში ის, რომ ზოგიერთ პირობებში, ერის ერთიანობა და განუყოფლობა მეტის კეთილდღეობის თავმდებია, ვიდრე მისი დანაწილება, დაქუცმაცება...

კავკასიაში კლასთა ბრძოლის პრინციპის აღიარება გაუქმებაა ჩვენი ნაციონალური მეურნეობისა და ვაჭრობა-მრეწველობისა. და გაუქმდება რა ეკონომიური მხარე ჩვენის ცხოვრებისა, მას ადვილად მოჰყვება ჩვენი ეროვნული კულტურის გაუქმებაც. ამისათვის, არ არის შესაწყნარებელი ის აზრი, ვითომ კავკასიაში ეროვნულ ბრძოლას არ აქვს ადგილი და ვითომ კავკასიაში ერთა შორის ბრძოლა მხოლოდ ეკონომიური ბრძოლაა.

IX. კიდევ საერთო მოღვაწეობაზე.

I.

დაიბეჭდა კვალში" ბ. ჟორდანიას პირველი კრიტიკული განხილვა ჩვენი წერილებისა. დიდი ყურადღებით გადავიკითხეთ იგი, რადგანაც წინასწარ მოველოდით დამჯდარ მშვიდობიან და მიუდგომელ დაფასებას ჩვენ მიერ წამოყენებულ კითხვებისას. ამას იმიტომ კი არ მოველოდით, ვითომც ჩვენ რაიმე დამსახურება მიგვიძღვოდა მკითხველის წინაშე, არამედ იმიტომ, რომ ჩვენი საერთო მდგომარეობა იმგვარი გვგონია, როდესაც ვერც მკითხველს, ვერც ჩვენ თავს ვერ დავაკმაყოფილებთ სიტყვების თამაშობით, ერთგვარ აზრთა კეკლუცობით, რომელსაც არ ძალ-უძს არავითარი საგნის განმარტება. ჩვენ მოლოდინი გაგვიცრუვდა, რადგან ზემოხსენებულ წერილში ის ვერა ვნახეთ, რასაც ვეძებდით და რაზედაც ჩვენ უფლებაც გვქონდა – ჩვენ ვერ ვპოვეთ იქ აზრის კრიტიკა და ამ გარემოებამ პოლემიკის სურვილი ერთბაშად მოგვიკლა. მაგრამ წარსულ კვირას ბ. ჟორდანიამ დაბეჭდა მეორე კრიტიკული განხილვა ჩვენის ნაწარმოებისა და აი, სწორედ ამ განხილვამ ხელმეორედ აღგვიძრა ლაპარაკის სურვილი, რადგან მასში იმგვარი კითხვებია წამოყენებული, რომელთ გადასინჯვა ჩვენ უსარგებლო საქმედ არ მიგვაჩნია. და

თუმცა აქაც, ამ წერილშიაც ავტორი ვერ განთავისუფლებულა ერთგვარ წერის მანერისაგან, რომელსაც თითქოს მკითხველის სასაცილოდ აგდების მიზანი აქვს – მეტად გულუბრყვილოდ მიაჩნია ავტორს ეს ჩვენი მკითხველი – მიუხედავად ამისა, წერილი ყურადღების ღირსია და ამიტომაც ჩვენ მასზე მოვილაპარაკებთ და ამასთან პირველ წერილსაც ცოტა არ იყოს შევეხებით.

პირველი საკამათო კითხვა ამნაირია: შეიძლება თუ არა, ჩვენ პირობებში, პრაქტიკულ მოქმედებაში ვიხელმძღვანელოთ წმინდა კლასთა ბრძოლის პრინციპით? თუ შეიძლება, ჩვენს მოკამათე დასთ არა აქვთ საერთო მოქმედების ნიადაგი; თუ არ შეიძლება, ამგვარ ნიადაგის გარკვევაა საჭირო. ჩვენ ვსთქვით და კიდევაც ვამბობთ, რომ ამ პრინციპს პრაქტიკულ მოქმედებაში ვერ გამოვიყენებთ, რადგან ჩვენი ცხოვრება გვითითებს „საერთო ინტერესებზე“. თუ გვაქვს საერთო ინტერესები, საერთო მოქმედებაც გვესაჭიროება. საქმე ის არის მხოლოდ, როგორი ინტერესებია ეს საერთო ინტერესები? ერთს ჩვენს წერილში დავასახელეთ კიდეც ეს ინტერესები და მასთან ისიცა ვსთქვით, რომ ამ ჩვენ მიერ დასახელებულ კითხვებს საერთო ძალღონით გარკვევა სჭირიათ. როგორ უნდა შეჰხებოდა კრიტიკა ამნაირად კითხვის დაყენებას? უწინარეს ყოვლისა მას უნდა გაერკვია ის, თუ რამდენად საფუძვლიანია ჩვენი უარყოფა კლასთა ბრძოლის პრინციპით ხელმძღვანელობისა პრაქტიკულ მოქმედებაში. მას შემდეგ დაამტკიცებდა რა ამ ჩვენ უარ-ჰყოფის უსაფუძვლობას, იგი დაარღვევდა ჩვენს მეორე წინადადებას, სახელდობრ იმას, ვითომ ჩვენს მოკამათე დასებს აქვთ საერთო ინტერესები, რადგან სწორედ ამ ინტერესების არსებობაზეა დამყარებული ჩვენი უარყოფა კლასთა ბრძოლის პრინციპის ხელმძღვანელობისა.

ბ. ჟორდანია კი, ერთის მხრით, კლასთა ბრძოლის პრინციპს იცავს, მეორეს მხრით, საერთო ინტერესებზე ლაპარაკობს. ჩვენის აზრით, ეს ორი წინადადება ერთი-ერთმანეთში შეუთანხმებელია. კლასთა ბრძოლის პრინციპი გვასწავლის, რომ ორ მებრძოლ კლასთაგან ერთი უსათუოდ ყოველ-შემთხვევაში ოპოზიციაში უნდა იყოს. ნიშანდობლივი ხასიათი ოპოზიციისა იმაშია, რომ მას არავითარი კავშირი არა აქვს დანარჩენ დასებთან – იგი მუდმივ ბრძოლაშია, მუდმივ შეჯახებაში

და იქ, საცა მებრძოლთა შორის საერთო ინტერესებიც იბა-

დება, იქ წმინდა კლასთა ბრძოლის პრინციპი არ გამოდგება სახელმძღვანელოდ პრაქტიკულ მოქმედებაში. როგორ აკავშირებს ბ. ჟორდანია ორ ერთი-ერთმანეთის წინააღმდეგ აზრებს, ჩვენ არ ვიცით, მხოლოდ, აშკარაა, მას ვერ გაუთვალისწინებია ამ კავშირის შეუძღლებლობა. და ამ შეუგნებლობით აიხსნება სწორედ ის გარემოებაც, რომ ბ. ჟორდანია თავსაც იწონებს იმით, რომ მან დიდი ხანია, რაც მიაქცია ყურადღება საერთო ინტერესების არსებობაზე ჩვენში. განა „მართლა ვსთქვით ოდესმე, ამბობს ბ. ჟორდანია, რომ ქართველობას არავითარი „საერთო ინტერესი“ არა აქვსო? არა, არასოდეს არ გვითქვამს... „ერი ვერასოდეს ვერ დანაწილდება ისე, რომ ამ ნაწილთა შორის რაიმე საერთო ინტერესი არ იყოსო“ (№ 23). ასე თუ ისე, ჩვენს მოკამათე დასებს საერთო ინტერესები ჰქონიათ. ამას თვით ჟორდანიაც აღიარებს. მხოლოდ, რა გამომდინარეობს ამ საერთო ინტერესების არსებობიდამ? კრიტიკამ რას უნდა მიაქციოს ამ შემთხვევაში თავისი ყურადღება? ერთს საგანზედ – მან უნდა დააფასოს ის, თუ რა და რა შეადგენს ამ საერთო ინტერესებს. მართლა დავასახელეთ ჩვენ ყველა ჩვენი საერთო ინტერესები, თუ ზოგიერთი არ დაგვისახელებია? მართლა აქვთ იმ ჩვენ მიერ დასახელებულ კითხვებს მნიშვნელობა, თუ არა. აი ნამდვილი კრიტიკა სწორედ ამას უნდა შეჰხებოდა. ბ. ჟორდანია კი სხვანაირად მოიქცა. მან გვითხრა, რომ მას უკვე ჰქონია ამაზედ ბაასი და რომ კითხვა ერთხელ საბოლოოდ გადაუწყვეტია და ამ ჟამად ლაპარაკიც მეტია ამ საგანზედ. ჩვენ სრულიად უარ-ვყოფთ ამ გვარ კითხვების გადაჭრის მონოპოლიას და ამასთან ვამბობთ, რომ ჩვენ არ გვაკმაყოფილებს ის, თუ რანაირად გადაწყდა ამ კითხვების ბედი ჩვენს ლიტერატურაში. ამისათვის ხელმეორედ ვუბრუნდებით ამ საგანს და ვეკითხებით მკითხველს: თუ ჩვენში არის საერთო მოქმედების ასპარეზი, თუ ეს ასპარეზი ყველასათვის თვალსაჩინოა, სად არის ის პარტია, რომელიც მოქმედობს ამ საერთო ნიადაგზედ? თუ ნიადაგი არის, პარტიაც უნდა იყოს. თუ პარტია არ არის, ორში ერთი – ან ნიადაგი არ არის, ან კიდევ გაურკვეველია. ჩვენში ფეხს იდგამს დას-დასად მოქმედება. საერთო ინტერესები კი მაინც გვაქვს. ან იქნება ეს ინტერესები იმ თვისების არიან, რომ

მათ ჩვენი შეერთება არ ძალ-უძთ? ამ შემთხვევაში, იქნება სხვა რაიმე უფრო მეტის ყურადღების ღირსია? რაიცა ჩვენ შეგვეხება, ჩვენ დავასახელეთ ხუთი კითხვა, რომელიც, ჩვენის აზრით, ქართულ საერთო ინტერესს შეადგენს: ენის დაცვა, მრეწველობის განვითარება, მეურნეობის განმტკიცება, თვით-

მართველობაში ჩარევა და სახალხო მოღვაწეობა. ჩვენ გვგონია, რომ ამ კითხვების ჯეროვან განმარტებაზეა აშენებული ჩვენი ეროვნული აღორძინება და ამისათვის ჩვენ ვცდილობდით დაგვეკავშირებია საზოგადოებრივი პროგრამა ჩვენს ეროვნულ პროგრამასთან. ბ ჟორდანიამ თავის მხრით არ გვითხრა, გვეთანხმება ის, თუ არა მოქმედების ასპარეზის გათვალისწინებაში, არ გვითხრა, რა ნაკლულევანება აქვს ჩვენ მიერ დასახელებულ კითხვებს. ავტორი მხოლოდ გვიჯავრდება, როგორ თუ დავიწყეთ სამშობლო ენის საჭიროებაზე ლაპარაკი, მაშინ, როდესაც ეს საჭიროება ყველასათვის ცხადია, ყველამ ვიცითო, რომ „ენა, ლიტერატურა, ისტორია – საზოგადოთ კულტურა – ის დედა-ბოძია, რომელზედაც დაყრდნობილია ყოველნაირი პარტიაო“.

თუ მართლა ყველამ ვიცით, ხომ კარგი, ამის გამეორება მაინც არ გვაწყენს, რადგან სანამ ჩვენს სკოლაში, სასამართლოში და სხვა დაწესებულებაში ქართულ ენას ჯეროვანი ადგილი არ ექნება დაჭერილი, იმ დრომდე სამშობლო ენაზე ახალი არ არისო. ჩვენც გვითქვამს ჩვენი აზრი ამის შესახებო. რათა ჰგონია ბ. ჟორდანიას, რომ, რასაც ჩვენ ვამბობთ, სწორედ იმის, ბ. ჟორდანიას გასართობად ვამბობთ? თუ მართლა ჩვენ ერთის შეხედულებისა ვართ სამშობლო ენის საჭიროებაზე, მივცეთ მხარი მხარს და ამ ერთ კითხვაში მაინც შეთანხმებულად ვიმოქმედოთ. მხოლოდ, თურმე ამ კითხვაში ჩვენ ერთმანეთისთვის გაუგებარნი ვყოფილვართ. ბ. ჟორდანია არავითარ მნიშვნელობას არ აძლევს იმ სამწუხარო გარემოებას, რომ ხალხის გარეთ, ჩვენს საზოგადოების წრეებში სამშობლო ენა სრულებით განდევნილია. ერთს სატყვას არ ამბობს იმაზედაც, რა საშუალებით შეიძლება სკოლებში, სასამართლოებში და ეკკლესიებში ამ ენის დაცვა. ბ. ჟორდანია საზოგადო აზრის გამოთქმას სჯერდება და ამბობს: „სამშობლო ენის გამავრცელებელი და გამაძლიერებელი ყველაზე

უფრო ის არის, ვინც ხალხის მოთხოვნილებას იცნობს და მისივე ენის საშუალებით აკმაყოფილებს“. მხოლოდ ავტორი არას ამბობს, რანაირად შეიძლება ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილება, როდესაც ჩვენ ხელთ არ გვაქვს ის საჭირო იარაღი, ურომლოდაც შეუძლებელია მოქმედება – ეროვნული სკოლა. ჩვენ იმ განზრახვით დავაყენეთ ქართთლ ენის საკითხი პირველ ადგილზე, რომ გვინდოდა საერთო საფიქრებელ საგნად გაგვეხადა და სრულებითაც აზრად არა გვქონდა ამ კითხვის დაყენებაში პირველობა დაგვეჩემებია.

რაც შეეხება დანარჩენ კითხვებს, რომელნიც ჩვენ „სა-

ერთო ინტერესების“ საგნად მიგვაჩნია, ბ. ჟორდანია არას გვეუბნება ამის შესახებ, არ გვეუბნება საჭიროა, თუ არა **ეროვნულ** მრეწველობის და მეურნეობის დაცვა და განვითარება. იმასაც არ გვეუბნება, შეიძლება თუ არა ეროვნული მრეწველობა-განვითარების კითხვა საერთო ინტერესების საგნად ჩავთვალოთ. ბ. ჟორდანია ამ კითხვას გვერდს უხვევს და პირდაპირ იმის დამტკიცებას ჰლამობს, რომ ჩვენი ეკონომიური მოძღვრება წმინდა ბურჟუაზული მოძღვრებაა და მასში ხალხის ინტერესი სრულებით არ არის დაცული. ამაზე ჩვენ ქვემოდ მოვილაპარაკებთ, მხოლოდ საკითხით თუ მრეწველობა-მეურნეობის კითხვა გამოვაკელით საერთო ინტერესების აღნუსხვიდან, ამის მაგიერობა რამ უნდა გასწიოს? ან იქნება ეკონომიურ კითხვებს ადგილი არა აქვს საერთო მოქმედების ასპარეზზე? თუ ბ. ჟორდანია ამ აზრისაა, მას უნდა გაერკვია ეს, მით უმეტეს, რომ სწორედ აქ არის ძარღვი ჩვენის უთანხმოებისა და წინააღმდეგობისა. რად ერიდება ბ. ჟორდანია ამგვარ კითხვებს? ნუ თუ მას მართლა ის აწუხებს, რომ ჩვენ რაღაც „მეორე დასის“ შექმნა გვინდა და მაგით „მესამე დასს“ რაღაც უნდა დაუშავდეს? „ვითომ და თუ პირველი და მესამე დასი არსებობს, ამბობს ავტორი, რატომ მეორე დასი არ უნდა გამოიჩეკოსო, და აი ბ. ჯორჯაძესაც ამ საქმის მეთაურობა მოუსურვებიაო“ (№ 23). ვანუგეშებთ ბ. ჟორდანიას, რომ ამ ჟამად ჩვენ კითხვების გარკვევის სურვილით ვხელმძღვანელობთ და სხვა არაფრით. ჩვენ დასებზედ ლაპარაკი არცა გვქონია (ამ კითხვას გაკვრით შევეხეთ) და არცა გვაქვს; ჩვენ არც გვესმის ის კლასსიფიკაცია, რომლის ძალითაც ჩვენში თურმე უკვე პირველი და მესამე დასი ყოფილა და მეორე კი ეხლა უნდა იშვასო.

ასე, რომ ჩვენ ვერ გავიგეთ, შეიძლება თუ არა, ბ. ჟორდანიას აზრით, საერთო ინტერესებათ ჩავთვალოთ ჩვენ მიერ დაყენებული ხუთი საგანი? თუ შეიძლება, საჭიროა თუ არა, იმის თვალში, ეს საერთო ინტერესები საერთო მოქმედების ნიადაგად გავხადოთ? თუ არ შეიძლება, რაგვარი კითხვები დაედება საფუძვლად ამნაირ მოქშედებისათვის? არც ერთ ამ კითხვაზე ავტორი არავითარ პასუხს არ იძლევა. მხოლოდ მთელი მისი ყურადღება იმაზეა მიქცეულთ, რომ გამოააშკარავოს ვითომდა „ბურჟუაზული“ ხასიათი ჩვენი აზრებისა.

2.

ბ. ჟორდანია, ვიდრე ჩვენს „ბურჟუაზულ“ [1]) შეხედულების განხილვას შეუდგებოდეს, ცდილობს იმის დამტკიცე-

ბას, რომ ჩვენ არ ვიცით, რა არის ეროვნება და ამისათვის ჩვენი იდეალი „ნაციონალიზმი უნაციოთ, ეროვნება უეროდ“ არისო. ჩვენ არ გამოვუდგებით ბ. ჟორდანიას აზრების დარღვევას. ავტორი ნამალადევ სილლოგიზმების აშენებას გამოსდგომია და ამ ხელოვნურ იარაღით გამოდის საჯაროდ... საკამათოდ. თუ როგორ გვესმის ჩვენ ეროვნება და ეროვნული საკითხი, ამაზე უკვე გვქონდა ლაპარაკი. ვისაც აინტერესებს ეგ საკითხი, წაიკითხავს ამ წერილს, საიდანაც გაიგებს, რამდენადაც მართლა არის რაიმე წინააღმდეგობა ამ კითხვის ჩვენ მიერ დაყენებაში და მის ჯეროვან განმარტებაში. ამ ჟამად ყველა ამას თავი დავანებოთ და შევუდგეთ პირდაპირ ეკონომიური კითხვების განმარტებას.

მეორე საკამათო საგანი ამნაირია: ეროვნული მრეწვე-

---

[1]) ერთს ჩვენს წერილში ჰსთქვით, რომ ბურჟუაზულ-ეროვნულ პარტიას შეიძლება ჰქონდეს იდეალად ძველი ფეოდალური საქართველო. ბ. ჟორდანია გაკვირვებულია, როგორ ვაკავშირებთ ჩვენ ამ ორ მცნებას. განა შეიძლება ფეოდალს ბურჟუა დავარქვათ და ბურჟუას ფეოდალი?“ ბ. ჟორდანიას ეცოდინება, რომ ევროპის სიტყვიერებაში გამოირკვა ორი მცნება: ბურჟუაზული – კერძო საკუთრების მცველი და კოლლექტიური – ამ საკუთრების დამრღვეველი საერთო მფლობელობის დამამყარებელი. ფეოდალიზი, ისევე როგორც ბურჟუაზული წესწყობილება, კერძო საკუთრების ხელუხლებლობაზეა დამყარებული და სწორედ ამ სახით შეიძლება ვუწოდოთ ფეოდალს ბურჟუა და ბურჟუას ფეოდალი – პირველიც და მეორეც კერძო საკუთრების მცველნი არიან. იმედია დააკმაყოფილებს ბ. ჟორდანიას ეს ჩვენი განმარტება.

ლობა-მეურნეობის განვითარების საჭიროება. ჩვენი ეროვნების სვე-ბედი უნდა დაფუძნდეს მკვიდრ ეკონომიურ საფუძველზე. ამის განსახორციელებლად ერთადერთი სახსარია: ქართულ მრეწველობის და მეურნეობის განვითარება. ვინც ჩვენ არ გვეთანხმება, უნდა სხვა რამ გვიჩვენოს – ან ის, რომ ჩვენი ეროვნების დაფუძნება ეკონომიურ ნიადაგზე არ არის საჭირო, ან კიდევ ის, რომ ჩვენს ეროვნებას ხელს შეუწყობს საზოგადო (კავკასიის, რუსეთის) მრეწველობის წარმატება და არა მარტო ქართულ მრეწველობა-მეურნეობის განვითარება. ბ. ჟორდანია ამ ორ კითხვას არავითარ ყურადღებას არ აქცევს და მხოლოდ იმაზე მსჯელობს, რომ ჩვენი ცდა ქართულ მრეწველობა-მეურნეობის გამაგრებისა ბურჟუაზიის გაძლიერებაა და მის ხალხზე გაბატონებას მოასწავებსო. ჩვენი საშუალება ბურჟუაზული ყოფილა. მხოლოდ ის, რაზედაც ავტორი გვითითებს, ვითომდა დემოკრატული საშუალება ყოფილა. „მართალია, კაპიტალისტური განვითარება არის იმავე დროს ნაციონალური გან-

ვითარებაც, ამბობს ბ. ჟორდანია, მაგრამ ეს იმდენად, რამდენად ის არღვევს **ძველ ფეოდალურ პატრიარქალურ წყობილებას** და ამყარებს ახალს“ (№ 24). რომელს ახალს ამყარებს კაპიტალისტური განვითარება? სოციალურს? არა, ბურჟუაზულს. მაშასადამე, ბურჟუაზული კაპიტალი ყოფილა ძველ ფეოდალურ წყობილების დამარღვეველი იარაღი. ასე, რომ ჩვენს წინ განსაზღვრული დილემაა: ჩვენ ან გვსურს ფეოდალურ წყობილების დარღვევა, ან არა გვსურს, თუ გვსურს ბურჟუაზული კაპიტალი უნდა დავამყაროთ ჩვენში, თუ არა გვსურს, ყოველი ღონისძიება უნდა ვიხმაროთ, რომ ამ კაპიტალმა არ მოიკიდოს ფეხი ჩვენში. ბ. ჟორდანიასაც და ჩვენც გვსურს ძველი წესის დარღვევა. მაშ რაშია ჩვენი უთანხმოება? ნუ თუ მართლა იმაში, რომ ბ. ჟორდანია ჰხედავს ბურჟუაზულ კაპიტალის სასტიკ ძალმომრეობას და ჩვენთვის ვითამ ამნაირი მისი ძალმომრეობა არ არსებობს? „ფულის წინააღმდეგი არც ჩვენ ვართო, ამბობს ავტორი. მაგრამ რატომ ეს ფული უთუოდ ორიოდე კაცს უნდა ჰქონდეს და არა მუშა ხალხს? „რატომ? ეს სიტყვები „ეკონომიურ მატერიალიზმის“ მქადაგებელს არ ეპატიება. რატომ ერთბაშად არა მყარდება სამართალი და თანასწორობა? რატომ ფეოდალურ წყობილებას უსათუოდ ბურჟუაზული მოსდევს? რატომ... მაგრამ ამას თავი დავანე-

ბოთ. ჩვენ გვგონია, ავტორს უნებლიეთ მოუვიდა ამგვარი „სენტიმენტალობა“, რომელიც იმითი კი არ არის გამოწვეული, რომ ავტორი საზოგადოთ ბურჟუაზული წყობილების აუცილებლობის წინააღმდეგი იყოს, არამედ იმითი, რომ ის წინააღმდეგია **ქართულ** ბურჟუაზულ წყობილ,ებინ დამყარებისა, ე. ი. ავტორი თანაუგრძობს კავკასიელ ბურჟუაზიის გამოჩეკას და არ თანაუგრძობს ჩვენს ეროვნულ ნიადაგზე წარმოშობილ ბურჟუაზიას. მაშასადამე, ბ. ჟორდანია წინააღმდეგია ნაციონალურ მრეწველობის განვითარებისა; მაშასადამე, ამ მრეწველობის განვითარება არ უნდა იყოს, იმისი შეხედულობით, ჩვენი საერთო მოღვაწეობის საგანი. თუ ეს ასეა, რომელ ეკონომიურ საფუძველზე ამყარებს ბ. ჟორდანია ჩვენს ეროვნულ აღორძინებას?

ასეთივე ბედი ეწვია ჩვენ მიერ დაყენებულ მეორე საკითხს. ჩვენის აზრით, ქართული სოფელი ქართველებს უნდა დარჩეთ. ამისათვის საჭიროა ეროვნულ მიწათ-მომქმედების და მიწათ-მფლობელობის გამტკიცება. (საჭიროა, მკითხველმა იქონიოს მხედველობაში განსხვავება მიწათ-მომქმედი და მიწათ-მფლობელის შუა: პირველი თავისი საკუთარის შრომით აწარმოებს მიწას, მეორე – დაქირავებულ მიშებით). ქვენი მიწათ-მფლობე-

ლი, ის მემამულე, რომელიც დაქირავებულ მუშით ამუშავებს მამულს, თავად-აზნაურია. ჩვენი აზნაურობა თანდათან ჰკარგავს თავის მიწას. მამული გადავა ფულიანი კაცის ხელში. საჭიროა, რომ ეს ფულიანი კოცი ქართველი იყოს, თუნდაც ქართველი ბურჟუა, რომელიც დაიჭერს თავად-აზნაურობის ადგილს. ამგვარად უნდა გადაწყდეს ჯერ-ჯერობით მიწათ-მფლობელობის კითხვა ჩვენში. ჩვენი მიწათ-მომქმედიც ქართველი გლეხი უნდა იყოს. მას უნდა ყოველი ღონისძიება აღმოვუჩინოთ, რომ მან შეიძინოს „ნადელები“ და ის გასაყიდი მიწა, რომელსაც ქართველი პატრონი (მიწათ-მფლობელი) არ გამოუჩნდება. ამგვარად უნდა გადაწყდეს ჩვენში მიწათ-მომქმედების კითხვა. შეიძლება გვითხრას მკითხველმა, რად გინდათ ქართველი ბურჟუაზიის გაჩენა სოფელში, არა სჯობია, იმის ცდაში ვიყოთ, რომ ჩვენი მიწა მშრომელ გლეხს დაუმკვიდროთ? დიაღაც კარგი იქნებოდა ამგვარი ოცნების განხორციელება, მხოლოდ ამაზედ იმას ვიტყვით, რაიცა ვსთქვით უკვე ჩვენი მრეწველობის ქართულ ბურჟუაზიის ხელში დამყარების

შესახებ. ცხოვრებას თავისი საკუთარი კანონები აქვს, რომელიც ხშირად ჩვენს სურვილს არ დაეკითხება ხოლმე. ბევრი ტანჯვა და ვაგლახი გამოუვლია კაცობრიობას და ამ ტანჯვის ჯილდოთ ხშირად ფრჩხილის ოდენა ბედნიერება არ მოუპოვებია. ჩვენ ის გზა უნდა ამოვირჩიოთ, რომელიც ნაკლებად დაგვტანჯავს და, თუ ტანჯვის სიმწვავეს ცოტა არ იყოს, შევიმსუბუქებთ, ამითი ავასრულებთ ჩვენს მოვალეობას.

როცა ჩვენ ვამბობდით, რომ მამული მხოლოდ იმათ შერჩებათ, ვინც მას ფულით ახეირებსო, მხედველობაში გვქონდა **მიწათ-მფლობელობა** და არა მიწათ-მოქმედობა. დიდი მამული ან უნდა ფულიან კაცის ხელში გადავიდეს (აგრეც ხდება ხოლმე, მხოლოდ იგი ხშირად გადადის არა ქართველის ხელში) ან კიდევ დანაწილდეს და პატარ-პატარა ნაჭრებათ გლეხ-კაცობას შერჩეს (თუ ყიდვის სახსარი ექნება მას) რადგან ჩვენში ცოტაა ფულიანი კაცი, ამიტომ მეორე პროცესსი უფრო მოსახერხებელია. და ჩვენი ტაქტიკა მხოლოდ იმას უნდა მოვახმაროთ, რომ უცხო ელემენტებს არ ჩავუგდოთ ხელში ის, რაც ჩვენს ხალხს უნდა. ყველა ამ ჩვენ მოსაზრებიდან, ბ. ჟორდანიას ის დასკვნა გამოჰყავს, რომ ჩვენ „ქართველი ბურჟუაზიის გამძლავრება გვსურს როგორც ქალაქში, ისე სოფელში, ქართველი მშრომელი ხალხის ალაგმვა როგორც მრეწველობაში, ისე მეურნეობაში – აი საითკენ იწოდებს ის ქართველობასაო“, ამბობს ბ. ჟორდანია. ავტორი იწუნებს ჩვენს მრეწველობა-მეურნეობის კითხვის გადაწყვეტას

იმიტომ, რომ იგი ვითომ ბურჟუაზული ხასიათისაა, მხოლოდ ხმას არ იღებს იმაზე, თუ რაში მდგომარეობს და როგორ უნდა დამყარდეს ჩვენში დემოკრატული მრეწველობა-მეურნეობა.

ბ. ჟორდანია გვარწმუნებს, რომ ჩვენ საერთო მოქმედებაზე იმიტომ დავიწყეთ ლაპარაკი, რომ ხელი დაგვეფარებინა და მიგვეფუჩეჩია ჩვენი ცხოვრების ეკონომიური წინააღმდეგობა. ავტორს კი არავითარი ყურადღება არ მიუქცევია იმ სიტყვებზე, როდესაც ჩვენ ვამბობთ, რომ **მიუხედავად** ჩვენს ცხოვრებაში არსებულ ეკონომიურ წინააღმდეგობისა, „ჩვენსავე საზოგადოებაში იმგვარი მოვლენანიც არსებობენ, რომელნიც არამც თუ ასუსტებენ ამ წინააღმდეგობას, არამედ ჰბადავენ ნიადაგს მოკამათე ჯგუფების საერთო პრაქტიკულ მოქმედებისათვის“. ავტორი ერთი სიტყვითაც არ იხსენიებს

მას, მართლა არსებობენ ამგვარი მოვლენანი ჩვენში, თუ არა. ამ საგანზე ავტორი სდუმს და გადაჭრით ამბობს, ვითომ ჩვენს თავს ვეწინააღმდეგებით, როცა ვამბობთ, რომ ჩვენში არის ეკონომიური განხეთქილება და ამ განხეთქილებას კი „პროგრამის“ გარეშე ვტოვებთ. სამწუხაროდ, ავტორს მხედლობაში არ მიუღია კითხვის პოლიტიკური, ანუ ეროვნული მხარე. ჩვენ კი სწორედ ამ კითხვის ეროვნულ მხარეს ხაზს ვუსვამთ და მას უპირატეს მნიშვნელობას ვაძლევთ და მხოლოდ ამ განზრიხვით დავტოვეთ „პროგრამის“ გარეშე ის, რაც სხვა პირობებში დასატოვებელი არ იქნებოდა. და მხოლოდ ამ მოსაზრებაზე ვაშენებთ მთელს ჩვენს პროგრამას.

ყოველ ისტორიულ ხანას თავისი საჭიროება აქვს. ჩვენი დროის საჭიროებაზე თვითონ ჩვენი ცხოვრება გვითითებს. და თუ ამ უმთავრესის საჭიროების დაკმაყოფილებით ბევრი სხვა საჭიროება დაუკმაყოფილებელი რჩება, ჩვენ იმით უნდა ვინუგეშებდეთ თავს, რომ ის ვაკეთეთ, რის გაკეთებასაც ჩვენი სინიდისი და შეგნება მოითხოვდა.

3.

მესამე საკამათო საგანი ამნაირია. ბურჟუაზული ხანა წარმატების საფეხური და იარაღია სხვა უფრო სამართლიან წეს-წყობილების დამყარებისათვის, თუ იგია ამ წარმატების მიზანი და უკანასკნელი საფეხური? ნამდვილი ბურჟუაზული მწერალი იმ აზრისა უნდა იყოს, რომ კერძო საკუთრება არის ქვა-კუთხედი ყოველი მომავალ საზოგადოებრივ წეს-წყობილებისა. ბურჟუაზული მწერალი მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესების მომხრეა მხოლოდ **იმ დრომდე**, სანამ ამ გაუმჯობე-

სებით არა დაუშავდება-რა კერძო საკუთრების პრინციპს. ამ მწერ-
ლისათვის მშრომელ ხალხის მდგომარეობის გაუმჯობესებას
საზღვარი აქვს არსებულ წეს-წყობილებაში, რომელიც აუცი-
ლებელ უსაჭიროესს და უცვლელ წყობილებად ჩაითვლება.
ყველა ეს კარგათ უნდა გვახსოვდეს, რადგან იგი ჩვენ უნდა
გამოგვადგეს ჩვენს „ბურჟუაზულ“ აზრების დაფასებაშიაც. ბ.
ჟორდანია არწმუნებს თავის მკითხველებს, რომ ჩვენა ვართ
ქართველ ბურჟუაზიის ნამდვილი ბაირაღტარი, არწმუნებს,
ვითომ ჩვენის შეხედულებით, ბურჟუაზიის კეთილდღეობა მთე-

ლი ჩვენი ერის კეთილდღეობას შეადგენს და რომ სწორედ
ამისათვის ბურჟუაზული წყობილება ის სანატრელი იდეალი
და მიზანია ჩვენთვის, რომლისკენაც უნდა მიისწრაფებოდეს
ჩვენი გული. და ყველა ამასთან ბ. ჟორდანია იმას ამბობს,
რომ თუმცა ისიც არ არის წინააღმდეგი ბურჟუაზულ წყობი-
ლების დამყარებისა ჩვენში, მხოლოდ იმის აზრით, ამ წყობი-
ლებას წარმავალი ხასიათი უნდა ჰქონდეს და არა მუდმივი,
ესე იგი ბ. ჟორდანია ბურჟუაზიას იარაღად ხმარობს, ჩვენ კი
ვემსახურებით მას, ვითამ როგორც საბოლოო მიზანს ამაშია,
ბ. ჟორდანიას შეხედულებით, ჩვენი აზრთა უთანხმოება. მხოლოდ
ავტორი არც ამას სჯერდება. ჩვეულებისამებრ იგი გვიწყრება,
რომ ჩვენ გავკადნიერდით და გავბედეთ იმ აზრების გამეორე-
ბა, რომელიც ბ. ჟორდანიასაც უთქვამს ოდესმე. „ბ-ნი ჯორ-
ჯაძის ერთათ ერთი მიზანია ხელი შეუწყოს ქართული ბურ-
ჟუაზიის შექმნას და გამძლავრებას. მისი აზრით, ბურჟუაზიას
შეეძლება შეეცილოს სხვა ერთა მეტოქე ბურჟუაზიას და **აგ-
რეთვე მეთაურობა გაუწიოს შინაგან განვითარებას. ეს შე-
ხედულება ჩვენ თვითონ არა ერთხელ გამოგვითქვამს და,
მაშასადამე, ბ. ჯორჯაძე აქ ვერავითარ ორგინალობას ვერ
იჩენს**“ (კურსივი ჩვენია. „კვალი“ № 25). აშკარაა, ბ. ჟორ-
დანია დარწმუნებულია, რომ, როცა ის ლაპარაკობდა ამ სა-
განზე, იმის ლაპარაკს განსაკუთრებული ორიგინალობის ელ-
ფერი ედვა, ხოლო, რადგან ჩვენ მოვისურვეთ იმავე საგანზე
ბაასი, წილად იმის განმეორება-ღა გვერგო, რასაც უკვე ბ.
ჟორდანიას ბეჭედი ეკრა. ეტყობა, ავტორს აწუხებს ორიგინა-
ლობის „ჟინი“ და თავისი ავადმყოფობა ჰსურს ჩვენც მოგვა-
ხვიოს თავზე. კიდევ ერთხელ საბოლოვოდ განუგეშებთ ბ.
ჟორდანიას, რომ ჩვენ მისი ორიგინალობა მისთვის დაგვილოც-
ნია და ამ „ჟინის“ მოსაკლავად მას არასოდეს არ შევეცილე-
ბით. მხოლოდ ბ. ჟორდანიას ამ სიტყვებით სჩანს, რომ მას
არა ერთხელ უთქვამს, ქართული ბურჟუაზია „შეეცილე-
ბა სხვა ერთა მეტოქე ბურჟუაზიას და აგრეთვე მეთაურობას

გაუწევს შინაგან განვითარებასაო“. თუ ამ აზრისაა ბ. ჟორ-
დანია, მაშ რას გვემართლება ჩვენ, როდესაც ვსთქვით,
რომ ეროვნულ-ეკონომიურ ცხოვრების განვითარება გამოისა-
ხება ჯერ-ჯერობით ქართულ ბურჟუაზულ კაპიტალის ზრდით
საქართველოში? ავტორს ჰგონია, ვითომ ჩვენ არა ვხედავთ იმ

გარემოებას, რომ „ბურჟუაზიის განვითარება რეგრესიულია
იმდენათ, რამდენადაც ის იმორჩილებს მშრომელ ხალხს და
მისი ოფლით თვითონ ბატონდება. „ბ. ჯორჯაძის აზრით, ამ-
ბობს ავტორი, ქართველი ბურჟუაზიის განვითარება პროგრეს-
სიულია იმდენათ, რამდენათ ის ბატონდება „მშრომელ ხალხ-
ზე“ და მისი ოფლით ის სუქდება... ჩვენთვის უპირველეს როლს
თამაშობს თვითონ ხალხი, ბ. ჯორჯაძისთვის კი ბურჟუაზია...
ჩვენა გვსურს, რომ თანამედროვე კულტურაში რაც შეიძლება
მეტი მონაწილეობა მიიღოს და მეტი წილი იხვედროს „მშრო-
მელმა ხალხმა“, ბ. ჯორჯაძე კი ყველა ამას კაპიტალისტებს
უთმობს და შრომის შვილთ გაჩუმებას ურჩევს, ერთი სიტყვით,
ბ. ჯორჯაძე ტიპიური მებაირაღეა ჩვენი ბურჟუაზიის და ამი-
ტომ ის შეიძლება ჩაითვალოს პირველ ქართველ ბურჟუა-პუბ-
ლიცისტად“ (№ 25). ამგვარად ჩვენი ერთად ერთი განზრა-
ხვაა, ბ. ჟორდანიას განმარტებით, დავიმორჩილოთ მშრომელი
ხალხი და მისი ოფლით გავაბატონოთ და გავაღონიეროთ ბურ-
ჟუაზია. ამგვარად ჩვენთვის თურმე „ეროვნების შინაარსს და გამ-
მაგრებელ ელემენტს შეადგენს ბურჟუა-კაპიტალისტი, ბ. ჟორ-
ანიასთვის კი თვით მშრომელი, შრომის წარმომადგენელი“
(№ 25). მხოლოდ ამაში ყველაზე საყურადღებო ის არის,
როდესაც ავტორი გვეუბნება: „ჩვენ წინადადებას ვაძლევთ ბ.
ჯორჯაძეს დაარღვიოს ეს ჩვენი მოსაზრებაო“ თუ ბ. ჟორდა-
ნია გვიცნობს ჩვენ, როგორც ხალხის მტერს, რად გვაძლევს
ამგვარ წინადადებას? თუ კიდევ ის არ არის დარწმუნებული
თავის სიტყვებში, რად ამბობს იმას, რასაც ამბობს? როდესაც
კაცს საჯაროდ ეუბნებიან, ხალხის მტერი ხარო, ხალხის ოფ-
ლი და სისხლით გინდა იცხოვროვო, ამ შემთხვევაში კაცს
მტკიცე საბუთები უნდა ჰქონდეს ხელში და არა განზრახ გა-
დასხვაფერებული და დამახინჯებული მოპირდაპირის სიტყვები.
და ამ დამახინჯების ნიმუშებს დავანახვებთ ჩვენს მკით-
ხველებს, რათა მათ განგვსაჯონ სინიდისისა და სიმართლის მი-
ხედვით. გადავსინჯოთ ჩვენი შეხედულება ინტელიგენციასა,
ბურჟუაზიულ კაპიტალსა, შრომის და კაპიტალის წინააღმდე-
გობასა და ეროვნულ აღორძინებაზე. ყველა ამ საგნებზე ბურ-
ჟუაზული მწერალი განსაზღვრულ შეხედულებისა იქნებოდა.
ინტელიგენცია, მისის შეხედულებით, ბურჟუაზიაა, რადგან

მის ხელშია ქონებრივი უპირატესობა და ქონებრივ უპირა-

ტესობას ხომ გონებრივი უპირატესობაც მოსდევს ხოლმე. ინტელიგენცია, ამ განმარტებით, არის ის განკერძოებული ადამიანთა ჯგუფი, რომელიც ზევიდან დასცქერის ხალხს და აწვდენს მას იმას, რასაც მოისურვებს. ბურჟუაზული კაპიტალი არის პროგრესისის იარაღი, სიმდიდრის გამმრავლებელი, კერძო პირის ხელუხლებელი კუთვნილება, რადგან ვითამდა მისის ოფლით და გამრჯელობით არის შეძენილი. თუ კაპიტალი კერძო კაცის კუთვნილებაა და ამ კუთვნილებას გასამართლებელი საბუთიც აქვს, მაშასადამე, არ არსებობს წინააღმდეგობა შრომის და კაპიტალის შუა. შრომა ამ შემთხვევაში „თავისუფალი“ გარჯაა „თავისუფალ“ კაცისა, რომლის სურვილზეა დამოკიდებული შრომის გაყიდვა. რადგან ბურჟუაზია ყოფილა ინტელიგენცია და მისსავე ხელშია კაპიტალი, ეს პროგრესის აუცილებელი იარაღი, რადგან შრომის და კაპიტალის თანხმობაა და არა წინააღმდეგობა, ყველა ამისათვის ეროვნული წარმატება, კეთილ-დღეობა, აღორძინება დამყარებულია უმცირესობის კეთილდღეობაზე. **ასე სჯის ნამდვილი ბურჟუაზული მწერალი** და როდესაც ჩვენ, მე და შენ, მკითხველო, ვისმეს „ბურჟუაზიის ბაირაღტარს“ ვუწოდებთ, სწორედ ამგვარი დამახასიათებელი ბურჟუას თვისებები უნდა გვქონდეს სახეში. წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენს სიტყვებს ცილის წამების ხასიათი ექმნება და ყველა ამას ხომ ადგილი არ უნდა ჰქონდეს ლიტერატურაში. ეხლა ვნახოთ, რა გვითქვამს ამ საგნისა ჩვენ წერილებში.

ინტელიგენციის შესახებ, სხვათა შორის, ვწერდით: „ევროპაში, რამდენადაც ვიცით, არც არსებობს იმგვარი შემაერთებელი სიტყვი (ინტელიგენცია), რომელიც ყველა პოლიტიკურ, მეცნიერულ და ლიტერატურულ დასების დამახასიათებელი ყოფილიყოს... „ინტელიგენტის“ მაგიერობას, ცოტად თუ ბევრად ფრანგული „ბურჟუა“ და ინგლისური „ჯენტელმენი“ გაუწევს. მხოლოდ ეს **დაახლოვებითი მზგავსებაა, რადგან ევროპაში „ინტელიგენტად“ ბევრი იმისთანაც ჩაითვლება, ვინც ბურჟუაზიის და ჯენტელმენების წრეს არ ეკუთვნის. ყველა ამისათვის, ინტელიგენციის დახასიათებაში წოდებრივ და პროფესიონალურ პრინციპით არ უნდა ვიხელმძღვანელოთ**“. ესე იგი, ნამდვილი ინტელიგენცია შესდგება ყველა წოდებიდან და მას ამისათვის წოდებრივი ხა-

სიათი არა აქვს. ინტელიგენცია არ არის შემოზღუდული მიუდგომელ კედლით, მასში შედის ყოველი ის, ვისაც განათლება, ცოდნა და შეგნება აქვს – ხალხის შვილია ის, თუ სხვა წოდების წარმომადგენელი. თქვენ შეგიძლიათ არ დაგვეთანხმოთ და სთქვათ, ამგვარი ინტელიგენცია შეუძლებელია, იგი არ არსებობს სინამდვილეში. მხოლოდ რომ ამგვარ ინტელიგენციას ბურჟუაზული ხასიათი დასწამოთ და ჩვენც ბურჟუაზულ ინტელიგენციის მომხრედ გავხადოთ, ამისათვის თქვენ არც ლოღიკური და არც ზნეობრივი უფლება არა გაქვთ. ბ. ჟორდანია-კი სხვანაირად იქცევა. ჯერ შემოგვიტია, რომ ჩვენ ქართულ ლიტერატურას არ ვიცნობთ, რადგან არ წაგვიკითხავს ჟორდანიას წერილი ინტელიგენციაზე (თითქოს ბ. ჟორდანიას წერილების არცოდნა ქალთული ლიტერატურის არ ცოდნას მოასწავებდეს). შემდეგ ავტორი შეუდგა ჩვენი აზრის დამახინჯებას: „ბ. ჯორჯაძე გვატყობინებს, რომ ევროპაში ინტელიგენცია ბურჟუაზიას ჰქვიაო. თუ ეს ასეა, მაშასადამე, ინტელიგენცია კლასი ყოფილა“ (№ 25). ასე ხსნის ავტორი ჩვენს ზემოდ მოყვანილ სიტყვებს. ჩვენ ვამბობდით, ინტელიგენციის დამახასიათებელი თვისება კლასი და პროფესია კი არ უნდა იყოს, არამედ ის უმაღლესი გონიერება, რომელშიაც ერთდებიან ყველა წოდებიდან წარმომდგარნი პირები. ბ. ჟორდანია-კი არწმუნებს მკითხველებს, ვითომ ჩვენის აზრით, ევროპაში ინტელიგენციას ბურჟუაზია შეადგენს და მაშასადამე ინტელიგენცია კლასი ყოფილაო.

ბურჟუაზულ კაპიტალზედ, შრომის და კაპიტალის წინააღმდეგობაზედ ჩვენა ვწერდით: „შესაძლებელია, ქართულ კაპიტალიზმის და ქართულ მეურნეობის კითხვის გარკვევამაც ჩვენ დასთა შორის უთანხმოება და განხეთქილება გამოიწვიოს. რათა ჩვენი აზრი ამ საგანზე უფრო მკაფიო და ნათელი გამოჩნდეს, ვიტყვით: ნორმალურ პირობებში ამ კითხვის განმარტვაც ნორმალურია, ე. ი. ეკონომიურ მოვლენათა გამოსარკვევად ეკონომიური კრიტერიუმია საჭირო. საფრანგეთის კაპიტალისტთა და მუშათა შორის განხეთქილება მაშინ მოისპობა, როდესაც შრომის და კაპიტალის წინააღმდეგობა გაჰქრება. ინგლისის ლენდლორდებს (დიდ-მემამულეებს), ფერმებისა და სოფლის მუშათა შორის თანხმობის ჩამოვარდნა დამოკიდებულია წმინდა ეკონომიურ მიწათმფლობელობის ფორმა-

თა შეცვლაზე. ეკონომიურ ანტაგონიზმის განსამარტავად ამ ერთა ცხოვრებაში ნაციონალურ პრინციპს არავითარი ადგილი არ უჭირავს. სულ სხვაა ჩვენს პირობებში აღძრულ ეკონომიურ კითხვების განმარტება“ (№ 1416). მხოლოდ რითი

განსხვავდება ჩვენი მდგომარეობა სხვა დამოუკიდებელ ერთა მდგომარეობაში, ამის ლაპარაკი ამ ჟამად მეტია. მკითხველმა მხედველობაში უნდა მიიღოს, რომ ყოველთვის, როცა ჩვენ გვაქვს ბაასი ჩვენს ეკონომიურ კითხვებზედ, არ ვივიწყებთ ერთ წუთსაც საქართველოოს პოლიტიკურ მდგომარეობას და სწორედ ამ მოსაზრების მიხედვით ვსთქვით, „პოლიტიკო-ეკონომიური მდგომარეობა საქართველოსი იმგვარია, რომ ჩვენ გვესაჭიროება ჩვენი ერის ეკონომიური გაერთიანება-თქო. ეს გაერთიანება, ვრცელ შრომის განაწილებაზედ და არა კლასიურ ანტაგონიზმზედ აშენებული, საჭიროა ჩვენის ეროვნულის წარმატებისათვის“. რასაკვირველია, ამ სიტყვებს თამამად ბურჟუაზიის მწერალიც იტყოდა, მხოლოდ სანამ მკითხველი ამ სახელით მოგვნათლავდეს ჩვენ, დაუკვირდეს ჩვენს მეორე მოსაზრებას: „საქართველო ადრე თუ გვიან ვერ ასცდება კაპიტალისტურ პროცესს და აგრეთვე ამ პროცესის შედეგს, ესე იგი შრომის გასაზოგადოებრივებას და მით შრომისა და კაპიტალის შორის წინააღმდეგობის მოსპობა“. ასე, რომ რა ხასიათისაა ჩვენი ეკონომიური შეხედულება, მკითხველი ადვილად მიხვდება. მხოლოდ ისიც უნდა გაიგოს მკითხველმა, რომ ჩვენი პოლიტიკო-ეკონომიური მოსაზრება, ის მოსაზრება, რომლითაც ჩვენ მუდმივ ცხოვრებაში უნდა ვხელმძღვანელობდეთ, ხშირად არ არის სრული გამომსახველი ჩვენის ეკონომიურ შეხედულებისა. და სწორედ ამიტომ ვამბობთ: „ჩვენს მწარმოებელს და მყიდველს შუა უცხო ერის შუამავალი უდგა. ყოველი შუამავალი (ქართველი თუ სომეხი) მწარმოებლის და მყიდველის შუა მდგარი ხომ ორივე მხარისათვის მავნებელია. ხალხის ეკონომიური ევოლუცია შუამავლის თან-და-თანი გაუქმებისაკენ მიმდინარეობს. სარგებლობა მწარმოებელს და მყიდველს უნდა რჩებოდეს და არა გარეშე პირებს, მხოლოდ სანამ ჩვენ ამ წერტილამდე მივაღწევთ (აქ იწყება პოლიტიკა), უცხო ტომის შუამავალთ (აგენტი-ვაჭრები) ადგილი უნდა დაუთმონ ქართველ ვაჭრებს, რადგან ფული – ეს მძლავრი თანამედროვე ცხოვრების ფაქტორი, ჩვენშივე დატრიალდება“. ჰა,მაშ

თქვენ ბურჟუა ყოფილხართ, – გვეუბნებიან. თქვენა გსურთ ქართულ ბურჟუაზიის გაძლიერება. დიაღ, გვსურს, მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ეს ჩვენი ბურჟუაზია სხვა ტომების ბურჟუაზიას წესიერ მეტოქეობას გაუწევს და არა სხვა მოსაზრებით.

სწორედ ამ განზრახვით ვსთქვით, რომ „ქართველი კაპიტალისტი ქართველ მუშას კი არ უნდა დაუპირდაპიროთ, არამედ იმ უცხო ტომის ელემენტს, რომელსაც ხელში უჭირავს აღებ-მიცემობის მონოპოლია. ქართველი მუშა ამავე ეროვ-

ნული აზრით უნდა იყო გამჭვმლული“.

ჩვენში განსაკუთრებით სომხის კაპიტალისტები მოქმედობენ, „რომელნიც მართლა ბევრნი არიან“ ამბობს ბ. ჟორდანია. „მშრომელი ხალხის დიდ უმრავლესობას კი ქართველობა შეადგენს, მაშასადამე, როცა ამათ გაჩუმებას ურჩევ – ეს არ ნიშნავს პირველთა გაღონიერებას და გაბატონებას? დიაღაც ნიშნავს, და აი სწორედ ბ. ჯორჯაძე, წინააღმდეგ თავის სურვილისა, ქართველი ხალხის შრომით ამდიდრებს უცხო კაპიტალისტებსო“ (№ 25). ეს დასკვნა ავტორს იქიდამ გამოჰყავს, რომ ჩვენ ვურჩევთ მშრომელ ხალხს ეროვნულ მოსაზრებით იხელმძღვანელოს, რაიც სწორედ იმ შედეგს მოიტანს, რომელიც ჰსურს ბ. ჟორდანიას. თუ ქართველი კაპიტალისტი დაუპირდაპირეთ უცხოელს და ქართველი მუშაც ამავე უცხოელ კაპიტალისტს, ჩვენ გვგონია, რომ ჩვენი „მშრომელი ხალხი“ არაფერს წააგებს, პირიქით, მოიგებს, რადგან ჩვენში უცხოელი კაპიტალისტები არიან და ჩვენებურები კი თითოოროლა. და ეს მით უფრო საჭიროა, რომ ჩვენი ერის მაღალ წოდების და ბურჟუაზიის სიმდიდრე უჩინარია, სომხებისა კი თვალსაჩინო და „თანამედროვე პირობებში, ერთა ბრძოლის კითხვაში, ამ პატარა (სომხის) გუნდის სიმდიდრეს დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან იგი არა მარტო თავის ხალხის, არამედ სხვის ხალხის (ქართველების) დასამონავებელ იარაღად ხდება ხოლმე“. რა ჰგონია მკითხველს, რა გამოიყვანა ბ. ჟორდანიამ ამ ჩვენის სიტყვებიდან? ის, რასაც ჩვენ სომხებზე ვამბობდით, ავტორმა თავის წერილში ქართველებზე გვათქმევინა. „ქართველმა ბურჟუაზიამ უნდა დაიმონოსო, ხსნის ავტორი ჩვენს სიტყვებს, არა მარტო ქართველი ხალხი, არამედ უცხონიცო“. და ამ აზრის დასამტკიცებლად ავტორს სიტყვა-სიტყვით მოჰყავს ზემოდ დაწერილი ჩვენი ციტატა, მხოლოდ

ისე მოჰყავს, რომ მკითხველს დაანახვოს, ვითომ ჩვენ გვაქვს სახეში ქართველი ბურჟუაზია და არა სომხური. და, გათამამებული ამგვარ აზრის დამახინჯებით, დასძენს: „რაკი ჯორჯაძემ „თავის ხალხის“ დამონების საშუალება აღმოაჩინა, მერე შეუდგა „სხვისი ხალხის“ დამონების საქმის მოწყობას. ეს „სხვისი ხალხი“ სომხებიაო“ (№ 25). ჩვენ არ გვეგონა, რომ ბ. ჟორდანია, რომელიც ავად თუ კარგად „კვალს“ მეთაურობს, რომელიც პასუხისმგებელია თავის მკითხველების წინაშე, არ გვეგონა, რომ ბ. ნ. ჟორდანია, რომელიც მიგვაჩნდა, მიუხედავად ჩვენ შორის აზრის განხეთქილებისა, გულწრფელ კაცად, ჩაიდენდა ამგვარ არასაკადრის საქციელს: თავის მკითხველის ადვილი სიამოვნებისთვის, თავის შეუცდომ-

ლობის განმტკიცებისათვის, ჩვენი დამცირებისათვის მან ცი-
ლის წამებას მიჰმართა და ამით ყველაზე უფრო, რასაკვირვე-
ლია, თავისი თავი დაამცირა და თავის მკითხველიც შეურაცხ-
ჰყო. ბ. ჟორდანიას ჰქონდა ერთად ერთი განზრახვა, – ხალ-
ხისთვის დაემტკიცებინა, რომ ჩვენ ვიცავთ ბურჟუაზულ ინ-
ტერესებს და რომ ამისათვის „ხალხი“, ჩვენს თვალში, მასა-
ლად და იარაღად გამოდგება პატარა გუნდის (ბურჟუაზიის)
კეთილდღეობის გასაღონიერებლად. და რაკი ამ აზრის დასა-
საბუთებლად ავტორმა ჩვენს წერილებში ვერაფერი ვერა ნახა,
მან სიტყვების დამახინჯებას და ცილის წამებას მიჰმართა...

ზემოდ მოყვანილ ციტატებიდან მკითხველი ნათლად დაი-
ნახავს, საითკენ მიიწევს ჩვენი გული, რამდენად მართალია ის,
რომ არსებითი ხასიათი ჩვენი ნაწერებისა ბურჟუაზიის გამძ-
ლავრებაა და ხალხის დამონავება. მხოლოდ ამ წერილის ბო-
ლოში მოვიგონოთ ის, რაცა ვსთქვით ჩვენს ეროვნულს
გაერთიანებაზე და რაც კიდევ ერთხელ დაანახვებს მკითხველს,
რომ ჩვენი ეროვნება უნდა იყოს აშენებული უმრავლესობის
(მშრომელი ხალხის) კეთილდღეობაზე: „ეკონომიური წინა-
აღმდეგობის დაფარვა ჩვენს დროში შეუძლებელია. თუ ძვე-
ლად ეს წინააღმდეგობა ხშირად შეუგნებელი იყო, ჩვენ დრო-
ში იგი აშკარა შეიქმნა ხალხისათვის. მხოლოდ ჩვენი დროის
უპირატესობა კიდევ იმაშია, რომ ჩვენ მეტი პოლიტიკური
სიმწიფე დაგვეტყო.. ამისათვის ვეცადნეთ, რამდენადაც კი
ღონე შეგვწევს, ჩვენი ხალხი ნივთიერად გავაღონიეროთ და
მითი შეუმსუბუქოთ ეკონომიური წინააღმდეგობის სასტიკი

ზედ-გავლენა. მხოლოდ ამ ჩვენს ცდაში ყოველთვის ვიქონიოთ
მხედველობაში ის, რომ ზოგიერთ პირობებში, ერის ერთია-
ნობა და განუყოფელობა მეტის კეთილდღეობის თავდებია,
ვიდრე მისი დანაწილება, დაქუცმაცება“. აგრეთვე „თუ
გვსურს ჩვენს ეროვნებას მკვიდრი საფუძველი დავუდოთ, მი-
ვაქციოთ ჩვენი უმთავრესი ყურადღება იმ გარემოებას, რომ
ჩვენი სოფლის მწარმოებელი არ არის დამყარებული იმ მი-
წაზედ, რომელსაც იგი ამუშავებს და რომელიც საქართ-
ველოს ტერიტორიას შეიცავს. დავეხმაროთ გლეხ-კაცობას მი-
წის შეძენის საქმეში“.

ჩვენ მოკლედ გავუმეორეთ მკითხველს დედა-აზრი ჩვენი
ნაწერებისა. დავანახვეთ მას ნამდვილი ხასიათი ჩვენის აზრე-
ბისა; არ გავყევით კვალდაკვალ ბ. ჟორდანიას და არ შევუ-
დექით იმის დარღვევას, რის დარღვევაც საჭირო არ იყო.
ჩვენ მხოლოდ უარ-ვყავით ის ნიადაგი, რომელზედაც დაყენე-
ბა მოგვინდომა ბ. ჟორდანიამ; არ გავყევით ავტორის აზრის

მსვლელობას, რადგან იგი ყალბ დებულებიდამ გამოდიოდა, რადგან ის გაღებულ კარებს აწვებოდა და ქარის წისქვილის ფრთებს ეომებოდა. ბ. ჟორდანიამ ბურჟუად მოგვნათლა, ეს იყო საჭირო მისი „დემოკრატიზმის“ გამტკიცებისათვის. მხოლოდ ამ თავის მოუფიქრებელ ცდაში გამოააშკარავა: ა) რომ მას არ ესმის ბურჟუაზიის არსებითი ხასიათი და ბ) რომ თავის დემოკრატიზმს უფრო ფრაზეოლოგიასა და ხალხის დასისინებაზედ აშენებს, ვიდრე ამ ხალხის ნამდვილ, შეურყეველს ინტერესების ნიადაგზედ. ჩვენ თამამად და გაბედვით ვამბობთ (და არც გვეშინიან, რომ ჩვენი სიტყვები თავ-მოწონებაში ჩამოგვერთვას), რომ ბ. ჟორდანიას, თუ მართლა აწუხებდა ჩვენი ხალხის მდგომარეობა, ჩვენთვის ხელი უნდა გამოეწოდა და მხარი მოეცა. ხოლო მან ზურგი შეგვიბრუნა…

ჩვენ არ ვიტყვით, რომ ამ ზურგის მიქცევით არა დაუშავდება-რა იმას, რასაც ჩვენ „საერთო მოღვაწეობას“ ვუწოდებთ. მხოლოდ ამითი მაინცა და მაინც არ დაგვეკარგება ნიადაგი ამ მოღვაწეობისათვის. ჩვენი ხალხის და საზოგადოების საღი ნაწილის იმედი უნდა გვქონდეს – იქიდან აღმოცენდება ის, რაც არის საჭირო ჩვენის ეროვნულ აღორძინებისათვის.

მხოლოდ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ჩვენ ჩვენის ნაწერებით პასუხისმგებელნი ვიქნებით გამოფხიზლებულ ერის წინაშე.

X. ისტორიული მატერილიზმის გამო.

I.

ზოგიერთ მეცნიერულ ცრუმორწმუნეობას აქვს დიდი ზედგავლენა ადამიანთა მოქმედებაზე. ამგვარ ზედ-გავლენის ნიმუშს ჩვენ ვპოულობთ ისტორიულ მატერიალიზმის მოძღვრებაში. ხშირად ადამიანთა პრაქტიკულ მოქმედებას უკავშირებენ ამ მოძღვრებას და მით, ჩვენის აზრით, ამ მოქმედებას ფეხს უკრავენ და, საზოგადოთ, დიდ ვნებას აძლევენ.

რა არის ისტორიული მატერიალიზმი? მოკლედ ამ მცნების განმარტება ამგვარია: ისტორია – მოვლენათა ცვლილებაა. ამ ცვლილებას უნდა ჰქონდეს თავისი მოძრავი მიზეზი. რა არის ეს მიზეზი? წარმოებითი ურთიერთობა, მატერია (ნივთი), – ამბობენ ისტორიკოს-მატერიალისტები. რანაირი პროცესსი? ცხოვრების მოვლენათა და ფორმათა ცვლილების პროცესსი? დამოკიდებულია იგი ადამიანის ანუ გარეშე ძალის სურვილისაგან (სუბიექტიურია), თუ დამოუკიდებელია ამისაგან

(ობიექტიურია)? ეს პროცესსი გარეშე ძალისაგან, ადამიანთა სურვილისაგან დამოუკიდებელი, ობიექტიური პროცესსიაო, – ამბობენ მატერიალისტები. მხოლოდ, აქვს თუ არა ამ კაცისაგან დამოუკიდებელ ცხოვრების ობიექტიურ პროცესს რაიმე განსაზღვრული მიზანი, ლტოლვილება, მიმართულება? არა, ობიექტირი ცხოვრების პროცესსი ექვემდებარება აუცილებლობის კანონს. მას არავითარი მიზანი და ლტოლვილება არა აქვს. მაშასადამე, ამ პროცესსის დაფასებაში სიტყვა „ავი და – კარგი“ არ უნდა იხმარებოდეს. შეიძლება ეს პროცესსი **შემთხვევით** იმგვარი გამოდგეს, რასაც ადამიანთათვის შეხედულებით სიტყვას „კარგს“ უწოდებს, შეიძლება ამ შემთხვევის თამაშობამ კაცს სიტყვა „ავი“ ათქმევინოს. მხოლოდ ორსავე შემთხვევაში ეს ადამიანის დაფასებაა მოვლენისა, და არა თვით მოვლენის არსებითი თვისება. ამნაირია მოკლედ ისტორიულ მატერიალიზმის მოძღვრება.

ჩვენ არ შევდივართ ეხლა იმის გამოკვლევაში, რამდე-

ნად სამართლიანია ასეთი ისტორიულ პროცესსის განმარტება. ვსთქვათ, ეს ისტორიული მოძღვრება საფუძვლიანია და შეურყეველი. რა **პრაქტიკული** მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს ამ განმარტებას ადამიანთა პრაქტიკულ მოქმედებისათვის? ამ აზრის გარკვევისათვის ვიხელმძღვანელოთ შემდეგის მოსაზრებით.

ყოველი ადამიანი „ავს“ „კარგისაგან“ არჩევს. ზოგიერთ საქციელს ამართლებს, ზოგიერთს – ჰკიცხავს. ყოველ ადამიანს, რომელსაც განუსაზღვრავს ავი კარგისაგან, ამ კარგისაკენ აქვს მიდრეკილება (რადგან, როგორც ზოგიერთი მეცნიერი ამბობს, კარგთან დაკავშირებულია სიამოვნება, ავთან უსიამოვნება, რადგან (მეორე რჯულის მეცნიერები) კაცში გროვდება ფიზიკური და ზნეობრივი ღონე და ამ ღონეს გასაღება ესაჭიროება და ამ გასაღების შედეგი – „კარგია“). რაც ითქმის ერთ ადამიანზე, ისევე ითქმის გონიერ ადამიანთა კრებულზედ – ინტელიგენციიზედ. ყოველ ინტელიგენციას აქვს განსაზღვრული დაფასება კარგისა და ცუდისა – და როგორც კერძო კაცს აქვს განმარტებული ცხოვრების მიზანი და იდეალი, ავ-კარგიანობის გამოკვლევაზედ დაფუძნებული, ისე გონიერ ადამიანთა კრებულს ინტელიგენციას აქვს ცხოვრების მიზანი, რომლისკენაც იგი მიისწრაფვის. მაშ, რა ნიადაგზე უნდა დაუკავშირდეს ადამიანის (ანუ ადამიანთა კრებულის, ინტელიგენციის) მიზანშეწონილი, სუბიექტიური მიდრეკილება ცხოვრების უმიზნო (უაზრო) ობიექტიურ პროცესს? ანუ რაში მდგომარეობს ინტელიგენციის მოვალეობა ამ ობიექტურ ცხოვრების მოვლენათა ცვლილების წინაშე?

მატერიალისტები ამბობენ, ინტელიგენციის პირველი მოვალეობაა ამ პროცესსის ახსნა და შეგნება, ხოლო მეორე მისი მოვალეობაა, ამ პროცესსის მსვლელობას შეუწყოს თავისი მოქმედება და მით მისი მოძრაობა და ცვლილება შეუმსუბუქოს. ინტელიგენცია, შეიგნებს რა იგი ობიექტიურ (უმიზნო და უაზრო) ცხოვრების პროცესსის ხასიათს, თავის პრაქტიკულ მოქმედებას ამ აუცილებელ მოვლენათა მსვლელობაზე ამყარებს და მისი მოღვაწეობის პროგრამა მასზეა დაფუძნებული.

მხოლოდ ჩვენა ვნახეთ, რომ კაცს და იმის მოქმედებას აზრი, მიზანი და ლტოლვილება უნდა ჰქონდეს, ცხოვრების ობიექტიურ პროცესს კი არავითარი აზრი, მიზანი და ლტოლ-

ვილება არა აქვს. როგორ და რაგვარად შეესაბამება ერთი მეორეს? როგორ და რაგვარად დავუქვემდებარებთ ჩვენს მოქმედებას უაზრო და უმიზნო ცხოვრების პროცესს? რად შეუწყობთ ხელს ამ პროცესსის მსვლელობის აჩქარებას, როდესაც არ ვიცით, სად მიგვიყვანს ამ პროცესსის განვითარება? გონიერი კაცი მზადაა დაეხმაროს ცხოვრების ფორმათა ცვლილებას, მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი დარწმუნებულია, რომ ახალი შეცვლილი ფორმა **უკეთესია** ძველზედ, წინააღმდეგ შემთხვევაში, ე. ი. როდესაც ის არ არის დარწმუნებული, რა შინაარსის ცვლილება მოხდება მომავალში, მისი გონიერება უარ-ჰყოფს ითანამშრომლოს რაღაც უაზრო და უმიზნო მოვლენის დამყარებისათვის. ისტორიული მეცნიერება (მატერიალისტური) ამბობს – ფეოდალიზმს **აუცილებლად** მოსდევს ბურჟუაზული ხანა, ამ უკანასკნელს სოციალური და ამასთან იმასაც ამბობს, რომ ამ ცვლილებას წინდაწინ განსაზღვრული მიზანი არა აქვს და რომ ერთი ხანა იცვლება მეორე ხანად იმიტომ კი არა, რომ ეს მეორე ხანა **უკეთესი**, უმჯობესი ყოფილიყოს პირველ ხანაზე, არამედ მხოლოდ იმიტომ, რომ ამნაირი ცვლილება აუცილებლად საჭირო არის გარემოების და დროს მიხედვით. მხოლოდ როდესაც გონიერი ადამიანი ხელს უწყობს ამ პროცესსის მსვლელობას, ორში ერთია, ან ეს ცვლილება, მის თვალში, საჭიროა იმის (ადამიანის) რაიმე მიზნის განხორციელებისათვის, ან მას (ცვლილებას) თავის თავად აქვს რაიმე აზრი და მიზანი. ორსავე შემთხვევაში ირღვევა ობიექტური, უმიზნო და უაზრო ხასიათი ცხოვრების მსვლელობისა.

მაშასადამე, რადგან გონიერი ადამიანის მოქმედება აზრიანი და მიზან-შეწონილი მოქმედება უნდა იყოს და რადგან ცხოვრების მიმდინარეობა ამ აზრს და გონებას მოკლებულია,

ამისათვის გონიერ ადამიანსა და ცხოვრებას შორის უნდა მოხდეს შეტაკება და წინააღმდეგობა. და ამ წინააღმდეგობის თავიდან აცილება-მოსპობა ერთად-ერთ საშუალებით შეიძლება – საჭიროა ისტორიულ პროცესსის განმარტების გადასინჯვა და კაცთა ცხოვრების ობიექტურ, კაცისაგან დამოუკიდებელ პროცესსის უარ-ყოფა. საჭიროა იმ აზრის განმტკიცება, რომ ადამიანის როლი საზოგადოებრივ ცხოვრებაში ურმის თვლის სოლს კი არ მიაგავს, არამედ თვით ურმის თვალს და რომ

მის მოქმედებას შემოქმედებითი ძალა აქვს და მის ზნეობას თავისი საკუთარი მმოძრავი ხასიათი. ასე რომ ინტელიგენციის მოქმედებას ეძლევა მკვიდრი ნიადაგი მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი განთავისუფლებულია ცხოვრების ვითომდა ობიექტური (დამოუკიდებელია უაზრო და უმიზნო) პროცესსის მონობისაგან. და ამგვარ მონობის გაუქმება ზოგიერთ „მეცნიერულ ცრუ-მორწმუნეობის“ დარღვევაზეა დაფუძნებული.

2.

წინა წერილში ჩვენ ვამბობდით: როდესაც ადამიანი ხელს უწყობს ცხოვრების პროცესსის მსვლელობას, ორში ერთია, ან ეს ცვლილება, მის თვალში, საჭიროა იმის (ადამიანის) რაიმე მიზნის განხორციელებისათვის, ან მას (ცვლილებას) თავის თავად აქვს რაიმე აზრი და მიზანი. ორსავე შემთხვევაში ირღვევა ობიექტური და უაზრო ხასიათი ცხოვრების მსვლელობისა.

მხოლოდ ამ წერილში ჩვენ გვსურს ამავე საგანს სხვა მხრივადაც შევეხოთ. გვინდა მკითხველს დავანახვოთ, რომ ეგრედ წოდებული „ობიექტური ცხოვრების პროცესსი“ მეცნიერული ცნება არ არის, არამედ წმინდა მეტაფიზიკური. გვინდა აგრეთვე დავანახვოთ მას, რომ ისტორიული მატერიალიზმი **ლოღიკურად** არ არის დაკავშირებული მარქსის ეკონომიურ მოძღვრებასთან, ე. ი. სოციოლოგიაში შეიძლება კაცი მატერიალისტი იყოს, ეკონომიურ კითხვებში კი „მარქსიზმის“ წინააღმდეგი.

როდესაც ისტორიულ მატერიალიზმზე ჩამოვარდება ხოლმე სჯა-ბაასი, საჭიროა მივიღოთ მხედველობაში ის, თუ როგორ გადაწყდა მეცნიერებაში ფილოსოფიურ მატერიალიზმის სვე-ბედი, რადგან ისტორიული მატერიალიზმი ლოღიკური დასკვნაა და პრაქტიკული განხორციელება ფილოსოფიური მატერიალიზმისა.

რა არის ფილოსოფიური მატერიალიზმი? ერთადერთი

საგანი, რომელიც თავის თავად, ადამიანის დამოუკიდებლად არსებობს, არის მატერია (ნივთი). მატერია უტყუარი სინამდვილეა, უკანასკნელი ცხოვრების ძირითადი საფუძველია. მატერია სიცოცხლის დასაწყისია, გრძნობიერების და აზროვნე-

ბის მიზეზია. მატერია უპირობო აბსოლუტური სუბსტანციაა, ამბობენ- მატერიალისტები.

მეცნიერულია თუ არა მატერიალიზმის ამგვარი განმარტება? მეცნიერულ ცოდნას მხოლოდ ის ცოდნა შეადგენს, რომელიც ექვემდებარება განსაზღვრულ პირობებს. ყველა იმას, რაც ადამიანს თავში მოუვა, მეცნიერულ ცოდნას ვერ ვუწოდებთ. ყოველ მეცნიერებას თავისი საგანი უნდა ჰქონდეს. ეს საგანი პირობითი საგანია და არა აბსოლუტური. ამისათვის, სუბსტანცია (საგნის არსებითი ხასიათი) მეცნიერებიდან განდევნილია. განდევნილია აგრეთვე მეცნიერებიდან პირველ ყოფილ მიზეზის ცნება. საგანი მეცნიერულ გამოკვლევისა ცხოვრების **მოვლენაა** და არა სუბსტანცია. ერთი მოვლენა დაკავშირებულია მეორე მოვლენასთან; ერთი მოვლენა შეიძლება მიზეზად ჩაითვალოს მეორე მოვლენისა. მხოლოდ მეცნიერება არ გვაძლევს უფლებას ვსთქვათ, რომ ამ მოვლენათა ძირითადი, პირველი საფუძველი ეს არის, თუ ის.

მაშასადამე, ფილოსოფიური მატერიალიზმის დებულება მეცნიერული დებულება არ არის, რადგან იგი მატერიას ხდის ცხოვრების დასაბამ მიზეზად, რადგან მატერია, მისს განმარტებით, უბრალო მოვლენა – ანუ ადამიანის წარმოდგენა კი არ არის, არამედ უტყუარი სინამდვილეა, უკანასკნელი, ცხოვრების ძირითადი საფუძველია (სუბსტანცია). ფილოსოფიურ მატერიალიზმს შემოაქვს მეცნიერებაში ორი ცნება – პირველ-ყოფილი მიზეზი და სუბსტანცია. ორივე მცნება გამოცდილებაზე დამყარებულ ცოდნად არ ჩაითვლება და იმგვარი ცნება კი, რომელიც ადამიანის გამოცდილების გარეშე არის, ეკუთვნის მეტაფიზიკას, ხოლო ამ მეტაფიზიკის დამამტკიცებელ საბუთებს დოგმატურ საბუთებს უწოდებენ. ასე, რომ ფილოსოფიურ მატერიალიზმს აქვს დოგმატურ მეტაფიზიკის ნიშანდობლივი ხასიათი.

ხოლო, რა კავშირი აქვს ისტორიულ მატერიალიზმს ფილოსოფიურ მატერიალიზმთან? ისტორიკოს-მატერიალისტები თავის თეორიას ფილოსოფიურ მატერიალიზმზე ამყარებენ. ისტორიული პროცესსი ობიექტური, კაცისაგან დამოუკიდებელი პროცესსიაო. იგი თავის თავად არსებობს და მას აქვს **აბსოლუტური** ხასიათი. ეს აბსოლუტური ხასიათი იმაში გამოიხატება, რომ ადამიანს არავითარ ცვლილების მოხდენა არ

ძალ-უძს ამ პროცესსის მსვლელობაში. ასე რომ, როგორც ფილოსოფიურ მატერიალიზმის განმარტებით, იმის ობიექტს (საგანს) მატერია (ნივთი) შეადგენს, რომელიც სიცოცხლის უკანასკნელ საფუძვლად და უტყუარ ჭეშმარიტებად ჩაითვლება, ისე ისტორიულ მატერიალიზმის საგანს ცხოვრების ობიექტური, კაცისაგან დამოუკიდებელი პროცესსი შეადგენს მხოლოდ ამ მეორე შემთხვევაში, მატერიალური ცხოვრების პროცესსი წარმოებითი ურთი-ერთობის პროცესსია. როგორც პირველ შემთხვევაში (ფილოსოფიურ მატერიალიზმში) მატერიაა პირველყოფილი სიცოცხლის მიზეზი, ისე მეორეში (ისტორიულ მატერიალიზმში) ეკონომიური (წარმოებითი) ურთიერთობაა მიზეზი საზოგადოებრივ ცხოვრებისა და ყველა იმისა, რასაც კულტურას უწოდებენ.

მატერიის აღიარება ცხოვრების უტყუარ სინამდვილედ, აბსოლუტურ ჭეშმარიტებად, სიცოცხლის პირველყოფილ მიზეზად – მეცნიერებამ დოგმატურ აზროვნებად იცნო, ხოლო ეკონომიურ ურთიერთობის, ობიექტური, კაცისაგან დამოუკიდებელი პროცესსი, როგორც მიზეზი და **უკანასკნელი** საფუძველი კულტურისა, ამავე ხასიათის აზროვნებაა.

თანამედროვე ფსიხო-ფიზიოლოგიამ უარ-ჰყო მონისტური ხასიათი მეტაფიზიკურ ფსიხოლოგიისა. მისის განმარტებით, არც **სულია** მიზეზი და დასაწყისი ცხოვრებისა, არც **მატერია**. ორივე ჰიპოტეზა წმინდა მეტაფიზიკური ჰიპოტეზაა და, მაშასადამე, როგორც დოგმატი მეცნიერებიდან უნდა იყოს განდევნილი. აგრეთვე თანამედროვე მეცნიერული სოციოლოგია უარჰყოფს ისტორიულ მონიზმსაც – იდეალურია ეს მონიზმი თუ მატერიალური. მისის განმარტებით, როგორც ის ჰიპოტეზაა უსაფუძვლო, რომელიც კულტურას და საზოგადოდ იდეოლოგიურ ფაქტორს ხდის მთელ საზოგადოებრივ წესწყობილების მიზეზად, ისევე უსაფუძვლოა მეორე ჰიპოტეზაც, რომელიც კულტურულ ცხოვრებას (ზნეს, რელიგიას, კანონმდებლობას, ფილოსოფიას და სხვ.) ეკონომიურ ურთიერთობის შედეგად, „ზედნაშენად“ სთვლის. სინამდვილეში ორსავე ცხოვრების ფაქტორს (კულტურას და წარმოებითი ურთი-ერთობას) თანაბარი ადგილი უჭირავს და ერთის – მეორის მიზეზად ჩათვლა შეუწყწარებელია .

ამგვარია ნამდვილ მეცნიერების დასკვნა, რომელიც უარ-ჰყოფს დოგმატს – პირველყოფილ მიზეზს, აბსოლუტს და სუბ-

სტანციას (საგნის ძირითად, არსებით შეგნებას). ნამდვილი მეცნიერება ყოველთვის ფრთხილი და თავდაჭერილია. იგი ხელს ავლებს მხოლოდ იმ საგანს, რომლის გაგება და განმარტება მის ხელშია. იგი არ ამაყობს, ზოგიერთ პუბლიცისტებივით, და თავი არ მოსწონს იმით, რის დამტკიცება არ ძალუძს.

3.

ამ წერილის მეორე საკითხი ამგვარია: არის თუ არა ისტორიული მატერიალიზმი ლოღიკურად დაკავშირებული „მარქსის ეკონომიურ“ სწავლასთან თუ ამგვარი კავშირი არსებობს, მაშინ ყოველი „მარქსისტი“ იმავე დროს „მატერიალისტია“; თუ ამგვარი კავშირი არ არსებობს, „მარქსისტი“ შეიძლება „იდეალისტიც“ იყოს, შეიძლება ის არც „იდეალისტად“, არც „მატერიალისტად“ არ მოინათლოს.

ჩვენ ვერიდებით მეცნიერთა და ფილოსოფოსთა ციტატების მოყვანას და აღნუსხვას სხვილ-სხვილ დიდ-ტანიან წიგნებისას. ჩვენ შევამჩნიეთ, რომ უმეტესს შემთხვევაში ჩვენი პუბლიცისტები ხმარობენ ამ იარაღს (უცხოელ მწერლების მოწმობას რომელიმე აზრის დასამტკიცებლად) მკითხველის დასაშინებლად და არა საგნის გამოსარკვევად. ჩვენ გვაქვს სახეში ის „მწიგნობრივი ტერრორიზმი“, რომელსაც საფუძვლად უფრო თავმოყვარეობა უდევს ვიდრე კითხვის გარკვევის სურვილი. უაზრობა ადვილად ითვისებს ხოლმე რომელიმე ავტორიტეტის ქვეშევრდომობას და ადვილად იკეთებს ბუდეს იმის მფარველობის ქვეშ.

უწინარეს ყოვლისა უნდა აღვნიშნოთ, რომ ისტორიული მატერიალიზმი წმინდა ისტორიული კონცეპციაა და სოციოლოგიის ერთ ნაწილს შეადგენს. „მარქსიზმი“ კი წმინდა ეკონომიური დოკტრინაა (მოძღვრება), რომლის არსებითი ხასიათი ორ დებულებაში გამოისახება: ა) კაპიტალის კონცენტრაციაში და ბ) ზედმეტი ღირებულების თეორიაში. ეკონომიური ცხოვრების შესწავლამ შეიძლება ამ ორ თეორიის მომხრეთ გაგვხადოს, შეიძლება ჩვენ სრულიად ვეთანხმებოდეთ იმ დასკვნას, რომელიც გამომდინარეობს ამ ორ დებულები-

დან, ხოლო ყველა ეს **ლოღიკურად** არ არის დაკავშირებული ამა თუ იმ ისტორიულ შეხედულებასთან. მართალია, მარქსი და მისი მიმდევარნი (ენგელსი და კაუცკი) სცდილობდნენ, დაეკავშირებინათ წმინდა სოციოლოგიური პრობლემა ეკონომიურ მოძღვრებასთან, მაგრამ მარქსმა თავის „zur-kritik-ის

წინასიტყვაობაში, კაპიტალის პირველ თავში, მანიფესტში, პრუდონის შესახებ საპასუხო წიგნში და სხვა ნაწერებში ვერ დაასაბუთა და დაამტკიცა ამნაირი ორ პრობლემის ლოღიკურ დაკავშირების აუცილებლობა და ეს კითხვა ისეთივე გადაუწყვეტელი დარჩა მის მართლმადიდებელ მიმდევართა ხელშიაც. ენგელსმა და კაუცკიმ თავიანთ ისტორიკო-სოციოლოგიურ ნაწერებში ვერც ერთი ახალი საბუთი ვერ წამოაყენეს ამ კითხვის საბოლოოდ გადასაწყვეტად. ჩვენის აზრით, ამ კითხვას მეტის ცოდნით, გამბედავობით და ღონით ისევ მარქსის წინამორბედი ფეიერბახი მოეკიდა, რომელმაც ხელი ჩასჭიდა სიცოცხლის უძნელესს პრობლემის გარკვევას – ის ეცადა რელიგიური და ზნეობრივი იდეები მატერიალურად აესხნა, ამ იდეების მიზეზი ეპოვნა ხალხის მატერიალურ ვითარებაში. ხოლო, ვიმეორებთ, ვერც ენგელსის სოციოლოგიურმა ნაწერებმა, ვერც ისტორიის ზედა-პირულმა გადასინჯვამ კაუცკის მიერ, ვერც ფეიერბახის მძლავრმა ფილოსოფიურმა მეტოდმა ვერ მოუღეს ბოლო იმ მრავალგვარ მოსაზრებებს, რომელნიც იბადებიან თავში ამ ნაირად კითხვის გადაწყვეტის წინააღმდეგ. ასე, რომ მთელი ისტორიის შინაარსის დაკავშირება ეკონომიურ ურთიერთობასთან ჯერ კიდევ დაუმტკიცებელ პრობლემად დარჩა სოციოლოგიურ ლიტერატურაში და ასეც უნდა მომხდარიყო, რადგან ერთის მოვლენის განკერძოვება და ამ განკერძოვებულ მოვლენის დანარჩენ მოვლენათა პირველყოფილ მიზეზად ჩათვლა შეუძლებელია. მხოლოდ, მიუხედავად ამისა, ხალხის ეკონომიური ურთიერთობა თავის განსაკუთრებულ კანონს ექვემდებარება. ამ ურთიერთობის შეცვლა დამოკიდებულია ხალხის წარმოებითი ძალების ზრდაზედ. ამ წარმოებითი ძალების ზრდამ შეიძლება იმნაირი მიმართულება მიიღოს, რომელსაც ადამიანმა თავის ენაზედ „კაპიტალის კონცენტრაციად“ უწოდოს ანუ, პირიქით, კაპიტალის დეცენტრალიზაციად (დაქუცმაცებად). მხოლოდ ამ წარმოებით ძალღონის მსვლელობის და ცვლილების თეორიას არავითარი ლოღიკური კავშირი არა

აქვს ამა თუ იმ ისტორიულ მოძღვრებასთან. ჯერ არავის არ დაუმტკიცებია, რომ ხალხის ეკონომიური ურთიერთობა მიზეზია ამა თუ იმ თვისების და ზომის კულტურის გაჩენისა. არც ის დაუმტკიცებია ვისმეს, რომ კულტურა „ზედ-ნაშენი“ (პოლიტიკური მმართველობა, ზნე-ჩვეულება, რელიგია, ფილოსოფია და სხვა) ეკონომიურ წარმოებითი ურთიერთობის განვითარების პირველი და უკანასკნელი მიზეზი ყოფილიყოს.

თუ ეს ასეა, შეიძლება ისტორიულ კითხვებში კაცი „იდეალისტი“ იყოს, ხოლო ეკონომიურ კითხვების გადაწყვეტაში

კი „მარქსისტი“. აგრეთვე შეიძლება სოციალიზმის წინააღმდეგი (ეკონომიურ კითხვებში) ისტორიულ პროცესსის ახსნაში მატერიალისტად სახავდეს თავის თავს,

ამ გვარად ჩვენ ვნახეთ, რომ ისტორიულ მატერიალიზმის მეტოდოლოგია არა მეცნიერული მეტოდოლოგიაა, აგრეთვე ვნახეთ, რომ ისტორიული პრობლემა ლოღიკურად არ არის დაკავშირებული ამა თუ იმ ეკონომიურ მოძღვრებასთან

4.

თუმცა „ივერია“ წინააღმდეგია „სოციალურ თეორიების განყენებულ კვლევა-ძიებისა“, ჩვენ მაინც გვსურს დავაბოლოვოთ საუბარი ამ ფრიად საყურადღებო კითხვებზე. და თუ ამ ჩვენს საუბარს ცოტა არ იყოს აქვს განყენებული ხასიათი, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენ გვაქვს საქმე გერმანელ მწერლებთან, რომელთათვის „განყენებული საუბარი“ ჩვეულებრივი სტიქიონია. თუ შეხვედით იმათ აზრების გარკვევაში, თქვენც უნებლიეთ უნდა დაემორჩილოთ განსაზღვრულ სიტყვიერებას, ურომლოდაც მწერლის აზრი გაუგებარი დარჩება მკითხველისათვის.

ამისათვის ნურას უკაცრავად, მკითხველო: გავსინჯოთ ამ წერილში ის, თუ რამდენად შესაწყნარებელია ისტორიულ მეცნიერებაში „დიალექტიკის“ შემოღება და რამდენად მეცნიერულია მარქსისაგან მოწონებული ჰეგელის „დიალექტური მეთოდი“.

მარქსის დიალექტურ განვითარების აზრის გასაგებად საჭიროა რამდენიმე სიტყვით აღვნიშნოთ ის, თუ როგორ ესმოდა ჰეგელს ისტორიის განვითარების პროცესსი. რა ამოძ-

რავებს ცხოვრებას, რა არის ცვალებადობის უმთავრესი მიზეზი? არსებობს, ამბობს ჰეგელი, ღვთაებრივი სული, „მსოფლიო ისტორიული სული“, რომელიც მუდამ მოძრაობაშია. ბუნება მხოლოდ სარკეა ამ სულის, ამ აბსოლუტუო ცნებისა, იმ გვარი სარკეა, რომელშიაც გამოისახება (გამოიჭვრეტება) სულის, იდეის თვისება. მხოლოდ, როგორც ვსთქვით, ეს აბსოლუტური სული მუდამ მოძრაობაშია. და ამ „სულის“, იდეის განვითარება იმგვარია, რომ იგი ერთსა და იმავე დროს „ჰო“საც ამტკიცებს, და „არა“საც. როდესაც იგი „ჰო“ს ამტკიცებს, ეს „ტეზისის“ დაყენებას მოასწავებს, როდესაც „არა“ს – „ანტიტეზისისას“. მხოლოდ „ტეზისი“ და „ანტიტეზისი“ (ჰო და არა) ხელმეორედ) „ჰო“ში – „სინტეზში“ ერთდება.

ამგვარ აზრის, იდეის განვითარებას ჰეგელი „დიალექ-
ტურ“ განვითარებას უწოდებს. და ეს დიალექტური განვი-
თარება არის მხოლოდ ცნების თვითგანვითარება (саморазви-
тіе понятія). მხოლოდ ბუნება სარკეა აბსოლუტურ იდეისა,
იდეის დაახლოვებითი გამოსახვაა, ამისათვის ბუნებასაც უნდა
ეტყობოდეს დიალექტურ მოძრაობის პრცესსი. ამა თუ
იმ მოვლენის არსებობა ბუნებაში – „ტეზისია“; მხოლოდ მოვ-
ლენა ვითარდება, სხვაფერდება და თანდათან სრულებით
იცვლება, ეს არსებულ მოვლენის უარ-ყოფა „ანტიტეზისია“.
და ეს ახლად წარმოშობილი მოვლენა იმავე კანონს ექვემდე-
ბარება და თავის მხრითაც იცვლება და გამოიხატება კიდევ
ახლად გაჩენილ მოვლენაში – ეს სინტეზია (უარყოფა უარ-
ყოფისა (отричаніе отрицанія).

არ უნდა დავივიწყოთ, რომ უკანასკნელი და უმთავრესი
მიზეზი ამ მოძრაობისა, ჰეგელის შეხედულებით, „მსოფლიო
ისტორიული სულია“ და დიალექტური (ბუნების და ცხოვრე-
ბის) პროცესს პროცესსია ცნების თვით-განვითარებისა (само-
развитіе понятія). ბუნებასა და ცხოვრებას ამ მეტაფიზიკურ
აზრის მოგზაურობის ბეჭედი აზის.

როგორც ვხედავთ ჰეგელის „დიალექტიკა“ წმინდა მეტა-
ფიზიკური ცნებაა, რადგან იგია განყენებული, ჯერ კიდევ და-
უმტკიცებელ აზრის განსაზღვრული განვითარება. აბსოლუ-
ტურ იდეის არსებობის დამტკიცება იყო საჭირო და მერე შე-
იძლებოდა ლაპარაკი იმაზე, თუ რა რიგად და რა გზით ვი-

თარდება ეს იდეა. ამაშია ჰეგელის „დიალექტიკის“ არა-მეც-
ნიერული ხასიათი. რაიცა შეეხება ბუნებაში გადმოტანილ
„დიალექტიკას“, ეს აზრი ხომ სრულებით შეუწყნარებელია
ბედნიერებისათვის, რადგან, ჰეგელის შეხედულებით, ბუნება
მკრთალი გამომსახველია იდეისა და მას (ბუნებას) აზის ბეჭე-
დი ამ მეტაფიზიკურ აზრის მოგზაურობისა.

როგორ და რაში გამოიყენა მარქსმა ეს მეცნიერებაში
ყოვლად გამოუსადეგი თეორია?

მარქსი და ინგელსი ამტკიცებდნენ, რომ ცხოვრება კი არ
არის „სულის“ და იდეის გამოხატვა, არამედ თვით ეს იდეა
და ცნებაა ცხოვრების გამოსახვა და განმარტება. ამისათვის,
დიალექტური პროცესსი, მაგათ თვალში, ცნების და იდეის
განვითარების პროცესსი კი არ არის, არამედ თვით ცხოვრე-
ბისა. ცნების დიალექტიკა (діалектика понятія) ცხოვრების
დიალექტურ მოძრაობის ცნობიერ რეფლექსად ჩაითვლება (сдѣ-
лалась сознательнымъ рефлексомъ діалектическаго дви-
женія дѣйствительнаго міра). მარქსმა „ყირაზე მდგარი

ჰეგელის დიალექტიკა გადმოაბრუნა და ფეხზე დააყენაო“, ამ-ბობს ენგელსი. მხოლოდ დიალექტიკის „ფეხზე დაყენება“ ად-ვილი საქმე არ არის, დასძენს ბერნშტეინი. მართლაც, რაშია ამ დიალექტიკის „ფეხზე დაყენების" სიძნელე?

რა არის ცხოვრების დიალექტური განვითარება, მარქსის განმარტებით? ცხოვრება და ბუნება, ის, რასაც ჩვენ თვალით ვხედავთ, მოვლენათა სამეფოა. ერთი მოვლენა მეორე მოვ-ლენის მიზეზიც არის, შედეგიც. მიზეზია იგი იმ დრომდე, სა-ნამ პირველი მოვლენა განვითარებაში არ შევა და ამ განვი-თარებაში ძალით არ გადაიქმნება, თავის თავს არ უარ-ჰყოფს და შედეგად არ გადაიქცევა. მხოლოდ შედეგად გადაქცეული ახალი მოვლენა იწყებს იმავე მოძრაობას და ჯერ მიზეზის როლს ასრულებს, მერე ისევ ახალ შედეგად ხდება ხოლმე. ასე განუწყვეტლივ.

მოვლენათა ამგვარი ცვალებადობა და მრავალგვარობა დაფუძნებულია იმ ფილოსოფიურ დებულებაზე, რომლის ძა-ლითაც ბუნებაში და ცხოვრებაში ვითამდა და ყოველთვის რა-ოდენობა თვისებად იქცევა ხოლმე (количество переходитъ въ качество). მართლაც, ერთი თვისების მოვლენა ვითარდე-ბა და ამ ვითარების შედეგი ამ მოვლენის უარ-ყოფაა და **ახა-**

ლი თვისების მოვლენის შექმნა. რა არის ეს პროცესსი, თუ არ რაოდენობის თვისებად ქცევა? რაოდენობა ბუნებაში და ცხოვრებაში თვისებად ყოველთვის და ყოველ შემთხვევაში იქ-ცევაო, ამბობდა ჰეგელი. ამასვე იმეორებს მარქსიც და ცხოვ-რების დიალექტურ პროცესს სწორედ ამ ვითამდა მეცნიერულ კანონზე ამყარებს.

მხოლოდ, მართლა ეგრეა ცხოვრებაში და ბუნებაში? **ცხო-ველთა სამეფოში** ერთი ოჯახის ცხოველი, დროთა განმავ-ლობაში, ბუნებრივ შერჩევის და სხვა პირობათა ძალით, ვი-თარდება და ხშირად ფორმასაც იცვლის, მხოლოდ ამ ფორ-მის შეცვლას **აქვს თავისი საზღვარი**: ერთი ოჯახის ცხოვე-ლი, რაც უნდა გადასხვაფერდეს მისი ფორმა, თავის დღეში ისე არ შეიცვლება, რომ თავისი ოჯახის თვისებები დაჰკარ-გოს. კაჭკაჭი, მაგალითად, შეიძლება, დროთა განმავლობაში, სხვა ფრინველს დაემგზავსოს, მხოლოდ თავის დღეში იგი ძრო-ხად არ იქცევა. ბუნების მეტყველებაში ამგვარი გადასხვაფე-რება შეუწყნარებელია. რაკი ეს ასეა, მაშ ისიც არ ყოფილა მართალი, ვითომ რაოდენობა ყოველთვის თვისებად იქცევა ხოლმე.

ფსიხო-ფიზიოლოგიამ დაამტკიცა, რომ ადამიანში ორ-ნაირი პროცესსია – ფსიხიური და ფიზიკური. ერთი პროცესსი

ხშირად მეორე პროცესსის მიზეზია, მხოლოდ **არასოდეს** ფსიხიური პროცესსი არ გადადის ფიზიკურში და არც ფიზიკური ფსიხიურში. ფიზიკურ პროცესსის გადასვლა ფსიხიურში ხომ ენერგიის დაკარგვას მოასწავებდა და დაარღვევდა ენერგიის შენახვის კანონს. მხოლოდ მეცნიერებაში ეს კანონი შეურყეველ კანონად ითვლება. მაშასადამე, იგი აუქმებს იმ მოსაზრებას, ვითომ შესაძლებელი ყოფილიყოს ფიზიკურ ენერგიის ფსიხიურ ენერგიად ქცევა. და თუ ეს ასეა, მაშ ფსიხო-ფიზიოლოგიაშიაც არ მართლდება ის ჰიპოტეზა, რომ რაოდენობა ყოველ შემთხვევაში შეიძლება თვისებად იქცეს ხოლმე. ასე, რომ ეს კანონი არ მართლდება არც ბიოლოგიაში, არც ფიზიკაში, ამიტომაც ის, რაც ჰეგელს და მარქსს შეუცდომელ ჭეშმარიტებად მიაჩნდათ, ამგვარი ჭეშმარიტება არ ყოფილა და, რადგან ეს „ცრუ ჭეშმარიტება“ დიალექტურ პროცესს საფუძვლად უდევს, ამისათვის ამ დიალექტურ პროცესსაც აქვს ამნაირი ყალბი და შეუწყნარებელი ხასიათი. ირღვევა-რა დი-

ალექტურ პროცესის ფილოსოფიური განმარტება, არ შეიძლება არ დაირღვეს ის სოციოლოგიური შენობაც, რომელსაც „დიალექტურ მატერიალიზმს“ უწოდებენ მარქსი და ენგელსი.

ამ სამ წერილში ჩვენ მოკლედ, სქემატიურად, აღვნიშნეთ ზოგიერთი სუსტი მხარე „მარქსიზმისა“, ამ მოძღვრების სოციოლოგიური ნაწილისა. ჩვენ ვნახეთ, რომ ადამიანის პრაქტიკული მოქმედება მოითხოვს ასპარეზის სიფართოვეს და ის ვერ დაექვემდებარება ობიექტურ, კაცისაგან დამოუკიდებელ უმიზნო და უაზრო ცხოვრების ცვალებადობას. ვნახეთ აგრეთვე, რომ მარქსის ისტორიული პრობლემა არა მეცნიერულ, მეტაფიზიკურ საძირკველზეა აგებული და რომ მისგან მოწონებული „დიალექტური მეთოდი“ ჰაეროვან აზროვნების სამეფოს ეკუთვნის.

ამ სამ კითხვას შემდეგში ჩვენ უფრო ვრცლად შევეხებით. ამ წერილის დასასრულებლად კი მხოლოდ იმას ვიტყვით, რომ შეხედულება მარქსის სოციოლოგიურ პრობლემაზე, ამ პრობლემის სისუსტის გამოაშკარავება, არ გვიშლის მივიღოთ მისი ზოგიერთ ეკონომიურ კითხვების განმარტება, როგორიცაა, მაგალითად, შრომის და კაპიტალის წინააღმდეგობის კითხვა და ამ წინააღმდეგობის გაუქმებისათვის შრომის გასაზოგადოებრივების საჭიროება. ამას ჩვენ იმიტომ ვამბობთ, რათა ხელმეორედ მოვაგონოთ მკითხველს, რომ ისტორიული და საზოგადოებრივი კითხვები ლოღიკურად არ არიან დაკავშირებულნი ეკონომიურ ცხოვრების ამა თუ იმ განმარტებასთან.

XI. თვით-მოქმედებაზე.

ყოველ საზოგადოებას უნდა ჰქონდეს შეგნებული ის სულიერი ძალ-ღონე, რომლითაც არის ის მდიდარი. და საზოგადოების სიმდიდრე იმის თვით-მოქმედებაშია. მას აქვს უნარი დამოუკიდებელ მოქმედებისათვის, თავის ცხოვრების იმგვარ მოწესრიგებისათვის, როგორიც საუკეთესოა და გამოსადეგი მისთვის. საზოგადოების სიმაგრე-სიმტკიცე თვით მოქმედების აზრის და გრძნობის გამტკიცებაში გამოისახება ხოლმე. ამისათვის საჭიროა ყველა იმ საშუალების თავიდან აცილება, რაც

კი ავნებს და დააზიანებს თვით-მოქმედების აზრის გაღონიერებას.

ამ საზოგადო მოსაზრებიდან უნდა გამოირკვეს ორი რამ. საჭიროა, რომ ქართველმა საზოგადოებამ შეიგნოს, რომ მას აქვს ის სულიერი ძალ-ღონე, რაიც ხდის მას ბრძოლაში გამოსადეგ საზოგადოებად. აგრეთვე, შეიგნებს რა ამ თავის ძალ-ღონეს, საჭიროა, რომ ის ერიდოს და უფრთხოდეს ყოველ იმ საშუალებას, რის ხმარებითაც მას შეუმცირდება თვით-მოქმედების უნარი.

პრაქტიკულ ნიადაგზე რომ გადმოვიტანოთ ეს ჩვენი ზოგადი მოსაზრება, საჭიროა ანგარიში გავუწიოთ ჩვენის ცხოვრების უსაჭიროეს კითხვებს. მაგალითად, ქალაქის თვით-მმართველობის საქმეების გამო შეტაკება ხდება ხოლმე სომხებსა და ქართველებს შუა. ადმინისტრაციას ამ საქმეშე ჩარევა ჰსურს. როგორ უნდა მოიქცნენ ქართველები? ისარგებლონ ადმინისტრაციის დახმარებით, თუ უარჰყონ იგი? ჩვენის აზრით, ქართველმა საზოგადოებამ დამოუკიდებლად უნდა გაიკვლიოს გზა და ერიდოს ყოველ გარეშე ძალის დახმარებას, რადგან ამ დახმარებას ხელოვნური ხასიათი ექნება და არა ბუნებრივი. საზოგადოებრივ საქმეებში ჩვენი ჩამორჩენა გამოწვეულია ჩვენის საერთო ეკონომიური ცხოვრების ჩამორჩენით. ადმინისტრაცია, რაც უნდა გულ-კეთილი იყოს მისი განზრახვა, ვერ მოშლის, ვერ გააუქმებს ამ ჩვენის დაქვეითების მიზეზს. მაშასადამე, მის დახმარებას არავითარი მნიშვნელობა არ ექმნება. ამ ჩარევით იგი შეამცირებს საზოგადოებაში თვით-მოქმედების სურვილს, დაუბადავს მას სხნის იმედის გრძნობას და მით შეუხუთავს ზნეობრივ ენერგიას და გამრჯელობას.

მეორე მაგალითი. ვსთქვათ, აღუკრძალეს უცხოელებს ჩვენი მამულების შესყიდვა. გვეშველება რამ ამით, თუ არა,

როგორ უნდა მიეგებოთ ამგვარ გარდაწყვეტილებას? აქაც, როგორც პირველ შემთხვევაში, გარეშე ძალა თავის აღკრძალვით ვერ მოსპობს ძირითად მიზეზს ჩვენის ეკონომიურად დაქვეითებისას. თუ მემამულე იქამდე მივიდა, რომ მან ვეღარ შეინახა მამული, ვეღარ აუვიდა იმის შემუშავებისათვის საჭირო ხარჯს, მამულის გაყიდვის „აღკრძალვა“ მას ვერ უშველის, ვერ დააყენებს მკვიდრ ნიადაგზე. ხალხის ეკონომიური სიმდიდრე დამყარებულია იმის წარმოებითი ძალების ზრდაზე.

ამ ძალების ზრდას აქვს თავისი საკუთარი ბუნება და თვისება. გარეშე ძალის აღკრძალვა და „ნებართვა“ წარმოებითი ძალის ზრდის მსვლელობას საბოლოოდ ვერ მოსპობს. ასე რომ გარეშე ძალის ამ საქმეში ჩარევას იგივე უნაყოფო შედეგი მოჰყვება და აქაც ვერ გამოვიყენებთ მას ჩვენდა სასარგებლოდ.

მაშასადამე, აქაც, როგორც პირველ შემთხვევაში, სხვა ელემენტის ჩარევა საზოგადოების თვით-მოქმედების უარყოფაა და ამისათვის არა სასურველი ჩვენთვის.

XII. თვით-მოქმედების შიშის ზარი.

როცა კაცი დასუსტდება და დაუძლურდება, ის სხვას შეჰყურებს და სხვის იმედით სულდგმულებს. როდესაკ კაცი ცხოვრების მიზანს დაჰკარგავს და რწმენა გაუქარწყლდება, ტრიალებს აღშფოთებული და სხვას უყურებს თვალებში, ეგება სხვამ მიშველოს რამეო.

ჩვენ, ქართველებს, სწორედ ამ დაუძლურებულ და სასოება-დაკარგულ ადამიანის ელფერი დაგვედო. მოვიღალენით, თუ დავლაჩრდით, არ ვიცი, მხოლოდ ჩვენი თავისა აღარა გვჯერა, არ ვიცით, რის გაკეთება შეგვიძლიან, რის არა, არ ვიცით, რაზე დავამყაროთ ჩვანი იმედი. თითქოს ცხოვრების მიზანი დაგვეკარგა და აღარ გვესმის, რას უნდა ვემსახუროთ და რა დავგმოთ!

ჩვენ, უილაჯო კაცივით და გაწკეპილ მყეფარივით, ვღმუით და შიშით და კანკალით ვუსმენთ თვით-მოქმედების აზრის გამტკიცების საჭიროებაზე საუბარს. ეს აზრი გვეუცხოვება, ისე გადავეჩვიენით დამოუკიდებელ მოქმედებას, ისე ცოტა გვაქვს ჩვენი თავის იმედი და ისე დაბნეულია, ჩვენს თვალ ში, სავალი გზა.

ამ გვარი აზრები უნებლიეთ მოგვდის თავში, როცა ყურს ვუგდებთ იმ საუბარს, რომელიც გამოიწვია ჩვენს საზოგადოებაში ერთმა ჩვენ გაზეთში დაბეჭდილმა პატარა მეთაურმა თვით-მოქმედების შესახებ: ამ საგულისხმიერო საგანს

ჩვენ ვუბრუნდებით და ვამხელთ, რომ ის ხელ-მოუწერელი წერილი ჩვენ მიერ იყო დაწერილი.

ახლა, როგორც წინა წერილში, ჩვენ ვიმეორებთ: გვე-

ყოფა ყავარჯნებით სიარული, დროა წელში გავიმართოთ, დროა გავიგოთ, რომ ჩვენი ეკონომიური და ეროვნული ცხოვრების გაღონიერება **ერთად ერ**თ ჩვენს ცდაზე, ენერგია-ზე, მეცადინეობაზე და მხნეობაზე არის დამყარებული. სხვას ნუ შევყურებთ თვალებში, ნუ მოველოდებით იმას, რის მო-ლოდინი ბავშვობად ჩამოგვერთმევა, ნუ გავიტეხთ გულს და ნუ ამოვშლით იმის სიღრმიდან სურვილს და ნატვრას უკეთე-სის მომავლისას!

გონიერმა კაცმა ყოველის გარემოებით უნდა ისარგებ-ლოს თავის თავის სასარგებლოდო, გვეუბნებიან ჩვენ. ჩვენ, ქართველებმაც უნდა მოვიხმაროთ გარეშე ძალა ჩვენდა სასარ-გებლოდო.

ჩვენ ვშიშობთ, ეს მოსაზრება უფრო უილაჯობის შედეგი არ იყოს, ვიდრე გონივრულად გამოანგარიშებული ტაქტიკა. ვშიშობთ, რომ აზრის სიღრმეში არ იხიზნებოდეს ჩვენი დროის სულმოკლეობა, ის დაძაბუნებული სულის მდგომარეობა, რო-დესაც კაცს ორის ნაბიჯის გაკეთება არ შეუძლიან სხვის და-უხმარებლად.

ადამიანი, რაც უფრო გონიერება ემატება მას, მეტს თვით-მოქმედებას იჩენს და უფრო აფართოვებს თავისუფლების ფარგალს. მოვიგონოთ ველური კაცი, რომლის გონება და-შინებული იყო მრავალგვარ მძლავრ ბუნების მოვლენებით, რა მხდალი და ფეხშეკრულია მისი მოქმედება, ის მხოლოდ იმის ცდაშია, რომ არ გაარისხოს მისგან შეუგნებელი გარეშე ძალა, რომლის ხელშია მისი სვე-ბედი. მოვიგონოთ ის, რომ ეს ველური კაცი, შედის რა წარმატებაში, იგებს და ხსნის იმას, რაც წინად გაუგებარი იყო მისთვის და ამის საშუალე-ბით შეიგნებს თავის თავის უპირატესობას, გარეშე, წინად გაუგებარ საიდუმლო ძალების გავლენისაგან გამოდის და მით აფართოვებს თავის მოქმედების ასპარეზს.

მოვიგონოთ ისიც, რომ კაცმა, დროთა მსვლელობაში, სახელმწიფო პირობებში დაიწყო ცხოვრება და ეს სახელმწი-ფო თავის ძალდატანებითი უფლებით მეორე ღმერთად მი-აჩნდა მას. და რომ, ამავე დროთა მსვლელობაში, მან შეიგნო ნამდვილი ძალმომრეობითი ფუნქცია სახელმწიფოსი და ამას-თან ის აზრიც, რომ მას, გონიერ ადამიანს, აქვს უნარი თა-

ვისი შინაური ცხოვრების მოწყობისა და ამისათვის საჭირო იყო გაეკვლია დამოუკიდებელ თვით-მოქმედების ნიადაგი.

ყველა ეს უნდა გვახსოვდეს. მხოლოდ, უწინარეს ყოვლისა, აღბეჭდოთ ჩვენს გონებაში ის აზრი, რომ, თუ ჩვენ თვითონ არ ვუშველეთ ჩვენ თავს, სხვისი იმედი არ უნდა გვქონდეს, რადგან სიცოცხლის უფლება მხოლოდ იმას ენიჭება, ვისაც აქვს ცხოვრებისათვის საჭირო იარაღი – თავის თავის რწმენა და დამოუკიდებელი მოქმედების უნარი.

ჩივილსა და წუწუნს კი თავი დავანებოთ. თუ რამე გაგვიკეთებია ერთი საუკუნის განმავლობაში, თვით-მოქმედებით გავაკეთეთ და ახლაც ისევ იმავე თვით-მოქმედების გზას დავადგეთ.

XIII. ხალხის მოღალატეობაზე.

წარმოიდგინეთ თქვენ გაქვთ ამა და ამ კაცთან კარგი მეგობრული განწყობილება. ეს მეგობრული განწყობილება თავდებია იმისი, რომ თქვენ, მიუხედავად აზრის უთანხმოებისა, ყოველთვის პატივსა სცემთ ერთმანეთს. წარმოიდგინეთ, ეს თქვენი მეგობრული კავშირი შეჰშურდა მესამე კაცს და ამ მესამე კაცმა მოინდომა, რაც გახდეს გახდეს, თქვენი მეგობრობის დარღვევა და ამ მიზნის მისაღწევად ეუბნება თქვენს მოყვარეს, რომ თქვენ მისი მტერი ხართ და მისი ბედნიერება კი არ გინდათ, არამედ დაღუპვა და უბედურება. რა სახელს უწოდებთ ამ ბოროტ-განზრახვას, ამ თქვენის მეგობრულ განწყობილების დამშლელ და დამრღვეველ ავ კაცს? შინაურ ცხოვრებაში, ყველგან და ყოველთვის, ყოველ ხალხში და ყოველ საზოგადოებაში, ამგვარ საქციელს ჰგმობენ, ჰკიცხავენ და სდევნიან და ამგვარ კაცს ცრუს, ცილის-მწამებელს, შურიანის სახელს არქმევენ. ასე არის ადამიანთა ცხოვრების განწყობილებაში.

მაშ, თუ ამგვარი საქციელში გასაკიცხია კერძო ცხოვრებაში და ამგვარი კაცი – დასაგმობი, როგორ მოხდა, რომ ამავე მოვლენას არამც თუ არავინ არ უკიჟინებს საზოგადოებრივ ლიტერატურულ ასპარეზზე, თუ პირ-იქით, საპატიო ადგილსაც აძლევს? თუ ცილისწამება, სიცრუე და განზრახ აკვიატებუ-

ლი აზრის გავრცელება საზიზღარ და სამარცხვინო საქმედ მიგვაჩნია კერძო ცხოვრების განწყობილებაში, რატომ არ ვდევნით ამგვარ ურცხვობას ლიტერატურიდამ, იმ საზოგადო ასპარეზიდამ, რომელიც წმინდა ტაძრად უნდა მიგვაჩნდეს ყვე-

ლას, დიდსა და პატარას, რადგან აქ, ამ ტაძარში, იხსნება ჩვენი გონება, აქ ვეჩვევით კარგის დაფასებას და ავის გმობას, აქ ვითარდება ჩვენი ფაქიზი გულის ყური, გრძნობიერი და მიუდგომელ ჭეშმარიტების მხსნელი. ან იქნება საჯარო ცილისწამება და ურცხვობა ცილის-წამებად და ურცხვობად აღარ მიგვაჩნია?..

ამგვარი ფიქრები მოგვდის ჩვენ, ვუკვირდებით რა ჩვენებურ „პოლემიკის“ წეს-რიგს. ეს რამდენიმე თვეა, რაც დავიწყე წერა ქართულ ჟურნალ-გაზეთებში. ჩვენ ვამბობდით იმას, რასაც ვგრძნობდით. არ დავიკვეხებთ, რომ ყოველი ჩვენი აზრი შეუცდომელია-მეთქი. მხოლოდ, რასაც ვამბობდით, ბოროტ-განზრახვით არ მოგვდიოდა. ვინც ჩვენ არ გვეთანხმებოდა, შეეძლო ჩვენი აზრის შესწორება, დარღვევა. ჩვენც, შეძლებისამებრ, დავაფასებდით ამ შესწორებას და თუ მართლა დავინახავდით ჩვენ შეცდომას არ გავუჯივუტდებოდით და საჯაროდ გამოვაქვეყნებდით ამ შეცდომას. ასე უნდა მოვქცეულიყავით, თუ რომ მართლა ჭეშმარიტებას ვემსახურებოდით და არ ვავარჯიშებდით პიროვნულ თავმომწონეობას.

მაგრამ, ჩვენდა გასაკვირველად, ჩვენ კრიტიკას და აზრის დაფასებას კი არ შევეჯახეთ, არამედ აკვიატებულ წინდაწინვე მოფიქრებულ ცილისწამების სისტემას. ჩვენ ვნახეთ, რომ ჩვენს მოპირდპაირეებს გულში ჩახედვის და იქ გაჩხრეკის სურვილი აწუხებთ და სხვა არაფერი, ვნახეთ, რომ ამ თავიანთ გამოძიების ოქმში ის კი არ აღუნუსხავთ, რაც ნახეს, არამედ ის და მხოლოდ ის, რაც მათ ჰსურდათ.

ჩვენ წერილებში გამოვსთქვით ჩვენი შეხედულება ინტელიგენციაზედ და ხალხის მდგომარეობაზედ. ვსთქვათ, შემცდარი ვართ, როცა ვამბობთ, რომ ჩვენი ხალხის დიდი უმრავლესობა ჯერ კიდევ გაუნათლებელია[1]), ვსთქვათ, იმაშიაც ვართ შემცდარ როდესაც ვამბობთ, რომ ჩვენი ხალხი მოკლებულია ზოგიერთ უსაჭიროეს ცხოვრების პირობებს და

[1]) გაუნათლებლობა უგუნურებას არ ნიშნავს.

რომ ამისათვის უდროოდ მიგვაჩნია ლაპარაკი „დემოკრატიზმზედ“ იმ ხალხში, სადაც ჯერ მოქალაქობრივობაც არ არის გამტკიცებული, სადაც დღესაც სოფლის დედაკაცები რიყეზედ დაათრევენ გუთნებს და გოლვის მოსასპობად ამ ველურ წესით ევედრებიან ღმერთს; ვსთქვათ, ვსცდებით, როდესაც ვამბობთ, რომ ინტელიგენცია, განურჩევლად წოდებისა, ხალხის გონიერებაა და რომ ამ განმარტების ძალით, **გონიერი ხალხის** ნაწილიც ისეთსავე ინტელიგენციას შეადგენს, როგორც

სხვა კლასების და წოდების პირნი; ვსთქვათ, ყველა ამაში ვსცდებოდით, – მაგრამ, ნუ დავივიწყებთ, რომ შემცდარი აზრი ერთია, ბოროტი განზრახვა – მეორე. როდესაც ჩვენზე ამბობენ, ვითომ ჩვენ ხალხს უგუნურების ჭურჭელს და ბრიყვ ბრბოს ვუწოდებთ, ეს არამც თუ სიცრუვეა, ეს დაბეზღებაა, სწორედ იმ ხასიათის დაბეზღება, რომელსაც ჩვენ ვგმობთ კერძო ცხოვრების განწყობილებაში. როდესაც ჩვენზე ამბობენ, რომ ჩვენ ხალხთან დაახლოვება „უხერხული, არა ბუნებრივი და კომიკური დაახლოვება“, ჩვენ ამ სიტყვებში აღშფოთებულ შურიანობას ვხედავთ; ვხედავთ აგრეთვე ხალხის უპატივცემლობას, რადგან ამ სიტყვებში რაღაც დემაგოგობის უფლების დაკარგვის ეჭვი გამოიჭვრიტება და ხალხის უნდობლობა.

გვეყოფა ამოდენა მიეთ-მოეთობა. ამ მიეთ-მოეთობამ დაგვახრჩო, სული შეგვიხუთა. გვეყოფა სიტყვების თამაშობა და „ხალხის მოღალატეობაზედ“ ყვირილი.

ხალხი თვითონ გაარჩევს, თვითონ გაიგებს, ვინც არის მისი მტერი და ვინც – მოყვარე. აზრის უთანხმოება მტრობას და ღალატობას არ მოასწავებს. ჩვენს მოპირდაპირეებს კი ჰსურთ დააჯერონ ხალხი, რომ ყველა, ვინც „კვალი“ს პუბლიცისტებს არ ეთანხმება, ხალხის მოღალატეა და მისი მტერი. ხალხის გონიერი ნაწილი ამას ვერ დაიჯერებს.

XIV. სახალხო სამკითხველოებზე.

ჩვენ ვერ გაგვიგია, რა დანიშნულება აქვს „სამკითხველ - ლოს“, სასახლის ქუჩაზე რომ იმყოფება. თუ „სახალხოა“ ის, ყველა დაგვეთანხმება, რომ სასახლის ქუჩაზე ამ დაწესებულე-

ბას ადგილი არა აქვს. თუ სახალხო არ არის, რად აწერია ზედ „იაფ-ფასიანი სახალხო სიმკითხველო“.

„წერა-კითხვის საზოგადოებამ“, რომლის ინიციატივით იყო გახსნილი ეს სიმკითხველო და რომელიც იხდის ამ საქმისათვის საჭირო ხარჯს, უნდა მიაქციოს ყურადღება ამ გარემოებას და გადაიტანოს „სამკითხველო“ იქ, სადაც იგი აასრულებს თავის ნამდვილ დანიშნულებას – ავლაბარში, ან სხვა რომელიმე განაპირა უბანში.

ამ საქმისთვის დიდი ხარჯი არ მოუვა „საზოგადოებას“. ამ ჟამად „საზოგადოება“ იხდის სახლის ქირას (მაღაზიის, წიგნთსაცავის და სამკითხველოს, რომელიც მაღაზიის გვერდითაა) თოთხმეტ თუმანს. ამ ფულს რომ თვეში ერთი თუმანი დაუმატოს იქირავებს ოთახს განაპირა უბანში და იქ გა-

დაიტანს „სამკითხველოს“, რომელსაც მაშინ გაუჩნდება თავისი მკითხველი. მხოლოდ ის ოთახი, რომელშიაც ამჟამად „სამკითხველო“ იმყოფება, საზოგადოებასვე უნდა დარჩეს, რადგან აუცილებლად საჭიროა იქონიოს „საზოგადოებამ“ იმგვარი წიგნთ-საცავიანი მოწყობილი ოთახი, სადაც მეცადინეობა და შრომა შეიძლებოდეს ყველა იმათთვის, ვინც მოისურვებდა ჩვენი ძველი ხელთ-ნაწერების შესწავლას და გადასინჯვას იმ მასალისა, რომელიც „საზოგადოების“ წიგნთ-საცავში იმყოფება.

იმედია „წ. კ. საზოგადოება“ დაგვეთანხმება ამაში და „სახალხო სამკითხველოს“ გადაიტანს განაპირა უბანში და აასრულებინებს თავის დანიშნულებას და გაიჩენს სამუშაო ოთახს, რის საჭიროება დღითი დღემდე უფრო და უფრო აშკარავდება.

მხოლოდ ჩვენ გვინდა მივაქციოთ ყურადღება მეორე გარემოებაზედაც. ქუთაისში, ქალაქის შუა-გულში გახსნილია ამ გვარივე იაფ-ფასიანი სამკითხველო. ქალბატონი ელენე ჯინოვისა, ამ საქმის ინიციატორი, აგროვებს ფულს ამ სამკითხველოსათვის საკუთარ შენობის ასაგებად. ჩვენ გვგონია, რომ საქმისათვის ბევრად უფრო სასარგებლო იქნებოდა ამ ფულის სხვანაირად მოხმარება. ქუთაისის მთელ „გაღმა“ მხარეს, სადაც სცხოვრობს ქალაქის ღარიბი ნაწილი, არ აქვს არც ერთი ამგვარი დაწესებულება. საკუთარი შენობის აგება, ჩვენის აზრით, ქალაქის გულში არსებულ სამკითხველოსათვის უსაფუძვ-

ლო ფულის დაკარგვაა. სამკითხველო დაქირავებულ სახლშიაც კარგად იმოქმედებს. მხოლოდ იმ ფულით, რომელიც ამისათვის გროვდება, ქუთაისის განაპირა უბნებში რომ სახალხო სამკითხველოები გახსნილიყო, „ქუთაისის სახალხო საქმე“ ბევრს მოიგებდა.

იმედია, ქალბატონი ელენე ჯინოვისაც დაგვეთანხმება ჩვენ და თავის მეცადინეობით შეგროვილ ფულით გააცხოველებს სახალხო საქმის ვითარებას ქუთაისში.

ყველა ამის გარდა, ჩვენ გვინდა მოვაგონოთ „წ. კ. საზოგადოებას“, რომ აუცილებლად საჭიროა მეტის მხნეობის და მეცადინეობის გამოღება ხალხში წერა-კითხვის გავრცელების საქმეში. ზემოხსენებული ქუთაისის „გაღმა მხარე“ და ჩვენი ავლაბარი, ჩუღურეთი, ხარფუხი და სხვ. უბნები ელიან თავიანთ სამკითხველოებს. დავეშუროთ და საქმეს სახვალიოდ ნუ გადავდებთ.

XVI. ჩვენი მიმართულებანი.

ეჭვს გარეშეა, ჩვენ ყველანი ერთი აზრისანი და ერთის შეხედულებისანი არა ვართ. ეჭვს გარეშეა, ჩვენს აზრთა უთანხმოებას ერთის მხრით თვით ცხოვრება უძევს საფუძვლად, ხოლო მეორეს მხრით, ამ ცხოვრების სხვა და სხვა განმარტება-გარკვევა.

ჩვენი საზოგადოება და ჩვენი ხალხი, თავის საზოგადოებრივ აგებულებით, არ წარმოადგენს ერთს მარტივ მთელს, პირიქით, მისი სახე რთული და მრავალფეროვანია.

ჩვენი აზრთა უთანხმოება სწორედ ამ რთულ ცხოვრების ხასიათის ახსნა-გაგებაში იბადება. ერთი ნაწილი ჩვენის საზოგადოებისა ჰფიქრობს, რომ ჩვენში ინტერესთა წინააღმდეგობა არ არის, რომ ყველანი ერთსა და იმავე ეკონომიურ გაჭირვებულ მდგომარეობაში ვართ და რომ ამისათვის საჭიროა საერთოდ ერის განუყოფელად მოქმედება-მოღვაწეობა. მეორე ნაწილი საზოგადოებისა ამბობს, რომ ჩვენს ცხოვრებაში, სოფელსა და ქალაქში, ძირითადი ეკონომიური განხეთქილებაა და ინტერესთა წინააღმდეგობა და ამისათვის მოპირდაპირე ბანაკთა საერთო მოქმედება შეუძლებელიც არის და არა სასურ-

ველი. ხოლო მესამე ნაწილი საზოგადოებისა ჰფიქრობს, რომ **მიუხედავად** არსებულ ეკონომიურ ინტერესთა წინააღმდეგობისა, ჩვენში ნათლად ირკვევა ნიადაგი საერთო მოქმედებისათვის. ეს ნაწილი ჩვენის საზოგადოებისა არც იმათ ეთანხმება, ვითომც ჩვენი სხვა და სხვა წოდების ეკონომიური მდგომარეობა ერთი და იგივეა და ვითომ წოდებათა უთანხმოება არ არის ჩვენში, არც იმათ ეთანხმება, რომელნიც ამტკიცებენ, აქაო და ჩვენი ეკონომიური ინტერესები განსხვავდებიან, ამისათვის ჩვენის გონებიდან უნდა აღმოიფხვრას ყოველი აზრი საერთო მოღვაწეობისა.

ნამდვილი ხასიათი ჩვენის აზრთა უთახმოებისა სწორედ ამაში მდგომარეობს. ჩვენმა ცხოვრებამ დაჰბადა სამი მიმართულება. და სწორედ ამ სამ მიმართულების აზრი ტრიალებს ჩვენს საზოგადოებაში.

ისინი, ვინც ჰფიქრობენ, რომ ჩვენი მემამულე და გლეხი, ერთის მხრით, მოვაჭრე და მისი ნოქარი, მექარხნე და მუშა, მეორეს მხრით, ერთსა და იმავე ეკონომიურ პირობებში სცხოვრობენ და რომ ეს პირობები ყველასათვის **ერთნაირად** უნუგეშონი არიან, ისინი, ვინც არ ხედავენ ძირითად განსხვავებას სხვა და სხვა კლასის ეკონომიურ ცხოვრების პირობებში, ისინი თვალებ-ახვეულნი დადიან და არ ატყობენ და არ ამჩნევენ იმას, რასაც ჩვენი ცხოვრება ეუბნება მათ.

მხოლოდ ისინიც, ვინც ჩვენს ცხოვრებაში **მარტო** ჩვენს ეკონომიურ განხეთქილებაზე უთითებენ და ამ განხეთქილების მიხედვით უარ-ჰყოფენ საერთო მოქმედების ნიადაგს, იმავე ცალმხრივობას იჩინენ, როგორც პირველნი. მათ მხედველობაში არა აქვთ ზოგიერთ კითხვებში ჩვენი საერთო შეთანხმებული მოქმედების საჭიროება.

მესამე მიმართულების დედა-ძარღვი ქართველ ერის განსაკუთრებულ ცხოვრების პირობების გამოაშკარავებაა და ხაზგასმა. ამ „განსაკუთრებულ“ პირობებს ეს მიმართულება აძლევს უმთავრეს, უპირატეს მნიშვნელობას, რადგან, მისის აზრით, მასზეა დამოკიდებული არამც თუ ჩვენი ერის ჩამორჩენა, არამედ თვით მისი არსებობაც. თუ რაშიმე შეიძლება ჩვენი შეთანხმება, სწორედ ამ კითხვაში. თუ რითიმე გამართლდება დროებითი უყურადღებოდ დაგდება ჩვენი ეკონომიური

ცხოვრების წინააღმდეგობისა, ეს მხოლოდ ამ მოსაზრებითა და სხვა არაფრით.

ყველა ამისათვის, ამ სამ მიმართულების მომხრენი კარგად უნდა ჩაუკვირდნენ იმას, თუ რას ეუბნება მათ ცხოვრება, რის მომასწავებელია და რას ასწავლის იგი. ცხოვრება კი გვეუბნება ჩვენ, რომ არ დანახვა იმისი, რაც ყველასათვის თვალსაჩინოა, (ე. ი. უარყოფა ეკონომიურ ანტაგონიზმისა თვით ცხოვრების უარ-ყოფაა), ყოვლად შეუწყნარებელია ჩვენს დროში. ჩვენი ამ მხრივ ჯიუტობა, უძლური შეიქმნება ცხოვრების წინაშე, რომელიც თვითონ დაგვანახვებს იმას, რის დანახვაც არა გვსურს. მეორეს მხრით, იგივე ცხოვრება იმასაც გვეუბნება, რომ საჭიროა ჩვენი ხალხის უმრავლესობის კეთილდღეობას შევუწყოთ ხელი და ჩვენი მომავალი ამავე უმრავლესობის სულიერ და ხორციელ ჯანმრთელობაზე ავაშენოთ.

წინა წერილებში ვეცადეთ სქემატიურად გამოგვერკვია „საერთო მოქმედების ნიადაგი“. ბევრნი არ დაგვეთანხმნენ ამ ჩვენ მიერ მოქმედების ნიადაგის გათვალისწინების კითხვაში. მხოლოდ ამითი კითხვა მაინც გამოურკვეველი დარჩა. ამისათვის, საჭიროა ხელმეორედ დაუბრუნდეთ ამას და ერთხელ და საბოლოოდ გადავწყვიტოთ, მართლა აქვთ რაიმე საერთო ჩვენს მოპირდაპირეებს, თუ არა. თუ მათ აქვთ რაიმე საერთო, საჭიროა ნათლად გამორკვევა და დასახელება ამ „საერთოსი“. ხოლო, თუ ჩვენს მოკამათე ჯგუფებს არავითარი შემაკავშირებელი საგანი არა აქვთ, ესეც უნდა გავიგოთ ერთხელ – საბოლოოდ.

დეე, ვიბრძოლოთ და ვიკამათოთ ყველა იმაზე, რაშიაც ვერ შევთანხმდებით – ბრძოლა სიცოცხლის მომასწავებელია.

მხოლოდ ამასთან, ჩვენი ცხოვრების განსაკუთრებულ პირობების ძალდატანებით, გავმაგრდეთ იმ „საერთო ნიადაგზე“, რომელიც ამ ჟამად ბურუსით არის მოცული და რომლის გამორკვევა ასე საჭიროა ჩვენთვის.

ვინც ამ „ნიადაგის“ გამოაშკარავებას ხელს შეუწყობს, დიდ სამსახურს გაუწევს ჩვენს ეროვნულ თვით-ცნობიერების გამოფხიზლებას და გაღონიერებას.

XVI. სოფელი და ქალაქი.

1.

ფრიად საყურადღებო კითხვაა, თუ რა მოელის მომავალში სოფელს? ბევრსა ჰგონია, რომ სოფელი გადაგვარების გზაზეა დამდგარი და ეს გადაგვარება აუცილებელი საჭიროებაა ეკონომიურ ცხოვრების განვითარებისა. სოფლის გადაგვარება დაფუძნებულია შემდეგს მოსაზრებაზე.

მყარდება რა ამა თუ იმ ქვეყანაში კაპიტალისტური წესწყობილება, თავს იჩენს ფრიად შესამჩნევი მოვლენა: ბრძოლა იწყება წვრილ-ფეხა და დიდ მრეწველთა შორის, პატარა და დიდ კაპიტალთა შორის. ეს ბრძოლა ჩნდება როგორც ქალაქებში, ისე სოფლებშიაც. არსებითად ქალაქებში და სოფლებში ერთი და იგივე მოვლენა იჩენს თავს, მხოლოდ ერთი მოვლენა გარეგნობით განირჩევა მეორე მოვლენისაგან. ქალაქებში ჩვენ ვხედავთ სავაჭრო და სამრეწველო კაპიტალთა შეჯახებას და ქიშპობას, ხოლო სოფლებში სამეურნეო მიწადმფლობელების კაპიტალთა შორისო. ქალაქში დიდი კაპიტალი ჰყლაპავს პატარას, სოფელში დიდი მემამულე წვრილ-ფეხა მემამულესაო. ამ რიგად, ყველგან, ქალაქში და სოფელში, ხდება ეგრედ წოდებული, კონცენტრაცია კაპიტალისაო. ეს კონცენტრაცია, ესე იგი დიდი კაპიტალის პატარაზე გაბატონება და ამ პატარა კაპიტალის თანდათან გაუქმება თანამედროვე ეკონომიური ცხოვრებიოს განვითარების აუცილებელი პროცესსიაო. ამ პროცესსმა იქამდე უნდა მიგვიყვანოს, რომ ეკონომიურ ასპარეზზე დარჩება სულ მცირე რიცხვი მსხვილ-მსხვილ კაპიტალისტებისა, რომელნიც ერთი-ერთმანეთს შეეჯიბრებიან, შეებრძოლებიან, ამ ბრძოლაში ერთმანეთს გაანადგურებენ და ამ სახით უნებლიედ გააქარწყლებენ შრომის და კაპიტალის წინააღმდეგობასაო. ამ წინააღმდეგობის მოსპობას, რასაკვირველია, სხვა გარემოებაც შეუწყობს ხელს, – შრომის წარმომადგენელთა ორგანიზაცია და თვით-ცნობიერების მათში გაღვიძება, მხოლოდ ეს უკანასკნელი გარემოება იმდენად მეტად

იზრდება, რამდენადაც მეტს იჩენს თავს აღნიშნული შრომის და კაპიტალის წინააღმდეგობა, ე. ი. რამდენადაც მეტად და ძლიერად ხდება კაპიტალის კონცენტრაციაო (შეგროვება მცირე რიცხვის ხელში).

რომ შრომისა და კაპიტალის წინააღმდეგობა უნდა მოისპოს, ამაში ეჭვი არ არის, მხოლოდ ძალიან საეჭვოა, რომ ამ მოვლენას ბოლო მოეღება კაპიტალის ვითომდა კონცენტრაციის ძალით.

შემდეგ წერილში ჩვენ დავანახვებთ მკითხველს, რომ ხსენებული „კონცეტრაცია“ (კაპიტალის მცირე რიცხვთა ხელში შეგროვება) უფრო იდეოლოგთა ფანტაზიის ნაყოფია, ვიდრე ცხოვრების სინამდვილე. ციფირები დაგვარწმუნებენ, რომ იმისთანა კაპიტალისტურ ქვეყანაში, როგორიცაა ინგლისი, ამ ოცი, ოცდა ათი წლის განმავლობაში პატარა მრეწველობას საპატიო ადგილი დაუჭერია ეკონომიურ ასპარეზზე და ამ მრეწველობას არამც თუ გადაგვარების საფრთხე არ მოელის, პირიქით, მან მკვიდრი ფესვები გაიკეთა და ქიშპობასაც უწევს დიდ მრეწველობას.

ამ წერილში კი მივაქციოთ ყურადღება სხვა მოსაზრებას. წარმოიდგინეთ, ჩვენ დაგვაჯერეს, რომ პატარა მრეწველობას და წვრილფეხა მემამულეს არ აქვს მომავალი, რომ იგი დღეს თუ ხვალ გადაგვარდება; რა პრაქტიკული შედეგი უნდა მოჰყვეს ამას, როგორ უნდა მოვიქცეთ ამ ულმობელ ცხოვრების წინაშე? რასაკვარველია, ქედი უნდა მოვიხაროთ და, დავრწმუნდებით რა ამის აუცილებლობას, ხელიც უნდა შევუწყოთ ამ პროცესსის აჩქარებას. ამ შემთხვევაში, ჩვენი მოქმედება ქალაქებში იმაში გამოიხატება, რომ ჩვენ ხელსაც არ გავანძრევთ პატარა მრეწველთა დღეგრძელობისათვის, პირიქით, ფესვიანად აღმოვფხვრით მათ, რათა რაც შეიძლება მალე გაეცალონ ცხოვრებას და ადგილი დაუთმონ ყოვლად შემძლებელ მსხვილ-მსხვილ კაპიტალისტებს. სოფელში ჩვენ ვეცდებით ამავე აზრის განხორციელებას. ჩვენ არამც თუ არ მოვინდომებთ მიწად-მომქმედნი მიწაზე დავამკვიდროთ (ნადელების შესყიდვის პროცესსის გაადვილებით, მეურნეობის გაუმჯობესებით და სხვა), არამც თუ არ გავუწოდებთ ხელს წვრილ-ფეხა მემამულეებს (იაფფასიან კრედიტის, სინდიკატების და სხვ. ამნაირი დაწესებულების დაარსებით), პირ-იქით, ყოველ ღონისძიებას ვიხმართ, გავაღატაკოთ, მოვაშოროთ მიწას და სამუშაოს საძებნელად მსხვილ მემამულეს კარზე მივაყენოთ. ასე უნდა მოვიქცეთ, თუ დავრწმუნდით, რომ პატარა მესაკუთრის დაღუპვაზეა აშენებული ქვეყნის ხსნა. ამგვარი ჩვენი მოქმედე-

ბა ლოღიკური შედეგი იქნება ზემოდ აღნიშნული მოსაზრე-
ბისა.

ყველა ამისათვის, სანამ ჩვენ ასე თუ ისე მოვიქცეოდეთ, დაბეჯითებით უნდა შევიგნოთ ნამდვილი ხასიათი ეკონომიურ ცხოვრებისა. წინ და წინ აკვიატებული აზრი უნდა ამოვშალოთ გონებიდან, თორემ შეიძლება ჩვენს მოქმედებას იმისთანა მიმართულება მივცეთ, რომელიც ქვეყანას დიდ ვნებას მოუტანს.

ხუმრობა არ არის მილიონ-ნახევარ ხალხის გაღატაკება, მიწიდან მოშორება და მისი სვე-ბედი პრობლემატურ კაპიტალის კონცეტრაციაზე დამყარება. ხუმრობა არ არის ჩვენი სოფლების დაცარიელება და პატარა მემამულის და მიწად-მოქმედის მუშათა ძალად გარდაქმნა. და ჩვენ ხომ სწორედ ამ საქმეს უნდა შევუწყოთ ხელში, თუ დავრწმუნდებით, რომ ეკონომიურ ცხოვრების „კანონი“ მოითხოვს ამას: „კანონის“ ურჩობა ხომ უსაფუძვლო დაქსაქსვაა ღონისა. ასე რომ თავდაპირველად გამოვიკვლიოთ, მართლა აქვს ნიადაგი ამ „კანონს“ ცხოვრებაში, თუ იგი „მწიგნობართა“ ფანტაზიის ნაყოფია.

2.

როდესაც ორთქლის ძალა ქარხნების მუშაობაში შემოიღეს და მით მრეწველობის ზრდას ხელი შეუწყეს, აღმოჩნდა, რომ ხელით მომუშავეები შესამჩნევად ჩამორჩნენ ეკონომიურ ასპარეზზე და ქიშპობას ვეღარ უწევდნენ ოთოქლის ძალით მომუშავე ქარხნებს. ხელით მომუშავე პატარა მრეწველობამ ადგილი დაუთმო დიდ ორთქლით მომუშავე მწარმოებლობას. და პატარა მრეწველობის ჩამორჩენა ამ ხანაში მხოლოდ ამ გარემოებით აიხსნებოდა. ეს იყო გამარჯვება ტეხნიკური, ორთქლის გამარჯვება ხელით მომუშავეზე და არა დიდი მრეწველობისა პატარაზე.

გავიდა დრო და ამ დროის განმავლობაშიაც პატარა მრეწველობაც თანდათან ფეხზე წამოდგა. მხოლოდ, სანამ იგი გამაგრდებოდა და გვერდით ამოუდგებოდა დიდ მრეწველობას, ეკონომიურ ლიტერატურაში – ფურიერიდან და სენ-სიმონიდან მოყოლებული მარქს-ენგელსამდე გამეფებული იყო ის აზრი, ვითომ პატარა მრეწველობა წარსულის „ნაშთია“ და ამისა-

თვის წარმავალი და დროებითია: დიდი კაპიტალი შთანთქავს

მას. ამისათვის, პატარა მრეწველობაზე, პატარა მიწის მესაკუთრეებზე ზრუნვა და ფიქრი არა ღირს. რაც უფრო მალე გადაგვარდებიან და იმათი კვალი წაიშლება, იმდენად მეტს მოიგებს მსოფლიო ეკონომიური განვითარების საქმეო.

მხოლოდ, როგორც ვსთქვით, ცხოვრებამ არ გაამართლა ეს მოლოდინი, პირიქით, იმისთანა რამ დაგვანახვა, რამაც ამ საგანზე სრულიად უნდა შეგვაცვლევინოს ჩვენი აზრი.

ეკონომისტებს მოჰყავთ ხოლმე ცნობები ინგლისის ეკონომიურ ცხოვრებიდან იმ აზრის დასამტკიცებლად, ვითომ თანამედროვე ხანა დიდის მრეწველობის გაბატონების ხანაა. მაგრამ მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ 1890 წლამდე ინგლისში თითქმის არ არსებობს ოფიციალური სტატისტიკ. და აი ახალი კანონის დამტკიცებიდან შესახებ ცნობების შეკრებისა (The factory Act of 1895), ჩვენ გვაქვს ქარხნების ინსპექტორის უფროსისაგან შეგროვილი ოფიციალური ცნობები შესახებ მრეწველობის ვითარებისა ინგლისში. აი რას გვასწავლის ეს ცნობები [1]).

ზოგიერთ მრეწველობის დარგებში დიდ მრეწველობას საპატიო ადგილი უჭირავს. ამ მრეწველობაში იგულისხმება ვაგონების, გემების ამშენებელ და საზოგადოთ რკინეულობის ქარხნები. ამ მრეწველობაში საქმობს თითქმის 3,000,000 მუშა. მხოლოდ დიდ მრეწველობაშია ჩაყენებული მარტო 355,208 კაცი, ესე იგი – დიდი ქარხნების რიცხვი (ამ დარგში) 128, თითო ქარხანაში მუშაობს არა ნაკლებ 1000 კაცისა. ინგლისში 508 სპილენძის ჩამოსასხმელი ქარხანაა, თითო ქარხანაში 10 კაცზე ნაკლებს ამუშავებენ. საქიმიო ქარხანაში თითოში მუშაობს 29 კაცი. ამ ქარხნების რიცხვია 2000. საოჯახო ხის და რკინის ავეჯეულობის ქარხნების რიცხვი 968, თითოში ამუშავებენ 10 კაცს. სურსათის მოსამზადებელ ქარხნების რიცხვი 6,500, თითო ქარხანაში მუშაობს 18 მუშა. საღებავ ქარხნებში მუშაობს ათ-ათი კაცი, ქარხნების რიცხვი – 500. ბიციკლეტების (ველოსიპედების გამკეთებელი 46,000

[1]) ჩვენ ვხელმძღვანელობთ ერთის ინგლისურ წერილით, რომელშიაც შეგროვილია ეს ცნობები – The Small Industries o Britain. The Nineteenth Century 1900.

კაცი მუშაობს 1780 ქარხანაში. ერთის სიტყვით, ორთა შუა რიცხვის გამოანგარიშებით ერთი მესამედი (ე. ი. 830,260 კაცი) იმ მუშებისა, რომელნიც არა საფეიქრო მრეწველობაში საქმობენ, მუშაობენ 14,899 ქარხანაში, ასე, რომ თითო ქარხანას ხვდება 56 კაცი.

სტამბების, ლიტოგრაფიის, წიგნთ-საკაზმავების დარგში

დიდი მრეწველობაც სწარმოებს და პატარაც. ამ დარგის 6000 ქარხანაში მუშაობს 120,000 კაცი. ხოლო ათ-ათი კაცი მუშაობს 4219 სტამბაში. უნაგირების, ჩემოდნების და შჩოტკების გასაკეთებლად 130,000 კაცზე მეტი მუშაობს და სხვა და სხვა.

ამრიგად, ქარხნების უფროსს ინსპექტორის გამოანგარიშებით 4,800,000 მუშა კაცში დიდ ქარხნებში მხოლოდ ერთი მერვედია ჩაყენებული (თითოში მუშაობს 500-ზე მეტი). სამი მერვედიდან მუშათა რიცხვის ნახევრამდე შუათანა სიდიდის ქარხანაში მუშაობს (თითოში 100 200 კ.) მხოლოდ 2,000,000 კაცზე მეტი გაფანტულია პატარ-პატარა სახელოსნოებში და ქარხნებში. ამ ცნობების სრული ნდობა უნდა გვქონდეს, რადგან ისინი წარმოადგენენ ინგლისის უფროს ქარხნების ინსპექტორის ნამუშევარს [1]). ჩვენ ვხედავთ, რომ პატარა მრეწველობას გადაგვარება არ მოელის, რომ იგი თამამად ამოუდგა გვერდში დიდ მრეწველობას. ციფრები გვარწმუნებენ, რომ იგი წარსულის „ნაშთი“ კი არ არის, არამედ ჩვენი დროის მოთხოვნილებიდანაა წარმოშობილი.

პატარა მრეწველობის ახლად გაჩენას ბევრი გარემოება უწყობს ხელს და ამაში საპატიო ადგილი უჭირავს საჭიროებას სხვა-და-სხვა ცხოვრების ცვალებად მოთხოვნილების დაკმაყოფილებისა, რომელსაც ვერ ახერხებს სიდიდის გამო დიდი მრეწველობა. ტეხნიკური პროგრესსი ისეთის სისწრაფით იზრდება, სხვა და სხვა მაშინების გაუმჯობესება ისეთ მარტივ და სწრაფ შრომას თხოულობს, რომ ყველა ეს უფრო ადვილად სრულდება პატარა სახელოსნოში, ვიდრე უზარმაზარ ქარხანაში. ველოსიპედის გაკეთებაში, მაგალითად, (რომელსაც ევროპაში დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს) იმოდენა პა-

---

[1]) Anuual Report of the Chief Inspector of Factors and Workshpos for he year 1896.

ტარ-პატარა ცვლილებები მოახდინეს, იმის გაუმჯობესობისათვის იმდენი პატარ-პატარა შეცვლა-შეკეთება დასჭირდათ, რომ იგი არ განხორციელდებოდა დიდ სამრეწველო დაწესებულებაში, რომელსაც შემოღებული აქვს დიდი მაშინები და ამ მაშინების გადაკეთება ახალის ცვალებად იარაღის, ვინტის ანუ ზარის გაკეთებისათვის ხშირად მოუხერხებელია. სწორედ ამითი აიხსნება, რომ ყველა იმ საგნების გაკეთება, რასაც მცირე ხნის განმავლობაში ხშირად ეცვლება თავისი ხასიათი, (articles des modes) განსაკუთრებით პატარ-პატარა სახელოსნოებში კეთდება.

3.

წინა წერილში ქალაქურ მრეწველობაზე გვქონდა საუბარი. მივაქციოთ ახლა ყურადღება სოფელსაც. რა მდგომარეობაში არიან დიდი მამულის პატრონები? რა მომავალი მოელით მათ? და ამ კითხვასთან ერთად ისიც გამოვიკვლიოთ, თუ რამდენად კლებულობს თუ მატულობს პატარა მესაკუთრეთა რიცხვი?

კაპიტალის კონცეტრაციის (მცირე მესაკუთრეთა ხელში შეგროვება) მომხრენი ჰფიქრობენ, რომ სოფელშიაც უნდა მოხდეს ეგრედ წოდებული მამულების „კაპიტალიზაცია“ ე. ი. პატარა მემამულეებმა უნდა დაუთმონ ადგილი დიდ მემამულეებს და დიდი მამული იქნება ის დროებითი მიწად-მფლობელობის ფორმა, რომლის საშუალებით განხორციელდება აუცილებელი ეკონომიური ცხოვრების ევოლუცია.

ვნახოთ, რას გვეუბნება სინამდვილე. ორი მესამედი საფრანგეთის მიწისა ეკუთვნის 6 მილიონ პატარა მესაკუთრეებს [1]). დიდი მემამულეების რიცხვი საფრანგეთში თანდათან შესამჩნევად კლებულობს. 100 ოჯახში ორს არ ექმნება 7,500 ფრ. შემოსავალი. 500,000 ყოველ-წლივ დამტკიცებულ მემკვიდრეობათაგან მხოლოდ 2,600 არის იმისთანა, რომელსაც შემოაქვს 20.000 ფრ. მეტი წლიური შემოსავალი.

საფრანგეთში მიწას 7 მილიონი კაცი ამუშავებს. ამ 7 მილიონში ნახევარზე მეტი მიწის მესაკუთრენი არიან. დღიური

---

[1]) ცნობებს ვიღებთ გუსტავ ლებონის წიგნიდან – Замѣтки о соЦіализмѣ.

მუშა თანდათან ძნელი საშოვნი ხდება. 1862-ან 1882-დე დღიურ მუშათა რიცხვმა შესამჩნევად იკლო – 4,098,000 3,434.000-დე დაქვეითდა, ესე იგი ფერმებს მოაკლდა 664.000 კაცი. ფერმერების და მოიჯარადრეების რიცხვიც დაეცა 1,435,000-ან 1,309,000-მდე, ესე იგი 126,000 ფერმერი მოაკლდა სოფელს. მხოლოდ ამასთან მესაკუთრეთა მიწად-მომქმედთა რიცხვი 1,812,100-ან 2.150.000-დე აიწია, ესე იგი 333,000 პატარა მესაკუთრე შეემატა სოფელს.

ასე რომ, რადგან მატულობს სოფლის იმ პატარა მესაკუთრეთა რიცხვი, რომელნიც თავის ხელით ამუშავებენ მამულს, შესამჩნევად უნდა დამცირდეს ფერმერების, მოიჯარადრების და დღიურ მუშათა რიცხვი. დღიურ მუშის რიცხვის შემცირებას ხელს უწყობს აგრეთვე მეურნეობაში მაშინების

შემოღება და სათიბეების შესამჩნევი გაფართოვება (1862 წლიდან 25 %). ასეა საქმე საფრანგეთში.

მხოლოდ დიდი მემამულეები არც ინგლისში არიან სანუკვარ მდგომარეობაში. რა მიზეზია ამ დიდ მემამულეების დავარდნისა? გუსტავ ლებონი, სხვათა შორის, ინგლისში არსებულ ვაჭრობის თავისუფალ სისტემის არსებობას აბრალებს დიდ მემამულეთა გაჭირვებას. უცხოეთიდან თავისუფლად შემოდის ინგლისში პური, ხორცი და სხვა სურსათი, ყველა ეს, ადგილობრივ ფასების შედარებით, უფრო იაფად საღდება. ამ გარემოებამ მემამულეებს 30% ღააწევინა საიჯარო ქირა. მოიჯარადრეები სარგებლობენ მემამულეების გაჭირვებულ მდგომარეობით და ქირას არ იხდიან. მამულები, რომელნიც 500,000-800,00ს ფრანკს იძლეოდნენ, ამ ჟამად სულ არაფერს არ იძლევიან და მემამულეენი იძულებულები არიან დაჰყონ მამული და მიჰყიდონ იგი კერძო მესაკუთრეებს. ამითი აიხსნება ამ პატარა მესაკუთრეთა რიცხვის ზრდა და დიდ მემამულეთა შემცირება. რასაკვირველია, ამ მოვლენას სხვა გარემოებაც უწყობს ხელს. ამ ჟამად ჩვენ ამითი დავკმაყოფილდებით და ჩვენს გონებაში აღვნიშნავთ იმ მოსაზრებას, რომ საფრანგეთში და ინგლისში ეკონომიურ ცხოვრების ევოლუცია მამულების „კონცენტრაციისკენ“ კი არ მიმდინარებს, არამედ იმათ მცირე ნაჭერ-ნაჭერად დაყოფისაკენ.

მხოლოდ რასა ვხედავთ ჩვენში? ემჩნევა თუ არა ჩვენს ცხოვრებას კაპიტალის და მამულების ცენტრალიზაცია, ე. ი.

მცირე მესაკუთრეთა ხელში შეგროვება? საუბედუროდ, ჩვენი ეკონომიური ცხოვრების გამოკვლევა ჯერ თითქმის არავის უკისრნია, ამისათვის ჩვენ ხელთ არა გვაქვს საჭირო სტატისტიკური ცნობები ამ კითხვის დაწვრილებითი გამოკვლევისათვის. მხოლოდ იმ ღარიბ მასალიდან, რომლითაც შეგვიძლიან ვისარგებლოთ, გამოგვყავს შემდეგი მოსაზრება.

ჩვენი მრეწველობა ჯერ კიდევ ძლიერ ნორჩია. ხალხის დიდი უმრავლესობა (85%) ჯერ კიდევ მეურნეობას მისდევს. ჩვენი ქვეყანა დღემდე მეურნეობის ქვეყანად იწოდება. მაგრამ, ამისდა მიუხედავად, ჩვენშიაც თანდათან იდგამს ფეხს ქალაქური მრეწველობა. რა ხასიათისაა ეს მრეწველობა? დიდია იგი თუ პატარა?

ტფილისში ირიცხება 9000 ხელოსანი კაცი. ქარხნების რიცხვი შეადგენს 347 [1]). ორთა შუა რიცხვით თითო ქარხანაში მუშაობს 20 კაცი. ტფილისის გუბერნიაში ითვლება 1010 ქარხანა, რომელშიაც მუშაობს 40 ათასამდე მუშა. იმავე ორთა შუა რიცხვის გამოანგარიშებით თითო ქარხანაში 40

კაცზე მეტი არ მუშაობს. ქუთაისის გუბერნიაში 313 ქარხანაა, რომელშიაც მუშაობს 15 ათას კაცამდე. თითო ქარხანაში აქაც 45-50 კაცზე მეტი არ მუშაობს,

ამრიგად ვხედავთ, რომ ჩვენი ნორჩი მრეწველობა პატარა ტიპის მრეწველობას მიაგავს. თანდათან, რასაკვირველია, ჩვენშიაც გაჩნდება დიდი კაპიტალების ტრიალი, მხოლოდ არავითარი საბუთი არა გვაქვს ვიფიქროთ, რომ ეს დიდი კაპიტალი შთანთქავს პატარას და პატარა მრეწველობის ზრდას შეაფერხებს ჩვენში.

გადავავლოთ თვალი ჩვენს სოფლებს. როგორც ვთქვით, ჩვენი ქვეყანა ჯერ კიდევ მეურნეობის ქვეყანაა. ხალხის დიდი უმრავლესობა ჯერ კიდევ მიწას ამუშავებს და მიწითა სცხოვრობს. მთელს ტფილისის გუბერნიაში ყოველ წლივ 120 ათას დღიურზე მეტი მიწა იხვნება, ესე იგი მთელი გუბერნიის [1]/18 ნაწილი. ქუთაისის გუბერნიაში ყოველ წლივ მოდის 20-25 მილიონი ფუთი სიმინდი, პური, ჭვავი, ქერი და ღომი არა ნაკლებ 15-17 მილიონი ფუთისა. მთელს ტფილისის გუბერნიაში ვენახებს და ზვრებს უჭირავს 82 ათას დღიურზე მეტი

---

[1]) ოფიციალური ცნობები 1889 წლიდან მოყოლებული.

მიწა. ყოველ წლივ, უკანასკნელი, 45 მილიონი ბოთლი ღვინო იყიდება. ქუთაისის გუბერნიაში ყოველ წლივ ჰყიდიან 25 მილიონ ბოთლ ღვინოს. ჩვენი ხალხი ხვნა-თესვის და მევენახეობის გარდა საქონლის მოშენებას მისდევს, მატყლსა ჰყიდის, ყველს აკეთებს, აბრეშუმი მოჰყავს და სხვა ამგვარ მეურნეობით ირჩენს თავს. რა უნდა მოუვიდეს ამ მიწაზე დამყარებულ ხალხს, რომ განხორციელდეს „კაპიტალთა კონცენტრაციის კანონი“? ისინი უნდა გაბოგანოვდნენ, მიწას მოშორდნენ და იქცნენ სოფლის დიდ მამულის და ქალაქის სამრეწველო დაწესებულების სამუშაო ძალად. ასე სწყვეტენ ჩვენი სოფლელის ბედს უტოპიურ კონცენტრაციის კანონის მომხრენი. თვით ცხოვრება გვიჩვენებს, რომ სოფლელს თანდათან ქალაქის ცენტრები იზიდავენ, იგი დღეს თუ ხვალ ბოგანოდ შეიქმნება და პროლეტართა რაზმში ჩაეწერება. მართლა ასეა ჩვენს ცხოვრებაში?

ბატონ-ყმობის მოსპობიდან ჩვენი სოფლის სიმდიდრე, თანდათან იცვლის თავის ადგილს. წინად იგი თავად-აზნაურობის განუყოფელ კუთვნილებას შეადგენდა, ეხლა მას დაესაკუთრა ხალხიც. ყმების განთავისუფლებიდან ჩვენში შესამჩნევად გაიზარდა პატარა მესაკუთრეთა რიცხვი. ბევრი მემამულეთაგანი გაღარიბდა და მიწის-მოქმედის დონეზე ჩამოვიდა.

ბევრნი მათგანი თავიანთ ხელით ამუშავებენ მიწას. ეს არის ტიპი ახლად წარმოშობილ წვრილ-ფეხა მესაკუთრე მიწის მოქ-მედისა. ამ პატარა მესაკუთრეთა რიცხვი დღითი დღემდე მა-ტულობს. ამას უნდა მიუმატოთ ის გლეხები, რომელთაც შე-ისყიდეს ნადელები და მესაკუთრეებათ შეიქმნენ. ამერეთის გლეხობას დღიდან რეფორმისა 1899 წლის 1 იანვრამდე შე-უძენია 3,465 კომლს 15,084 დესეტინა [1]), შედარებით საერ-თო გლეხთა რაოდენობისა ტფილისის გუბერნიაში ეს ძალიან პატარა რიცხვია. მხოლოდ მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ ბატონ-ყმობის დროს ამ პატარა მესაკუთრეთა ხსენებაც არ იყო. ჩვენ გლეხს ბევრი გარემოება ხელს არ უწყობს მი-წის შეძენისთვის (კრედიტის უქონლობა და სხვ.). მხოლოდ ჩვენი დროის სოფლის ცხოვრების დედა-ძარღვი სწორედ ამ სიმდიდრის ადგილის შეცვლაში მდგომარეობს. ამ აზრის და-

[1]) „ივერია“ № 259, 1899 წ.

სამტკიცებლად ჩვენ გვაძლევს მდიდარ მასალას იმერეთი. შვიდ მაზრაში – ქუთაისის, შორაპნის, რაჭის, ოზურგეთის, ზუგდი-დისა, სენაკისა და ლეჩხუმისა დღიდან რეფორმისა (1865 - 1866 წ.). 1899 წლის 1 იანვრამდე 32,844 კომლ გლეხს შეუსყი-დია თავისის ფულით 362,521 ქცევა ანუ 135,908 დესეტ. მიწა [1]). 4449 კომლიდან (რაჭაში) დღეს თავისუფალია 3791 კომლი, ანუ 85,2% რაჭის მაზრის გლეხობისა.

ამ რიგად, ჩვენ ვხედავთ, რომ საქართველოში სოფლის პატარა მესაკუთრეთა რაოდენობა თანდათან იზრდება. ამას მოჰყვება ჩვენში ერთი შესანიშნავი მოვლენა, რომელმაც და-სავლეთ-ევროპის ცხოვრებაშიაც იჩინა თავი. ჩვენ სოფელს, ემატება რა პატარა მესაკუთრეთა რაოდენობა, აკლდება მუშა ხელი. დიდი მემამულე, რომელიც მამულის მოვლის ხარჯს ვერ აზდის (სხვათა შორის, მუშა ხელის სიძვირის გამო) თან-დათან ეთხოვება თავის მამულს და მასთან სოფელსაც. ასე, რომ ჩვენშიაც შედარებით სოფელი უნდა დაცარიელდეს – მე-ტი ელემენტი, თანდათან, გადის ქალაქებში, დიდი მემამუ-ლე, თუ აქვს მას ფული, ვაჭრობა და მრეწველობას იწყებს. გლეხი, რომელსაც ვერ შეუძენია მიწა და რომელსაც არ აქვს ამ შეძენის იმედი, გაჭირვების გამო სამუშაოს საძებნელად გა-რეთ უნდა გავიდეს. მხოლოდ ჩვენი სოფლის დაცარიელებას აქვს თავისი საზღვარი. ეს საზღვარია – პატარა მესაკუთრეების მკვიდრად მიწაზე დამყარება.

ამნაირია ჩვენს დროში ქალაქის და სოფლის ურთიერ-თობა. სოფლები და ქალაქები იცვლიან თავიანთ ჩვეულებრივ

ხასიათს. ჩვენი კეთილდღეობა აშენებულია ქალაქსა და სოფელს შორის შრომის განაწილებაზე და არა იმაზე, რომ ქალაქი სოფელზე ბატონობდეს. და აი, ჩვენი ეკონომიური ცხოვრებაც სწორედ ამ გზას დაადგა ყმების განთავისუფლებიდან.

4.

ჩვენი მოსაზრებანი სოფლის და ქალაქის ეკონომიურ წარმატებაზე, ჩვეულებისამებრ, არ მოეწონა „კვალს“ და მის ახლად მოვლენილ წინამძღოლს ბ. მოსაუბრეს. ბ. მოსაუბრემ

[1]) „ცნობის ფურცელი“ № 1480. საკომლო მიწების შესყიდვა.

ლანძღა, მკითხველის აბუჩად აგდების სურვილი დაგვწამა და ბოლოს ერთი პოლიციური განკარგულებაც მიაკერა თავის მეთაურს: „საჭიროა, რაც შეიძლება ჩქარა ბოლო მოეღოს, ბრძანებს ბ. მოსაუბრე, ასეთ უთავბოლო ლაზღანდარობას ჩვენ ნორჩ მწერლობაშიო“. ავტორი „უთავბოლო ლაზღანდარობას“ უწოდებს იმას, რომ ჩვენ ორიოდე სიტყვა ვსთქვით წვრილ მრეწველობის გამაგრებაზე და წარმატებაზე თანამედროვე ეკონომიურ ცხოვრებაში. „კვალმა“, კიდევ ერთხელ, თვალსაჩინოდ, დაგვანახვა თავისი ამაყობა, აზრის სივიწროვე, ქედ-მაღლური ლაპარაკი მოპირდაპირესთან: კიდევ ერთხელ, თავის ღირსების დასამცირებლად, დაგვარწმუნა, რომ მისი სისუსტე „დათმობის“ უარ-ყოფაშია და მისი ფუქსავატობა ფართო, მეცნიერულ აზრის შეგინება-შელახვაშია. ნამდვილი, ნათელი და დასაბუთებული აზრი ყოველთვის მშვიდი და წყნარია, დარბაისელი და ფრთხილი. ჭეშმარიტი მეცნიერება გადაწყვეტით არას ამბობს, სანამ ხელში არ აქვს უტყუარი საბუთები. და თუ მეცნიერების ხასიათი ამგვარია, მით უმეტესად საზოგადოებრივ მეცნიერების დასკვნა უნდა იყოს კარგად აწონილ-დაწონილი. ჰყვირის და ამაყობს „ფილისტერი“, ილანძღება და მუშტებს გიჩვენებს „უვიცობა“. თუ კაცს ხელში საბუთი და აზრი არა აქვს, იძულებულია მუქარას მიჰმართოს, რათა, გარეგნობით მაინც, მკითხველის თვალში დაინარჩუნოს ბურთი და მოედანი.

თავი დავანებოთ ამას. ჩვენ არა ერთხელ გვილაპარაკნია ამგვარ მოვლენაზე. უნებლიედ ღონდებით და გიკვირთ, რად მოიკიდა ფესვი ამ სამწუხარო მოვლენამ ჩვენს ლიტერატურაში? რად გვანან ასე გასაოცრად ერთი-ერთმანეთს ჩვენი მწერლები? რადა ვწერთ ისე, რომ მოპირდაპირეს პასუხის გაცემის სურვილიც ეკარგება? თუ ჭეშმარიტებაა ჩვენთვის ძვირფასი და

სანატრელი, რა გვაჯავრებს? თქვენ ბრძანებთ დიდი კაპიტა-
ლია ამ ჟამად გაბატონებული – ეს არის თქვენი აზრი, მეც-
ნიერების დასკვნა და ცხოვრების სინამდვილე. თქვენ გეუბნე-
ბიან –დიახ, დიდი კაპიტალი გაბატონებულია, მხოლოდ, ამას-
თან ერთად, საშუალო, პატარა და წვრილი კაპიტალიც იდ-
გამს ფესვს ამავე ცხოვრებაში. ამას გვეუბნება მეცნიერება და
ცხოვრება. თქვენ ბრძანებთ, მომავალი – კაპიტალის კონცენ-
ტრაციაა, გიპასუხებენ – მომავალი კაპიტალის დეცენტრალი-

ზაციაა. თქვენ ბრძანებთ, ვინც ამას ამტკიცებს, უვიცი, ბრიყ-
ვი, ოხუნჯი და ლაზღანდარა ყოფილა. რად ამბობთ ამას, თუ
ჭეშმარიტებას ეძებთ? ან იქნება მართლა გგონიათ, რომ მეც-
ნიერებამ უკვე საბოლოოდ გადაწყვიტა და გააკვლია კაპიტა-
ლის ზრდის და წარმატების მიმდინარეობა? თუ ჭეშმარიტება
გიყვართ და მეცნიერების რაიმე გაგეგებათ ამას ვერ იტყვით.
თუ მეცნიერება თქვენთვის ცარიელი სიტყვა არ არის, უნდა
გცოდნოდათ, რომ ამ ჟამად ევროპის სოციალურ მწერალთა
დასი ორ ბანაკად გაიყო და ის კითხვა, რომელიც თქვენ სა-
მუდამოდ გადაწყვეტილი გეზმანებათ, სადავო კითხვად გამხ-
დარა!.. ჩვენთვის ყველა ეს უმნიშვნელოა. ჩვენ ჩვენის კანო-
ნებით ვხელმძღვანელობთ, ჩვენის საკუთარის ზნეობით და
ბევრს არას ვნაღვლობთ, რომ ჩვენი შრომა უფრო ჩხირკედე-
ლაობას მოაგონებს. სამწუხაროა ყველა ეს, მეტად სამწუხარო.

მაგრამ ვიცით, ამით ვერავის დავარწმუნებთ, მით უმეტეს
ჩვენს მოპირდაპირეს.ისევ ცხოვრებას და მეცნიერებას მივმარ-
თოთ. ცხოვრება და მეცნიერება მჭერმეტყველებაზე ძლიერია.
ვისაც ჩაფიქრების ნიჭი აქვს, გაიგებს მეცნიერების ნამდვილ
აზრს და ცხოვრების უტყუარ მიმართულებას.

ჩვენა ვსთქვით, რომ ინგლისში ოფიციალური სტატის-
ტიკა 1895 წლამდე არ არსებობდა. ბ. მოსაუბრე გვიპასუ-
ხებს – ეს მტკნარი სიცრუვეა და ნიშნავს ავტორის (ჩვენის)
უვიცობას ამ საგნის შესახებო“ და ჩვენი „სიცრუის“ და-
სამტკიცებლად ახალ სახარების „კაპიტალის'“ფურცლებზე გვი-
თითებს. 1860 წ. მარქსმა სთქვაო, რომ ინგლისში არის „შე-
უწყვეტელი ოფიციალური სტატისტიკა ინდუსტრიაზე“. ვინ
არის მართალი, ვინ არა, ამას მკითხველი გაიგებს, თუ გა-
დაშლის ინგლისის საპარლამენტო დადგენილების კრებულს,
ეგრედ წოდებულ „ლურჯ წიგნს“ (Blue book), 1895 წლისას.
იქ ნახავს „Factory act“-ს, რომლის ძალით, მხოლოდ 1895
წლიდამ მოყოლებული ინგლისში არსდება ოფიციალური სტა-
ტისტიკა. ამაზე უკვე გვქონდა ლაპარაკი, მხოლოდ ჩვენმა მო-
პირდაპირემ არავითარი ყურადღება არ მიაქცია ჩვენ მიერ და-

სახელებულ ოფიციალურ სტატისტიკის წყაროს-Annual Report of the choef Inspector.

მარქსმა სთქვაო. მარქსმა სხვა რამეცა სთქვა, მაგალითად ამტკიცებდა იმავე „კაპიტალში“, რომ ჯონ ბრაიტის აზრი,

ვითომ ნახევარი ინგლისი 150 მემამულეს ხელში იყოს და ნახევარი შოტლანდია –12 მემამულესი – მართალი, დაურღვეველი აზრიაო. წაიკითხეთ ბროდრიკის გამოკვლევა ინგლისის მიწის მფლობელობაზედ[1]) და დარწმუნდებით, რომ მარქსის მოძღვრება შესახებ ინგლისის მამულების კონცეტრაციისა სინამდვილეს და ჭეშმარიტობას არის მოკლებული. უნდა აღვნიშნოთ, რომ ბ. მოსაუბრემ საჭიროდ არ სცნო შეეჩერებინა თავისი ყურადღება იმაზედ, რაცა ვთქვით ჩვენ სოფლის მამულის ევოლუციაზედ. ამ უკანასკნელის საგნის შესახებ „მას (ჩვენ) კიდევ უფრო გაუგებარი და ყოვლად უმნიშვნელო ცნობები მოჰყავს“, ასე ამბობს ბ. მოსაუბრე – მაშ ისევ ბროდრიკს დავუგდოთ ყური. იმის მოწმობას თვით ბ. მოსაუბრეს თვალშიაც ექნება მნიშვნელობა.

1876 წელს 33,000,000 აკრიდამ, 14,000,000 აკრი მიწა ეკუთვნოდა (ინგლისში და უელსში) 1,704 მემამულეს, თვითეულს მათგანს ჰქონდა 3,000 აკრი და მეტიც. დანარჩენი 19 მილ. აკრი იყოფებოდა 150,000 მესაკუთრეთა შორის. 1892 წელს 176,520 იყო იმისთანა, რომელთაც თვითეულად ჰქონდათ არა უმეტეს 10 აკრისა.

ის, რაც წინა წერილებში ვსთქვით სოფლის მამულის ევოლუციაზედ, უფრო ნათლად გამოაშკარავდება შემდეგის ცხრილიდამ:

მამული	1885 წ.	1895 წ.	მომატება
გეკტარი			თუ დაკლება
2 – 20	232,955	235,481	+ 2526
20 – 40	64,715	68,625	+ 1910
40 – 120	79,573	81,245	+ 1672
120 – 200	13,877	13,568	- 307
200 მეტი	5,489	5,219	- 207

ასე რომ ინგლისში მხოლოდ 2,460%-ია ძლიერ დიდი მემამულეებისა, 27- 28% კი მთელი შემუშავებულ ტერიტორიისა დიდ მემამულეთ უჭირავთ და 66% ამუშავებენ გლეხები.

5.

როგორც ვნახეთ, ინგლისის სოფლის ვითარება და წარ-

---

[1]) „English Land and English Landlords“.

მატება მამულების კონცენტრაციისაკენ კი არ მიმდინარეობს, პირიქით, იმათ დეცენტრალიზაციისაკენ, დაყოფისაკენ, დაქუცმაცებისაკენ. და ეს, როგორც წინა წერილებშიაც ვნახეთ, მარტო ინგლისის სოფლის თვისება არ არის. თითქმის მთელს ევროპაში იმავე მოვლენას ნახავთ. ცნობები, რომელსაც ჩვენ აქ მოვიყვანთ, მეტ ნათელს მოჰფენს ჩვენ წინა წერილებში გამოთქმულს თეორეტიულ მოსაზრებათ და თვალსაჩინოდ გახდის მკითხველისათვის პროცეს თანამედროვე ეკონომიურ ცხოვრების ვითარებისას.

ვანდერველდის აზრით, ბელგიის დიდი მამულის მფლობელობა თანდათან იშლება და ირღვევა. მაშინ როდესაც მიწის მფლობელთა რიცხვი 201,226-დან (1846 წ.) ავიდა 293,524-მდე (1880 წ.), ამავე დროის განმავლობაში მოიჯარადრეთა რაოდენობამ 371,320-დან – 616,872-მდე იმატა. 3/6 ბელგიის სახნავ-სათეს მიწას (2,000,000 გეკტარს) მესაკუთრეები ამუშავებენ.

საფრანგეთის შესახებ ჩვენ უკვე გვქონდა ლაპარაკი. რაცა ვსთქვით, მიუმატოთ შემდეგიც.

მიულხელის გამოანგარიშებით დიდ მემამულეებს უჭირავთ საფრანგეთში მხოლოდ 1/5 მთელი შემუშავებულ ტერიტორიისა. გლეხების ხელშია ამ ტერიტორიის 3/4-დი. 1862-დან-1882-დე 5-10 გეკტარიანი მამული 24% გაიზარდა, ხოლო 10-40 გეკტ. მამული – 14%.

1895 წ. აღწერიდან სჩანს, რომ გერმანიაში გლეხ-კაცს მიწის-მფლობელობამ 1882-დან 17,3% იმატა. პრუსიაში გლეხობას უჭირავს 22,875,000 გეკტარი 32,591,000-დან, ე. ი. 3/4.

შემდეგი ცხრილი გვიჩვენებს, რა მდგომარეობაშია საქმე ჰოლანდიაში.

მამულის სიდიდე:	1884 წ.	1893 წ.	მომატება თუ დაკლება
გეკტარი			
1-5	66842	77767+10925	+16,2%
1-10	31552	94199+62737	+1985%
10-70	48278	51940+3662	+7,6%
50 მეტი.	3554	3510 - 44	-1,2%

ცხრილი აშკარად გვიჩვენებს წვრილ მესაკუთრეთა მომატებას და დიდ მიწის მფლობელთა შემცირებას.

ვგონებთ, ყველა ეს საკმარისია თანამედროვე სოფლის ევოლუციის დასასურათებლად. ბ. მოსაუბრეს ჩვენ მაგიერად შერცხვა, როცა ვსთქვით, რომ სოფელში არ მართლდება „ცენტრალიზაციის კინონი“. რაც უფრო მეტად შევდივართ ცხოვრების შესწავლაში, მეტად მტკიცდება ეს აზრი. ქალაქის მრეწველობა, რომლის აწონ-დაწონაში ჩვენ შევდივართ, ეხლა მკვიდრათ დაგვამყარებს ამავე მოსაზრებაზედ. ბ. მოსაუბრეს ამის შემდეგ, რასაკვირველია, უფრო უნდა შერცხვეს ჩვენ მაგიერ.

რაკი კაპიტალის ცენტრალიზაცია არ მართლდება, რაკი სიმდიდრე მცირე რიცხვთა ხელში არ გროვდება, პირიქით, ნაწილდება და სიგანეში ვრცელდება, ამისათვის შეიძლება ითქვას, რომ კაპიტალისტთა და მესაკუთრეთა რაოდენობა მატულობს და არა კლებულობს. ზოგიერთ სოციალურ მწერალს (მარქსს, კაუცკის და სხვ.) ჰგონიათ, რომ რაც უფრო პატარა იქნება დიდ კაპიტალისტთა რიცხვი, უფრო მეტად უნდა გაიზარდოს პროლეტართა რაოდენობა, უფრო ძლიერი შეიქმნება მუშათა რაზმი. ბერნშტეინს და მისი სკოლის მწერლებს ამგვარი შეხედულება ცრუ-მორწმუნეობად მიაჩნიათ. კაპიტალისტების გამრავლებაზედ და არა შემცირებაზეა დამოკიდებული პროლეტართა გამრავლება. რაც მეტი კერძო კაპიტალია მოძრაობაში და მუშაობაში, მეტ შრომას მოითხოვს, მეტ მუშა კაცს ასაქმებს, მაშასადამე პროლეტართა რაზმის შევსება პირდაპირ კაპიტალისტთა რიცხვის გამრავლებაზეა დამყარებული. ეს მოსაზრება, ჯერ კიდევ ახალი, თანდათან ვრცელდება ევროპის სოციალურ ლიტერატურაში.

იმის დასამტკიცებლად რომ კაპიტალისტთა რიცხვი მცირდება, ხშირად მოჰყავთ ის მოსაზრება, რომ თანამედროვე ეკონომიურ ცხოვრებაში ღრმა ფესვი გაიკეთეს აქციონერთა საზოგადოებათ – ტრესტი, კარტელი და სხვა. ამ საზოგადოებათ რომ დააკვირდეთ, დაინახავთ სწორედ იმას, რასაც ჩვენ ვამტკიცებთ. ინგლისის ძაფის „ტრესტში“ 12,300 აქციონერია. ქაღალდის ტრესტში – 5454 აქციონ., მანჩესტერის საზღვაო არხის აქციონერთა რიცხვი – 40,000; ლიპტონის ლონდონის „საქმეში“ – 74,262 აქციონერი იღებს მონაწილეობას. სპირს და პონდის „საწყობს“ (ლონდონში) აქვს 26,000,000 მარკა თანხა, რომელიც ეკუთვნის 4,650 აქციო-

ნერს. მათში მხოლოდ 550 კაცს აქვს კაპიტალი, რომელიც აღემატება 10,000 მარკას [1]). აქციონერთა რიცხვი აქციების რაოდენობა, რომელიც მათ ეკუთვნით, დღითი დღე მატულობს. დააკვირდით აგრეთვე სხვაგვარ მესაკუთრეთა რაოდე-

ნობას. 1851 წ. ინგლისში იყო 300,000 ოჯახი, რომელთაც ჰქონდათ წლიური შემოსავალი 150-1000 გირვანქა სტერ-ლინგი. 1881 წ. ამ შემლებისა 990,000 ოჯახი შეიქმნა. საფ-რანგეთში 8,000,000 ოჯახიდამ 1,700,000 შემლებული ოჯა-ხია. 6,000,000 მუშის ოჯახია და 160,000 მდიდარია. პრუ-სიაში 1854 წ. იყო 44,407 პირი ათასი ტალერის შემოსავ-ლით 1894-95 წ. – 321,296 პირი 3,000 შემოსავლით. 18987-98 წ. – ამ რიცხვმა აიწია 347,328-დე.

ერთის სიტყვით, „კონცენტრაციას“ ბევრი რამ ეღობება გზაზედ, კაპიტალისტთა და მემამულეთა რიცხვი მატულობს და არა კლებულობს. ჩვენ უკვე გვქონდა ლაპარაკი წვრილ მრეწველობის ფეხზე დადგომაზე. დავუმატოთ ზოგიერთი ცნო-ბები, რათა თანამედროვე ეკონომიურ ცხოვრების ხასიათი და-უმახინჯებელი გამოჩნდეს ჩვენს თვალში.

შვეიცარიის დამოუკიდებელ 127,000 მრეწველთ ჰყავთ 400,000 მუშა კაცი, ესე იგი თვითვეულ წარმოებაში 3-4 კაცია. ამერიკაში, რომელიც ითვლება კაპიტალისტურ ქვეყ-ნად, 3 ნახევარი მილ. მუშა საქმობს. 355,415 სამრეწველო დაწესებულებაში – (10:1). 28,000 ეტლის მკეთებელ ქარხანა-ში (ამერიკაში) მუშაობს 50,867 კაცი. ამათში ნახევარი პატ-რონია, დამოუკიდებლად მუშაობენ. წვრილი და საშუალო მრეწველობის ზრდა გერმანიაში შემდეგის ცხრილიდამ გამო-ჩნდება:

	1882 წ.	1885 წ.	მომატება:
წვრილი წარმოება (1-5 კაცი) . .	2,457,950.	3,056,318	24,3%
წვრილი საშუალო წარმ. (6-10 კ.)	500,097.	833,409.	66,6%
საშუალო წარმოება	891,623.	1,620,848.	81,8%.

მკვიდრთა რიცხვმა იმატა ამ ხნის განმავლობაში 13,5%.

---

[1]) ცნობებს ვიღებთ ბერნშტეინის წიგნიდამ – Историческій Матеріализмъ.

ინგლისში 4 მილ. მუშა, რომელიც იმ ქარხნებში მუშაობენ, სადაც საქარხნო კანონებია შემოღებული, განწესებულები არიან 160,998 სახელოსნოში, ასე რომ თითო დაწესებულე-ბაში მუშაობს 27-28 კაცი.

ყველა ეს ცნობები იმის დასამტკიცებლად კი არ მოგვ-ყავს, ვითომ წვრილ მრეწველობას და წვრილ მესაკუთრეთ აქვთ დაჭერილი ბურთი და მოედანი თანამედროვე ეკონომიურ სარბიელზე. ამას არც ვამტკიცებთ, არც ვამტკიცებდით. ჩვენ

ვიცით, რომ დიდ კაპიტალს საპატიო ადგილი უჭირავს ეკონომიურ ცხოვრებაში, ვიცით, რომ ზოგიერთ დარგებში ამ დიდმა კაპიტალმა შთანთქა წვრილი კაპიტალი და წვრილი წარმოება. მხოლოდ ვიცით აგრეთვე, რომ სხვა და სხვა ეკონომიურ პირობათა ზედგავლენით, დიდ კაპიტალის თავხედობას საზღვარი გამოუჩნდა, რომ რთულმა ხასიათმა ეკონომიურის ცხოვრებისამ დაჰბადა და გამოსჩეკა ის, რასაც სიკვდილი-ღა მოელოდა – წვრილი წარმოება, და რომ ამ წვრილ წარმოებას გადაგვარება კი არ მოელის, პირიქით, წელში გამაგრება. ასე რომ ტიპიური თვისება თანამედროვე ეკონომიურ ცხოვრებისა „კაპიტალის კონცენტრაციაში“ კი არ არის, არამედ სიმდიდრის მოძრაობაში, დაკუწვაში, სიგანე-სივრცით გავრცელებაში. ეს პროცესი დაეტყო როგორც ქალაქის ცხოვრებას, ისე სოფლისასაც. სადამდის მიგვიყვანოს „სიმდიდრის მოძრაობა“ ამას მომავალი გვაჩვენებს.

XVII. ქიზიყს შველა უნდა.

ჩვენს გაზეთებში სიღნაღის მაზრიდან სამწუხარო ამბებს იწერებიან: ქიზიყს, უხვის სულადით განთქმულ ქიზიყს შიმშილი მოელის. ჩვენი კორესპონდენტი გვწერს: „მკათათვის ცხელმა პაპანაქმა ამინდმა მთლად მოშუშა და გააფუჭა, როგორც შემოდგომის აღაღანებული ყანები, აგრეთვე გაზაფხულის ნათესობა – ფეტვი და სიმინდი. ნათესობისაგან გულ-გატეხილს გლეხს ვენახის მოსავლის იმედი-ღა ჰქონდა, მაგრამ ზაფხულის უწვიმობამ ვენახებიც შეაწუხა და რაც წელს სეტყვას გადაურჩა, ის კიდევ ხანგრძლივმა გვალვამ გააფუჭა… სულადის მოუსავლობას საქონლის, საკვების მოუსავლობაც ზედ დაეტანა

და გაზაფხულის უწვიმობამ ბალახიც აზარალა. თუ სადმე მიწას ამოსცილდა ბალახი და გათიბეს, ის კიდევ თიბვის დროს მოსულმა წვიმებმა გააშავა და გააფუჭა... თითქოს განგებ, სახელმწიფო გადასახადიც წელს მოემატათ... ისეთი სოფელი არ არის, რომ უწინდელ გადასახადზე წელს 2000 მ. მაინც არ იყოს წამატებული... თუ ეხლავე არ ეშველა საქმეს და ხალხს არ დაეხმარნენ, მერე გვიან-ღა იქნება და ძნელიცო“. ამავე სამწუხარო ამბავს ვკითხულობთ „ივერიაშიაც“: „დაეღუპა ქიზიყს გვალვისაგან თავის ფიცხ მინდვრებში ყანები, ქერები. გაუწყდა ზამთარ-გაზაფხულის უბალახობისაგან მრავალი დაჯანდაგებული ცხვარ-ძროხაც და განვლილ თიბათვის უწვიმობამ და ძლიერმა სიცხეებმა კიდევ დანარჩენ მიწის მოსავალს მოუღეს ბოლო: ფეტვები, სიმინდები და თამბაქოები

დაიბუგა და გვალვისაგან სულთ-მობრძავი ვენახებიც დიდად შეწუხდაო“.

ამნაირად ასურათებენ ქიზიყელი კორესპონდენტები თავიანთ მოსავლის უნუგეშო მდგომარეობას. თანაც ასახელებენ ზოგიერთ საშუალებებს, რომელთ დახმარებითაც შეიძლება უბედურების თავიდან აცილება. ორივე კორესპონდენტს აქვს სახეში სამეურნეო (სასოფლო პურის მაღაზიების თანხა сельскхозясв. капит.) თანხა, რომელიც ხელუხლებელი დევს საბაზინო ბანკში. (მარტო ქიზიყს აქვს გადადებული 200,000 მანეთზე მეტი) ამის გარდა, „ივერიას” და მის კორესპონდენტს დიდი იმედი აქვთ უმაღლეს მთავრობის „მამობრივ გულ-შემატკივრობისა”. მთავრობამ უნდა დააცადოს გადასახადის („ფოსტის“) ფულის გადახდა, თორემ ქიზიყი დიდხანს ვეღარ გაიშლება წელშიო.

საკვირველია, მოგვადგება თუ არა კარზე გაჭირვება, ჩვენ იმ წამსვე გარეშე ძალის „მამობრივ გულშემატკივრობას უნდა მივმართოთ, – თუ აქედან არა, სხვაგან არსაიდან არ მოველით შველას. ვერ შევიგენით და ვერ გავიგეთ, რომ რაც უნდა „მამობრივად” მოგვექცეს მთავრობა, იგი არ გვაპატივებს, არც დაგვაცლის გარდასახადის შემოტანას. სახელმწიფოს ცხოვრება აშენებულია ამ გარდასახადის შემოტანაზე, ჩვენ კი მაინც გვაქვს იმედი, რომ ან გვაპატიებენ რასმეს, ან დაგვაცდიან.

რაც შეეხება სამეურნეო თანხას, არ უნდა გვავიწყ-

დებოდეს, რა დანიშნულებას აძლევს კანონი ამ საზოგადო ფულს. სამეურნეო თანხის კანონის ძალით (ეს კანონი ჯერ არ არის დამტკიცებული სახელმწიფო საბჭოში, სასოფლო ფული უნდა მოხმარდეს იმ **ძირითად მიზეზების აცილებას**, რომელნიც ჩაითვლებიან მოუსავლობის და საზოგადოთ სოფლის სარწყავ არხების გაყვანას, სამეურნეო სკოლების დაარსებას, ელევატორების აშენებას და სხვა ამნაირ საქმეს უნდა მოხმარდეს. კანონის განმარტებით, ყველა ამის უქონლობა ჩაითვლება სოფლის გაჭირვების მიზეზად. ასე ესმის მთავრობას სოფლის გაჭირვების მიზეზი და ჩვენ ამ ჟამად ამ მოსაზრებას არ ავუხირდებით, დღეს მხოლოდ ის უნდა დავიხსომოთ, რომ იგი, როგორც ვსთქვით, გაჭირვების დროს დასახმარებლად კი არ არის დაარსებული, არამედ გაჭირვების გაჩენის მიზეზების ასაცილებლად.

თუმცა, უნდა ვსთქვათ, რომ იყო ორიოდე შემთხვევა, როდესაც სამეურნეო თანხიდან ნასესხები ფული დროებით გაჭირვებასაც მოახმარეს. შეიძლება ქიზიყელებსაც ასესხონ იმათ

გაჭირვების დაკმავოფილებისათვის ეს ფული, მხოლოდ, ვიმეორებთ, დიდი იმედი ამისა მათ არ უნდა ჰქონდეთ.

ჩვენის აზრით, არის ერთადერთი პრაქტიკული საშუალება, რომლითაც უნდა ისარგებლონ ქიზიყელებმა: რუსეთში არსებობს ეგრედ წოდებული საიმპერიო სარჩენი თანხა (общеимперскій продовольственный капиталъ). ამ თანხის პირდაპირი დანიშნულებაა, დაეხმაროს ხალხს შიმშილობის და მოუსავლობის დროს. წარსულს წლებში ერევნის გუბერნიის მოუსავლობის დროს, ამ კაპიტალის სესხის საშუალებით იქაურმა მცხოვრებლებმა ორჯერ მოიმართეს ხელი. მხოლოდ მთავრობას უნდა წარუდგინონ ადგილობრივ ადმინისტრაციის საშუალებით ნამდვილი, უტყუარი ცნობები შესახებ მოუსავლობისა; ქაღალდი კარგად დასაბუთებული უნდა იყოს და გაჭირვებული მდგომარეობა ჭეშმარიტად დასურათებული.

ჩვენ გვგონია, რომ ამ შრომას იკისრებს და კარგად ასრულებს ჩვენი პატივცემული კორესპონდენტი ბ. გულაძე და ჩვენც, გაზეთის საშუალებით, ვეცდებით დახმარება აღმოვუჩინოთ ქიზიყის კეთილის-მსურველთ.

XVIII. საქართველოს რუსეთთან შეერთების გამო.

გვიახლოვდება შესანიშნავი ისტორიული მომენტი. მომავალ თვეში სრულდება ასი წელიწადი საქართველოს რუსეთთან შეერთებიდან. ასმა წელიწადმა განვლო მას აქედ, რაც საქართველომ დაჰკარგა პოლიტიკური თავისუფლება და რუსეთის პროვინციად შექმნა.

კერძო კაცის ცხოვრებაში ასი წელიწადი დიდი მანძილია, ამ ხნის განმავლობაში კაცი იზრდება, ვითარდება თან-და-თან, ბერდება და კვდება. ერის ცხოვრებაში, რაც უფრო მეტი დრო გადის, მეტი გამოცდილება, მეტი სიბრძნე და აზრის სიმწიფე ემატება ხალხს. განვლილი ასი წელიწადი ამ გამოცდილების, გამჭრიახობის და თვით-ცნობიერების თავდები უნდა იყოს. განვლილი ცხოვრება, თავისი შეცდომებით, თავის უკუმართობით გონების გასავარჯიშებელი, გონების გამოსაფხიზლებელი მასალაა.

ერთი საუკუნე წარსულ ცხოვრებისა ღირსია იმისი, რომ ჩავუფიქრდეთ ამ მომავალ ისტორიულ მომენტს, მივცეთ ნათელი და გულწრფელი პასუხი იმაზე, თუ რა არის ეს ჩვენ მიერ განვლილი ცხოვრება. წარსული საუკუნე გვავალებს გულმოდგინედ ჩავიხედოთ ჩვენს გულში, ამოვიკითხოთ მასში ნამ-

დვიძლი აზრი, მისწრაფება, გვავალებს პირნათლად მივეგებოთ ჩვენს მომავალს.

მხოლოდ რა არის ჩვენი „მომავალი“? ამას ჩვენ ერთის კალმის გასმით ვერ ვიტყვით, ვერ გადავწყვეტთ. ამას დიდი მოფიქრება უნდა, წარსულის ცოდნა, წარსულ ცხოვრებასთან თანამედროვე ცხოვრების დაკავშირება. ამ კითხვაზე პასუხის მოცემისათვის ერთად ერთი უტყუარი გზაა – თვით-ცნობიერების განმტკიცება, გაღონიერება. თვით-ცნობიერების გაღვიძება სულიერ წარმატების თავდებია.

ერის ცხოვრებაში „მისწრაფება“ ციდან კი არ უნდა ჩამოვარდეს, არამედ თვით ცხოვრებიდან წარმოსდგეს, იმის საჭიროებიდან, იმის შეგნებიდან, მხოლოდ ეს ჩვენი საჭიროების უცოდინარობა, სხვათა შორის, ჩვენი წარსულის უცოდინარეობიდან იბადება. და აი სწორედ ამისათვის აუცილებლად საჭიროა შევიგნოთ და გავითვალისწინოთ ის ხანა ჩვენის ისტო-

რიისა, როდესაც საქართველო, როგორც დამოუკიდებელი პოლიტიკური მთელი, რუსეთს უერთდებოდა და როდესაც სწყდებოდა მისი მომავალი სვე-ბედი.

დღეს ვიწყებთ ბეჭდვას ზოგიერთ ოფიციალურ დოკუმენტებისას შესახებ საქართველოს რუსსეთთან შეერთებისა. ჩვენ ვეცდებით, შეძლების დაგვარად, დავანახვოთ მკითხველს პატარა პერიოდი ჩვენის ისტორიისა, როდესაც მოისპო საქართველოს დამოუკიდებლობა და როდესაც ჩააგდეს საძირკველი ახალი შენობის ასაგებად.

დოკუმენტები დაგვანახვებენ იმ ძაფის სათაურს, რომლის მეორე ბოლო დღეს ჩვენ ხელთ გვიჭირავს და არ ვიცით, რა ვუყოთ ამ მეორე ბოლოს – შევსწყვიტოთ იგი, თუ გავაბათ ჩვენდა სახელმძღვანელოდ სავალი გზის მაჩვენებლად.

XIX. ბიბლიოგრაფია.

(„Присоединеніе Грузіи къ Россіи“, З. Авалова. Петербургъ, I90I г).

კარგი წიგნი – იშვიათი მოვლენაა. კარგი წიგნი გულში ჩაგრჩება, აგაღელვებს, ჩაგაფიქრებს. კარგი წიგნი თქვენი პირველი მეგობარია, რადგან იქ, იმ წიგნში ჰპოვებთ თქვენს საკუთარს გულის წადილს, საკუთარ აზრს და მისწრაფებას. იშვიათია ამგვარი წიგნი, რადგან იგი ნაყოფია გონებრივ შემოქმედებითი ძალისა და ეგ ხომ „რჩეულთა“ ხვედრია.

ზურაბ ავალიშვილის წიგნი სწორედ ამნაირი წიგნია.

თქვენ ბევრში არ ეთანხმებით ავტორს, ზოგიერთი მისი დასკვნა გწყინთ კიდეც, თქვენ გეუცხოვებათ თამამი და გაბედული მსჯავრი ავტორისა, მიუხედავად ამისა, ავალიშვილის თხზულება იმგვარ თხზულებათ ეკუთვნის, რომლის ღირსება მკითხველის თვალში შეურყეველია, და რომელიც ჩვენს დამშეულ ნაციონალურ თვით-ცნობიერებას აძლევს ნოყიერ, კარგ მოსანელებელ საკვებს და საზრდოს. ვინც კი წაიკითხა, დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მასზე ამ წიგნმა, თუმცა თითქმის ყველა იმას ამბობს, რომ არ ეთანხმება ავტორის პირად შეხედულებას და თხზულების საბოლოვო დასკვნებს. მაშ რაში იმალება

ამ წიგნის ღირსების საიდუმლო? რაშია მისი ძალა, რად გვაღელვებს და გვაშფოთებს, თუ კი არ ვეწყობით ავტორის პოლიტიკურ ფილოსოფიას? ჩვენს წინ წარმოსდგა ეს კითხვა და, ვგონებთ, ეს კითხვა ყველას დაებადება, ვინც კი გაიცნობს ამ შესანიშნავ ისტორიულ თხზულებას.

ზ. ავალიშვილი, ისტორიკოს-იურისტი, თავის საგნის შესწავლას მეცნიერულ მეთოდით შეუდგა. ყოველ ისტორიულ ფაქტს და ცვლილებას ავტორმა მეცნიერულ თვალით შეჰხედა. და მეცნიერება ხომ მოვლენის მიუკერძოებელი შეგნებაა და დაფასება. მეცნიერება მოითხოვს სინამდვილის აღიარებას, დაუმახინჯებელ ფაქტების აღნუსხვას; ამიტომ მეცნიერების მსჯავრი თვით ჭეშმარიტებაა, მისი დასკვნა არავისთვის არაა საწყენი, რადგან საწყენი მხოლოდ უსამართლობა და სინამდვილის შელახვაა. მეცნიერება კი ყოველთვის სამართლიანია და აი ავტორი სწორედ ამ მეცნიერულ ნიადაგზე იკვლევს თავის საგანს და ამ სამეცნიერო ნიადაგს წიგნის დაბოლოვებამდე თავს არ ანებებს. ამაშია წიგნის უმთავრესი ღირსება, ამაშია ავტორის ძალა. ხოლო ყველა ამას თან ზდევს სხვა რამეც. ავტორს აქვს თავისი პიროვნული შეხედულება, თავისი პოლიტიკური ფილოსოფია. გზა-და-გზა მეცნიერულად გამოკვლეულ და გამონახულ ფაქტებს ავტორი აფასებს და სჯის ამ თავის ფილოსოფიის მიხედვით. ავტორის პოლიტიკური ფილოსოფია არ არის ლოღიკურად დაკავშირებული წიგნის მეცნიერულ ნაწილთან. ეს ის სუბიექტური ელემენტია, რომელიც არღვევს წიგნის სიმთელეს და ჰარმონიას. ამაშია თხზულების სისუსტე. სანამ ავტორი, როგორც ნამდვილი მეცნიერი „სინამდვილის“ აღდგენას ანდომებს თავის კრიტიციზმს – თხზულების საძირკველი და აყვანილი კედლები კლდესავით მაგარია და ლოდსავით შეურყეველი, ხოლო, როდესაც ავტორი „პოლიტიკოსობს“, მთელი შენობა ფამფალს იწყებს, ირხევა და მკითხველს თან-ზდევს ამ შენობის დანგრევის შიშ-

ზარი, და ეს იმიტომ კი არა, რომ ავტორს თავის საკუთარ აზრის გამოთქმის ნება არა ჰქონდა, არამედ იმიტომ, რომ ამ-ნაირია არსებითი თვისება მეცნიერებისა, ერთის მხრით, პო-ლიტიკისა (ანუ პოლიტიკურ ფილოსოფიისა) მეორეს მხრით, პოლიტიკური ფილოსოფია – სუბიექტური აზროვნება, პირადი ისტორიულ მოვლენათა დაფასება. რამდენადაც მეცნიერების

მოწმობა უტყუარია, იმდენად „პოლიტიკოსობა", დაუდგრო-მელი მსჯელობა, ქვიშაზე აგებული შენობაა. ამგვარად თხზუ-ლებას მიეცა ორკეცი ხასიათი. საკვირველია ის, რომ ბ. ავა-ლიშვილის მეცნიერულ საფუძველზე თქვენ თამამად შეგიძლი-ათ თქვენი საკუთარი ფილოსოფია ააშენოთ, სრულიად წინა-აღმდეგი ავტორის პოლიტიკურ შეხედულებისა. და ეს თქვენი-პოლიტიკური ფილოსოფია, არამც თუ ლოღიკურად არ ეწი-ნააღმდეგება თხზულების მეცნიერულ ნაწილს, პირიქით, უფ-რო შეესაბამება წიგნში აღიარებულ და გარკვეულ ისტორიულ სინამდვილეს. აქ იმალება ამ წიგნის ნამდვილი ხასიათის გა-მოცანა. **თხზულება აძლევს დიდ საზრდოს ქართულ თვით-ცნობიერებას და ამასთან მეცნიერული საფუძველიც მოუ-ნახა ამ თვით-ცნობიერებას და იმ ნაციონალურ მისწრაფე-ბას, რომელსაც ავტორი თითქოს ვერ ჰხედავს**. ავტორის პი-რადი „პოლიტიკა“ დიდ სამსახურს გაგვიწევს, რადგან დაგვე-ხმარება ჩვენი თვითცნობიერების და მისწრაფების გაგონიერე-ბაში. ხოლო მეცნიერული შესწავლა იმისთანა მომენტისა ჩვე-ნის პოლიტიკურ ისტორიისა, როგორიცაა „საქართველოს რუ-სეთთან შეერთება“, საფუძვლად დაედება ჩვენს, ცოტა არ იყოს. „უვიცს“ და „უშინაარსო“ პატრიოტობას...

წიგნის უმთავრესი კითხვა, რომელიც იქცევს მკითხველის ყურადღებას, ნათლად და მკაფიოდ არის დაყენებული და ამ დაყენებულ კითხვაზე პასუხიც გადაჭრილ-განსაზღვრულია. ავ-ტორს, როგორც იურისტს, აინტერესებს, როგორ, რანაირად მოისპო საქართველოს პოლიტიკური დამოუკიდებლობა! ამ მოსპობას თან სდევდა რაიმე იურიდიული აქტი, ორმხრივი (საქართველოს და რუსეთის) თანხმობის (двухсторонное соглашеніе) ნაყოფი იყო დამოუკიდებლობის დაკარგვა, თუ ყველა ეს მოხდა ცალმხრივ ძალ-დატანებით?..

ეს კითხვა აინტერესებს ავტორს მეცნიერების მხრით. იუ-რიდიულ მეცნიერებაში ცნობილია სხვა და სხვა ტიპი საერთა-შორისო ურთიერთობისა, დამოკიდებულობისა. როცა რომე-ლიმე ერი თავის ნებით და თავის უმთავრეს სამმართველო ორგანოს საშუალებით – ხელმწიფეა იგი, სეიმი თუ პარლამენ-ტი – შეუერთდება მეორე სახელმწიფოს იმ პირობით კი, რომ

ამ ორ შეერთებულ ერს ექნებათ ხელუხლებელი შინაური მმართველობა, ხოლო უმაღლესი ორგანო – მთავრობა კი სა-

ერთო ეყოლებათ, ამგვარ იურიდიულ აქტს მეცნიერებაში „უნიას“ უწოდებენ. მხოლოდ, როდესაც ერთი ერი თავის ნებით, ან ძალდატანებით მეორე სახელმწიფოს **მფლობელობაში** ვარდება, ამგვარ ცვლილებას მეცნიერებაში „ინკორპორაციას“ უწოდებენ. **კანონიერი ინკორპორაცია** იმაში მდგომარეობს, რომ რომელიმე სახელმწიფო **თავის ნებით** უარ-ჰყოფს თავის შინაურ დამოუკიდებლობას, ეროვნულ პოლიტიკურ ორგანიზაციას და მეორე სახელმწიფოს მფლობელობაში **თავის სურვილით** გადადის. **უკანონო ინკორპორაცია** – სახელმწიფოს, წინააღმდეგ მის სურვილისა, დაპყრობა და დაჭერაა (ომის ანუ სხვა გარემოებათა საშუალებით).

რომელ ტიპს მიაგავს საქართველოს რუსეთთან შეერთების აქტი – ამ კითხვას დაბეჯითებით იკვლევს ავტორი. აქ არის ისტორიული ცვლილების დედა ძარღვი. უნდა სრული სიმართლე მივცეთ ავტორს, რომ როგორც კითხვის დაყენებაში, ისე ამ კითხვაზედ პასუხის გაცემაში გამოიჩინა სრული მიუკერძოება და თამამობა, დიდი ნიჭი დაწვრილებითი გამოკვლევისა და ამიტომაც მისი დასკვნა, დასაბუთებული და შემოწმებული, ნათელია, როგორც დღე.

ზოგიერთი ისტორიკოსი, მათ შორის სომხებისაც – ეზოვი – ამბობენ, რომ საქართველოს რუსეთთან შეერთების კითხვა არც კი უნდა იყოს დაყენებული, რადგან საქართველო მეთვრამეტე საუკუნეში სპარსეთის პროვინციად ითვლებოდაო და, მაშასადამე, მას არა ჰქონდა დამოუკიდებელ პოლიტიკურ მოქმედების უფლებებიო. სანამ ჩვენი ავტორი მოგვცემს პასუხს უმთავრეს კითხვაზედ, მკითხველის ყურადღებას აჩერებს ამ საგანზედაც. „მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში საქართველო არ არის არავითარ დამოკიდებულებაში სპარსეთთან, გვეუბნება ავტორი. როდესაც მეფე ერეკლე ხელ-შეკრულობას ჰკრავდა რუსეთთან, ეს იყო სახიფათო პოლიტიკური ნაბიჯი სპარსეთის წინაშე, ხოლო ამ ხელშეკრულობით ერეკლე არავითარ უფლებას არ არღვევდა სპარსეთისას საქართველოსადმი, რადგან ეს უფლება კარგა ხანია გაუქმებული იყო. თუმცა მაშინაც კი, როდესაც ფაქტიურად სპარსეთს ჰქონდა ამგვარი უფლება, ამას არ ურიგდებოდა ქართული ქრისტიანული თვით-ცნობიერება. დავა ბრძოლით უნდა გათავებულიყო, მაგრამ აღა-მაჰმად-ხანმა,

მიუხედავად გარეგან გამარჯვებისა, ვერ მოუგო ბრძოლა ერეკ-
ლეს, საქართველოში ვერ დამკვიდრდა და საჩქაროდ შინისა-
კენ დაბრუნდა (182 გვ.). ამ რიგად საქართველოს, რო-
გორც დამოუკიდებელ სახელმწიფოს, სრული უფლება ჰქონ-
და ერთა შორის იურიდიულ ხელშეკრულებათა დადებისა.
მაშ როგორ მოხდა, რომ რუსეთის და საქართველოს ურთი-
ერთობა, რომელიც **ორ-მხრივ ხელშეკრულობაზედ** იყო
აშენებული საქართველოს **ინკორპორაციით** (დაპყრობით)
გათავდა? ეს გადასვლა შეიძლება იურიდიულადაც მომხ-
დარიყო. „მხოლოდ საქართველოს თავის ნებით რუსეთთან
შეერთებაზედ იურიდიულის მხრით, იმ შემთხვევაში შეიძ-
ლება ლაპარაკი, გვეუბნება ავტორი, როდესაც ინკორპო-
რაცია ჩაითვლება დაინტერესებულ ერთა ორმხრივი თანხმო-
ბის შედეგად… სახელმწიფოს დამოუკიდებლობის დაკარგვა და
ძალდაუტანებელი ინკორპორაცია შესაძლებელია, მხოლოდ
ამისათვის საჭიროა ფორმალურად გამოსახული ორმხრივი თან-
ხმობა. არამც თუ დამოუკიდებლობის დაკარგვა, ყოველი
ცვლილება, რომელსაც ორის სახელმწიფოს შეერთება მოჰყვე-
ბა ხოლმე, უნდა იყოს ორმხრივი თანხმობის შედეგი“. როცა
რომელიმე სახელმწიფო მეორე სახელმწიფოს სრულ მფლობე-
ლობაში შედის, ამ ინკორპორაციას უნდა წინ სდევდეს ხელ-
მწიფის ტახტიდან ჩამოსვლის აქტი (თუ მონარქიაზეა ლაპარა-
კი) და საზოგადოდ ინკორპორაციაზედ (დამოუკიდებლობის
მოსპობაზე) თანხმობა უნდა გამოუცხადოს იმან, ვისაც სახელ-
მწიფო სურვილის გამოსახვის უფლება აქვს ხელში (გვ. 188).
ასე, მაგალითად, ირლანდიამ და ინგლისმა **თანახმად** დაადგი-
ნეს: 1 იანვრიდან 1801 წ. დიდ-ბრიტანიის და ირლანდიის
სახელმწიფოები სამუდამოდ ერთ სამეფოში ერთდებიან და და-
ერქმევათ შეერთებულ დიდ-ბრიტანიის და ირლანდიის ხელ-
მწიფობა. ირლანდიამ თავის ნებით დაჰკარგა თავისუფლება.
ასევე იყო კურლიანდიაში, სადაც 18 მარტს 1795 წ. სეიმმა
„სამუდამოდ გასწყვიტა დამოკიდებულება პოლონეთთან და, მე-
ორე მანიფესტის საშუალებით“, სასარგებლოდ და საჭიროდ
იცნო გაუქმება არსებულ სამთავრო მმართველობისა, რათა
რუსეთის იმპერიასთან პირდაპირ, უშუამდგომლო შეერთება
მომხდარიყო. (კურლიანდიის ჰერცოგმა განათავისუფლა თავი-

სი ქვეშევრდომნი ფიცისაგან და რუსეთის დედოფლებს დაუ-
თმო ყოველი თავისი ხელმწიფური უფლებანი).

საქართველოს პოლიტიკურ დამოუკიდებლობის მოსპობის
დროს არ იყო დაცული ამგვარი იურიდიული ფორმა. „სა-
ქართველოს შეერთება რუსეთთან არ გამოისახა განსაზღვრულ

იურიდიულ აქტებში... (197). მართლაც, სანამ საქართველოს
და რუსეთის კავშირი „ხელშეკრულებაზე“ იყო აშენებული,
საქართველოს სამეფოს თავისუფლება, პრინციპიალურად, არ
იყო დაკარგული. ახალი პროექტითაც საქართველო არ იყო
იმპერიის ნაშობად, იმპერიას აძლევდა საქართველო მხოლოდ
თავის უფლებას კანონ-მდებლობისას, ხარჯის აკრეფისას და სხვა.
ბევრ უფლებას აძლევდნენ ქართველები რუსეთს, მხოლოდ
აძლევდნენ თავის ნებით. ყოველი შემდეგი ცვლილება საერთო
თანხმობით უნდა მომხდარიყო…

ამას ამბობს მეცნიერული სამსჯავრო. საუბედუროდ, ავ-
ტორი, რომელსაც ამ მოვლენის დაფასება ჰსურს, გამსჭვალუ-
ლა ერთგვარ პოლიტიკურ ფილოსოფიით, რომელსაც „ფაქ-
ტის“ თაყვანის მცემლობა თუ დაერქმევა, თორემ სხვანაირად
ვერ დაგვიხასიათებია… ავტორი ისეა გატაცებული „რეალიზ-
მით“, რომ ამ რეალიზმს ანაცვალა სამართალიც. ყოველივე
დიდი, მძლავრი და გაბედული სიმპატიურია ავტორისათვის და
ყოველი ნორჩი, თუნდაც სამართლიანი, წარმავალი და სუს-
ტია მის თვალში...

ავტორი მეცნიერი და ავტორი პოლიტიკოსი – ორი არ-
სებაა – მათ შორის თითქმის წინააღმდეგობაა. სალამს ვუძღვნით
ავტორს-მეცნიერს.

XX. კიდევ ერთი განყენებული საუბარი.

(ობიექტივიზმი, აუცილებლობა, თავისუფლება)

ჩვენ არ ვეთანხმებით „არგონავტში“ გამოთქმულ მოსაზ-
რებას, ვითომ თეორიულ და ფილოსოფიურ წერილების
წერა უნაყოფოდ დროს და ენერგიის დაკარგვა იყოს. ის გარე-
მოება, რომ ჩვენი საზოგადოება განყენებულ საგნების გარკვე-
ვას არ არის მიჩვეული, არ უნდა გვაბრკოლებდეს: თუ არ

არის მიჩვეული, უნდა მიეჩვიოს; თუ მიჩვეულია, გონებრივი
საზრდო ესაჭიროება. ორსავე შემთხვევაში თეორიულ ხა-
სიათის წერილების წერა აუცილებლად საჭიროა.

მაგრამ ამ ხასიათის წერილებს სხვა პრაქტიკული მნიშვ-
ნელობაც აქვს. ხშირად ჩვენს **მოქმედებას** ვამყარებთ აკვია-
ტებულ მოუნელებელ რომელიმე მეცნიერულ მოსაზრებაზე,
ხშირად ვამართლებთ ამ მოქმედებას მხოლოდ იმიტომ, რომ
ამა და ამ წიგნებში ამ მოქმედების თეორია და ფილოსოფიაა
შემუშავებული.

რაც შეეხება „ისტორიულ მატერიალიზმს“, „მარქსიზმს“

და სხვა ამნაირ თეორიულ კითხვებს, მათ უტყუარ განმარტებას, ახსნას და დასაბუთებას მით უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ ჩვენ ჯგუფ-ჯგუფად დაყოფის გამართლებას სწორედ ამ კითხვების ერთგვარ განმარტებაში ვპოულობთ. თეორიის და ცხოვრების კავშირი უფრო მჭიდროა, ვიდრე ჩვენ გვეჩვენება.

ეს გარემოება გვაბედვინებს მივაქციოთ მკითხველის ყურადღება ბ. მახარაძის ზოგიერთ მეცნიერულ მოსაზრებაზე („კვალი“ № 31) კითხვა წმინდა თეორეტიულია: სოციოლოგია და მისი მეცნიერული საფუძველი. სოციოლოგია (საზოგადოების შესწავლის მეცნიერება) შეურყეველ ობიექტურ (ადამიანისაგან დამოუკიდებელ) საფუძველზე უნდა იყოს აგებულიო, ე. ი. იმ მოვლენათა ჯგუფზე, რომელია ექვემდებარება თავის საკუთარ კანონს და რომლის შეცვლა ადამიანის ხელში არ არის. ისტორიულ მატერიალიზმის მოძღვრება სწორედ ამგვარ ობიექტურ საფუძველს წარმოადგენს სოციოლოგიის ასაგებადო. მისის განმარტებით, პროცესი ადამიანთა ცხოვრებისა ობიექტურია, (დამუკიდებელი) კაცის სურვილს და მისწრაფებას (სუბიექტივიზმს) მის მიმდინარეობაზე არავითარი გავლენა არა აქვს. კაციც, თავისი სურვილებით და მისწრაფებით, ნაყოფია ამ ობიექტურ ძალთა თამაშობისაო. ასე რომ სუბიექტივიზმი უნდა იყოს განდევნილი სოციოლოგიიდან და ამ მეცნიერების ერთად ერთი საძირკველი – ობიექტივიზმიაო.

მხოლოდ საკითხია, რა არის „ობიექტივიზმი“ და „სუბიექტივიზმი?“ პირველ კითხვის გადასაწყვეტად ამ ორ ცნების განმარტებაა საჭირო. სანამ არ გავიგებთ ამ სიტყვების ნამდ-

ვილ მნიშვნელობას, ვერ გადავსწყვეტთ სოციოლოგიურ მეცნიერების შინაარსს და მიმართულებას.

ამ ცნების გარკვევისათვის საჭიროა მივმართოთ კრიტიკულ ფილოსოფიის დასკვნას. „კრიტიციზმის“ განმარტებით ჩვენი ცოდნა განსაზღვრული არ არის. ჩვენ არ ძალგვიძს შევიგნოთ არსებითი ხასიათი ბუნებისა და საზოგადოდ ყველა იმისი, რაც ადამიანის გარეშე იმყოფება. ჩვენი აზრი **მოვლენას**, ე. ი. ჩვენი გონებით წარმოდგენილ საგანს, ვერ გადასცილდება. მოვლენათა სამფლობელო ის სამფლობელოა, სადაც ტრიალებს ჩვენი ცოდნა. მხოლოდ **მოვლენას** ჩვენ ვიგებთ ჩვენისავე გონებით, – ის არის ჩვენი წარმოდგენა. ამისათვის ჩვენს ცოდნას აქვს „იდეალისტური“ ხასიათი, ე. ი. გონება არის ის შუამავალი, რომლის შემწეობითაც ვიძენთ ცოდნას. რასაკვირველია, ამ ცოდნის შემუშევებისათვის საჭირო არის

აგრეთვე საგანი, ჩვენს გარეშე მყოფი. და ეს საგანი არსებობს კიდეც, მხოლოდ, როგორია ამ საგნის არსებითი ხასიათი, როგორია ის თავის თავად, ჩვენ არ ვიცით, რადგან ჩვენი გონება საგნის არსებითი შეგნებამდე ვერ სწვდება. ამისათვის ჩვენს ცოდნას აქვს სუბიექტურ-ობიექტური ხასიათი. სუბიექ-ტურია ის, რადგან ადამიანი თავის გონებით აუცილებელი პი-რობაა ყოველგვარ გარეშე მყოფ საგნის წარმოდგენისათვის. ობიექტურია, რადგან ჩვენი ცოდნის „საგანი“, მასალა, რო-მელიც მოქმედობს ჩვენზე, ადამიანის გონების გარეშე უნდა იმყოფებოდეს. ამრიგად „კრიტიციზმმა“, კანტის მეოხებით, უარჰყო ორი უკიდურესი მეტაფიზიკური მოძღვრება – აბსო-ლუტური სუბიექტივიზმი და აბსოლუტური ობიექტივიზმი. პირველი მოძღვრება ამტკიცებდა, რომ ერთად ერთი სინამდ-ვილე, ადამიანის უტყუარი ჭეშმარიტება არის აზრი. ბუნება იმდენად არსებობს, რამდენადაც აზრი არსებობს. ბუნება და აზრი ერთდებიან, მხოლოდ ბუნება იფლება აზრის მფლობე-ლობაში. ბუნებას და (ცხოვრებას დამოუკიდებელი ობიექტური ხასიათი არა აქვთ. ისინი იმიტომ არიან, რომ ჩვენ ვართ. ჩვენ არ ვიქნებით, არც ისინი იქნებიან. ამრიგად უკიდურესი სუ-ბიექტივიზმი უარჰყოფს ცხოვრების და ბუნების ობიექტივიზმს (ე. ი. ადამიანისაგან დამოუკიდებელ არსებობას).

ამავე შეცდომას სჩადის უკიდურესი ობიექტივიზმიც, რომელიც ადამიანს ბუნებას და ცხოვრებას უქვემდებარებს და

მის გონებასა და აზრს არავითარ მნიშვნელობას არ აძლევს ცოდნის შემენაში.

ორივე მოძღვრება მეტაფიზიკური მოძღვრებაა, რადგან ერთის საგანი – აბსოლუტური სუბიექტივიზმია, ხოლო მეორე-სი – აბსოლუტური ობიექტივიზმი. პირველი ცხოვრებას და ბუ-ნებას უარჰყოფს, მეორე – ადამიანს თავის გონებითურთ, ურომ-ლოდაც არაფრის შეგნება არ ძალ-გვიძს.

ამრიგად, კრიტიკულმა ფილოსოფიამ გასწყვიტა ყოველი კავ-შირი ძველ დოგმატურ მეტაფიზიკურ სისტემებთან. მან დაად-გინა, რომ არც ჩვენი ცოდნა, არც ამ ცოდნის საგანი არ ასცილ-დება **მოვლენათა** სამფლობელოს, იმ მოვლენათა სამფლობელოს, რომლებშიაც **ჩვენს გონებას** წყობა და რიგი შემოაქვს და რომელთ ერთ-ერთმანეთზედ დაკავშირება ისევ ჩვენს წარმოდ-გენაში აუცილებლობის კანონს ექვემდებარება. ყოველ მოვ-ლენას ვაკავშირებთ მეორე მოვლენასთან, მეორეს – მესამეს-თან, და მთელი მოვლენათა სამფლობელო ჯაჭვით არის გა-დაბმული და, ეს ერთმანეთთან დამოკიდებულება აუცილებელი დამოკიდებულებაა, რადგან სხვანაირად **ჩვენ ვერ წარმოგვი-**

დგენია მოვლენათა არსებობა.

ასე, რომ „კრიტიციზმმა“ გამოარკვია ორი რამ: საგანი ანუ მოვლენა, რომელიც, ზედაპირულად რომ შევხედოთ, ვითომ ობიექტურად არსებობს, თურმე ჩვენი წარმოდგენა ყოფილა; ამ მოვლენის მეორე მოვლენასთან დაკავშირებასაც ობიექტური ხასიათი არა აქვს, რადგან ეს დაკავშირება ის აუცილებელი პირობაა, ურომლოდაც ჩვენ ვერ წარმოგვიდგენია საგანი.

ამრიგად, ჩვენი ცოდნა, სოციოლოგიურია ის, თუ ფილოსოფიური, ექვემდებარება განსაზღვრულ პირობებს: იგი ეკუთნის **მოვლენათა** სამფლობელოს; ამ სამფლობელოს თავის დღეში ვერ გადასცილდება და ამიტომ აბსოლუტურად ობიექტური არ არის; იგი ექვემდებარება მიზეზის კანონს და ამ კანონს აქვს აუცილებლობის ხასიათი. ხოლო მიზეზის კანონიც და აუცილებლობაც – ობიექტურად კი არ არსებობს, არამედ იგია ის პირობა, ურომლოდაც საგნის ცოდნა შეუძლებელია.

მაშ, იკითხავს მკითხველი, თუ კი არც საგანი (მოვლენა) არსებობს ობიექტურად (ადამიანის გონების დამოუკიდებლად),

არც ის აუცილებლობის კანონი, რომლითაც არის დაკავშირებული მოვლენათა კრებული, ობიექტური აუცილებლობის კანონი არ ყოფილა, როგორღა შესაძლებელია მეცნიერება?
ბ. მახარაძეც ჩააფიქრა ამ მეცნიერებამ. „თუ საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენანი არ ექვემდებარებიან არავითარ კანონს, თუ ყოველივე ეს დამოკიდებულია მხოლოდ ადამიანის **სურვილზე** (ხაზს ჩვენ ვუსვამთ), ამ შემთხვევაში სოციოლოგიას, როგორც მეცნიერებას, ეკარგება ყოველნაირი ნიადაგი“, გვეუბნება ავტორი სამართლიანად. დიაღ, კაცის სურვილი ცვალებადია და მასზედ ვერ დავამყარებო სოციოლოგიურ ცოდნას. ცოდნა უნდა დამყარდეს გამოცდილებაზედ, მოვლენათა შესწავლაზედ, მოვლენათა აუცილებელ კანონით დაკავშირებაზედ და ყველა ეს **სურვილზედ** კი არ არის აშენებული, არამედ ადამიანის გონიერებაზედ. ადამიანის გონებას აქვს თავისი კანონები, ამ კანონებს ექვემდებარება ჩვენი ცოდნა. ადამიანის სურვილს ამგვარი კანონი არ აქვს და ამისათვის ცოდნის შემუშავებაში ის არც ეჩრება.

სწორედ ამისათვის ყოველს ჩვენს ცოდნას, მით უმეტეს სოციოლოგიურს, ორგვარი ხასიათი აქვს: საგანს იძლევა ცხოვრება, მხოლოდ ამ საგანს თავის ხასიათს აძლევს გონება (და არა სურვილი), ამისათვის ამ ცოდნას აქვს სუბიექტურ-ობიექტური ხასიათი.

რაც შეეხება ადამიანის მოქმედებას, ჩვენი ცოდნა და შესწავლა საზოგადოების აგებულებისა არაფერ შუაშია. თუ საზოგადოების მოვლენათა ცვლილება გვეჩვენება ობიექტურ ცვლილებად, აქედან ის კი არ უნდა გამოვიყვანოთ, ვითომ ჩვენი მოქმედებაც უნდა დავუქვემდებაროთ ამ პროცესს. კაცი თავისუფლებას ეძებს, საზოგადოების მოვლენანი კი აუცილებლობის კანონზე არიან დაფუძნებულნი (არ დავივიწყოთ, რომ ამ კანონსაც აქვს სუბიექტური ხასიათი). როგორ შევარიგოთ ეს პირდაპირობა, თავისუფლება და აუცილებლობა?

ბ. მახარაძის განმარტებით, ამ მცნებათა შორის არავითარი პირდაპირობა არ არის. „თავისუფლება და აუცილებლობა ერთმანეთში გადადის“, – ამბობს ავტორი. „ჩვენ თავისუფალი გვგონია ჩვენი თავი იმდენად, რამდენად არ გვესმის ან არ შეგვიგნია ჩვენი მოქმედებათა აუცილებლობა... აუცილებლობა ერთად ერთი საიმედო თავდებია თავისუფლებისა“.

ასე რომ, ნამდვილი თავისუფლება აუცილებლობა ყოფილა. მხოლოდ დავუკვირდეთ ამ ორ ცნების შინაარსს.

თავისუფლება განსაზღვრულ მიზნის ასრულებაა, ამ მიზნისადმი მისწრაფება. თავისუფლება უარყოფაა ყოველ დაბრკოლებისა, რომელიც კაცს გზაზედ ეღობება. თავისუფლებაა მოქმედება თანახმად ადამიანის აზრისა, ლტოლვილებისა და იდეალისა.

აუცილებლობა განსაზღვრულ ბრმა პროცესის მსვლელობაა, უარ-ყოფაა შესწორებისა, გაუმჯობესობისა, ლტოლვილებისა. აუცილებელი არ ნიშნავს კეთილის მომასწავებელს, რადგან ყოველი ზნეობრივი დაფასება განდევნილია აუცილებელ ცხოვრების პროცესის მსვლელობიდან. აუცილებლობა და თავისუფლება ორი წინააღმდეგობაა. რამდენად პირველი ბატონდება, იმდენად მეორე ილახება. მათ შორის ბრძოლაა, სწორედ ის ბრძოლა, რომლის კვალს ჩვენ ვხედავთ ცხოვრებაში, როდესაც უკეთესის მომავლის, უკეთესის წეს-წყობილების დამყარებისათვის გამოვდივართ სამოქმედოთ.

ამრიგად, ჩვენ ვნახეთ, რომ ბ. მახარაძის შიში, ვითომ სუბიექტივიზმის ჩარევით სოციოლოგიურ მეცნიერებას საფუძველი ეცლება, ტყუილი შიშია, რადგან ცოდნა და მეცნიერება ვერ მოიშორებს ამ სუბიექტურ ელემენტს, რადგან ეს ელემენტი ადამიანია თავის გონებით, ე. ი. ის აგენტი, რომელიც ყოველი ცოდნის პირობად და იარაღად ჩაითვლება. ცოდნის მფლობელობაში ადამიანის სურვილი არ ერევა, ცოდნა გონების კანონს ექვემდებარება და ამ კანონებს შეაქვთ მრავალ-ფეროვან ცხოვრების მასალაში სისტემა, წყობა და

რიგი. ეს არის ობიექტური მხარე ადამიანის ცოდნისა. იგია იმდენად შეურყეველი, რამდენადაც შეურყეველი და შეუცვლელია ადამიანის გონების მოქმედების კანონები. ჩვენ ვნახეთ აგრეთვე, რომ ადამიანის პრაქტიკული მოქმედება აუცილებლობის კანონს ვერ დაემორჩილება, რადგან აუცილებლობა თავისუფლების დამხობა და გათახსირებაა.

XXI. კოოპერაციების გამო.

—

ეკონომიურ ცხოვრებაში ხცნობილთა ორი ტიპი .კოოპერაციისა: მწარმოებელი კოოპერაცია და მომხმარებელი კოო-

პერაცია. ამ ორ კოოპერაციათა შორის არის არსებითი განსხვავება. პირველი კოოპერაცია თავის ნამუშავარს ჰყიდის, მეორე სხვის ნამუშავარს ჰყიდულობს. ამისათვის მწარმოებელ კოოპერაციას აქვს გამყიდველ ამხანაგობის ხასიათი; ხოლო მომხმარებელი კოოპერაცია „მყიდავი“ კოოპერაციაა, და რამდენი განსხვავებაა გამყიდველ და მყიდველ შორის, იმდენად განსხვავდება პირველი ტიპის კოოპერაცია მეორისაგან.

თანახმად ქალბ. პოტტერ-უების და დ-რ ოპენგეიმერის აზრისა, ცნობილი გერმანელი მწერალი ბერნშტეინი ასე ახასიათებს აღნიშნულ კოოპერაციათა განსხვავებას. „როდესაც რომელიმე ასსოციაცია (ამხანაგობა) მყიდველ ასსოციაციად ხდება, ამ შემთხვევაში ამ ასოციაციის მიზანი, თვით მისი საკუთარი ინტერესიც, სასურველად ხდიან ამ ასსოციაციის გაფართოვებას. ხოლო რაც უფრო მეტი ეძლევა მას გამყიდველ ასსოციაციის თვისებები და რაც უფრო მეტს ჰყიდის ეს ასსოციაცია თავის ნამუშევრის ნაყოფს, (გლეხთა ამხანაგობაში საქმე ცოტა არ იყოს იცვლება), მით უფრო მეტად აშკარავდება მისი შინაგანი წინააღმდეგობა. ამ ასსოციაციის ზრდასთან იზრდება მრავალგვარი დაბრკოლებაც: განსაცდელი ემატება, შემუშავებულ მასალის გასაღება და კრედიტის შოვნა უჭირდება, მწვავდება აგრეთვე ქიშპობა კერძო პირთა შორის „სარგებლობაში“ მონაწილეობის მიღების გამო. ამისათვის ამგვარ ასსოციაციას განსაკუთრებული პირობები სჭირია. მისი მოგებისადმი მისწრაფება მყიდველის და სხვა დანარჩენ გამყიდველების მისწრაფებასაც ეწინააღმდეგება. მყიდველი ამხანაგობა, პირიქით, რაც უფრო მეტად იზრდება, პრინციპიალურად მეტს იგებს; თუ მისი მოგებისადმი მისწრაფება ეწინააღმდეგება გამყიდველების ინტერესებს, იგი სრულებით ეთანხმება სხვა და-

ნარჩენ მყიდველების ინტერესს. მყიდველი ამხანაგობის მიზანია – სარგებლობის ნორმა დასწიოს და მასალა გააიაფოს – ეს ის მიზანია, რომლისკენაც მიისწრაფვის საზოგადოებაც და მყიდველიც... [1]) საუკეთესო მწარმოებელი ასსოციაციაც, სანამ ის მხოლოდ ჰყიდის, ყოველთვის ფარულად ეწინააღმდეგება საზოგადოებას და მის წინააღმდეგ თავისი ინტერესები

[1]) Le socialisme théorétique et la socialdemocratie pratique – Bernstein. Paris.

ექმნება. ამ მწარმობელ ასსოციაციასთან საზოგადოებას ისეთივე ინტერესთა შეჯახება მოუვა, როგორც რომელიმე კაპიტალისტურ დაწესებულებასთან".

ამრიგად, ევროპიელ მეცნიერთა განმარტებით, მწარმოებელ კოოპერაციის ხასიათი კაპიტალისტურია, ხოლო მომხმარებელ კოოპერაციის თვისება უფრო დემოკრატულია. უნდა ვსთქვათ, რომ კოოპერაციათა მნიშვნელობა, მათი ღირსებანაკლულევანება უფრო ამ ჩვენს დროში გამოირკვა. მარქსმა ვერ დააფასა ნამდვილი მნიშვნელობა კოოპერაციისა. ბერნშტეინის აზრით, ეს იმითი აიხსნება, რომ მარქსის დროს ჯერ კიდევ არ გამოუცდიათ სხვა და სხვა ფორმა კოოპერაციებისა, რის გამო მარქსს ვერ ექნებოდა ამ საგანზე დამდგარი და განსაზღვრული აზრი; მეორეც, მარქსს უშლიდა აკვიატებული „ექსპროპრიაციის ფორმულა" (დიდი კაპიტალის აუცილებელი გაბატონება პატარაზე). კოოპერაციის გამტკიცება, ცოტა არ იყოს, ამ ფორმულას არღვევდა – და აი, მიზეზი მარქსის ამ კითხვაში მიდგომილობისა.

ორ აღნიშნულ კოოპერაციათა ტიპს არა აქვს თანაბარი ეკონომიური ძალა. ცხოვრებამ და გამოცდილებამ უტყუარი უპირატესობა მიანიჭა მომხმარებელ კოოპერაციას. მწარმოებელი კოოპერაცია როგორღაც ფეხს ვერ იდგამს. ინგლისის სტატისტიკა [2]) გვეუბნება, რომ 1482 მომხმარებელ ამხანაგობას, რომელთაც ჰქონდათ თანხად 367 მილ. მარკა, 1897 წელს 123 მილ. მარკა ჰქონიათ წმინდა მოგება; ესე იგი გაყიდულ საქონლიდან $15^1/_4$% მოგება შემოსვლიათ. ხოლო 120 მწარმოებელ ამხანაგობას, რომელთაც ჰქონიათ თანხად $14^1/_2$ მილ., შემოსვლიათ მხოლოდ 770,000 მარკა, ესე იგი $3^1/_4$%. საზოგადოდ კოოპერაციებს დიდი ადგილი უჭირავთ ინგლისის ეკონომიურ ცხოვრებაში. 10 წლის განმავლობაში (1887-1997 წ.) წევრების რიცხვმა 851,211-დან 1,468,955-დე მოიმატა, მხოლოდ 11,5 მილიონი გირვანქა სტერლინგი (კაპიტალი) იშეიქმნა 20,5 მილიონად. 1894 წ. აწარმოებდნენ

99 მილ. მარკის საქონელს, 1897 წელს ეს წარმოება გაორ-
კეცდა და უდრიდა 187 მილიონს.

ჩვენ უკვე გვქონდა ლაპარაკი სოფლის პატარა მემამუ-

---

[2]) ცნობებს გვაძლევს ბერნშტეინი.

ლეთა რაოდენობის ზრდაზედ დასავლეთ ევროპაში. აქ უნდა
აღვნიშნოთ, რომ სოფლის კოოპერაცია დიდ დახმარებას უწევს
ამ პატარა მემამულეთა კეთილდღეობას. აქ, სოფელშიაც, რო-
გორც ქალაქებში, მკვიდრ ფესვებს იკეთებს მომხმარებელი ანუ
მყიდველი კოოპერაციები და სინდიკატები. სოფლის ამგვარი
კოოპერაცია ყიდულობს ნათესობას, სხვადასხვა სამეურნეო
გაუმჯობესებულ იარაღებს, თავის ნამუშევრის ნაყოფს ნარდად
ასაღებს, იაფფასიან კრედიტს შოულობს. ყველა ამან დიდძა-
ლი გლეხობა გადაარჩინა გადაგვარებას და მიწაზედ გაამაგრა.
ამ ჟამად, დ-რ ვიდფელდის ცნობებით, საფრანგეთში არსებობს
1,770 სამეურნეო (საგლეხო) სინდიკატი, რომელშიაც 700,000
წევრი ითვლება. ეს კოოპერაციები და სინდიკატები (Coopera-
tives Agricoles) იძენენ საერთოდ სხვა-და-სხვა ბალახის თესლებს,
სასუქს, სალეწავ და მკის მაშინებს, ჭალებს აშრობენ და ურ-
წყავ მინდვრებში არხებს სთხრიან, კარგ საქონელს აშენებენ,
რძის და ყველის მოსამზადებელ ფერმებს ამრავლებენ (საფ-
რანგეთში 2,000 ყველის გამკეთებელი კოოპერაციაა), პურის
საცხობებს და წისქვილებს აშენებენ და საზოგადოთ სამეურნეო
საქონლის გაყიდვას კისრულობენ.

აკვირდება რა ამ მხარეს ეკონომიურ ცხოვრებისას, ბერნ-
შტეინი ურჩევს ევროპიელ სოციალ-დემოკრატიას გულმოდგი-
ნეთ, დაბეჯითებით შეისწავლოს კოოპერატიულ მოძრაობის
წარმატება სოფელში და თავი დაანებოს იმგვარ ვითომდა სტა-
ტისტიკურ ცნობების გამოძიება-გამოკრეფას, რომელნიც სოფ-
ლის წვრილფეხა გლეხობის გაღატაკებას ამტკიცებენო... სოფ-
ლის დაცარიელება მაინცა და მაინც კეთილის მომასწავებელი
არ არის. სოფლის ხალხის ქალაქებში გადმოყვანა ადვილია,
ხოლო ქალაქელი კი ასე ადვილად სოფლისკენ არ დაიძრება
სოფლის სამუშაოს ასასრულებლადო.

რაც შეგვეხება ჩვენ, არ შეიძლება არ ვისარგებლოთ ევ-
როპიულ ცხოვრების გამოცდილებით და ჩვენდა სასარგებლოდ
არ გამოვიყენოთ ეს გამოცდილება.

XXII. დასავლეთ ევროპის დემოკრატიზმი.

როცა ყმაწვილი სიჭაბუკეს მიაღწევს, ცელქობა-ეშმაკობას

თავს ანებებს და აზროვნობას იწყებს, მას ხშირად ემართება

ერთი შესამჩნევი გარემოება: მისი თავი ივსება სხვა-და-სხვა ცნებებით და სიტყვებით, მისი გონება მოძრაობაშია და სულიერი ცხოვრება აღშფოთებული, ყმაწვილი სცდილობს ახლად შეძენილ სიტყვებს მისცეს თავისი შინაარსი. მხოლოდ შეძენილ სიტყვათა რიცხვი დიდია, აზრთა და ცნებათა საწყობი კი შედარებით ღარიბი. ამიტომაც მოზარდი ყმაწვილი ხშირად ხმარობს ძნელ გამოსათქმელ, ლამაზ და მისგან გაუგებარ სიტყვებს, რის გამო მისი სჯა-ბაასი უფრო საიდუმლო სიტყვათა თამაშობას გვაგონებს, ვიდრე ნამდვილ მოფიქრებას, ნამდვილ აზრის ვარჯიშობას. საყურადღებოა ისიც, რომ ამგვარი ჭაბუკი ძრიელ გრძნობიერი და თავმოყვარეა. თუ არ მოუწონეთ აზრი, გაგიწყრებათ; თუ უცოდინარობა დასწამეთ, გაფიცხდება და თუ როგორმე შეამჩნევინეთ, რომ ჯერ კიდევ ნორჩია და ბევრი შრომა და მოფიქრება ესაჭიროება, გადაგემტერებათ და ქედმაღლურად ზურგს შეგაქცევთ. მხოლოდ, მიუხედავად ამისა, ამგვარი სიყმაწვილე და ახალგაზდობა მაინც მომხიბლავია: მისი წყრომა წარმავალია და სიბოროტე – ზედაპირულია – ფესვებს არ იკეთებს გულში სიავე ადვილად ექარწყლება, ტუჩებზე ღიმილი ებადება და მის თვალებშიაც ჰკითხულობთ შერიგების რძნობა-სურვილსა.

მაგრამ არის სხვაგვარი სიჭაბუკეც. სიტყვათა და ფრაზათა ტრფიალებასთან, თავ-მოწონებასთან და გაუზომელ სიმამაცესთან, იგი რაღაც გულჩაკეტილობას და შეკუმშულობას იჩენს. თუ გაგიწყრათ, აღარ შეგირიგდებათ, ჩაიხვევს გულში სიძულვილს და სამუდამოდ ნიშანში ამოგიღებთ. ამგვარი ბოროტი და უმგზავსი სიჭაბუკე შეგხვდებათ ხოლმე ცხოვრებაში და უნდა ვსთქვათ, რომ ერთი ნაწილი ჩვენის საზოგადოებისა სწორედ ამ უმგზავს ჭაბუკს გვაგონებს...

მაგრამ თავი დავანებოთ შედარებას. დემოკრატიაზე ვიწყებთ საუბარს და ჩვენდა დაუკითხავად მოგვადგნენ ზემოდ აღნიშნული აზრები. შევუდგეთ საგნის გარკვევას. რა არის დემოკრატია და საიდან წარმოსდგა იგი.

როდესაც ევროპიელი საზოგადოება წოდებებათ იყო დაყოფილი, ამ სხვა და სხვა წოდებათ განსხვავებული იურიდიული და პოლიტიკური უფლებები ჰქონდათ მინიჭებული. მაღალ წოდებას (თავად-აზნაურობას, ფეოდალებს) ჰქონდა ხელში ის პოლიტიკური უპირატესობა, რომლის შემწეობითაც იგი

იყო დანარჩენ ხალხზე გაბატონებული. განვლო დრომ და ცხოვრებაც შეიცვალა, შეირყა წოდებრივ წყობილების საძირკველი, საზოგადო ასპარესზე გამოვიდა ახალი ელემენტი, რომელიც იკვლევდა ცხოვრების ბილიკს შრომით, ნიჭით და ცოდნით. ამ ახალმა ელემენტმა უარ-ჰყო წოდებრივი უპირატესობა ფეოდალებისა და მოინდომა საზოგადოების აშენება სრულიად ახალ საფუძველზე – იურიდიულ და პოლიტიკურ თანასწორობაზე. ამერიკელ (პენსილვანიის რესპუბლიკის) და ფრანგულ „დეკლარაციებში“ ჰპოულობთ ახალ საზოგადოების სრულ პოლიტიკურ ფილოსოფიას. გადავსინჯოთ მოკლედ ეს ფილოსოფია.

ყოველ ადამიანს აქვს ბუნებრივი, თან-შეზრდილი უფლებანი. ამ უფლებებს შეადგენს – თავისუფლება, საკუთრება, უზრუნველ-მყოფელობა (პირადი) და უფლება დაჩაგვრის წინააღმდეგ ბრძოლისა. მხოლოდ რა არის თავისუფლება? თავისუფლება, ვკითხულობთ „დეკლარაციაში“, იმგვარი მოქმედების უფლებაა, რაგვარი მოქმედებაც სხვას არ ავნებს (Declaration, art. 4). ვინ არის ის, ვინც სწყვეტს, ამის ჩადენა შეიძლება და იმისი კი არა? ამგვარ ადამიანის მოქმედების საზღვარს ადგენს კანონი (art. 4). კანონი სწყვეტს იმას, თუ რა ავნებს საზოგადოებას და რა არა. მხოლოდ, ყველა ეს ადამიანის თავისუფლების შემცირება-შევიწროება არ არის?

ამის პასუხად „დეკლარაციის“ მეექვსე თავში ვკითხულობთ: „კანონი საყოველთაო სურვილის გამოსახვაა“ (l'expRession de la volonté générale). ეს წმინდა მეტაფიზიკური ცნება „საყოველთავო სურვილი“ იყო მიღებული, როგორც დოგმატი, და ახალ პოლიტიკურ სისტემის საფუძვლად დაიდო: კანონსა ჰქმნის მთელი ხალხი, იგი საყოველთაო სურვილის გამოსახვაა, მაშასადამე, უზენაესი უფლება (суверенитетъ) თვით ხალხშივე იმყოფება. ხალხი თავის წარმომადგენელის საშუალებით არის კანონისმდებელი. აქედამაა საყოველთაო საარჩევნო უფლების საჭიროება. ამ რიგად გამოირკვა არსებითი განსხვავება ძველს და ახალს წესწყობილებათა შორის.

ფრანგული „დეკლარაციის“ შემქმნელი იყო ბურჟუაზია. ამ ბურჟუაზიამ დაჰბადა იმგვარი პოლიტიკური სისტემა, რომლიდამაც წარმოსდგა, სხვათა შორის, ორგვარი მიმართულება: ბურჟუაზული დემოკრატიზმი და სოციალური დემოკრა-

ტიზმი. ეს უკანასკნელი შეიქმნა ლოღიკური დასკვნა ბურჟუაზული დემოკრატიზმისა, განსაკუთრებით, „დეკლარაციაში“ გამოთქმულ პოლიტიკურ ფილოსოფიისა.

ბურჟუაზიულ დემოკრატიზმის თეორეტიკოსები უპირატესს

მნიშვნელობას აძლევენ პოლკტიკურ უფლებათა გათანასწორებას, უზენაესის უფლების ხალხში დამყარებას და საყოველთაო საარჩევნო უფლების გამტკიცებას. ტოკვილი დემოკრატულ საზოგადოების შუა გულში ეძებს თავისუფლებას. ლამარტინი ხალხის ჰოლიტიკურ უპირატესობის განმტკიცებას სცდილობდა. „უოველი ახალგაზდა ფრანგი პოლიტიკოსი – მოქალაქეა, ამბობდა იგი. ყოველი მოქალაქე ამომრჩეველია. ყოველი ამომრჩეველი ხელმწიფეა. თანაბარი და აბსოლიუტური უფლებანი ყველასთვის. ვერც ერთი მოქალაქე მეორეს ვერ ეტყვის: შენ მეტი უფლება გაქვს, ვიდრე მე“ [1]).

ამ მწერლების განმარტებით, სახელმწიფოს, რომელიც იგივე ხალხის უფლებათა გამოსახვაა, ცხოვრებაში ჩარევის უფლება აქვს თანასწორობის და სიმართლის აღსადგენად. მხოლოდ ამ ჩარევას აქვს თავისი საზღვარი. სახელმწიფო არის საშუალება, მიზანი კი ადამიანია თავისი ზნეობა-გონებით და კეთილ-დღეობით. „ადამიანთა ცხოვრებაში სახელმწიფოს ჩარევა, ამბობს ვაშრო, მხოლოდ იმითი გამართლდება, როდესაც უამისოდ ადამიანთა უფლებებს რაიმე განსაცდელი მოელის. და ამგვარი ჩარევა უკანონოდ ჩაითვლება იმ შემთხვევაში, როდესაც ამითი ვისიმე უფლება ირღვევა“ [2]).

ასე რომ ბურჟუაზული დემოკრატიზმი ტოკვილის, ლამარტინის და ვაშროს განმარტებით, უპირატეს ყურადღებას აქცევს იურიდიულ უთანასწორობის გაუქმებას და პოლიტიკურ უფლებათა ხალხში გადმოტანა-დამყარებას. მათ არავითარი ყურადღება არ მიაქციეს ეკონომიურ უთანასწორობის მიზეზს, უკეთ ვსთქვათ, ამ უთანასწორობის მიზეზს იმაში არ ეძებდნენ, საცა იყო საჭირო. სწორედ მან, რაც ბურჟუაზიულმა დემოკრატიზმმა უყურადღებოდ დააგდო, დაჰბადა ახალი სოციალ-დემოკრატული მიმართულება. სოციალ-დემოკრატიზმი იყო, პროფესსორ ოლარის სიტყვით, ლოღიკური განმარტება ბურ-

---

[1]) La France parlementaire.

[2]) La Démocratie.

ჟუაზულ დემოკრატიზმისა. „დემოკრატული და სოციალური რესპუბლიკა, ამბობს ოლარი, ჩართულია „უფლებათა დეკლარაციაში“, რომლის პრინციპები აქამდე არ არიან განხორციელებულნი... ოლარს ბურჟუაზულ დეკლარაციიდამ გამოჰყავს **სოციალურ** თანასწორობის აზრის განვითარება.

მართლაც, რასა ნიშნავს „დეკლარაციის“ პირველი მუხლი, საცა ვკითხულობთ: „ადამიანი თავისუფალ კაცად იბადება და თავისუფლადვე სცხოვრობს. ყოველ ადამიანს აქვს თა-

ნაბარი უფლებანი“? ამ მუხლის აზრი იმაშია, ამბობს ოლარი, რომ უსამართლო იქნებოდა ბუნებრივ უთანასწორობას მიუმატოთ კიდევ იმგვარი დაწესებულებანიც, რომელნიც ხელოვნურადაც შეჰქმნიდნენ ახალ უთანასწორობას. ერთი კაცი ღონითაც და გონიერებითაც სხვასა სჯობია. განა სამართალია, რომ ამ კაცს ფულიც ჰქონდეს, მამულიც და ამათ საშუალებით გაორკეცოს ცხოვრებაში საბრძოლველი თავისი ძალ-ღონე? განა სამართალია, როცა სულელი და ბოროტი კაცი დიდ მემკვიდრეობას იმტკიცებს და მით თავის სისულელეს და სიბოროტეს უფრო მავნებლად ხდის. განა სამართალია, რომ კანონის ძალით ერთი დაბადებისათანავე მდიდარი იყოს, მეორე ღარიბი... იმ ბურჟუას, ესე იგი იმ კაცს, რომელიც დაბადებითვე იმკვიდრებს ეკონომიურ და პოლიტიკურ უპირატესობას, ხალხი **1792** წ. ართმევს თავის პოლიტიკურ პრივილეგიას. განა ლოღიკასთან ახლო არ არის, წაართვას ხალხმა ამ კაცს მისი ეკონომიური პრივილეგიაც? [1]).

ამგვარად გამოირკვა აზრი ეკონომიურ უთანასწორობის გაუქმებისა და აი აქედან წარმოდგა სოციალური მიმართულება დემოკრატიზმისა.

ამ მიმართულების განვითარებას ხელი შეუწყო ეკონომიურ ნიადაგზე წარმოშობილ კლასთა ბრძოლამ. ევროპა-ამერიკაში, დაახლოვებით, ერთი და იგივე მოვლენა აღმოჩნდა ყველგან, დამოუკიდებელ სახელმწიფოების ცხოვრებაში განსაკუთრებით, გამოაშკარავდა ეკონომიურ ინტერესთა წინააღმდეგობა. და ამ გარემოებამ დაარღვია ნაციონალური და სახელმწიფური საზღვრები – ბურჟუაზია ერთის ხალხისა დაუახლოვდა მეორე ხალხის ბურჟუაზიას. ასეთივე დაახლოვება მოახდინა

[1]) Histoire politique de la révolution fransaise – Aulard.

მუშა ხალხმა. ეს დაახლოვების პროცესსი ეხლახან დაიწყო და იგი არ დამთავრებულა, მხოლოდ მისი დამთავრება აუცილებელია. აქედან დაიბადა თანამედროვე ინტერნაციონალიზმი.

ამ რიგად ჩვენ ვნახეთ, რომ ბურჟუაზიულმა დემოკრატიზმმა (პოლიტიკურ უთანასწორობის გაუქმება) მოუმზადა ნიადაგი სოციალურ დემოკრატიზმს (ეკონომიურ უთანასწორობის გაუქმება). და სოციალურ დემოკრატიზმმა წარმოშობა ერთაშორისი კავშირი, ინტერნაციონალიზმი.

მაშასადამე, ლოღიკური დასკვნა დემოკრატიზმისა თანამედროვე სახელმწიფოების საზღვრების დარღვევა და გაუქმება ყოფილა. და თუ მართალია ის აზრი, ვითომ დემოკრატია პოლიტიკური ფორმაა ლიბერალიზმისა, არა ნაკლებ მართალია მეორე აზრიც, რომ დემოკრატია უკანასკნელ დასკვნამდე მი-

ყვანილი, გაუქმებაა კლასთა ბრძოლისა და ამიტომ აუცილებელი ფორმაა საერთაშორისო ცხოვრებისა. ამას გვასწავლის ევროპა. ასეა საქმე იქ [1]).

XXIII. მოლოდინი და საქმე.

ზედაპირულად რომ დააკვირდეთ საზოგადოებრივ ცხოვრებას, ვერ გაიგებთ იმის ნამდვილ მისწრაფებას და სურვილს. ხალხის და საზოგადოების ნამდვილი ზნეობრივი ძალა ხშირად უჩინარია, – უჩინარია, რადგან ხილული მხოლოდ ის არის, რაც უკვე გამორკვეული და დამწიფებულია, ხოლო ის, რაც იბადება, ფესვს იკიდებს და იზრდება, დაფარულია და პირველის შეხედვით გაუგებარი. ხალხის სიცოცხლე ზღვას მოგავს, – როგორც ზღვაში, საცა მეტი სიღრმეა, მეტი სიწყნარე და სიმშვიდეა, ისე ხალხის უჩინარს, საიდუმლო გულის წადილში მეტი ძალაა, მეტი ძლიერება.

ჩვენ ამ ჟამად სწორედ ამ ახალ ცხოვრების დაწყებითს ხანაში ვიმყოფებით. ის, რითაც გვიცხოვრია, დაძველდა, გაცვდა და „ახალი“ გზის, ახალი იდეალის ძიებაში ვართ. ჩვენს ძველ რწმენას და მისწრაფებას აღარ აქვს ცხოველ-მყოფელი ძალა. ჩვენი ძველი აზრთა წყობა დაირღვა, ჩვენი სულის სიძლიერე დაიკარგა და ამასთან ერთად „სიტყვიერებაც“, რომელიც ხმარებაში გვქონდა ამ დრომდე, დაძველდა და ჩვენს გონებას აღარას ეუბნება. ახალ აზრის და ახალ სიტყვის ძიებაში ვართ ჩვენ ამ ჟამად.

[1]) ამ წერილის გაგრძელება იმ ხანებში ვერ დაიბეჭდა
ა. ჯ. 1911 წ.

ჯერ არ დადგა ის დრო, რომ შეგვეძლოს დასახელება და გარკვევა ამ „ახალი“ აზრისა და ახალი „სიტყვისა“, რადგან არც ეს აზრია დამწიფებული, ფრთებ-შესხმული, არც სიტყვას მიეცა გარეგანი გამომეტყველება. ჩვენ დუღილის ხანაში ვართ. და ეს ჩვენი სინორჩე, გამოურკვევლობა, ეს ჩვენი „დუღილი“ უნდა გვახარებდეს, გვამხნევდეს, რადგან ყველა ეს სიცოცხლის მომასწავებელია, რადგან სიაოცხლე მოლოდინია და მოლოდინი და რწმენა – დიდი ბედნიერებაა.

მხოლოდ მარტო „მოლოდინით“ ჩვენ ვერ ვკმაყოფილდებით. გარემოება და თვით ეს ჩვენი მოლოდინი საქმეს გვავალებს. ჩვენი „საქმე“ უნდა იყოს ცოცხალი, ცხოვრებიდან

წარმოშობილი, ცხოვრების საჭიროებისაკენ მიმართული. ლა-
პარაკს და სჯა-ბაასს მოქმედება უნდა მოჰყვებოდეს, მოქმედე-
ბა ცოცხალი, მარტივი და ნაყოფიერი. საჭიროა სხვა და სხვა
წრეების დაარსება „საქმეების“ პრაქტიკულად მოწყობისათვის.
მხოლოდ, რას უნდა მივაქციოთ თავდაპირველად ჩვენი ყუ-
რადღება, რა საქმე უნდა იყოს ჩვენი პირველი საქმე? ამის
გადაწყვეტა ძნელია, რადგან ბევრი რამაა გასაკეთებელი ჩვენში;
ყველაფერს, რასაც კი ხელს მოჰკიდებთ, დიდი მნიშვნელობა
აქვს ჩვენთვის. ყოველი ცოცხალი საქმე ერთნაირად საჭირო
და ერთნაირად სანუკვარია ჩვენთვის. ამისათვის იმ საქმეს,
რომელზედაც დღეს ჩვენ ვლაპარაკობთ, რაიმე არსებითი უპი-
რატესობა არა აქვს სხვა საქმეებთან შედარებით, – იგი ამ ჟა-
მად მხოლოდ უფრო მოსახერხებელ საქმედ მიგვაჩნია.

ჩვენი ლიტერატურა ღარიბი ლიტერატურაა. ამას ჩვენ
ყველანი ვგრძნობთ, ყველანი ვწუხვართ ამაზედ. და განსაკუთ-
რებით კი საგრძნობელია ჩვენი ლიტერატურის სიღარიბე იმათ-
თვის, ვინც სხვა ენების უცოდინარობის გამო, უნდა დაკმა-
ყოფილდეს ქართულ ბეჭდვით სიტყვის შინაარსით. კარგ სა-
ლიტერატურო წასაკითხ წიგნს თითებით მოსთვლით. რაც შე-
ეხება საყმაწვილო წიგნებს და მეცნიერების დარგს, აქ ჩვენი
სიღარიბე სამარცხვინოდ თვალსაჩინოა. ამ ჩვენს გაჭირვებას
უნდა ვუშველოთ, კერძოთ, თვითეულად კი არა, საერთოდ,
შეთანხმებულად. რასაკვირველია, წიგნების წერა რომ შეგ-

ვეძლოს, ჩვენ აქნობამდე დავწერდით ამ წიგნებს. სამეცნიერო
აზრის გამოქვეყნება რომ გვდომოდა, ამასაც მოვახერხებდით.
ყველგან, საცა რაიმე აზრი და გრძნობა დამწიფებულა, გა-
რეგნობითაც გამოისახება, გარეგან გამომეტყველებას, ქერქს
იკეთებს. ჩვენში არა ვხედავთ ამგვარ ნაწარმოებს, მაშასადამე
ჩვენი გრძნობა და აზრი არ ყოფილა გაღვიძებული და დამწი-
ფებული. და აი სწორედ ამ ჩვენ გრძნობის დაქვეითებას
რაიმე წამალი უნდა დავდოთ. თუ ჩვენ ჩვენი აზრი არა გვაქვს,
სხვისი კარგი აზრი შევიძინოთ, თუ ჩვენი პოეტების ნაწარ-
მოები არ გვაღელვებენ და არას ეუბნებიან ჩვენს გრძნობას,
სხვის პოეზიას გავეცნოთ, თუ ჩვენი მხატვრობა, მუსიკა და
ხელოვნება, საზოგადოდ ჯერ კიდევ ნორჩია, დავეწაფოთ
სხვის ნაწარმოებს, თუ ჩვენ ვერ ვახერხებთ ჩვენის საკუთარის
ძალ-ღონით საჭირო სამეცნიერო ცნობების გავრცელებას ხალხ-
ში, გავავრცელოთ უცხოელების საშუალებით. ამისათვის საჭი-
როა თარგმნა და გადმოცემა უცხოელ ენებიდან და ნაწარ-
მოებიდან ყველა იმისი, რაც ჩვენ გვიჭირს დღეს, რაც გვაკ-
ლია და რის დანაკლისიც დაუკმაყოფილებლად სტოვებს ჩვენ

სულიერ მოთხოვნილებას. საჭიროა სალიტერატურო წრის შედგენა, რომელსაც ექმნება მიზნად სალიტერატურო, საბავშვო და სამეცნიერო წიგნების თარგმნა, აგრეთვე უცხოელების ხელოვნურ ნაწარმოების (მუსიკის, მხატვრობის და ქანდაკებისა) გადმოცემა-გავრცელება ჩვენს საზოგადოებაში (სამხატვრო ალბომებით, ოპერებით და სხვა რამ საშუალებით). გარემოება მოითხოვს ამ ჩვენს საჭიროებას დიდის ყურადღებით მოვექცეთ. „წრეს“ (თუ დაარსდება) არ უნდა ჰქონდეს გასართობი და საქველ-მოქმედო ხასიათი. ყოველი წევრის შრომა უნდა იყოს დაჯილდოვებული. წრეს უნდა ჰქონდეს თავისი თანხა. ჩვენს დროში ყოველი საქმე ფულით კეთდება. მომეტებულს ჩვენგანს ფული უჭირს, თავი დავანებოთ ქველ-მოქმედებას, მივაწოდოთ საზოგადოებას კარგი ნაწარმოები, და ნაცვლად მივიღოთ ჩვენი შრომის ფასი. ასეა ყველგან, ჩვენშიაც ასე უნდა იყოს.

ამ საქმის გაძლიერებისათვის, რასაკვირველია, კარგი მოფიქრება უნდა, საჭიროა გამორკვევა იმისი, რა წიგნები უნდა ითარგმნებოდეს, და როგორ უნდა იყოს განაწილებული შრომა წევრთა შორის. ყველა ეს საერთოდ უნდა გამოირკვეს და

შემუშავდეს. ამ საქმეში განსაკუთრებულ დახმარებას და მხნეობას ჩვენი ქალებისაგან უნდა მოველოდეთ. ერთი სიტყვით, საქმის დაწყებაა საჭირო, მით უმეტეს, რომ ამ საქმეს სხვაც უნდა მოჰყვეს, არა ნაკლებ საჭირო, არა ნაკლებ ცოცხალი. ამ სხვა საქმეებზე მერე მოვილაპარაკებთ. ამ წერილს ვათავებთ იმ აზრის გამეორებით, რომ „მოლოდინმა“ არ უნდა მოგვიკლას მოქმედების სურვილი და „ოცნებამ“ არ უნდა დაგვაშოროს მიწას.

რომელსა ასხენ ყურნი სმენად, ესმოდენ!

XXIV. ჩვენი სოფლის ჩამორჩენის მიზეზი.

1.

ქიზიყის მოუსავლობამ არა ერთი კაცი ჩააფიქრა ჩვენში. ჰფიქრობენ და სწერენ, თუ როგორ უშველონ დამშეულ ქვეყან. თანაც იკვლევენ, საიდან წარმოსდგა, რამ დაჰბადა ქიზიყის უკიდურესი გაჭირვება. მოუსავლობის მიზეზის გამოკვლევა ფრიად სასარგებლოა, რადგან ამ გზით უფრო ნათლად გამოჩნდება ის, თუ როგორ, რა საშუალებით უნდა დავეხმაროთ დამშეულ სოფლებს. არა ნაკლებ სასარგებლოა გამოკვლევა იმისიც, თუ რაშია, საზოგადოთ, უმთავრესი მიზეზი ჩვე-

ნი სოფლის ჩამორჩენისა და დაქვეითებისა. ის, რაც დაემართა დღეს ქიზიყს, სხვაგანაც მოსალოდნელია. ქიზიყი არ არის განსაკუთრებულ მდგომარეობაში, არც საქართველოს დანარჩენი ნაწილი სცხოვრობს იმისთანა პირობებში, რომ ქიზიყისთანა მოუსავლობა და აქედან გამოწვეული შიმშილობა შეუძლებელი იქმნეს იქ. ყველგან, ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხეებში ერთი და იგივე მიზეზი მოქმედებს. და აი მტერთან საბრძოლველად, თავდაპირველად, ამ მიზეზის შესწავლას უნდა შევუდგეთ, უნდა ჩავუფიქრდეთ იმ გარემოებას, თუ რად მიდის უკან-უკან ჩვენი სოფელი, რაში უნდა ვხედავდეთ მის შველას.

ჩვენ ვერა ვბედავთ ამ საკითხს სრულის თავისუფლებით შევეხოთ. საგანი მეტად რთული და გამოურკვეველია. აჩქარებული და დაუფიქრებელი სჯა არ გამოღგება. საჭიროა სოფლის დაბეჯითებითი შესწავლა, საჭიროა ერთგვარი გამბე-

დაობის გამოჩენა იმ სოციალურ მიზეზების წსმოყენების კითხვაში, რასაც ჩვენ, ჩვეულებრივად სხვა და სხვა გარემოების გამო, ცოტა არ იყოს, ვუფრთხით. ამ წერილში ჩვენ, რასაკვირველია, ვერ მივცემთ პასუხს ამ საგულისხმო კითხვაზე. ჩვენ ვეცდებით მხოლოდ ამის გამო გამოვსთქვათ ზოგიერთი მოსაზრებანი.

„ივერიაში“ (№ 174) ბ. ნასიძემ ის აზრი გამოსთქვა, რომ ქიზიყის გაჭირვების უმთავრეს მიზეზს მამულის მფლობელობის წესში უნდა ვეძებდეთ. „ქიზიყელმა კაცმა არ იცის „სითბო“ და „სიმშვენიერე“ მამულის საკუთრებისა, ამბობს ავტორი. კარ-მიდამო და ვენახი – აი ქიზიყელის ჭკუით საკუთრება. დანარჩენი: სახნავი, სათესი, სათიბი, ტყე, ეს არ შეიძლება კერძოთ ვისმე საკუთრებად იყოს; ეს სოფლისა, თემისაა; სოფელია პატრონი და ის უნაწილებს თავის წევრებს, უყოფსო“. ქიზიყელის შეხედულებით, გვეუბნება ბ. ნასიძე, მამული არ უნდა შეადგენდეს კერძო საკუთრებას [1]). და ეს შეხედულება და ეს ძველი წესი მამულის მფლობელობისა ქიზიყს დაღუპავსო.

სათემო მამულის მფლობელობა ყოფილა ქიზიყში გაჭირვების მიზეზი. თუ ეს ასეა, რატომ იქ, საცა მამული დაყოფილია და კომლეული მიწად-მფლობელობაა დამკვიდრებული (ამიერ და იმიერ საქართველოს $^3/_4$-ში), ხალხი იმავე გაჭირვებაში სცხოვრობს. სოფელს არ ეტყობა წინმსვლელობა, მეურნეობის გაუმჯობესება და ხალხის წელში გამაგრება? რატომ იქ, საცა გამტკბარი აქვთ „სითბო“ და „სიმშვენიერე“ მამულის საკუთრებისა, ამ მამულს არა ეშველა-რა? გლეხი

იმავე გაჭირვებაში ვარდება, მოსავალი რომ არ მოუვიდეს, სიმშილობას ვერ გაურბის და სრულებით შეუიარაღებელია ბუნების დაუდგრომლობის და თვითნებობის წინაშე? ეტყობა, სათემო მიწის მფლობელობა არაფერ შუაშია. ჩვენა გვგონია, პირიქით, ზოგიერთ პირობებში, სათემო მიწის მფლობელობა ერთად ერთი თავდებია სოფლის კეთილ-დღეობისა. ყოველი „სათემო საქმე“ საუკეთესო ასპარეზია ადამიანის საზოგადოებრივ ვარჯიშობისათვის. კაცი ეჩვევა მოქმედებას სხვისი ინტე-

[1]) ამ შეხედულებას ბ. ნასიძე შეცდომით „სახელმწიფო სოციალიზმს“ უწოდებს.

რესის მიხედვით, ლაგამს უდებს პიროვნულ მისწრაფებას და თანდათან საზოგადო საქმე თავის პირად საქმედ მიაჩნია. თემობა სპობს **კერძო** საკუთრების და **საზოგადო** „შრომის“ წინააღმდეგობას. „თემობის“, „საერთოს“, „საზოგადოს“ გამეფებისაკენ მიმდინარეობს თანამედროვე ეკონომიურ ცხოვრების ევოლიუცია. მხოლოდ „თემობა“ არ გაამდიდრებს სოფელს, არ გაამაგრებს წელში, თუ სხვა გარემოება არ უწყობს ხელს ამა თუ იმ ადგილის ეკონომიურ ცხოვრების ვითარებაზე აქვს დიდი გავლენა საზოგადო, მსოფლიო ეკონომიურ ცხოვრების პირობებს, აგრეთვე ადგილობრივ მცხოვრებლების განათლება-განვითარებას ადგილობრივ პოლიტიკურ-ისტორიულ და გეოგრაფიულ პირობებს.

2.

გუშინდელ წერილში ვსთქვით, რომ ქიზიყის და, საზოგადოდ, ჩვენი სოფლის დაქვეითების მიზეზს არ უნდა ვეძებდეთ სათემო მამულის მფლობელობაში. არც კომლეული მფლობელობაა ჩვენში სოფლის კეთილდღეობის თავდები. ჩვენთა პატარა და დიდ მემამულეთა ეკონომიური მდგომარეობა ნათლად ამტკიცებს ამ აზრს. მაშ, რაში, სად უნდა ვეძებდეთ ჩვენი სოფლის ჩამორჩენის მიზეზს?

ამ მიზეზის გამორკვევისათვის უნდა დავუკვირდეთ ჩვენის ცხოვრების გეოგრაფიულ, პოლიტიკურ და სოციალურ პირობებს, აგრეთვე იმას, თუ რა მონაწილეობას იღებს ჩვენი სოფელი მსოფლიო ეკონომიურ ცხოვრების მოძრაობაში.

საქართველო გეოგრაფიულად ისე არის დაყოფილი, რომ მიუხედავად რკინის გზის გაყვანისა და გზატკეცილებისა, ჩვენ ერთმანეთისაგან ჯერ კიდევ მოწყვეტილები ვართ და ჩვენი ცხოვრება აქნობამდე კარ-ჩაკეტილია. ლიანდაგის და გზა-

ტკეცილების გარედ რჩება ჩვენი ქვეყნის დიდი ნაწილი. ჩვენი მთები აქამდის არ არიან ჩაბმულნი საერთო ცხოვრების ჭაპანში. ხოლო მთებს ვინა სჩივის, როცა კეკლუცი კახეთიც კი ჯერ კიდევ ნაბიჭვრად არის ცნობილი და შინაურობაში არ შესაშვები.

დიდი ყურადღების ღირსია აგრეთვე ჩვენი ხალხის პოლიტიკურ ცხოვრების პირობები. ჟამთა-მსვლელობაში ჩვენ დავკარგეთ პოლიტიკური დამოუკიდებლობა, შევწყვიტეთ კავ-

შირი ძველ კულტურასთან, გადავაგვარეთ ზნე-ჩვეულებანი და ცოდნის შესაძენად კი სკოლა ჩვენ არა გვქონდა და არა გვაქვს. ჩვენმა გლეხმა ამ სკოლის საშუალებით უნდა გაიცნოს თავისი წარსული, უნდა შეიგნოს აწმყო და გათვალისწინებული ჰქონდეს მომავალი. ვიდრე სკოლა არ შეჰქმნის გლეხს გონივრულ მოქალაქედ, ვიდრე არ გამოაფხიზლებს იმის აზრის უმოძრაობას და არ გადაახედვინებს თავის ცხოვრების გარეთაც, მანამდე ჩვენი სოფელი ხელს არ გაანძრევს თავის კეთილდღეობის გაუმჯობესობისათვის და ახალი სამეურნეო წესის და იარაღის შემოღებისათვის და ეს მოხდება მხოლოდ მაშინ, როცა ჩვენ მკვიდრ ნიადაგზე დავამყარებთ ქართულ სკოლას.

მხოლოდ მესამე მიზეზი ჩვენი სოფლის დაქვეითებისა სოციალური ხასიათიისაა. მიწა უთანასწოროდ განაწილებულია მკვიდრთა შორის. მემამულეების სიმრავლე, რომელნიც პირდაპირ მონაწილეობას არ იღებენ წარმოებაში და რომელთა შენახვა გლეხკაცს აწევს კისრად, საერო და სახელმწიფო მძიმე ბეგარა, მიწის სივიწროვე (ქართლში ზოგიერთ გლეხს ნახევარი დესეტინაც არა აქვს), ტყის და იალაღის უქონლობა (უმეტეს შემთხვევაში მემამულეებს და ხაზინას უჭირავთ) – ყველა ეს ერთად აღებული, სჩაგრავს ჩვენს სოფლის მწარმოებელს. ორ ერთმანეთს მოწინააღმდეგე წოდებას ვერ გაუძღვება ჩვენი მიწა, ან ერთი უნდა გამოეცალოს, ან მეორე. ხოლო გლეხობის წელში გამაგრება პირდაპირი შედეგია წოდებრივ წყობილების დარღვევისა და დიდ მემამულეთა ეკონომიურ უპირატესობის გაუქმებისა.

ამრიგად, გეოგრაფიული კარჩაკეტილობა (გზების უქონლობა), ეროვნულ ცხოვრების დაძაბუნება (თვით-ცნობიერების გამოურკვევლობა), სოციალურ პირობების უვარგისობა ჰქმნიან ჩვენს გლეხს შეუიარაღებელ და წელში მოკაკულ მწარმოებლად, მსოფლიო ეკონომიურ ცხოვრებისათვის სრულიად გამოუსადეგრად.

იტყვიან, რა შუაშია აქ მსოფლიო ეკონომიური ცხოვ-

რება, ჩვენ ჩვენთვის ვართ და მსოფლიო ეკონომიური ცხოვ-
რება ჩვენ არ გვეხებაო. ეს ასე არ არის. ჩვენი სოფელი ვერ
ასცდება ამ ცხოვრების ზედ-გავლენას. ნიშანდობლივი ხასიათი
თანამედროვე ეკონომიურ ცხოვრებესა იმაში გამოისახება, რომ

სოფელი და ქალაქი, საზოგადოთ ყოველი მწარმოებელი ჯგუ-
ფი, შრომობს არამც თუ თავის მოთხოვნილებათა დაკმაყოფი-
ლებისათვის, არამედ საზოგადოდ, მსოფლიო ბაზრისთვისაც.
მსოფლიო ბაზარი თავისკენ იზიდავს საქონელს, შემუშავებულ
საქონელს, ფულს. ვინც იაფად და სწრაფად მოუტანს ამ ბა-
ზარს საჭირო საქონელს, ის იმარჯვებს, იმას რჩება მოგება,
ვინც იგვიანებს და ამასთან ძვირადაც აფასებს საქონელს, ის
დამარცხებული, დაზარალებული რჩება. ხოლო, ვინც უგზო-
ობისა და უილაჯობისა გამო, ფეხს არ გადგამს შინიდამ, ვერ
ასაღებს თავის ნამუშავარს. ან თუ ასაღებს – ჩალის ფასად,
ის იძულებულია თავის თავის სარჩენი სხვას მოსთხოვოს და
ამრიგად სხვის, გარეშე აგენტების მონად ხდებოდეს [1]).

მაშასადამე, ჩვენი სოფლის ჩამორჩენის მიზეზი ერთი და
ორი არ ყოფილა. ამ მიზეზის შესწავლისათვის ჩვენი პოლი-
ტიკო-ეკონომიურ პირობების შესწავლაა საჭირო. და სანამ არ
გავითვალისწინებთ ამ პირობებს, ყოველი ჩვენი მოქმედება
მშრალ მიწაზედ თევზის ფართხალს ემგზავსება.

---

[1]) საყურადღებოა, მაგალითად, რომ რუსეთში ჩვენებურ ტყავს,
რომელიც ტფილისში ღირს 40 კ., 1-60-2 მ. ჰყიდიან. ხილს ადგი-
ლობრივ გირვანქას 1½ კ. – 2 კ. ყიდულობენ, ასაღებენ კი 8-30 კა-
პეიკად. 1 ფუთ ჩვენებურ მატყლს, რომელიც ადგილობრივ ღირს 4 მ.
80 კ., რუსეთში ჰყიდიან – 6-10 მან. საყურადღებოა აგრეთვე რომ
რუსეთიდან, ვორონეჟიდან, ჰგზავნიან ჩვენში კართოფილს და რკინის
გზის მიმოსვლის სია რომ გადასინჯოთ, დაინახავთ, რომ კართოფილს
ჩვენ ვუგზავნით რუსეთს. აშკარაა, რომ ყველა ამაში გარეშე აგენტებს
აქვთ მოგება და ჩვენი მწარმოებელი კი ყურჩამოყრილი რჩება. საგუ-
ლისხმოა აგრეთვე, რომ ჩვენში თანდათან ფეხს იდგამს ყირიმის ღვინის
ვაჭრობა. ქალაქში ამ ღვინოს კახური ღვინის სახელით აღარ ასაღებენ.
დიდი საწყობი გაუმართავთ და ნელ-ნელა კახურ ღვინოს ართმევენ არამც თუ
რუსეთის ბაზარს, არამედ ჩვენებურსაც. ჩვენებურ ხორბალს არ ყიდულო-
ბენ მეფურნეები, რადგან შიგ მიწა და სხვა გარეშე ელემენტები ურევია,
და სხვა და სხვა.

XXV. ბ. გელეიშვილს.

—

ბ. გელეიშვილმა ორი საყვედური გამომიცხადა „ცნობ. ფურც.“ № 1588-ში. პირველი ის, რომ მე ერთს ჩემს წერილში, დაბეჭდილს „მოამბის“ მე-VIII №-ში, მოვიყვანე ბ. გელეიშვილის წერილი, რუსულ გაზეთის «Сѣв. Кур.»-ში დასტამბული 1900 წ. და იმ გაზეთის ნომერი კი, საცა დაიბეჭდა ეს წერილი, არ დავასახელე. მეორე საყვედური ის არის, რომ მე გამოვამჟღავნე ავტორის ფსევდონიმი. წერილს აწერდა ხელს –გ… შვილი, მე კი ჩემს წერილში გელეიშვილი დავასახელე სრულად.

ორივე ამ „დანაშაულობას“ ვიღებ ჩემს თავზე, ხოლო არც პირველი და არც მეორე დანაშაულობა ბოროტ-განზრახვით არ მომივიდა. საქმე ის არის, რომ ბ. გელეიშვილის წერილი ხელში არ მქონდა, როცა ვწერდი ჩემს წერილს. გაზეთის ნომერი არ დამამახსოვნდა და არც ის, რომ წერილს გ… შვილი აწერდა.

ლიტერატურულ „მართებულობის“ და „ეთიკის“ აღსადგენად და ბ. გელეიშვილის დასაკმაყოფილებლად, თავდაპირველად ბოდიშს ვიხდი ბ. გელეიშვილის წინაშე და ვსთხოვ, შემატყობინოს ნომერი ზემოხსენებულ გაზეთისა და მე ამ ნომერს მკითხველის საყურადღებოდ მომავალ თვის „მოამბე“-ში გამოვაქვეყნებ. რაიცა შეეხება ფსევდონიმის გამომჟღავნებას, ამის შესწორება, სამწუხაროდ, ჩემს ხელში არ არის. უნდა კი ვსთქვა, რომ მე, პირად, მაინც და მაინც დიდ მნიშვნელობას არ ვაძლევ არსებულ სალიტერატურო „ეთიკის“ მოთხოვნილებას. და, სხვათა შორის, ეს არის მიზეზი, რომ მეტის ყურადღებით არ მოვეკიდე ამ „ეთიკის“ ხელუხლებლობის დაცვას [1]).

---

[1]) საუბედუროდ, ვერც მეორე წიგნში, სადაც მოთავსდა აღნიშნული წერილი „მოამბიდამ“, ვერ აღვნიშნე ნომერი იმ გაზეთისა „Сѣв. Кур.“, რომელშიაც დაიბეჭდა პ. გ-ლის წერილი.

ა. ჯ. 1911 წ.

XXVI. სალიტერატურო ეთიკსი“ გამო.

რა არის სალიტერატურო ეთიკა? წარმოადგენს იგი რაიმე გადაწყვეტილს, სამუდამო და საყოველთაო პრინციპია, თუ წარმავალი, შესაფერი არსებულ პირობებისა და ამისთვის ცვალებადი და მოძრავი, როგორც თვით ცხოვრების პირობები?

ხშირად გვესმის ჟურნალ-გაზეთობაში საყვედური: ამა და

ამ კაცმა ლიტერატურული „მართებულობა“ დაარღვია, „ეთიკა“ შეჰლახაო. რა არის ეს ლიტერატურული მართებულობა?

აი, მაგალითად, ყველამ იცის, რომ „ფსევდონიმის“ გამომჟღავნება დიდ დანაშაულობად ითვლება ლიტერატორთა წრეებში. ამ დანაშაულობის ჩადენის გამო ბევრი უსიამოვნება მოხდება ხოლმე მწერალთა შორის. ხოლო ჩაუკვირდეთ, რაზეა აშენებული ეს დანაშაულობა. მე ვწერ წერილს, ჩემ აზრებს და გრძნობებს ვუზიარებ მკითხველებს, წერილს კი სხვის სახელს ვაწერ, ესე იგი, ვემალები მკითხველს. რადა ვშვრები მაგას, სამში ერთია, ან ის აზრები, რომელთაც ვუზიარებ მკითხველს, მე არ მეკუთვნიან, ან მრცხვენიან თვით ჩემის აზრებისა, ან, სხვადასხვა გარემოებათა მიხედვით, მეშინიან ამ აზრებისა. პირველ შემთხვევაში მე ქურდსავით ვიქცევი, მეორე შემთხვევაში უსინიდისო კაცსავით, ხოლო მესამე შემთხვევაში ლაჩარ და მხდალ კაცსავით. ამ სამ შემთხვევაში ასე თუ ისე შესაწყნარებელია მესამე მოსაზრება – შიში, ან უკეთა ვსთქვათ, **გაფთხილება**, რადგან ხშირად, სხვადასხვა საზოგადო პირობების ძალდატანებით მე იძულებული ვარ დავმალო ჩემი ვინაობა.

ასე რომ ავტორის ვინაობის დამალვას არც ერთი გასამართლებელი **პრინციპი** არა აქვს. და თუ ასეა, ამ ნიადაგზე წარმოშობილ „ეთიკასაც“ მაინც და მაინც დიდი ფასი არ უნდა ჰქონდეს. მე ვამჟღავნებ რომელიმე ავტორის ვინაობას. შენ დამნაშავე ხარ, მეუბნებიან შენ დაარღვიე არსებული სალიტერატურო მოთხოვნილებანიო. დიაღ, დავარღვიე, მხოლოდ ამასთან სხვა რამეც გამოვააშკარავე არსებულ სალიტერატურო „ეთიკის“ სიყალბე, იმ ეთიკისა, რომელიც მე ხელს მიწყობს სხვისი გონებრივი ნაყოფი ჩემად გავასაღო, დავემა-

ლო მკითხველს და პასუხისგებასაც მკითხველის წინაშე. ყალბია ეს „ეთიკა“, ყალბია მისი მოთხოვნილება. და აი ამ სიყალბის დამრღვეველს დამნაშავის სახელს უწოდებენ საზოგადოებაში. ცრუ-მორწმუნეობის გაბატონება თუ გინდათ, სწორედ ეს არის.

ხოლო ვინაობის დაფარვას აქვს სხვა მავნე შედეგიც. ყოველი წერილი უნდა იყოს ცოცხალი, მარტივი, ყოველ წერილიდამ უნდა გამოიყურებოდეს ავტორის სულიერი ვინაობა, მისი ზნეობრივი ძალა, მოქალაქობრივი გამბედავობა. მკითხველს ავტორის ვინაობაზედ ყოველთვის განსაზღვრული შეხედულება უნდა ჰქონდეს. მწერლის და მკითხველის შორის საჭიროა მჭიდრო კავშირის გამტკიცება და ეს შესაძლებელია მაშინ, როდესაც მკითხველი იცნობს მწერალს და აქვს ნდობა

მისდამი, წინააღმდეგ შემთხვევაში, ავტორის ნაწერი არ ააღელ-ვებს, არ ჩააფიქრებს მკითხველს, რადგან მახლობელ კაცის სიტყვას ყოველთვის მეტი გასავალი აქვს, ვიდრე შორიდამ მოვ-ლენილ უსახელო კაცის სიტყვას. ეს წმინდა ფსიხოლოგიური მხარეა წერისა, რომელიც მხედველობაში მისაღებია. არა- ნაკ-ლებ საყურადღებოა წერის სალიტერატურო მხარეც.

ისე არაფერი არ უწყობს ხელს მწერლის და მკითხველის დაახლოვებას, როგორც მწერლის წერის კილო, მისი უნარი საიდუმლო გრძნობა-აზრთა გამოსახვისა, მისი სალიტერატურო ენის მიმოხვრა, ერთის სიტყვით, მისი „სტილი“. მწერლის „სტილი“ (წერის კილო და უნარი) მისი ორიგინალობის მა-ჩვენებელია, საუკეთესო იარაღია ენის გამდიდრება-გაუმჯობე-სებისათვის. ავტორის „სტილი“ ლიტერატურის მმოძრავი ძა-ლაა. მხოლოდ უსახელო წერილი, სადაც დამალული ავტორი არა გრძნობს თავის პასუხის მგებლობას საზოგადოების წინაშე, არაფერი ნიადაგია „სტილის“ გასავარჯიშებლად [1]).

---

[1]) ეს ასეა, ხოლო ფსევდონიმის გამომჟღავნება მაინც დანაშაულო-ბად უნდა ჩაითვალოს, რადგან, შემცდარია ადამიანი თუ მართალი, ეგ მისი უფლებაა დამალოს თუ გამოაშკარავოს თავისი ვინაობა.

ა. ჯ. 1911 წ.

XXVII. მთარგმნელი საზოგადოება.

თუ მართლა დამწიფდა ჩვენში ის აზრი, რომ ჩვენს ხალხს და საზოგადოებას უნდა მივაწოდოთ შესაფერი გონებრივი სა-ზრდო და თუ ამ აზრის განხორციელებისათვის კარგი წიგნე-ბის თარგმნა მიგვაჩნია საუკეთესო იარაღად, აუცილებლად სა-ჭიროა დღესვე შევუდგეთ ამ საქმეს. ხოლო ჩვენს მოქმედებას რაიმე გეგმა უნდა ჰქონდეს, მთარგმნელი საზოგადოების ორ-განიზაცია უნდა იყოს გამორკვეული რათა ამ ორგანიცაციის საშუალებით მთარგმნელთ შრომის სისტემა და წყობრობა მიეცეს.

ჩვენ გვსურს მოკლედ აღვნიშნოთ, როგორც გვესმის მთარგმნელი საზოგადოების ორგანიზაცია. ამ ჩვენს მოსაზრე-ბას, რასაკვირველია, არავითარი გადამწყვეტი ხასიათი არ ექმ-ნება. საქმის ფეხზე დაყენებისათვის საერთო მოლაპარაკებაა სა-ჭირო და ორგანიზაციის საერთო შემუშავება. ვიწყებთ ამაზე ლაპარაკს, რადგან ეს საქმე ფრიად საჭირო და სასარგებლო საქმედ მიგვაჩნია.

თავდაპირველად უნდა ვიცოდეთ, რა წიგნების თარგმნაა საჭირო ჩვენთვის, რა საზრდო უნდა მივცეთ ჩვენს მკითხველს

და ვინ არის და ვინ უნდა იყოს ეს ჩვენი მკითხველი? მეორე გადასაწყვეტი კითხვა: როგორ უნდა ითარგმნებოდეს წიგნები, როგორ უნდა იყოს განაწილებული შრომა მთარგმნელთ შორის? მესამე კითხვა: საიდან უნდა გამოჩნდეს საქმის წარმოებისათვის საჭირო ფული, რადგან უფულოდ ყოველი დაწყებული საქმე სუსტი და უღონო იქმნება. ეს სამი კითხვა უნდა ჰქონდეს მხედველობაში იმ წრეს, რომელიც იკისრებს ამ საქმეს.

ყველა ამისათვის რომელიმე ცენტრში, თუნდ ტფილისში, წრე უნდა დაარსდეს. ყოველი წევრი მთარგმნელია. ყოველ მთარგმნელს აქვს ხმა იმ კითხვის გადაწყვეტაში, როგორი წიგნები უნდა ითარგმნებოდნენ. ამ კითხვას სწყვეტს წრე ანუ საზოგადოება საერთო მოლაპარაკებით, ირჩევს თავის წრიდან რედაქციას, რომელსაც ექმნება მიზნად თარგმანის დაფასება და, საზოგადოთ, გადაწყვეტა იმისი, ღირსია თუ არა წარმოდგენილი შრომა დასაბეჭდათ. რედაქცია თავის მოქმე-

დებაში, ე. ი. წარდგენილ შრომის დაფასებაში, სრულებით დამოუკიდებელია საზოგადო კრებისაგან. ამ კრებას აქვს ხმა მხოლოდ ერთ კითხვაში რა და რა დარგის წიგნები უნდა ითარგმნებოდეს, ხოლო თარგმნის ღირსებას სწყვეტს რედაქცია.

მთარგმნელების წრეს უნდა ჰქონდეს თავისი განყოფილებები პროვინციაში. ყველგან, საცა კი მოხერხდება – ქუთაისში, ბათუმში, ბაქოში, თელავში და სხვ. – უნდა დაარსდეს თავ-თავიანთი პატარა წრეები, რომელთაც იმ გვარივე ორგანიზაცია ექმნებათ, როგორც ტფილისელ საზოგადოებას, იმ განსხვავებით კი, რომ პროვინციელ რედაქციებს არ ექმნებათ დამოუკიდებელი მოქმედების უფლება. ეს რედაქციები უგზავნიან უმთავრესს ორგანიზაციას თავიანთ მოსაზრებას შესახებ თარგმანთა დარგებისა და იმათ წრეში ნათარგმნი წიგნების ღირსებისა. უკანასკნელი სიტყვა უნდა ჰქონდეს უმთავრეს ორგანიზაციის რედაქციას.

მთარგმნელ საზოგადოებას უნდა ჰქონდეს საქმის წარმოებისათვის საჭირო ფული. როცა საზოგადოება მოქმედებას დაიწყებს, საზოგადოების მოქმედება ახეირებს საქმეს. დაწყებაა ძნელი, თორემ შემდეგში კი საჭირო ფული თვით საქმის წარმოებას მოჰყვება. საიდამ გავაჩინოთ ეს ფული? საწევრო გარდასახადიდამ მაინც და მაინც დიდი თანხა ვერ შესდგება ჩვენის აზრით, „საზოგადოების“ ყველა წრეებში უნდა იყოს არჩეული განსაკუთრებული კომისია, რომელსაც დაევალება საქმისათვის საჭირო ფულის შეკრება. კომისია წარმოდგენებს გამართავს, საქველმოქმედო გასართობებს და სხვა ამგვარ საშუალებით დაეხმარება „საზოგადოებას“,.

ამ რიგად, მოკლედ რომ გავიმეოროთ, „მთარგმნელ საზოგადოებას“ უმთავრესი განყოფილება ექმნება ტფილისში. თვითვეულ განყოფილებას ჰყავს მთარგმნელი მშრომელი წევრები, რომელნიც ირჩევენ თავის წრიდამ სარედაქციო კომისიას და საფინანსო კომისიას. თვითვეულ წრეში საერთოდ სწყვეტენ იმას, თუ რა ხასიათის წიგნი უნდა ითარგმნებოდეს. თარგმნის ღირსებას აფასებს არჩეული რედაქცია, ხოლო მის ბედს სწყვეტს (დაიბეჭდება თუ არა) უმთავრესი სარედაქციო მომისია. თვითვეულ განყოფილებაში შეკრებული ფული, საფინანსო კომისიის საშუალებით, გაიგზავნება უმთავრესს საფი-

ნანსო კომისიაში, რადგან საქმის წარმოებას უნდა მოჰკიდოს ხელი ტფილისის ორგანიზაციამ.

იტყვიან, რად გინდათ ამგვარის „ქვეშევრდომობა“ პროვინციელ წრეებისა, რატომ თვითვეული წრე ცალკე, დამოუკიდებლად არ უნდა მოქმედობდესო? იმიტომ, ვუპასუხებთ, რომ განცალკევებით არაფერი გაკეთდება. საჭიროა საქმის ცენტრალიზაცია. რატომ, გვიპასუხებენ, პროვინციელ რედაქციებს არ უნდა ჰქონდესთ უფლება გადასწყვიტონ, ღირსია თუ არა წარდგენილი შრომა დასაბეჭდად? იმიტომ, რომ ამ კითხვის გადაწყვეტაში იმ წრეს უნდა ჰქონდეს მეტი ხმა, სადაც უფრო მეტი გამოცდილი კაცია. ამ მხრივ ჩვენი პროვინცია ჩამოუვარდება ტფილისს, მით უმეტეს, რომ ჩვენი ცნობილი მთარგმნელებიც ტფილისში სცხოვრობენ. რასაკვირველია, სხვანაირიც შესაძლებელია ორგანიზაციის ხასიათი. საქმის ტეხნიკა მრავალფეროვანია. ყველა ეს საერთო მოლაპარაკებით უნდა გამოირკვეს. ხოლო უმთავრესს კითხვად მაინც ის რჩება, რაც ჩვენ ამ წვრილის თავში აღვნიშნეთ; რა უნდა ითარგმნებოდეს და რა მკითხველი უნდა გვყავდეს მხედველობაში?

ჩვენის აზრით, მთარგმნელმა საზოგადოებამ უნდა დააკმაყოფილოს სამგვარი მკითხველი: ხალხი, ბავშვები და საზოგადოების განათლებული ნაწილი. არც ერთ მათგანს არა აქვთ საკითხი წიგნები. ხალხი არ კმაყოფილდება ყარამანიანით და არსენას ლექსებით. ბავშვებს თითქმის არაფერი აქეთ წასაკითხი. ან-ბანს ისწავლიან თუ არა, რუსულ წიგნებს ეტანებიან. სულ არარაობას ეგეც კარგია, ხოლო უმჯობესი იქმნებოდა მათის გონების გახსნისათვის, სამშობლო ენაზედ რომ გაეგოთ ის, რაც მისაწვდომია ბავშვის გონებისათვის. ამგვარსავე მდგომარეობაშია განათლებული ნაწილი ჩვენი საზოგადოებისა, რომელიც არ პოულობს საზრდოს ქართულ ლიტერატურაში, ქართულს არას კითხულობს და ამ სახით, და სხვა გარემოებათა ძალ-დატანებითაც, ეროვნულ ნიადაგს ეცლება. დრო

ყველა ამაზე ვიზრუნოთ და, გოდება-წუხილის მაგიერ, პირდა-
პირ საქმეს შევუდგეთ.

იკითხავენ, რა შინაარსის წიგნია საჭირო ჩვენი მკითხვე-
ლის დასაკმაყოფილებლად? მსოფლიო ლიტერატურა ორ დიდ
დარგად იყოფება – მეცნიერება და ხელოვნება. ჩვენ მკითხველ-
საც სწორედ ეს უნდა მივაწოდოთ. მხოლოდ ყველა ამისაგან

გამორჩევა უნდა გამოსადეგ მასალისა. ბაბშვი დიდის ყურად-
ღებით მოგისმენთ, თუ მარტივად და გასაგებ ენით აუხსნით
სხვადასხვა ბუნების მოვლენათ, უამბობთ, როგორ ცხოვრობს
ადამიანი დედა-მიწის ზურგზე, რა არის მზე, მიწა და სხვა ამ-
ნაირი. ამავე ყურადღებით მოგისმენს ხალხი, იმის გაჭირვება-
ზე და მოთხოვნილებაზე რომ დაუწყოთ საუბარი. ხოლო არც
ხალხი, არც ბავშვი ყურს არ დაგიგდებს, ქადაგების და დარი-
გების კილოთი რომ დაუწყოთ ლაპარაკი. ისე არაფერი არ
სწყინს ადამიანს, თუნდაც ბავშვია ეს ადამიანი, როდესაც თქვენ
აგრძნობინებთ, რომ იმაზე გონებით მაღლა სდგეხართ, და,
იმიტომ ვითომ და უფლება გაქვთ ქედ მაღლურად მოექცეთ
და ჭკუა დაარიგოთ. სამეცნიერო წიგნია ნათარგმნი, თუ ხე-
ლოვნური ნაწარმოები. გვქონდეს მხედველობაში ჭეშმარიტება
და სილამაზე. ჭეშმარიტება არკვევს ცხოვრებას, სილამაზე ამ-
შვენებს. ერთი აფიქრებს კაცს, მეორე აღელვებს. ჭეშმარიტი
აზრი და კეთილშობილური აღფრთოვანება კაცს ადამიანად
ჰხდის და აი სწორედ ის წიგნი უნდა იყოს გადმოთარგმნილი,
რომელსაც შეუძლია „ადამიანობის“ გაღვიძება კაცში.

ჩვენ არა გვგონია, რომ ინტელიგენციას რაღაც გან-
საკუთრებული წიგნები სჭირია. ყოველმა ჩვენებურმა მკითხველ-
მა, ხალხია იგი, ინტელიგენტი თუ ბავშვი, მეცნიერების და
ხელოვნების საშუალებით უნდა შეიგნოს ის აზრი, რომ მისი
„ადამიანობა“ დღეს ვიწროდ არის დაკავშირებული მის „ეროვ-
ნებასთან“ და რომ ამ ეროვნების დაჩაგვრა ადამიანობის და-
ჩაგვრაა.

წიგნი – მეცნნიერულია იგი თუ ხელოვნური, – რომელიც
გაგვიადვილებს ამ აზრის შეთვისებას, უნდა ითარგმნებოდეს
და ვრცელდებოდეს ჩვენს მკითხველ საზოგადოებაში.

დაწვრილებით განმარტება ყველა ამ კითხვებისა უნდა
იკისროს მთარგმნელმა მომავალ ორგანიზაციამ.

XXVIII. სახალხო კითხვები.

როდესაც ამ სამი წლის წინად საფრანგეთში „სახალო უნივერსიტეტების“ შესახებ აღიძრა ლაპარაკი, საქმის დამწყებთ

უნდა გადაეწყვიტათ შემდეგი კითხვა: როგორი უნდა იყოს სახალხო აუდიტორია? რა უნდა მიაწოდონ ხალხს? სახალხო უნივერსიტეტის საშუალებით მეცნიერების გავრცელებაა საჭირო ხალხში, თუ იგი უნდა იყოს გამოყენებული, როგორც იარაღი პოლიტიკურ ქადაქებისათვის?

ამაზე სამნაირი აზრი გამოითქვა. ერთნი ამტკიცებდნენ, რომ „სახალხო უნივერსიტეტი“ უნდა იყოს მეცნიერების ტაძარი, რომ პოლიტიკურ აგიტაციას ადგილი არ უნდა ჰქონდეს ამ ტაძარში. მეორენი ამბობდნენ, რომ „სახალხო უნივერსიტეტი“ პოლიტიკურ სკოლად უნდა გახდეს და რომ სხვადასხვა პარტიებმა უნდა მოიხმარონ ეს სკოლა თავიანთ აზრების გასავრცელებლად. მესამენი იმ აზრისანი იყვნენ, რომ სახალო უნივერსიტეტში პოლიტიკას მეცნიერებასთან ერთად თანაბარი ადგილი უნდა ეჭიროს.

პირველი აზრის მომხრენი იმითი ასაბუთებდნენ თავის შეხედულებას, რომ უმაღლესს სწავლის გავრცელებას ხალხში დიდ მნიშვნელობას აძლევდნენ, რადგან სწავლა და ცოდნა საუკეთესო იარაღად მიაჩნდათ ცხოვრების გასაუმჯობესებლად. ამისათვის ისინი სცდილობდნენ სამეცნიერო სწავლის პროგრამის საშუალებით სისტემატიურ ლექციების კითხვა დაეფუძნებინათ სახალხო უნივერსიტეტში და ასე თუ ისე მოაწყეს კიდეც ეს საქმე.

მეორე ჯგუფის ხალხი, რომელიც პოლიტიკის შემოტანის მომხრე იყო სახალხო აუდიტორიაში, იმ აზრისაა, რომ სიხალხო უნივერსიტეტში ყოვლად შეუძლებელია მეცნიერების მკვიდრ ნიადაგზე დაყენება და სისტემატიურ ლექციების მოწყობა. ეს იმიტომ, რომ ხალხი მოდის „აუდიტორიაში“ საღამოობით, მუშაობის შემდეგ, დაღლილი და დაქანცული და ამ მდგომარეობაში ყურადღებას ვერ ადევნებს ლექტორის კითხვას. მეორეც ის, რომ „სახალხო უნივერსიტეტი“ არ არის მოწყობილი სამეცნიერო მუშაობისათვის. უნივერსიტეტში მოსიარულე ხალხი ვერ იმუშავებს ლაბორატორიებში (ფიზიკის და ქიმიის დარგებში), რადგან ყველა ამისათვის თავისუფალი დრო უნდა ჰქონდეს ხალხს და „უნივერსიტეტიც“ უკედ უნდა იყოს მოწყობილი. ასე რომ, რაკი მეცნიერების რიგიანად სწავლება ჯერჯერობით არ მოხერხდება ამგვარ დაწესებულებაში, პოლიტიკის შემოტანაა საჭირო „აუდიტო-

რიანი", რის საშუალებით პოლიტიკური გაწვრთნა სასურველ მიმართულებას მიიღებსო.

მესამე აზრის მომხრენი ამბობდნენ, ცხოვრება, პოლიტიკა და მეცნიერება ისე არიან გადაბმულნი ერთმანეთზე, რომ მათი განცალკევება მოუხერხებელია და შეუძლებელიც. მეცნიერიც კაცია, მასაც აქვს თავისი შეხედულება ცხოვრების ავ-კარგინობაზე, ამა თუ იმ პოლიტიკის მიმდინარეობაზე. ყოვლად შეუძლებელია, რომ ამ კაცმა – თუნდაც დიდი მეცნიერი იყოს იგი – ხელი აიღოს თავის საზოგადო აზრებზე, რომ დაჰ-ფაროს და მიმალოს თავისი გრძნობები, რომ არ გამოსთქვას თავისი რწმენა სასოგადოებრივ ცხოვრებაზე. ამისდა მიხედვით სახალხო უნივერსიტეტში მეცნიერებასთან ერთად პოლიტიკას და ცხოვრების განმარტებასაც უნდა ჰქონდეს ადგილი. სახალ-ხო უნივერსიტეტი უნდა იყოს ცოცხალი დაწესებულება, ცხოვ-რების მოთხოვნილებით გამოწვეული.

ამნაირად სჯიდნენ საქმის მოთავენი და თანამგრძნობი პრესსა. ბოლოს და ბოლოს შეიმუშავებს წესდება. წესდების შემუშავების დროს უფრო პირველი ჯგუფის აზრებით ხელმძ-ღვანელობდნენ, ე. ი ეცადნენ „სახალხო უნივერსიტეტში“ სამეცნიერო სწავლა რიგიანად მოეწყოთ და პოლიტიკური აგიტაცია და კამათი გაედევნათ „აუდიტორიიდან“. და თუმცა ეს გადასწყვიტეს და შესაფერი წესდებაც შეადგინეს, მაგრამ ნამდვილად კი ჯერჯერობით ვერას გზით ვერ მოახერხეს თა-ვიანთ პროგრამის ასრულება. პრაქტიკულად საქმე ისე მოეწ-ყო, როგორც ჰქადაგებდნენ მესამე ჯგუფის პირნი. უნივერ-სიტეტში სისტემატიურ ლექციებსაც ჰკითხულობენ, პოლიტი-კურ აზრებსაც ჰქადაგებენ, თანამედროვე ცხოვრებასაც აფა-სებენ, სალიტერატურო წიგნებზედაც ლაპარაკობენ და „სა-ხალხო აუდიტორიისათვის აქამდის ვერ მიუციათ სასტიკი აკადემიური ხასიათი.

XXIX. წერა-კითხვის საზოგადოების წევრთა საყურადღებოდ.

დღეს არის დანიშნული „წერა-კითხვის საზოგადოების“ წევრთა წლიური კრება. ბევრნი უსაყვედურებენ საზოგადოე-ბის გამგეობას, არას აკეთებსო და უმოქმედოაო. წლიური ან-

გარიშიდანაც სჩანს, რომ „საზოგადოების“ მოქმედება მაინცა და მაინც განცხოველებული არ იყო. ჩვენ არ ვიცით ნამდვი-ლი მიზეზი უმოქმედობისა – ამისათვის, ვიდრე საყვედურის გა-მოუცხადებდეთ „საზოგადოების“ გამგეობას, საჭიროა დაბეჯი-

თებით ვიცოდეთ, ხელს უშლიდნენ გამგეობის მოქმედებას რამე პირობები, თუ იგი არც კი სცდილა და განზრახვადაც არა ჰქონია საქმის გამოცოცხლება. ძველი გამგეობის მოქმედების დაფასება მხოლოდ ამისდა მიხედვით შესაძლებელია. ხოლო „საზოგადოების“ მორიგ კრებაზე სხვა კითხვების აღძვრაც არის საჭირო. რა საშუალებით შეიძლება „საქმის“ გამოცოცხლება და რაზე უნდა იყოს მიქცეული ახალი გამგეობის ყურადღება? წლიურ ანგარიშიდან სჩანს, რომ წარსულ წლებშიაც არა ერთხელ ჰქონიათ ლაპარაკი სკოლების **რევიზორის** თანამდებობის დაარსების შესახებ. ჩვენ გვგონია, რომ სკოლების რეიზია აუცილებელია, რადგან რევიზორი, გაეცნობა რა ჩვენის სკოლების ღირსება-ნაკლულევანებათ, შეძლების დაგვარად გააუმჯობესებს სწავლის საქმეს. ამ კითხვის გადაწყვეტა აუცილებელია დაუყოვნებლივ.

მეორე არა ნაკლებ საყურადღებო კითხვა, რომელზედაც უნდა იყოს მიქცეული „კრების“ ყურადღება – ბედკრული როინაშვილის **ფოტოგრაფიაა**, რომელიც „წერა-კითხვის საზოგადოებას“ ეკუთვნის. ანგარიშიდან სჩანს, რომ ფოტოგრაფიას წარსულ წელს 859 მან. 34 კაპ. ზარალი მოსვლია. თუმც ამავე ანგარიშიდან სჩანს, რომ 1899 წ. ფოტოგრაფიამ მისცა საზოგადოებას წმინდა მოგება 503 მან. 87 კაპ,. მიუხედავად ამისა ჩვენ გვეშინიან რომ მომავალ წელშიაც არ მოუვიდეს საზოგადოებას წლევანდელისთანა ზარალი. ჩვენ გვგონია, რომ ხიფათის ასაცილებლად უმჯობესია ფოტოგრაფია იჯარით გაიცეს. საზოგადოებას სხვაც ბევრი რამ აქვს საზრუნავი და საფიქრებელი. მხნეობა და ძალ-ღონე თავის პირდმპირ დანიშნულებას მოანდომოს და სახიფათო ოპერაციებს ნუ გამოუდგება.

არა ნაკლები ყურადღება უნდა მიექცეს წიგნებით ვაჭრობის საქმეს. წარსულ წელს საზოგადოებას დარჩა წიგნებით ვაჭრობიდან 1917 მან. 48 კაპ. წმინდა მოგება. საჭიროა განმარტება იმისი, თუ რამდენად შესაძლოა წიგნების **ვაჭრობის გაფართოება**. „საზოგადოების“ მაღაზიამ უნდა იკისროს

რუსულ წიგყბის (სახელმძღვანელოების) ყიდვაც. წინდაწინვე ვერ ვიტყვით, რასაკვირველია, რამდენად მომგებიანი იქმნება ეგ საქმე. ხოლო გამოცდა კი საჭიროა, მით უმეტეს, რომ საქმის მოწყობა ისეთნაირად შეიძლება, რომ საზოგადოებამ ზარალი არ ნახოს.

შემდეგ ამისა საჭიროა გამორკვევა „საზოგადოების“ ნივთიერ **საშუალებათა გაძლიერების** კითხვისა, რადგან ამაზეა დამყარებული რევიზორის, წიგნების გამოცემის, წიგნთ-საცავე-

ბის დაარსების და სხვა ამგვარი კითხვები. საზოგადოებას აქვს მიბარებული სხვა და სხვა საგანგებო თანხები – მუზეუმისა, სალიტერატურო, რ. ერისთავისა და ბაქრაძისა, სულ 10602 მან. 34 კ. წარსულ წელს სამუზეუმო თანხიდან 220 მან. დ. ბაქრაძის ძეგლს მოახმარეს. აგრეთვე ხმის უმეტესობით წარსულ კრებაზე დაადგინეს: მიეცეს გამგეობას უფლება ისესხოს სალიტერატურო ფონდიდან წიგნების გამოსაცემად საჭირო თანხაო. ამრიგად, ჩვენ ვხედავთ, საგანგებო თანხები ხელუხლებელნი არ არიან. აუცილებლად საჭიროა განსაზღვრა იმისი, რამდენად სასარგებლოა **საგანგებო თანხების** არა-დანიშნულებისამებრ მოხმარება. იტყვიან, უფულობაში მეტი ილაჯი არ არის, რომ არ ვახლოთ ხელი საგანგებო თანხებსაო. ამისათვის აუცილებლად საჭიროა განსაკუთრებულ კომისიის დაარსება, რომელსაც დაევალება ნივთიერ საშუალების აღმოჩენა „საზოგადოების“ ნაყოფიერ მოქმედებისათვის. რაც შეეხება საგანგებო თანხებს, მათი ხარჯვა ყოვლად შეუწყნარებელია, რადგან ამ შემთხვევაში მათ ეკარგებათ განსაკუთრებული თანხის მნიშვნელობა.

დასასრულ უნდა ვსთქვათ, რომ ჩვენმა საზოგადოებამ არ უნდა დაივიწყოს თავისი პირდაპირი დანიშნულება – ხალხში წერა-კითხვის გავრცელება. ჩვენის აზრით, მომავალი გამგეობა მეტის მოფიქრებით უნდა მოეკიდოს სახალხო წიგნების შედგენის საქმეს. კარგი იჭმნება, რომ გამგეობას ეკისრა მოთავეობა იმ ახალი მთარგმნელ საზოგადოებისა, რომლის დაარსება ბევრს ასე საჭიროდ მიაჩნია. იმედია, რომ უკვე არსებული ამგვარი დაწესებულებანი მხარს მისცემენ ამ ახალ საზოგადოებას და მით სასარგებლო დახმარებას აღმოუჩენენ საზოგადოების გამგეობას იმ შემთხვევაში, თუ იკისრა ამ გამგეობამ ამგვარი მეთაურობა.

საჭიროა აგრეთვე, რომ მომავალმა გამგეობამ მასწავლებლების დანიშვნის კითხვაში, წიგნთ-საცავების დაარსებაში და სხვა ამგვარ საქმეების მოწყობის კითხვებში სრული მიუდგომლობა და თავისუფლება გამოიჩინოს, არ იხელმძღვანელოს „პარტიული“ ინტერესებით. ჩვენ ვაქცევთ ამაზედ კრების ყურადღებას იმ განზრახვით კი არა, რომ შევწამოთ ამგვარი მიუდგომლობა ძველ გამგეობას. ჩვენ ვამბობთ მხოლოდ, რომ ჩვენი ინტელიგენციის დას-დასად დაყოფა შესაძლებლად ხდის ამგვარ მიდგომილობას მით უმეტესად, როცა გამგეობის წევრნი ერთს ჯგუფს ანუ პარტიას ეკუთვნიან. სრული პატივი უნდა ვსცეთ კაცის „მიმართულებას“ – „მესამე დასელია“ იგი, „არისტოკრატ-ნაციონალისტი“, თუ „ნაციონალ-დე-

მოკრატი“. ამისათვის გამგეობის წევრთა არჩევნებშიაც უნ-
და გამოისახოს საზოგადოების მიუდგომლობა, სხვა და სხვა
აზრთა და შეხედულებათა პატივისცემა და მიუდგომლობა უნდა
გამოიჩინოს საზოგადოებისაგან ამორჩეულმა გამგეობამ „სა-
ზოგადოების“ საქმეების წარმოების დროს.

XXX. პარტიათა შეტაკება წერა-კითხვის საზოგადოების“ კრებაზე.

წერა-კითხვის გავრცელების საქმე, პირველის შეხედვით,
მარტივი და უბრალო საქმეა. აქ, თითქოს, არც არის ადგი-
ლი სხვა და სხვა აზრთა შეტაკებისათვის. ნამდვილად კი ეს
ასე არ არის. ჩვენში, როგორც სხვაგან, ამ ნიადაგზე იბადება
უთანხმოება და წინააღმდეგობა. ხოლო ჩვენებურ აზრთა შე-
ტაკებას უფრო სტიქიური, განუსაზღვრელი ხასიათი აქვს, მა-
შინ როდესაც უცხოეთში ამ ნიადაგზე წარმოშობილ წინააღმ-
დეგობაში გამოისახება აზრთა სხვა და სხვაობა და მიმართუ-
ლებათა მრავალფეროვანება. მართლაც, დააკვირდით თვით
საკამათო საგანს – წერა-კითხვის გავრცელების სექმეს, – რა
კითხვები ებადება კაცს, ამ საგანს რომ აკვირდება? გინდათ
გაიგოთ რა **პირობებში** უფრო ნამდვილად ვრცელდება ხალხ-
ში წერა-კითხვის სურვილი? რა **საშუალებით** უკეთესად მკვიდრ-
დება ხალხში ეს სურვილი? **რაგვარი** წიგნები ესაჭიროება
ხალხს და რა საზრდო უნდა მივაწოდოთ მას? ამ კითხვების

გარკვევაში შეიძლება სხვა და სხვა აზრი გამოითქვას პირობე-
ბის, საშუალების და მრავალგვარ წიგნთა მიმართულების და-
ფასების გამო. და აი აქ არის ის ნიადაგი, სადაც გამოდიან
საბრძოლველად სხვა და სხვა დასთა წარმომადგენელნი. ვინც
ხალხის კითილდღეობაზე ზრუნავს, ის მეტის ყურადღებით
მოეკიდება ხალხის განათლების საგანს, უფრო დაბეჯითებით
დააკვირდება იმას, რამდენად შესაძლებელია გარეშე დამაბრ-
კოლებელ პირობების შეცვვლა, რამდენად სასარგებლოა ხალ-
ხისთვის ამა თუ იმ შინაარსის წიგნი და რამდენად მოსახერ-
ხებელია არსებულ პირობებში, მატერიალურ საშუალებათა
გაძლიერება საქმის განხორციელებისათვის. აქ ირკვევა სხვა და
სხვა მიმართულებათა მიხედვით, სხვა და სხვა პროგრამების
საჭიროება და აქ, ამ ნიადაგზე, ასტყდება ხოლმე ომი ხალხის
ცრუ და ნამდვილ გულის შემატკივართა შორის. ამ მოსაზრე-
ბაზე უნდა იყოს აშენებული იმ მმართველ ორგანოს დაფასე-
ბა, რომელიც განაგებს წერა-კითხვის გავრცელების საქმეს. ამ
მოსაზრების მიხედვით უნდა გამტყუნდეს ან გამართლდეს ამ

მმართველ-ორგანოს მოქმედება. ასე არის ყოველ საზოგადოებაში, სადაც მსჯელობას და კრიტიკას მკვიდრი ფესვი აქვს გაკეთებული, სადაც სხვა და სხვა ინტერესთა ზედ-გავლენით ისახება აზრის მრავალფეროვნება და მიმართულებათა მრავალშტოიანება. ჩვენში ჯერ-ჯერობით საქმე სხვანაირად მიმდინარეობს.

წარსულ კვირის კრებამ დაგვარწმუნა, რომ ჩვენს საზოგადოებაში რაღაცა პარტიების მსგავსი ირკვევა, ხოლო ამ პარტიებს სრულებით ვერ გაუგიათ თავთავიანთი დანიშნულება. აზრი თითქოს დახშულია და გრძნობაა გაბატონებული. მსჯელობას ფრთები აქვს შეკვეცილი, ვნებათა-ღელვას კი მინიჭებული სრული თავისუფლება. თქვენ უნებლიეთ ეძებდით პროგრამას, გამგეობის მოქმედების მთლიან დაფასებას. ასე იშვიათად მოხდება ხოლმე, რომ საზოგადოება თავს იყრის და მსჯელობს თავის უპირველეს საჭიროებაზე. თქვენ გიხარიანთ, რომ ყველანი თითქოს გულწრფელად ეკიდებიან საქმეს. ყურს უგდებთ ლაპარაკს და სულ იმის მოლოდინში ხართ, რომ ახალი აზრი რამ გამოვა საქვეყნოდ, გინდათ, რომ სჯა-ბაასს დალაგება და დასაბუთება ეტყობოდეს, გინდათ, რომ ერთი აზრი, ერთი პროგრამა შეეჯახოს მეორეს და ამ შეჯახებაში

იშვას და გამოიჩეკოს მესამე აზრი. ნაცვლად ამისა კი ეხეჩებით გახურებულ გრძნობიერებას, გაზვიადებულ თავმოწონებას და მყვირალა სტყვების სროლას. ყვირილი, ხმაურობა, ხელების გაუზომელი ტრიალი, გაცეცხლებულ თვალების ბრიალი და სხვა არაფერი.

იტყვიან, რის პროგრამა, რა პროგრამა? ჩვენი „საზოგადოება“ ძლივს-ღა ღაფავს და იბრუნებს სულს. ვისა სცალიან, რა დროს ფიქრი და აზრია. საქმე, პირველი საქმე „ანგარიშის“ შემთხვევითი გადათვალიერება, არაფრის მოწონება და ყველაფრის გმობა, რაც შიგაა მოტანებული, ხოლო ბოლოს კი, როცა ხანგრძლივ ყვირილისა, ჩხუბისა და ვაი-ვაგლახის შემდეგ, არავის არაფრის თავი აღარა აქვს, საჩქაროდ დამტკიცება სწორედ ამ „ანგარიშისა“, რომელიც იყო მიზეზი ჩხუბისა და ვაი-ვაგლახისა. ხანგრძლივის სიჩუმისაგან და უმოქმედობისაგან ჰგროვდება ჩვენს ძარღვებში ფიზიკური ენერგია. ამ ენერგიის გასაღებაა საჭირო. და აი საჯარო კრება ამ შეგროვილ ფიზიკურ ენერგიის გამსაღებელ ბაზრათ ხდება. ამგვარია ჩვენებურ პარტიათა შეტაკება.

წარსულ კვირას ბევრს ეწყინა, რომ არჩევნებს არ დასცალდა და გადაიდო შემდეგ კვირისათვის. ხოლო ეხლა, როდესაც ცოტა არ იყოს დავშოშმინდით, ჩვენ ვეკითხებით ჩვენ

თავს: ნუ თუ მართლა ალიაქოთი იმისთვის ავტეხეთ, რომ ერთი გამგეობის მაგივრად მეორე გამოგვეჭიმა, რათა ეს ახალი გამგეობა გარეგან ქერქით სხვა ყოფილიყო, არსებითად კი ძველი დარჩენილიყო? სად, რითი შეგვიძლიან დავამტკიცოთ, რომ ახალი გამგეობა უმჯობესი იქნებოდა? სად და ვინ დაა-ფასა, აწონ-დაწონა ავ-კარგიანობა ძველი გამგეობის მოქმედე-ბისა, ვინ დაგვანახვა, რომ არის ხსნა და გასავალი, რომ შე-საძლებელია და სასურველი ახალი უვალის გზით სიარული?

ვინ გაიხსენა უმთავრესი საჭირბოროტო კითხვები ჩვენის „დაწესებულებისა“ – რა შინაარსისა უნდა იყოს სახალხო წიგ-ნები, რა საშუალებით შეიძლება პრაქტიკული განხორციელე-ბა სახალხო კითხვებისა, რა მოვახერხოთ, რომ მეტი საღსარი გაუჩინოთ „საზოგადოებას“. ვიძახდით, ორას შეგირდს ორი მასწავლებელი ვერ გაუძღვებაო, მასწავლებლების რიცხვი კი უფულობისაგან ვერ მიგვიმატებია. ვუსაყვედურებდით, ქართულ გაკვეთილების პროგრამა არა გვაქვსო და არ გვივარგაო, და

ახალ კარგ პროგრამაზე კი სიტყვა არ ამოვიღეთ. ვყვირო-დით, როგორ მოხდა, რომ გაზეთის დასაკვეთად მხოლოდ 7 მ. 50 კ. ვიმეტებთ და მეტის დაკვეთა კი იმავე უფულობისა გა-მო არ შეგვიძლია.

ამგვარი „ანგარიშის“ კრიტიკა ჩვენ უსაფუძვლოდ დროს დაკარგვად მიგვაჩნია. როცა კაცი ძველ გზას იწუნებს და ახალს არ გვიჩვენებს, ამ კაცს ჩვენ ვერ გავყვებით. ვიცით, კარგათ ვიცით: ეს არ გვივარგა, ის არ გვივარგა. საქმე ის არის, რომ გავიგოთ, რა ღონე ვიღონოთ, რომ თავი ვიხსნათ განსაცდელისაგან. ამას არავინ გვეუბნება. მიუხედავათ ამისა კი მთელს ჩვენს იმედს ვამყარებთ ახალ არჩევნებზე. კვირამდე საკმარისი დრო გვაქვს, რომ დაუფიქრდეთ ამ ჩვენს გაჭირვე-ბას. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენს საქმეს წინ ვერ წავწევთ და ერთი ერთმანეთს კი გადავიმტერებთ.

XXXI. რა მოხდა?

1.

თითქმის ერთი თვე ვიყავით გაჩუმებულები. ამ ხნის განმავლობაში ბევრი რამ მოხდა ჩვენს ცხოვრებაში ღირს შე-სანიშნავი, ყურადღების ღირსი, ბევრი რამ იყო იმისთანა, რა-ზედაც ხმა უნდა ამოგვეღო, რადგან შეეხებოდა ჩვენს მეგობ-რებს, პირადათ მეც, რადგან სალაპარაკო და საკამათო საგნათ გამხდარა ეგრედ წოდებული „ცნ. ფურც.“-ის ჯგუფის მოქმე-

დება და ზნეობრივი ფიზიონომია. ბევრმა კარგად იცოდა, რომ ჩვენი სიჩუმე იძულებული იყო და ჩვენი მდგომარეობა ამ ძალ-დატანებულ გაჩუმების დროს მეტად საძნელო და არა სასი-ამოვნო, რადგან ჩვენ (ე. ი. ჩემი ამხანაგები და მე) პასუხის მგებელნი ვიყავით საზოგადოების წინაშე იმ საქმეში, რომელ-საც ასე ააღელვა ქართველობა ამ ბოლო ხანში. ხოლო ჩვენ ლაპარაკის ნება არ გვქონდა „ცნ. ფურც.“-ში შინაურ მიზე-ზების გამო. ყველა ამითი კარგად სარგებლობდნენ ჩვენი მო-პირდაპირენი და ჩვენი დამცირებისათვის არა დაჰზოგეს-რა. ისიც კი სთქვეს, რომ ამომრჩეველთა გულის მოგებისათვის არა დავზოგეთ რა, თვით ჩვენს რწმენებზედაც ავიღეთ ხელი [1]).

---

[1]) „ივერია“ № 256.

მაგრამ ძლიერ გასამტყუნარნი არ არიან ჩვენი „ახალი“ მოპირდაპირენი. მომხდარ ამბების გამო მათი უსამართლო და-ფასება უცოდინარობისაგან წარმოსდგა. უცოდინარობაც, რა-საკვირველია, ბოდიშის მოსახდელი არ არის, მაგრამ რას გა-აწყობთ, როდესაც ჩვენი „მოღვაწენი“ და მწერლები ისე შე-ეჩვივნენ დამყარებულ და გაქვავებულ მსჯელობის და მოქმე-დების წესს, ისეთ სიბრმავეს იჩენენ საზოგადოებრივ ცხოვრე-ბის დაფასებაში, რომ არ ხედავენ იმას, რაც მათი მოქმედე-ბის ჩვეულებრივ გეგმაში არ შედის და რაც მათი სახლის ან რედაქციის გარეშე ხდება. არა ხედავენ და არც უნდათ და-ნახვა, რადგან ეს „ახალი“ მაგათი წრის გარეშე დაიბადა და ფრთა შეისხა, რადგან ამ „ახალის“ დანახვისათვის სხვა საზო-მია საჭირო, ისტორიულ პერსპეკტივის სხვანაირი გათვალის-წინება. მოდით და გაამტყუნეთ ისინი, ვისაც არა აქვს ამისი უნარი, ვინც ბეჭდვით გადაბირებული ფუცლის მონად გამხდა-რა და დამოუკიდებელ მსჯელობას არის მოკლებული.

დიაღ. სამწუხაროდ, უნდა აღვიაროთ, რომ ჩვენი ინტე-ლიგენციის აზრი და მოქმედება მეტად ვიწრო ფარგლითაა შე-მოზღუდული. ამითი აიხსნება, რომ ყოველთვის, როდესაც კი მოხდება რამე ამ ფარგალის გარეშე, იგი გაოცებული და გან-რისხებული რჩება (ეს საიდანღა გამოტყვრა, აქ მამულის ღა-ლატი იმალებაო). აზრი, გრძნობა, მისწრაფება და ლტოლვი-ლება, მათის შეხედულებით, მარტო მწერალთა და ლიტერა-ტორთა წრეებში იბადება, რომ რაც რედაქციებს გარეშე (უკეთ ვსთქვათ, ერთ ერთ ძველ რედაქციის გარედ) იბადება, ის პა-ტივსადები და ყურადღების ღირსი არ არისო. მხოლოდ ამი-თი აიხსნება სრული გაუგებრობა ერთის თვალსაჩინო მოვლე-ნისა, რომელმაც ამ ბოლოს დროში იჩინა თავი ჩვენს ცხოვ-

რებაში. ამ მოვლენის გამოსახვა-გამორკვევაში ჩვენც გვიდევს ჩვენი წილი და ამისათვის პასუხის მგებელნი ვართ საზოგადოების წინაშე და ჩვენი აზრების და მოქმედების სრული ანგარიში უნდა ჩავაბაროთ მას, რადგან ამ საქმეში არც დასამალი, არც ბოდიშის მოსახდელი არა ადამიანის წინაშე არა გვაქვს რა.

როდესაც ამ ნახევარ წლის წინად ჩვენ „საერთო მოღვაწეობის ნიადაგზე“ ჩამოვაგდეთ ლაპარაკი, ქართული პრესსა დიდის გულგრილობით დაუხვდა ამ ჩვენს ლაპარაკს. „კვალს“

არ მოეწონა ზოგიერთი მოსაზრებანი და გაილაშქრა ჩვენ წინააღმდეგ. „ივერია“ დამშვიდებულად სდუმდა, არც ჰოს ამბობდა, არც არას. მაშინ ჩვენ ვამბობდით: „თუ ჩვენში არის საერთო მოქმედების ასპარეზი, თუ ეს ასპარეზი ყველასათვის თვალსაჩინოა, სად არის ის პარტია, რომელიც მოქმედობს ამ ნიადაგზე? თუ ნიადაგი არის, პარტიაც უნდა იყოს. თუ პარტია არ არის, ორში ერთია – ან ნიადაგი არ არის, ან კიდევ გაურკვეველია. ამ აზრების გამოთქმის შემდეგ მე თანდათან ვრწმუნდებოდი, რომ საერთო მოქმედების ნიადაგი ჩვენში გამოურკვეველი იყო, რომ გამოურკვეველი იყო განსაკუთრებით ის, თუ ვის, ჩვენის საზოგადოების რომელ ნაწილებს და ჯგუფებს შეეძლოთ ერთმანეთისათვის ხელი გაუწოდათ და პრაქტიკულ ნიადაგზე საერთოდ ემოღვაწნათ. საერთო მოღვაწეობა შეუძლიანთ მათ, ვისთვისაც ერთნაირად ძვირფასია ხალხოსნობის ინტერესები, თუნდაც ესენი სხვადასხვანაირად ემსახურებოდნენ ამ ინტერესებს. საუბედუროდ, ჩვენს მოქმედებას ერთგვარი მიზანი არა ჰქონია და არა აქვს. არის ერთი დიდი ნაწილი ჩვენის საზოგადოებისა, რომლისთვისაც პირადი ანგარიშის გარედ არც ერთი აზრი, არც ერთი გრძნობა, არც ერთი ლტოლვილება არ არსებობს. არის ერთი ნაწილი ჩვენი „მოღვაწე-მწერლებისა“, რომელთ ფიქრი მხოლოდ ერთ მხარეზეა მიქცეული და ხალხის კეთილ-დღეობაზედ იმდენად ზრუნავენ და ჰფიქრობენ ისინი, რამდენადაც ეს ზრუნვა ხელუხლებელს სტოვებს არსებულ ეკონომიურ-წყობილებას, რამდენადაც ეს ზრუნვა ემსახურება ვითომდა შესაძლებელ საერთო (განურჩევლად წოდებისა) ეკონომიურ კეთილდღეობას. როდესაც ყველა ეს გამოაშკარავდა ჩვენთვის, ეჭვს გარეშე შეიქმნა, რომ მთელის საზოგადოებისა, ანუ მთელი ინტელიგენციის საერთო მოქმედებას აქვს თავისი საზღვარი და აი ამ საზღვარის გამორკვევა იყო საჭირო. გარემოებამ და ცხოვრებამაც მიგვითითეს ამ საზღვარზე. და ეხლა ჩვენ მტკიცედ შევდექით იმაზედ, რომ მათი დაკავშირება არის საჭირო და შე-

საძლებელი, ვინც ეროვნულ ნიადაგზედ დემოკრატიას გაამტ-
კიცებს. და ეს ჩვენი პირადი რწმენა და გამოცდილება უფრო
თვალსაჩინოდ გვეჩვენა, ვუფიქრდებით რა ამ უკანასკნელ ათის
წლის ჩვენი ცხოვრების მიმდინარეობას.

დღემდე ჩვენი საზოგადოება თითქმის ორ ბანაკად იყო-
ფებოდა. ერთის მხრით „მესამე დასელები“, მეორე მხრით –
დანარჩენი ნაწილი ჩვენი საზოგადოებისა, რომელთაც „ნაციო-
ნალისტებს“ ანუ „პატრიოტებს“ უწოდებდნენ. ასე თუ ისე,
ამგვარი დაყოფა ჩვენის საზოგადოებისა სინამდვილეს არ იყო
მოკლებული, რადგანაც მართლაც და დიდად განირჩეოდნენ
ერთი-ერთმანეთისაგან „მესამე დასელები“ და „ნაციონალის-
ტები“. ორივე ბანაკის აზრი განსაკუთრებულ ფარგალში ტრია-
ლებდა. ერთის მხრით, ქალაქურ ხალხის ინტერესი, უარყოფა
ეკონომიურ ცხოვრებასა და ლიტერატურაში ყველა იმისი, რაც
ერთგვარ მოძღვრებას არ ეწყობა, მიდგომილი, ხოლო თავი-
სებურობას არ მოკლებული დაფასება ქართველ საზოგადო
მოღვაწეებისა. შეიძლება არ დაეთანხმოთ „კვალს" ბევრში,
ხოლო მიუდგომელ კაცისათვის ცხადზე უცხადესია, რომ
„კვალს“ ხალხის სამსახურის განზრახვა ჰქონდა, რომ იგი მა-
ინც პროგრესიულ საქმეს ემსახურებოდა, რადგან ხალხს კით-
ვის და დაფიქრების ხალისი დაუბადა.

რას იცავდნენ, რას ჰქადაგებდნენ ჩვენი ნაციონალის-
ტები“? უწინარეს ყოვლისა, რასაკვირველია, მამულისადმი სი-
ყვარულს, წარსულ ისტორიის გმირთა პატივისცემას. ამ მხრით
ჩვენს ახალს პოეზიას დიდი სასმსახური მიუძღვის ამ პატრიო-
ტულ გრძნობების გაღვიძების საქმეში ჩვენს საზოგადოებაში.
„ნაციონალისტები“ ხალხის კეთილ-დღეობაზედაც ზრუნავდნენ,
ხოლო, რამდენადაც მტკიცენი და შეურყეველნი იყვნენ პატ-
რიოტულ მოძღვრებაში, იმდენად სუსტნი ხალხის ინტერესე-
ბის კითხვის დაცვაში. საგულისხმოა, ნახევარ საუკუნის განმა-
ვლობაში მოღვაწეობდნენ და სწერდნენ ჩვენი „ნაციონალის-
ტები“, ხოლო ხალხი კი მაინც ვერ მიიზიდეს თავისკენ. რა
მიზეზია? ჩვენი აზრით, ერთი ის, რომ ისინი ხალხს დაშორე-
ბულნი იყვნენ და არც სცდილობდნენ ხალხთან დაახლოვებას.
საუკეთესო „ნაციონალისტთაგანი“ ილია ჭავჭავაძე უტოპიურ
საერთო ეკონომიურ ზრუნვაში იყო და ეკონომიურ განხეთ-
ქილების მიზეზს არ ხედავდა საქართველოში არსებულ წყობი-
ლებაში) ასე, რომ ხალხი, შეგნებული ნაწილი ამ ხალხისა

---

[1]) „დიდი შეცდომა იქნება, ამბობდა ჭავჭავაძე, წოდებათა შორის
განხეთქილების მიზეზი თვითონ წოდებათა წყობას, მის შინაგანს არსე-

არა ხედავდა „ნაციონალისტებში“ თავის მოსარჩლეებს. წარ-
სულის მოგონება და გმირთა თაყვანის ცემა ვერ აკმაყოფი-
ლებდა მას, რადგან ცხოვრება გაუჭირდა და გაუმწვავდა. რა-
საც აწოდებდნენ, მის ფანტაზიას აღელვებდა, ხოლო კუჭს ვერ
აძღობდა. ეს იყო მიზეზი ხალხის დაშორებისა. ამას ისიც მი-
უმატეთ, რომ ამ უკანასკნელი წლების განმავლობაში „ივე-
რია“, რომელიც იმ თავითვე ჩვენებურ ნაციონალიზმის გამო-
მსახველი იყო, ძალიან ჩამორჩა საზოგადოებრივ მიმდინარეობას,
ჩასთვლიმა და დადუმდა და იმის ფურცლებზე არც ავი ისმო-
და, არც კარგი.

ამ გაზეთის განახლებულმა რედაქციამ (ეს განახლება ერ-
თის თვის წინად მოხდა) ახალი არა შემოიტანა-რა. მან ვერც
ერთი იმგვარი ნიშანი ვერ გვიჩვენა, რომ შეგვეძლოს თქმა
„ივერია“ ახალ გზაზე გამოდის და იმ ნაკლის შევსებას შეუ-
დგება, რომელიც ჩვენს ძველებურ „ნაციონალიზმს“ ამჩნევი-
აო. პირიქით, ამ რედაქციამ იმისთანა წერილებს მისცა ადგი-
ლი თავის ფურცელზე, რომ თვალსაჩინოდ დაგვანახვა მისი
თვალთა ხედვის ისარი წარსულისაკენ არის მიმართული და
არა მომავალისაკენ [1]).

ასე რომ თუ „კვალს“ ჰქონდა ცალმხრივი დემოკრატიზ-
მის ხასიათი, „ივერია“-ს არა ნაკლები ცალმხრივი პატრიო-
ტიზმის დაღი ემჩნევოდა. და აი თვითონ ჩვენმა ცხოვრებამ
დააყენა გასარკვევად მესამე კითხვა ხალხისა და ეროვნების,
დემოკრატიზმისა და პატრიოტიზმის დაკავშირება იყო საჭირო.
და აი სწორედ ამ კითხვის გარკვევამ წარმოშობა ახალი ჯგუ-
ფი, ახალი პარტია, რომელიც ამ უკანასკნელ 5-6 წლის გან-

ბას, თვისებას. ზნეს და ჩვეულებას და აქედან წარმომდგარ მიდრეკილე-
ბას მივაწეროთ. ამის მიზეზი იგივეა, რაც თვითეულ კაცთა შორის: ავი
გული ხარბი თვალი, გრძელი ხელი და ნამუსის ქუდის ახდაო“.
„ივერია“ № 1873.

[1]) იხ. ჩიორას წერილი „მე საზოგადოთ არც ერთი საკვირაო სა-
სწავლებელი არა მქონია მხედველობაშიო, ამბობს ჩიორა, და დავწერე
რა, რომ „საკვირაო სასწავლებლის მოსწავლენი“ მოვიდნენ მეთქი კრე-
ბაზე, ამით მინდოდა აღმენიშნა ის ხარისხი განათლებისა, რომელზედაც
სდგას მესამე დასის წევრთა უმრავლესობაო“. ამგვარი იყო და არის ჩვე-
ულებრივი არგუმენტი ყველა მათი, ვისაც აშინებს და ვინც წინააღმდეგია
ხალხის გარევისა ჩვენს საზოგადო საქმეებში.

მავლობაში ნელ-ნელა და თან-და-თან ისახავდა თავის პიროვ-
ნებას. ამ ჯგუფს ჯერ თავისი ორგანო არა ჰქონდა. იგი შემ-
თხვევით იხიზნებოდა „ივერის“ რედაქციაში, ხან „ნოვოე
ობოზრენიე“-საში. რამდენიმე წლის განმავლობაში ახალი მი-
მართულება ნელ-ნელა ფესვებს იკეთებდა, ხორცს ისხამდა,
იზრდებოდა და მწიფდებოდა. ნელ-ნელა ირკვეოდა „ნაციონა-
ლისტთა“ ბანაკის დაყოფის და დემოკრატიზმის და ეროვნების
დაქორწინების საჭიროება. და აი დღეს იმდენად დამწიფდა ეს
ახალი მოვლენა, იმდენად დავაჟკაცდა ეს ახალი ჯგუფი, რომ
მანაც დაიჭირა ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში ადგილი და
შეძლებისამებრ სცდილობს გააფართოვოს თავის მოქმედების
ასპარეზი. ამ ჯგუფის შემუშავება დღესაც არ დამთავრებულა,
ხოლო ეჭვს გარეშეა, რომ ამ ჯგუფის საჯაროდ გამოსვლაში
იმალება მიზეზი ქართველ საზოგადოების აღელვებისა, მის წევ-
რების ერთმანეთთან გადამტერებისა და ჩხუბისა, რადგან, სა-
უბედუროდ, არც ერთი საზოგადოებრივი ცვლილება არ მო-
ხდება ხოლმე ისე, რომ ვინმეს რამე არ ეწყინოს, ვინმეს რა-
მე არ ეუცხოვოს, ვინმე რამეზე არ გაგულისდეს. ვინც ამას
არა ხედავს, ორში ერთია, ან არაფრის დანახვა არ შეუძლია,
ან თავისი პირადი ინტერესების მეტს არას ხედავს საზოგა-
დოებრივ მოძრაობაში.

2.

ყოველივე ეს ერთი უმთავრესი მხარეა საკითხისა. აქ უნდა
ვეძებდეთ იმის ახსნას, თუ რა ხდება ამ ჟამად ჩვენს საზოგადო-
ებრივ ცხოვრებაში. ჩვენი საზოგადოების სამ ჯგუფად დაყოფა
არავისთვის არ უნდა იყოს დასამალი. ამ ჯგუფებში ისახება
და თანდათან უფრო კარგად გამოიხატება ქართველ საზოგა-
დოების სხვა-და-სხვა ნაწილების აზრი და გრძნობა. ვინც ამ
ჩვენი ცხოვრების ფაქტს უარ-ჰყოფს, იმას თვით ცხოვრება
უარ-ჰყოფს, რადგან ჩვენს დროში ზოგადის აზრებით და გულ-
წრფელის ბურუსიან განზრახვებით კაცი ფონს ვერ გავა, სა-
ჭიროა ნათელის, განსაზღვრული გზით სიარული. მაშასადამე,
თუ ჩვენმა ცხოვრებამ წარმოშობა სხვა-და-სხვა ჯგუფები, ამ
ჯგუფების ურთიერთობაზეა დაფუძნებული საზოგადოებრივ
ბრძოლის ხასიათი და არა ძველი და ახალი თაობის დამოკი-
დებულებაზე. საკვირველია, ჩვენს ლიტერატურაში დღემდე ის
აზრი ტრიალებს, ვითომ ცხოვრებაში თაობათა (ძველი და ახა-

ლის) შეტაკება ხდება და არა სხვა-და-სხვა ცხოვრების მიმდი-
ნარეობისა, პრინციპებისა. მესამოცე წლებში მართლადა ძველი

და ახალი თაობის შეტაკება იყო ჩვენში. მაშინ წოდებრივი წყობილება ჯერ კიდევ ძალაში იყო. სამოღვაწეო ასპარეზზე თითქმის მარტო თავად-აზნაურების წარმომადგენელნი იყვნენ გამოსულნი. ეს იყო ახალგაზრდობა, გამსჭვალული გლეხების განთავისუფლების აზრებით. ეს ის შვილები იყვნენ, რომელთაც თავიანთ მამების წინააღმდეგ გაილაშქრეს, რადგან მათი მამები ძველი წესის კაცები იყვნენ, რადგან ისინი წინააღმდეგნი იყვნენ ყმების განთავისუფლებისა და მოქალაქობრივ ცხოვრების გამტკიცებისა. ამ ოცდაათი წლის განმავლობაში დიდი ცვლილება მოხდა ჩვენს ცხოვრებაში. გლეხი განთავისუფლდა, გაჩნდა ვაჭრობა, მრეწველობა, ერთი ნაწილი ჩვენი ხალხისა ქალაქებს მიაწყდა, თავად-აზნაურობა გაღარიბდა, სამოღვაწეო ასპარეზზე, ლიტერატურასა და ხელოვნებაში, სხვა-და-სხვა წოდების და სხვა-და-სხვა კლასების წარმომადგენელნი დამყარდნენ. შეირყა და შეინძრა ერთგვარობა და ერთფეროვანება ქართულ ცხოვრებისა. ყველა ამისაგან თან-და-თან გამოისახა ჯგუფები. და აი ჩვენი დროის ნიშანწყალი ამ პარტიათა ურთიერთობაა – კამათი, ბრძოლა, გარემოების მიხედვით დაკავშირება და დაახლოვება. ამნაირია ხასიათი ჩვენი საზოგადოებრივ ცხოვრებისა: მის სულს შეადგენს პრინციპთა (უკეთ ვსთქვათ, უნდა შეადგენდეს) **და ინტერესთა** შეტაკება და არა თაობათა, მამათა და შვილთა. ჩვენ დროში არა ერთი და ორი ჭაღარა გარეული კაცი ემსახურება ხალხს და აგრეთვე არა ერთი და ორი ჭაბუკი ეამბორება და ეალერსება ძველ წესს. თაობათა შეტაკების მცნება ჩვენს დროში უშინაარსო მცნებაა. იგი აღარას გვეუბნება მოქმედების ხასიათზე და მიდრეკილებაზე. თანამედროვე ცხოვრების რთულ პირობებში აღმოცენდა რთული საზოგადოებრივი ორგანიზაცია და ამ ორგანიზაციის გამომსახველი იდეოლოგიაც რთული უნდა იყოს.

მაშ, თუ ამგვარია ჩვენი ცხოვრების ხასიათი, ყოველივე, რაც აქედან გამომდინარეობს, არ უნდა გვავიწყდებოდეს. რაკი ჩვენში განმტკიცდნენ სხვა და სხვა პარტიები, მათ, თვითოეულს ცალკე, ჰსურთ გავლენის მოპოვება ცხოვრებაში და მოქმედების ფარგალის გაფართოვება. წინად მთელი ჩვენი საზოგადო საქმე „ნაციონალისტთა“ ხელში იყო. ისინი უძღვე-

ბოდნენ მათ. და ამ საქმეების გაძღოლაში ამაგიც მიუძღვით, რადგან თეატრია, წ. კ. საზოგადოება თუ პრესა, ყოველივე ეს მათი ღვიძლი შვილებია. ეჭვი არ არის, როცა ჩვენს ცხოვრებაში შესდგა ახალი ჯგუფი „კვალისტებისა“, ამ ახალ და ძველ ჯგუფთა შორის შეტაკება თითქმის აუცილებელი იყო. ეს შეტაკება ჯერ ჟურნალ-გაზეთობაში გამოისახა, მერე

პრაქტიკულ ცხოვრებაშიაც, რადგან გამაგრებულმა ახალმა ჯგუფმა პრაქტიკულ საქმეებში გარევის სურვილი აღმოაჩინა. ეს მათი უფლება იყო, რადგან მათ უნდოდათ სამსახური თავიანთ რწმენისამებრ. და თუ კი ეს ასეა, და თუ ვერავინ ვერ წაართმევს ამ ორ დასს, ორ პარტიას მოქმედების უფლებას, ეს უფლება რატომ უნდა წაერთვას ჩვენს ჯგუფს, ჩვენს თანამოაზრე კაცებს? რატომ ერთს უნდა ჰქონდეს ეს უფლება, მეორეს კი არა? ჩვენმა ცხოვრებამ ფეხზე წამოაყენა ახალი მოვლენა, რომელსაც დაკვირვება და არა უარყოფა სჭირია. ჰო, ვიცი, თქვენ გეუცხოვათ ერთი ჩვენი საშინელი საქციელი. თქვენი გეგონეთ, და როგორ გავბედეთ, თქვენდა სასირცხვილოდ, „კვალისტიბისათვის“ ხელი გაგვეწოდა? საქმე სწორედ მაგაშია, რომ თქვენ სცდებოდით. თუ წინ ამას არა ჰხედავდით, ეხლა დაინახეთ, რადგან ჩვენ ხელი გაუწოდეთ იმათ, ვისთვისაც თქვენ თქვენს ფრჩხილს დაიშურებთ. თუ არ იცოდით, ეხლა გაიგეთ, რომ ჩვენ გვსურს ბოლო მოუღოთ ჩვენს საზოგადოებაში დამყარებულ პირად გადამტერებას, სექტიურ მიდგომილობას და შეუწყნარებლობას. ჩვენი მიზანი ნათელია – ხალხი და ეროვნება. ვინც ხალხს და ეროვნებას ემსახურება, ის ჩვენია, იმას ხელს შეუწყობთ, დახმარებას მივცემთ. და ყოველთვის, როდესაც ჩვენ ვცნობთ, რომ ესა თუ ის ჯგუფი ეწინააღმდეგება ჩვენს პრინციპს, ჩვენი მათთან დაკავშირება მიუცილებელი იქნება – წ. კ. საზოგადოების საქმეა იგი, ბანკია, თუ საქალაქო არჩევნები. [1]).

---

[1]) ბევრს არ ესმის, როგორ მოხდა, რომ მე „ოპოზიციის“ წინააღმდეგი წერილი დავბეჭდე „ცნ. ფურც.“ და „ოპოზიციასთან“ ერთად კი ვმოქმედებდი. ამის შესახებ უნდა ვსთქვა: 1) რაიც შეეხება ჩემ აზრს ოპოზიციაზე, მე როგორც წინად, ეხლაც ვამბობ, იგი ერთობ სუსტი და მოუმზადებელი იყო. ამის თქმას მოითხოვდა სიმართლე და თვით ოპოზიციის ინტერესი, რადგან შეცდომების აღიარება და ნაკლულევანების შესწორება ოპოზიციის სისაღის ნიშანი იქნებოდა. 2) ჩვენს ჯგუფს არა ჰქონ-

ჩვენ ნიადაგ ვიყავით და ვიქნებით იმისი მტერი, ვისაც ეროვნულ ვინაობის დაცვა არაფრად მიაჩნია, მხოლოდ არა ნაკლები მტერი ვართ ყველა იმათი, ვისაც კერძო ანუ წოდეირივი ინტერესების მოსარჩლეობა ეროვნების მოსარჩლეობად მიაჩნია. რაკი ერთხელ ამ ნიადაგზე დავდექით, ჩვენ არც მარცხნივ დახევა გვესაჭიროება, არც მარჯვნივ ამოხვევა.

როცა „კვალი“ ამბობდა (იხ. № 47), რომ მას ძრიელ მცირე იმედი აქვს, რომ ჩვენი ჯგუფი მარცხნივ დაიწევს, კარგად ესმოდა, რასაც ამბობდა. „კვალი“ დარწმუნებულია,რომ ჩვენ ეროვნულ ნიადაგიდან არ დავინძრევით და თუ არ არის

ამაში დარწმუნებული, მომავალი დაარწმუნებს). ხოლო, რო-
დესაც „ივერია“ არწმუნებდა (იხ. № 256) თავის მკითხვე-
ლებს, რომ ჩვენ ჭუჭყიან დროშის ქვეშ“ ამოვდექით, ორში
ერთია, ან მან კარგად ვერ ასწონა ამ სიტყვების შეურაცხყო-
ფის სიმძიმე, ან კიდევ გაბრაზებისაგან ღონე მიხდილი თავის
თავს ანგარიშს არ აძლევდა. ორივე შემთხვევაში ის პასუხის
მგებელია საზოგადოების წინაშე, რომელიც მსაჯულია ჩვენი
ყველასი, ვინც ვართ. მომავალი დაგვანახვებს, საითკენ დაიხ-
რება სამართალის სასწორი.

და მიზნად, რაც გახდეს-გახდეს, ჩვენი კაცების გაყვანა გამგეობაში
რაკი პირველ კრებაზე არ მოხდა ჩვენი შეთანხმება „მესამე დასელებთან“,
ჩვენ დამოუკიდებელი მოქმედება გადავწყვიტეთ ე. ი. ჩვენს კანდიდატებს
არ ვაყენებდით და უარიც ვსთქვით, როცა ზოგიერთი ჩვენთაგანი იყო
დასახელებული ყუთის დასადგმელად. ჩვენი დამოუკიდებელი მოქმედება
იმაში გამოისახებოდა, რომ „მესამე დასელებში“ ორი კაცის გარდა, და-
ნარჩენებს ყველას შავი ჩაუგდეთ, ხოლო ძველ გამგეობის წევრთაგანს
მხოლოდ რამდენიმე კაცს ჩაუგდეთ თეთრი კენჭი. ყველა ამის შემდეგ,
როდესაც შემდეგს კრებებზე გამოჩნდა ოთხი თავისუფალი კანდიდატურა
(გოგებაშვილმა უარი განაცხადა) და როდესაც ჩვენი შეთანხმება მოხდა
„კვალელებთან“, ჩვენმა ჯგუფმა წამოაყენა თავიანთი კანდიდატები და ერთ
„კვალელსაც“ თეთრი კენჭი მისცა. ამგვარი იყო უტყუარი ტაქტიკა ჩვე-
ნი ჯგუფისა. თუ რამე არის ყველა ამაში სასირცხვილო, საზოგადოებამ
განგვსაჯოს. 3) ჩვენი ჯგუფი არასოდეს არ უყურებდა წ. კ. საზოგადოე-
ბაში მოქმედებას, როგორც უკანასკნელ მიზანს, ხოლო ჰფიქრობდა, რომ
თუ მოგვიხდეს იქ მოღვაწეობა, ისევ ერთად ვიყვნეთ, რადგან შეთანხმე-
ბულებთან უფრო ადვილათ წაიყვან საქმეს, ვიდრე შეუთანხმებელთან.

XXXII. თეატრი და ხალხი.

ვინც თვალყურს ადევნებს ჩვენს ცხოვრებას, არ შეიძ-
ლება არ მიაქციოს ყურადღება ერთს ღირსშესანიშნავ გარე-
მოებას: ქართულ დაწესებულებათა ხასიათი თანდათან ფერს
იცვლის და საზოგადო საქმისადმი ინტერესი ცხოველდება.
„წ. კ. საზოგედოების“ კრებაზე ჩვენმა „მოღვაწეებმა“ ნახეს
იმისთანა ხალხი, რომლის მოსვლას არ მოელოდნენ და რო-
მელიც დღემდე ჩვენს საზოგადო საქმეებში არავითარ მონაწი-
ლეობას არ იღებდა. ბევრს ეუცხოვა ამ ხალხის გამოცხადება,
ბევრნი ამბობდნენ, ეს რა ამბავიაო, წკითხვის საქმე რა საქ-
მეა იმისთანა, რომ მიიზიდა თავისკენ ხალხი ისე, როგორც

თაფლი იზიდავს ხოლმე ბუზებს? ან იქნება ჩვენდამი ნდობა არ აქვთ? არა სჯერათ, რომ შეგვიძლიან ხალხის ხელმძღვანელობა და საქმის გაძღოლა? ასე იყო თუ ისე, წარსულმა „სხდომებმა“ დაგვარწმუნეს, რომ ხალხს არამც თუ კითხვის ხალისი გაეღვიძა, თვით „საქმეში“ ჩადგომის სურვილიც. ბევრს ამბობდნენ და ამბობენ, რომ ხალხი მოუმზადებელია და ამაში ეჭვიც არ არის, რომ იგი (უმრავლესობაში) მოუმზადებელია, საგულისხმოა მხოლოდ ის, რომ მის ერთ ნაწილში მაინც დაიბადა მტკიცე სურვილი წარმატებისა და თვით-მოქმედებისა.

შეიხედეთ ახლა ქართულ თეატრში? შეიარეთ იქ კვირა დღეს, როდესაც ადგილების ფასი დაწეულია, ვის ნახავთ იქ? ვინ არის ქართულ თეატრის მაყურებელი, გულის შემატკივარი? ტყუილად დაუწყებთ აქ ძებნას ჩვენს „განათლებულ“ ახალგაზდობას, შავ ფრაკებში გამოწყობილებს, ან კიდევ „ბრწყინვალე“ ლეკურა გმირებს, ხანჯალ-დამბაჩით შეიარაღებულებს. ამაოდ დაიწყებთ ძებნას „წარჩინებულ“ ნაზ ქმნილებათ, მათ ქალიშვილებს ყველა ამათ აქ ვერ ნახავთ. ჩვენს თეატრში მათ ადგილი არა აქვთ. ამ „საზოგბდოების“ ფაქიზი ნერვები და გაშალაშინებული გემოვნება ვერ უძლებს ქართულ სცენას – იქ ყოველივე აჯავრებს და აბრაზებს მას. ის დაჩვეულია ზომიერ, კეთილშობილურ მიხვრა-მოხვრას, არა ნაკლებ ზომიერ და განსპეტაკებულ გულის თქმას. მისი განაზე-

ბული ყური ვერ იტანს უხეშს ქართულ ლაპარაკს და ქართულ თეატრში რომ წავიდეს, რისთვის წავიდეს – სხვა არა იყოს-რა, აქ ჰხედავს იმისთანა ხალხს, რომელსაც სხვა დროს შორიდან თუ მოჰკრავს თვალს დუქანში, მაღაზიაში, ბაზარში და ქუჩაში. ქართულ თეატრშიაც თუ ვინმე დადის, ისევ ეს ხალხი დადის. ეგრედ წოდებული „საზოგადოება“ არ ეკარება მას. ქართული თეატრი, ეს საუკეთესო და ძვირფასი ეროვნული დაწესებულება, ხალხით სცოცხლობს და ხალხით ჰხარობს. ქართული თეატრიც თანდათან ხალხურ თეატრად ხდება.

დრამატიულ საზოგადოების გამგეობამ კარგად შეიგნო ჩვენი დროის მოთხოვნილება და შრომას არ ზოგავს, რათა ხელი შეუწყოს ამ მოთხოვნილების წარმატებას. მადლობის ღირსნი არიან ამ გამგეობის წევრნი, ჩვენი დაუღალავი არტისტები და ყველა ისინი, ვინც სასიქადულო მომავალს გვიმზადებენ. თეატრის და ხალხის დაახლოვება ამ მომავალის ერთ-ერთი საბუთია.

XXXIII. აუცილებელი მოვალეობა.

—

ძველს საბერძნეთში ადამიანის პიროვნებას განსაზღვრული და შეზღუდული ადგილი ჰქონდა ცხოვრებაში. კაცი ითვლებოდა საზოგადოების ნაწილად, მას არ ჰქონდა დამოუკიდებელი მნიშვნელობა. იგი იყო საშუალება და იარაღი საზოგადოების კეთილდღეობისა. ამისათვის მას იმდენად აფასებდნენ, რამდენადაც იგი სასარგებლო და მომქმედი იყო საზოგადოებისათვის. და ამიტომაც იყო, რომ ყოველი ნორჩი, ავადმყოფი და ბებერი შეუბრალებლად იყო მოკლებული საზოგადოების მფარველობას: სუსტ ბავშვებს და დაბერებულ კაცებს კლდის სიმაღლიდან უფსკრულში აგდებდნენ, მათი მოვლის და ზრუნვის თავი არავის ჰქონდა. ამგვარი საქციელი უზნეო და ბოროტ საქციელად არ ითვლებოდა. იმ დროინდელი ზნეობრივი შეხედულება ამართლებდა ამნაირ ბოროტებას, რადგან, ძველ ხალხთა აზრით, საზოგადოების კეთილდღეობა იყო უმთავრესი მიზანი, ხოლო საზოგადოების წევრები უპირად სა-

შუალება და ის იარაღი, რომლის უკუგდება და მიტოვება იყო საჭირო ყოველთვის, როდესაც კი ეს იარაღი გამოუსადეგარი, დაჟანგებული და დამარცხებული გამოდგებოდა.

ძველისა და ახალი დროის განსხვავება, სხვათა შორის, იმაშიაც გამოისახება, რომ ძირიანად შეიცვალა „საზოგადოების“ ბატონობა კაცზე, ადამიანის პიროვნებაზე. ახალ დროში კაცს დამოუკიდებელი მნიშვნელობა მიეცა; კაცის იარაღად ხმარება სასირცხვილოდ მიაჩნიათ და ჩვენი დროის ცდა იმაზეა მიმართული, რათა გაფართოვდეს კერძო კაცის მოქმედების ასპარეზი, პატივსადები იყოს ადამიანის სიცოცხლე. ჩვენი დროის შეხედულებით საზოგადოება და ყოველი მისი დაწესებულება კაცისათვის, მის კეთილდღეობისათვის არის დაწესებული და არა კაცი უპირადო საზოგადოების და უსულო დაწესებულების გამტკიცებისათვის. მართალია, ეს აზრი ჯერ არ არის სავსებით განხორციელებული ცხოვრებაში, მართალია, ჩვენ დროშიაც ბევრჯელ და ბევრგან იჩაგრება ადამიანის პიროვნება, ხოლო, ეჭვ გარეშეა, ჩვენი ცხოვრების აზრი დაჩაგვრის გაუქმებისაკენ და ადამიანის პიროვნების აღდგენისაკენ მიისწრაფვის.

მართლაც დაუკვირდეთ საგანს. ჩვენ დროში ბავშვს, დაბადებისთანავე, უწევთ მფარველობას. ჩვენ აღარ დავდევთ იმას, მახინჯია თუ უძლური ეს ბავშვი. ჩვენთვის სავალდებულოა

მახინჯის და სუსტის შენახვა და დაფარვა ისე, როგორც ლა-
მაზის და ჯან-საღისა. ჩვენმა დრომ გამოიგონა ათასნაირი სა-
შუალება ავადმყოფობასთან საბრძოლველად და დასნეულებულ
კაცს ჩვენ ყურადღებით და სიყვარულით ვეპყრობით. ზნეობ-
რივ მოვალეობად ვსთვლით დახმარება აღმოვუჩინოთ, დავიც-
ვათ და შევინახოთ არამც თუ ბავშვი, ავადმყოფი, თვით და-
ბერებული კაციც, რომლისაგანაც აღარ მოველით არავითარ
გამორჩენას, რომელიც შეიქმნა სრულიად გამოუსადეგარი სა-
ზოგადოებისათვის. ყველა ამისათვის ჩვენს დროში ხსნიან ბავ-
შვებისათვის და ბებრებისათვის თავშესაფარს და ავათმყოფები-
სათვის სამკურნალოებს. და სწორედ ამ მოსაზრებით ხელმძ-
ღვანელობენ, როდესაც დაუძლურებულ ნამსახურ კაცს აჯილ-
დოვებენ, შემწეობას აძლევენ სიბერის დაბოლოვებისათვის.
ჩვენ დროში, თითქმის ყველგან, ყოველგვარ შრომის ნაწილში
გატარებულია ეს აზრი. ჯარის-კაცს, მოხელეს, საზოგადო

მოღვაწეს, უმსუბუქებენ სიბერეს. მუშა კაცსაც მიაქციეს ყუ-
რადღება. ევროპის კანონმდებლობაში თანდათან ატარებენ
მუშის დაზღვევის და მფარველობის აზრს. თანამედროვე ცხოვ-
რებაში ნელ-ნელა იდგამს ფეხს ადამიანის პიროვნების დაცვის
(ბავშვია იგი, ავადმყოფი თუ ბებერი) და მფარველობის საჭი-
როება. ახალი დროის აზრი თანდათან იმარჯვებს და ძველ
საბერძნეთის შეხედულება, დროთა მსვლელობაში, ჭაღარა-
გარეულ წარსულში იმალება და ჰქრება.

დიაღ, ყველგან ჰფიქრობენ და ზრუნავენ საზოგადოების
არამც თუ სასარგებლო, უსარგებლო და უმნიშვნელო წევ-
რებზედაც, ხოლო ჩვენამდე ჯერ-ჯერობით ამ აზრს არ მოულ
წევია. ამ წერილში ჩვენ ერთი განსაზღვრული მოვლენა გვსურს
მოვაგონოთ მკითხველს. ჩვენ არ ვლაპარაკობთ ბავშვებზე,
ავადმყოფებზე და დაბერებულ „მოღვაწეებზე“. საზოგადოთ
ჩვენ გვაქვს სახეში ერთი ნაწილი ჩვენის მოღვაწეებისა. გვინდა
მოვაგონოთ მკითხველს, რომ იმ საზოგადო „მოღვაწეს“, რო-
მელსაც „არტისტის“ სახელი ჰქვია, რომელიც ჩვენს ხელოვ-
ნებას და ხალხის გაკეთილშობილებას ემსახურება, დახმარება
უნდა აღმოუჩინოთ მაშინ, როდესაც ღონე-მიხდილს, დაუძ-
ლურებულს და დაბერებულს, მას შრომის უნარი აღარ ექნე-
ბა ამ მარტოობაში, უსახსრო, უსახლ-კარო ულუკმა-პურო
დარჩება. დავუფიქრდეთ ჩვენებურ არტისტის მდგომარეობას.
ოცი, ოც-და ათი წელიწადი მუშაობს და შრომობს იგი თეატრში.
ხან გვაცინებს, ხან გვატირებს, გვაღელვებს, იმედებს და ოცნებას
გვიბადებს და ყოველის საშუალებით აფრთხობს ჩვენს მცონა-
რეობას, ამუშავებს აზრს, გვასიამოვნებს და გვატკბობს. ოც-

დაათი, ორმოცის წლის განმავლობაში არტისტი მუდმივ იმის ცდაშია, რომ სხვისის სიხარულით გაიხაროს და სხვისის მწუხარებით და ტანჯვით იტანჯოს. იმის პირად მწუხარებას, დაღონებას და დარდს არ უნდა ვხედავდეთ. არტისტი სულ იმის ცდაშია, რომ დაივიწყოს თავისი ვინაობა, თავისი საკუთარი სულის კვეთება და გადაიქცეს სხვის გულის-თქმათა მოამბედ. ოც-და-ათ, ორმოცი წლის განმავლობაში ის ან მაყურებლის წინაშე ლაპარაკობს, იცინის და ტირის, ან კიდევ ამ ლაპარაკის, სიცილის და ტირილის მზადებაშია. ამასობაში ბერდება კაცი, ჭაღარა ერევა, ხმა ეკარგება, კბილები და თმა უცვივა. ის წელში ვეღარ იმართება, მის თვალებში აღარ ღვივის ნა-

პერწკალი; ხელი, ფეხი და ხმა აღარ ემორჩილება. თუ თვითონ არ გაეცალა სცენას, სხვები გაისტუმრებენ. ძველმა ახალს უნდა დაუთმოს ადგილი. ხოლო იმ ახალგაზდასაც, რომელსაც ჯერ კიდევ ძარღვებში სისხლი უდუღს და რომლის თვალში ყმაწვილობის და სიცოცხლის ცეცხლი არ ჩამქრალა, იგივე მომავალი მოელის: ისიც დარჩება მარტო, ყველას მიერ დავიწყებული, ალალ-ბედზე მინებებული, დაბერებული არსება.

არა, ახალ აზრს, მოვალეობის და დახმარების აზრს, ჯერ კიდევ არ მოუკიდია ფესვი ჩვენს უმცენარო საზოგადოებრივ ნიადაგზედ.

XXXIV. დაგვიანებული იმედი.

წარსული თავად-აზნაურთა კრება საყურადღებო იყო ერთის მხრით. ბევრს ლაპარაკობდნენ სამეურნეო სკოლაზე, სამეურნეო ცოდნაზე. და ამ სამეურნეო სკოლის დაარსებას აძლევდნენ დიდ მნიშვნელობას. ამ მნიშვნელობას აძლევდნენ როგორც სკოლის დაუყონებლივ დაარსების მომხრენი, ისე მოპირდაპირენი. ვინც წინააღმდეგი იყო სამეურნეო სკოლის დაარსებისა, წინააღმდეგი იყო იმიტომ კი არა, რომ ეჭვის თვალით უყურებდა ამგვარ სასწავლებლის სარგებლობას, იმიტომ, რომ ამ ჟამად სხვა საჭიროების დაკმაყოფილება უფრო მიუცილებელ საქმედ მიაჩნდა. ხოლო სამეურნეო სკოლის დაუყოვნებლივ დაარსების მომხრენი და მოპირდაპირენიც იმ აზრისა იყვნენ, რომ თავად-აზნაურობისათვის ფრიად სასარგებლოა სამეურნეო ცოდნა, რომ ამ ცოდნის გავრცელებაზეა დამოკიდებული თავად-აზნაურობის მომავალი და სიმაგრე.

ყველა ამაში ჩვენ ის კი არ გვაკვირვებდა, რომ სამეურ-

ნეო სკოლის სარგებლობაზე აღიძრა ლაპარაკი, არამედ ის, რომ ყველანი ამ კითხვის გარშემო ტრიალებდნენ და არავინ არა სთქვა, რაში უნდა გამოიხატებოდეს თავად-აზნაურობისა-სათვის ეს სარგებლობა, არავინ არ დაასაბუთა ის აზრი, რამ-დენად ვიწროდ არის დაკავშირებული თავად-აზნაურობის წო-დების სიმტკიცე და ღონე და სამეურნეო ცოდნა. ის, რაც ითქვა, ე. ი. ზოგადი მოსაზრება სამეურნეო სკოლის მნიშვნე-ლობაზე თავად-აზნაურობის კეთილ-დღეობისათვის, არაფერს

არ არკვევდა, არაფერს არ ასაბუთებდა, რადგან კითხვა მაინც გამოურკვეველი რჩებოდა და ამ გამოურკვევლობით დამსწრეთ უბადავდა გულში დაგვიანებულ და უსაფუძვლო იმედებს.

ყველამ ვიცით თავად-აზნაურობის უნუგეშო მდგომარეო-ბა. არავისათვის არის დასამალი, რომ თავად-აზნაურობა ღარიბდება, მიწას ჰკარგავს და ამასთან ცხოვრებაშიაც თანდა-თან სხვას, უფრო მომზადებულ და ღონიერ ნაწილს უთმობს ადგილს. ეს ყველამ ვიცით, ამაში ყველანი ვართ დარწმუნე-ბული. ხოლო ერთში ვყოყმანობთ, ერთი კითხვა არა გვაქვს გადაწყვეტილი, გამორკვეული, სახელდობრ ის, რამდენად შე-საძლებელია, მოსახერხებელი და სასურველი თავად-აზნაურო-ბის (როგორც წოდების) გამობრუნება, ფეხზე დაყენება და გამაგრება. ამ გამობრუნების და აღდგენის იმედები აქვს არა ერთსა და ორს თავად-აზნაურს. გამობრუნების აჩრდილი ჯერ კიდევ ბევრს უბადავს რწმენას და ოცნებას, ბევრი ჰფიქრობს იმაზე, თუ რა გზას უნდა დაადგეს აზნაურობა, რა განათლე-ბა მიიღოს, რათა მშვიდობიანად მიაღწიოს სანატრელ მიზნამ-დე – ეკონომიურ აღორძინებამდე. ამ იმედებით და ოცნებებით არის გამსჭვალული თავად-აზნაურის ფსიხოლოგია და ეს სა-ნუკარი მომავალი ამოქმედებს, ალაპარაკებს, აღელვებს და აფიქ-რებს ჩვენს თავად-აზნაურს, როდესაც კი ეძლევა შემთხვევა თავის აზრის და სურვილების გამოსახვისა და გამოქვეყნებისა. ხოლო საკითხია, შესაძლებელია თუ არა თავად-აზნაურობის, ეკონომიურად გაღონიერება? შეუძლია თუ არა სამეურნეო (ან კიდევ სხვა ტიპის) სკოლას ამ აღდგენის სასწაული ჩაიდი-ნოს?

ამ კითხვის გადაწყვეტა ყოვლად შეუძლებელიავ თუ მხედ-ველობაში არ ვიქონიეთ ეკონომიური ხასიათი თანამედროვე ცხოვრებისა არამც თუ ჩვენში, სხვა ქვეყნებშიაც. ეკონომიუ-რის მხრით, ჩვენი ცხოვრება განსაკუთრებულ პირობებს არ წარმოადგენს. ჩვენი მწარმოებელი და მიწის მფლობელიც ემორჩილება მსოფლიო ეკონომიურ ცხოვრების ძარღვის ცემას, ჩვენც ზღვის და მთების იქითა გვაქვს მიპყრობილი თვალები,

ჩვენც მოგველის ის ხვედრი, რაც სხვას არგუნა ცხოვრების ჩარხის განუწყვეტელმა ბრუნვამ. ვაჭრობამ და მრეწველობამ თავისი ელფერი დაადო არამც თუ ქალაქის ცხოვრებას, სოფლისასაც. სოფლის კეთილ-დღეობა და სვე-ბედი მსოფლო ბა-

ზარს დაემორჩილა. მსოფლიო ბაზარმა ფული გაამრავლა, დაატრიალა, გააძლიერა. ფულმა მოუღო ბოლო ძველებურ საზოგადოებრივ წყობილებას, ძველებურ ეკონომიურ ურთიერთობას. დაირღვა ბატონ-ყმური წესი, დაიშალა ცხოვრების კარ-ჩაკეტილობა. შრომას მიეცა ფასი და ღირსება. შრომის შემსუბუქება და ნორმალურ პირობებში ჩაყენება ახალ და მიუცილებელ კითხვად შეიქმნა. შრომის მოურიგებელ მოპირდაპირედ, ქალაქში კაპიტალი, სოფელში დიდი მამულის მფლობელობა შეიქმნა. და ამ თავის მოპირდაპირეებთან (კაპიტალთან და მამულის მფლობელობასთან) შრომას წინააღმდეგობა და შეტაკება მოუვიდა. ქალაქს თავი დავანებოთ, რადგან თავად-აზნაურობის კითხვა გვაქვს სახეში და ჩვენს სოფელს რომ დაუკვირდეთ, აშკარად დავინახავთ, რომ იქ, სახნავი მიწა, საბალახე, იალაღი, ტყე, ზვარი, ბოსტანი და სხვა – ყველა ამაში გლეხი ჯერ-ჯერობით დამოკიდებულია მემამულისაგან. თუ მოახერხა და განთავისუფლდა ამ დამოკიდებულებისაგან, თუ ჩაეგდო ხელში და შეისყიდა კარ-მიდამო, სახნავ-სათესი, გლეხი ხდება წვრილ მემამულეთ, თავისუფალ მიწის მომქმედათ. და ამ შემთხვევაში იგი სწყვეტს ყოველ კავშირს მემამულესთან. ჩვენი დროის და ცხოვრების მიმდინარეობა და სიმართლის მოთხოვნილება ერთმანეთთან დაკავშირების ნიშნებს გვაძლევენ. და ყველასათვის, ვინც ადევნებს თვალ-ყურს სოფელს აშკარაა, რომ მიწის მომქმედის ინტერესი მოითხოვს დაესაკუთროს ყველა იმას, რასაც მეცნიერებაში წარმოების სამუშაო იარაღს უწოდებენ, ე. ი. მიწას (ტყეს, საბალახეს და სხ.)

იტყვიან, და აი სწორედ ამისათვის გვინდა სამეურნეო სკოლა, რომ ცოდნა მივცეთ მეურნეს, მცირედი შრომით გამოვაღებინოთ მიწას ის, რის შემუშავებისათვის წინად აუარებელი მუშა ხელი სჭირდებოდა. სამეურნეო ცოდნის დახმარებით შემოვიღოთ სხვა-და-სხვა იარაღები, შრომა გავაადვილოთ და მაშინ თვითონ მემამულე რამდენიმე კაცის დახმარებით წაიყვანს საქმეს, სხვისი დახმარება აღარ დაგვჭირდებაო. მაგრამ სინამდვილეში საქმე სხვანაირად მრხდება ხოლმე. ცხოვრება ხშირად არ უწევს ანგარიშს ამა თუ იმ კაცის მოსაზრებას. მაგარი სწორედ იმაშია, რომ იმ ხარჯს, რომელიც მოუვა ამ შემთხვევაში მემამულეს (იარაღების ყიდვაში, გაუმჯობესებოლ სამეურნეო წესების შემოღებაში), ვერ დაჰფარავს მა-

მულის შემოსავალი. თანამედროვე ეკონომიურ პირობებში, დიდი მამულში, საზოგადოთ ყველგან, ჩვენში როგორც უცხოეთში, ვერ აუდის იმ ხარჯს, რომელიც საჭიროა მის გონივრულ შემუშავებისათვის. მამულის შემოსავალი თანდათან კლებულობს, რადგან ნაწარმოებს ფასი აღარ აქვს უცხოეთის ქიშპობის და შეჯიბრების გამო. ახალი წესის იარაღი არ შველის. ჩვენ ვხედავთ, რომ ევროპაში ამ ჟამად მცირდება დიდმემამულეთა რაცხვი და მემამულეები თავს ანებებენ სოფლის მეურნეობას. ჩვენ უკვე გვქონდა ლაპარაკი წვრილ სოფლის მესაკუთრეთა ზრდის შესახებ და დიდ მემამულეთა რიცხვის დაკლებისა ევროპაში, – საფრანგეთში, ბელგიაში და თვით ინგლისშიაც. ყველა ამ ქვეყნებში, მიუხედავად შემოღებულ სამეურნეო კულტურის წესებისა, მემამულეთა მდგომარეობა ხსენებულ მიზეზებისა გამო, დიდ განსაცდელშია. ასეა იქ, ასევე არის და იქნება ჩვენშიაც. ხოლო ჩვენში საერთო ეკონომიურ პირობებს ის უნდა დაუმატოთ, რომ უგზოობის და გაუნათლებლობის გამო, მსოფლიო ბაზრის შეჯიბრება უფრო საგრძნობია, რადგან უცხოეთიდან მოსული ნაწარმოები სიიაფის და არა თვისების გამო, ადვილად განდევნის ჩვენის ბაზრებიდანაც კი ჩვენებურს ნაწარმოებს. ამის ნიშნებს ეხლაც ვხედავთ.

მაშასადამე, სამეურნეო სკოლა და ცოდნა ვერ უშველის ჩვენს მემამულეს, ვერ გააღონიერებს თავად-აზნაურობას და ვერ დაუბრუნებს ძველებურ ძალას. იტყვიან, ძველებურ დიდების აღდგენა აზრად არავის არა აქვს. სამეურნეო ცოდნა საჭიროა ჩვენში, რადგან ჩვენი ქვეყანა განსაკუთრებულად მეურნეობის ქვეყანაა. დიაღაც ასეა, ხოლო ამ შემთხვევაში სამეურნეო სკოლა **საყოველთაო** უნდა იყოს და არა მარტო სათავადო. მიწის მომქმედს დიდს სარგებლობას მოუტანდა ამგვარი სკოლა, რადგან გაუადვილებდა, ცოდნის საშუალებით პატარა მიწის შემუშავების საქმეს. მაგრამ კითხვა ამნაირად არ არის დაყენებული. თავად-აზნაურობა თავის წოდების ფარგალს არ შორდება და აი სწორედ ამისათვის მისი მოლოდინი უკეთესის მომავლისა უსაფუძვლო მოლოდინია და მისი იმედები დაგვიანებული იმედებია. თავად-აზნაურობას მომავალში იმდე-

ნად **მეტი** მნიშვნელობა ექმნება, რამდენად **ნაკლები** ექმნება წოდებრივი ხასიათი და რამდენადაც **მეტად** ემსახურება იგი საერთო საქმეს, და დღეს ამ საერთო საქმეს თავად-აზნაურობა

უფრო საზოგადო განათლების საშუალებით ემსმხურება, ვიდრე სამეურნეო სკოლის დაარსებით.

XXXV. როდემდის?

—

კრიტიკასა და გაბოროტებულ ლაზღანდარობას შუა ის განსხვავებაა, რომ პირველი ასაბუთებს, იკვლევს და უტყუარ მსჯავრსა სდებს, მეორე – სტყუის, ამახინჯებს საგანს და ამცირებს პიროვნებას. კრიტიკა ყოვლად პატივსადებია, რადგან ძვირფასი იარაღია ჭეშმარიტების დასაცველად; ლაზღანდარობა – გაბოროტებული გულის მცენარეა, ულაზათო და უშნო. ამ მცენარის აღმოცენასთანავე მწერლობაში საჭიროა ძირიან ფესვიანად მისი აღმოფხვრა, რადგან მწერლობა მშვენიერებისა და ჭეშმარიტების ტაძარია და არა ღვარძლის სათესი მინდორი.

სწორედ ეს აზრები მომივიდა თავში, გადავიკითხე რა ბ. მოსაუბრეს წერილი („კვალი“ № 51). „კვალს“, როგორც „დემოკრატულ“ გაზეთს, უნდა ჰყოლოდა ბურჟუაზული მოპირდაპირე. ეს იყო საჭირო არა მარტო ბურჟუაზულ მიმართულების დამარცხებისათვის, არამედ თვით „კვალის“ პოზიციის გამოსარკვევად და გასამაგრებლად. ამაში არა ბუნებრივი არა არის რა. არა ბუნებრივი და შეუწყნარებელი მხოლოდ ის არის, როდესაც თქვენ განსაკუთრებულ მიზნის მისაღწევად იარაღად გხდიან და გწამებენ იმას, რაც ეწინააღმდეგება თქვენს რწმენებსა და გრძნობებს.

ამ ექვსის თვის წინად „კვალმა“ ბურჟუაზიის ბაირაღტრად გამხადა, მიუხედავად იმისა, რომ ამგვარი თანამდებობის ასრულება ჩემს წმინდათა წმინდას ჰლახავდა და შეურაცხჰყოფდა. მაშინ ახლად დავიწყე წერა. ვიფიქრე, ალბად ვერა ვსთქვი კარგად ის, რაც მინდოდა-მეთქი და ვეცადე უფრო გარკვევით გამეცნო მკითხველისათვის ჩემი აზრები. ჩემ ამხანაგებთან ერთად მეც მინდოდა უმრავლესობის ინტერესების დაცვა, ხოლო ამ უმრავლესობის კეთილდღეობისათვის ეროვნული

ცხოვრების აღორძინება მიუცილებელ იარაღად მიმაჩნდა. მაგრამ, შეიძლება აქაც ვერა ვსთქვი, რაც სათქმელი იყო; შეიძლება საშუალებათა დასახელებაში უმთავრესი აზრი, ცოტა არ იყოს, დავფარე.

ყველა ეს შესაძლებელია, ხოლო ერთი რამ დარჩა ჩემთვის გაუგებარი. ნუ თუ მხოლოდ იმისათვის, რომ „კვალს“ ესაჭიროებოდა ბურჟუაზიის მომხრე მოპირდაპირე, ამ მოპირ-

დაპირედ, გინდა თუ არა, მე უნდა გავმხდარვიყავ? და საქმე სწორედ ასე დააყენეს. წინადაც და ახლაც მე ბურჟუაზიის ბაირაღს მაჭერინებენ და ჰსურთ ჩემი პიროვნება იარაღად გამოიყენონ. იმ თავითვე ჩემ მოპირდაპირეთ ცუდად გაზომეს ბრძოლის ველი და წისქვილის ფრთებს დაუწყეს ბრძოლა. ჩვენ ერთად მოქმედება გვინდოდა, ეს ამაყურად უარ-ყოფილი იყო. ჩვენ მაინც არა ვკარგავდით ამ იმედს. წარსულ თვის ამბებმა დაგვარწმუნეს, რომ ჩვენი მოლოდინი უსაფუძლო არ იყო. ჩვენი დაკავშირება შესაძლებელი შეიქმნა და თქვენ გამოიყენეთ კიდევაც ჩვენი დახმარება. მიუხედავად ამისა, დღეს იმეორებთ მაინც იმას, რაც არ უნდა გეთქვათ. თუ კრიტიკას ატანთ ძალას, იმისი მოთხოვნილება აასრულეთ მაინცა. წანაღმდეგ შემთხვევაში მეტად თვალსაჩინოდ რჩება თქვენი ბოროტი განზრახვა – რაც გახდეს, გახდეს – თქვენი მოპირდაპირე აალაპარაკოთ და ამოქმედოთ თქვენი სურვილისამებრ.

მომიტევეთ, ბ. მოსაუბრე, მაგრამ თქვენი წერილი ნამდვილი ლაზღანდარაობაა. ამ სიტყვას გაბედვით ვამბობ, რადგან ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ თქვენ განიზრახეთ ჩემი დამცირება თქვენი მკითხველების წინაშე. ხოლო გაფრთხილდით, არ გაგიგონ თქვენი განზრახვა...

ჩვენ არ გვსურს თავის გამართლება, დამტკიცება იმისი, თუ რას ვესწრაფებით და რას ვემსახურებით. ბ. მოსაუბრეს „პოლემიკა“ ყალბია; ეს სიყალბე განზრახ ჩაუდენია და მით უმეტეს დამაღონებელი და გულის დამჩაგრავია. როდის მოისპობა ყოველივე ეს? როდემდის უნდა ვასაზრდოვოთ მკითხველი გაბოროტებულ სულის ნაყოფით?..

XXXVI. განახლებულ „ივერიის“ გამო.

როღესაც თქვენ სჯით რომელსამე საგანზე, უსათუოდ უნდა გქონდეთ განსაზღვრული საზომი, რათა ამ საზომით ასწონ-დასწონოთ საგანი, შეადაროთ სხვა საგანს, შეამჩნიოთ მათ შორის განსხვავება, უპირატესობა ანუ ნაკლულევანება ერთისა ან მეორისა. ამგვარი საზომი (კრიტერიუმი) საჭიროა როგორც მარტივი საგნის გასარკვევად, ისე რთულ საზოგადოებრივ მოვლენათა დასაფასებლად. თქვენ გსურთ გაიგოთ, მაგალითად, რაში მდგომარეობს ცხოვრების პროგრესიული ხასიათი, ან რითი განსხვავდება ჩვენი დროის პროგრესიული მოძღვრება წარსულ საუკუნის ამგვარივე მოძღვრებიდან. ამისათვის თქვენ უსათუოდ უნდა გქონდეთ განსაზღვრული საზომი, რომლის საშუალებით გაითვალისწინებთ თანამედროვე ცხოვრებას, იპოვნით ამ ცხოვრებაში უთანხმოების და შეფერ-

ხების მიზეზებს და განმარტავთ წინ-სვლის და წარმატების გზას, ამ პირობების აღსრულება სავალდებულოა საზოგადოებრივ მწერლობისათვის, გაზეთისათვის, რომელიც კისრულობს საზოგადოების ხელმძღვანელობას. წინააღმდეგ შემთხვევაში, ძნელია ცხოვრების მოვლენათა განმარტება, შესაძლებელია შეცდომა და სინამდვილის დამახინჯება.

როდესაც ამ მოკლე ხანში „ივერია“-მ გამოაცხადა თავისი ახალი პროგრამა და პროგრამას დაუმატა სხვა წერილებიც, რომლითაც სცდილობდა ჩვენი ცხოვრების აწონ-დაწონვასა, აშკარად დავინახეთ, რომ „ახალ“ რედაქციას თანამედროვე ცხოვრების ალღო ვერ აუღია, იგი გადაბირებულ საზომით ჰზომავს საზოგადოებრივ ცხოვრების მიმდინარეობას და დაძველებულ სამეცნიერო ჰიპოტეზებით ასაბუთებს თავის აზრს. რედაქცია ხმარობს განსაკუთრებულ საზომს: ხოლო ეს საზომი (კრიტერიუმი) დახავსებული და გადაბირებულია და არა ისეთი, როგორიც შეეფერება ჩვენს დროს. და ამითი აიხსნება, რომ მიუხედავად თავისი სურვილისა პროგრესიული პრინციპის დაცვისა, გაზეთი ძველ არაკს მოგვითხრობს და ძველ წესს ესარჩლება.

მართლაც, მეთვრამეტე საუკუნეში საფრანგეთის რევოლიუციამ შექმნა ახალი საზოგადოებრივი მოძღვრება, რომელ-

საც **ბურჟუაზულ ლიბერალიზმის** სახელი დაერქვა. ამ ლიბერალიზმის შინაარსს შეადგენდა სამი მცნება: თავისუფლება, ძმობა, თანასწორობა. ეს იყო ბრწყინვალე გამარჯვება საშუალო საუკუნოებზე და დამხობა **იურიდიულ** და **პოლიტიკურ** უთანასწორობისა. ამ მოძღვრების ძალით ყველას ერთნაირი უფლებები ეძლეოდათ, ყველანი თანასწორნი ხდებოდნენ კანონის წინაშე და აი მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში დასავლეთი ევროპა პრაქტიკულად ახორციელებდა და პოლიტიკურ დაწესებულებათა საშუალებით აფუძნებდა და ამკვიდრებდა მეთვრამეტე საუკუნის მოძღვრებას. მაგრამ დროთა მსვლელიობაში, ცხოვრებამ აღმოაჩინა ბურჟუაზულ ლიბერალიზმის სუსტი მხარე და ნაკლულევანება. საქმე ის არის, რომ ეს მოძღვრება ხელ-უხლებელ სტოვებდა კაცთა შორის უთანხმოების და უთანასწორობის ძირითად მიზეზს. ცხოვრებამ ამ ძირითად მიზეზად ეკონომიური უთანასწორობა აღიარა. ეკონომიური უთანასწორობა არის უმთავრესი მიზეზი კაცის კაცისაგან დამონავებისა. ლიბერალიზზმა თავისუფლება, ძმობა და თანასწორობა აღიარა და იმას კი, რაც უშლიდა ამ მოძღვრების განხორციელებას (ეკონომიურ უთანასწორობას), არ უარ ჰყოფდა არ აუქმებდა. გამოაშკარავდა, რომ დიდ რევოლიუციას ცალ-

მხრივი ხასიათი ჰქონდა – პოლიტიკური და აქედან წარმოსდგა უკმაყოფილება, ლიბერალიზმის კოტრობა და უძლურება. მართლაც, ლიბერალიზმის დროშაზე თავისუფლება ეწერა და ცხოვრებაში კი ამ თავისუფლების განხორციელება შეუძლებელი იყო, სანამ არ მოისპობოდა ეკონომიურ ცხოვრების წინააღმდეგობა და უთანასწორობა.

ამრიგად ლიბერალიზმი, როგორც პოლიტიკური ფორმულა უძლური შეიქმნა მშვიდობიანობის და თანხმობის დასაცველად. ლიბერალიზმი აღარ აკმაყოფილებდა დამწიფებულ თვით-ცნობიერებას. სიჭირო იყო სოციალურ კითხვების წამოყენება და ამ სოციალურ კითხვის საშუალებით ლიბერალიზმის ცალმხრივი ხასიათის შევსება. ასე რომ ამ ჟამად **პროგრესიულ** მოძღვრებად ევროპაში ლიბერალიზმი კი არ ითვლება, არამედ ის პრობლემა, რომელიც სცდილობს სოციალური თანხმობის დაფუძნებას.

მაშასადამე, რაც წარსულ საუკუნეში პროგრესიული იყო,

ჩვენ დროში ამ ხასიათისა აღარ არის. ჩვენი დრო წინ წავიდა. ამისთვის ჩვენ დროს სხვა საზომი უნდა ჰქონდეს.

„ივერია“-მ თავის სარედაქციო მეთაურში და ბ. ბ. ურბნელის და პლებსის წერილებში წარსულ საუკუნის მოძღვრება წამოაყენა სახელმძღვანელოდ და სრულიად უარ-ჰყო კლასებრივი ანუ დასებრივი ცხოვრების მიმართულება. ამ მხრივ ახალი „ივერია“ ძველი „ივერიის“ გაგრძელებაა და მისი პროგრესიული მიმართულება ძველი „ივერიის“ მიმართულებაა. ახალი რედაქცია, თანახმად გამტკიცებულ ტრადიციებისა, წოდებათა თანხმობას ჰქადაგებს და ამ თანხმობაზედ აშენებს ჩვენს ეროვნულ კეთილ-დღეობას. ამრიგად, გარეგნად განახლებულმა და გაფართოვებულმა „ივერია“-მ ისევ ძველი არაკის მოთხრობას მიჰყო ხელი და ჩვენ ვერ გაგვიგია მისი პრეტენზია – ახალ გზას დავადგებითო. ვნახოთ ახლა, როგორ ასაბუთებს „ივერია“ წოდებრივ თანხმობის საჭიროებას.

„ერი რთული ორგანებრივი სხეულია, ამბობს ბ. ურბნელი („ივერია“ № 273) და ამ სხეულს სხვა-და-სხვა ასო და ნაწილი შეადგენს. ერის თვითოეულს ნაწილს და ასოს თავისი ადგილი და მნიშვნელობა აქვს. სოციალურ სხეულში ასეთს ნაწილს და ასოს შეადგენენ ერის სხვა-და-სხვა ჯგუფნი და წოდებანიო... სწორედ ეს წოდებანი შეადგენენ მრთელს და განუყოფელს ორგანებრივს სხეულს. თვითოეული ამ წოდებათაგანი **ბუნებრივი** ნაწილი და ასო არის ამ სხეულისა და არა მეჭეჭი და ხორცმეტი, რომელსაც ვითომ დოსტაქრის დანით მოჭრა ესაჭიროება. „ჩვენი მოძღვრება და პროგრამა ის არის

და იქნება კიდეც, რომ მთელ ერისათვის ვიზრუნოთ და ვი-
ღვაწოთო“, დასძენს ავტორი. ამრიგად ბ. ურბნელი ეგრედ
წოდებულ ორგანებრივ თეორიის მიმდევარია. ეს თეორია სო-
ციოლოგიურ მეცნიერებაში დიდი ხანია უარყოფილია და დარ-
ღვეული, რადგან აშენებულია წმინდა მეტაფიზიკურ, არა რე-
ალურ დებულებაზედ [1]). მართლაც, როგორ შეედრება სხეუ-
ლი, ადამიანის ანუ ცხოველისა საზოგადოებას და ერს. სხეუ-
ლი შესდგება ასოებიდამ'.ასოები გაერთიანებული არიან ერთი

---

[1]) ეს მართალია სპენსერის თეორიის შესახებ, ხოლო რაც შეეხება სუპერ-ორგანიზმის თეორიას, მას გასავალი დიდი აქვს დღევანდელ მეცნიერებაში. ა. ჯ. 1911 წ.

ერთმანეთთან არა მარტო ფიზიკურად, ფსიხიურადაც. სხეულს
ანუ ორგანიზმს აქვს ერთი განსაზღვრული ცენტრი („სენზო-
რიუმი“), რომლის დახმარებით სხეული ანუ ორგანიზმი მოძ-
რაობს, ჰფიქრობს და გრძნობს. როცა საზოგადოებას სხეულს
უწოდებთ, ეს მხოლოდ გარეგნობითი ნიშნებით. მართალია,
სპენსერი სცდილობდა ამ საზოგადოებრივ სხეულისათვის ცენ-
ტრიც (სენზორიუმი ორგანო, რომლის საშუალებით ვფიქრობთ
და ვგრძნობთ) მოენახა. და ამ სენზორიუმად პარლამენტს უწო-
დებდა, ხოლო, აშკარაა, ესეც გარეგანი მსგავსებაა, რადგან
პარლამენტი არ არის ისე ორგანულად დაკავშირებული ხალ-
ხის ცხოვრებასთან, როგორც ნერვების ცენტრია დაკავშირე-
ბული ადამიანის სხეულთან. ასე რომ, როდესაც ჩვენ ვამბობთ
„საზოგადოებრივი სხეული“ ამითი ჩვენ არ ვსახავთ სინამდვი-
ლეს – ეს მხოლოდ დაახლოვებითი, გარეგანი მსგავსებაა, მე-
ტაფიზიკური მცნებაა. მაშ, თუ საზოგადოება და ერი არ შე-
ედრება ორგანიზმს ანუ სხეულს, არც საზოგადოებრივ ჯგუფ-
თა და წოდებათა შორის არის იმისთანა დამოკიდებულება,
როგორიც არის სხეულის ასოთა შორის. სხეულს რომ ერთი
ასო მოაკლოთ, სხეული დამახინჯდება და დაიჩაგრება. საზო-
გადოებას და ერს რომ მოაკლდეს ერთი ჯგუფი, კლასი ანუ
წოდება, მაგალითად, არა-მწარმოებლისა, ერს და საზოგადოე-
ბას არამც თუ არაფერი დაუშავდება, პირიქით, მოგებაში და-
რჩება. ამისი დასაბუთება ისტორიულად ძნელი არ არის.

ამრიგად, რაკი ყალბი აზრი საფუძვლად ედვა ბ. ურბნე-
ლის თეორიას, დასკვნაც ყალბი უნდა გამოსულიყო. თუ ერი
სხეულია, მაშინ ამ სხეულის ყოველი ასო სამუდამოდ დაცუ-
ლი და შენახული უნდა იყოს. ასე, მაგალითად, მონობა, ბა-
ტონ-ყმობა, პროლეტარიატის დამონავება და სხვა – ყველა ეს
სრულიად გამართლდება ამ თეორიით. მონობა განსაზღვრულ
საზოგადოებრივ ურთიერთობაზეა აშენებული. ხოლო თუ სა-

ზოგადოება სხეულია, მონა და მონის პატრონი ამ სხეულის მიუცილებელი ასო ანუ ორგანოა. ამ ორგანოს მოთლა სხეულის დაშავება იქნებოდა. ამისათვის, ორგანულ თეორიის ძალით, მონობა შეურყევლად არის გამაგრებული. ასეთია ლოღიკური დასკვნა ყალბი თეორიისა. აქ შეუსაბამობა და აზრთა წინააღმდეგობა აშკარაა. ამ წინააღმდეგობიდან საჭიროა გამოსვლა. როგორ, რა საშუალებით? და აი „ივერია“ სცდი-

ლობს ბ. პლებსის მეცადინეობით პირნათლად გამოვიდეს დახლართული მდგომარეობიდამ. ხოლო როგორ?

თუ ერი სხეულია და ყოველი კლასი და წოდება ამ ორგანიზმის ასოა, ერს არა აქვს არც ერთი უვარგისი ორგანო – წოდება, არც ერთი ხორც-მეტ ელემენტი. სინამდვილეში რომ ასე არ არის? რაც გინდათ დაარქვით ერს, მის ცხოვრებაში რომ უთანხმოებაა? როგორ გავამართლოთ ეს უთანხმოება? არის ერთად ერთი საშუალება. საჭიროა უთანხმოების და წინააღმდეგობის უარყოფა; მაშინ თეორია გამარჯვებული დარჩება და ამ თეორიის ავტორი დაკმაყოფილებული. და აი „ივერია“ სწორედ ამ გზას დაადგა. „ზოგიერთს, ჩვენის წარსულის უმეცარსა და უვიცს ჰგონია, გვეუბნება გულ-უბრყვილოდ ბ. პლებსი, („ივერია“ № 280) ვითომ მტრობა და უთანხმოება ეგრედ წოდებულ წოდებრივის წყობილებისაგან მომდინარეობდა... წოდებრივი წყობილება არაფერ შუაში ყოფილა და ამას ისტორია ამტკიცებსო... ჩვენს ისტორიაში სანთლითაც ვერ იპოვით ჟაკერიას, გლეხთა ომებს, ქალაქთა ამბოხებასო“. ასე რომ წარსულში „დაბალი წოდება მაღალს წოდებას არ ებრძოდა“... და „თუ ჩვენმა ისტორიამ არ იცის შინაური ურთიერთი მტრობა და უთახმოება წოდებათა შორის, მაშ დიდი შეცდომა იქნება, ჩვენი „ძველი ცოდვანი“ წოდებრივს წყობილებას თავზე მოვახვიოთო“. ასე იყო წარსულში. ხოლო არც აწმყოში ვხედავთ დიდ ცვლილებას. მართალია „ჩვენებური საზოგადოებრივი დავა, – განაგრძობს ბ-ნი პლებსი, ჩვენებური ქიშპობა ჯერ-ჯერობით „მარტო აგრარულია, სამიწა-წყლოა... ხოლო „ხსენებული აგრარული ევოლუცია ბუნებრივად სწარმოებს და თუ სხვა და სხვა წოდებათა შორის უთანხმოება ხდება, ეს უთანხმოება ისრე მცირეა, თუ შეიძლება ასე ითქვას, ისე **თავაზიანია**, რომ სრულიადაც არ უშლის „მშვიდობისა" და "სათნოების" დამყარებას. ეს დიდად საიმედო და სანატრელი ურთიერთობაა და ყველა პატიოსანმა მუშაკმა ხელი უნდა მოუმართოს ასეთს განწყობილებასო“ [1]).

ეხლა ჩვენ სავსებით გვესმის „ივერიის“ „პროგრესიული“

[1]) თანამედროვე ორგანული თეორია: რომელსაც არაფერი აქვს საერთო პლებსის თეორიასთან, ფართო ადგილს უთმობს კლასთა ბრძოლას ხალხთა ცხოვრებაში. ა. ჯ. 1911 წ.

მიმართულება. იგი ეტრფიალება, ძმობას და თანასწორობას, ხოლო, რადგან ცხოვრებაში (ძველსა და ახალ დროში) ეს მცნება თითქმის განხორციელებულია, რადგან წარსულში „დაბალი წოდება არ ებრძოდა მაღალ წოდებას“, ეხლაც წოდებათა შორის „თავაზიანი“ განწყობილება ჰსუფევს, რომელიც ხელს უწყობს „მშვიდობისა“ და „სათნოების“ დამყარებას, ამისათვის „ივერია“, რასაკვირველია, წინააღმდეგია ყველასი, ვინც კი შინაურს შუღლს და შფოთს აზვიადებს და მით არღვევს „ივერიისაგან“ დაფუძნებულს მყუდროებას და თანხმობას.

ჩვენ ეხლა არ შეუდგებით იმის დამტკიცებას, რამდენად სცდება „ივერიის“ განახლებული რედაქცია წარსულ და თანამედროვე ცხოვრების დაფასებაში. ჩვენ გვინდოდა აღგვენიშნა მხოლოდ, რომ ახალმა რედაქციამ ახალი არა შემოიტანარა. ძველი „ივერიისაგან“ იმითი განსხვავდება, რომ ეხლა მეტის გაბედულებით და კადნიერებით ესარჩლება ძველ წყობილებას. ამ მხრით ძველი რედაქცია უფრო თავდაჭერილი იყო, თუმცა ძველსა და ახალ რედაქციებს შორის არსებითი განსხვავება არა სჩანს.

ასეა თუ ისე, ჩვენ მოხარულნი ვართ, რომ „ივერია“ სცდილობს გამოარკვიოს თავისი პიროვნება. არ შეიძლება კონსერვატულ მიმართულებას და ძველ წესს არ ჰყავდეს თავისი მოსარჩლე. ძველი წესი ჯერ კიდევ ძლიერია ჩვენში და ამ ძლიერების ნიშანი, სხვათა შორის, იმაშიაც გამოისახება, რომ ამ წესს თავისი ლიტერატურული ორგანო აქვს. მართალია, „ივერია“ გვარწმუნებს, წინ ვიხედებიო და მთელ ერის სულისა და გულისაკენ მივისწრაფვიო, მაგრამ ამგვარი რწმენა ყოველ კონსერვატულ მიმართულებას ამჩნევია.

„ივერიამ“ თავი უნდა მოუყაროს ჩვენებურ რეაქციონერებს და წარსულის მოტრფიალეთ. ეს გვამხნევებს ჩვენ, რადგან ბრძოლა გაადვილებულია, როდესაც მოპირდაპირე ბუჩქებს არ ეფარება და გულახდილი გამოდის თქვენს წანააღმდეგ.

ჩვენი პოზიცია ამ შეტაკებაში განსაზღვრულია. ჩვენ არ გვაკმაყოფილებს ბურჟუაზულ ლიბერალიზმის ძველი ფორმულა. ცხოვრების წინააღმდეგობას ღრმა საძირკველი აქვს – ქიშპობა და მეტოქეობა. მეტოქეთა შორის ჩვენ მხარს ვაძ-

ლევთ მეტად გაჭირვებულ უმრავლესობას. ეს სიმართლის მოთხოვნილებაა და არა „მძულვარების“ ქადაგება. მხოლოდ ამ გზით გავაძლიერებთ ჩვენს ეროვნებას.

XXXVII. შინაური მიმოხილვა.

ხალხი და ინტელიგენცია

ხალხის და ინტელიგენციის ურთიერთობა, – „კვალის“ მიერ ინტელიგენციის დახასიათოვნება. – ინტელიგენციაზე გალაშქრება. – საზოგადო საქმეების არევ-დარევა, სახალხო თეატრი, ბაქოს ბიბლიოთეკა. – ქუთაისის ოპოზიცია. –ოზურგეთის თვითმართველობა. – საფრანგეთის ბურჟუაზიის და ხალხის ურთიერთობის მაგალითი. – ჩვენი ინტელიგენციის ეკონომიური საფუძველი, მისი ეროვნული მნიშვნელობა. ინტელიგენციის მოქმედება სახალხო საქმეების მოწესრიგებაში.

I

მკითხველს არ უნდა გაუკვირდეს, რომ შინაურ მიმოხილვის საგნად ზოგიერთ „აზრთა მიმოხილვა“ ვარჩიეთ, იმ საკამათო აზრთა მიმოხილვა, რომლის ჯეროვან გარკვევას დიდი პრიქტიკული მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის. ჩვენს საზოგადოებაში აღიძრა დავა იმის შესახებ, თუ რა არის ინტელიგენცია, ემსახურება იგი ხალხს, თუ იგი ემსახურება განკერძოებულ წოდებას, კლასს. აგრეთვე ბევრს ლაპარაკობენ ჩვენს მწერლობაში „სახალხო საქმეებზე“ და „სახალხო მოღვაწეობაზედ“, და უნდა ვთქვათ, რომ ყველა ამ კითხვების ამა თუ იმ პრინციპიალურ გადაწყვეტილებაზეა დამყარებული ინტელიგენციის და ხალხის ურთიერთობა. არც ერთი ჩვენი შინაური საქმე არ გაკეთდება – სწავლა-განათლებაა იგი, თუ მრეწველობის განვითარების კითხვა – თუ ამ საქმეების მოწესრიგებისათვის ჩვენ არ გვექნება გამორკვეული და მკაფიოთ გამოსახული რაიმე სახელმძღვანელო პრინციპი. თუ ჩვენი ინტელიგენცია ხალხის მტერია, თუ მისი მოღვაწეობა ხალხისთვის მავნებელი და არა სასურველია, მაშინ ხალხის და ინტელიგენციის ურთიერთობა ირღვევა, სწყდება; პირიქით, თუ ამ ინტელიგენციის განზრახვა ხალხის კეთილდღეობაა და თუ მისი ხალხისთვის მოღვაწეობა ქველმოქმედება კი არ არის, არამედ მისი სულიერი

მოთხოვნილება, მაშინ ხალხის და ინტელიგენციის ურთიერთობა ნამდვილ საფუძველზე მყარდება და მტკიცდება.

ამ ბოლო ხანებში ერთი ნაწილი ჩვენის მწერლებისა ინ-
ტელიგენციას შემოუწყრა და ყოველ ღონისძიებას ხმარობს,
ამ ინტელიგენციის უვარგისობა და უსაფუძვლობა დაუმტკი-
ცოს ხალხს. ქართველ ინტელიგენციის სისუსტეზე ლაპარაკი
ძნელი არ არის, რადგან მისი სისუსტე და უფერულება აშკა-
რაა: ამ საგანზე არც არის ლაპარაკი. ბაასი იმაზეა მხოლოდ,
რომ ინტელიგენცია რაღაც განკერძოებულ ძალას წარმოად-
გენს, რომელიც ხალხის კეთილდღეობისთვის კი არ მოქმე-
დობს, არამედ ამის დასაღუპავად.

„ქართველი ინტელიგენცია საერთოდ აღებული (ვკითხუ-
ლობთ „კვალის“ 1-ლ №-ში) წარმოადგენს ერთ განკერძოვე-
ბულ მთელს, რომელიც ჩვენი ერის არც ერთ წრესთან არ
არის მოქმედებით დაკავშირებული“. მხოლოდ ჩვენი ლიტერა-
ტურა ამ ინტელიგენციის ნაყოფია. „ჩვენი ლიტერატურის
სენი კი (დასძენს „კვალი“-ს მე-10 №-ი) მწერლობის „არის-
ტოკრატიზმი“ და „ბურჟუიზმია“, მაშასადამე, იგი ხალხის წი-
ნააღმდეგია, იმის ღვიძლი ინტერესების მტერია. და ეგ მტე-
რი მით უფრო საშიშარია, რომ იგი ხალხს მეგობრად აჩვე-
ნებს თავის თავს და ხელს ჰკიდებს „სახალხო საქმეების წარ-
მოებას. ამისათვის (ვკითხულობთ, „კვალი“-ს მეა16 №-ში)
„არ შეიძლება არ მივმართოთ „ხალხის შვილთ", ხალხის დამ-
ცველ მოღვაწეებს და არ უჩვენოთ იმ **დამამცირებელ და სა-
მარცხვინო** გარემოებაზე, რომ „სახალხო საქმეთა“ ყოველ-
გვარი ასპარეზი დაკავებულია მათ **მოწინააღმდეგეთაგან**[1]),
მოჯადოვებულია უგვან „ინტელიგენტურ“ მოჩმახულ პრინ-
ციპებისაგან, ამიტომ იგი ახალი რაზმის გალაშქრებას უცდის,
ქრისტესაებრ „შოლტის“ აღებას და მით არა-მკითხე მოღვა-
წეების გარეკას იმ წმინდა ტაძრიდან, რომელსაც ეწოდება
„სახალხო საქმე“. ჩვენ გაბედვით ვამბობთ (განაგრძობს „კვა-
ლი“), რომ 1) უნდა ჩამოერთვას ინტელიგენციას „სახალხო
სწავლა-განათლების ხელმძღვანელობა, 2) უნდა გამოვიდეს
იმათი გამგეობისაგან- „სახალხო სახლი“, 3) უნდა განთავი-
სუფლდეს იმათი გავლენისაგან „სახალხო თეატრი“, 4) უნდა

[1]) კურსივი ჩვენია.

მოისპოს „სახალხო ბიბლიოთეკაში“ მათი უთავბოლობა, 5)
გაირეკოს „სახალხო მწერლობისაგან“ „არისტოკრატიზმი“ და
„ბურჟუიზმი“, 6) უნდა დაარსდეს კოოპერატიული ამხანაგო-
ბანი და მოშორებულ იქმნას ისინი იმათ ხელიდან“. ამგვარი
მტერი, როგორც ქართველი ინტელიგენციაა ქართველ ხალხი-
სა, რუსეთში რუსეთის ინტელიგენცია ყოფილა თავის ხალხი-

სა. იქაც, როგორც დღეს ჩვენში (ვკითხულობთ „კვალი“-ს იმავე №-ში) „სახალსო საქმეებში“ იბრძოდა და იბრძვის ორ-გვარი პრინციპი, ორგვარი მოღვაწე – ლიბერალიზმი და დემოკ-რატიზმი, ქველმოქმედება და თვით-მოქმედება, **დღეს იქ „სა-ხალხო საქმეთა“ სფერაში უკვე გამარჯვებულია (!) დე-მოკრატიზმი, თვით-მოქმედება და დამოუკიდებლობა**. ჩვენში „დემოკრატიზმს“ ჯერ ვერ გაუმარჯვია, იგი გაიმარ-ჯვებს, მხოლოდ ინტელიგენცია ხალხს უნდა ჩამოეცალოს. საკვირველია, რა აიძულებს ინტელიგენტებს, რომ სხვის საქ-მეებში ეჩრებიან? „მათ აიძულებთ, (დასძენს „კვალი“-ს 7 №-რი) მხოლოდ „თავის გადიდება, რაღაცა პატრიოტული წვრილმანი თავ-მოყვარეობა, ყველა მათგანს „ბურჯათ“ მო-აქვს თავი და ჰსურს წითელი მელნიტ აღბეჭდილი იყოს მისი სამსახური „უმცროს ძმისათვის“-ო.

ამგვარია „კვალის“ შეხედულება ინტელიგენციაზედ, ამ-გვარ აზრებით არიან გამსჭვალულნი მისი წინამძღოლნი. ინ-ტელიგენცია რაღაც მეტ ხორცად ითვლება, რომლის მოთლაა საჭირო ხალხის კეთილდღეობისათვის და ამნაირ მეტ ხორცს ინტელიგენციის კერძო წევრები კი არ წარმოადგენენ, არამედ მთელი ინტელიგენცია, რადგან იგი „ჩვენი ერის არც ერთ წრესთან არ არის მოქმედებით დაკავშირებულიო“. მხოლოდ კითხვა იბადება, თუ ჩვენმა ინტელიგენციამ არ მოინდომა თა-ვის თავის ამგვარი უარყოფა, თუ ამ აზრების გავრცელება ჩვენს ხალხში მას მავნებელ-სენად მიაჩნია, რა პრაქტიკული შედეგი უნდა მოჰყვეს რაიმე საქმის გაკეთებაში ამ შეტაკებას? ცხადია, თუ ხალხმა დაიჯერა და ინტელიგენციას კვალის თვალით შეჰხედა, იგი მტრულად მოეკიდება ყოველ ინტელი-გენტის კეთილ-განზრახვას. ან იქნება ინტელიგენციას მართლა „თავის გადიდების“ ჟინი აწუხებს? იქნება მართლაა იგი რა-ღაც „განკერძოვებული მთელი“, რომელიც მეტ ბარგად აწევს ხალხს კისერზედ? ამაზედ ქვემოდ გვექნება ბაასი, ეხლა კი

მკითხველის ყურადღებას იმ გარემოებაზედ მივაქცევთ, რომ თითქმის ყველა ჩვენს საზოგადო საქმეებს დაეტყო ამ აზრთა გავრცელების ზედ-გავლენა. ყველა საქმეებს რაღაც უთანხმო-ება და მოურიგებლობა დაეტყო. გადაავლეთ თვალი ჩვენს სა-ზოგადო ასპარეზს. აი, თუნდ „სახალხო თეატრის“ საქმე. დააკვირდეს მკითხველი, რა ნიადაგზე დაიბადა უთანხმოება თბილისის „სახალხო თეატრის“ საქმის წარმოებაში? „კვალი“-ს მე-6 №-რი აი რას მოგვითხრობს ამის შესახებ. „სახალხო თე-ატრი პირველად თვით ხალხმა, ესე იგი ხელოსნებმა დაარსეს. ესენი იდგნენ სათავეში და სცენაზედაც უმთავრესად ხელოს-

ნები გამოდიოდნენ. შემდეგ ამისა ხელი მოჰკიდეს ინტელი-
გენტებმა და ისე დააყენეს საქმე, რომ ხელოსნები გაშორდნენ
და მარტოდმარტო ისინი დარჩნენ. სცენაზე გამოიყვანეს ქარ-
თული თეატრის არტისტები, მიიწვიეს არისტოკრატიის ქალე-
ბი ამა თუ იმ როლის შესასრულებლად და სცენიდან ასე თან-
დათან განდევნეს ხალხის წარმომადგენელნიო“. როგორც ვხე-
დავთ, ამ საქმის წინამძღოლთ შორის რაღაც შეტაკება მომხ-
დარა. „ხალხის მცველნი“ ეუბნებოდნენ ხალხს, რომ „არის-
ტოკრატ ქალების“ სახალხო სცენაზე გამოსვლა ხალხის და-
მამცირებელი საქმეა და რომ „სახალხო თეატრი“ იმ დაწესე-
ბულებას ჰქვიან, რომელშიაც ხალხი გამოდის სცენაზედ. და
თუ ამ სცენაზე გამოდიან არა ხალხის წოდების პირნი და ხე-
ლოვნურად თამაშობენ ხელოვნურადვე შემუშავებულ, ხალ-
ხისთვის სასარგებლო და გამოსადეგ პიესებს, მაშინ „სახალ-
ხო თეატრს“ სახალხო თეატრის სახელი აღარ დაერქმევაო.
ან კიდევ ბაქოს ბიბლიოთეკის გაუქმების გამო, რა მოხდა, თუ
არ შეტაკება იმავე ხასიათისა? ან კიდევ დააკვირდით „კვა-
ლის“ დაფასებას ქუთაისის ეგრედ-წოდებულ „ოპოზიციის“
მოქმედებისას. იმის მაგივრად, რომ ხელი შეუწყოს იმ გუნდს
ქუთაისის საზოგადოებისას, რომელიც, შეძლების დაგვარად,
ებრძვის უპატიოსნებას და უწმინდურებას, იმის მაგივრად, რომ
ხელი შეუწყოს „ოპოზიციას“ საზოგადოებრივ ასპარეზის გა-
პატიოსნების და გაწმენდის საქმეში, „კვალი“ ყოველ ღონის-
ძიებას ხმარობს, იგი დაამციროს და შეასუსტოს. რადა? ნუ
თუ იმიტომ, რომ ოპოზიციას ჯერ კიდევ ვერ გამოურკვევია
მტკიცე მოქმედების „პროგრამა“, რომ იგი არ არის კარგად
შეთანხმებული პარტია? თუ ეს ასეა, მაშინ „კვალის“ მისდა-

მი გამოლაშქრება უფრო შეუწყნარებელია. თანაუგრძნობს თუ
არა „კვალი“ „ოპოზიციის“ მიზანს? თუ თანაუგრძნობს და
თუ ამასთანავე იგი ხედავს „ოპოზიციის“ მოუმზადებლობას
და სისუსტეს, დაეხმაროს მას, ხელი შეუწყოს, გაამაგროს და
გაამტკიცოს იგი. „კვალი“ კი ნათლად არ ამბობს, ვის ან
რას თანაუგრძნობს იგი ქუთაისის საქმეებში, მხოლოდ „ოპო-
ზიციას“ კი ყოველ შემთხვევაში მიწას უთხრის. რათა, კიდევ
ვიკითხავთ ჩვენ? იმიტომ, რომ ქუთაისის „ოპოზიცია“ ინტე-
ლიგენციისაგან შესდგება და ინტელიგენციისაგან ხომ „კვა-
ლი“-ს შეხედულობით კეთილი არა იქნება-რა. მიაქციეთ აგ-
რეთვე ყურადღება „კვალი“-ს მოსაზრებას ოზურგეთის თვით-
მართველობის საქმეებზედ. მკითხველს ეცოდინება, რომ ოზურ-
გეთის ქალაქის თვით-მართველობამ გასულ წლის ბოლოს ქა-
ლაქის თავად ხელახლად აირჩია თ. ნ. თავდგირიძე გუბერნა-

ტორმა არ დაამტკიცა ეს არჩევანი. ამის შესახებ, აი რას ვკითხულობთ „კვალი“-ს მე-10 №-ში: „ხმოსნები შეიყარნენ, დაადგინეს ბ-ნ ნ. თავდგირიძეს მეტი სხვა თავი არ გვინდაო და რადგანაც მას მთავრობა არ ამტკიცებს, ცხადია (!), ხმოსნებმა (?!) სულ უარი სთქვეს ქალაქის თავის არჩევანზე და მით თვით-მართველობაზედაც. გამოდის, რომ თვით-მართველობა არსებული ქალაქის თავისთვის და არა თავი თვით-მართველობისათვის. ეს უარისყოფაა თვით დაწესებულების და ამას არ გვესმის, რით ხელმძღვანელობდნენ ოზურგეთის ხმოსნები, როცა სჩადიოდნენო“. ჩვენ არა გვჯერა ვითომ „კვალს“ არ ესმის, რით ხელმძღვანელობდნენ ოზურგეთის ხმოსნები... მხოლოდ რადგან თ. თავდგირიძეს „კვალი“-ს რედაქცია არა სწყალობს, რადგან იგი „ფეოდალურ-ბურჟუა-ინტელიგენტია“, ამისთვის საჭირო იყო გალაშქრება ოზურგეთის ხმოსნების წინააღმდეგაც.

ამ რამდენიმე მაგალითის მოყვანა საკმარისია, რომ მკითხველმა ნათლად დაინახოს ჩვენი საზოგადო საქმეების არევ-დარევა. დააფასოს მან, რამდენად სასარგებლოა ჩვენთვის ამგვარ განხეთქილების გაზვიადება ჩვენს საზოგადო საქმეების წარმოებაში. „ლიბერალიზმის“ და „დემოკრატიზმის“ შეტაკება აუცილებელიაო. ნუ თუ მართლა ჩვენ ყველანი „ლიბერალები“ გავხდით და „დემოკრატიზმს“ სხვა მოპირდაპირე აღარა

ჰყავს ჩვენში? ნუ თუ სოხუმის და ტფილისის თვითმართველობის საქმეებშიაც „ლიბერალიზმის“ და „დემოკრატიზმის“ შეცილებაა?..

მხოლოდ დავუბრუნდეთ ამ წერილის უმთავრეს საგანს. მართლა არ აქვს ჩვენს ინტელიგენციას ხალხთან არავითარი კავშირი? მართლაა იგი მაღალ წოდების ინტერესების გამომხატველი? მართლაა იგი ხალხის მტერი? ამ აზრის გამოსარკვევად საჭიროა მეორე აზრის გამორკვევაც, სახელდობრ იმის, რომ ეგრედ წოდებული ქართველი ინტელიგენცია მარტო თავად-აზნაურობის წარმომადგენლებიდამ არ შესდგება, აგრეთვე იმის, არის თუ არა ჩვენს წოდებათა შორის იმნაირი განხეთქილება, რომ მიუხედავად ჩვენი **საერთო** უნუგეშო გარემოებისა, მათ შორის არავითარი კავშირი არ უნდა იყოს და მათი ინტერესები **ყოველ შემთხვევაში** ერთმანეთს უნდა ეწინააღმდეგებოდეს?

ამნაირად კითხვის დაყენებამ ჩვენ მოგვაგონა ევროპაში აღძრული დავა იმის შესახებ, თუ რა ურთიერთობა და განწყობილება უნდა იყოს ხალხსა და ბურჟუაზიას შორის. წარმოადგენს თუ არა ევროპის ბურჟუაზია „განკერძოებულ მთელს“, რომლის წევრები ყველა კითხვების გარკვევაში შეთანხმებულე-

ბი არიან და ხალხს ერთნაირად მტრულად ეპყრობიან, თუ ბურჟუაზიის ფიზიონომია მრავალ-ფეროვანია და მისი წარმომადგენლებიც ხშირად არ ეთანხმებიან ერთმანეთს მუშათა კითხვის გადაწყვეტაში? იმ თავითვე გამოირკვა შემდეგი. ბურჟუაზიის და მუშების ნივთიერი ინტერესები ერთმანეთს ეწინააღმდეგება – პირველის ხელშია სამუშაო იარაღი, ხოლო მეორენი სამუშაო ძალის წარმომადგენლები არიან. ამაშია მათ შორის ძირითადი წინააღმდეგობა. მხოლოდ ამ წინააღმდეგობის ასაცილებლად ხალხმა და ხალხის „მცველებმა“ უნდა იმითიც ისარგებლონ, რასაც აძლევს მათ ბურჟუაზია. ეგ მით უფრო საჭიროა, რომ ბურჟუაზიის ერთი ნაწილის წადილს ხალხის მდგომარეობის გაუმჯობესება შეადგენს. საფრანგეთში ცხადად და ნათლად გამოირკვა, რომ ამ ქვეყანაში ბურჟუაზია არ წარმოადგენს ერთ მთელ განკერძოებულ დასს თავის საკუთარის აზრებით, ზნე-ჩვეულებით და საზოგადო შეხედულებით. მისი საუკეთესო ნაწილი, დიდ რევოლიუციის პრინციპებით აღჭურვილი, დემოკრატიას ემსახურება. **პოლიტიკაში** იგი რესპუ-

ბლოკის მომხრეა, იგი სცდილობს ეკლესია და სახელმწიფო ერთმანეთს გააშოროს, სკოლა და საზოგადო ასპარეზი გაანთავისუფლოს კლერიკალიზმის გავლენიდან, იგი მომხრეა პოლიტიკურ უფლებათა თანასწორობისა და დემოკრატიის გაძლიერებისა. **ეკონომიურ კითხვებში** იგი მომხრეა პროგრესსიულ შემოსავლის გადასახადის შემოღებისა, მუშათა კოოპერაციების გაძლიერებისა, გაფიცვის დაკანონებისა, მუშათა კანონმდებლობის გაუმჯობესებისა და სხვა. ერთის სიტყვით, ერთი ნაწილი ბურჟუაზიისა დაბალ ხალხის ბედის გაუკეთესებისათვის ზრუნავს და ჰფიქრობს. რასაკვირველია, ეგ მისი ზრუნვა ძირითად ცვლილებას არ მოახდენს დაბალ ხალხის ცხოვრებაში – რადგან იგი ხელს არ ახლებს უმთავრესს მიზეზს მუშა ხალხის დამონავებისას; **ამისდა მიუხედავად**, სოციალისტები ხშირად სარგებლობენ თავიანთ მიზნის მისაღწევად ამ ბურჟუაზიის ნაწილის დახმარებით. კავშირი სოციალისტთა და ბურჟუაზიის ერთ ნაწილს შორის მით უფრო აუცილებელი ხდება, რომ ხშირად მათ წინააღმდეგ გამოილაშქრებს ხოლმე მეორე ნაწილი ბურჟუაზიისა, ძველი რეჟიმის მომხრე. ასე რომ სოციალისტებს ებადებათ დილემმა, როგორი ურთიერთობა უნდა ჰქონდეთ მათ და ბურჟუაზიის იმ ნაწილს, რომელიც მზადაა მათთან ერთად დემოკრატიის სასარგებლოდ იმოქმედოს? ამ კითხვის გადაწყვეტა აუცილებელი იყო, რადგან პარლამენტში მოქმედება სხვა დასების დაუხმარებლად პატარა ოპოზიციისათვის (როგორიცაა საფრანგეთის პარლამენტში სოციალისტების პარტია) სრულებით მოუხერხებელია. აგრეთვე

მოხდა შარშანაც და ეხლაც ამაზედვე დგას სოციალისტთა პარ-
ტია. მან ხელი გაუწოდა ვალდეკ-რუსოს კონგრეგაციების წი-
ნააღმდეგ კანონის გაყვანის დროს. და დღესაც დაუძლურებულ
მუშების პენსიის კანონის შემუშავებაში ისინი მკლავ და მკლავ
მუშაობენ. ასეც უნდა ყოფილიყო. ასი წელიწადი გავიდა. რაც
ძველ წესს ომი გამოუცხადა ახალმა ძალამ – ბურჟუაზიამ. ამ
ხნის განმავლობაში ბურჟუაზია გამაგრდა, მხოლოდ მან ჯერ
კიდევ ვერ მოუღო ბოლო ძველ რეჟიმის ძალას. თვით ბურ-
ჟუაზიაც დაიყო დასებათ დროთა ბრუნვის ზედ-გავლენით. ერ-
თი ნაწილი ძველი წესის წარმომადგენელთ მიეკედლა, ხოლო
მეორემ – დემოკრატიას არ უღალატა და, თუმცა ეგ მეორე
ნაწილი ბურჟუაზიისა კერძო მფლობელობის მცველად სთვლის

თავის თავს, დემოკრატიას მაინც დიდი სამსახური გაუწია
(ბრისონი, ლეონ ბურჟუა, ვალდეკ-რუსო და სხვა). ასე რომ
საფრანგეთში და მით უმეტესს სხვა ქვეყნებშიაც, **მიუხედავად
ეკონომიურ წინააღმდეგობისა, ბურჟუაზული ინტელიგენ-
ცია არ წარმოადგენს ერთ განუყოფელ მთელს და მისს ნა-
წილებს სხვა და სხვა ხალხთან თავისი მიმართულების და-
გვარი განწყობილობა აქვს**. თუ ერთი ნაწილი ამ ბურჟუა-
ზიისა ხალხის მტრად ჩაითვლება, მეორე ჩაითვლება იმისს კე-
თილის მსურველად. ასეა საქმე საფრანგეთში, სადაც ეროვ-
ნულ-პოლიტიკური დამოუკიდებლობა არსებობს და სადაც
ფრანგულ ეროვნებას არავინ ემუქრება. ასევეა საქმე ინგლის-
ში, სადაც, მიუხედავად იმავე ეკონომიურ წინააღმდეგობისა,
ხალხის პოლიტიკური თავისუფლება ბურჟუაზიამ უმაღლესს
წერტილამდე მიიყვანა. ასე რომ ჩვენზე წინ წასულ ერთა ცხოვ-
რებაში ჩვენ არ ვხედავთ ბურჟუაზულ ინტელიგენციის იმ ხასია-
თის განკერძოებას, რომელმაც ვითომდა ჩვენში იჩინა თავი. მაგ-
რამ, ევროპის მაგალითი იქნება ჩვენთვის არაფერ საბუთს არ
წარმოადგენს; იქ სხვაა, ჩვენში სხვა, – იტყვიან. დიაღაც სხვაა
ჩვენში.

ჩვენში მხოლოდ ეხლა იწყება ბატონყმურ-ფეოდალური
წეს-წყობილების დარღვევა. ამისათვის ჩვენში არ არიან ნათ-
ლად გამოსახული პროფესიონალური კლასსები. ჩვენი აზნა-
ურობის ერთი ნაწილი ღარიბდება და თითქმის გლეხკაცის
ცხოვრების კალაპოტში შედის, მეორეს მხრით, ერთი ნაწილი
ჩვენის სასულიერო წოდებისა და აგრეთვე გლეხკაცობისა
მდიდრდება და თან-და-თან მიწის მფლობელად ხდება. ყველა
წოდებებში, საცა კი დააკვირდებით, დაატყობთ ამ მოძრაობას,
ამ გარდაქმნას. მხოლოდ ჯერ არც ერთ წრეში არ გამოირკვა
მტკიცედ ტიპიური ხასიათი ამ მოძრაობის პროცესსისა. ერთის

სიტყვით, ცხოვრების საფუძველი ბატონყმობის გაუქმებიდამ შეირყა, შეინძრა. ჩვენი ახალი ინტელიგენცია აღმოცენდა ამ მოძრავ საფუძველზე და მასაც, ასეთივე დაუდგომელი მოძრავი ხასიათი ამჩნევია. მხოლოდ ყველივე ეს დაყენებული საკითხის ერთი მხარეა. მეორე მხარე პოლიტიკური, ანუ ჩვენს ენაზედ, ეროვნული ხასიათისაა. მე-XIX საუკუნის დასაწყისიდამ საქართველო აღარ არსებობს, როგორც პოლიტიკურად დამოუკიდებელი ერი, თუმცა ჩვენს ერს თავისი ეროვნული ხა-

სიათი არ დაუკარგავს. ენის, ლიტერატურის და ხელოვნების განვითარება, ისტორიის შემუშავება და გარკვევა, პრესსის გაჩენა, თეატრების, წერა-კითხვის საზოგადოების და გამომცემელ ამხანაგობის დაარსება – ყველა ეს ჩვენს მდგომარეობაში მყოფ ერისთვის ეროვნულ ცხოვრების დაცვის და განვითარების იარაღად ჩაითვლება. ჩვენს ხელთ ეს ერთად ერთი იარაღია და ჩვენი კითხვა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ეს ეროვნულ ცხოვრების გასავითარებელი იარაღი გავაუმჯობესოთ, გავაუკეთესოთ, ჩვენი ხალხის უმრავლესობისათვის მისაწვდომი გავხადოთ. ჩვენი ინტელიგენცია, კარგად თუ ავად, ამ მისიას ემსახურებოდა დღემდე. და თუ დღეს მას რაიმე ნაკლულევანება ეტყობა, აქედამ ინტელიგენციის გაუქმების საჭიროება კი არ გამომდინარეობს, არამედ მისი ნამდვილ გზაზე დაყენება, მისი გაუმჯობესება...

ინტელიგენციას ჩამოერთვას „სახალხო საქმეების“ გაძღოლაო. ვინ გაუძღვება მათ? ნამდვილი ინტელიგენციაო. რა თვისებისაა ეგ ნამდვილი ინტელიგენცია? რა აქვს მას დამახასიათებელი? „კვალი“-ს აზრით „სახალხო საქმეებში“ ვითომდა – მოღვაწე ინტელიგენტები კი არ უნდა მეთაურობდნენ და განაგებდნენ, არამედ „ხალხის შვილები“, მისი დამცველ-მომხრენი, „ჭეშმარიტი მოღვაწენი“. (№ 10) ასე, რომ ნამდვილ ინტელიგენციას მხოლოდ „ხალხის შვილები“, ესე იგი გლეხის და მუშის წოდების პირნი შეადგენენო. დანარჩენები, არა დაბალ წოდების პირნი, ხალხის მტრები, ცრუ ინტელიგენტები არიანო. ჩვენ არ შევუდგებით ამ აზრის დარღვევას, რომელიც ყინულზე დაწერილ თამასუქს გვაგონებს. ჩვენ მხოლოდ იმას ვიტყვით, რომ **ნამდვილ მუშა ხალხს**, რომელიც დღეში თორმეტი საათის განმავლობაში შრომობს, არ ძალუძს ამ საქმეების გაძღოლა. ყველა ამ საქმეების მოწეს-რიგებისათვის, მოცლის გარდა, მომზადებაც უნდა. ეგ მომზადება იმავე მოუცლელობის გამო ჩვენს მუშა ხალხს არა აქვს, მაშასადამე, უმეტეს შემთხვევაში საქმე უნდა იმათ ჩაუვარდეთ ხელში, ვინც მოცლილი და მომზადებულია და ვისაც ნამდვილი სურვილი

აქვს ხალხის სამსახურისა.

საუბედუროდ, აქნობამდე მთელს განათლებულ კაცობრიობაში ისეა ცხოვრება მოწყობილი, რომ მოცლა და საჭირო მომზადება და ცოდნა ჯერ კიდევ უმცირესის ნაწილის (ინტე-

ლიგენციის) კუთვნილებაა, თუმცა ყველგან შეიგნეს, რომ ამ უკუღმართობის გასწორებისათვის, ამ უმცირესის ნაწილის ცოდნის და მომზადების გამოყენებაა საჭირო და არა მისი უარყოფა. თუ სხვაგან ასეა, ჩვენშიაც ასე უნდა იყოს. ფინლანდიაში 19 უმაღლესს სახალხო სკოლას ინტელიგენცია უდგა თავში – მათში 2 კაცი დოქტორის ხარისხისაა, 14 მაგისტრია, 2 სტუდენტი, 6 მასწავლებელი და 16 მეურნე [1]) საფრანგეთში „სახალხო უნივერსიტეტები“ ბურჟუაზიის საუკეთესო წარმომადგენლებმა დააარსეს ამ სამის წლის წინ. ეხლაც ამ დაწესებულების საუკეთესო წინამძღოლები სორბონის სტუდენტები და პროფესორები არიან (დიუკლო, სეალი, ბიუსონი და სხვა). ინგლისშიაც ასეა. მართალია, საფრანგეთში სხვა-და-სხვა პოლიტიკური დასები ცდილობენ შეეჯიბრნენ ერთმანეთს „სახალხო მოღვაწეობის“ ასპარეზის დაჭერით, რათა ამის საშუალებით ხალხი თავისკენ დაიყოლიონ, მაგრამ ყოველივე ეს თავისუფალი შეცილებაა. იმარჯვებს ის, ვისაც მეტის სარგებლობის მოტანა შეუძლია ხალხისთვის.

ჩვენი ინტელიგენცია ძალიან პატარაა. დაიარეთ ჩვენი პროვინციები, თქვენ იქ უმეცრების და უილაჯობის მეტს ვერაფერს ვერ ნახავთ. თუ ამ ბნელ პროვინციაში ვინმე „ინტელიგენტი“ არ გამოუჩნდა ხალხს – მასწავლებელია იგი, მღვდელი, სტუდენტი თუ მემამულე, ხალხს არც საკვირაო სკოლების დაარსება ეღირსება, არც რამე წარმოდგენის, ანუ სასარგებლო გასართობის გამართვა. დროც რომ ჰქონდეს ჩვენს სოფლის გლეხკაცობას, მას, საუბედუროდ, არც მოხერხება, არც ცოდნა, არც მომზადება აქვს. წარმოიდგინეთ, ქალაქებიდან სოფლებშიაც დაიწყონ გავრცელება იმ აზრისა, რომ ინტელიგენცია ხალხის მტერია და მას ყოველ შემთხვევაში თავის თავის გადიდების სურვილი აწუხებს და არა კეთილის გაკეთებაო. წარმოიდგინეთ, რა უნდა დაემართოს ჩვენს ბნელ პროვინციას, საცა დრო გამოშვებით მაინც ადგილობრივი ინტელიგენცია ხან წარმოდგენას ჰმართავს, ხან საკვირაო სკოლას აარსებს, ხან ასე თუ ისე გაართობს და ასიამოვნებს ხალხს; რა მოუვა ჩვენს უიმისოდაც დაცემულ ქვეყანას, მას რომ ეგეც მოაკლდეს. რასაკვირველია, ქალაქური მუშები უფ-

---

[1]) „პეტერ. უწყ.“ მაისი 1901 წ.

რო განვითარებულნი არიან, მათში მეტი ნაწილი კითხვასაა მიჩვეული და კითხვასთან ერთად დაფიქრებას. შედარებით სოფლელებთან, ისინი უფრო მეტად არიან მომზადებულები მოქალაქობრივ ცხოვრებისათვის, მხოლოდ არც მაგათ შეუძლიანთ „სახალხო მოღვაწეობის“ მძიმე საქმეს დაუხმარებლად წინ გაუძღვენ. ისინიც იძულებულნი არიან დახმარებისათვის სხვას მიჰმართონ. მხოლოდ ვის მიჰმართონ? ყველას, ვინც მომზადებულია და დახმარებას აღმოუჩენს – ინტელიგენციას, რადგან ნამდვილი ინტელიგენცია გონიერებაა და გონიერების დაგვარად მოქმედებს ხალხის სასარგებლოდ,

---

1902 წ. წ ე რ ი ლ ე ბ ი

1. ახალი წელიწადი?!

შფოთსა, ჩხუბსა, და ნაღვლიანობაში გავატარეთ წარსული წელიწადი. ძმა – ძმას გადაემტერა, მეგობარი – მეგობარს, მოხუცი ჭაბუკს და შვილი მამას. აირია, აიწეწა ჩვენი პატარა ოჯახი. სიბოროტით და სიძულვილით აივსო ჩვენი გული და ქვენა გრძნობებით გატაცებულნი, სიავით და სიაფთრით ღონე მიხდილნი უნუგეშოდ, ურწმუნოდ შევყურებთ ბურუსით მოცულ მომავალს. და ამ შუღლსა და შფოთში შემაძრწუნებელი და შესაზარი ის არის, რომ პირდაპირ არ ვამბობთ ჩვენს განზრახვას, არ ვამჟღავნებთ ჩვენს ამაყურ თავმოყვარეობას; ვერ ვბედავთ იმის თქმას, რომ პირადი სიძულვილი, მოუსვენარი შურისძიება გვალაპარაკებს. არც იმისი თქმა გაგვიბედნია, რომ ძილი გვინდა და ვინც ამ ძილს დაგვიფრთხობს, ლაფში ამოვსვრით, რომ ჩვენს გულს ბატონობა, მეფობა სწადია და ქვეშევრდომთ სრულს უტყვობასა და მორჩილებას ვსთხოვთ და რომ ვინც ამ ჩვენს სურვილს წინ აღუდგება, არ დავინდობთ, ფეხქვეშ გავსრესავთ, ლაფში ამოვაყოფინებთ თავს და ტანჯვასა და გოდებაში სულს ამოვაღებინებთ. არა, ამას ვერ ვიტყვით. ამისათვის ერთგვარი სულდიდობაც არის საჭირო, გულახდილობაც, ჩვენ კი პატარა კაცები ვართ, დაჭვარტლული, პატარა გული გვაქვს. ამ გულში ჭვარტლისგან ყოველი წმინდა გრძნობა დახშულია და უანგარო განზრახვა ჩაქოლილი. როცა ვინმე მძულს, არ მიყვარს, ან თვალში არ მომდის, ეს გრძნობა ან უნდა მოვიკლა გულში, ამოვაგდო

ძირიან-ფესვიანად, ან თუ ვერ მოვუღე ბოლო, გამოვაქვეყნო, გამოვააშკარავო, ხოლო ამასობაში „დაჩაგრულ უმანკოების“

სუდარაში არ უნდა გავეხვიო, სიცრუე და ორგულობა არ უნ-
და მოვიხმარო სხვის თვალების ასახვევად, არ უნდა ვყვირო-
დე, რომ გული ქვეყნისთვის და ხალხისთვის შემტკივა, და
რომ ჩემი წყრომა, ბრაზი და ჯავრი შეგინებულ ჭეშმარიტე-
ბის ბღავილი და ყვირილია. არა. სთქვით პირნათლად, გულ-
ახდილად, რომ თქვენს გულში შური და მტრობა პირადია.
სთქვით, რომ გძულთ და ჭირივით გეჯავრებათ ესა და ეს
კაცი და გულის მოსაფხანად ლანძღვა და გინება გწადიათ. ამ
გულ-ახდილობაში მეტი პატიოსნება და სინიდისი იქნებოდა,
სიცრუე ჭეშმარიტებასთან და სიმართლესთან ერთად არის შე-
ზავებული…

შებრალებამდის ნაღვლიანად გავატერეთ საუკუნეში შთან-
თქული წელიწადი. ნაღვლიანად, რადგან იქ არ აქვს ად-
გილი სიხარულს, საცა განრისხება და სიბნელე არის გაბატო-
ნებული. კაცის გულში სიხარულს უბადავს ბუნება, პოეზია,
ლიტერატურა, ცხოვრებაში გამარჯვება. ხოლო ბუნება აღა-
რაფერს ეუბნება ჩვენს გულს, ბუნების საიდუმლო ენა აღარ
აღწევს ჩვენამდე, მზის სხივები, ცა, ვარსკვლავთა ლაპლაპი
არავითარ გრძნობას და აზრს აღარ ჰბადავს ჩვენს დახშულ
გულში, ლიტერატურა აღარ ასაზრდოვებს ჩვენს გონებას, არ
აკეთილშობილებს ჩვენს მისწრაფებას, – ლიტერატურა უწმინ-
დურების ჭურჭლად გავხადეთ. არაფრად მიგვაჩნია ნაძალადევ
ლექსთ-წყობათა საშუალებით კაცის დამცირება, მის გულში
ჭუჭყიან ხელებით პოტინი, მისი წარსულის შეურაცყოფა და
გმობა! პოეზიაც იმავე სიბინძურის აუზათ ვაქციეთ.

სიყვარულის, გულწრფელ მწუხარების და სიხარულის
მღერა შევწყვეტეთ. და ჩვენს „მოხუც პოეტის“ „ახალ გო-
გონას" ავაყოლეთ ფეხები. და ყველა ამითი ამაყნი, რომე-
ლის გამარჯვებით მოვიწონებთ თავს? არა, უსიხარულოდ,
უნუგეშოდ მივაწურეთ წარსულ წლის უკანასკნელი დღეები.

დღეს ახალი წელიწადია. ყველანი ულოცავენ ერთმანეთს
ბედნიერ სიცოცხლეს, ბედნიერ მომავალს. ხოლო უმეტეს
შემთხვევაში ავიწყდებათ, რომ ცხოვრება ჯაჭვია და აწმყო და
მომავალი ამ ჯაჭვის რგოლებია. ავიწყდებათ, რომ კეთილი
და ბედნიერი მომავალი შედეგია კეთილის წარსულისა და, თუ
რომ ეს წარსული უვარგისია, კარგის მომავალის იმედი მცი-

რეა. ჩვენც ეს ნუ დაგვავიწყდება. და მკითხველი უზრდელობაში ნუ ჩამომართმევს, თუ იმედით აღსავსე გულით ვერ ვუ-
ლოცავთ ახალ წელიწადს.

II. ეკონომიური განკერძოება და ეროვნული ერთიანობა.

I.

ვინც ჩვენ ცხოვრებას აკვირდება, ამ ცხოვრებაში ორგვარ მოვლენას ხედავს. ერთის მხრივ, წოდებრივ და კლასსებრივ წინააღმდეგობას, მეორეს მხრივ – ეროვნული თანხმობის მიდრეკილებას. პირველ მოვლენას საფუძვლად უდევს ქონებრივი უთანასწორობა; მეორე მოვლენას შეგნება ნათესაობისა და კავშირისა განსაზღვრულ ადამიანთა შორის...

ასე რომ, ჩვენს წინ ორი პრობლემაა – ერთი ეროვნული ერთობა, მეორე – ეკონომიური განხეთქილება და წინააღმდეგობა. რანაირად შეიძლება ამ ორ მოვლენის შეთანხმება?

წინა წერილებში ჩვენ ვსცდილობდით, ასე თუ ისე, მიგვეცა პასუხი ჩვენის ცხოვრების ამ უმთავრესს კითხვაზედ, უნდა ვსთქვათ, რომ უპირატესს ყურადღებას ვაქცევდით ეროვნულ თანხმობის კითხვას და სწორედ ამისათვის ჩამოვაგდეთ ლაპარაკი საერთო მოქმედების ნიადაგზედ. ადრევაც და ეხლაც იმ აზრისა ვიყავით, რომ ჩვენს კლასთა და წოდებათა შორის **ზოგიერთ შემთხვევაში** შესაძლებელია კავშირი და რომ ეს კავშირი არსებობს კიდევაც. ხოლო არასოდეს ჩვენ არ გვავიწყდებოდა, რომ ამ კავშირს და წოდებათა და კლასთა გაერთიანებას აქვს თავისი საზღვარი. აი ეხლა სწორედ ამ საზღვარზედ გვინდა მოველაპარაკოთ მკითხველს და ამასთანავე მივცეთ პასუხი იმაზედაც, რა საფუძველი უნდა ჰქონდეს ჩვენს ეროვნულ შენობას.

კითხვა ამნაირია: რანაირად შეიძლება შევათანხმოთ ერთმანეთში კლასთა ბრძოლის პრინციპი და ეროვნება? ეს კითხვა შეიძლება სამნაირად გადავსწყვიტოთ. პირველი გადაწყვეტილების მოსაზრებით, კლასთა ბრძოლა და ეკონომიური განხეთქილება არ შეესაბამება ეროვნულ თანხმობას და მთლიანობას და ამისთვის უნდა იყოს უარ-ყოფილი.მეორე გადაწყვე-

ტილების მოსაზრებით ეროვნულ თანხმობის პრინციპი არ შეესაბამება ცხოვრებაში არსებულ კლასთა და წოდებათა შორის განხეთქილებას, და ამისათვის ეროვნულ თანხმობის პრინციპი უნდა იყოს უარ-ყოფილი. მესამე გადაწყვეტილების მოსაზრე-

ბით, ეროვნული თანხმობა შესაძლებელია მათ შორის, ვინც ეკონომიურად და პოლიტიკურად არიან დაკავშირებულნი, ე. ი. ხალხისა და სხვა წოდებათა და კლასთა იმ წარმომადგენლებისა, რომელთათვინაც ეროვნება ხალხის დაჩაგვრის იარაღი კი არ არის, არამედ იმის განვითარებისა.

პირველი მოსაზრება უნიადაგო ეროვნების დამცველია, რადგან ეკონომიურ წინააღმდეგობის უარყოფა არ დანახვაა მშრომელ ხალხის (ქალაქისა თუ სოფლისა) გაჭირვებულ მდგომარეობისა. შეგნებული ნაწილი ხალხისა ზურგს აუქცევს ამგვარ ეროვნების ქადაგებას. მეორე მოსაზრება, ლოღიკურად განმარტებული, ეროვნების უარყოფამდე მიგვიყვანს. მესამე მოსაზრების ძალით შეიძლება დაცული იყოს ეროვნული პრინციპის და ხალხის მატერიალური კეთილდღეობის საკითხიც.

ერთს ჩვენს ნაწერში ვამბობდით: „განა ჩვენი ხალხის ყველა ნაწილი ერთსა და იმავე მდგომარეობაში იმყოფებოდა, განა ძველ დროში არ იყო ნივთიერი უთანასწორობა, ღარიბი და მდიდარი, ბედნიერი და უბედური? ჩვენის ისტორიის ზედაპირული შესწავლაც გვეუბნება, რომ წარსულში, თუ არ მეტი, არა ნაკლები ქონებრივი უთანასწორობა იყო ჩვენში და რომ წოდებათა დაყოფვას ღრმა ეკონომიური საფუძველი ჰქონდა. ნივთიერი ძალა ერთი წოდების ხელში იყო, ასე რომ ეკონომიური განხეთქილება, კლასთა შეუგნებელი უთანხმოება ძველ დროშიაც იყო. ამისდა მიუხედავად, ჩვენი ხალხი რიღათითაც დაკავშირებული იყო სხვა წოდებებთან და მას თავისი შინაური მონობა ერჩივნა გარეშე ძალის მონობას. ეს რაღაც იყო – ენა, ზნე-ჩვეულება სარწმუნოება და ისტორიული ტრადიცია“...

ჩვენს დროში საქმე როგორ არის დაყენებული? შესაძლებელია თუ არა ამგვარივე კავშირი კლასთა და წოდებათა შორის? იმ ნაწერში ჩვენ ვწერდით: „ეკონომიურ წინააღმდეგობის დაფარვა ჩვენს დროში შეუძლებელია. თუ ძველად ეს წი-

ნააღმდეგობა ხშირად შეუგნებელი იყო, ჩვენს დროში იგი აშკარა შეიქმნა ხალხისათვის“.

თუ ეს ასეა, რანაირად გვსურს დავიცვათ ეროვნული მთლიანობა და ერთობა? თუ ეროვნება კავშირია, ეკონომიური ბრძოლა ხომ განხეთქილებაა, კავშირის გაწყვეტაა, ერთობის დარღვევაა. რა საფუძველზე შეთანხმდება და შეზავდება ეს წინააღმდეგობა – ამას ქვემოდ განვმარტავთ.

2.

ჩვენ ვსთქვით, რომ ძველს დროში ხალხი მაღალ წოდებასთან ერთად იბრძოდა თავის პოლიტიკურ დამოუკიდებლობისათვის და იცავდა ენას, ზნე-ჩვეულებას, სარწმუნოებას და ისტორიულ ტრადიციას. შეგნებით თუ ძალდატანებით იცავდა ხალხი თავის მამულს? ეჭვს გარეშეა, რომ ჩვენს ისტორიულ წარსულში ხალხის შეგნებას და თვით-მოქმედებას უკანასკნელი ადგილი არ ეჭირა. მხოლოდ ამ წარსულს რომ დავაკვირდეთ, და ამ წარსულში წოდებათა ურთიერთობა რომ გავითვალისწინოთ, დავინახავთ ძალ-დატანებითს სისტემას. ხალხი იმ ზომამდე შეზოჭილი და დამოკიდებული იყო ფეოდალისაგან, რომ ომში გასვლა და მტერთან ბრძოლა ამ ფეოდალის ნება და სურვილი იყო. „როცა ფეოდალი ომში მიდიოდა, გლეხები ეხმარებოდნენ ფულით, ცხენებით და ურმებით. რამდენ დროსაც დარჩებოდა ფეოდალი ომში, გლეხები თან უნდა ჰხლებოდნენ ცხენებით და ურემ-ხარ-კამეჩით“ [1]). იმ ხანაში განსაკუთრებული გადასახადიც იყო შემოღებული, რომელსაც იმერეთში „სალაშქროს“ ეძახდნენ.

იტყვიან, ასე რომ არ ყოფილიყო, საქართველო მტერს ვერ გაუძღვებოდაო. ამის წინააღმდეგ არას ვამბობ, ჩვენ მხოლოდ ის აღვნიშნეთ, რომ ჩვენი ხალხი თავისუფლად არ გადიოდა ბრძოლის ველზე. ის ასრულებდა ბატონის ბრძანებას და ამ ბატონის ბრძანება არ შეეძლო არ აესრულებინა, რადგან თითქმის სრული მონა იყო მისი. გადაიკითხეთ ეგრედ წოდებული „დასტურლამალი“ და თქვენ დარწმუნდებით, რომ გლეხი იყო ფეოდალის ხელში იარაღი კერძო ინტერესების დასაცავად.

---

[1]) Податное облаж. гос. кр. – Бахтадзе.

სხვა გარჯის და ხარჯის გარდა, რომელსაც ეწეოდა გლეხი მებატონეს სასარგებლოდ, ის თავის კერძო ცხოვრებაშიაც არ იყო თავისუფალი. ასე, ჩხუბი რომ მოსვლოდა ორ გლეხს და ერთს მეორისთვის თავი რომ გაეტეხა, მებატონე თავის თავის სასარგებლოდ დამნაშავეს ხარს ართმევდა. გლეხის ქვრივი რომ გათხოვილიყო, სიძეს ბატონისთვის უნდა მიეცა ფული შეძლების დაგვარად 10-50 მანეთამდე („საქვრივო“). ამნაირადვე ფული უნდა გადაეხადა გლეხს თავის ქალის გათხოვების დროს („საჩექმე“.) მებატონე მოახლედ გლეხის ქალს აიყვანდა ხოლმე, რომელსაც ხშირად ან მზითვად ატანდა, ან აჩუქებდა ვისმეს, ან გაჰყიდდა [1]). იმერეთში, მებატონე ქალიშვილს აძლევდა, „მოჯალაბეს“ რომელსაც ხასად იყვანდა

ხოლმე, და სხვა-და-სხვა.

ერთის სიტყვით, მებატონე ყმების მესაკუთრე იყო და თავის საკუთრებას სურვილისამებრ ხმარობდა. ამას თვით ძველი დროის თავად-აზნაურობა აღიარებს, რომელიც „საქართველოს უმაღლესს მმართველობასთან“ წარდგენილ მოხსენებაში ამბობს, რომ „მებატონის უფლება გლეხებზე განუსაზღვრელია და მხოლოდ იმითი გაირჩევა მეფის უფლებისაგან, რომ სასიკვდილოდ დასჯისათვის პასუხის მგებელიაო“ [2]).

ყველა ეს უნდა გვახსოვდეს, როდესაც ლაპარაკს ჩამოვაგდებთ ხოლმე წარსულ ისტორიის ეროვნულ მთლიანობაზე და ერთობაზე. ეს მთლიანობა და ერთობა **ძალ-დატანებითი** ხასიათისა იყო, რადგან ხალხს დამოუკიდებელ მოქმედების და ცხოვრების უფლება ჰქონდა წართმეული. ვიმეორებთ, ჩვენ არ უარვყოფთ, რომ, მიუხედავად ხალხის დამონავებისა, მას მაინც გარეშე მტერს თავისი მებატონე ერჩივნა, რადგან მებატონე იმის გასაგებ ენით ლაპარაკობდა, იმისთვის ძვირფას ხატებს თაყვანსა სცემდა და ქართველურ ზნე-ჩვეულებას იცავდა. ასე რომ, თუ იყო რაიმე კავშირი წოდებათა შორის, ეს კავშირი სწორედ ამ ნიადაგზე იბადებოდა. ხოლო ამასთან ვამბობთ, რომ ამ კავშირს ძალდატანებითს ხასიათს აძლევდა წარსულ ცხოვრების წყობილება, როდესაც ხალხი ჯაჭვით იყო შებო-

---

[1]) დასტურლამა.

[2]) Подат. облаж. гос. кр.

ჭილი და მთელ თავის ზნეობრივ და ფიზიკურ ღონეს სხვის კეთილ-დღეობას ანდომებდა.

ვისაც თავი მოაქვს იმითი, რომ ჩვენმა ისტორიამ არ იცის „ჟაკერია“ და „გლეხთა ამბოხება“, უნდა იცოდეს, რომ ეს „ჯაჭვის“ სიმაგრისა და ისტორიულ გარემოებათა ნაყოფია და არა ხალხის კმაყოფილებისა.

ეხლა „ფეოდალიზმი“ მოისპო და ამასთან დაიკარგა იურიდიული განსხვავება „დიდებულ“ თავადიშვილის და „ცალ-მოგვი“ აზნაურს შუა. „მოჯალაბეც“ არაფრით არ განსხვავდება „მებეგრეთაგან“. თუ მათ შორის არის რაიმე განსხვავება, – ეს განსხვავება ქონებრივია. ერთს მეტი მამული აქვს, მეორეს ნაკლები, ერთს შეუძენია „ნადელი“, მეორეს არა. და როცა თანამედროვე წოდებათა შორის განწყობილებაზე ჩამოვარდება ხოლმე ლაპარაკი, სწორედ ეს გარემოება – ქონებრივი უთანასწორობა – უნდა გვქონდეს მხედველობაში. და რა კი ამ საფუძველზე შევდგებით, დავინახავთ, რომ თანამედროვე

პირობებში, წოდების ადგილს თანდათან „კლასი“ იჭერს. გუშინდელი მებატონე დაქვეითდა. მის ადგილზე აქა-იქ გუშინდელი ყმა აცოცდა. ხოლო რადგანაც საერთოდ აღებულ თავად-აზნაურობას დღესაც მაინც მეტი ქონება აქვს, ვიდრე გლეხკაცობას, ამისათვის სიტყვა „წოდება“ ჯერ კიდევ არ დაძველებულა, რადგან ყოველი სხვა უპირატესობა (თუნდაც ის, რომ აზნაურობას მეტი უფლებანი აქვს მინიჭებული მოქალაქობრივ ცხოვრებაში) ამ ქონებრივ უპირატესობაზეა აშენელი.

ამასთან ჩვენი ცხოვრების ახალი პირობებიდან წარმოსდგა ახალი მოვლენაც. ჩვენებურ ქალაქებს და დაბებს თანდათან ევროპიულ ქალაქების და დაბების სახე ეძლევათ. ჩვენს ქალაქებშიაც გროვდება სიმდიდრე, ჩვენს ქალაქებშიაც ზოგი ამ შეგროვილ სიმდიდრის მესაკუთრე და პატრონია, ზოგი მისი მკეთებელი. ჩვენშიაც, სხვა-და-სხვა სახით დღიური მუშა და მუშის დამქირავებელი პატრონი გაჩნდა. სახლის პატრონი იჭერს ხელზე მოსამსახურეს, ვაჭარი – ნოქარს, მექარხნე – მუშას, ხელოსანი – შეგირდს. ქონებრივმა უთანასწორობამ ქალაქებშიაც იჩინა თავი და აქ გაჩნდა კლასთა წინააღმდეგობა.

ამრიგად ჩვენ ვხედავთ, რომ ეროვნულ მთლიანობის და ერთობის დამრღვეველი ელემენტი თანამედროვე ცხოვრებაში

მეტია, ვიდრე ძველს წარსულში. მებატონეს იურიდიული ძალა დაეკარგა, ქონებითაც დაეცა. ხალხს თავის ინტერესების შეგნება მოემატა და „ბატონის“ უღელს გაურბის. შემბოჭველ ჯაჭვის რგოლები აქა-იქ ამოვარდნენ და თვით-მოქმედებას მეტი გზა მიეცა.

ამ გზით რომ ვიაროთ, დაირღვევა თუ არა ჩვენი ეროვნული სიმრთელე? თუ ძველ დროში ჩვენი „ერთობა“ ცოტა არ იყოს ნაძალადევი იყო, მომავალში რა უნდა ედვას საფუძვლად ამ ერთობას?

სანამ მივცემდეთ ამაზე პასუხს, უნდა ციფირებით და ფაკტებით გავითვალისწინოთ ჩვენებურ კლასთა და წოდებათა ურთიერთობის, ხასიათი და ამასთან ავხსნათ, რა არის ეროვნული მთლიანობა და როგორ უნდა გვესმოდეს ეროვნული ერთობა?

3.

ვინც ამბობს, ჩვენში ეკონომიური გაკერძოება და წინააღმდეგობა არ არისო, უნდა დაამტკიცოს, რომ ხალხს ცხოვრების სახსარი საკმარისი აქვს და იგი კმაყოფილია თავის ბედით. ვინც ამას ვერ დაამტკიცებს, იძულებული იქმნება სი-

ნამდვილეს ასცილდეს და სამოთხის ნეტარებათ სცნოს ჩვენი ხალხის მდგომარეობა. „ივერია“ სწორედ ამას სჩადის. და თავის აზრის დასასაბუთებლად „გზა-დაბნეულთ“ საყურადღებოდ ხალხური სიმღერაც მოჰყავს, რომლითაც უნდა დაგვიმტკიცოს, რომ „უბოროტო ძარღვი ჩვენის ერის უბოროტო გულისა სხვაფრივ სძგერს“. „თავზე დამექცეს ცა რისხვით, სხივი ვერ ვნახო მზისა მე, მაღალი ღმერთი გამიწყრეს, **თუ რამ ვინდომო სხვისა მე**“. – აი ასე მღერის ჩვენი გლეხი, ჩვენი მუშა და სწორედ ასეთს ზეციურ მოძღვრებაშია ჩვენი იმედი და მერმისი“ – დასძენს შორს-მხედველი „ივერია“ (№ 1).

ხოლო „ივერია“-ს კარგად უნდა მოეხსენებოდეს, რომ კაცი მაშინ არას ინდომებს სხვისას, როცა თავისით სჯერდება, თავისი საკმარისი აქვს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ის სხვას შეჰყურებს და სულ იმის ფიქრსა და ცდაშია, რომ „სხვისით“ შეივსოს თავისი დანაკლისი. აშკარაა, „ივერია“-ს ჰგონია, რომ ჩვენი ხალხი მატერიალურის მხრივ სრულიად დაკმაყოფილებულია და სჯერდება იმით, რაც აქვს. ვნახოთ, რამდენად მართალია ყოველივე ეს.

ტფილისის გუბერნიაში თავად-აზნაურობის საკუთრებას შეადგენს 3327 მამული. მემამულეთა ხარისხი (მამულის სიდიდის მხრივ) მრავალ-გვარია. საერთო რიცხვიდან 10 პროცენტი მემამულეა, რომელთაც აქვთ მხოლოდ ორ დესეტინამდე, 8 ჭპროც. – 3-4 დეს., 9 პროც. – 5 -8 დეს., 12 პროც. – 9-19 დეს., 11 პროც. – 20-36 დეს., 12 პროც. 37-72 დეს., 16 პროც. – 73-190 დეს., 9 პროც. 191-380 დეს, და 13 პროც. – 380 დეს. მეტი. 16 მამული იმისთანაა, რომ თითო 10,000 დეს. აღემატება. უდიდეს მამულში 69,000 დესეტინაა [1]). ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობას აქვს ერთი მილიონი დეს. უვარგისიც რომ მიუმატოთ, გამოვა 1,260,406 დესეტინა.

ქუთაისის გუბერნიაში თავადაზნაურობის ხელშია 9231 მამული, ე. ი. 42 პროცენტი გუბერნიის სივრცე-სიგანისა. დდი მამულების რიცხვი (თითო 380 დეს. მეტი) – 261. ხოლო წვრილი მამულებისა (0 – 380 დეს.) 7574. 261 დიდ მამულში მხოლოდ 9 იმისთანა, რომელთაც უჭირავთ 358,000 დესეტინაა.

ქართლ-კახეთთან შედარებით, იმერეთში მამული შესამჩნევად დაიკუწა და რიცხვით იმატა. 1889 გამიჯნეს 864 მამული, ხოლო თითო მამული შეიცავდა 12 დესეტინას. შემდეგის ცხრილიდან დავინახავთ ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიაში თავად-აზნაურთა მიწის-მფლობელობის შედარებითს

მდგომარეობას.

გუბერ-ნიები	რაოდენობანი მამულებისა, რომელთა სი-ვრცე 380 დეს. არ აღემატება.	რაოდენობა მამ., რომელთ სივრცე (თი-თოსი) 380-6000 დეს.	6000 დეს. მეტი.
ტფილისის ქუთაისის			
ჯამი			

[1]) ცნობებს ვიღებთ: Сборникъ статистическихъ данныхъ о землевладѣніи и способахъ хозяйства въ пяти губ. зак. края 1899 г.

ამ ცხრილიდან ვხედავთ, რომ დიდ მემამულეთა რიცხვი ტფილისის გუბერნიაში ორად მეტია, ვიდრე ქუთაისისაში. პირიქით, წვრილ მემამულეთა რიცხვი იმერეთში ოთხჯერ მეტია, ვიდრე ამერეთში. რამდენი დესეტინა ერგება თითო სულს? ამერეთ-იმერეთში 77,056 თავად-აზნაურია. ასე რომ ტფილისის გუბერნიაში, სადაც თავად-აზნაურობას ერთი მილიონი დეს. აქვს, თითო სულზე მოდის 38 დეს.; ქუთაისის გუბერნიაში – 16 დეს., ე. ი. ორად ნაკლები. პირადი აზნაურები თუ არ მივიღეთ მხედველობაში, ამერეთში თითო თავად-აზნაურს ერგება 54 დეს., ე. ი. 3½-ჯერ მეტი, ვიდრე აქვს იმერეთის თავად-აზნაურობას.

ვნახოთ ახლა, რა აქვს ჩვენს გლეხობას. ჩვენი გლეხობა ოთხ ხარისხად იყოფება: სახაზინო გლეხები, დროებითი ვალდებულნი, ხიზნები და მესაკუთრენი. სახაზინო გლეხთა რაოდენობა ამერეთში 309,086. მათ აქვთ საკუთარი მიწა მხოლოდ 9,757,45 დესეტინა. სახაზინო მიწა უთანასწოროდ არის განაწილებული მკვიდრთა შორის. 20 სოფელში, მაგალითად, თითო კომლს აქვს 0-1 დეს. მიწა. 26-ში – 1 – 2-დე; 44-ში 2 – 3-დე და სხვა. სახაზინო გლეხები, როგორც წინადაც გვქონდა ამაზე ლაპარაკი, მიწის მოსარგებლენი არიან და არა მესაკუთრენი. მათი სვე-ბედი „სახელმწიფო მოსაზრებათა ცვალედობაზეა დამყარებული“. ასე რომ მათ ბედს აგრე რიგად არ უნდა შევნატროდეთ. რაიც შეეხება ხიზნების მდგომარეობას ამერეთ-იმერეთში, მათი მდგომარეობა შეიცვალა ქუთაისის და ტფილისის თავად-აზნაურთა თხოვნის მიხედვით (2 ივნ. 1900 წ.). წინად მებატონეს რომ აეყარა მიწიდან ხიზანი,

უნდა ორად მეტი მიეცა იმაზე, რაც დაეხარჯა ხიზანს მამულის აშენებაში. ახალი კანონის ძალით (მუხ. 2), მემამულე მამულის გაკეთებისათვის და გაუმჯობესებისათვის აღარაფერს უზღავს ხიზანს.

ხიზანთა კითხვა, სხვათა შორის, იმას გვიმტკიცებს, რომ, როდესაც კი თავად-აზნაურობა თავის წოდებრივ ინტერესებს არა სცილდება, აუცილებლად უნდა დასჩაგროს მშრომელი ხალხი. მისი ეკონომიური გამაგრება, ხალხის ეკონომიურად დასუსტებას მოასწავებს. ამას შემდეგში ნათლად დავინახავთ.

დროებით ვალდებულ გლეხებს ამერეთში გამოუყიდიათ 25,254 დესეტინა. ხოლო გამოუყიდელი დარჩა 45,256 დეს.

მემამულეთა დამოკიდებულებიდან არ განთავისუფლებულა 70 % დროებით ვალდებულ გლეხებისა. იმერეთში 48,261 კომლში ნახევარს გამოუყიდნია „ნადელი“. გამოყიდული მიწა, ორთა შუა რიცხვით, იმერეთში 4 დესეტინას შეიცავს. ღირსშესანიშნავია, რომ იმერეთის წვრილი აზნაურობაც, ამ მხრივ, ბევრად არ განსხვავდება გლეხობიდან.

მესაკუთრეთა რიცხვი ამერეთში 8,363 კაცია, რომელთაც აქვთ 97,921 დეს. იმერეთში მესაკუთრეთა რიცხვი – 245,308, რომელთაც უჭირავთ 24,451 დეს. მიწა. ასიდან 89 აქვს 0 – 44 დესეტინამდე, 11 – 4 – 8 დეს.

ამ ცნობებიდან სჩანს, რომ თავად-აზნაურობას, რომელიც რიცხვით ათჯერ მაინც არის ნაკლები გლეხობაზე, ამერეთის მესაკუთრეთა გლეხობაზე შვიდჯერ მეტი აქვს მამული, (38 დეს. თავ.-აზნ. 5 დეს. გლეხს). იმერეთის გლეხობაზე ოთხჯერ მეტი (16 დეს. თავად-აზნაურს, 4 დეს. მესაკუთრე გლეხს). ეს ორთა შუა რიცხვის ანგარიშია. ამავე ცნობებიდან სჩანს, რომ იმერეთში თავად-აზნაურობის მამული მეტის-მეტად დაწვრილმანდა და საზოგადოთ იმატა წვრილ მესაკუთრეთა რაოდენობამ. ეს გარემოება იმერეთში ბევრად ამცირებს კლასთა შორის წინააღმდეგობას. ხოლო მიუხედავად ამისა, ამერეთს რომ არ შევადაროთ, იმერეთში მაინც რჩება ჯერ-ჯერობით ნიადაგი ეკონომიურ ინტერესთა შეჯახებისათვის. ნუ დავივიწყებთ, რომ იმერეთში 9 მესაკუთრეა, რომელთაც საერთოდ აქვთ 368,000 დესეტინა და 259 მესაკუთრეს – 176,000 დეს. სანამ არ დამთავრდება მამულების ნაჭერ-ნაჭერ დაყოფის პროცესსი და არ მოისპობა თვალსაჩინო ეკონომიური უთანასწორობა მწარმოებელთა და მიწის მფლობელთა შორის, იმ დრომდე ჩვენ ვიქნებით მოწამენი კლასთა შორის ინტერესთა შეუთანხმებლობისა და წინააღმდეგობისა.

ამერეთში მმგვარი შეუთანხმებლობა, რასაკვირველია უფ-

რო თვილსაჩინოა – მამულების დაკუწვის პროცესს მეტი დაბრკოლება უჩნდება გზა-და-გზა. დიდი მამულები უცხოელების ხელში გადადის და ამრიგად აქეთ დიდი მამული თითქოს კაპიტალიზაციის გზას დაადგა და რამდენადაც მეტად დამყარდება ამერეთში ამგვარი პროცესი, იმდენად მეტად აღმოჩნდება და გამწვავდება ინტერესთა შეუთანხმებლობა.

ქალაქებში შეგროვილ სიმდიდრის მესაკუთრეთა და ამ

სიმდიდრის მკეთებელთ შორის, არსებითად, იგივე პროცესი ხდება რასაც ვხედავთ სოფელში.

ამბობენ ხოლმე, რად გინდათ, რომ ამ უთანხმოებას ხაზს უსვამთ. ეს ავნებს ეროვნულ საქმეს. ჩვენ ეროვნების გაერთიანების ზრუნვაში უნდა ვიყვნეთო.

ჩვენ გვგონია, რომ რაც უფრო მეტს დავმალავთ, რაც დასამალი არ არის, ეროვნულ საქმეს სწორედ მეტს ზიანს მოვუტანთ. სინამდვილე კარგად უნდა გვქონდეს გათვალისწინებული – ეს არის ერთად ერთი უტყუარი წარმატების გზა.

ჩვენ არ ვამბობთ, რომ ჩვენს წოდებათა და კლასთა შორის ყოველგვარი კავშირი გაწყვეტილია, რომ მათ არც ერთი საერთო ინტერესი არა აქვთ. ამაზე უწინაც გვქონდა ლაპარაკი და ეხლაც ვამბობთ, რომ **წმინდა** კლასთა ბრძოლის პრინციპი იმიტომ არ გამოდგება პრაქტიკულ მოქმედებისათვის, რომ ჩვენში ყველა წოდებანი და კლასები **ერთნაირად** არიან დაინტერესებულნი თვითმართველობის, ერობის, ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტების შემოღებით; ერთიანად არიან აგრეთვე დაინტერესებულნი, რომ ქართველ ერის ტერიტორია მასვე დარჩეს და ქართული ენა არ გადაგვარდეს. ყველა ეს შორის არის გადებული, ხოლო ამ მოქალაქობრივ და პოლიტიკურ კითხვების გარედ სწყდება წოდებათა და კლასთა შორის კავშირი.

რამდენად ჩვენი თავად-აზნაურობა და ახლად წარმოშობილი ნორჩი ბურჟუაზია ამ საეროვნო ნიადაგზე იდგება, იმდენად იგი დაკავშირებული იქმნება მთელ ხალხთან და ხელს შეუწყობს ეროვნულ მთლიანობას. ხოლო ყოველთვის, როდესაც კი თავად-აზნაურობა ან ბურჟუაზია ასცდება ამ ნიადაგს და თავის კერძო ინტერესების ზრუნვაში იქმნება, მაშინ იგი ხელს შეუშლის ეროვნულ მთლიანობას.

ყველა ამას უკეთესად შევითვისებთ, როდესაც ზედმიწევნით განვმარტავთ ამ კითხვას, და გავიგებთ, რომ, თუ ევოლიუციის ძალით, დღეს წოდებათა გაუქმებამდე მივედით, იმავე ევოლიუციის ძალით, მომავალში უნდა მივიდეთ ეკონომიურ უთანხმოებამდის მოსპობამდე.

4.

ერის ცხოვრებაში ეკონომიური განკერძოება ჰნიშნავს კლასთა და წოდებათა განკერძოებას. საზოგადოებრივ ორგანიზაციაში, რომელიც სხვა-და-სხვა ჯგუფებიდან შესდგება, ამგვარი განკერძოება აუცილებელია, მით უმეტესს, როდესაც ერთი ამ ჯგუფთაგანი ეკონომიურად მაღლა სდგას დანარჩენ ჯგუფებზე. ეკონომიური განკერძოება ერის ცხოვრებაში ის განზე გამწევი, ლტოლვილების ძალაა, რომელიც არღვევს და შლის ერის სიმრთელეს. პირიქით, ეროვნული ერთიანობის მიდრეკილება შინ, ცენტრისკენ, მიმზიდავი ღონეა,რომელიც სცდილობს გაორკეცებული გააერთიანოს და დარღვეული გაამრთელოს.

ამ ორ ძალთა შეტაკებაში გამოისახება ერის ძარღვის ცემა, მის საიდუმლო სიცოცხლის მიმდინარეობა. ეს ის პროცესსია, რომლის საშუალებით შინაურ ცხოვრებაში აღმოცენებული უსამართლობა და უთანასწორობა თანდათან ისპობა და ჰქრება. ამ შეტაკებიდამ წარმოიშობა განსაზღვრულ თავისუფალ ადამიანთა შორის თავისუფალი განწყობილება – სწორედ ის, რაც ამართლებს ერის განცალკევებულ არსებობას.

მაგრამ, როგორ მოხდება ყოველივე ეს, თუ კი ერის შემადგენელ კლასებს შორის უთანხმოებაა და ბრძოლა? თუ ორი მოპირდაპირე ერთმანეთში მოურიგებელია, თანხმობის ჩამოგდება ფრიად გაძნელებულია.

წინა წერილებში ჩვენ აღვნიშნეთ, რომ ჩვენს წოდებათა და კლასთა შორის ხიდია ჩატეხილი ერთს უმთავრესს ადგილას. ქონებრივი უთანასწორობა ის მკვიდრი კედელია, რომელიც ჰყოფს ჩვენს ერს ორ ბანაკად. ხოლო მეორეს მხრივ, მოქალაქოებრივ საერთო ინტერესებს აქა-იქ ჩაუნგრევიათ ეს კედელი, ამოუღიათ ქვები და დაუშლიათ გადუვალი საზღვარი. მაშ როგორ უნდა დაბოლოვდეს ამ კედლის დანგრევის საქმე? ხომ ყველასათვის აშკარაა, რომ არც ერთი კლასი (მით უფრო უსაქმური) თავის ადგილს არავის დაუთმობს და ზოგადი მოსაზრების ძალდატანებით არ იმსხვერპლებს თავს სხვის სასარგებლოდ. თუ ეს ასეა, ჩვენ მივედით სწორედ იმ საზღვრამდე, რომელიც ჩვენს კლასთა შორის გაერთიანების და განკერძოების საზღვრად ჩაითვლება.

„ქართველობის“ ნორმალურ გაერთიანებას გზაში ეღო-

ბება ორი მოვლენა: ფეოდალიზმის ნარჩენი, ერის ერთის ნაწილის წოდებრივი უპირატესობა და ბურჟუაზიის ფეხზე დადგომა, ერის მეორე ნაწილის ქონებრივი უპირატესობა. ფეოდალიზმს ბოლო მოუღო ისტორიულმა გარემოებამ. მემამულეთა უსაქმიანობას გვერდში ამოუდგა თვით-მომქმედი გლეხობა. და გლეხობის ამ თვით-მოქმედებამ და შეგნებამ იმერეთში, მაგალითად, სახე უცვალა ძველად დამყარებულ მიწის მფლობელობის წესს. გლეხი თანდათან წვრილ მესაკუთრეთ ხდება და თავად-აზნაურიც იმის საფეხურამდე ჩამოდის. პირველ პროცესს აუცილებლად უნდა მოჰყვებოდეს მეორე პროცესი. ქარლთ-კახეთიც ამ გზაზე შედგება - სხვა გასავალი არსად არის. ცხოვრების გაკვეთილი და მოთხოვნილება ამას გვასწავლის. და როცა ყოველივე ეს დამთავრდება და დაიბადება ნიადაგი ახალ ეკონომიურ ევოლუციისათვის, მაშინ ეროვნულ გაერთიანებისათვის ერთ დაბრკოლებას ავიცილებთ თავიდან და დაგვრჩება მეორე, ამ ჟამად ჯერ კიდევ სუსტი, ხოლო მომავალში გაძლიერებული და გაღონიერებული – ბურჟუაზული ქონებრივი უპირატესობა.

როდესაც მე წინად ბურჟუაზიის წარმოშობვის აუცილებლობაზე ჩამოვაგდე ლაპარაკი, მოპირდაპირეებმა ხალხზე გაბატონების სურვილი დამწამეს, ბურჟუაზიის იდეოლოგად გამხადეს და მთავარ-სარდლის ხარისხამდეც ამიყვანეს. ამ ჩემს სარდლობას და ღენერლობას თავ-გამოდებით ხაზს უსვამდნენ. მე კარგა ხანს არ მესმოდა ამგვარი გულკეთილობა მოპირდაპირეებისა – ეს ჩემი სარდლობა და ბურჟუაზიის წინამძღოლობა რად უნდათ-მეთქი. ბოლოს გავიგე და მივხვდი, რა უნდოდათ.

თუ ბავშვების თამაშობისთვის გიდევნებიათ ოდესმე თვალყური, ანუ თუ თქვენი ბავშვობა არ დაგვიწყებიათ, მოიგონებთ, რომ პატარები ხშირად „ავაზაკობას“ ან „ომიანობას“ თამაშობენ ხოლმე. ერთს „ქარიმას“, მეორეს „ტატო წულუკიძის“ სახელს უწოდებენ. ერთი თათრის „ღენერალია“, მეორე რუსის „პოლკოვნიკი“, მესამე ბურების გმირი „დევეტი“ და სხვ. ბავშვები გატაცებით, თავდავიწყებამდე თამაშობენ ამგვარ სათამაშოებს. მუდმივი ცხოვრება უფერულია, არც გმირობა სჩანს, არც ომიანობის ჭექა-ქუხილი. „თამაშობა“

ოცნებას უბადავს და ცხოვრების ერთ-გვარობას არღვევს. ბავშვს მართლა ჰგონია, ღენერალი დევეტი ვარო, თითონაც სიამოვნებს და თავის მეგობრებსაც ასიამოვნებს.

უნებლიედ მაგონდება ხოლმე ბავშვების ამგვარი თამაშობა, ვუკვირდები რა ჩემ მოპირდაპირეთა თავ-დავიწყებამდე მი-

სულ თარეშობას. მართლაც და, თუ კი მე ბურჟუაზიის ღენერალი ვარ, სხვა ვინმე რატომ არ უნდა იყოს დემოკრატიის ფელდმარშალი? მოპირდაპირე რაზმებს წინამძღოლი უნდა ჰყავდეთ. ამას ბრძოლის ტაქტიკა მოითხოვს. და საცა ფელდმარშალია, იქ სხვა ხარისხის „ჩინებსაც“ ურიგებენ ხოლმე. არავის არ აწყეინებენ, მოიგონებენ და თავ-თავის ადგილს გაამწესებენ... საუბედუროდ, ეს სარჩული ედვა ჩვენს „მემარცხენე“ ბანაკში ატეხილ ალიაქოთს.

ბურჟუაზიას ჰქმნის ვაჭრობა და მრეწველობა. ვაჭრობა და მრეწველობა საჭიროა, როგორც ადგილობრივ ხალხის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის, ისე ერთა შორის კავშირის გამტკიცებისათვის. დღეს ამგვარ აგენტად ევროპა-ამერიკაში ბურჟუაზია – ხალხის ერთი ნაწილი, რომლის ხელში ფული და წარმოების იარაღია. დღეს ხალხის მოთხოვნილებას (ჭამა-სმის, ჩაცმა-დახურვის, სადგომების და სხვ.) ბურჟუაზიული აგენტები აკმაყოფილებენ. ხოლო მთელ მოგებას თვითონვე იღებენ. საერთაშორისო ვაჭრობა-მრეწველობაც ამ აგენტების ხელშია და აქაც სარგებლობა მათვე რჩებათ.

სიმდიდრეს შრომა ჰქმნის. ხოლო სიმდიდრის შემუშავებისათვის საჭიროა იარაღი. ეს იარაღი ფული და ქარხნის მოწყობილებაა. დღეს სამუშაო იარაღი – ფული და ქარხნის მოწყობილება ბურჟუაზიის საკუთრებაა. უმთავრესი წინააღმდეგობა აწინდელ ეკონომიურ ცხოვრებისა ის არის, რომ ყველგან წარმოება საზოგადოებრივია და ამ ნაწარმოების ხმარება და საკუთრება კი განკერძოებული – ინდივიდუალური. და სანამ ეს წინააღმდეგობა საზოგადოებრივ წარმოებასა და კერძო დასაკუთრებას შორის არ მოისპობა, ეკონომიურ ცხოვრების წინააღმდეგობა მწვავე იქნება. თანამედროვე ცხოვრების მიმდინარეობა ამ გამწვავებულ უთანხმოების გაუქმებისაკენ მიისწრაფვის. ჩვენი ბურჟუაზია დღეს ჯერ კიდევ ნორჩია, მან გუშინ აიდგა ფეხი. ხოლო ეჭვ გარეშეა, რომ იგი გაიზრდება და ამ ზრდაში გამაგრდება.

ამ გარემოებამ არ უნდა შეგვაშინოს ჩვენ, თუ მხედველობიდან არ დავკარგეთ საბოლოვო მიზანი, თუ სახელმძღვანელო აზრი ჩხუბსა და გაუგებრობას არ გავაყოლეთ.

თუ ერი ცოცხალია და დემოკრატული მიმართულება მტკიცეა, ბურჟუაზიის ძალღონის მოხმარებაც შესაძლებელია ერის და დემოკრატიის სასარგებლოდ. საქმე მხოლოდ ის არის, რომ უმრავლესობაში თვითცნობიერება და თვით-შეგნება იყოს გაღვიძებული.

ჩვენ წინდაწინვე უნდა ვიცოდეთ, რომ ცხოვრების პრო-

ცესი რკინის ლიანდაგზე დაყენებულ „ვაგონეტკას“ არა ჰგავს, რომ ცხოვრების ყოველი ნაბიჯი დაბრკოლებას ეღობება და ხშირად ტკივილის ფასით იყიდება

თუ გადავწყვიტეთ, რომ ბურჟუაზულ ხანას ჩვენ ვერ ავსცდებით, ამასთანავე სხვა რამეც უნდა გადავწყვიტოთ, სახელდობრ ის, რომ ჩვენ არ ავსცდებით იმასაც, რაც მოსდევს ხოლმე ბურჟუაზულ ხანის დამყარებას, ჩვენ არ ავსცდებით შრომის და კაპიტალების უთანხმოებას და წინააღმდეგობას.

გამართლება ამ უთანხმოებისა, მხარის მიცემა ბურჟუაზიისათვის და ზურგის ქცევა ხალხისაკენ - ეს ბურჟუაზიის მოსარჩლეობა იქნება. ხოლო ფაქტის აღნიშნვა, არ დამალვა იმისი, რომ ბურჟუაზია თანდათან გაძლიერდება, სურვილი ამ გაძლიერების გამოყენებისა ხალხის სასარგებლოდ – ეს ამ ხალხის ინტერესების დაცვაა და მოსარჩლეობა.

როგორც წინად, ეხლაც ვამბობ, რომ არც ბურჟუაზიასთან ურთიერთობისათვის გამოდგება ჩვენში **მარტო** და **მხოლოდ** წმინდა კლასთა ბრძოლის პრინციპი. როგორც თავადაზნაურობის უფლებებით შეიძლება სარგებლობა მოქალაქობრივ წყობილების გაუმჯობესებისათვის, ქართულ ბურჟუაზიის ძალის გამოყენება შეიძლება უცხოელების ეკონომიურ ძალდატანების შესამსუბუქებლად და თვით ეროვნულ დაწესებულებათა გასაღონიერებლად. ჩვენ არამც თუ ვერ წავართმევთ თავადს და ბურჟუას საერთო საქმისათვის სამსახურის სურვილს, პირიქით, ხელიც უნდა შევუწყოთ ამ სურვილის გაძლიერებას.

ამრიგად, ჩვენ მიერ დაყენებულ კითხვას რომ დავუბრუნდეთ საბოლოვოდ უნდა ვსთქვათ:

ეროვნულად გაერთიანებული ჩვენი კლასები და წოდებე-

ბი იმ დრომდე არიან და იქნებიან, სანამ ყველა კლასებს და წოდებებს **რაიმე** საერთო ექნებათ. დღეს ამ „რამეს“ საზოგადოებრივის თვით-მოქმედების და უცხოელებისაგან ეკონომიურ დამოუკიდებლობის მოპოება და მონიჭება შეადგენს. როცა ეს „რამე“ მოპოვებული იქმნება, მაშინ ჩვენს ეროვნულ მთლიანობას სხვა ელემენტები შეადგენენ – ისინი, ვინც ჰქმნიან ეროვნების საფუძველს სიმდიდრეს, ე. ი. ხალხი. ეს მომავალის საქმეა.

III. „ლიბერალიზმის“ გამო.

1.

ჩვენისთანა მიზეზიანი საზოგადოება ძნელად წარმოსადგენია. გულს ვერაფრით ვერ მოუგებთ. დასწერთ ფაქტებით და ციფრებით დასაბუთებულს წერილს, დაასახელებთ ცხოვრების მოვლენას თავისი ნამდვილის სახელით, გიწყრებიან. გეუბნებიან, რომ გაკლიათ საზოგადო თეორეტიული მომზადება, აზროვნული შორს-მხედველობა ჩამოაგდებთ ლაპარაკს ზოგად კითხვებზე, მეცნიერება-ფილოსოფიაზე, გაყვედრიან, მაღალ ფარდებში დაფრინავ, ცხოვრებას გაურბიხარო. შეაერთებთ ცხოვრების მოვლენას და მეცნიერულ დასკვნას, ფაქტს და თეორიას ერთმანეთში შეაზავებთ; ეცდებით რომელიმე თეორია ცხოვრების განმარტებით აღსნათ, ან ცხოვრებას თეორიის და მეცნიერულ აზრის საშუალებით ნათელი ჰფინოთ, აღელვდებიან, აღშფოთდებიან, ჩაგქოლავენ, როგორ თუ სთქვი ის, რაც სთქვი. ჯერ ახალგაზრდა ხარ, შენი აზრი დაუმწიფებელია, ცხოვრებაში გამოუცდელი ხარ. ყველა, რაცა სთქვი, სიფიცხით მოგივიდა, აჩქარებით. მართალია, ძალიან არ გიწყრებითო, ნორჩი და ჭაბუკი ხარ, ხოლო მეორეთ არ გაბედო და არა სთქვა იმისთანა, რაც ჩვენ არ მოგვწონს და რასაც ჩვენ ვერ თანაუგრძნობთო.

აი ამას მოგახლიან ხოლმე თავში. ჩვენში საკამათო იარაღი აზრი, საბუთი და პრინციპი კი არ არის, არამედ ის, თუ ვის რა წიგნი წაუკითხავს და ვისი პატივისცემა აქვს, ვინ რამდენის წლისაა და რა წოდების და წრის კაცია.

გაბედეთ და სთქვით, რომ „სახელმწიფოს ფსიხოლოგია“

მეტაფიზიკური მცნებაა; ან რომ სპენსერის და კონტის ავტორიტეტით არაფრის დამტკიცება არ შეიძლება, თუ თვით მათ აზრთა განმარტებას ზურგს უქცევთ, სთქვით, რომ ჩვენი ძველი თაობის მოძღვრებაში – ლიბერალიზმში – ბევრი ნაკლულევანებაა და არსებითი წინააღმდეგობა, – მკითხველი საზოგადოება, მეტადრე ხანში შესული ჩვენი მწერლობა, მხრების აწევით გაკვირვებას გიცხადებთ და სინანულით და ნაღვლიანათ გაიძახის, „რას იზამთ, როცა ასეთია სიჭაბუკე, იგი არასფერს არ უფრთხისო“.

ეს ფრიად შესანიშნავი ზნეა ჩვენი საზოგადოებისა. ამ მოვლენას რომ ჩაუკვირდეთ, ჩვენი საზოგადოების ბავშვობის და აზრის დაუმწიფებლობის ნიშნებს აღმოაჩენთ. ეტყოფა, ჯერ კიდევ არ დარღვეულა ჩვენი საზოგადოების ერთგვარობა და მრავალგვარობას ნიადაგი არ გაუკეთებია. ჯერ კიდევ იმ საფეხურზე ვდგევართ, როდესაც „მწყემსი“ და მისი „ფარა“ შეადგენს საზოგადოებრივ ხასიათს, როდესაც „უფროსის“ ურჩობა მომაკვდინებელ ცოდვად ჩაითვლება და როდესაც თქვენ

ნიადაგ ვინაობის ბარათს გთხოვენ, მოისურვებთ რა გამოსვლას საზოგადოებრივ ასპარეზზე სამოქმედოთ.

ღრმადა ვართ დარწმუნებულნი, რომ ამ წარმავალ ხანასაც თავს დავახწევთ და, როგორც იქმნება, გავალთ თავისუფალ მსჯელობის და კამათის გზაზე.

ყველა ეს სხვათა შორის. მიუბრუნდეთ საკამათო საგანს – ლიბერალიზმს. ჩვენი აზრი ამგვარია. მიუხედავად იმისა, რომ ლიბერალიზმის მოძღვრება – თავისუფლების გაფართოვება, პიროვნების დაცვა და წარმატებაა, თვით ამ მოძღვრებაში იმნაირი ნაკლულევანება და არსებითი წინააღმდეგობა აღმოჩნდა, რომ იგი პროგრესიულ მოძღვრებად არ ჩაითვლება, ამასთან ჩვენ არ ვივიწყებთ ლიბერალიზმის დიდ ღირსება-მნიშვნელობასაც და იმასაც ვამბობთ, რომ ბურჟუაზულ ლიბერალიზმს ჯერ კიდევ თვით ევროპაშიაც არ დაუკარგავს თავისი ძალა, ხოლო ამასთან აღვიარებთ, რომ ბურჟუაზული თავისუფლება, კარგად რომ დავაკვირდეთ საგანს, ფიქტიური (ცრუ) თავისუფლებაა და რომ მას არ ძალუძს პიროვნების დაცვა, რადგან იგი არა სპობს უმთავრესს მიზეზს ადამიანის ადამიანისაგან დამონავებისას - ქონებრივ უთანასწორობას.

ჩვენ არ ვამბობთ, რომ ეკონომიური უთანსწორობა **ერ**-

თად ერთი მიზეზია ადამიანის ანუ მთელი ხალხის დამონავებისა. ვიცით, რომ მონობა მრავალგვარია – არის მონობა რელიგიური, როგორც საშუალო საუკუნოებში იყო, ზნეობრივი და გონებრივი, როგორიც ქართველ საზოგადოებაში დამყარდა, პოლიტიკური... მხოლოდ, როდესაც ყველა ამ მომვლენათ აკვირდებით, დაინახავთ, რომ ქონებრივი უთანასწორობა, ერთის ხელში სიმდიდრის შეგროვება, მეორეს – გაღატაკება, ყოველგვარ და ყოველ ნაირს მონობას ხელს ძლიერ უწყობს: რელიგიურს, გონებრივს და პოლიტიკურს. ეგეც რომ არ იყოს, როცა საზოგადოებრივი ცხოვრება გვაქვს სახეში, ჩვენ გათვალისწინებული უნდა გვქონდეს განსაზღვრულ ადამიანთა შორის დამყარებული ურთიერთობა და განწყობილება. და ამ ურთიერთობის და განწყობილების ხასიათი თანამედროვე საზოგადოებებში იმისთანაა, რომ ლიბერალიზმის მოძღვრება ვერ სპობს მათს ძირითად უკუღმართობას.

ბ. პლებსი ბრძანებს: „სოციალური პრობლემა, რომელიც ეკონომიურ თანასწორობას ღაღადებს, ლიბერალიზმის პრინციპის განმარტებაა, თუმცა სხვა თვისებისა კი. ეკონომიური თანასწორობა იგივე ერთობა და ძმობაა, რომელსაც ლიბერალიზმი ღაღაღებსო“.

აი აქ არის სწორედ ძარღვი ლიბერალურ მოძღვრების

წინააღმდეგობისა. იგი აღიარებს ძმობას და ერთობას, ხოლო ამასთან არ აუქმებს იმას, რაც უშლის ძმობას და ერთობას. რასაკვირველია, ეკონომიური თანასწორობა ძმობა და ერთობაა. მაგარი მხოლოდ იმაშია, რომ ლიბერალიზმი კრინტსაც არ იღებს ამ აუცილებელ პირობაზე ყოველგვარ ერთობისა და ძმობისა – არას ამბობს ქონებრივ უთანასწორობაზე

ამაში დავრწმუნდებით, განვიხილავთ რა ლიბერალიზმის მოძღვრების შინაარსს [1]).

IV. „ძველი წესის“ სულთ-ბრძოლა.

1.

ძლიერ საყურადღებო ხანა დაგვიდგა. ჩვენი ცხოვრების ახალ მოთხოვნილებასთან და მიმართულებასთან ერთად, წარ-

---

[1]) ამ წერილის გაგრძელება ვერ დაიბეჭდა ცენზ. დაბრკ. გამო.

სული წესი ჰფიქრობს, ჰმოძრაობს და იღვწის. ეს მოვლენა ფრიად საგულისხმოა, რადგან ჩვენი ერის ცხოველ-მყოფელობის მაჩვენებელია. ცოცხალი ერის გული რთული აგებულებისაა. წარსული, აწმყო, მომავლის იმედები – მასში ყველა ისახება.

ცხოვრება ბრძოლის ველსა ჰგავს. ერთი რაზმი მეორეს ამცირებს, მეორეზე იმარჯვებს. დამარცხებული რაზმი იერიშის მიტანას ვეღარ ჰბედავს, იგი მხოლოდ თავის თავს იცავს. ცხოვრებაშიაც ასევეა. „ძველი წესის“ ბატონობას (აზრთა სამეფოში მაინც) მაშინ ეღება ბოლო, როდესაც იგი თავის გამართლებას სცდილობს, როდესაც იგი აღარ მალავს თავის შიშს, რომ ყოველი ახლად წარმოშობილი სამშობლოს დასაღუპავად არის მოვლენილი.

„რეაქციის“ მომხრენი რაც უფრო გულმოდგინედ, მხნედ და აჩქარებით სცდილობენ თავიანთ თავის, თავიანთ რწმენის და აზრების გამართლებას, იმედენად მეტი შიში და საფრთხე მოელით მათ, რადგან „ძველი წესის" გულმოდგინეობა და მხნეობა ძალდატანებითი ხასიათისაა, ხოლო აჩქარება ამ წესის სულთ-ბრძოლაა. ვინც მომავალში არასა ჰხედავს, ან კიდევ ამ მომავალს ძალმომრეობითი ხასიათის „ძმობაზედ“ ამყარებს, ვინც ყოველ ახალ მოვლენას სამარეს უთხრის, ვინც ცოდნას და გონებითს ძალას თავმოყვარეობის საგნად ხდის, მისი დღეგრძელობა საეჭვოა და მისი რახარუხი და ფაცა-ფუცი ცარიელი თვალთმაქცობაა.

ჩვენი მოლოდინი მართლდება: „ივერიის“ რედაქციაში ყველა ჩვენი „კონსერვატორები“ თანდათან თავს იყრიან. როგორც წინად, ამის შესახებ ჩვენს სიხარულს ეხლაც ვაცხადებთ. ჩვენი „კონსერვატორების“ ერთს რედაქციაში შეგროვებას დიდი მნიშვნელობა აქვს. ცხოვრებაში ყველაფერს თავისი ადგილი აქვს. თანამოაზრეებმა (რა ხასიათისაც იყვნენ) ერთი-ერთმანეთს ხელი უნდა გაუწოდონ. მათ დაყოფას და დროებით ერთმანეთთან გადამტერებას ადგილი არ უნდა ჰქონდეს იქ, სადაც საერთო საქმე ირკვევა. ხელოვნურად გამოწვეული წინააღმდეგობა ბუნებრივ კავშირს ადგილს უთმობს, ეს ერთი. მეორეს მხრივ, განცალკევებული „კონსერვატორების“ შეერთება იმისი მომასწავებელიცაა, რომ ცხოვრებაში ახალმა

მოვლენამ იჩინა თავი და რომ არა-კონსერვატულ ელემენტს ანგარიშის გაწევა უნდა.

ჩვენებურ „რეაქციას" (თუ ბოლო გაიტანა) თან-და-თან ევროპიულ პოლიტიკურ დასების ხასიათი ეძლევა. იგი მეცნიერებას (ბ. პლებსი თავის ორგანებრივი თეორიით), პუბლიცისტიკას ბ. მ. ტფილისელი [1]), ურბნელი – თავის ძალ-მომრეობითი ხასითის „ძმობის ქადაგებით[1]), ოხუნჯობას!. (ბ. ახალმოსული) – ყველა ამას ხმარობს „ახალის“ დამცირებისათვის და „ძველის“ გაღმერთებისათვის…

ბ. პლებსმა „მეცნიერულად“ ის აზრი განმარტა, რომ რტის არც ერთი ჯგუფი და კლასი (თვით უსაქმურიც) ხორცმეტად არ უნდა იყოს ჩათვლილი და ამიტომ ყოველი გროვა მუქთა მჭამელებისა უნდა იყოს პატივ-სადებ. ბ. ტფილისელი, გაიმაგრა რა ზურგი ამგვარ მეცნიერული საბუთით, გვიმტკიცებს, რომ ჩვენი თავად აზნაურობა ძლიერია და დაუძლეველი დღემდე ქონებით კი არა, არამედ **მარტო იმ ისტორიულის ტრადიციით** და იმ მოვალეობით, რომელიც მას აკისრია ჩვენმა წარსულმა ცხოვრებამო. ამასთანავე ბ. ტფილისელს, ალბად, კრილოვის არაკის „ბატები“ აგონდება, ის ბატები, რომლებმაც განსაცდელისაგან რომი იხსნეს, თორემ სხვაფრივ არ აიხსნება ბ. ტფილისელის აზრთა წინააღმდეგობა. ერთის მხრივ, თავად-აზნაურობა **მარტო** ისტორიულ ტრადიციით ყოფილა ძლიერი, მეორეს მხრივ იმითი, რომ „ჯერ ჩვენს ერს არა ჰყავს სხვა არავითარი წოდება, ანუ კლასი ცოტათი მაინც თვალსაჩინო და **აღჭურვილი ზნეობრივის, ქონებრივის და ცოდნის ძალით**, რომელსაც შეეძლოს იკისროს მემკვიდრეობა „დაძველებულის წოდებისაო“. მაშ ჩვენი თავად-აზნაურობა მარტო ისტორიული ტრადიციებით არა ყოფილა ძრიერი, მის ხელშია აგრეთვე ზნეობა-გონებრივი და **ქონებრივი** უპირატესობა. მაგ-

რამ ბ. ტფილისელი ამასაც არ სჯერდება. მან ორი ერთი-მეორის დამარღვეველი აზრი არ იკმარა. „ივერიის" პუბლიცისტი იმის დამტკიცებას გვიპირებს, რომ თავად-აზნაურობა გლეხებზე უფრო გაჭირვებულ მდგომარეობაშია „რომელი სტატისტიკით ამტკიცებს ბ. ა. ჯორჯაძე, – გვიწყრება „ივერიის“ პუბლიცისტი, რომ საერთოდ აღებულ თავად-აზნაურობას დღე-

[1]) „ივერია“ № 26 და 27.

საც მეტი ქონება აქვს, ვიდრე გლეხკაცობასაო“? ბ. ტფილისელს დაჰვიწყებია, რომ ამას თვითონვე გვეუბნება: თავად-აზნაურობის ძლიერება მის გონებითს და **ქონებრივს** უპირატესობაში იმალებაო. ბ. ტფილისელი ციფირების და ფაქტების გამომჟღავნებას აპირებს, ხოლო სანამ ამ ციფირებს გამოამჟღავნებდეს, დარბაისლურად გვარწმუნებს, „გლეხები იმდენად ღონივრები არ არიან, რომ თავიანთ მამულსაც კი მოერივნენ, არამც თუ თავად-აზნაურობის მემკვიდრენიც გახდნენო“.

„ივერიის“ მეცნიერულ ნახტომებზე ჩვენ საუბარი უკვე გვქონდა. აქ მოყვანილ პუბლიცისტურ ნიმუშებიდანა სჩანს, საითკენ გვიწვევს „ივერიის" პუბლიცისტი და თავის მკითხველებს ბ. ტფილისელი ფეხთ ქვეშ რა გვარ აზრთა მახეს უგებს: ერთის სვეტის სივრცის მანძილზე სამჯერ გადათქვა თავისი სიტყვები და ერთ და იმავე საგანზე სამი საწინააღმდეგო მოსაზრება დასტამბა.

რას იზამთ, ასეთია „სულთ ბრძოლა ძველი წესისა“. იგი უკვე მკვდარია, მას ვერც პლებსის მეცნიერება, ვერც ბ. ტფილისელის პუბლიცისტიკა ვერ გამოაბრუნებს.

მაგრამ არის კიდევ ერთი საშუალება, ერთი იარაღი,რომელიც ხშირად მეცნიერულ გამოკვლევაზედ საშიში და მავნებელია. ეს იარაღი გესლიანი დაცინვა და ულმობელი ოხუნჯობაა. ჩვენი „კონსერვატორები“ ბ. ახალ-მოსულის მეოხებით ამ იარაღსაც ხმარობენ.

2.

როცა ჩვენში ეკონომიურ კითხვებზე ლაპარაკი ჩამოვარდება ხოლმე, პირდაპირი და სამართლიანი აწონ-დაწონვა ეკონომიურ ცხოვრებისა ბევრსა ეშინიან. ეკონომიურ უთანხმოებას ხაზს ნუ გაუსვამთ, რადგან კლასთა შორის შუღლი და მტრობა ჩვენს ეროვნულ ვინაობას ავნებსო. ამ მოსაზრებაში მცირეოდენი სიმართლე იმალება. ხოლო თუ იგი სავსებით მი-

ვიღეთ, თუ ნიადაგ ეკონომიურ ცხოვრების ძალმომრეობას თვალს ავარიდებთ და ამითი ჩვენი ერის განზე გამწევ ნაწილებს თეთრის ძაფით მხოლოდ ოდნავ გავაერთებთ, ამგვარ საშუალებით ჩვენ არამც თუ ვერ გავაღონიერებთ ეროვნულ ვინაობას, პირიქით, დავამხობთ და დავასუსტებთ.

სწორედ ამ მოსაზრების მიხედვით „ძმობაზე“ ლაპარაკი მაშინ, როდესაც ეს „ძმობა“ მხოლოდ ერთის მხარისთვის, ეკონომიურად უფრო შეძლებულ ერის ერთის ნაწილისთვის არის ხელ-საყრელი, დანარჩენებისთვის კი, უმრავლესობისათვის ძლიერ მავნებელი, ფარისევლობად და არა გულწრფელობად მიგვაჩნდა. მაგრამ ბევრს შეუგნებლობისაგან, ეროვნულ პრინციპის ცუდად განმარტებისაგან მოსდით ამგვარი შეცდომა. ამ პირებთან კამათი შეიძლება, რადგან კამათი აზრის სხვადა-სხვაობისაგან წარმოსდგება.

სულ სხვა საქმეა, როდესაც მოპირდაპირე პირ-ბადეს იფარებს, თავს იყრუებს, ბაასს საკამათო საგანზე არ იწყებს და მხოლოდ სოფისტიკას და იაფფასიან ოხუნჯობით იოლას მიდის. „დაცინვას“, საზოგადოთ, დიდი მნიშვნელობა აქვს, მხოლოდ ეს დაცინვა საღი და ბუნებრივი უნდა იყოს და დასაცინი საგანი შეუსაბამო რამ და დასაგმობი მწერლობაში. „დაცინვას“ აზრი უნდა ჰქონდეს. დაცინვის გარდა, მწერალს სხვაც რამე უნდა ჰქონდეს სათქმელი. თუ რომელიმე აზრი ანუ ცხოვრების მოვლენა სიცილსა გგვრით, ისე გაიცინეთ და იოხუნჯეთ, რომ ამ თქვენს სიცილში უილაჯობის და სასოწარკვეთილების ჩივილი არა ჩნდეს...

ხოლო, როგორც წინა წერილში ვსთქვით, ჩვენი „კონსერვატორები“ არავითარ საშუალებას არ ზოგავენ ძველი წესის და აზრების დასაცველად. და აი ბ-ნმა ახალ-მოსულმაც უხერხულად და უცნაურად იოხუნჯა „ივერის“ ერთ-ერთ ნომერში [1]).

რა იყო სასაცილო საგანი, იკითხავს მკითხველი? სასაცილო საგანი თურმე გლეხების გაჭირვებული მდგომარეობა ყოფილა. რა არის ამაში დასაცინი, ხელმეორედ იკითხავს განცვიფრებული მკითხველი? ისა, რომ სიცილის დანიშნულება კაცის უთოფ-იარაღოდ მოკვლაა. გესლიანმა ენამ უნდა დაჰკოდოს და დაამარცხოს ყოველივე ის, რაც შესისხლხორცებულ, ჩვეულებრივ აზრთა წყობას არღვევს, რაც არსებულ და ზოგიერთათვის სანატრელ ეკონომიურ ურთიერთობას ხელ-უხლებელს არ სტოვებს.

ერთს წერილში ჩვენ ვსთქვით, რომ გლეხ-კაცი და სა-

---

[1]) იხ. „ივერია" № 21.

ზოგადოდ მშრომელი ხალხი უქონლობის და სიღატაკის გამო, წელში მოხრილია, დრტვინავს და უკმაყოფილოა ამის გამო ჩვენა ვსწერდით: „კაცი მაშინ არას ინდომებს სხვისას, როცა თავისას სჯერდება, თავისი საკმარისი აქვს. წინააღმდეგ შემთხვევაში ის სხვას შეჰყურებს და სულ იმის ფიქრსა და ცდაშია, რომ „სხვისით" შეივსოს თავისი დანაკლისი". მშრომელი ხალხი გვქონდა მხედველობაში და ეს ვსთქვით მის სულიერ მდგომარეობის განსამარტავად.

ბ. ახალ-მოსულს ამ სიტყვებმა საღერღელი აუშალეს და მადა გაუხსნეს: „აქამდის მუშაობით წელს ვიწყვეტდი, დღესა და ღამეს ვასწორებდი, მეგონა, რომ ერთადერთი ნამუსიანი სახსარი ცხოვრებისა გარჯა და მუშაობაა, მეგონა, რომ კაცი სულ იმის ფიქრსა და ცდაში უნდა იყოს, – პატიოსანის შრომით ლუკმა-პური სჭამოს და თურმე ნუ იტყვი, ყველაფერი ეს ტყუილი ყოფილა, ეს სულ ძველების ფლასტა-ფლუსტია, ძველების ლათაიებია თურმე. საქმე კი იმაშია, რომ ვინც თავისას არა სჯერდება, ვისაც თავისი საკმარისი არა აქვს, ის სხვას შეჰყურებს თურმე, ის თურმე სულ იმის ფიქრსა და ცდაშია, რომ „სხვისით" შეივსოს თავისი დანაკლისი. აი თურმე ახალი ფსიხოლოგია ადამიანისა რას ჰღაღადებს, – ბრძანებს ახალ-მოსული". სიტყვას ბანზე აგდებს ბ. ახალ-მოსული როგორც უტყუარი მართლ-მადიდებელი, მცველი ეკონომიურ ძალ-მომრეობისა, და არწმუნებს მკითხველებს, რომ მწერლობაში ქურდობასა და ავაზაკობასა ვქადაგებ. ყური დაუგდეთ: „სხვისით შევსება დანაკლისისა შესაძლებელია მარტო მაშინ, – გვეუბნება ავტორი, – როცა კაცი ან **მოიპარავს**, ან **გასცარცვავს**, ან მოიტაცებს. სხვაფრივ „სხვისით" შევსება დანაკლისისა წარმოუდგენელია, იმიტომ, რომ „სხვისი" სხვისაა და პატრონი თავის ნებით არ დაგანებებსო".

ჯერ ერთი საფიქრებელია, ნამდვილად ვის ეკუთვნის ეგრედ წოდებული „სხვისი". თანამედროვე დახლართულ საზოგადოებრივ ურთიერთობაში ისე აირია აზრი,რომ სიტყვებსაც დაეკარგა თავისი უტყუარი მნიშვნელობა. როცა ჩვენ იმ წერილში ფრჩხილებში ჩავსვით სიტყვა „სხვისი", სწორედ მცნებათა გამოურკვევლობა გვქონდა მხედველობაში.

თუ მართლა ჰგონია ბ. ახალმოსულს „რომ ერთადერთი ნამუსიანი სახსარი ცხოვრებისა გარჯაა და მუშაობა", უნდა

ესმოდეს ნამდვილი მნიშვნელობა იმისთანა სიტყვებისა, როგორც „ჩემი“ და „სხვისი“.

ჩვენც ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ ბ. ახალ-მოსული ამგვარ კითხვებში კარგად არის ჩახედული. მაგრამ ჩახედვა ერთია და ჩახედულისადმი თანაგრძნობა მეორე. ტიპიური „კონსერვატორი“ ბ. ახალ-მოსული ვერ თანაუგრძნობს მაღალ წოდების ქონებრივ უპირატესობის მოსპობას და ამიტომ ისე გვაჩვენებს თავს, ვითომც არ ესმის, რაზეა საუბარი, და თავის მახვილ სიტყვას განაგრძობს: სჩანს ადამიანის ბუნება გაუმაძღარი ყოფილაო „და მეც ხომ ადამიანი ვარ და არარა ადამიანური არ უნდა მეუცხოებოდეს: ღმერთი, რჯული, მეც, ბევრ სხვასავით, არა ვსჯერდები და არა ვკმარობ იმას, რაცა მაქვს. მაშ ღვთითა და არჩილ ჯორჯაძის წყალობით ნურას უკაცრავად, რომ არც ვაცხელო, არც ვაცივო და ჩემის დანაკლისის შესავსებლად ვსთქვა: აფუ-მეთქი და შენი მზითევი შევიტყაპუნო. თუ მე ამაში გამამტყუნოს ვინმემ, არჩილ ჯორჯაძის ფსიხოლოგიის შემდეგ, ჩემი კისერი და შენი ხმალი“-ო.

მარტივი და კარგის ენით დაწერილი ოხუნჯობა თუ გნებავთ, ეს არის. მაგრამ ჩაუფიქრდით ამ ოხუნჯობის საგანს: იგი მეტის-მეტად დაუხედავი და ცინიკურია. აქ სასაცილოდ და აბუჩად არის აგდებული გაჭირვებული კაცის სულის-კვეთება და გულთა-სწრაფვა; აქ ერთის ზნეობრივის საზომით არის გაზომილი ამ გაჭირვებული კაცის მისწრაფება და გაუმაძღარ, მადა-გახსნილ მდიდარ კაცის გულის-თქმა. „როტშილდი, თვით ამერიკის მილიონერები ყელამდე ოქრო-ვარცხლით ავსილები, – გვაუწყებს ხუმარა ახალ-მოსული, არა სჯერდებიან იმას, რაცა აქვთ და დღე და ღამე იბრძვიან და იღვწიან მეტი შეიძინონო“. ბ. ახალ-მოსულს ამ მდიდარ ხალხის უსაზღვრო შეძენისათვის მიმართული გარჯა და შრომა უბრალო მწარმოებელის შრომის დონეზედ დაუყენებია! მათ გარჯას ერთი ზნეობრივი ფასი ჰქონია!..

უსაგნო სიცილი დაბრმავებულ ადამიანსა ჰგავს: კაცს კლდეში გადასჩეხავს. სიცილი, რომელიც კაცს ამ საზღვრამდე მიიყვანს, სიცილი აღარ არის. და ამგვარ სიცილში ჩვენ მხოლოდ „ძველი წესის“ სულთაბრძოლას ვხედავთ.

V. ბრძოლა თუ კავშირი?

–

ამ გაზაფხულს ქალაქის არჩევნები უნდა მოხდეს. საზო-

გადოებაში ამის გამო უკვე ლაპარაკიც აღიძრა. ბჭობენ და სჯიან, მომავალ არჩევნებისათვის, როგორ უნდა მოვიქცეთ ჩვენ, ქართვილები. საქმის რიგიანად მოწყობისათვის სხვა და სხვა პრაქტიკულ მოსაზრებებთან ერთად ძველ საზოგადო კითხვასაც აყენებენ: სომხებთან რა ურთიერთობა უნდა გვქონდეს, ჩვენ შორის განხეთქილება რაზედ არის დამყარებული და სხვა.

ერთნი ამტკიცებენ, ქართველებს და სომხებს შორის მხოლოდ ეკონომიური განხეთქილება ჰსუფევს და მათ შორის ბრძოლაც წმინდა ეკონომიურია. მეორენი ჰფიქრობენ, ქართველთა და სომეხთა ურთიერთობა ეროვნების სხვა და სხვაობაზეა დაფუძნებული და მათ შორის უთანხმოებას წმინდა ეროვნული ხასიათი აქვს. მესამეებს ჰგონიათ: თუ ქართველებს და სომხებს შორის რაიმე განხეთქილება არის, ამ განხეთქილებას ბურჟუაზული ხასიათი აქვსო, ე. ი. ქართველ და სომხის ბურჟუათა შორის ჩვეულებრივი უპირატესობის მოპოვებისათვის ქიშპობა არის ატეხილი და ეს ქიშპობა ბურჟუაზულ ვიწრო ფარგალს არა სცილდებაო. ჩვენს საზოგადოებაში ამ მწვავე კითხვაზე ამგვარი სამი აზრი ტრიალებს.

ჩვენ, ჩვენის მხრივ, სამივე მოსაზრება ცალ-კერძოდ და ცალ-მხრივ მოსაზრებად მიგვაჩნია. ერის ცხოვრებაში ეკონომიურ და ეროვნულ მხარეს ისე ვერ გააცალკევებთ, რომ ერთი მეორეს არა ხვდებოდეს. თუ ორ ერთა შორის ეკონომიური ქიშპობა არის ატეხილი, ამ ეკონომიურ ქიშპობას იმავე დროს ეროვნული ელფერიც ეძლევა. აგრეთვე ეროვნულ წინააღმდეგობას და უთანხმოებას ყოველთვის ეკონომიური წინააღმდეგობა მოსდევს. ეკონომიური და ეროვნული ერთმანეთში მჭიდროდ არის შეკავშირებული ეკონომიური ურთიერთობა, ეკონომიური კეთილდღეობა ეროვნულ შენობის საძირკველია. ეროვნება ამ ეკონომიურ ურთიერთობის ფორმაა, ჩარჩო და ის პირობაა, რომლის საშუალებით ეკონომიური კეთილდღეობა ძლიერდება და ხალხის თვით-ცნობიერება იღვი-

ძებს. როგორც პირველი უმეორეოდ, ისე მეორე უპირველოდ შეუძლებელია. ამისათვის პირველი ორი მოსაზრება ცალმხრივია და სინამდვილეს არის მოკლებული.

მესამე მოსაზრებაც ამ კითხვაზე პასუხს არ იძლევა. თუ ერი ბიოლოგიურ სხეულს არ წარმოადგენს, ეს იმას არ ნიშნავს, რომ იგი მოკლებულია გონებრივ და ზნეობრივ მთლიანობას. მწერლობა, საზოგადოებრივი და პოლიტიკური იდეალები ერის სხვა და სხვა ნაწილებს და კლასებს აკავშირებს. და ვიდ-

რე ეროვნული თვით-მოქმედება და დამოუკიდებლობა არ არის მოპოვებული, ერის სხვა და სხვა ნაწილების ამ ზნეობა-გონებრივ კავშირს ძალა ექმნება. სწორედ ამ მოსაზრების მიხედვით სიმართლეს მოკლებულია ის აზრიც, ვითომ ერთა შორის ბრძოლას ყოველთვის ვიწრო ბურჟუაზული ხასიათი ეძლევა. ამ აზრის მიმდევარნი სცდებიან, რადგან ერთმანეთში ურევენ „სახელმწიფურ ნაციონალიზმს“ და ეროვნულ თავისუფლებას. ნაციონალიზმს ვიწრო ეგოისტური ხასიათი აქვს, რადგანაც იგი ბურჟუაზიის პირმშო ნაყოფია. სახელმწიფო ნაციონალიზმი ბურჟუაზული ნაციონალიზმია, რადგან თანამედროვე სახელმწიფოს სვე-ბედი ბურჟუაზიის ხელშია. ბურჟუაზიის ხელი ატრიალებს თანამედროვე სახელმწიფოს გარეშე პოლიტიკას. ბურჟუაზიის ძალდატანებით თანამედროვე სახელმწიფო აცხადებს ომს, ერთს ეჩხუბება, მეორეს ეკავშირება. ამისათვის სახელმწიფო ნაციონალიზმი ბურჟუაზულ ეგოიზმის გამომხატველია.

სულ სხვა თვისებისაა ეროვნულ თვით-მოქმედებისადმი მისწრაფება. აქ ბურჟუაზია არაფერ შუაშია. ამ მისწრაფების დედა-ძარღვი – ბუნებრივი, ადამიანური უფლებების მოპოვებაა. თუ ბურჟუაზიაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს ამ დედა-აზრის განხორციელებას, ის დანარჩენ ერის ნაწილთან მოქმედობს. თუ მხოლოდ თავის პირად ინტერესებს იცავს, იგი ერის გარეშე რჩება და მასთან ერს არავითარი კავშირი არა აქვს. როცა ეროვნულ ბრძოლას ბურჟუაზულ ხასიათს აძლევენ, ყველა ეს უნდა მიიღონ მხედველობაში და ეროვნულ დამოუკიდებლობის და თვით-მოქმედებისადმიმისწრაფებას „სახელმწიფო ნაციონალიზმის“ იდეალებს არ უნდა შეადარონ.

ყველა ამ მოსაზრების გამო, ჩვენ გვგონია, სომხებს და ქართველებს შორის ეროვნულ-ეკონომიური განხეთქილებაა.

ხოლო ამ საფუძველზედ ეროვნული ბატონობაა წარმოშობილი. ერთს აუცილებლად უნდა მოზდევდეს მეორე.

თუ ფასი აქვს იმ თვით-მმართველობის აჩრდილს, რომელიც ჩვენს ქალაქს აქვს მინიჭებული, ამ თვით-მართველობაში ქართველებმაც მონაწილეობა უნდა მიიღონ. თვით-მართველობა ეროვნულ ძალ-ღონეს სწრთვნის, საზოგადოებრივ ცნობიერებას აღვიძებს. ქართველები კი ეკონომიურ ჩამორჩენის გამო თვით-მართველობის გარედ რჩებიან. ეს უტყუარი მაგალითია იმისი, ერის ეკონომიურ და ეროვნულ მხარეს ერთმანეთში რა ვიწრო დამოკიდებულება აქვს.

მაგრამ დღეს სხვა კითხვა გვაქვს გამოსარკვევი. ეკონომიური ბრძოლა გვაქვს სომხებთან, თუ ეროვნული, პრაქტი-

კულ ცხოვრებაში, პრაქტიკულ მოქმედებაში, ზოგიერთ კითხვებში, ამ ერთა წარმომადგენელთ შორის კავშირი შესაძლებელია. ეხლა, როგორც ვსთქვით, ქალაქის არჩევნები გვიახლოვდება. სასურველია, რომ ამ საარჩევნო ნიადაგზედ მაინც მოხდეს შეთანხმება სომხების და ქართველების იმ ჯგუფებისა, რომელთაც ესმით შეთანხმებული მოქმედების ფასი. ჩვენა გვგონია, რომ სომხების და ქართველების დემოკრატულ წრეებში ამ მხრივ ნიადაგი საკმარისად არის მომზადებული. ჩვენ კვლავაც დავუბრუნდებით ამ კითხვას და საარჩევნო პროგრამის შემუშავებით ვეცდებით ხელი შევუწყოთ სასურველს შეთანხმებას.

VI. ბრაზიანი უძლურება.

–

როდესაც ჩვენებურ „რეაქციონერებზე" პირველად ხმა ამოვიღეთ, წინდაწინვე ვიცოდით, საქმე ვისთან გვექნებოდა, ძველი წესის მცველნი რა გვარი მოპირდაპირენი იქნებოდნენ. ხოლო ამასთან ერთი რამ დაგვავიწყდა, როგორღაც უყურადღებოდ დავტოვეთ, დაგვავიწყდა, რომ ღონე-მიხდილი „რეაქცია", უილაჯობისა და უძლურებისა გამო, მეტად ანჩხლი და ბრაზიანია, რომ აზრიანი კამათის უნარი არ აქვს და რომ მთელი მისი სიდინჯე და სიდიადე გააფთრებულ და ლაგამაშვებულ თავ-მოყვარეობაზეა დამყარებული.

ყველა ეს არ უნდა დაგვავიწყებოდა, რადგან ქართველ მკითხველის მდგომარეობაც უნდა მიგვეღო მხედველობაში, იმ მკითხველისა, რომელიც, წინააღმდეგ თავის სურვილისა, გაშმაგებულ მრისხანების და სიბოროტის უბედურ მოწამედ ჰხდება, როდესაც ჩვენს მწერლობაში პოლემიკა ასტყდება ხოლმე.

დღეის ამას იქით, ამ მხრივ, უფრო ფრთხილად ვიქნებით. ვეცდებით **აზრის** და **პრინციპის** ფარგალს არ გადავცილდეთ. უყურადღებოდ დავტოვებთ ჩვენის მოპირდაპირეების იმ წერილებს, რომელნიც „მე"-თი იწყება და „მე"-თი თავდება და რომელთაც ერთად-ერთი განზრახვა აქვთ, მოკამათეს პირადი შეურაცხყოფა მიაყენონ და საზოგადოების თვალში დაამცირონ.

აი დღესაც ჩვენს წინ უშველებელი, აჭრელებული ჯერ კიდევ დაუთავებელი წერილია ბ. პლებსისა. ჩვენ ნათლად ვხედავთ ავტორს, რომელიც სიამოვნების ნიშნად ხელებს იფშვნეტს და გამარჯვებულ ადამიანის კმაყოფილებით თავის ტოლ-

მეგობართ შორის ხარხარებს და მღელვარებს. ჩვენ წინ სდგას თავ-მომწონე ადამიანი, ამღვრეულ პატარა გრძნობით გატაცებული, საეჭვო გულის-წადილით აღფრთოვანებული. ჩვენ ვხედავთ ადამიანს, რომელიც არ ჰხედავს თავის დამცირებას და ამაყობს უვიცობით და უმეცრებით. და ყველაზე სავალალო ის არის, რომ ამ ადამიანს არც ის ესმის, რას სჩადის, არც ის, რომ საჯაროდ თავს ირცხვენს.

როგორც ეხსომება მკითხველს, ჩვენ, ე. ი. ბ. პლებსს და მე, ორგანებრივ თეორიაზედ გვქონდა კამათი. ბ. პლებსი ამტკიცებდა, საზოგადოება სხეულიაო. მე ვამბობდი, საზოგადოება სხეული არ არის-მეთქი. ჩემი საბუთების წინააღმდეგ რომ ვეღარა მოახერხა, ბ. პლებსი იმის ძიებას კი არ შეუდგა, **მართალია** თუ არა ჩვენი აზრი, არამედ იმისას, **საიდან**, რა წყაროდან გვაქვს ამოღებული ჩვენი ცნობები. ამ გმირულ საქციელში ბ. პლებსისათვის, როგორც თვითონ გვარწმუნებს, ბ. ახალმოსულს, თავისი დახმარება აღმოუჩენია, იმ ახალ-მოსულს, რომელსაც გაჰკვირვებია, როგორ გაკადნიერდა და როგორა სთქვა ჯორჯაძემ, ძველი წესი მკვდარიაო, ბ. პლებსს, ახალმოსულის დახმარებით, გამოუნახავს, რომ მე ბროკჰაუზის ლექსიკონით ვხელმძვანელობდი და ცნობები ამ ლექსიკონიდან ამომიკრეფია. ამ გარემოებამ ისე გულუბრყვილოდ გა-

ახარა ბ. პლებსი, რომ მას საკამათო საგანიც დაავიწყდა, დაავიწყდა ისიც, რომ თვით ლექსიკონში ამოკითხული ცნობებიც კი ძირიან-ფესვიანად არღვევენ იმას, რასაც ჩვენი ავტორი ასე თავგამოდებით იცავდა წინა წერილებში. ბ. პლებსს ერთი რამ ახსოვდა, ერთი რამ აგონდებოდა და ეზმანებოდა – ჩემი შერცხვენა იმის გამოისობით, რომ ის საბუთები, რომლითაც დამარცხდა ბ. პლებსი, ლექსიკონიდან ამოკრეფილი ცნობები ყოფილა.

ხოლო ბ. პლებსს თავის გაუზომელ სიხარულში ერთი რამ დაავიწყდა, ერთი რამ არ მიუღია მხედველობაში, რომ მე სასირცხვილოდ არ მიმაჩნია წიგნების (თუნდაც ლექსიკონების) წაკითხვა, ამ წიგნებიდან საჭირო ცნობების ამოკრეფა და ამ წიგნებით ხელ-მძღვანელობა. მთელი ჩვენი ცოდნა მწიგნობრული ხასიათისაა. ბროკჰაუზის ლექსიკონისთანა წიგნებიც იმ აზრით არის შედგენილი, რომ იქ შეგროვილ ცნობებით საჯაროდ სარგებლობა შეიძლებოდეს. ამ ლექსიკონში მოთავსებულია სხვა-და-სხვა სამეცნიერო კითხვების შესახებ ცალკე ბიბლიოგრაფიული ხასიათის წერილები. როცა თქვენ გაინტერესებთ რომელიმე ამგვარი კითხვა, თქვენ ამ წერილებს გადაიკითხავთ, გაიხსენებთ, რაც წაგიკითხავთ აღძრულ კითხვის შე-

სახებ. ამგვარად შრომას იადვილებთ, ხელმეორედ არ გჭირდებათ ვრცელი გამოკვლევების გადაკითხვა. სამეცნიერო ლექსიკონების მნიშვნელობა მწერლისათვის განუზომელია.

მხოლოდ, როდესაც თქვენ ხელმძღვანელობთ ამგვარის წყაროთი, თქვენის წერილების სხოლიოში იმ წიგნების აღნუსხვის უფლება გაქვთ, რომელნიც ნამდვილად წაგიკითხავთ. თვით წერილის ტექსტში კი თქვენ სრულიად თავისუფლათ შეგიძლიანთ ისარგებლოთ ნასესხი მასალით, რადგან ეს მასალა, ეს ლექსიკონიდან ამოკითხული წერილი თქვენ მიერ წაკითხულ და თქვენ წერილის სხოლიოში მოყვანილ ავტორებზეა დამყარებული.

ჩვენ თავს არ დავიმდაბლებთ და ბ. პლებსს რწმუნებას არ დავუწყებთ, რომ ჩვენი წერილის სხოლიოში მხოლოდ იმ წიგნების ნუსხაა, რომელიც წინად წაგვიკითხავს, არც იმის რწმუნებას დავუწყებთ, რომ ლექსიკონში მოთავსებულ წერილის დამწერს ზემოხსენებულ ავტორებისაგან ხშირად სიტყვასიტყვით მოჰყავს სხვადასხვა ადგილები, და რომ სამეცნიერო

სიმართლის დაცვისათვის ამ ადგილების გამეორება სასირცხვილოდ არავის არ უნდა ჩაეთვალოს. არა, ჩვენ მეტი პატივი გვაქვს ჩვენი თავისი და ყველა ამის დამტკიცებას და დასაბუთებას არ გამოუდგებით, მით უმეტეს, რომ ამგვარი ჩემი საქციელი საკამათო საგანს მაინც არ გამოარკვევდა და ბ. პლებსს არაფერში არ გამოადგებოდა, რადგან ამ საარაკო ავტორს აზრიან, პრინციპიალურ ლაპარაკის თავი არ აქვს [1]).

დიახ, ჩვენ გვაქვს საქმე უძლურებასთან და უძლურება უმეტეს შემთხვევაში ბრაზიანია. ჩვენ ვწყვეტთ კამათს ბ. პლებსთან და იმის მზგავს მწერლებთან, რადგან მათთვის მწერლობა სალაყბო მოედანია და არა აზრთა და კეთილ-სინიდისიერ გრძნობათა სამეფო, რადგან დაბალ გრძნობათა და პირად განზრახვათა გამეფება მწერლობაში ამ მწერლობის გათახსირებად მიგვაჩნია.

ძველ წესს და მის მცველებს კვლავაც ვადევნებთ თვალყურს [2]), ხოლო ჩვენს ყურადღებას შევაჩერებთ მარტო იმაზე, რაშიაც **აზრს** და **გულ-წრფელობას** დავინახავთ. აზრის სხვა-და-სხვაობა პატივსადებია, ხოლო ამ სხვა-და-სხვაობას გულ-ახდილობა და გულ-წრფელობა უნდა თან-ზდევდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში მწერლობა აყროლებულ გუბედ გადაიქცევა, სადაც ყოველ-გვარი სულის და ხორცის ავადმყოფობა დაბუდდება [3]).

---

[1]) ახლო მომავალში ჩვენ დავუბრუნდებით ამ საკამათო სიგანს და

ვრცელ წერილს დავბეჭდავთ „მოამბე"-ში.

[2]) მაგალითად, დიდის სიამოვნებით ვუპასუხებთ ბ. ტფილისელს, რომელიც ჩვენის გლეხ-კაცობის ბედნიერებას შეჰნატრის.

[3]) ჩემი დაპირება ,,მოამბეში" საკამათო საგნის გამო წერილის დაბეჭდვის შესახებ იმ ხანებში სისრულეში ვერ მოვიყვანე. რადგან სხვა უფრო პასუხსაგები საქმე გამომიჩნდა, რომელმაც მალე ტფილისიდამ წასვლაც მაიძულა. ბრალდება, რომელიც დამდეს, ვითომ ბროკჰაუზის ლექსიკონიდამ ჩემ წერილის სხოლიოში ჩემ მიერ წაუკითხავი წიგნები აღვნიშნე, ეს ბრალდება გაუბათილებელი დამრჩა. შემდეგ ხანაში ამისათვის სრულიად ვერ მოვიცალე. ყველა ამის მიხედვით ამ წიგნში მე არ ვათავსებ იმ წერილს რომელსაც სახელად ერქვა „მეცნიერული ბორძიკი" და რომლის გამო „ივერიელებმა" პლაგიატობა დამწამეს – არ ვათავსებ იმიტომ, რომ ჩემ თავს მაინც დამნაშავედ ვსთვლი ორ რამეში: ერთი იმაში, რომ ბროკჰაუზის ლექსიკონი არ მოვიხსენიე, მეორე იმაში, რომ არ დავუმტკიცე ჩემს მოპირდაპირეებს, რომ სხოლიოში აღვნიშნე ის წიგნები, რომელნიც წაკითხული მქონდა, ხოლო რომელნიც, იმ ჟამად ხელში არ მეჭირა. ა. ჯ. 1911 წ.

VII. უკულმართობის გამართლება.

1.

ამას წინად წოდებათა შორის სიმდიდრის განაწილებაზე რომ გვქონდა ლაპარაკი, ჩვენ ვამბობდით: „თავად-აზნაურობას, რომელიც რიცხვით ათჯერ მაინც არის ნაკლები გლეხობაზე, ამერეთის მოსაკუთრეთა გლეხობაზე მამული შვიდჯერ მეტი აქვს (38 დეს. თავად-აზნ. 5 დეს. გლეხს), იმერეთის გლეხობაზე ოთხჯერ მეტი (16 დეს. თავ.-აზნ., 4 დეს. მოსაკუთრე გლეხს). ეს არის-მეთქი უმთავრესი მიზეზი წოდებათა შორის მოურიგებლობისა და ქიშპობისა. და ამასთან იმასაც ვამბობდით, რომ ეროვნული ინტერესი მოითხოვს წოდებათა შორის ურთიერთობის იმგვარ მორიგებას, რომ ეს მორიგება ხელოვნური არ იყოს და ამ მორიგებაში უმრავლესობის კეთილდღეობა გვქონდეს სახეში.

ბ. ტფილისელი [1]), რომელსაც ძალიან სწყენია „რეტროგრადობა“ როგორ დამწამესო, თავის პროგრესიულ მიმართულების აღსადგენად და დასაცავად უშველებელ წერილში გვიმტკიცებს, მართალი არ არისო, ვითომც ჩვენი გლეხიბა გაჭირვებულ მდგომარეობაშია და ვითომც მისი გაჭირვება მიწის უქონლობისაგან წარმოსდგებაო. ამ თავის მოსაზრებას ციფრებით გვიმტკიცებს და, იჯერებს რა გულს, დასძენს: „გაგონილა? თურმე ყველა, ვინც ბ. ა. ჯ–ძის მცნებას არ მიიღებს, რადგან ეს მცნება ახლად წარმოშობილია (?), ის რეაქციონერ-კონსერვატორია! არა, ბატონო, მართალია, „ის ურ-

ჩევნია მამულსა, რომ შვილი სჯობდეს მამასა“, მაგრამ შვილიც არის და შვილიცო" და სხვა.

არ ვიცით, რისთვის დასჭირდა ბ. ტფილისელს მამა-შვილობაზე ლაპარაკი. ეს არც აღძრულ კითხვას ეხება, არც გლეხობის კეთილდღეობის კითხვას ჰფენს სინათლეს. ყველა ამისათვის არაფერში გამოსადეგი არ არის, მაგრამ ეტყობა, ბ-ნი ტფილისელი შემოგვწყრა და თავის წყრომას სიტყვებში იქარვებს. მისი წყრომის მიზეზი კი თვალსაჩინოა.

ბ. ტფილისელი გაკვირვებულია, ისეთი თავაზიანობა და

---

[1]) „ივერია" № 37.

ზრდილობა გამოვიჩინე ჯორჯაძის წინაშეო და ამ უკანასკნელმა მაინც რეაქციონერთა გუნდში ამომაყოფინა თავიო. აი, რა კილოთი ვწერდიო: „ბოდიშს მოვიხდი ბ. არ. ჯორჯაძის წინაშე, მაგრამ, თუ ნებას მომცემს, **ძმურად** [2]) მოვახსენებ იმას, რასაც მის დედა-აზრებში შეცდომას ვხედავ და რაც ჩვენის ერისათვის მავნებლად მიმაჩნია".

და აი ჩვენს ლიტერატურაში ამ არა-ჩვეულებრივ ზრდილობიან ლაპარაკის შემდეგ, ჯორჯაძემ მაინც არ დამზოგა და რეაქციონერად გამხადაო. უმადურობა თუ გნებავთ ეს არისო.

მაგრამ ამ ჩვენს ეკონომიურ ხასიათის კამათს მეტი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე პირად წყენას და გაჯავრებას. საგანი, მართლაც და გამოურკვეველია. ამისათვის უყურადღებოდ ვსტოვებ ყველა იმას, რაც აღძრულ კითხვას არ ეხება და შევუდგებით ბ. ტფილისელის ციფრების და აზრების დაფასებას.

წინდაწინვე მადლობა უნდა გადავუხადოთ ბ. ტფილისელს ერთი ჩვენი შეცდომის გასწორებისათვის. მართალია, დროებით ვალდებულ გლეხებს 1888 წლამდე 25,254 დეს. კი არ გამოუყიდნიათ (როგორც მქონდა ნაჩვენები), არამედ 10 – 503 დესეტინა, როგორც მოხსენებულია ოფიციალურ სტატისტიკაში [3]).

ამ შეცდომის გასწორებისათვის მადლობელი ვარ განსაკუთრებით იმიტომ, რომ უფრო თვალსაჩინოდ ჰყოფს აღნიშნულ დროებით ვალდებულ გლეხ-კაცობის გაჭირვებას. 57632 სულს საკუთრებად მხოლოდ 10503 დეს. ჰქონია, და გამოსასყიდი მიწა დარჩა 45,256 დესეტინა. ბ. ტფილისელი იტყვის, რა უყოთ, რომ ამ გლეხებს მთლად ვერ შეუსყიდიათ თავიანთი ნადელები – ფაქტიურად მათ 55759 დეს. მიწა უჭირავთო. ჩვენ ვსთხოვთ ბ. ტფიფისელს დაუკვირდეს იმას, რას, ართმევენ გლეხებს სხვა და სხვა გადასახადის სახით ამ 55759

დესეტინის ჭერისათვის და „დოქტრინორობა" მას შემდეგ გვი-
საყვედუროს.

ხოლო ბ. ტფილისელი ამ გარემოებას არავითარ ყურად-
ღებას არ აქცევს. რა ფასით, რა შრომით ჰყიდულობს გლეხი

---

[2]) ხაზს თვითონ ავტორი უსვამს.

[3]) Сборникъ стат данныхъ стр. 12.

მიწის სარგებლობის უფლებას, ყველა ეს „ივერიის“ პუბლი-
ცისტისათვის უმნიშვნელოა. საქმე მიწის რაოდენობაა, რომ-
ლითაც გლეხობა სარგებლობს.

ამ მოსაზრებით აიხსნება, რომ ბ. ტფილისელი სახაზინო
გლეხების მდგომარეობას განსაკუთრებით შეჰხარის. სახაზინო
გლეხობას, 302,066 სულს, როგორც უკვე გვქონდა ამაზე
ლაპარაკი, 863,894 დესეტინა მიწა უჭირავს, ხოლო საკუთ-
რებად აქვს მარტო 9,757,45 დესეტინა. ბ. ტფილისელის აზ-
რით 863894 დესეტინა ის მკუდრი საფუძველია, რომელიც
სახაზინო გლეხების კეთილდღეობას შეადგენსო. ჩვენ დიდ
მნიშვნელობას არ ვაძლევდით ამ მიწას, რადგან სახეში გვქონ-
და გადასახადის სიმძიმე. ეს ერთი. მეორე ისა, რომ ეს მიწა
სახაზინოა, და სახელმწიფოს თავის საკუთრების მოხმარება ისე
შეუძლიან როგორც მას ჰსურს.

პირველი მოსაზრება (გადასახადის სიმძიმე) სრულებით არ
მიუღია სახეში ბ. ტფილისელს. ეს საგანი კი ძლიერ საინტე-
რესოა. ერთი მილიონი დესეტინა მიწაც რომ მეჭიროს, თუ
კი ვერ აუვალ ხარჯს, ჩემი სიმდიდრე სიმდიდრედ არ ჩაითვ-
ლება სახაზინო გლეხობა, სხვა გლეხებთან შედარებით, წელ-
ში უფრო არის გამაგრებული. მხოლოდ ყველა ეს შედარე-
ბითია. დაუკვირდეთ იმას, რას ახდევინებდნენ ამ გლეხებს,
სანამ ახალ გადასახადის წესს შემოიღებდნენ.

საკომლო (სახელმწიფო) გადასახადი ამერეთში 8 მ. 50 კ.
იყო, იმერეთში 6 მანეთი [4]). ტფილისის გუბ. სახაზინო გლე-
ხები იხდიდნენ საკომლო გადასახადს საერთოდ 183,909,82
მან., ქუთაისის – 77,049 მ. (ibid). საერო გადასახადი (Земс-
кій сборъ) თითო კომლზე ტფილისის გუბე 7 მ. 98 კ. იყო,
ქუთ. გუბ. 4 მ. 80 კ. საერთოდ ამერეთში (საერო გადასა-
ხადი) 232,345$_{46}$, იმერეთში 73,051$_{30}$ მ. მოვიგონოთ აგრე-
თვე სოფლის საზოგადოების სხვა და სხვა გაწერილი ფული:
სასოფლო მმართველობის შესანახავად, გზების და არხების შე-
სასწორებლად, მღვდლის გასაძღოლად (სამარხი, ნათლობის,
ნიშნობის, ჯვარის-წერის და სხვა), მივიღოთ მხედველობაში
ბევრი სხვა უკანონო გადასახადი და მას შემდეგ დავკრათ ნა-

[4]) Сводъ матер. по изучен. быта тос. крест. стр. 139.

ღარა, დაუკრათ ღოროტოტო, შევყაროთ საზოგადოება და
გაბედვით ვუთხრათ, ჩვენი გლეხი ბედნიერია-თქო.

მაგრამ ბ. ტფილისელმა ამას არავითარი ყური არ ათხო-
ხოვა. ეს კიდევ არაფერი. მან სხვა უმართებულობაც ჩაიდინა.
ბიუროკრატიულის აზრებით გამსჭვალული „ივერიის“ პუბ-
ლიცისტი მკითხველებს შემდეგ მოსაზრებას აუწყებს: „სახელ-
მწიფო გლეხ-კაცობა თავის სახელმწიფობით ამაყობს, თავი
მოსწონს ხელმწიფის კაცობით და თამამად რა რიხით გაიძა-
ხის, – მე სულ სხვა ვარ, მე სახელმწიფო კაცი ვარო" [5]). რაა
მიზეზი სახელმწიფო კაცის ამგვარ ამაყობისა? იქნება ის მიწა,
რომელსაც სახელმწიფო მიწას ეძახიან, ამ გლეხების საკუთრე-
ბად გამხდარა? ბ. ტფილისელი სწორედ ამ აზრისაა. „თუ აქამ-
დე სახაზინო გლეხკაცების სვე-ბედი გამოურკვეველი იყო იუ-
რიდიულის მხრივ, ეხლა ხომ ეს აღარ ითქმის: ჩვენი გლეხ-
კაცობისათვის შესანიშნავმა და დიადმა კანონმა 1900 წლის
1 მაისისამ მისი ბედი სამუდამოდ გაარკვია და მთელი ზემორე
მოყვანილი მიწა მათ საკუთვნოდ იცნო"-ო. მაშ სახაზინო გლე-
ხები 863894 დესეტინის მოსაკუთრენი ყოფილან ამ კანონის
ძალით? ასე კი არის სინამდვილეში? ზემოხსენებულ კანონის
თოთხმეტი მუხლი გადავიკითხეთ და ამ თოთხმეტ მუხლში სწე-
რია: გლეხები მიზომილ მიწის მოსარგებლენი არიანო. „Зе-
мельные надѣли отводятся сельскимъ обществатъ, се-
леніямъ и поселкамъ съ сохраненіемъ существующаго [6])
порядка пользованія оными“. მეოთხე მუხლში ვკითხულობთ,
გლეხები მიწის სარგებლობისთვის სახელმწიფო გადასახადს იხ-
დიანო. „Государственные поселяне, владѣя предостав-
ленными имъ по отводнымъ записямъ землями, обяза-
ны вносить въ казну опредѣленный закономъ ежегод-
ный платежъ, подъ названіемъ государственной об-
рочной подати (ibid). მკითხველმა უნდა იცოდეს, რომ ეს
კანონი მაშინ იყო დაწერილი, როდესაც ჯერ კიდევ არ იყო
შემოღებული გადასახადის ახალი წესი (Оцѣнка по имущес-
тву და როცა მესაკუთრენი მიწის მფლობელობისათვის სას-

[5]) „ივერია“ № 37.

[6]) Извѣстія министр земледѣлія и государ имущ. № 23,
1900 г.

ხელმწიფო გადასახადს არ იხდიდნენ. მაშასადამე, არც სახაზინო გლეხებს გადაახდევინებდნენ ხარკს, მიწის მოსაკუთრენი რომ ყოფილიყვნენ.

2.

ამრიგად, როგორც წინა წერილში განვმარტეთ, სახაზინო გლეხები, წინააღმდეგ ბ. ტფილისელის რწმუნებისა, სახელმწიფო მიწის მოსაკუთრენი კი არ არიან, არამედ მოსარბებლენი. ამას გვეუბნება 1 მაისის 1900 წლის ის **დიადი** კანონი, რომელმაც ვითომდა „სამუდამოდ გაარკვია" გლეხების სვებედი და სახაზინო მიწა „მათ საკუთვნოდ სცნო". როგორც ვნახეთ, ყველა ეს მართალი არ არის და ახალის კანონის გამოცემით მხოლოდ ის მოხდა, რომ სახაზინო გლეხების მდგომარეობა იურიდიული მხრივ სრულიად გამოირკვა....

იტყვიან, რა ცუდია, რომ გლეხები მხოლოდ მოსარგებლენი არიან მიწისა და არა მოსაკუთრენიო? სახელმწიფო იმის თავდებია, რომ მიწას გლეხი ვერც გაჰყიდის, ვერც დააგირავებს და ამრიგად გლეხის სასარგებლოდ დარჩებაო. დიაღ, ყველა ეს კარგია. მხოლოდ სახელმწიფოს შეუძლია სახაზინო გლეხი მოსაკუთრედ გაჰხადოს და ამასთანავე აღუკრძალოს მიწის გაყიდვა-დაგირავება. რუსეთის შიდა გუბერნიებში ამგვარი წესია შემოღებული. ჩვენა გვგონია, რომ ჩვენშიაც შეიძლება ამგვარი წესის შემოიდება... [1])

ბ. ტფილისელი გვპირდება, შემდეგ წერილებში მოვილაპარაკებ დაწვრილებით ამ გლეხების მდგომარეობაზე და დაგანახვებთ ნათლად მათს გარემოებასო. ამიტომ ამის შესახებ დღეს ჩვენ აღარას ვიტყვით. ამ ჟამად დავუბრუნდებით ისევ სახაზინო გლეხების მიწის რაოდენობას.

ბ. ტფილისელი აქაც სცდება, აქაც სინამდვილეს დაშორებულია. ის მხოლოდ გლეხკაცის სიმდიდრის გამომსახველ ციფირებს გვაჩვენებს და მიწით ღარიბ გლეხებზე სდუმს, არას გვეუბნება. ამერეთში 941 სახაზინო სოფელიაო. ამ რიცხვიდან 5 სოფელს აქვს (კომლეულად) 200 – 449 დესეტინამდე, 52 სოფელს – 100 – 200 დ., 59 ს. – 60 –100 დ., 89 ს. – 30 – 40 დ., 46 ს. – 25 – 30 დ., 65 ს. – 20 – 25 დ., 24 ს. – 18 – 20

[1]) ცენზორის მიერ დამახინჯებული ადგილია.

დ., და 31 ს. – 16 – 18 დესეტინამდეო [1]). ბ. ტფილისელი აქ სწყვეტს თავის სტატისტიკას და იმ ციფირებზე, რომელიც ჩვენ მოვიყვანეთ, არას ამბობს. მხოლოდ გვისაყვედურებს, რა-

ტომ მიმალეთ სახაზინო გლეხების შეძლების მაჩვენებელი ფაქ-
ტები ამაზე ქვემოდ გვექნება ლაპარაკი, ხოლო ახლა კი
ჩვენის მხრივ ვუსაყვედურებთ ბ. ტფილისელს, რატომ დამალა
ის, რაც დასამალი არ იყო. ბ. ტფილისელს არ უნდა წაეფა-
რებინა ხელი იმაზე, რომ 72 სოფელს (კომლეულად) 3 – 4
დეს. მიწა უჭირავს, 44 ს. – 2–4 დეს., 26 ს. 1 – 2 დ. და
20 ს. – 0 – 1 დეს. რატომ არა სთქვა, რომ ტფილისის გუ-
ბერნიაში 2034 სახაზინო გლეხია, რომელთაც არც ერთი მტკა-
ველი ნადელი არ უჭირავთ და რომ ამის გამოისობით იძულე-
ბულნი არიან 4961[1] დეს. მიწა აიღონ საიჯაროდ [2]). ყველა
ამისი თქმა საჭირო არ იყო ბ. ტფილისელისთვის, მაგიერად
ავტორი გვეუბნება: „ნუ თუ სოფლელი, რომელსაც 50 – 449-
მდე დეს. მიწა უჭირავს, მართლა ნამდვილ მებატონეს არ ედ-
რებაო"?! („ივერია" 37). სახაზინო გლეხი მებატონესავათ უზ-
რუნველყოლიაო, აი რის დამტკიცება ჰსურდა „ივერიის" პუბ-
ლიცისტს და ადვილად გასაგებია, ყველა ზემო აღნიშნული
რად დასტოვა უყურადღებოდ.

საგებია აგრეთვე ისიც, რომ ბ. ტფილისელი არაფერს
არ გვეუბნება არც მიწის უთანასწოროდ განაწილების შესახებ
სახაზინო გლეხთა შორის, არც მოყვანილ ციფირების უტყუარ
მნიშვნელობას გვიხსნის და არც ოფიციალურ აზრს გვაუწყებს
გლეხების ნამდვილ მდგომარეობაზედ. ყველა ეს კი საყურად-
ღებოა. მოისმინეთ, რას ამბობს ოფიციალური გამოკვლევა:
„ტფილისის გუბერნიაში 52 სახაზინო სოფელიდან ერთ ფარ-
გალში (въ одномъ обрубѣ) მიწა მხოლოდ 12 სოფელს აქვს.
რამდენად დაკუწულია მიწა, იქიდამაც სჩანს, რომ ზოგიერთ
საზოგადოებების ნადელები სოფელზე 8 – 20 ვერსის მანძილ-
ზეა მოშორებულიო. სასოფლო მიწას ხშირად ხან კერძო მოსა-
კუთრის მამული ჰყოფს, ხან სხვა მეზობელ სოფლების მიწა.
ამისათვის თითქმის ყოველი შორს მდებარე მიწა შეუმუშავე-
ბელი რჩება და ნახირისთვის ან საიჯაროდ გასაცემად თუ არის

---

[1]) „ივერია“ № 37.

[2]) Сборникъ стат. данныхъ. стр. 10.

გამოსადეგიო [1]). ამის გარდა, მხედველობაში მისაღებია ისიც,
რომ ტფილისის გუბერნიაში რუსების და გერმანელების ახალ-
შენებია. მარტო გერმანელებს უჭირავთ 14880 დეს. თითო
კომლს – 26 დეს. 1848 კვ. საჟ. (ibid).

ყველა ამას რომ ჩაჰფიქრებოდა ბ. ტფილისელი, ადვილად
გაიგებდა, ჩვენი სახაზინო გლეხის სვე-ბედს აგრე რიგად რა-
ტომ არ შევხარი და რატომ არ აღმაფრთოვანა იმ გარემოე-

ზამ, რომ ტფილისის გუბერნიაში ზოგიერთ კომლს 60 – 449 მიწა დეს. უჭირავს.

ხოლო არ უნდა დავივიწყოთ უმთავრესი კითხვა, რომელმაც გამოიწვია ჩვენი კამათი. ჩვენ დარწმუნებული ვართ, მარტო გლეხების გაჭირვებულ მდგომარეობაზედ რომ ჩამოგვეგდო ლაპარაკი და ხაზი არ გაგვესვო იმისათვის, რომ ამ გაჭირვების უმთავრესი მიზეზი ჩვენს წოდებათა შორის მიწის უთანასწოროდ განაწილება არის, „ივერია“ არას იტყოდა, დაგვეთანხმებოდა კიდევაც. მაგრამ წოდებრივ ინტერესს შევეხეთ. და აი „ივერია“, რომელიც დას-დასობით სიარულს უარჰყოფდა, თურმე კლასსებრივი და დასებრივი აზრებით ყოფილა გამსჭვალული. იმ აზრის დარღვევისთვის, რომ ჩვენი თავად-აზნაურობა არაფერ შუაშია და მისი ეკონომიური ინტერესი არ ეწინააღმდეგება მწარმოებელ-სოფლელი კაცის ინტერესებს, გვიმტკიცებს, ჩვენს მაღალ წოდებას, საერთოდ აღებულს, მიწა ცოტა უჭირავს და ამისათვის იგი სხვას ვერავის ვერ შეეცილებაო. ოფიციალური სტატისტიკის ცნობა (1260406 დეს. მიწა) ქართველ თავად-აზნაურობის მიწის მფლობელობას კი არ გვითითებს, არამედ საზოგადოდ ტფ. გუბ. ყველა მცხოვრებელ პრივილეგიით აღჭურვილ წოდებასო. (привил. сослов.). 3330 მამული, რომელიც 1260406 დეს. შეიცავს, ეკუთვნის დიდ მთავარს, თავად-აზნაურობას, ბეგებს, აღალარებს, სამღვდელოებას, მოქალაქეთ, საუფლისწულოს, ეკკლესიებს და სამხედრო და საგზაო უწყებათ და სხვა-და-სხვას, ყველა ამათ საერთოდ აღებულსო. მითომ ახლა რაო? გლეხებს რა ემატებათ, რომ უზარ-მაზარი მიწის სივრცე სხვა-და-სხვა პრივილეგიით აღჭურვილ პირთ შორის არის განაწილებული? ამერეთის ტერიტორია რომ სხვის ხელში გადადის, რა ემატე-

---

[1]) ipid стр. 10.

ზათ მკვიდრ მცხოვრებლებს? სწორედ ეს გარემოება გვქონდა ჩვენ მხედველობაში, როდესაც ვსწერდით, ჩვენებური დიდი მამულები უცხოელების ხელში გადადის, უცხოელები მამულს ფულით ამუშავებენ და ამრიგად „აქეთ მამული თითქმის კაპიტალიზაციის გზას დაადგა და რამდენადაც მეტად დამყარდება ამერეთში ამგვარი პრცესსი, იმდენად მეტად აღმოჩნდება და გამწვავდება ინტერესთა შეუთანხმებლობა [1]).

როცა წოდებათა და კლასთა შორის ურთიერთობაზეა ლაპარაკი, სხვა-და-სხვა ხარისხის და პრივალეგიის კაცები კი არ უნდა გვყვანდეს მხედველობაში, არამედ ის ორი ელემენტი (მწარმოებელი, არა–მწარმოებელი) რომლიდანაც თანამე-

დროვე საზოგადოების ეკონომიური აგებულება შესდგება. ბ. ტფილისელს კი ჰგონია, რომ ჩვენ თავად-აზნაურობა ამოჩემებული გვყავს და რასაც ვამბობთ, მხოლოდ იმის დასამცირებლად ვამბობთ. ეს სრული გაუგებრობაა აღძრულ კამათისა. ჩვენს ოპონენტს მეტი დაკვირვება რომ გამოეჩინა, უყურადღებოდ არ დასტოვებდა იმას, რაც ვსთქვით თვით ეკონომიურ უთანხმოების პრინციპის შესახებ: „ქალაქებში შეგროვილ სიმდიდრეს მესაკუთრეთა და ამ სიმდიდრის მკეთებელთ შორის, არსებითად, იგივე პროცესსი ხდება, რასაც ვხედავთ სოფელში“-მეთქი (ibid). მაშასადამე, ჩვენ ყოველთვის „კეთილშობილობა" „ძვალის და სისხლის“ გამორჩევა კი არ გვაქვს სახეში, არამედ **ეკონომიური ძალა** იმ პირისა, რომელიც სოფლად თუ ქალაქად სცხოვრობს. მღვდელია, ბერია მოსაკუთრე თუ თავადი – ამას არსებითი მნიშვნელობა არა აქვს. ეს ერთი.

მეორე ის, რომ სოფლის სხვილ-სხვილ მოსაკუთრეთა შორის საქართველოში პირველი ადგილი მაინც ქართველ თავად-აზნაურობას (საერთოდ აღებულს) ეკუთვნის. ძალიან სცდება ბ. ტფილისელი, როდესაც გვეუბნება, ოფიციალური სტატისტიკა ამის შესახებ არას გვეუბნებაო. აი რას ვკითხულობთ ოფიციალურ გამოკვლევაში. მოგვყავს სიტყვა სიტყვით რუსულად: „Основываясь на данныхъ списковъ по обложенію налоговъ, можно сказать съ достовѣростью лишь то, что изъ земель привелигерованныхъ сословій спеціально дворянскому принадлежитъ большая часть; тотъ-же вы-

[1]) „ცნობ ფურც.“ № 1693.

водъ потверждаетъ и межевые документы, изъ которыхъ видно, что изъ 554 т. дес., окончательно размежаванныхъ земель (къ 1891 г.), принадлежащихъ прив. сослов. тиф. губ., собственно дворянамъ принадлежитъ 511 т. д. т. е. 92 %. На основанія всѣхъ вышеприведенныхъ соображеній и цифровыхъ данныхъ, оказывается, что въ Тифлисской губерніи дворянамъ принадлежить не менѣе одного милліона десятинъ, состовляющихъ болѣе четвертой части всей поверхности губерніи [1]).

ბ. ტფილისელსაც ყველა ეს წაკითხული ექნებოდა, მიუხედავად ამისა, მაინც ამბობს: „განა შესაძლოა და ადვილია ჯერ ვინმემ ჭეშმარიტი ცნობები გვიჩვენოს და დაგვანახვოს ნათლად, რაოდენი მამული (მიწა) უჭირავს ქართველ თავად-აზნაურობას და რაოდენი სხვა გვარის ტომთ და სხვა-და-სხვა დაწესებულუბათო“... [2])

საკვირველია ყველგან, დედა-მიწის ყველა კუთხეებში, რა რიგად ჰგვანან ერთიერთმანეთს წარსულ წყობილების მცველნი და დაძველებულ აზრთა მოტრფიალენი! ყველა ესენი, გარეგნულის მხრივ, ისე გესაუბრებიან, თითქოს ყოველივე მართალია, რასაც გეუბნებიან. ციფირები, ფაქტები, კეთილშობილური წყრომა, აზრის და ცხოვრების გამოცდილება – ყველა ამას ხმარობენ, ყველაფრით სარგებლობენ, რათა დაუმტკიცონ ქვეყანას, სიმართლე და ჭეშმარიტება მათკენაა….

VIII. კიდევ მომავალ არჩევნების გამო.

–

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ გვიახლოვდება ქალაქის არჩევნები. წინა წერილში მოვილაპარაკეთ ქართველების და სომხების ურთიერთობის ხასიათზე და ვსთქვით, რომ ამ ორ მეზობელ ერთა შორის, ისტორიულ და ეკონომიურ მიზეზთა მიხედვით, განხეთქილება ჰსუფევს. მაგრამ ამასთან ისიცა ვსთქვით, რომ სომხების ზოგიერთ ჯგუფებთან დაახლოვება შესაძლებელი და სასურველიცაა.

---

[1]) Сводъ... глава I стр. 5.

2) „ივერია" № 37.

ამ დაახლოვების ნიადაგად ქალაქის მცხოვრებთა ინტერესი უნდა იყოს ქალაქი, როგორც კავკასიის გული, თავის მრავალფეროვან ხასიათით, იმ ასპარეზად უნდა გადაიქცეს, სადაც, თანდათან უნდა გამოირკვეს მეტოქე ერთა წარმომადგენლების შეთანხმებული მოქმედება.

ქალაქის საქმეებს რომ დავაკვირდეთ, ნათლად დავინახავთ, მომავალს საარჩევნო საქმეებში ქართველები რა გზას უნდა დაადგნენ. ქალაქი ბურჟუაზიას ხელში უჭირავს. როგორც ყველგან რუსეთში, ტფილისშიაც ბურჟუაზია განაგებს ქალაქის საქმეებს. მისის მეცადინეობით ქალაქის მდიდარი ნაწილი თანდათან იზრდება, უკეთესდება, მის მხნეობას უნდა მივაწეროთ ის, რომ ყველაფერი, რაც კეთდება ქალაქში, უმთავრესად მცხოვრებლების მდიდარ ნაწილის სასარგებლოდ კეთდება.

მომავალ არჩევნების დროს ეს უნდა გვქონდეს მხედველობაში. საჭიროა ყურადღება მიექცეს განაპირა მცხოვრებლების მდგომარეობას. საჭიროა ქუჩების გასწორება, მოკირწყვლა და გასწორება იქ, სადაც ამ ჟამად კლდე-ღრე ოღრო-

ჩოღროა და სადაც სიბნელისაგან კისრის მოტეხაა ადვილი, საჭიროა სკოლების და სამკითხველოების გამართვა ქალაქის იმ ნაწილში, სადაც ქალაქის ღარიბი და უსწავლელი ხალხი სცხოვრობს. საჭიროა ქალაქმა იკისროს მცხოვრებლების უმთავრეს საჭიროებათა დაკმაყოფილება. ქალაქმა კერძო პირებს ხელიდან უნდა გამოაცალოს ხორცის და პურის ვაჭრობა, მიმოსვლის იარაღი (ცხენის რკინის გზა), ხალხის გასართობი და სწავლა-განათლების დაწესებულებანი და სახალხო და იაფ-ფასიანი სადგომები უნდა ააგოს.

უნდა გვახსოვდეს, რომ ყოველი ამგვარი საქმე – ცხენის რკინის გზა არის იგი, თუ სხვა რამ საქმე, კერძო ხელში ჩავარდნილი, როგორც კაპიტალისტური ხასიათისა, მოგებას მხოლოდ კერძო პირს აძლევს. და ამგვარად, როდესაც მცხოვრებლების უმთავრესი საჭიროების დაკმაყოფილება (ჭამა-სმისა, სწავლისა, მიმოსვლისა და სხვა) ამ კერძო პირის ხელშია, აშკარაა, საქმის წარმოების სარგებელი მთლად ამ კერძო პირს რჩება.

ამ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების ინიციატივის გასაზოგადოებრივებას ის მნიშბნელობა აქვს, რომ ამ შემთხვე-

ვაში საქმის მოთავედ, მესაკუთრედ თვით საზოგადოება, ქალაქი ხდება. ამისათვის ყოველივე მოგება საზოგადოებასვე უბრუნდება დასავლეთ ევროპის ქალაქების ისტორიას რომ დააკვირდეთ, სწორედ ქალაქების ამგვარ მისწრაფებას დაინახავთ. სხვა და სხვა საწარმოებელი საქმეების „მუნიციპალიზაცია" (გასაზოგადოებრივება) – აი ის მიზანი, რომლის განხორციელებას სცდილობენ ევროპაში.

ჩვენა გეგონია, რომ ჩვენც გვერდს ვერ ავუქცევთ ამ გზას, თუ ქალაქის მცხოვრებლების კეთილდღეობაზე მართლა გვინდა ვიზრუნოთ.

ამ საგანს კიდევ დავუბრუნდებით. დღეს მხოლოდ იმის თქმა გვინდა, რომ ქალაქის არა შეძლებულ ნაწილის ინტერესი უნდა გვქონდეს მხედველობაში და ამ ნიადაგზე სომხებთანაც დაახლოვება შესაძლებელია და სასურველი.

თუ ქართველ ამომრჩევლებს ქალაქის საქმეებში მონაწილეობის მსღება ჰსურთ, ყველა ეს არ უნდა დაივიწყონ, მისკენ იქნება სიმართლეც და სომხის ის ნაწილიც, რომელიც სომხის ბურჟუაზიის უპირატესობას ებრძვის. სიმართლე და ტაქტიკა მოითხოვს საერთო საარჩევნო დემოკრატულ პროგრამის შემუშავებას.

IX. ავსტრო-უნგრეთის ახალ ისტორიიდან [1]).

1.

ტელეგრაფი გვატყობინებს, ავსტრიის პარლამენტში დიდი უწესოება ხდებაო. სხვა და სხვა პარტიების წარმომადგენლები ერთმანეთში ვერ რიგდებიან. თანამედროვე ავსტრიის პოლიტიკურ ცხოვრებას ვერ გაიგებთ, თუ არ გეცოდინებათ ამ ქვეყნის მე-XIX საუკუნის ისტორია. ამისათვის მეტი არ იქნება ამ საგანზე ლაპარაკი ჩამოვაგდოთ.

–

---

[1]) წყაროები: Histoire politque de L'Europe contemporaine, par Seigneobos.

Histoire giénérale – ouvrage pulbié sous la direction de MM. Lavisse et Rambaud. Tomes XI და XII.

მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში ავსტრიაში ორგვარი მოძრაობა აღმოცენდა დემოკრატული და ეროვნული. დემოკრატული მოძრაობა თავდაპირველად ძველ წეს-წყობილებას და ეროვნულ მოძრაობასაც შეებრძოლა, რადგან დასაწყისში აესტრო-უნგრეთის ეროვნულ მოძრაობას არისტოკრატული ხასიათი ჰქონდა. შემდეგ, როდესაც დემოკრატულმა მოძრაობამ ძველი წეს-წყობილება სძლია და ეროვნულ მოძრაობასაც ფერი უცვალა და დემოკრატულ ნიადაგზედ დაუფუძნა, ეს ორი მოძრაობა – დემოკრატული და ეროვნული – ერთმანეთს დაუახლოვდნენ და, ხელი ხელში გაყრილები ძველ წესის და არისტოკრატ-პატრიოტულ მოძრაობის წინააღმდეგ გაილაშქრნენ.

აესტრო-უნგრეთის მეცხრამეტე საუკუნის ისტორიის დედა-აზრი სწორედ ეს არის. გადავავლოთ თვალი ამ საყურადღებო ქვეყანას, გავითვალისწინოთ აჭრელებული სურათი პოლიტიკურ ცხოვრებისა, დავაკვირდეთ მრავალფეროვან, მრავალტომიან რთულ სახელმწიფო აგებულების განვითარებას და კვალ და კვალ აღვნიშნოთ ამ ქვეყნის პოლიტიკური ევოლიუცია.

მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში ავსტრიაში სცხოვრობდნენ საქსები, უნგრელები (მადიარები), რუმინები და სლავიანთა ტომის მრავალი ერები – ჩეხები, პოლონელები, რუსინები, კროატები, სერბიელები, სლოვაკები და სხვა.

ეს ერები სხვა და სხვა სარწმუნოებისანი იყვნენ. ავსტრიელები კათოლიკეთა სარწმუნოებას ეკუთვნოდნენ, საქსები – პროტესტანტების, სერბიელები და სლოვაკები – მართლმადი-

დებლების, რუტინელები უნიატების და სხვა და სხვა. თითქ-
მის თვითვეული ამ ერთაგანი ძველ დროში დამოუკიდებლად
სცხოვრობდა, ან სხვა პოლიტიკურ სახელმწიფოს შემადგენელ
ნაწილს შეადგენდა. და აი ეხლა კი ყველა ეს სხვა და სხვა
რჯულის ტომის, ენის, ისტორიულ წარსულის და ტრადი-
ციების ერები ერთ სახელმწიფოში მოჰყვნენ, ერთ ფარგალში
მოთავსდნენ, ერთ პოლიტიკურ ძალას დაემორჩილნენ. პოლი-
ტიკური ცხოვრების მოთავენი გერმანელები იყვნენ, რომელ-
ნიც აფუძნებდნენ გერმანულ სახელმწიფოს სისტემას.

ავსტრიის მთავრობას იმ თავითვე ესმოდა, რომ მხოლოდ

მტკიცე პოლიტიკურ ძალას შეუძლიან დაიმორჩილოს განზე
გამწევი სახელმწიფოს ნაწილები.

ამ მიმართულების მამა-მთავრად ავსტრიის პოლიტიკურ
სისტემის გამომსახველი და გამტკიცებული, ცნობილი სახელმ-
წიფო მოღვაწე, მეტერნიხი იყო. მეტერნიხი თვითმოქმედებას
სდევნიდა, მხარს აძლევდა წარჩინებულ წოდებასა კლერიკა-
ლების ხელში ჩააგდო სკოლა და ოჯახი და მით უფრო შეზ-
ღუდა აზრი და თვით-მოქმედება. ამგვარი საშუალებით, რო-
მელსაც მეტერნიხის სისტემას უწოდებდნენ, სახელმწიფო მარ-
თველობის აღვირი ხელში ეჭირა და სახელმწიფო ცხოვრებას
იქითკენ აბრუნებდა, საითკენაც მოისურვებდა.

ამ რეჟიმის წინააღმდეგ ორმა ძალამ გაილაშქრა. ერთის
მხრივ, თვით გერმანელები, რომელთაც ძველი წესი აღარ აკ-
მაყოფილებდათ, მეორეს მხრივ, მაჯიარები (უნგრელები), ჩე-
ხელები, კროატები და სხვ. საფუძველი დაუდვეს გერმანელებ-
მა დემოკრატულ მოძრაობას, უცხო ტომებმა ეროვნულ მოძ-
რაობას. პირველ ხანში ამ ორ მოძრაობათა შორის არავითა-
რი კავშირი არ იყო. ორივე ძალა განცალკევებულად მოქმე-
დებდა. პირიქით, დემოკრატები მტრულადაც ეკიდებოდნენ ნა-
ციონალისტებს. და თვით სხვა და სხვა ტომების ნაციონალის-
ტებიც განმარტოებით იბრძოდნენ და მოქმედებდნენ. ხშირად
ერთმანეთს სჩაგრავდნენ კიდევაც, რადგან ჯერ არ ჰქონდათ
შეგნებული კავშირის და შეთანხმების ფასი და მნიშვნელობა.
ასეთი იყო მოძრაობის დასაწყისი.

ვენის მთავრობის წინააღმდეგ, თავდაპირველად, მაჯია-
რები გამოვიდნენ. უნგრეთი ავსტრიის დამოუკიდებელი ნაწი-
ლი იყო. მე-XVIII საუკუნეში ავსტრიის იმპერატრიცამ ორ-
სახიანი სახელმწიფო შეჰქმნა – ავსტრო-უნგრეთი. იმპერატორი
უნგრეთის ხელმწიფედაც ითვლებოდა. უნგრეთს თავისი კონს-
ტიტუცია ჰქონდა. უნგრეთი კომიტეტებად დაყოფილი იყო.
კომიტეტები დეპუტატებს ირჩევდნენ და დიეტში, პარლამენ-

ტის მსგავს უნგრეთის უმთავრეს დაწესებულებაში ჰგზავნიდნენ. ყოველ შინაურ კითხვას, ახალი კანონის შემუშავება იყო იგი, თუ საფინანსო კითხვა, დიეტი სწყვეტდა. მე-XIX საუკუნის დასაწყისში, როდესაც ავსტრიაში მეტერნიხის სისტემა გამტ-კიცდა და ყოველი სახელმწიფო კითხვა ვენიდან უნდა გადა-წყვეტილიყო, უნგრელების ეროვნულ თვით-მოქმედებას დიდი

განსაცდელი მოელოდა. ამ გარემოებათა მიხედვით უნგრეთში 1830 წლიდან მოყოლებული ეროვნულ-პოლიტიკური მოძ-რაობა დაიწყო. 1832 წელს უნგრელების პარლამენტის, დიე-ტის, გადაწყვეტილებით შემდეგი კითხვები იყო წამოყენებუ-ლი: უნგრელებს თავიანთი მმართველები უნდა ჰყავდეთ, დიე-დის (პარლამენტი) სხდომები უფრო ხშირად უნდა მოხდეს და პრესბურგიდან (გერმანელების ქალაქი) პეშტში, მაჯიარების სატახტო ქალაქში უნდა იყოს გადატანილი. ოფიციალური ენა უნგრეთში მაჯიარების ენა უნდა იყოს, ნაცვლად ლათინური-სა. ამ ნაციონალური პოლიტიკის კითხვებში მთელი უნგრეთი შეთანხმებული იყო. ხოლო დანარჩენ კითხვების გარკვევაში მაჯიარებს შუა განხეთქილება გაჩნდა. ამის მიზეზი ის იყო, რომ უნგრეთის წყობილება დაძველებული წყობილება იყო. მაჯიარები ორ წოდებათ იყვნენ დაყოფილნი: ერთის მხრივ, თავად-აზნაურობა, რომელთ ხელში იყო პოლიტიკური და მო-ქალაქობრივი უფლებები და გლეხობა, ამ უფლებებს მოკლე-ბული. თავად-აზნაურობა არავითარ გადასახადს არ იხდიდა, გლეხები მებატონებიის მამულზე სცხოვრობდნენ, მიწის სარ-გებლობისათვის დიდ ღალას აძლევდნენ, სამხედრო სამსახურს ეწეოდნენ და ყოველგვარ პოლიტიკურ უფლებებს მოკლე-ბულნი იყვნენ. დიეტში (პარლამენტში) მხოლოდ თავად-აზ-ნაურების წარმომადგენლები იყვნენ. დიეტი ორ პალატად იყოფებოდა: ერთს შეადგენდა, ეგრედ წოდებული **მაგნატების მაგიდა** (დიდ მებატონეების წარმომადგენლობა, ინგლისელ ლორდების მსგავსად) და **სახელმწიფოების მაგიდა**, რომე-ლიც შესდგებოდა მეორე ხარისხის თავად-აზნარების წარმო-მადგენლებიდან.

როდესაც უნგრეთში ეროვნული მოძრაობა დაიწყო, მა-ღალ წოდებას, მაგნატებს, ჰსურდათ უნგრეთის პოლიტიკური დამოუკიდებლობა, რადგან ამ სახით ძალა მათ ხელში რჩებო-და. ისინი წინააღმდეგნი იყვნენ საზოგადოების განახლებისა, ძველი წესის გაუქმებისა, გლეხების ეკონომიურ მდგომარეობის გაუმჯობესობისა და პოლიტიკურ უფლებათა თანასწორობისა. ეს იყო უმთავრესი მიზეზი უნგრეთის შინაურ განხეთქილები-სა, უთანხმოებისა არისტოკრატულ და დემოკრატულ ეროვ-

ნულ პრინციპთა შორის.

როდესაც ავსტრიის მთავრობამ ზოგი რამ დაუთმო მა-

ჯიარებს (მაჯიარული ენა შემოიტანეს სასამართლოში 1839, ადმინისტრაციაში 1840, სკოლაში და მმართველობაში 1844 წელს). და მაჯიარებს უკეთესის მომავალის იმედი მიეცეთ, უნგრეთში წამოიზარდა და ფეხზე წამოდგა ეროვნულ-დემოკ-რატული მოძრაობა, რომლის მოთავედ ნიჭიერი და მჭევრ-მეტყველი კოშუტი შეიქმნა ეროვნულ-დემოკრატულ პარტიას ჰსურდა: საბატონო ღალის მოსპობა, გადასახადის წოდებათა შორის გათანასწორება, ხალხის წარმომადგენლობის დაწესება, საარჩევნო უფლებათა გაფართოვება და სიტყვის და ბეჭდვის უფლების დაწესება. დიდი მემამულეები, მაგნატები, რასაკვირ-ველია, ამ რეფორმების წინააღმდეგნი იყვნენ და ამრიგად, უნგრეთი ორ უთანასწორო ბანაკად გაიყო. ერთ მხარეზე დარჩა სიმდიდრით და პოლიტიკურ უფლებებით აღჭურვილი უმცირესობა, მეორეზე დანარჩენი ხალხი, მშიერ-მწყურვალე და პოლიტიკურ ცხოვრებიდან განდევნილი. ამ ორ ბანაკთა შორის შეტაკება აუცილებელი იყო. მაგრამ აღსანიშნავი გა-რემოება არის, რომ საქმე სისხლის ღვრამდე მაინც არ მივი-და. ორივ მხარეს არ ავიწყდებოდათ, რომ, რაც უნდა იყოს, ავსტრიის მთავრობის სახეში მათ საერთო მტერი ჰყავთ. ამ მოსაზრების მიხედვით დიეტმა, რომელიც თავად-აზნაურები-დან იყო შემდგარი, აღარ გამოუცხადა ბრძოლა ახლად და-არსებულ დემოკრატულ კლუბებს და მშვიდობიანობის აღ-მადგენელ კომიტეტს. აქ შეიმუშავეს პროგრამა (ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლება, გადასახადის გათანასწორება, ბატონ-ყმობის გაუქმება), რომელიც ვენის მთავრობას გაუგზავნეს. მთავრობა, რომელსაც ამავე დროს ვენის რევოლიუციონერე-ბი ემუქრებოდნენ და აგრეთვე პატარა ერების ამბოხება მოს-ვენებას არ აძლევდა, ძლიერ დაშინდა მაჯიარების ეროვნულ-დემოკრატულ მოძრაობით და იძულებული შეიქმნა თანხმობა გამოეცხადებინა ყველა იმაზე, რასაც მაჯიმრები ითხოვდნენ. 1846 წელს უნგრეთს არამც თუ ეროვნული დამოუკიდებლო-ბა მიენიჭა, არამედ პოლიტიკურადაც თითქმის სრულიად გან-თავისუფლდნენ.

ამავე ხნის განმავლობაში სლავიანთა ქვეყნებშიაც მოხდა არეულობა და გაჩნდა ეროვნული მოძრაობა. პოლონელების მოძრაობას პოლიტიკურ-ეროვნული ხასიათი მიცკა. კრაკოვი, რომელსაც 1815 წელს ნაპოლეონის წყალობით არისტოკრა-

ტულ რესპუბლიკის ორგანიზაცია მიეცა, ძველ პოლონეთის
აღმადგენელ ცენტრად შეიქმნა. ავსტრიის პოლონელ დიდკა-
ცობას კრაკოვთან დიდი კავშირი ჰქნდა. აღსანიშნავია ის
გარემოება, რომ პოლონელ წინამძღოლების განზრახვას ამ
წინამძღოლების გლეხ-კაცებმა მოუღეს ბოლო. ავსტრიის გა-
ლიციაში, სადაც დაიწყო მოძრაობა, გლეხ-კაცობას რუტენე-
ბი შეადგენდნენ. ამ რუტენებს პოლონელი მებატონეები
ძლიერ ავიწროებდნენ. როცა პოლონელ მებატონეებმა დაიწ-
ყეს მოძრაობა, გლეხ-კაცობა მათ სრულიად არ თანაუგრძნობდა,
რადგან მათგან კარგს არას მოელოდა. ყველა ამითი ავსტრიის
მთავრობამ ისარგებლა. პოლონელ არისტოკრატ-პატრიოტებს
მიუსია გლეხკაცობა. გლეხკაცობამ მოძრაობის მოთავენი შე-
იპყრო და მთავრობას გადასცა. ვენის მთავრობამ ისარგებლა
პოლონელების არეულობით, კრაკოვის მოუსვენარ წაქეზებით,
გერმანიის და რუსეთის თანხმობით გამოუცხადა ომი კრაკოვს
და ეს უკანასკნელი ნაშთიც დამოუკიდებელ პოლონეთისა თა-
ვის სამფლობელოდ გაჰხადა. ამრიგად, უკუღმად დაუტრიალდა
ბედი პოლონელებს. მათ დამარცხებას რომ დავაკვირდეთ, ად-
ვილად დავინახავთ, რომ პოლონელების ეროვნული მოძრაო-
ბა მეტად სუსტი და უღონოა, რადგან ამ მოძრაობის მოთა-
ვეთ ხალხი არ თანაუგრძნობდა.

ჩეხელების ეროვნულ აღორძინებას პრაკტიკულად მეტი
შედეგი მოჰყვა, თუმცა ჩეხელების მოძრაობაც, თავდა-პირვე-
ლად, ზევიდან, ინტელიგენციის და მწიგნობართა წრეებში და-
იწყო. ძველ ბოგემიას (ჩეხების სახელმწიფო) 1620 წელს მო-
ეღო ბოლო. ორი საუკუნეს განმავლობაში ჩეხელები თან-და-
თან ივიწყებდნენ თავიანთ ენას და ჰკარგავენ ეროვნულ პი-
როვნებას. გერმანული ენა, კულტურა და ზნე-ჩვეულება ქა-
ლაქებში და მაღალ საზოგადოებაში გამეფდა. და აი ორი სა-
უკუნის პოლიტიკურ დამოუკიდებლობის დაკარგვის შემდეგ,
ჩეხელები თითქოს გამოფხიზლდნენ ხანგრძლივის დუმილისა და
ძილისაგან. მათ აგონდებათ ძველი დიდება, მწერლობა, მეც-
ნიერება, გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწენი და ამ მოგონე-
ბამ წარსულისადმი ჩეხელებში სიყვარული აღძრა და აქედან
იწყობა ეროვნული მოძრაობა ბოგემიაში. ჩეხელების შორს-
მჭვრეტელობა იმაში გამოისახა, რომ მათ შეიგნეს სლავიანთა
ერების კავშირის მნიშვნელობა და საფუძველიც დაუდვეს, ეგ-

რედ წოდებულ **პანსლავიზმს** (სლავიანების გაერთიანების სა-
ჭიროებას). სლავიანები რიცხვით სჭარბობდნენ გერმანელებს.
მათი სისუსტე განცალკევებაში იყო. ჩეხელებს სწადდათ სლა-

ვიანთა შორის კავშირის გამტკიცება. ამ მიზნისათვის გამართეს საერთო, ყველა სლავიანთა ერების წარმომადგენლების თანადასწრებით, მოლაპარაკება, რომელსაც 340 წარმომადგენელი დაესწრო. (მათ შორის ცნობილი ბაკუნინიც. იყო). თუმცა პრაკტიკული შედეგი ამ მოლაპარაკებას დიდი არა ჰქონდა რა, მაგრამ ეს მოლაპარაკება დასაწყისი იყო იმ დიადი საქმისა, რომელსაც ისტორიკოსები დიდ მომავალს უქადიან.

ძველი ბოგემია სამი პროვინციიდან შესდგებოდა (ბოგემია, მორავია, სილეზია – ჩეხელებმა თავდა პირველად ამ პროვინციების გაერთიანებას მიაქციეს ყურადღება. მთავრობამ წინააღმდეგობა ვერ გამოუცხადა ჩეხელებს, რადგან ესენი მედგრად და მტკიცედ მოქმედობდნენ. ჩეხელები სარგებლობდნენ მთავრობის სისუსტით, ვენაში მომხდარ არეულობით. პრაგაში მოუყარეს თავი ჩეხელების წარმომადგენლებს, შეჰქმნეს დროებითი მმართველობა და მაჯიარებსავით პოლიტიკურ და ეროვნულ დამოუკიდებლობის გზას დაადგნენ. მართალია, ყველა ეს იმ დროს (1848 წ.) ვერ განახორციელეს. მართალია, შემდეგში ცხარე და მწვავე შეტაკება მოუვიდათ ავსტრიელებთან, ხოლო თავისუფლების საქმე მაინც დაწყობილი იყო და ამ დაწყობას შემდეგში თავისი გაგრძელებაც მოჰყვა.

სამხრეთ სლავიანთა შორის კროატელებმა თავი გამოიდეს. აქაც, ჩეხელებისა არ იყოს, მოძრაობას თავდაპირველად უფრო ლიტერატურული ხასიათი ქჰონდა. ხელთ-ნაწერების და ნაშთების შესწავლა ეროვნულ კითხვისადმი ინტერეს ჰბადავს. პირველი გაზეთი არსდება 1836 წელს, ამ გაზეთმა თანდათან პოლიტიკურ ეროვნული მიმართულება მიიღო.

კროატიაში შერჩა ზოგიერთი ძველი ეროვნული დაწესებულებანი. მმართველი ჰყავდათ (ბან), საარჩევნო ოლქები, რომელნიც ჰგზავნიდნენ თავიანთ წარმომადგენლებს უნგრეთის დიეტში კროატია უნგრეთის მეზობლად მდებარეობს და მაჯიარები იმ თავითვე სჩაგრავდნენ თავიანთ მეზობლებს. ამისათვის კროატების მოძრაობა მაჯიარების წინააღმდეგ იყო მიმართული. როდესაც ვენის მთავრობის ნება-დართვით, კროატიის მმართველად (ბან) ჟელაშიჩი დაინიშნა, უნგრების მთავრობა

ამ დანიშვნას ეწინააღმდეგებოდა, რადგან ჟელაშიჩს იცნობდა, როგორც პატრიოტს და მაჯიარების მტერს. ჟელაშიჩს უნდოდა კროატიის წარმომადგენლების აგრამის ქალაქში თავის მოყრა. მაგრამ კროატიის შემადგინებელ ნაწილებს ჯერ – კიდევ არ ჰქონდათ ეროვნული თვით-შეგნება. დალმატელები [1] ავსტრიისკენ იწევდნენ, სლავონები უნგრეთისაკენ. თანხმობა არ იყო და ეროვნული მოძრაობა ჯერ-ჯერობით არაფრით არ

დაგვირგვინდა.

ამ ერების კვალს მიჰყვნენ სერბიელები და რუმინები. პირველებს კროატებთან შეერთება უნდოდათ. ეროვნული კომიტეტი შეჰქმნეს. მხოლოდ მათი მოქმედება უძლური იყო, რადგან სერბიელები რიცხვითაც ცოტანი იყვნენ და ოსმალეთის სერბიელებსაც დაშორებულნი. რუმინების წინააღმდეგ ავსტრიის მთავრობამ მაჯიარების ფანატიზმი და ძალ-ღონე გამოიყენა და რუმინია უნგრეთს შეუერთა.

ამგვარი იყო ავსტრიაში ეროვნულ მოძრაობის დასაწყისი [2]).

X. დაჟინებული მრავალსიტყვაობა.

1.

ბ. ტფილისელმა ამ ბოლო დროს ხუთი თუ ექვსი წერილი დასტამბა. ამ წერილებში გლეხების მდგომარეობას შეეხო და თანაც ისევ გლეხთა კითხვის შესახებ ჩვენც გვეკამათებოდა. მართალია, ამ წერილებში ბევრი რამ იმისთანაც იყო, რომ არც გლეხებს შეეხებოდა, არც საპოლემიკო იარაღად გამოდგებოდა, მაგრამ მრავალსიტყვაობა ჩვენი მოკამათის სუსტი მხარე ყოფილა. ამისათვის ჩვენ უყურადღებოდ ვტოვებთ წერილების იმ ადგილებს სადაც ჩვენი მოკამათე უცხოელ სოფლის იდილიას დამღერის, სტკბება და ატკბობს მკითხველს სოფლის მყუდროების და მშვენიერების მოგონებით, უღვიძებს ადამიანს სოფელში გაქცევის და გახიზნების სურვილს, რადგან იქ, წიაღსა შინა ბუნებისასა, კაცს დარდი ექარვება, აწეწილი ნერვები უმშვიდდება და დამშვიდებული კაცის გული

[1]) კროატიას შეადგენდა: კროატია, დალმატია და სლავონია.

[2]) ეს წერილი დამახინჯებულია ცენზორის მიერ.

ღვთაების ძალას სცნობს. ყველა ამაზე ბ. ტფილისელს ჩვენ არ შევეცილებით, მით უფრო, რომ ჩვენი მოკამათე ამ ჟამად სწორედ ამგვარ „აწეწილ“ მდგომარეობაშია, სოფლის ჰავა და მყუდროება სწორედ რომ მოუხდებოდა.

მკითხველის ყურადღებას მივაქცევთ შემდეგს ახირებულ მდგომარეობაზედ. ბ. ტფილისელი გვისაყვედურებს, ჩემი აზრები გადაამახინჯეთ, მე ჯერ არა მითქვამს რა გლეხების მდგომარეობაზედ და თქვენ ნება არა გაქვთ სხვისი აზრები კისერზედ მომახვიოთო. არ ვიცი, კიდევ რას, ან რამოდენას ილაპარაკებს ბ. ტფილისელი. ხოლო ის, რაც სთქვა, მეტად საინტერესოა იმის დასახასიათებლად, რა საზღვრამდე მიიყვანს

ხოლმე ადამიანს მრავალსიტყვაობის ჟინი.

ბ. ტფილისელის აზრით, „დედა-ბოძად წოდებათა შორის მოურიგებლობისა ჩვენში ქონებათა უთანასწორობა არ არის...“ .... სხვა ფაქტორებს უფრო დიდი მნიშვნელობა და მეტი გავლენა აქვს ამ სამწუხარო მოვლენაზედო“, („ივერია" № 56). მაშასადამე, წოდებათა შორის მოურიგებლობას ბ. ტფილისელი არ უარ-ჰყოფს, თუმცა ამ მოურიგებლობის მიზეზს ქონებრივს უთანხმოებაში არა ჰხედავს. ეს ერთი.

გლეხს მიწა არ აკლიაო. თუმცა ამერეთში არის იმისთანა კუთხეები, სადაც გლეხობას საკმარისი მიწა არ უჭირავს, „მაგრამ ამისთანა რიცხვი ფრიად მცირეაო“. (№ 37). ეს მეორე. საზოგადოდ კი სახაზინო გლეხი შეძლებულია. „ნუ თუ სოფელი, რომელსაც 60 – 449-მდე დეს. მიწა უჭირავს, მართლა ნამდვილ მებატონეს არ ედრებაო? (№ 37) ასე რომ სახაზინო გლეხის ნორმალური ტიპი მებატონეს მიემგზავსება. ეს სამი. ახლად შობილ მებატონეების მდგომარეობა მეტად მტკიცეა, რადგან ახალმა კანონმა „მათი ბედი სამუდამოდ გაარკვია და სახაზინო მიწა მათ საკუთვნოთ სცნოო“. ეს ოთხი.

თავის წერილებში, სხვათა მრავალთა მოსაზრებათა შორის, ბ. ტფილისელმა ეს ოთხი მოსაზრებაც გამოსთქვა. და როდესაც ჩვენ ამაზე პასუხი გავეცით და დავუმტკიცეთ, რომ სახაზინო გლეხის მდგომარეობა მაინცა და მაინც სანატრელი არ არის, ბ. ტფილისელმა ჩვენი სიტყვები იუცხოვა, მე არ მითქომსო, რაშიაც ჯორჯაძე ბრალსა მღებსო და „არავის ნება არა აქვს ჯერ მიკიჟინოს გლეხ-კაცობაზე ამა და ამ აზრისა ხარო" (№ 56). ამ სიტყვების შემდეგ, არ ვიცით, ვის ან

რას დაუჯეროთ. მაშ, არის თუ არა წოდებათა შორის მოურიგებლობა? ბევრია თუ ცოტა მებატონეების მსგავსი გლეხები? მართლა გააბედნიერა თუ არა ახალმა კანონმა ჩვენი გლეხობა? ყველა ამაზე ბ. ტფილისელმა ჩამოაგდო ლაპარაკი, ეხლა კი იძახის, ჯერ კიდევ გლეხობაზე არა მითქვამს-რაო, მართლაც და მრავალსიტყვაობის ჟინი – საოცარი ჟინი ყოფილა!

მიუხედავად ყველა ამისა, საკამათო საგანი მაინც ფრიად საინტერესოა. ბ. ტფილისელი ჩვენ მიერ მოყვანილ ციფირებს უარჰყოფს ჯორჯაძემ, ჩვეულებისამებრ, განგებ დაამახინჯა და გაასხვაფერა ციფირებიო. გადავშალოთ „Податное облаженіе госуд. крест. зак. края“ და საქმის ნამდვილი ვითარება გავიგოთ. 139 გვერდზე სწერია: Размѣръ окладовъ по губерніямъ и уѣздамъ.

Губерніи.	Число окладовъ.	Велич. окл. съ дыма.

Тифлисская	15 отъ – р. 50 к.	–	8 р. 50 к.
Кутаисская	6 „ 1 р.	–	6 „ „

და სხვ.

ბ. ტფილისელს სხვაგვარი ციფირები მოჰყავს. მას ორთა შუა რიცხვი აქვს სახეში და ამისათვის ჩემგან მოყვანილ ციფირების გაბათილებისათვის მკითხველს ამ ხასიათის ციფირებზე უთითებს. ამ ორთა შუა რიცხვს როგორც სახელმწიფო, ისე საერო გადასახადის შესახებ გვაჩვენებს. ჩვენ კი ორთა შუა რიცხვის ანგარიში არ აღვნიშნეთ იმიტომ, რომ ეს ანგარიში საეჭვო ანგარიშად მიგვაჩნია. ჩვენ ავიღეთ უდიდესი გადასახადი 8 მ. 50 კ. (ტფ. გუბ.) და 6 მან. (ქუთ. გუბ.) ეს გადასახადი სინამდვილესთან უფრო ახლო გვეჩვენება, ვიდრე ბ. ტფილისელის ციფირები: 3 მ. 80 კ. (ტფ გუბ.) და 3 მ. 83 კ. (ქუთ. გუბ.). აი რატომ. ორთა შუა რიცხვის ანგარიში ძლიერ საეჭვო ანგარიშია-მეთქი. „По приведеннымъ даннымъ размѣровъ подымнаго оклада селеній и группировки ихъ по этому признаку еще нельзя съ достаточною вѣрностью уяснить себѣ степень обременительности податями тѣхъ или другихъ уѣздовъ", სწერია ზემოხსენებულ წიგნში [1]). ეს ერთი. რომ ორთაშუა რიცხვის ანგარიში ყალბია და სინამ-

[1]) გვერდი 143.

დვილეს მოკლებული, შემდეგის ფაქტებიდან მტკიცდება. სოფ. ზემო-ავჭალაში, მაგალითად, გლეხებს არც ერთი მტკაველა სახაზინო მიწა არა ჰქონდათ, თითო კომლი კი ექვს-ექვს მან. სახაზინო გადასახადს იხდიდა [1]). სოფელ კუმისში 15 კომლს არა აქვთ სახაზინო მიწა, მუხედავად ამისა, ესენი სახაზინო გადასახადს იმოდენას იხდიდნენ (კომლი 4 მ. 50 კ.), რამდენსაც სხვა გლეხები, სახაზინო მიწებზე დაბინავებულნი. მარტყოფში და ბურდიანში დროებით ვალდებულნი და სახაზინო გლეხები ერთნაირ სახაზინო გადასახადს იხდიდნენ [2]). სოფ. ხორბალოში თითო სახაზინო კომლს აქვს 28 დეს მიწა, სოფელ ბახტრიონში – 11 დეს. ხორბალელი გლეხი იხდის 50 კ., ბახტრიონელი 4 მან. ეს კიდევ არაფერი. ბახტრიონში ციებ-ცხელებისაგან ხალხი ამოსწყდა, სულ 18 კომლი-ღა დარჩა და ამ 18 კომლს დახოცილების გადასახადსაც ართმევდნენ [3]). ქუთაისის გუბერნიაში, სოფ. გლოლაში თითო კომლს 1$_{36}$ დეს. მიწა უჭირავს და გადასახადს აძლევს 5 მ., მაშინ როდესაც სოფ. ნიკორწმინდაში თითო კომლს სამჯერ მეტი მიწა უჭირავს (4$_{84}$ დეს.), გადასახადი კი 4 მანეთია. თუ როგორ უთანასწოროდ იყო განაწილებული გადასახადი სოფლებთა

შორის, შემდეგ ცხრილიდან სჩანს;

საკომლო გადასახადი 5 მან.	**სახაზინო მიწა თითო კომლს.**
სოფელ ღებში	0,83 დეს.
„ ჩიორაში	0,93 „
„ ონში	0,09 „
„ სამცისში	0,52 „
„ წესში	0,25 „
საკომ. გად. 4 მან.	
სოფელ სორში	4,40 დეს.
„ აბარში	2,90 „
„ ლიხეტში	3,83 „
„ კაჩაეტში	2,21 „ [4])
„ კვატრუტში	3, 60 „

[1]) გვერდი 154.
[2]) გვერდი 155.
[3]) გვერდი 156.
[4]) გვერდი 159.

ამ ცნობების შემკრებლის აზრით, „при распредѣленіи подымной подати не было принято никакой опредѣленной системы... [1]) вездѣ количество надѣльной земли не только не соотвѣтствуетъ размѣру подимной податной, но, напротивъ, послѣдній, какъ видно изъ приведенныхъ примѣровъ, обратно пропорціоналенъ первому... და აგრეთვე, размѣръ подимной подати въ изслѣдованныхъ селеніями и является слѣдствіемъ простой сдучайности или же чистѣшаю произвола [2]).

აი სწორედ ყველა ეს გვქონდა მხედველობაში და მოვერიდენით იმ ციფირების ამოწერას, რომელთ გამომჟღავნებით ბ. ტფილისელს ამრიგად თავი მოსწონს. როდესაც სოფლელს, რომელსაც 0,25 დესეტინა მიწა უჭირავს, 5 მანეთს ართმევენ, და ცოცხლად დარჩენილ სოფლელებს გარდაცვალებულ გლეხების გადასახადსაც ართმებენ, იქ ორთაშუა რიცხვის ანგარიშს არა აქვს ადგილი. იქ არა მარტო ამ ანგარიშს არა აქვს ადგილი, იქ ჩვენი მოყვანილი ციფირებიც (8 მ. 50 და ნ მან.) სრულ სიმართლეს არ გვეუბნებიან. გლეხს, რომელსაც არც ერთი ნაჭერი სახაზინო მიწისა არ უჭირავს, 4–5 მანეთიანი გადასახადი (სიმძიმით) 8 მანეთიანსაც უდრის და 10–12 მანეთ გადასახადსაც.

ბ. ტფილისელმა კი ამ გარემოებას ყური არ ათხოვა და ჩამოამწკრივა მთელი წყობა საეჭვო ციფირებისა და რა ფასი

აქვს ამ ციფირებს, ამაზე ხმა არ ამოუღია. წინდაწინვე ვიცით, ამ განმარტებისათვის როგორ აპილპილდება ბ. ტფილისელი: ამაზედ ლაპარაკი მინდოდა, მაგრამ ჯორჯაძემ არ დამაცალაო მე დალაგებით და არა აჩქარებით მიყვარს ლაპარაკიო. სოფ-ლის იდილიაზე ხომ ვსთქვი ორიოდე სიტყვა, ეხლა სოფლე-ლების ფსიხოლოგიას მოგიყვებითო. შემდეგ ამისა სხვა კით-ხვებსაც შევეხებითო. [3]) და სანამ კი კარგს იზამდა ბ. ჯორჯა-ძე, რომ გამოერკვია, „რა გზით და საშუალებით შეიძლება გლეხკაცობის მდგომარეობის გაუმჯობესობა, წოდებათა შო-

---

[1]) გვერდი 156.

[2]) გვერდი 159.

[3]) თავისი დაპირება აასრულა და მართლაც ბევრ რამეზე, გარდა ჩვენ მიერ აღძრულ კითხვებისა, ჩამოაგდო ლაპარაკი.

რის ეკონომიურ უთანასწორობის მოსპობა და ამით... დაემ-ყარებინა მოძმეთა შორის სანატრელი დამოკიდებულებაო“ („ივერია“ № 57). როგორც ჰხედავთ, ბ. ტფილისელს „губа не дура" ჰქონია. მიკვირს, რატომ არა მთხოვს ბ. ტფილი-სელი, ბარემ ინგლის-იაპონიის ხელშეკრულებაზე და სამ სა-ხელმწიფოთა კავშირის პოლიტიკაზედაც ჩამომეგდო ლაპარაკი. ამასობაში ბ. ტფილისელიც საბოლოვოდ თავის შეხედულებას გლეხთა მდგომარეობაზე გამოსთქვამდა. მაგრამ, ესეც კი არის მისაღები, რომ ბ. ტფილისელი საქმიანი კაცია, ჩვენ კი ყალ-ბი „ცნობების გასასწორებლად დროს ვაკარგვინებთ". ყველა ამისათვის, ჩვენი „ოინების" შესახებ ერთ წვლილსაც დავსტამ-ბავთ და შემდეგ ამისა დავდუმდებით და დიდის მოთმინებით მოვუცდით ბ. ტფილისელის წერილის დაბოლოვებას. იქნება მართლა ისეთი რამა სთქვას, რომ არამც თუ მკითხველი სა-ზოგადოება გააკვირვოს, თვითონაც გაიოცოს.

2.

ჩვენებური სახაზინო გლეხი მოსარგებლეა სახაზინო მი-წითა, თუ მოსაკუთრე? წინა წერილებში ჩვენ ვამბობდით, სა-ხაზინო გლეხი მიწით მოსარგებლეა. ჩვენს აზრს 1 მაისის 1891 წლის ახალ კანონის შინაარსზე ვამყარებდით. ბ. ტფილისელ-საც ეს ახალი კანონი აქვს სახეში, ხოლო გვიმტკიცებს, ჩვენი გლეხი, ამ კანონის ძალით, არც მოსარგებლეა, არც მოსაკუთ-რე, იგი **მოსაკუთვნეაო**. როგორ მოხდა ეს, რომ ჩვენ ორ-თავეს რუსული გვესმის და ერთი და იგივე კანონი კი სხვა და სხვანაირად გაგვიგია? ბ. ტფილისელის აზრით, „დიად კა-ნონსა (ასე უწოდებს ამ ახალ კანონს) გულმოდგინე შესწავლა

სჭირიაო“. მე, რასაკვირველია, საჭირო გულმოდგინეობა ვერ გამომიჩენია, ბ. ტფილისელს კი, ამ ახალ-ახალ „დიადი" კანონების მცოდნე მონოპოლისტს, ამ კანონის დაფარული დედააზრიც კი შეუგნია და შეუსისხლხორცებია.

და აი მისტიურის თვით-შეგნებით მიხვედრილა, რომ ჩვენი სახაზინო გლეხი მიწის მოსაკუთვნეა? რა არის მიწის მოსაკუთვნე? იკითხავს ცნობის მოყვარე მკითხველი. მოსარგებლე? არა! მოსაკუთრე? არა. რაღა არის? განსაზღვრული საგანი **ან** მეკუთვნის (ე. ი. ჩემი საკუთრებაა) **ან** არ მეკუთვნის (საკუთრება არ არის). როდესაც განსაზღვრული საგანი – მამულია

იგი თუ ცხენი - მე არ მეკუთვნის, ამ შემთხვევაში, პატრონის ნება-დართვით, შეიძლება ამ საგნით დროებით ვისარგებლო. მაშინ მე უბრალო მოსარგებლე ვარ ხსენებულ ნივთისა (სარგებლობის ვადა აქ არაფერ შუაშია, შეიძლება იგი ხანგრძლივიც იყოს და მოკლეც). მაშ მოსაკუთვნე ან მოსარგებლე უნდა იყოს, ან მიისაკუთრე. არა, მოსაკუთვნე – მოსაკუთვნეაო. მოსაკუთვნე რაღაც ორ სახიანი მცნებაა, იგი თითქმის მოსარგებლეა, მეორეს მხრივ, მოსაკუთრესაც ჰგავსო. ერთის სიტყვით, რაღაც უცნაური რამ არის, ქალა-ბიჭასავით ორ-მნიშვნელოვანია. მკითხველი აქედან რასაკვირველია, ვერაფერს ვერ გაიგებს. უნრა გავტყდეთ, მაინცა და მაინც არც ჩვენ გვესმის ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობა. ამისათვის, ჩვენ ისევ ნაცნობ სიტყვას ვუბრუნდებით და ვამბობთ, რომ კანონის ძალით, სახაზინო გლეხი მიწის **მოსარგებლეა** და, სხვა არაფერი. აი ამისი საბუთიც.

როგორც წინა წერილებშიაც აღვნიშნეთ, კანონის პირველი მუხლი ნათლად გვეუბნება, რომ გლეხები მიწის მოსარგებლენი არიან და არა რაღაც მოსაკუთვნენი. (Земельные надѣлы отводятся сельскимъ обществамъ... съ сохраненіемъ существующаго порядка пользованія оными). მეოთხე მუხლში ვ კითხულობთ: „на владѣніе отведенными надѣлами выдается особый актъ, именуемый отводной записью. სწორედ ისე, როგორც მოიჯარადრეებს მისცემენ ხოლმე პირობის ბარათს. მეხუთე მუხლი გვეუბნება: «государственные поселяне, владѣя предоставленными... землями» და სხვა. ამ ორ მუხლში სიტყვა „ვლადეია" არის ნახმარები. ამ სიტყვამ გაუღვიძა ბ. ტფილისელს ფილოლოგიური გამოკვლევის სურვილი და ათქმევინა შემდეგი სიბრძნე: „მიწა საკუთვნო რომ არ ყოფილიყო, კანონში არც სიტყვა მფლობელობა (владѣя) იქნებოდა მოხსენებულიო“ („ივერია“ № 57). ფარდა აქ აგვეხსნა და გავიგეთ, რომ მოსაკუთვნე მფლობელი

ყოფილა. კეთილი, ხოლო მოსაკუთრე ვიღა არის? განა სიტყვა მფლობელი მოსაკუთრეს უფრო არ უხდება? ან აქნება მოსაკუთრე მფლობელი არ არის? ბ. ტფილისელი, თანახმად იურიდიულ კაზიუსტიკისა და წინააღმდეგ საღი გონების მოთხოვნილებისა, სწორედ ამ აზრისაა და სწორედ ამაში გამოიჩინა ბიუროკრატიული გაწვრთნილობა.

ჩვენის აზრით, სიტყვა (владѣя), რომელიც კანონშია ნახმარი, ნიშნავს სიტყვას „пользуясь" და სხვას არაფერს. აი ყური დაუგდეთ, რას გვეუბნება ამ კითხვის შესახებ ბ. გ. თუმანიშვილი: „გლეხებს, ახალი კანონის ძალით, მიეცემათ მიწები... სამუდამო სარგებლობაში. ხოლო ამასთანავე ზოგიერთ შემთხვევაში, როდესაც, მაგალითად, მთავრობა მიწების მორწყვას მოინდომებს, ამ მიწების ჩამორთმევის უფლება აქვს. ამას გარდა, მიწები შეიძლება ჩამოერთვას გლეხობას იმ შემთხვევაფიაც, როდესაც მთავრობა საზოგადოებისთვის რაიმე სასარგებლო საქმეს იწყებს – ტყის გაშენებას აპირებს, სამეურნეო სკოლას და ფერმებს აარსებს და სხვ. ამის მიხედვით, გლეხი დამშვიდებული არ არის და ხვალინდელი დღის ფიქრშია. მთავრობამ შეიძლება მოსარწყავ არხების გაყვანა მოინდომა სწორედ იმ პატარა მიწაზედ, რომელიც გლეხს უჭირავს, და ჩამოართმევს კიდევაც ამ მიწას. ყოველი ნადელის ნაგლეჯი შეიძლება დასჭირდეს ხვალ ხაზინას – ან სკოლისთვის, ან ფერმის და ტყის გასაშენებლად – და გლეხს უნდა ჩამოერთვას მიწა, რომელსაც საუკუნოებით დასტრიალებდა და ამუშავებდაო“ [1]). ამ განმარტებიდან ნათლად სჩანს, თუ ვინ არის სახაზინო გლეხი. აქ აღნიშნულია ტიპიური თვისებები მიწით მოსარგებლისა. მართალია, კანონის აზრით სახაზინო გლეხი სამუდამო მოსარგებლეა, მაგრამ ნამდვილად კი არც ეს არის მართალი. სამუდამო მოსარგებლე რომ ყოფილიყო, ასე ადვილად ვერავინ ჩამოართმევდა მიწას. როგორ თუ ჩამოართმევდა? ვინ ჩამოართმევს? მრისხანედ მოგიგებთ ჩვენი მოკამათე. აბა გაჰბედეთ... მაშინ გლეხკაცობა დაგიმტკიცებთ და არა ტფილისელი, ვისი საკუთვნოა ეს მიწაო. კაცს ძალიან უნდა გაუჭირდეს, რომ ამისთანა სიბრძნე საჯაროდ წარმოშობოს! „ივერიის" პუბლიცისტს დაჰვიწყებია, რომ აქ ლაპარაკი მამულის პატრონზე, მამულის მესაკუთრეზე, ხაზინაზე და ამ მამულის მოსარგებლე გლეხზეა და არა ჩემზე, ბ. ტფილისელზე და სხვა გარეშე პირზედ. მამულის ჩამორთმევაზე რომ ვლაპარაკობდი, ხაზინა მყავდა მხედველობაში და არა ეს გარეშე პირი.

ფრიად საყურადღებოა, რა მოსაზრებით სარგებლობდნენ კანონის შემადგენელნი, როდესაც სახაზინო გლეხებზე სჯა

[1]) Земельные вопросы стр. 100ю 1901 г.

ჰქონდათ. ამის შესახებ ზემოდ აღნიშნულ წიგნში ვპოულობთ ცნობებს. სახაზინო გლეხს მიწის მესაკუთრედ ვერ გავხდითო, რადგან 1) „გლეხის მეურნეობა ჯერ კიდევ გაუმჯობესებული არ არის. ნადელი, უმეტეს შემთხვევაში, ურწყავია. ამის გამო ამ ჟამად დიდ ნადელებს აძლევენ. ხოლო თუ ამ ნადელებზე სარწყავი არხები გაიყვანეს, იმ შემთხვევაში მიწას მეტი ფასი მიეცემა და თუ ეხლა ერთ კომლს არჩენს, მაშინ რამდენიმე კომლს გამოჰკვებავს ამ მოსაზრების ძალით, გლეხის მესაკუთრეობა მთელ ქვეყანას ვნებას მოუტანდაო... ვერ გავხდითო, რადგან 2) გლეხი მიწის მესაკუთრედ რომ გავხადოთ, ე. ი. გაყიდვის და დაგირავების უფლება რომ მივცეთ, ამას, როგორც იყო შიდა გუბერნიებში, ძლირ ცუდი შედეგი მოჰყვება. მთელი მიწა სოფლის წურბელების ხელში გადავაო... მესაკუთრედ ვერ გავხდითო, რადგან 3) კავკასიაში მიწის გამიჯვნა ჯერ არ დამთავრებულია. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს. გამიჯვნის დროს სახაზინო ნადელი რომ სხვისი საკუთრება აღმოჩნდეს, ამ მესაკუთრეს ნება არ აქვს წაართვას გლეხს მიწა. მიწა უნდა იყოს გამოყიდული. ხოლო ხაზინას გლეხი მიწის მესაკუთრეთ რომ გაეხადა და არა მოსარგებლედ, იმ შემთხვევაში ამგვარი მიწა გლეხს ადვილად წაერთმეოდაო [1]). ამგვარის აზრით ხელმძღვანელობდნენ კანონის შემადგენელნი და ამგვარი შეხედულება კანონს საფუძვლად დაუდვეს. ხოლო ამ კანონის შედგენის დროს ამ მოსაზრებას წინააღმდეგებიც გაგამოუჩნდნენ. იმავე წიგნში ამ მოწინააღმდეგეების აზრსაც ვპოულობთ: 1) მესაკუთრე მეტის გულმოდგინეობით და სიყვარულით შეიმუშავებს თავის მიწას, რადგან თავის ნამუშევრის ბატონი იქნება. მოსარგებლე ამ გულმოდგინეობას ვერ გამოიჩენს და მით ავნებს საზოგადო მეურნეობას; 2) თუ ხაზინას საზოგადო საქმისთვის (ტყის გაშენება, სკოლის დაარსება და სხვ.) მიწა დასჭირდა, იმ შემთხვევაში შეუძლიან ეს გლეხისაგან იყიდოს. „მართალია, ზოგიერთ ნადელს მეტი ფასი მიეცემა, თუ რიგიანად მოირწყა, მაგრამ ბევრი მიწა ხომ მცირე ნაწილს აქვს“; 3) მიწის დაგირავებას და გაყიდვასაც ეშველება, კანონის ძალით რომ ხელუხლებლად იყოს ცნობი-

[1]) laid. стр. 99.

ლი გლეხის ნადელი [2]). „Если право земельной собственности и неотчуждаемость уживаются вмѣстѣ во внутренных губерніяхъ (какъ извѣстно давно уже составленъ въ этомъ смысдѣ особый законопроектъ) то мы не имѣемѣ основанія не допускать того же и на Кавказѣ..." 4) რაც შეეხება გამიჯვნას და ამ გამიჯვნის გამო მიწის დაკარგვის შიშს, მოსაკუთრე გლეხი უფრო ადვილად დაიცავს გამიჯნულ მიწას. „ხაზინამ თუ შეიმაგრა გამოსადეგი მიწები, ისე გლეხების შემწეობით, რომელნიც გამიჯვნის დროს ეხმარებოდნენ მას" [3]).

ერთის სიტყვით, კანონის შედგენის დროს ორი აზრი ჰქონდათ მხედველობაში: ერთის მხრივ, გლეხი მიწით მოსარგებლედ უნდა გაეხადათ, მეორეს მხრივ, მესაკუთრედ. ამ ორ აზრში პირველმა გაიმარჯვა. არ ვიცი, თავისი გამოკვლევა რომ წარედგინა ბ. ტფილისელს, იქნება მესამე აზრი გამარჯვებულიყო და გლეხები „მოსაკუთვნედ" გაეხადნათ, ხოლო, რადგან ეს მაშინ არ მოხდა, ეხლა კი დაგვიანებულია. ჩვენი გლეხები მიწის მოსარგებლენი არიან.

XI. გზაში.

... მე ყოველთვის გაოცებული ვარ ხოლმე, როდესაც ვხედავ, ადამიანი იღწვის, ცხოვრების გაუმჯობესება და გაუკეთესება უნდა, მომავლისკენ მიისწრაფვის და ამ მომავალში ხსნას და ნუგეშს ჰხედავს". ასე დაიწყო ლაპარაკი ჩემმა თანამგზავრმა, ჩემთან ერთად ვაგონის კუპეში მჯდომმა. მატარებელი ქართლის ველებზე მიგვაქროლებდა. ტფილისისაკენ მოვდიოდით. მეზობელ მგზავრს გზაში გავეცანი. სხვებისაგან არაფრით არ გაირჩევოდა ეს ჩემი ახლად გაცნობილი მეზობელი. მხოლოდ მის თვალებში რაღაც გაუბედავობა და მორცხვობა ისახებოდა; სახე დაღონებული ჰქონდა და მთელ მის სხეულს რაღაც დაღალვა ეტყობოდა.

„რად მოქმედობს ადამიანი, განაგრძო მან, ასე ხარბად რად ებღაუჭება სიცოცხლეს, რა არის ამ სიცოცხლეში ასეთი ხელჩასაჭიდებელი, რომ ზრუნვის და სიყვარულის ღირსი იყოს? – „რასა ბრძანებთ, – ვერ მოვითმინე მე, – კაცო მოქმედობს, რადგან ჭამა-სმა უნდა, კმაყოფილება ხორციელი და

[2]) რა მნიშვნელობა აქვს გლეხის კეთილდღეობის კითხვაში მიწის ხელ უხლებლობას (неотчуждаемость), ამაზედ სხვა დროს მოვილაპარაკებთ.

[3]) ibid. 101

სულიერი კაცი ბედნიერებას ეძებს. სიცოცხლე აძლევს, ანიჭებს ამ ბედნიერებას…"

– ბედნიერება! მწარედ გაიცინა და სიტყვა გამაწყვეტინა ჩემმა თანამგზავრმა. ბედნიერება, კმაყოფილება! მიკვირს, უმნიშვნელო სიტყვებს ხმარობთ. სად არის ბედნიერი? ვინ არის კმაყოფილი? იტყვით, კაცობრიობის დიდი უმრავლესობაო. ეს ასე არ არის. და თუ არის, შეუგნებლობით მოსდის. სიცოცხლე იმგვარი თვისებისაა, რომ იგი თავის დღეში ვერ გააჯერებს კაცის გულს, ვერ დაამშვიდებს, ვერ დააწყნარებს აღშფოთებულ სულს. თვალ-ყურს რომ ვადევნებ ხალხის ცხოვრებას, საზოგადოების მოღვაწეობას, მწერლობას, სხვა და სხვა დაწესებულებათა მოქმედებას, ვერ შემითვისებია ის აზრი, თუ რად სცხოვრობს ხალხი, რად მოღვაწეობს საზოგადოება, მწერლობა ვისთვის ან რისთვის არკვევს სხვა და სხვა კითხვებს, როდესაც თვით ცხოვრება უაზროა, მოღვაწეობა უმიზნო და ამის მიხედვით – მწერლობაც უმნიშვნელო.

– ჰო, მესმის, – მეც, ჩემის მხრივ, გავაწყვეტინე, – თქვენ, ალბად, სიცოცხლეში უკვდავებას ეძებთ და სრულ ბედნიერებისაკენ მიისწრაფვით. თქვენი სიტყვები გაუმაძღარ კაცის გულის თქმაა, სხვა არაფერი. თქვენ უარ-ჰყოფთ სიცოცხლეს, რადგან სიცოცხლე თქვენი სამუდამო კუთვნილება არ არის, უკუაგდებთ ბედნიერებას, რადგან იგი წუთიერია, კმაყოფილებას ვერა გრძნობთ, რადგან გაშმაგებული მადა გაქვთ გაღვიძებული. თქვენი ფილოსოფია უკიდურესი ეგოისტის ფილოსოფიაა.

– მიმიხვდით, – მიპასუხა მეზობელმა, – მხოლოდ ერთში სცდებით. ყველა ეს პირადი უკმაყოფილებით და სიცოცხლის გაუმაძღრობით არ მომდის: მე მძულს და მეზიზღება თვით სიცოცხლე, რადგან იგი შუქია, თვალთმაქცობა და მოტყუებაა. არა, დაუფიქრდით. ვსთქვათ, მე მუშა კაცი ვარ, სოფ-

ლელი თუ ქალაქელი, მთელ ჩემს ძალ-ღონეს ლუკმა-პურის მოსაპოვებლად შრომას ვანდომებ ტანჯვით, ვაი-ვაგლახით, ოფლის ღვრით ვცხოვრობ ოცდა-ათი, ორმოცი, სამოცი წელიწადი. შემდეგ ამისა ვკვდები. ამასვე სჩადიან ჩემი მიმდევარნი: იღვწიან, შრომობენ და ბოლოს ეცლებიან წუთი-სოფელს, ჰკვდებიან. ამრიგად ერთი თაობა მეორე თაობის ადგილს იჭერს, მეორე თაობა მესამისას, ხოლო ყველა ესენი, რიგ-რიგზე ჰქრებიან და კვდებიან. მითხარით, რა აზრია ყველა ამაში?.. ვსთქვათ, საზოგადო მოღვაწე ხართ, რაღაცას ცოდვილობთ, რაღაცას ცდილობთ, გინდათ თქვენი მოძმენი გააბედნიეროთ, გინდათ თქვენი რწმენისამებრ ცხოვრება გააუ-

კეთესოთ და დაამშვენოთ. თქვენ მგოსანი ხართ, მეცნიერი, მწერალი, ოცნებობთ, აზროვნობთ, იკვლევთ, რიღაცის განმარტებაში ხართ. თქვენ გყავთ ცოლი და მეგობარი. ყველა ესენი თქვენ გიყვართ. თქვენი სიცოცხლე სულიერ და ხორციელ სიამოვნებით სავსეა. და აი, როდესაც თქვენი ბედნიერება უმაღლეს წერტილამდე ადის, როდესაც თქვენი აზრი და გრძნობა დამწიფებულია და თქვენ მზათა ხართ თქვენი სულიერი ძალა სხვას გადასცეთ, მოულოდნელად სცივდებით, ხდებით ავად, იტანჯებით რამდენიმე დღეს და ჰკვდებით, ე. ი. სამუდამოდ ეცლებით თქვენს ცოლს, მეგობრებს, სტოვებთ დაუმთავრებელ შრომას, იკლავთ გულში გამოუთქმელ სიტყვებს... მითხარით, რა აზრია ყველა ამაში?
დავემორჩილოთ ისე, როგორც სიცოცხლეს ვემორჩილებით.

– არა, თქვენ საგანს დააკვირდით. სიკვდილი და სიცოცხლე ერთმანეთში შეუთანხმებელია. სიცოცხლე გვიზიდავს, გვეალერსება, გვატყუებს, ბედნიერებას გვიქადის; სიკვდილი გვიმტკიცებს სიცოცხლის თვალთმაქცობას, სიცრუეს, სიმტყუნეს. ყური დამიგდეთ. კარგი, ვსთქვათ, თქვენ გადარჩით, არ დასნეულდით, არ შესწყვიტეთ მუშაობა. ვსთქვათ, თქვენ პირადად არა დაგაკლდათ-რა. მაგრამ განა ეს თქვენი პირადი ბედნიერება ფუჭად არ ჩაივლის, თქვენთვის ძვირფასი არსება რომ დაჰკარგოთ. განა როდესაც თქვენ გიყვართ ახალგაზდა ქალი, ლამაზი, კეკლუცი, სულმნათი, სიცოცხლით სავსე და

უეცრად ქალის მოულოდნელის სიკვდილის გამო, ჰკარგავთ თქვენს სიყვარულს, თქვენს ოცნებას, ჰკარგავთ იმას, რასაც ასე გულმხურვალედ ეთაყვანებოდით და ამაღლებდით, განა ამის შემდეგ შესაძლებელია კიდევ თქვენი სიცოცხლე? განა შესაწყნარებელია ამგვარი უსამართლობა, რადგან რა სიმართლეა ნორჩი, ფაქიზი ადამიანის სიკვდილი? მითხარით, რა აზრია ყველა ამაში?..

– სიყვარულის გარდა სხვა რამეცაა ამ ჩვენს სიცოცხლეში, გაუბედავად შევუწყვიტე სიტყვა ჩემ მოლაპარაკე მეზობელს. სიყვარულს და დაჩაგვრას მალე დაივიწყებთ, თუ...

– დაივიწყებთ, კაცის სიბილწე, სისაძაგლე სწორედ ამაშია. დიაღ, თქვენ სძლიეთ მწუხარება, თანდათან თქვენი გულის ტკივილი შემსუბუქდა. დრო მიდის და ამასობაში თქვენის გონებიდან წასულის ყოველი კვალი იშლება. თქვენ აღარ სწუხართ, აღარ იტანჯებით, თქვენი გული ცივია, გაქვავებული. რასაც ეტრფოდით, დავიწყებულია, რაც გაღელვებდათ, გაფრთოვანებდათ, საუკუნოდ დაკარგულია. და ყველა ეს იმიტომ მოხდა, რომ ერთ დღეს მეორე მოჰყვა, მეორეს მესამე,

მესამეს მეოთხე… მიდიოდა დრო, ცვდებოდა ჟამი და ამ ჟამის დაბერებაში თქვენი გულიც დაბერდა, გაცვდა. თქვენ ივიწყებთ წარსულს მხოლოდ იმიტომ, რომ დრომ და ჟამმა მოგიკლათ ეს წარსული... მითხარით, რა აზრია ყველა ამაში?“.

ამ ლაპარაკში ჩვენი მატარებელი ქშენით და ორთქლ-ფრქვევით მდელოზე მიაქანებდა. საღამო ხანი იყო. მზე მთებს მიეფარა. მინდვრებს და ველებს ნელ-ნელა სიბნელე აწვებოდა. ჩემს უცნაურ მოლაპარაკეს მე არა ვუპასუხე-რა და ფანჯარაში დავიწყე ცქერა.

– აი გადაჰხედეთ, ამ მთებს, მინდვრებს, ამ სურათს, - დაიწყო ხანგრძლივ სიჩუმის შემდეგ ჩემმა მეზობელმა, - რა საცოდავობაა! ეს უხვი მრავალფერადებიანი სურათი საცოდავობაა-მეთქი. დააკვირდით, რა მწუხარება აწვება მაღლიდან დედა-მიწას, როგორის ჭმუნვით და მუქარით გამოიყურებიან უზარ-მაზარი მთები. ამბობენ, ბუნება ამშვიდებს ადამიანის გულს, კმაყოფილებას აძლევსო. სიცრუვეა. ბუნება, განუზომელი, განუსაზღვრელი, საიდუმლოებით მოცული, ღრღნის და ნაღვლით ავსებს ადამიანის გულს. გადახედეთ აქედან, რა

გრძნობა გებადებათ ამ აყუდებულ მთების, დაობლებულ და მიყრუებულ მინდვრების ცქერით. გული გტკივათ, რადგან მარტოობას ჰგრძნობთ, თქვენ ვერ შეგითვისებიათ მთის და გადაშლილ მინდვრების საიდუმლოება. თქვენს გულში გაკვირვება, გაუგებრობა და ღრმა დაღონებაა. და ყველა ამას ბუნებით დატკბობას და სიამოვნებას უწოდებენ. არა, ბუნება, სიცოცხლესავით მწუხარეა, სიცოცხლესავით დამაღონებელია“...

– ჩემი მეზობელი ამ სიტყვების გამოთქმის შემდეგ გაჩუმდა, მიიწია კუთხისაკენ, დაჰხუჭა თვალები და ასე სულ-განაბული მიყუჩდა. ამასობაში დაბნელდა. მთა მეტის საიდუმლოებით მოიცო. მატარებელი კი ისევ შეუპოვრად, გრიალით და ქნეშით მიაქანებდა. ოდნავ ბჟუტავი სანთელი, გვერდზე კედლის ფანარში ჩადგმული, უცნაურის რხევით და კანკალით ჰფენდა მკრთალ სინათლეს...

მეც ვეღარა ვუპასუხე-რა ჩემს მეზობელს. კამათი მეტი იყო. მე ვგრძნობდი, რომ ჩემს მოლაპარაკეს ვერაფერში ვერ დავარწმუნებდი. ეტყობა, მძიმე სევდა გულზე ლოდივით აწვებოდა; ეტყობა, ეს კაცი სიცოცხლეს დაუჩაგრავს და მისი შავი ფიქრები ამ დაჩაგვრის ნაყოფი იყო.

ერთი საათის სიარულის შემდეგ მატარებელი ტფილისს მიუახლოვდა და რამდენიმე წუთის შემდეგ ჩვენ ე. ი. ჩემი თანამგზავრი და მე გამოვესალმენით ერთმანეთს. „რა სეირი

იქნება, ეს ჩვენი საუბარი რომ გადავცე მკითხველებს, გამიელვა თავში. რა საოხუნჯო მასალაა ყველა ამაში ჩვენებურ მეგაზეთეების საყურადღებო!" ამ მოულოდნელმა მოსაზრებამ გამახარა და, დამშვიდებული, შინისკენ გავწიე.

XII. საგანი სიცოცხლისა.

1.

თავის მოკვლას ორგვარი მიზეზი აქვს: პირადი ცხოვრების კმაყოფილება და დაჩაგვრა და სიცოცხლის ერთგვარი განმარტება, რომლის ძალით სიცოცხლე უმნიშვნელო და უაზრო საგნად ხდება. პირველი მიზეზი უფრო მარტივი და ადვილად გასაგებია, მეორე მიზეზი თავის მოკვლისა რთული და ძნელად განსამარტავია. ხოლო ორსავე შემთხვევაში თავის მოკ-

ვლას სიცოცხლის ამა თუ იმ განმარტებასთან აქვს კავშირი.

ამ კითხვის ჯეროვან განმარტებას, ჩვენის აზრით, დიდი მნიშვნელობა აქვს, მეტადრე მგრძნობიერ მოზარდ თაობისათვის, რომელსაც უფრო მკაცრად სჩაგრავს ხოლმე ცხოვრების ყოველი ბორძიკი და სიცოცხლის უკუღმართობის შეგნებაც ხშირად სასოწარკვეთილებამდე მიიყვანს ხოლმე.

როგორც ვსთქვით, ერთი მიზეზი თავის მოკვლისა უფრო პირადია, ფსიხო-ფიზიოლოგიური, ადამიანის ფიზიკურ და სულიერ მოთხოვნილებათა დაუკმაყოფილებით გამოწვეული. მეორე მიზეზი უფრო განყენებულია, თეორიული, თუმცა იმავე სულიერ მშვიდობიანობის დარღვევაზეა აშენებული.

თქვენ დაეჩვიეთ განსაზღვრულ ცხოვრებას, განსაზღვრულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას. გარემოება ხელიდან გაცლით ჩვეულ ცხოვრების პირობებს. აწინდელი მდგომარეობა ვერ შეედრება წარსულს. აწმყო უფერულია, ერთგვარი, ღარიბია, წარსული კი ბჟყვრიალა, რომელიც თანდათან ძლიერდება და ხშირად ტანჯვად გადაიქცევა ხოლმე. თქვენ ვერ იტანთ უზომო ტანჯვას და დაჩაგვრას, ესალმებით წუთის სოფელს და თავს იკლავთ. ეს მარტივი ფსიხო-ფიზიოლოგიური მიზეზია თავის მოკვლისა.

თქვენ საზოგადო მოღვაწე ხართ, შრომობთ. თქვენ გაფასებენ, როგორც კეთილ სინიდისიერ მუშაკს. თქვენ გატაცებული ხართ საზოგადოებისათვის სამსახურით. მაგრამ უბედურება შეგემთხვათ: თქვენ შეიყვარეთ ქალი, რომელიც თქვენ არ თანაგიგრძნობთ, ან კიდევ თქვენ მოგიკვდათ ცოლი, შვილი ან ძმა, რომელნიც ძლიერ გიყვარდათ. თქვენ ვერ იტანთ

ამ მწუხარებას. სიცოცხლეს თქვენს თვალში აზრი ეკარგება და
თქვენ თავს მოსაკლავად იმეტებთ. აი იმგვარივე არა ნაკლებ
მარტივი ფსიხო-ფიზიოლოგიური მიზეზი თავის მოკვლისა,
ორივე შემთხვევას რომ დააკვირდეთ, დაინახავთ, რომ
თქვენ ძლიერ აფასებთ ყველა იმას, რაც პირად ბედნიერებას
შეადგენს: მდიდრულ ცხოვრებას, სიყვარულით დაკმაყოფილე-
ბას, ოჯახურ კავშირს და აქედან წარმომდგარ სიამოვნებას.
და თქვენ არამც თუ აფასებთ ყველა ამას, მასში სოცოცხლის
აზრსაც ჰხედავთ. სიცოცხლეს არ გაიმეტებდით, სიცოცხლეზე
მეტს რომ არ აფასებდეთ სიმდიდრეს, სიყვარულს, ოჯახურს
მყუდროებას. სიმდიდრე, სიყვარული, ოჯახური მყუდროება

ხელიდან გეცლებათ და თქვენ თვალში სიცოცხლეს აზრი და
მნიშვნელობა ეკარგება. ამ სამ შემთხვევაში ერთგვარი, ხოლო
სხვა-და-სხვა ხასიათისაა მიზეზი თქვენი თავის მოკვლისა. ეს მი-
ზეზი, როგორცა ვსთქვით, ფსიხო-ფიზიოლოგიურია, ე. ი.
ხორცის და სულის დაუკმაყოფილებლობიდან წარმომდგარი.
ამ შემთხვევაში სიცოცხლეს იმდენად ფასი აქვს, რამდენადაც
იგი თქვენს პირადობას აკმაყოფილებს. დაიბადება თუ არა
თქვენს გულში უკმაყოფილება, სიცოცხლეც უარ-ყოფილია.
სხვა ხასიათისაა, თუმცა ერთის წყაროდან მომდინარე-
ობს, თეორიული, აზროვნული სიცოცხლის უკუგდება. კა-
ცი სიცოცხლეს თავის ავ-კარგიანობით ითვალისწინებს. სი-
ცოცხლეში, პირად ცხოვრების დამოუკიდებლად, კაცი ბორო-
ტების გამეფებას ჰხედავს. ყოველგან და ყოველთვის პირუტ-
ყვთა, თუ ადამიანთა სამეფოში, ძალა არის გამარჯვებული.
დაბადებისათანავე, ადამიანი ათასნაირ განსაცდელის ხელშია.
და ამასთან ადამიანის სიცოცხლეს აუცილებლად ავადმყოფო-
ბა, სიბერე და სიკვდილი თან სდევს.
სიმდიდრეს, პირად სიყვარულს, ოჯახურ მყუდროებას ფა-
სი არ აქვს, რადგან ყოველივე ეს წარმავალია, დროებითი.
ავადმყოფობა აბათილებს სიცოცხლის ღირსებას, სიბერე ჰკლავს
ძალ-ღონეს, სილამაზეს. სიკვდილი ძირიან-ფესვიანად უარჰყოფს
ყოველსავე იმას, რასაც სიცოცხლე გვიქადის უმაღლესს ბედ-
ნიერებას და კმაყოფილებას. სანამ ავადმყოფობა, სიბერე და
სიკვდილი ძლეული არ იქნება, იმ დრომდე სიცოცხლესაც ფა-
სი არ ექნება. ხოლო, რადგან ამ გამარჯვების იმედი არავის
არ უნდა ჰქონდეს, ამიტომაც არის, რომ სიცოცხლე აზრს
მოკლებულია. რაკი სიცოცხლე, ზემოაღნიშნულ მიზეზთა გა-
მო, უაზროა და უმნიშვნელო, რაკი სიცოცხლის ყოველივე
სიხარული წუთიერია და ყოველივე ბედნიერება თვალთმაქცი,
ამისათვის სიცოცხლე და ყოველივე „სიამე ამა ქვეყნისა" სი-

ყვარულის ღირსი კი არ არის, არამედ სიძულვილისა და ზიზღისა. სიცოცხლე მძიმე ტვირთია. სიკვდილი სხნაა, ამ ტვირთისაგან განთავისუფლება და მოსვენებაა. ამ დასკვნამდე მიყვანილი, ადამიანი ესალმება წუთისოფელს და თავს იკლავს. ამგვარი ხასიათისაა აზროვნული ანუ თეორიული საფუძველი სიცოცხლის უარყოფისა.

მაშასადამე, თუ თავის მოკვლის მიზეზი ხორცისა, სული-

სა თუ აზრის უკმაყოფილებისაგან წარმოსდგება, ადვილი გასაგებია, როგორია სიცოცხლის აზრი იმ კაცის თვალში, ვინც თავს გასწირავს და წუთი სოფელს ეთხოვება ჩვენ ვნახეთ: რომ კაცი სიცოცხლეს იმეტებს, როდესაც პირადად იჩაგრება (მოთხოვნილებათა დაუკმაყოფილებლობის გამო, საყვარელ კაცის სიკვდილის გამო), ან კიდევ როდესაც მწუხარის აზრით არის გამსჭვალული, რომ ყოველი ამა ქვეყნის სიამე და ბედნიერება ფუჭი და ამაოა, და რომ ერთი უტყუარი ჭეშმარიტება ბოროტების და ტანჯვის გამეფებაა ამ ქვეყნად. ჩვენ ვნახეთ, რომ ამგვარ გრძნობებით და აზრებით გამსჭვალული ადამიანი იძულებულია სიცოცხლე უარ-ჰყოს და, მაშასადამე, სიცოცხლის აზრი და მნშივნელობაც უკუაგდოს.

ნუ თუ ყველა ეს მართალია? ნუ თუ მართლა ეს ჩვენი ქვეყანა ტანჯვით და ცრემლებით არის გაჟღენთილი და ყოველი სიხარული და სიამე თვალთმაქცობა და მოტყუებაა? თუ ვერ შევძელით და ამ კითხვაზე ჯეროვანი პასუხი ვერ მივეცით, არ აღვადგინეთ სიცოცხლის ფასი და მნიშვნელობა, მაშინ იძულებული ვიქნებით სიცოცხლის ზემოხსენებულ განმარტებას დავემორჩილოთ.

იმ დროიდან, რაც ადამიანმა აზროვნება დაიწყო, ეს საკითხი აწუხებს ადამიანის სულს. ძველ და ახალ დროში, საბერძნეთში, თუ ინდოეთში, ევროპაში, კაცს სიკვდილის აჩრდილი აღშფოთებდა, სიხარულის და ბედნიერების დაუდგრომელობა აწუხებდა და ტანჯვის სურათი, რომელიც მართლაც და ყოველ გონიერ ადამიანის თვალწინ იშლება, სიცოცხლის სურვილს უკლავდა. თითქმის ყველა რელიგიური სისტემები სიცოცხლის ტანჯვისა და არარაობის აღიარებაზე არიან აშენებულნი. ძველი და ახალი დროის პესიმისტური ფილოსოფიაც ამ საფუძველზეა დამყარებული. ამიტომ არის, რომ ძველ დროში, ისე, როგორც ახალში, სიცოცხლის მოყვარე ნაწილი მომქმედი კაცობრიობისა ყოველთვის ეწინააღმდეგებოდა ტანჯვის და მწუხარების მოძღვრებას და შეძლების დაგვარად სიცოცხლის ღირსების და ფასის აღდგენას ცდილობდა.

მომქმედი და სიცოცხლის მოტრფიალე ადამიანი ამტკი-

ცებდა და ამტკიცებს, რომ ყველა ხასიათის და თვისების თავის მკვლელები ერთმანეთს ჰგვანან, რომ ყველა ესენი, არსებითად, ეგოისტურ გრძნობით არიან შეპყრობილნი და პირად,

ხორცის თუ სულის დაჩაგვრას თვით სიცოცხლეზედაც მაღლა აყენებენ. ბედნიერებისა და სიხარულისა ეშინიანთ, რადგან ყველგან და ყოველთვის სიკვდილის აჩრდილი აგონდებათ. ამიტომაც არის, რომ ძველ დროიდან მოყოლებული ადამიანი ბევრს ჰფიქრობდა და ფიქრობს სიკვდილზე. ცდილობს შეამსუბუქოს სიკვდილის დამჩაგვრელი ძალა და აღიაროს, რომ, მიუხედავად სიკვდილის მოლოდინისა, ჩვენს სიცოცხლეს ღრმა აზრი და მნიშვნელობა აქვს.

2.

სიცოცხლის უკუღმართობა, ბედნიერების თვალთ-მაქცობა, ადამიანის მარტოობა, შიში სიკვდილის მოლოდინისა – ყველა ამას, საუკუნოების სიღრმიდანვე, კაცობრიობის საუკეთესო წარმომადგენელნი კარგად ჰგრძნობდნენ.

გეგეზის [1]) სიტყვებით, სრული სიამოვნება შეუძლებელია. სიხარულს გულის ასუყება და ზიზღი მოსდევს. სიცოცხლეში ტანჯვა სიხარულს აღემატება. ტანჯვის ასაცილებლად, სიხარულს ერიდეთ, მოიკალით გულში გრძნობა და სურვილი. სიცოცხლე სიკვდილზე მეტად სანატრელი არ არის. სიცოცხლეს და სიკვდილს ერთნაირი ფასი აქვსო [2]). ხოლო ბერძნების შეხედულებით სიამოვნება და სიკეთე ერთი და იგივეა. სიკეთე ყოველთვის სასიამოვნოა და სიამოვნებასაც სიკეთის ბეჭედი აზის. ეპიკური [1]) სწორედ ამ აზრისა იყო. მაგრამ სიამოვნება ხომ თავდება, სწყდება: სიკვდილი ჰკლავს სიამოვნებას თუ სიამოვნება და სიკეთე ერთი და იგივეა, მაშასადამე, სიკვდილი სიკეთესაც ჰკლავს და ანადგურებს და თუ ეს ასეა, მეტი უბედურებაღა იქმნება? ამ წინააღმდეგობიდან ეპიკური შემდეგის მოსაზრებით გამოდის: საქმე ის კი არ არის, რომ სიამოვნება ხანგრძლივი იყოს. სიამოვნება ძლიერი უნდა იყოს და ხანგრძლივია იგი თუ წუთიერი ანგარიშში მისაღები არ არის. მაშასადამე, სიამოვნების შეწყვეტა არ უნდა გვაფიქრებდეს და ამის გამო გულს ნუ გავიფუჭებთო. ახალ დროში, ფეიერბახიც ასე უყურებდა საგანს. „მუსიკალური ხმა, მაგალითად, ამბობდა ფეიერბახი – დროით არ გაიზომება. როდესაც ამ ხმე-

---

[1]) ძველი საბერძნეთის ფილოსოფოსი.

[2]) La morale d'Epicure – Guyan, გვ. 115.

ბიდამ სონატა იბადება, განა ეს სონატა ხანგრძლივია? ამ სონატას განა განუწყვეტლივ უკრავენ? ხოლო ამის გამო განა იგი ნაკლები სასიამოვნოა? რას იტყოდით იმ ადამიანებზე, რომელნიც, ამ სონატის დაკვრის დროს, მუსიკას კი არ უგდებენ ყურს, არამედ საათსა შინჯავენ და მუსიკის დასაფასებლად იმის ხანგრძლივობით ხელმძღვანელობენ. მაშინ, როდესაც სხვები აღტაცებაში არიან, ესენი მხოლოდ იმას ამბობენ, მუსიკის ხმები თხუთმეტი წამის განმავლობაში ისმოდნენო? რასაკვირველია, ამ ადამიანებს სულელებს დაუძახებთ. მაშ რა სახელი უნდა დაერქვათ იმათ, ვინც სიცოცხლესაც იმიტომ არ აფასებს, რომ იგი წარმავალი არისო" [1]).

ყველა კარგი, წუთიერია სიხარული, თუ ხანგრძლივი, იგი ხომ მაინც იკარგება? თუ სიხარული და სიამოვნება დროით არ გაიზომება, ვერავინ დაგვიშლის ამ წუთიერი სიხარულის და სიამოვნების სიყვარულს. თუ გვიყვარს წუთიერი სიხარული, ამ წუთიერი სიხარულის დაკარგვა მაინც, რაც უნდა სთქვათ, სამწუხაროა ჩვენთვის. ამიტომ არის, რომ ადამიანი, რაც უნდა ელაპარაკოთ, სიკვდილს მაინც ვერ ურიგდება. რატომ არის ეს? ბრძენ ეპიკურის აზრით, ეს იმიტომ მოხდება ხოლმე, რომ ადამიანი უფრო დაბალ გრძნობებს და ვნებათა ღელვას ებღაუჭება ხოლმე. ამ გრძნობათა დაკმაყოფილების შეუძლებლობა, სიკვდილის გამო, სიკვდილის წინააღმდეგ შიშსა და ზიზღს უბადავსო. სხვა ვერაფრით აიხსნება სიკვდილის შიში. ან რა არის სიკვდილი, რომ იმისი შიში უნდა გვქონდესო? „სანამ ჩვენ ცოცხალნი ვართ სიკვდილი ჩვენ აღარ ვართ. მაშასადამე, სიკვდილი არც ცოცხალთათვის არსებობს, არც მკვდრებისათვისო [2]). ამავე აზრისაა სიკვდილზე, მეორე ბრძენი ლუკრეტიც. „დააკვირდით, ამბობს ის, როგორ გულგრილად უყურებთ იმ საუკუნო დროს, რომელიც უკან, ჩვენს დაბადებამდე იყო. ეს წარსული საუკუნო დროის სარკეა, რომელშიაც ბუნება იმ მომავალს გვიჩვენებს, რომელიც ჩვენი სიკვდილის შემდეგ დადგება. რა არის ამ მომავალში შემაშინებელი, დამაღონებელი? განა ეს ის სანეტარო

[1]) ibid გვ. 114 და 115.
[2]) ibid გვ. 111.

მოსვენება არ არის, რომელსაც არავითარი ძილი და სიზმარი არ გვაძლევსო?“ [1]) ამგვარმა შეხედულებამ და სულის სიმშვი-

დემ სიკვდილის წინა დღეს დააწერინა ეპიკურს მეგობრისადმი
წერილი, რომელიც ყოველთვის უმაღლესს სიბრძნის ნიმუშად
დარჩება: „მე შენა გწერ – ეუბნება ეპიკური თავის მეგობარს
ერმარხოსს - და ვგრძნობ, რომ დღევანდელი დღე, თუმცა ის
უკანასკნელია, უბედნიერესი დღეა ჩემს სიცოცხლეში. მართა-
ლია, ამ ჟამად მე ძლიერ ვიტანჯები, ხოლო მიუხედავად ხორ-
ცის ტკივილისა, მე რაღაც სულიერ სიხარულსა ვგრძნობ, ვა-
კვირდები რა იმას, რაც შევითვისე და შევიგენი განვლილ
ცხოვრებაში“. „ეს სიმტკიცე მეტად კეთილშობილურია, – ამ-
ბობს გიუიო. რაღაც დიდებული ძალაა ტანჯვის ძლევის სურ-
ვილში, ტკივილის მიყუჩების ოცნებაში. წარსულ გონებრივ
გამარჯვების მოგონებით, ძალა ისახება ამ უიმედო აღსარება-
ში, სიკვდილის წინა დღეს, სიცოცხლის ბედნიერებისაო" [2]).
გიუიოს სიტყვებშიაც იმგვარავე დაღონება გამოიყურება. იმა-
საც თითქოს ენანება ეპიკური, თითქოს არა ჩვეულებრივ მოვ-
ლენად სთვლის სიკვდილის წინაშე სრულის სიმტკიცის და გუ-
ლის დამშვიდების აღიარებას. მართლაც, გიუიოს ფილოსოფი-
ურ ნაწერებში, მიუხედავად იმისა, რომ მისი აზრი ამ ქვეყნად
ბევრ კმაყოფილებას ჰპოვებს, მიუხედავად ფილოსოფიის რეა-
ლურ მიმართულებისა, მისს აზრს და გრძნობას სიხარულის კი-
ლო ეკარგება და მას, თითქოს, ეშინიან ადამიანის მარტოობი-
სა და ობლობისა. ერთ თავის გამოკვლევაში, აი როგორ გვი-
ხატავს გიუიო თავის სულის მდგომარეობას: „მთაში, მწვანე
ბალახზე გავწექი, საიდანაც ხვლიკი გამოძვრა. აცოცდა ჩემს
ფეხზე - ქვა ეგონა და არხეინად მზის სხივებში ინაზებოდა. ეს
პატარა არსება ჩემს მუხლზე დამშვიდებულად მოსვენებაში იყო..
იგი სტკბებოდა, როგორც მე მზის სხივებით და ეჭვში არცკი
შედიოდა, რომ იმის ქვეშ, ჩუმად და მეგობრულად) შედარე-
ბით ძლიერი, სიცოცხლე მოძრაობდა. მე დავყურებდი მწვანე
ბალახს, რომელზედაც გაშხლართული ვიყავ) შავ მიწას და
უზარმაზარ კლდეებს. ღა განა მე თვითონ პატარა ხვლიკს არ
მივაგავდიი განა ჩემს ქვეშ სიცოცხლის ძარღვის ცემა არ იყო,

---

[1]) ibid გვ. 120.
[2]) ibid.

ის ძარღვის ცემა, რომელიც მთელ მსოფლიოს ამოძრავებდა?
რა უყოთ, რომ ეს მსოფლიო სიცოცხლე, არსებითად, რაღაც
დაბრმავებული, ეგოისტური სიცოცხლეა, - სიცოცხლე, სადაც
თვითვეული ნაწილი დამოუკიდებლად, თავის თავისთვის თუ
მუშაობს? პატარა ხვლიკო! რატომ მეც, შენებრ, ამ მზის სხი-
ვების ქვეშ, არა მყავს მეგობრის თვალი, რომელიც ყურებას

დამიწყებდა ისე, როგორც მე შენ გიყურებო?“ [1]) გიუიო თით-ქოს ხვლიკს შენატრის ხვლიკს იმის სახეში მეგობარი ჰყავდა და ეს პატარა არსება ამ განუსაზღვრელ მსოფლიოში მარტოდ არ იყო დარჩენილი. ადამიანი კი, რომელსაც თვით-ცნობიე-რებაც და შეგნებაც გაღვიძებული აქვს, მარტოა, დაობლებუ-ლი და მზის სხივების ქვეშ მას მეგობრის თვალი არა ჰყავს. მარტოობის ამგვარ თვით-შეგნებიდან ერთი ნაბიჯია სასოწარ-კვეღილებამდე: მარტოობით ადამიანს უფრო აგონდება ბედ-ნიერების ამაოება მაგრამ გიუიო, რომელსაც დრო-გამოშვე-ბით ნაღვლიანი კილო აქვს, მკაცრად ეწინააღმდეგება სულის ლაჩრობას, აზრის სიმხდალეს და ცრემლიან წუწუნს.

„თუ ყოველივე ამაოა, ამბობს ის, უწინარეს ყოვლისა ამაოა თვით ეს აზრი ამ წუთი სოფლის ამაოებისა. თუ მოქ-მედება ამაოა, მოსვენება უფრო მეტია ამაო, სიკვდილი მეტი ამაოაო" [2]). ცხოვრებას რომ დააკვირდეთ, იმდენ მიმზიდვე-ლობას დაინახავთ, რომ მწუხარება და ტანჯვა აღარ მოგა-გონდებათ. „სიცოცხლე, დაადგება რა განვითარების გზას, თვით-შეგნებას . ჰბადავს, – განაგრძობს გიუიო. – სიცოცხლის წარმატება ამ შეგნების წარმატებაა... როცა ვამბობ, ვცხოვ-რობ, ეს იმას ნიშნავს, რომ ჩემი აზრი და გრძნობა მუდმივ წარმატებაშია. იმ დროს, სანამ ჩემი სიცოცხლის თვით-შეგნე-ბა იზრდება, ჩემი მოქმედების ასპარეზიც იზრდება. სიცოცხლე ნაყოფიერებაა (vie, c’est fécondité). არსება, რომელშიაც თვით-შეგნება განუვითარებელია, გარემოს ვიწრო ფარგლიდან არც კი გამოდის, განვითარებული ადამიანი გონებრივ და ზნეობრივ ნაყოფიერებას იჩენს . . . . . სიცოცხლე მარტო თავის

---

[1]) ibid.

[2]) L’irreligion de l’avenir გვ. 438.

გამოკვება (nutrition). არ არის, იგი ნაყოფიერებაა (produc Tion [3]).

ამრიგად, სიცოცხლის არსებითი თვისება განვითარება და და წარმატება ყოფილა. რა უყოთ, რომ ეს განვითარება კერ-ძო შემთხვევაში, კერძო კაცის სიკვდილით, სწყდება. იგი მსოფლიო ცხოვრების მსვლელობაში განუწყვეტელია და მუდ-მივი. განვითარებული ადამიანი მით განირჩევა განუვითარებე-ლისაგან, რომ პირველი ყოველთვის შორს იყურება, საზოგა-დო მოსაზრებით ხელმძღვანელობს, მეორე კი პირად ცხოვრე-ბის ანგარიშს ვერ გადასცილდება ხოლმე და ყოველთვის მხო-ლოდ თავისი „მე" აქვს მხედველობაში. ამიტომაც არის, რომ ეს ორი ადამიანი სულ სხვა და სხვანაირად აფასებს პირად

ბედნიერებას და სხვა და სხვანაირად უყურებს სიკვდილის აუ-
ცილებლობას. ეგეც რომ არ იყოს, თვით სიცოცხლეში მაინც
იმოდენა ღირსებაა, იმოდენა სიამოვნება და მომხიბვლელობა,
რომ ყოველივე ეს საკმარისად უღვიძებს ადამიანს სიცოცხლის
სურვილს. თუ სიცოცხლეს აუცილებლად ავადმყოფობა თან
ზდევს, და ეს ავადმყოფობა სტანჯავს ადამიანს, ნუ დაივიწ-
ყებთ იმასაც, როდესაც ჩვენი ხორცი ჯან-საღია, სისხლი
ძლიერად ტრიალებს ჩვენს ძარღვებში და ჩვენ ვგრძნობთ ფი-
ზიკურ კმაყოფილებას. თუ ჩვენ სიბერე გვაწუხებს, სიბერის
მოლოდინი გვაშფოთებს, ვისარგებლოთ და დავსტკბეთ ახალ-
გაზრდობით, როდესაც ოცნება და აღფრთოვანება ჩვენს გო-
ნებაში ერთმანეთს ეცილებიან. ან რად უნდა გვაშინებდეს სი-
ბერე? თუ სინიდისიერად და ნაყოფიერად გავატარეთ სიცოცხ-
ლე, ჩვენი სიბერეც დამშვიდებული, დინჯი და ბრძენი უნდა
იყოს. თუ სიკვდილის მოგონება საღერღელს გვიშლის, მწუ-
ხარებით ავსებს ჩვენს გულს, გავიხსენოთ, რომ სიკვდილი აუ-
ცილებელია, რომ იგი ბუნებრივი დაბოლოვებაა გაცვეთილ და
ცხოვრებისათვის გამოუსადეგარ სიცოცხლისა. გავიხსენოთ,
რომ იქ, საცა სიკვდილია, სიცოცხლე, დაბადებაც არის, ე. ი.
სიხარული და ბედნიერება. ყველა ეს რომ – გავიხსენოთ და
ამასთან ისიც მოვიგონოთ, რამდენაირ სხვაგვარ სიხარულსაც
აქვს ადგილი ჩვენს გულში, როგორ გვასიამოვნებს ხოლმე
მზის სხივი, როგორ ამშვიდებს ადამიანს ვარსკვლავებით მო-

ჭედილი ცა, როგორის სიხარულით ვეგებებით ხოლმე ახალ
აზრს, როგორ გვაღფრთოვანებს წრფელი გრძნობა, სულის
წარმტაცი ოცნება, თავგანწირულება და სულ-დიდება-ყველა'
ეს რომ გავიხსენოთ, დავინახავთ, რომ სიცოცხლეში არამც
თუ ნამდვილი სიხარულია, ღრმა აზრი და მნიშვნელობაც არის.
სიცოცხლის ღირსება ის არის, რომ იგი სავსეა მოულოდნე-
ლის ბედნიერებით. სიცოცხლის აზრი ის არის, რომ იგი მუდ-
მივი წარმატებაა, მაშასადამე, მუდმივი ბრძოლაა უსამართლო-
ბის, სიღარიბის და დამონავების წინააღმდეგ.

XIII. თავად-აზნაურების წინამძღოლთა შორის შეთანხმების საჭიროება.

გუშინ-წინ ჩვენმა რედაქციამ მთავრობის განზრახვა სა-
განგებო კომიტეტების მოწვევის შესახებ მკითხველებს გააცნო.
ოფაციალური გაზეთის «Прав. Вѣст.»-ის (№ 69) სიტყვით,
კომიტეტებმა სასოფლო-სამეურნეო მრეწველობის საჭიროებანი
და მოთხოვნილებანი უნდა გამოარკვიონ. რადგან სასოფლო

მეურნეობასთან ყოველი მხარე სახელმწიფო ცხოვრებისა არის შეკავშირებული, ამიტომ საგანგებო კომიტეტები სახელმწიფო კითხვების განხილვასაც ვერ ასცდებიან… მაგრამ მათი პირდა-პირი მოვალეობაა გამოსძებნონ პრაქტიკული ღონისძიებანი, რომელთა საშუალებით შეიძლება დახმარება აღმოუჩინონ სა-სოფლო-მეურნეობას. ხოლო თუ რამე სახელმწიფო საკითხი აღიძრა, ამის შესახებ კომიტეტი ვერაფერს ვერ გადასწყვეტს, მხოლოდ თავის მოსაზრებას მთავრობას წარუდგენსო.

ამგვარი ხასიათი და დანიშნულება ეძლევათ მომავალ კო-მიტეტებს. საზოგადოება თვით-მოქმედებისათვის არის მოწვეუ-ლი და ამ საზოგადოებაზეა დამოკიდებული, თავის მოვალეო-ბას როგორ აღასრულებს. ყველა ამაში, სხვათა შორის, ჩვენ-თვის საგულისხმო ის არის, რომ კომიტეტები ამერეთ-იმერეთ-შიაც არსდება. საყურადღებოა, რომ ორ საგუბერნიო კომი-ტეტში (ტფილისის და ქუთაისისა) ჩვენებური თავად-აზნაურთა წინამძღოლებიც იქმნებიან მოწვეულნი და მაშასადამე ამ წი-ნაძღოლთა საშუალებით გვექნება საშუალება ჩვენი სოფლის საჭიროებანი მთავრობას ვაცნობოთ. საგუბერნიო კომიტეტები

ჩვენში, წინამძღოლების გარდა, გუბერნატორის და სამი სხვა-და-სხვა დაწესებულებათა მოხელეთაგან შესდგება. ორსავე კო-მიტეტებში ჩვენებურ წინამძღოლებს ხმის უმეტესობა ექმნებათ (ტფილისის გუბ. 7 ხმა, ქუთ. გუბ. 5). და თუ ხმის ამ უმე-ტესობასთან ერთად მომზადებას და ცოდნას აღმოაჩენენ, კო-მიტეტების დაარსებას შეიძლება პრაქტიკული ნაყოფიც მოჰ-ყვეს და ჩვენს დაბეჩავებულ სოფელსაც რაიმე ეშველოს.

ყველა ამისათვის, ჩვენი თავად-აზნაურთა წინამძღოლნი წინდიწინვე უნდა შეიარაღდნენ, მოემზადნენ და ერთ გან-საზღვრულ გეგმას დაადგნენ. ამერეთ-იმერეთის სოფლურ ცხოვ-რების პირობები შიდა რუსეთის სოფლურ ცხოვრების პირო-ბებიდან ბევრად განირჩევიან. ამიტომ საერთო კითხვებთან ერ-თად, ეს ჩვენი ადგილობრივი კითხვებიც უნდა იქმნენ აღძ რულნი, რადგან ჩვენი სოფლის დაქვეითება ადგილობრივ მოთ-ხოვნილებათა დაუკმაყოფილებლობისაგანაც წარმოსდგება. ამე-რეთ-იმერეთის სოფლის განსაკუთრებული პირობები და მდგო-მარეობა წინამძღოლებს უნდა ჰქონდეთ გათვალისწინებული და ამისათვის მათ შორის შეთანხმებაა საჭირო... [1])

უმთავრესი ყურადღება, რას უნდა მიექცეს ჩვენის სოფლის საჭიროებათა აღნუსხვის დროს? სოფლური ცხოვრების პირო-ბები მეტად რთულია. ამ პირობებში ზოგიერთი იმგვარი ხა-სიათისაა, რომ მთელ მხარეს აძლევს ვნებას, ზოგი კი ერთ სოფლის სვე-ბედის ფარგალს არა სცილდება, ზოგს საერთო

ხასიათი აქვს, ზოგს ადგილობრივი. ამიტომ ყოველთვის ჩვენი სოფლის ის მხარე უნდა გვქონდეს მხედველობაში, რომლის დაკმაყოფილებას მეტი საზოგადო და საერო ხასიათი აქვს.

სოფლის ცხოვრებას ორი მხარე აქვს. ერთი ეკონომიური მხარეა, მეორე საზოგადოებრივი, მოქალაქეობრივი. ეკონომიური და მოქალაქეობრივი (საზოგადოებრივი) მხარე ხალხის ცხოვრებისა ისე ვიწროდ არის ერთმანეთში დაკავშირებული, რომ ხშირად ერთის ჩამორჩენას, მეორის დაქვეითება და ჩამორჩენა მოსდევს.

სოფლელ ხალხის ეკონომიური შემძლებლობა, უწინარეს ყოვლისა, დამოკიდებულია იმაზე, რამდენად მისი ნამუშევარის, მამულის შემოსავალი გასავალს აღემატება. საჭიროა,

---

[1]) ცენზორის. მიერ ამოღებული ადგილია.

სოფლის მწარმოებელს საკუთარი საწარმოვო იარაღი, მიწა ჰქონდეს. საკუთარი მიწა მეტ შემოსავალს მისცემს, რადგან ღალა და საიჯარო გადასახადი სოფლელს აღარ გადახდება. მაგრამ ჩვენში მიწის დიდი სივიწროვეა. სოფლელებს რომ საკმარისი სარჩენი მიწა ჰქონდეთ, ცარიელი ადგილი ამიერ კავკასიაში არ უნდა დარჩეს… რუსეთში, იმ გუბერნიებში, საცა საერობო დაწესებულებანი არიან შემოღებულნი, ხალხის ეკონომიურ მდგომარეობასაც უკეთესობა ეტყობა. საერობო დაწესებულებანი ხალხის ჯანმრთელობაზე, განათლებაზე, გზების გაყვანაზე, ელევატორების აშენებაზე, სამეურნეო სტატისტიკაზე და ბევრ სხვა სოფლის საჭიროებაზე ზრუნავენ. ჩვენი სოფელი ამ მხრივ ძლიერ ჩამორჩენილია. სოფლელები თვითმოქმედებას სრულიად მოკლებულნი არიან. ამიტომ საერობო დაწესებულების შემოღება ჩვენს სოფელშიაც აუცილებლად საჭიროა. ერობა მეტის დაფიქრებით და სამართლიანობით შეადგენს სოფლის საჭიროებათა დაკმაყოფილების ხარჯთ-აღრიცხვას, შეამსუბუქებს ადმინისტრატიულ მზრუნველობას და თვით-მომქმედ გზაზე გამოიყვანს ჩვენს სოფელს.

თუ ეკონომიური და საზოგადოებრივი მხარე ხალხის ცხოვრებისა ასე მკვიდრად არიან დაკავშირებულნი, ეს ორი მხარე ხალხის ცხოვრებისა არა ნაკლებ არის დაკავშირებული ხალხის სწავლა-განათლებასთან, კულტურასთან. ცხოვრების უკეთესად მოწყობისათვის, გაუმჯობესობისათვის ცოდნა არის საჭირო. ცოდნას ხალხს სკოლა უნდა აძლევდეს, მაგრამ სკოლას მხოლოდ მაშინ ექმნება განმანათლებელი მნიშვნელობა, როდესაც იგი პედაგოგიურ საფუძველზეა დამყარებული...

მაშასადამე მიწის მესაკუთრეობის საკითხი, კოლონიზაციის

შეჩერება, საერობო დაწესებულებათა შემოღება და განათლების იარაღის, სკოლის განახლება აი ის ოთხი საკითხი, რომლის განმარტებას, ჩვენთვის საზოგადო, საერო ხასიათი უნდა ჰქონდეს. რასაკვირველია, ჩვენებურ სოფელს ბევრი სხვა რამეც ესაჭიროება: კრედიტი, სამეურნეო ამხანაგობების დაარსება, მიწების გამიჯვნა, გადასახადის სამართლიანად განაწილება და სხვა და სხვა, მხოლოდ ყველა ამის განხორციელება ძლიერ გაძნელდება, სანამ ზემოდ აღნიშნული მხარე ხალხის ცხოვრებისა დაკმაყოფილებული არ იქმნება.

სასურველია, რომ ამერეთ-იმერეთის წინაძღოლები თა-

ვიანთ მომავალ შრომას სერიოზულად მოეკიდნენ. სასურველია, რომ მათი ყურადღება იქნას მიქცეული საზოგადო, საერო საჭიროებაზე. ამ საზოგადოებათა დაკმაყოფილებას მათის დახმარებით და საშუალებით სხვათა შორის, ის შედეგიც მოჰყვება, რომ, ზოგიერთ კითხვების განმარტებაში, წოდებათა შორის საერთო მოქმედების პრაქტიკული საფუძველი დაედება.

XIV. პროვინციელ კორესპონდენტთა საყურადღებოდ.

ქართულ რედაქციებში დიდძალი წერილები მოდის საქართველოს სგვა და სხვა კუთხეებიდან. ზოგი წერილი ბუნების აღწერით იწყება, მთა-მიდამოს სიმშვენიერეს დამღერს, ზოგი მეზობელ ქალებს იგდებს სასაცილოდ, „მოდნი" შლიაპები დაუხურავთ და თავს იგდებენო. დრო-გამოშვებით ჩვენებური კორესპონდენტი მამასახლისს, მღვდელს ან მემამულეს შემოსწყრება და მათ საწინააღმდეგოდ არის ამხედრებული. გვიამბობს მათს შინაურ, საოჯახო საქმეებს, გვიხატავს მათს ავ-კაცობას. რასაკვირველია, ადვილად შესაძლებელია, რომ ყოველივე ეს მართალი იყოს. შესაძლებელია, ბუნება, რომელსაც დაჰყურებს კორესპონდენტი, მართლაც უხვი და მდიდარია, შლიაპიანი ქალები მართლაც და თავხედი ქალები არიან, ხოლო მამასახლისი, მღვდელი და მემამულე სოფლელებისათვის ნამდვილი ჭირია. მიუხედავად ყველა ამისა, ამ წერილებს მაინც კერძო, ადგილობრივ კუთხის ინტერესი აქვს და ამისათვის გაზეთში ადგილი არ უნდა ჰქონდეს, რადგან გაზეთი საერთო და საზოგადო საჭიროების გამომსახველი უნდა იყოს და არა რომელიმე განცალკევებულ მოვლენისა ანუ კუთხისა.

პროვინციიდან მოსულ წერილებს კი ჩვენი ცხოვრების შესწავლის საქმეში დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეთ. ზო-

გიერთ ჩვნებურ კორესპონდენტებს ეს აზრი შეუგნიათ და ადგილობრივ კითხვებს მოხერხებულად აძლევენ საერუო ხასიათს. საუბედუროდ, ამ ხასიათის კორესპონდენტი ფრიად ცოტაა ჩვენში. და უნიჭობისაგან და უცოდინარობისაგან არ წარმოსდგება ეს გარემოება. ჩვენი ცხოვრება, ამ ბოლო დროს, მეტად გართულდა,

დაიხლართა. ამ არეულობაში და დახლართვაში ძნელი გამოსაცნობია, რა არის უმნიშვნელო, წარმავალი, ზედაპირული, და რა არის ნამდვილი, ძირითადი საფუძველი ხალხის ცხოვრებისა. პროვინციიდან, ჩვენი ხალხის მიყრუებულ კუთხეებიდან მოსულ წერილებს შეუძლიანთ ამ ძნელი კითხვის გამორკვევას ხელი შეუწყონ და მით ჩვენს ცხოვრებას ნათელი მოჰფინონ. ხოლო ყველა ამისათვის განსაზღვრული გეგმაა საჭირო, პროგრამა, რომელიც ყოველთვის უნდა ჰქონდეს მხედველობაში ჩვენენებურ კორესპონდენტს.

გეგმა ხელოვნურად, მწიგნობრულად კი არ უნდა იყოს შედგენილი, პირიქით, თვით ცხოვრების საჭიროებათა განმარტებაზე დამყარებული. გეგმას უნდა ჰქონდეს საფუძვლად პოლიტიკო-ეკონომიური პირობები ჩვენის ცხოვრებისა და ამ ფართო და ვრცელ ნიადაგზე ცხოვრების ყოველი საჭირ-ბოროტო კითხვა უნდა იყოს დასახელებული და აღნიშნულშ. ჩვენ, რასაკვირველია, ამ გეგმის შედგენას არა ვკისრულობთ. დავასახელებთ რამდენსამე უმთავრეს მხარეს ჩვენის ცხოვრებისას და კორესპონდენტების ყურადღებას მათზე მივაქცევთ.

ყოველის ერის ცხოვრებაში, რომელსაც ისტორიულად უცხოვრია და ამ ცხოვრების კვალი დაუტოვებია, წარსულის შესწავლას და განმარტებას უმთავრესი ადგილი უნდა ეჭიროს. წარსულის შესწავლისა და შემუშავებისათვის, რასაკვირველია, განსაკუთრებული ცოდნა და მომზადებაა საჭირო. ხოლო ამ შესწავლის საქმეში ბევრი იმისთანა მხარეა, რომელსაც ადვილად იკისრებს ყოველი საშუალოდ განათლებული, საღი გონების ადამიანი. ჩვენ ვამბობთ ისტორიულ ნაშთების შენახვისა და აღწერის მნიშვნელობაზე. ჩვენი ქვეყნის შორეულ კუთხეებში ძვირფასი ისტორიული ძეგლებია დაშთენილი. ამ ძეგლებს შენახვა უნდა. ადგილობრივ კორესპონდენტის თაოსნობით ამ საქმის მოწყობა ადვილად მოსახერხებელია. იაფ-ფასიან საფოტოგრაფო აპარატის საშუალებით ნაშთის სურათი გადაიღება; ფოტოგრაფიულის სისწორითვე გადმოიწერება ნაშთთა წარწერანი; ადგილობრივ შეიკრიბება ზეპირ-თქმულებანი, ამ ნაშთის შესახებ ხალხში დარჩენილთ ყოველივე ეს საინტერესო პოლიტიკო-ეტნოგრაფიულ მასალას წარმოადგენს და საზოგადოებას ნაშთის შენახვის და დაცვის სურ-

ვილს გაუღვიძებს. ადგილობრივი მცხოვრებლები მეტს ფას

დასდებენ ამ ნაშთს, გაიგებენ რა მის საერო მნიშვნელობას, და წარსულის ძეგლებს ისე გაუფრთხილდებიან, როგორც ეს შეჰფერის ყოველ თვით-ცნობიერების აღჭურვილს ერს.

ისტორიულ ხუროთ-მოძღვრობის შემდეგ, თითქმის ყოველი მხარე ჩვენის ქვეყნისა სხვა და სხვა სიტყვა-კაზმულის გადმოცემით, ლექსებით და პოემებით არის მდიდარი. ამ მასალის შეგროვებას და გამოქვეყნებას დიდი ნაყოფი უნდა მოჰყვეს, რადგან ყველა ამაში ხალხის აზრი, ფიქრი და მისწრაფება არის ჩასახული. ყველამ იცის რა მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენის ლიტერატურისათვის ფშავ-ხევსურეთის ზეპირ-თქმულებათა შესწავლას და ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებას.

ხალხის გულის-თქმას რომ გავიგებთ, უფრო გაგვიადვილდება იმ პირობების შესწავლა, რომელშიაც იგი ცხოვრობს. და თუ გვსურს ამ პირობების შესწავლა გაგვიადვილდეს, საჭიროა ნამდვილი ცნობები იმის შესახებ, თვითოეულ სოფელში სხვა და სხვა წოდებათ რა ურთიერთობა და დამოკიდებულება აქვთ ერთმანეთში. საჭიროა იმგვარ მოვლენათა გამომჟღავნება, რომელსაც ამ მოკლე ხანში, მაგალითად, სოფ. მცხეთაში ჰქონდა ადგილი: მცხეთელებს დაწეროვანელებს მიწის სივიწროვის გამო ჩხუბი მოუვიდათ და ამასთან აღმოჩნდა, რომ მცხეთელებს ტყის გადასახადსაც ახდევინებენ, მხოლოდ ამ ტყის სარგებლობის უფლება კი არა აქვთ. საჭიროა გამორკვევა იმ კითხვისა, თუ რა დამოკიდებულება აქვს სოფლის გაჭირვებას ავაზაკობის გახშირებასთან და გამრავლებასთან, სოფლელებს შორის მტრობისა და სიძულვილის ჩამოგდებასთან. ეკონომიურ ცხოვრების შესწავლას გოდება და ჩივილი არას არგებს. ხშირად ჩვენი კორესპონდენტები სოფლის ცხოვრების გულ-საკლავ სურათს გვიხატავენ, ყველა ამის გაცნობა, რასაკვირველია, სასარგებლოა, მაგრამ საკმაო კი არ არის. საჭიროა ფაქტები, ციფრები, საჭიროა ცნობების მოწოდება იმის შესახებ, ამა და ამ სოფელში რამდენი თავადია, რამდენი აზნაური, სამღვდელოების კაცი, ვაჭარი, გლეხი, ხელოსანი და სხვა... როგორ სცხოვრობენ ესენი, ვის რა აქვს, ვის როგორ მოუწყვია თავისი ცხოვრება სხვა და სხვა კუთხიდან მოსული. ცნობა ამ კითხვების შესახებ დიდ სამსახურს გაუწევს ჩვენი ცხოვრების შესწავლის საქმეს.

ახლო მომავალში, როგორც მკითხველებმა იციან, გან -

საკუთრებულ კომიტეტების მუშაობა დაიწყება. კომიტეტების ყურადღება სოფლის გაჭირვებაზე იქმნება მოქცეული. ფრიად სასურველია, რომ თვით სოფლის კორესპონდენტებმა შეადგინონ სოფლის საჭიროებათა შესწავლის გეგმა და გაზეთის საშუალებით გააცნონ მკითხველ საზოგადოებას სოფლის მდგომარეობა. ამ გეგმის შემუშავებით ბოლო მოეღება უსისტემო წერილების წერას და შორიდან მოწერილ ამბავსაც მეტი ღირსება და ფასი დაედება.

XV. აღმზრდელთა საყურადღებოდ.

–

ერთმა ჩემმა მეგობარმა ბავშვობაზე ლაპარაკი ჩამომიგდო. მომიყვა თავისი აღზრდის და გაწვრთნის ამბავი: „ჩვილი და გრძნობიერი ბავშვი ვიყავი, – მომითხრობდა მეგობარი, – სიყრმიდანვე აღმზრდელის, სასტიკ პედაგოგის ხელში ჩამაგდეს, ჩემსა და ჩემ აღმზრდელს შუა იმ თავითვე რაღაც უთანხმოება და წინააღმდეგობა გამოაშკარავდა. საქმე ის არის, რომ ჩემი პედაგოგი ჩემში პიროვნებას არა ჰხედავდა და ძალიან გაკვირვებული რჩებოდა, როდესაც მე ამ ჩემს პატარა ვინაობას ვიჩენდი. ჩემის აღმზრდელის მოსაზრებით, ბავშვი მონა და ყმა უნდა იყოს მშობლისა და აღმზრდელისა, რომელიც უგუნურ და უსუსურ ბავშვს ჭკუას ასწავლის და ხასიათს უწრვთნის. ბავშვის გული თეთრი ქაღალდიაო, რომელზედაც ფერადებიან მელნით ყველაფერი დაიწერება, რის დაწერასაც აღმზრდელი მოისურვებს. ბავშვის ნება-სურვილი ხის შტოს ემსგავსებაო: იქითკენ გადაიხრება, საითკენაც ქარი დაჰბერავს... ამ აზრისა იყო ჩემი პედაგოგი და თუმცა მე ჩემის პატარა გულით ამ შეხედულების სიყალბეს და სიმკაცრეს ვგრძნობდი, ვერას ვაწყობდი .და იძულებული ვიყავი დავმორჩილებოდე კიდევაც...

დრო მიდიოდა, ერთი წელიწადი მეორეს მისდევდა. დროის მსვლელობაში ჩემი სიცოცხლე იმ მცენარის სიცოცხლეს მიაგავდა, რომელსაც ტანის ასაყრელად და ძალ-ღონის შესაკრებად მზის სხივების სითბო აკლდა. რაც დრო მიდიოდა და მე, ასე თუ ისე, ვიზრდებოდი, ჩემმა აღმზრდელმა ჯაფას და შრომას მოუმატა – მეტის ყურადღებით ადევნებდა თვალ-

ყურს ჩემ აზრთა და გრძნობათა დენას; მეტის გულმოდგინეობით იხედებოდა ჩემს გულში – აცა არა შეეპაროს, არა იყოს-რა ამ გულში იმისთნა, რაც არ უნდა იყოსო კარგად

გაწვრთნილის და გაშალაშინებულ ბავშვის გულში.

„ყველა ამ გარემოებამ მეტად დამჩაგრა, მეტად შემიხუთა პატარა ბავშვური სული. ჩემში შიშმა და სასოწარკვეთილებამ დაიბუდა და ამასთან რაღაც დაღონებამ და გამოუთქმელმა მწუხარებამ ამიტანა. სიყრმიდანვე ბუნებით მხურვალე, მოსიყვარულე გული მქონდა, ჩემი გონებაც ფხიზელი იყო.

ჩემი გრძნობა დუღდა და პატარა გონება ნიადაგ აღელვებაში იყო. საუბედუროდ, ჩემ აღმზრდელის შეხედულებით, კაცის ღირსებას გრძნობათა სიუხვე და აზრთა სიფხიზლე კი არ შეადგენსო, არამედ ზომიერება: ზომიერება გრძნობისა, ზომიერება წადილისა, ზომიერება აზრისა და განზრახვისა. ჩემი გული კალაპოტში იყო ჩასმული. ამ კალაპოტში სული მიგუბდებოდა, გვერდები მტკიოდა. და ასე ულმობელად ვიჩაგრებოდი და ვიტანჯებოდი...

ეხლა რომ მაგონდება ჩემი ბავშვობა, ჟრუანტელი მივლის ტანში. ბევრჯელ ურჩობისათვის ჩემი აღმზრდელი ჩამაგდებდა ხოლმე ნოტიო, ბნელ სარდაფში, სადაც მტოვებდა მთელი დღის განმავლობაში მშიერ-მწყურვალს, ობლად მიტოვებულს. იქ, ბნელ სარდაფში, ცხარე ცრემლებსა ვღვრიდი, გული ნაღვლით და დარდით მისივდებოდა, მარტოობისა მეშინოდა, მსმენელი და მხსნელი კი არსად მოსჩანდა. ხშირად ჩემი აღმზრდელი ლაპარაკს ამიკრძალავდა ხოლმე (ალბად ეშინოდა – ყბედობას არ დავეჩვიო). რამდენისამე დღის განმავლობაში სიტყვა არ უნდა ამომეღო და ვიყავი დადუმებული, უტყვი, თითქოს პირში წყალი ჩავიდგი. გული კი, ჩემი პატარა გული, იტანჯებოდა და სისხლიან ცრემლით ივსებოდა...

„ყველა ამან ძალიან გამაბოროტა. ჩემში რაღაც ავი სული დაბუდდა. თოთხმეტი წლის ვიყავი, როდესაც ჩემში დამწიფდა და გამოირკვა შურის ძიების სურვილი. ჩემი აღმზრდელი მძულდა, მეზიზღებოდა. ჩემს მძულვარებას ოდნავ-ღა ვფარავდი, გულში ვამბობდი: მოვკლავ ჩემს მჩაგვრელს, სისხლს დავლევ, გულს მოვიჯერებ. ამოდენა უტყვ ტანჯვას და გულის ქენჯნას უქმად არ ჩავუტარებ ჩემს აღმზრდელს.

ვამბობდი ამას და გული ჩემი თანდათან ვაჟკაცდებოდა.

მკაცრდებოდა და ჩემში ყოველი სიყვარული და სიბრალული ჰქრებოდა.

თოთხმეტის წლის ვიყავი, გაბოროტებულს გულს რომ სიკვდილი მოსწყურდა. თოთხმეტის წლის ვიყავი, სისრულეში რომ მოვიყვანე ჩემი გულის დაფარული განზრახვა.

ამის შემდეგ, რასაკვირველია, ბევრი მტანჯეს, საპყრობილეც ვნახე, სრული მარტოობაც. მაშინ ჯერ კიდევ მცირე

წლოვან დამნაშავეთათვის ახალშენები არ იყო დაფუძნებული. ბოლოს, როგორც იყო, გავნთავისუფლდი. ციხიდან რომ გამოველი, სრულიად დავაჟკაცებული ვიყავი. მუშაობა დავიწყე, სწავლასაც მივყევი ხელი.

ეხლა ბებერი ვარ. ჩემი თმა გათეთრებულია. წელშიაც მოხრილი ვარ. მაგრამ ჩემი ფიქრი, ჩემი მოქმედება თავისუფალია და ამითი ვარ ბედნიერი. მხოლოდ დრო-გამოშვებით, როცა მაგონდება ხოლმე ჩემი ბავშვობის ტანჯვა, წარბი შემეკრება, გულს სევდა მაწვბბა და ჩემს ფიქრს დაღონება იპყრობს. და მაშინ მინდა გულის მწუხარება გავუზიარო ბავშვების აღმზრდელებს და ვუთხრა მათ: ბავშვი ნორჩი პატარა ადამიანია, რომელსაც **თავისი** აზრი, სურვილი და წადილი აქვს. ნუ აღმოფხვრით ამ თავისიანობას ძირიან-ფესვიანად. ნუ გააბოროტებთ ბავშვის გულს! ობლობის ცრემლებს ნუ აღვრევინებთ, სისხლის ღვრამდე ნუ მიიყვანთ!.."

ასე გაათავა თავისი პატარა სიტყვა ჩემმა მეგობარმა. მეც ეს მისი ნაამბობი მკითხველს გავუზიარე, რადგან ჩვენებურ აღმზრდელთათვისაც, მგონია, საყურადღებო უნდა იყოს ბავშური გულის ჩივილი და გოდება.

XVI. საქალაქო არჩევნები.

–

ქართველებისათვის აშკარა შეიქმნა საქალაქო საქმეებში გარევის საჭიროება. ჩვენ დავრწმუნდით, რომ მიუხედავად იმისა, რომ ქალაქის აწინდელი თვით-მმართველობა უფრო შეძლებულ ნაწილის საჭიროებათა გამომსახველია, ქართველებმა მაინც უნდა მიიღონ მონაწილეობა ამ თვით-მართველობაში. თუ დღეს თვით-მმართველობა ვიწრო ფარგალშია ჩაყენებული, ხვალ შე-

საძლებელია ეს ფარგალი გაფართოვდეს. თუ დღეს საარჩევნო უფლება უფრო შეძლებულ კაცს აქვს, იმედია, ეს უფლება ხელმოკლე კაცსაც მიენიჭება მომავალში. ამიტომ ყოველმა ერმა, რომელიც კი მოქალაქეობრივ გზას დაადგა, საზოგადოების წინ-სვლის საფეხურები უნდა გამოიაროს. დეე, შევიდეს დღეს ქალაქის საბჭოში ერთი ნაწილი ქართველობისა. ეს იქმნება პირველი ნაბიჯი, რომელსაც, აუცილებლივ, უნდა მოჰყვეს მეორეც. მხოლოდ ეს პირველი ნაბიჯი კი უნდა გადავდგათ, ამითი გზას გავიკვლევთ და თვით-მმართველობას თანდა-თან გავაყოვლადებთ.

მაგრამ ცარიელი ნატვრით და სურვილით არა გაკეთდე-

ბა-რა. თვით-მმართველობაში ფეხის შედგმისათვის ბევრი შრომა და ჯაფა არის საჭირო. ყოველივე დაბრკოლება წინდაწინვე უნდა გავითვალისწინოთ. ჩვენი უახლოვესი მიზანიც გამორკვეული უნდა გვქონდეს და ყოველი საშუალება და იარაღი, რომელსაც მოვიხმართ მიზნის მისაღწევათ.

რას უნდა მოვესწრაფვოდეთ? სახეში რა უნდა გვქონდეს? ამ კითხვაზედ პასუხი მეტის მეტად მარტივია. ქართველობას ჰსურს კანონიერი და პროპორციონალური რიცხვი წარმომადგენლებისა იყოლიეს ქალაქის თვით-მმართველობაში. ეს არის აზრი ჩვენის მოქმედებისა. რა საშუალებით შეგვიძლიან განვახორციელოთ ჩვენი აზრი?

თავდაპირველად ჩვენი საკუთარი ძალ-ღონე უნდა შევკრიბოთ, გავითვალისწინოთ. უნდა ვიცოდეთ, რამდენნი ვართ, ყველანი მოვალთ არჩევნებზე, თუ, ქართველურად, სახლიდამ არ დავიძვრებით და მხოლოდ გაზეთების საშუალებით შევიტყობთ ქართველების დამარცხების ამბავს. ცვენ ჯერ კიდევ მოქალაქობრივი გაწვრთნილობა გვაკლია. დიდ მნიშვნელობას არ ვაძლევთ არც თვით-მმართველობაში შესვლას, არც იმის კარების უკან დარჩენას. დრო კი არის შევიგნოთ, რომ სანამ ჩვენ თვითონ არ უპატრონებთ ჩვენს თავს, სხვის იმედებით ვერას გავაწყობთ. ამიტომ ყოველი მესაკუთრე ქართველი, რომელსაც 1500 მანეთის ღირებულობის სახლი აქვს (ე. ი., ვისაც წელიწადში 11 მ. 25 კ. დასაფასებელ გადასახადს ახდევინებენ), აგრეთვე ყოველი ვაჭარი (გარდა სასმელების გამყიდველ-მედუქნეებისა), ვისაც აქვს მეოთხე ხარისხის მოწმო-

ბა [1]), რომელშიაც წელიწადში 70 მანეთს ახდევინებენ, – ყველა ესენი მოვიდნენ დანიშნულ დღეს თავიანთი ხმოსნების ამოსარჩევად. მაშასადამე, ბრძოლის პირველი აუცილებელი იარაღი საკუთარის ძალ-ღონის შეკრება და გაწვრთვნაა.

მაგრამ ყველა ეს საკმარისი არ არის. რაც უნდა გავწვრთნათ და გავავარჯიშოთ ქართველი ამომრჩევლები, ისინი, თავიანთის ძალღონით, სხვის დაუხმარებლივ, ვერას გაიტანენ, ვერ ამოარჩევენ წარმომადგენლებს. ამიტომ განცალკევებული მოქმედება ამთავითვე უნდა იყოს უარყოფილი.

მაშ, თუ განცალკევებული მოქმედება ქართველებისათვის შეუძლებელია, ბრძოლაზედ, ბრძოლის საჭიროებაზედ რაღათ ლაპარაკობთო, იტყვიან იჭვიანი კაცები. აი, რად.

ქართველებმა უნდა შეიმუშავონ საარჩევნო პროგრამა, ე. ი. ყოველმა ამომრჩეველმა უნდა იცოდეს რად ან რისთვის ირჩევს ამა-და-ამ პირს. რადგან ქართველები დღემდე ეკონომიურად დაბეჩავებულები და დამონავებულნი არიან, ამიტომ მა-

თი საარჩევნო პროგრამა უნდა იყოს დაფუძნებული ქალაქის შეუძლებელ ნაწილის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების საჭიროებაზედ. თუ ქართველები იმგვარ წარმომადგენლებს წამოაყენებენ, რომელნიც მზად იქმნებიან სიტყვით კი არა, საქმით ემსახურონ ქალაქის მცხოვრებლების გაჭირვებულ ნაწილს, აშკარაა, ამ წარმომადგენლების წინააღმდეგ გაილაშქრებიან ყველა ისინი, ვინც არ მოინდომეს ძველი უპირატესობის უფლების ხელიდამ გაშვებას.

ქალაქის მცხოვრებთა ინტერესები ერთმანეთს ეწინააღმდეგებიან. თუ ქართველებმა მკვიდრთა შეუძლებელ ნაწილს მისცეს მხარი, მათ, ერთის მხრივ, მიემხრობა სხვა ერების ამომრჩეველთა ის ნაწილი, რომელიც იმავე გრძნობით ან აზრით იქნება გამსჭვალული; მეორეს მხრივ, მათ წინააღმდეგ იქმნებიან „სოლოლაკელთა" უპირატესობის დამცველნი. მაშასადამე, ამომრჩეველნი ბრძოლის ნიადაგს ვერ ასცდებიან. ბრძოლა, აზრიანი და გონიერი, პრინციპი და აუცილებელი პირობაა ყოველივე არჩევნებისა. ჩვენც ვერ ავცდებით ამას და არც უნდა შევუშინდეთ საარჩევნო შეტაკებას. საქმე მხოლოდ ის

---

[1]) Промысловые свидѣтельство четвертаго разряда.

არის, რომ პროგრამის შემუშავებით თანაშემწენი მოვიხმოთ და მათის დახმარებით ქართველი ხმოსნები ავირჩიოთ.

მაშასადამე, თვით გარემოება გვაჩვენებს, რა საშუალებას უნდა მიჰმართოს ქართველებმა: ეროვნულ თავმოყვარეობის დაკმაყოფილების მოსაზრებით კი არ უნდა იხელმძღვანელონ, პირ-იქით, საქმიან პროგრამით. ამ პროგრამის ნიადაგზედ თავი უნდა მოუყარონ ერთის ხასიათის ამომრჩევლებს და მხოლოდ ამ ამომრჩევლების დახმარებით გაიყვანონ თავიანთი წარმომადგენლები. ეს გზა ერთსა და იმავე დროს ეროვნულ შეთანხმების და ქალაქის საქმეების საუკეთესო მოწყობის გზაა. ყოველი სხვა საშუალება უნაყოფო და უნიადაგოა.

XVII. ახირებული „მცველი".

ამას წინად ქუთაისის სათავად-აზნაურო სკოლაში უსიამოვნო ამბავი მოხდა. სკოლის დარბაზში ჩვეულებრივი სალიტერატულო საღამო გამართეს. საღამოს დიდ-ძალი ხალხი მოაწყდა, მათში თავად-აზნაურთა წინამძღოლი თავ. ს. ნ. ლორთქიფანიძე და ქალაქის თავი ბ. დი ა. ლორთქიფანიძეც იყო.

„საღამო" მხიარულად და შნოიანად დაიწყო. სიმღერა – ლექსების თქმა, ბავშვების სიცილი და აღელვება, მშობლების

სიხარული ყოველივე ეს სასიამოვნო სურათს წარმოადგენდა.

საუბედუროდ, ხშირად, რაც სასიამოვნოდ იწყება, ამგვარადვე ვერ თავდება. აქაც ასე მოხდა. ქუთაისის პოლიცმეისტერის, ბ. ლისოვსკის განკარგულებით სიმღერა შესწყვიტეს, საზოგადოებას გამოუცხადეს, რომ „საღამო" აღარ გაგრძელდებაო, რადგან სკოლის ინსპექტორს სკოლის დარბაზში სალიტერატურო საღამოს გამართვის უფლება არ აქვსო. საზოგადოება, ნაწყენი აღშფოთებული მოულოდნელის შემთხვევით, რასაკვირველია დაიშალა.

ბ. ოცხელს ვერ გაეგო, რამ გამოიწვია ბ. პოლიცმეისტერის განკარგულება. და კითხვის გამოსარკვევად სახალხო სკოლების დირექციას მიჰმართა. დირექციის განმარტებით, პოლიცმეისტრის განკარგულება არავითარ მოსაზრებით არ გამართლდებაო, რადგან სკოლის ინსპექტორს შეუძლიან, ადმი-

ნისტრაციის ნებადაურთველად, გამართოს ხოლმე სკოლის შენობაში უფასო სალიტერატურო და საცეკვაო საღამოები. ამ განმარტების შემდეგ, ბ. ოცხელმა საჩივარი შეიტანა ქუთაისის პილიცმეისტერზე.

ამასთანავე გუბერნატორთან მისულან მოსალაპარაკებლად ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი, ქალაქის თავი და საპატიო მომრიგებელ-მოსამართლე ბ. გ. ბაქრაძე.

ყველაფერი მშვიდობიანად და რიგზე დაბოლოვდებოდა, ამ საქმეში რომ არა მკითხე მცველები არ ჩარეულიყვნენ. გუბერნატორი პოლიცმეისტრის მოქმედებას უკანონოდ სცნობდა, მისცემდა ნებას საღამოების გამართვისას და საზოგადოება დაკმაყოფილდებოდა. ან კიდევ გუბერნატორი პოლიცმეისტრის განკარგულებას კანონიერად ჩასთვლიდა და ინციდენტს „კანონიერად" ბოლო მოეღებოდა.

მაგრამ არა. ჩვენში არიან იმგვარი პირები, რომელნიც ყოველ ღონისძიებას ხმარობენ მტრობა და შფოთი დასთეზონ საზოგადოებაში, უკმაყოფილება გამოიწვიონ, სხვისი თავ-მოყვარეობა შეჰლახონ და თავიანთ ქვემძრომ განზრახვათა გამარჯვებისათვის გამოიყენონ ეს შფოთი და უთანხმოება. ბათომში არსებული რუსული გაზეთი „ჩერნომორსკი ვესტნიკი“ სწორედ ამნაირი შფოთის მთესველი გაზეთია. ყური დაუგდეთ, რასა სწერს ქუთაისის ინციდენტის შესახებ.

„ზოგიერთი გაზეთები აზვიადებდნენ და აზვიადებენ ქუთაისის ქართულ სკოლაში მომხდარ ინციდენტს და ამასთან ქუთაისის პოლიცმეისტერს ბ. ლისოვსკისაც ჩირქსა სცხებენ.

„თუმცა დაწვრილებით ვიცით, როგორ მოხდა ეს ამ-

ბავი, მაგრამ, რადგან საქმის ოფიციალური გამოძიება სწარ-
მოებს, ამიტომ ჯერ-ჯერობით გავჩუმდებით.

„ორმა ლორთქიფანიძემ და ერთმა ბაქრაძემ გუბერნა-
ტორთან ბ. ლისოვსკის უჩივლეს. სკოლის ინსპეკტორს,
ოცხელსაც, როგორც „არგონავტი" ირწმუნება, ფორმალუ-
რი საჩივარი (!!) შეუტანია რომელშიაც უფლებათა უკა-
ნონოდ მოხმარებას აბრალებს ბ. ლისოვსკის.

„ოჰ, როგორ შეგვაშინეს.

„საქმის გამოძიების გათავების შემდეგ ჩვენ ვუამბობთ

მკითხველებს ამ ამბავს, რომელსაც ასე ამახინჯებენ ბ.
აკადემიკოსები.

„რა უნდათ ამ ბ. აკადემიკოსებს? თავიანთ თავს ცხვრე-
ბათ რათ აჩვენებენ, რომლებიც „რუსს“ დასაკლავად გაუ-
წირავს?

„ვურჩევთ, მომჩივანმა ოცხელმა უფრო გულმოდგი-
ნეთ ადევნოს თვალ-ყური იმას, რაც ხდება იმის სკოლაში,
და რუსების მომულე გაზეთები ჭეშმარიტებას უფრო თა-
ვაზიანად მოექცნენ...“

კილოს და სიტყვებს დააკვირდით? „ორი ლორთქიფანი-
ძე" და „ერთი ბაქრაძე"-ო!... „ოჰ, როგორ შეგვაშინეს“!..
„ვურჩევთ, მომჩივან ოცხელმა, უფრო გულმოდგინეთ ადევ-
ნოს თვალ-ყური იმას, რაც ხდება იმის სკოლაში"!.. და სხვა.

ოპერეტის დასის აქტიორს, „ჩერნომორსკის ვესტნიკის"
რედაკტორს ისე ამაყად უჭირავს თავი, ისე აქვს ზურგი გამაგ-
რებული, რომ უბრალო ზრდილობა რა არის ისიც კი ავიწ-
ყდება. „ორი ლორთქიფანიძე და ერთი ბაქრაძე!.. „ჩერნო-
მორსკი ვესტნიკმა" კარგად იცის, რომ ორ ლორთქიფანიძე-
ში, ერთი თავად-აზნაურთა წინამძღოლია და მეორე – ქუთა-
ისის ქალაქის თავი, ხოლო ბ. ბაქრაძე ოცდაათი წელიწადი
მომრიგებელ მოსამართლეთ ნამყოფი კაცია. „ჩერნომორსკი
ვესტნიკმა" ისიც იცის, რომ თავ ს. ლორთქიფანიძე წინა-
მძღოლობის გარდა, კამერჰერიც არის. იცის ეს და მაინც გან-
ზრახ აჩვენებს საზოგადოებას, რომ არც თავად-აზნაურთა წი-
ნამძღოლის, არც ქალაქის წარმომადგენლის, არც მოსამარლი-
სა არავითარი პატივისცემა არა აქვს. ჩვენთვის ყველასათვის,
განურჩევლად მიმართულებისა, აშკარაა, რას ნიშნავს ამგვარი
უპატივცემულობა ქართველთა სხვა-და-სხვა წარმომადგენლები-
სადმი ისეთის გაზეთის მიერ, როგორიც არის „ჩერნომორსკი
ვესტნიკი". ჩვენ ისიც ვიცით, რას ჰნიშნავს ბ. ოცხელისადმი
მიმართული რჩევა: სკოლას მოუარეო, თორემ მე ვიციო, და-
წვრილებით ვიცი თქვენი ოინები. ნუ გამაჯავრებთ და ნუ

მათქმევინებთ. რომ უჩივით პოლიცმეისტერს, რას უჩივით. ძალიან არ შეგვაშინოთ თქვენის საჩივარითო.

ამაზე მეტი კადნიერება და თავხედობა იქნება-ღა? კანონიერ ჩივილის უფლებასაც გვართმევს „ჩერნომორსკი ვესტნიკი!“ კანონიერ საჩივარშიაც ჰპოულობს რუსებისადმი მძულ-

ვარებას!.. არა, მართლაც-და საცოდავი და უბადრუკი ხალხი ვყოფილვართ, რომ დაბალ ღობედ საეჭვო ხარისხის რეპარტიორებმაც კი მიგვიჩნიეს და გვაბოტებენ და გვთელავენ თავიანთ უწმინდურის ფეხებით.

XVIII. დონკიხოტობა.

–

წარმოიდგინეთ დოღის მინდორი. განსაზღვრულ საათს ცხენების გაჯიბრება არის დანიშნული. გასაქცევათ მიიყვანეთ თქვენი რაში. მაგრამ დანიშნულ დროს სხვებმა თავიანთი ცხენები არ მოიყვანეს. მიუხედავად ამისა, თქვენ მაინც შეახტით თქვენს ცხენს, შემოჰკარით მათრახი, დაჰკივლეთ, შემოსძახეთ და გააქანეთ. მირბის, მიფრინავს თქვენი მერანი და თქვენს გულშიაც სიხარულია. ამაყობთ თქვენის ცხენით და როდესაც, გაქცევის შემდეგ, აფრიალებულ დროშამდე მიაღწევთ, თქვენს აღფრთოვანებას საზღვარი არა აქას და გამარჯვებასაც დღესასწაულობთ. თქვენმა ცხენმა დანიშნულ ადგილას პირველმა მიაღწია და დოღზე გაიმარჯვა, გულუბრყვილოდ თავი მოგწონთ და ქვეყანას აუწყებთ თქვენს ბედნიერებას

ამის მსგავსი ამბავი მოხდა იმ დღეს სტუდენტთა დამხმარებელ საზოგადოების კრებაზედ. კრებას არა-ჩვეულებრივი დიდი რიცხვი ქართველებისაც დაესწრო. ეს, რასაკვირველია, ჩვენთვის ფრიად მოსაწონია. მხოლოდ ამ დასწრების შედეგი კი უცნაური გამოდგა. ამომრჩევლებმა სტუდენტთა დახმარების გამგეობის ამორჩევა ბრძოლის ველად გაჰხადეს. ცხრა კაცში ხუთი ქართველი და ოთხი რუსი ამოირჩიეს, ხოლო სომეხი გააშავეს.

ქართველების აჩქარებული „გამარჯვება" ამ ცხენის გამარჯვებას მაგონებს, რომელმაც მეტოქე ცხენები რომ არა ჰყავდა, ლელო პირველმა გაიტანა. მაგრამ ნუ თუ სტუდენტთა დამხმარებელი გამგეობის ამორჩევაც ბრძოლის ველად უნდა გავხადოთ და სულ იმის ცდაში-ღა ვიყოთ, რომ „ჩვენიანები", რაც შეიძლება მეტი გავიყვანოთ? აკი ასედაც მოგვივიდა, ხოლო ვნახოთ, აქედან რა კეთილი გამოვა. ჩვენა გვგო-

ნია, კეთილი არა იქმნება-რა.

სომხებს, თუ მეტი არა, ნაკლები უფლება არა აქვთ დამ-

ხმარებელ საზოგადოების წევრად გახდნენ. დიდი უმრავლესობა კავკასიის სტუდენტთა შორის სომხები არიან. მათში ბევრი ღარიბიც არის. – ეს ერთი. მეორეც ისა, რომ, ასე თუ ისე, დღეს სომხებს ქონებრივი უპირატესობა აქვთ. სომხების გამორიცხვა საქველ-მოქმედო საზოგადოებიდან, რომლის დანიშნულება სტუდენტთა დახმარებაა, ამ საზოგადოებიდან შეძლებული კაცების, ანუ იმ პირების განდევნა, რომელთაც დამოკიდებულება და მახლობლობა აქვთ ამ შეძლებულ კაცებთან, საქმეს არამც თუ სარგებლობას, დიდ ვნებასაც მოუტანს.

არ ვიცით, რა მოსაზრებით ხელმძღვანელობდნენ ამომრჩევლები. თუ იმას იტყვიან, ამოვირჩიეთ ისინი, ვინც კრებაზე მოვიდაო, ეს გასამართლებელი საბუთი არ არის, რადგან კრებას დაესწრო ორმოცდა ათი კაცი და მათ შორის იყვნენ ცნობილი მოღვაწენიც.

საზოგადოების დანიშნულება ეროვნულ თავმოყვარეობის შეჯახება კი არ არის, პირიქით, საქმიანობა და გაჭირვებაში ჩავარდნილ სტუდენტთა დახმარებაა. მეორეს მხრივ, თუ თავს იმით გაიმართლებენ, რომ უსომხებოთაც საქმის წაყვანა შეუძლიანთ, ამაში დიდად სცდებიან, რადგან, სხვას რომ თავი დავანებოთ, სომეხ საზოგადოების უკმაყოფილება ნივთიერადაც დააბრკოლებს ახალს საზოგადოებას.

ყველა ამისათვის, ჩვენ არ გვესმის სტუდენტთა დახმარების საზოგადოების წევრთა მოქმედება. თუ ისინი უმაღლესს მოსაზრებით ხელმძვანელობდნენ, ეს მათი მოსაზრება ფუჭი, უგუნური მოსაზრებაა. თუ ქართველებსა და სომხებს შორის ბრძოლაა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ყველა ჩვენი საქმეებში უნდა შევიტანოთ ჩხუბის და შფოთის ხასიათი. ბრძოლასაც თავისი საზღვარი აქვს. ვისაც ჩვენს შორის la gérre à outrance-ის აზრი აღფრთოვანებს, იმას არც ჩვენი საერთო მომავალი აქვს გათვალისწინებული, არც თანამედროვე საქმეებში ჩახედვის უნარი ჰქონია. ხოლო თუ ამომრჩევლებმა ისარგებლეს. შემთხვევით და იმ ცხენის პატრონსავით უმეტოქოდ გაიმარჯვეს და თავიანთი გამარჯვებაც იდღესასწაულეს, ამ შემთხვევაში მათი გამარჯვება რაინდ დონკიხოტის გმირობას გვაგონებს, რომელიც ხშირად უჩინარ მტერზედ მიიტანდა ხოლმე გაქანებულ იერიშს.

XIX. „ივერიის“ ახალ გამომცემლობის გამო.

–

პირველ მაისიდან გაზეთი „ივერია" საამხანაგო გამომცემელთა ხელში გადავიდა. გაზეთის კერძო კაცის ხელიდან ,,ამხანაგობის" განკარგულებაში გადასვლას განსაზღვრული მნიშვნელობა აქვს და ამ მნიშვნელობაზე ორიოდე სიტყვის თქმა გვინდა.

ბევრჯელ თქმულა და კიდევაც ითქმის, რომ თანამედროვე ხანა კაპიტალისტური ხანაა. ყველგან ფულია გაბატონებული, ფულის საშუალებით აწარმოვებენ არამც თუ ვაჭრობა-მრეწველებას, არამედ ხელოვნებას და მწერლობასაც კი. ხელოვნება და მწერლობაც მრეწველობის დარგად გადაიქცა და კაპიტალიზმის დაღი აქვს დაჩნეული.

ამ რამდენიმე წლის წინად ფრანგულმა ჟურნალმა „REvue bleu"-მ მწერლობის პასუხის მგებლობაზე „გამოძიება“ მოახდინა და ამ კითხვის შესახებ სხვა და სხვა გამოჩენილ კაცებს დაეკითხა.

სხვათა შორის, ჟურნალ-გაზეთების კაპიტალიზმისაგან დამოკიდებულების შესახებ ცნობილმა სოციალასტმა ჟორესმა აი რა მოსაზრება გამოსთქვა: „ბეჭდვითი სიტყვა - საზოგადოებრივი წყობილების გამომეტყველია. იგი იცვლება წყობილების შეცვლასთან ერთად. თუ თანამედროვე საზოგადოება ფულის ძლიერეაშენებული, როგორ შეიძლება, რომ ამ ძლიერებას ბეჭდვითი ბაზმა სიტყვაც არ დაემორჩილოს. ჩვენს დროში ჟურნალ-გაზეთების წარმოების საქმე, ე. ი. გამომცემლობა – წარმოების დარგად გადაქცეულა. ეს საქმე თანხას მოითხოვს და თანამედროვე კაპიტალისტურ წარმოების პროცესში შედის. ჩვენს დროში გაზეთი მარტო მკითხველს საზოგადოების საშუალებით ვეღარ ხეირობს. თუ ხელის მომწერლებზე დაამყარებს თავის იმედებს, გაზეთი დაიღუპება. ამიტომაც არის, რომ ყოველი გაზეთი გაცხარებულად დაეძებს განცხადებებს და რეკლამებს და სხვა ამგვარ შემოსავლიან წყაროებს. წაართვით გაზეთს ეს წყარო, იგი დაიღუპება. განსაკუთრებით ამ პირობებში სცოცხლობენ დიდი გავლენიანი გაზეთები. ასე რომ დიდი და გავლენიანი

გაზეთები ყოვლთვის მსხვილ კაპიტალისტის ხელშია და ამ კაპიტალისტის ზნეობრივ ზედ-გავლენის ქვეშ იმყოფება. როგორიც არის თანამედროვე კაპიტალისტის ზნეობრივი სახე, ისეთივეა გაზეთიც – ამ კაპიტალისტის კანონიერი კუთვნილება“-ო [1]).

ასეთის შეხედულებისაა ჟორესი დასავლეთ ევროპის ჟურ-ნალ-გაზეთების ვითარებაზე. ჟორესმა აღნიშნა გაზეთის დამო-კიდებულება განსაზღვრულ საზოგადოებრივ წყობილებასთან და გაზეთის ფინანსიური მხარე ამ წყობილებას დაუქვემდება-რა. ეს მოვლენა საზოგადო მოვლენაა, სადაც კაპიტალისტუ-რი წარმოება განვითარებულია.

ყოველივე ეს, ჯერ-ჯერობით, ჩვენ თითქმის არ შეგვეხება. ჩვენში კაპიტალისტური წარმოება ჯერ კიდევ განუვითარებე-ლია და ამისათვის ჟურნალ-გაზეთობაც დღემდე კაპიტალის გავლენის ქვეშ არ არის ჩავარდნილი. ქართულ-გაზეთებს დღემ-დე ზარალის მეტი არა მოუტანიათ-რა გამომცემელისათვის, რა-დგან ჩვენი გაზეთი მხოლოდ ხელის-მომწერლების საშუალებით იბრუნებდა სულს. ჩვენ გაზეთს რომ უნდოდეს კიდევაც სხვა შემოსავლის წყაროების აღმოჩენა – (განცხადება,რეკლამა), ამ სხვა წყაროს ჯერხნობით ვერც იშოვნის, რადგან ქართული მრეწველობა ისეთი ნორჩია, რომ სამრეწველო განცხადებები მისთვის არც არის საჭირო. განცხადებებით უფრო რუსულ სიტყვებით დაბეჭდილი სომხური გაზეთები იკვებებიან.

მაგრამ თუ დღემდე საქმე ასე იყო, ხვალ აუცილებლივ შეიცვლება. ეს ცვალებადობა საზოგადო ცვალებადობის პირ-მშო შვილი იქმნება. ჩვენს ცხოვრებაში ეხლაც ვხედავთ იმ-გვარ ნიშნებს, რომელნიც მოწმობენ მრეწველობის სწრაფის ნაბიჯით ზრდას ჩვენს – ქვეყანაში. მრეწველობის გაძლიერება საქართველოში ისეთივე გადუვალი კანონია, როგორც აუცილე-ბელია ძველის წესის დარღვევა.

თუ ეს ასეა, აშ მომავალ ხანას მომზადებულნი უნდა და-უხვდეთ. კერძოდ, ჟურნალ-გაზეთების სფერაში იმის ცდაში უნდა ვიყოთ, რომ ჩვენი ბეჭვდითი სიტყვა ფულის ზედ-გავ-ლენას არ დაუქვემდებაროთ.ამის ასაცილებლად ერთადერთი საშუალება გამომცემელ ამხანაგობის დაარსებაა. როგორც თა-

---

[1]) Вѣст. Иност. Лит. 1898 г. Январь.

ნამედროვე მრეწველობაში წვრილ მესაკუთრეთა დაკავშირება და სამრეწველო და სამეურნეო სინდიკატების და ამხანაგობე-ბის დაფუძნება მსხვილ კაპიტალიზმის წინააღმდეგ საუკეთესო ფარ-ხმლად არის ცნობილი, ისე გამომცემელთა ამხანაგობების დაარსება და ბეჭდვითი სიტყვის წარმოების გასაზოგადოებრი-ვება მომავალში მწერლობას იხსნის კაპიტალის მონობისაგან.

ამიტომ არის, რომ „ივერიის" გამომცემელ ამხანაგობის დაარსებას, ჩვენის აზრით, თავისი საზოგადოებრივი მნიშვნე-ლობა აქვს და ჩვენ სიამოვნებით ვეგებებით გამომცემელთა

თაოსნობას.

გამომცემელ ამხანაგობების დაფუძნებას, ჩვენს პირობებში, სხვა ღირსებაც აქვს. თუმცა ჩვენს მხარეში თან-და-თან ფესვს იკეთებს კაპიტალისტური წარმოება, მხოლოდ ამ ჟამად ჩვენ ამ პროცესსის დასაწყისში ვართ და ამიტომ ხშირად ვერ ვპოულობთ სახსარს არამც-თუ ჟურნალ-გაზეთის დაარსებისათვის, სხვა პრაქტიკულ აშკარად მოგებიან საქმისათვისაც. გამომცემელთა ამხანაგობის საშუალებით-კი, პატარ-პატარა საწევრო გადასახადოს შეერთებით, გაკეთდება საქმე და ამ მხრივადაც ფრიად სასიამოვნოა გამომცემლობის გასაზოგადოებრივობა.

XX. დიდებული მოსაზრება.

–

გუშინწინდელ ნომერში „ივერიამ" განმარტა ის, რაც ჩვენთვის დღემდე გაუგებარი იყო. ეხლა ვიცით და გვესმის, რა მოხდა სტუდენტთა დამხმარებელი საზოგადოების კრებაზედ. გავიგეთ, რომ ერთი ნაწილი ამომრჩევლებისა ისე მოქმედებდა თურმე, თავის თავს ანგარიშს არ აძლევდა ხოლო, მეორეს მხრივ, იმავე დროს, იგივე ნაწილი ამომრჩევლებისა უმაღლესს მოსაზრებით ხელმძღანელობდა.

თუ მკითხველი გაკვირდება და იკითხავს, რანაირად შეიძლება რომ ერთსა და იმავე დროს ადამიანი უგუნურიც იყოს და გონიერიც, ამის პასუხს „ივერია" მისცემს და იმის ცნობის მოყვარეობას სრულიად დააკმაყოფილებს.

„სტუდენტთა დამხმარებელ კრებას, მოგვითხრობს „ივერია", დაესწრნენ სხვა-და-სხვა ტომის წარმომადგენელნი, მათ

შორის დაახლოვებით ერთი მესამედი კრებისა რუსები ყოფილა, ერთი მესამედი – ქართველები და ერთიც – სომხები. რადგან ტფილისის არჩევანებში რუსები და ქართველები, თავიანთ უზრუნველობით, თითქმის გამორჩეულნი არიან, რუსებმა და ქართველებმა უნებლიედ მისცეს მხარი ერთმანეთს და ამგვარად ორმა ნაწილმა ერთ ნაწილს აჯობაო".

ამრიგად კრებაზედ რუს-ქართველობის კავშირი მომხდარა, ამ კავშირის აზრი სომხების დამარცხება ყოფილა. რითი იყო გამოწვეული ბრძოლის აუცილებლობა, „ივერია" ამასაც გვეუბნება. რუს-ქართველობა თავიანთ უზრუნველობის გამო სომხების მიერ ძლიერ დაჩაგრული იყო და ამიტომ სომხების დამარცხება მათთვის აუცილებელი იყოო.

„არჩევნებში ყოველთვის სხვა დროს დამარცხებულმა რუს-ქართველობამ ერთად-ერთხელ გაიმარჯვა და თვითონ-ვე გაუკვირდა. გაუკვირდა, მაგრამ კი არ გაუხარდა, ამიტომ, რომ სომხების გაშავების განზრახვა არავის არა ჰქონდა, არც რუსსა და არც ქართველსაო".

საკვირველია, რუსები და ქართველები შეერთებულან. სომხების დამარცხება სწადდათ. და როცა გაიმარჯვეს, თავი-ანთი გამარჯვება გაუკვირდათ და ეწყინათ. რად გაუკვირდათ და რად შეწუხდნენ რუს-ქართველები? იმიტომ, რომ „სომ-ხების გაშავების განზრახვა არავის არა ჰქონდაო", გვეუბნება „ივერია“. თუ ამგვარი განზრახვა არავის არა ჰქონდა, მაშ რისთვის შეერთდნენ რუს-ქართველები, ერთმანეთს მხარი რის-თვის მისცეს? ხოლო თუ სომხების დამარცხება განზრახული ჰქონდათ, რად გაუკვირდათ და ეწყინათ თავიანთი გამარჯვე-ბა? „მოკავშირენი“ ხომ ამომრჩეველთა რიცხვის უმრავლესო-ბას შეადგენდნენ? თუ სომხების დამარცხება ეწყინათ, მათ წი-ნააღმდეგ „კოალიცია" არ უნდა გაემართათ. თავს თუ იმითი გაიმართლებენ, რომ რუს-ქართველების დაახლოვება „უნებლი-ეთი“ დაახლოვება იყო, ამ საბუთით მხოლოდ იმას გამოააშკა-რავებენ, რომ ამომრჩეველთა ერთი ნაწილი თავის თავს არა-ვითარ ანგარიშს არ აძლევდა და ინსტინკტიურად მოქმედებ-და. ამგვარი უაზრო და უმიზნო მოქმედება უფრო გასამტყუ-ნარი იქნებოდა, ვიდრე განზრახული და წინ-და-წინვე გამო-ანგარიშებული სომხების წინააღმდეგ მოქმედება.

მაგრამ საქმე ასე არ არის. სომხების დამარცხება არამც

თუ „უნებლიეთ"-ი ყოფილა, პირ-იქით, უმაღლესს მოსაზ-რებით ყოფილა გამოწვეული. საქმის საიდუმლოება ისევ „ივე-რიამ“ გამოამჟღავნა. თურმე რუს-ქართველობის „უნებლიეთ“ დაკავშირებას ღრმა აზრი ჰქონია და სტუდენტთა დამხმარე-ბელ საზოგადოების გამგეობიდან სომხების განდევნა – მაღალი პატრიოტული მისია ყოფილა. „თქვე დალოცვილებო, – გაიძა-ხის „ივერია“, ერთმა (ქართველების ქალაქი ააშენა, მის და-ცვაში სისხლი დანთხია, მეორემ (რუსები) სისხლ დანთხეულს მიეშველა; ამ დროს საიდღამაც გამოტყვრა მესამე (სომხები), ორივეს წიხლი ჰკრა და ქალაქის მებატონეთ გამოიჭიმა. განა ეს ამბავი მოსაშორებელი ჭირი არ არის? მაშ ამ ჭირს ,,რა-ღათა ჰმალავთ? ან ვის უმალავთო?" აი სად ყოფილა ძაღლის თავი დარხული. თურმე განსაცდელში ყოფილან ისინი, ვისაც ქალაქის დაცვაში სისხლი დაუნთხევიათ და ვინც სისხლ დან-თხეულებს მიჰშველებია. მაშ თუ ასეა, რაღად გაუკვირდათ და ეწყინათ „ერთგულ მოკავშირეთ?" რატომ არ უნდა ჰქონო-

დათ მათ სომხების გაშავების განზრახვა, პირ-იქით, ამგვარი გაშავება მათ პატრიოტულ მოვალეობად ჩაეთვლებოდათ. რუსებს და ქართველებს კი, „ივერიის" განმარტებით, ეწყინათ სომხების დამარცხება. ერთი მიბრძანეთ, რად უნდა მეწყინოს იმ ადამიანის მარცხი, რომელმაც მეც მტანჯა და არც იმისათვის სიკეთე დაუყრია, ვინც მე გამაბედნიერა, ყელამდე ოქროთი ამავსო, მიხსნა და დამიფარა? ალბად, ამომრჩევლები ღვთაებრივ შთაგონებით მოქმედებდნენ და ამითი აიხსნება, რომ მათ უნებლიე და უანგარიშო საქციელს პროვიდენციული აზრი და შინაარსი მიეცა.

ჩვენ ვსთქვით და ვამბობთ, რომ სომხებს ისეთივე უფლება ჰქონდათ, „დამხმარებელ გამგეობაში" შესვლისა, რა უფლებაც სხვა ერების წარმომადგენლებს ჰქონდათ. ამას თავდაპირველად სიმართლე მოითხოვდა, მერე ის, რომ სომხების ხელში სიმდიდრეა. საქველმოქმედო დაწესებულება ბურჟუაზული დაწესებულებაა. თუ რასმეს მოელით ამგვარ დაწესებულებიდან, ბურჟუაზიის განდევნა ამ დაწესებულებიდან უგუნურებაა.

როდესაც ჩვენ ქალაქიდან გვდევნიან და ყოველ უფლებას გვართმევენ, ვიწყებთ ხოლმე მაღალ პრინციპზე და უსამართლობაზე ღაღადს. ხოლო ეს პრინციპები და სამართალი

გვავიწყდება ხოლმე, როდესაც ჩვენს თავს უზრუნველ ყოფილად და მაგრად ვგრძნობთ, როდესაც ვიცით, რომ ჩვენს უკან შეიარაღებული დარაჯია. მაშინ შურის-ძიებით გავიმსჭვალებით ხოლმე და გულში ვიკლავთ ყოველივე სამართალს და ადამიანობას. არა, არ გვინდა ჩვენ ამგვარი მამულიშვილობა, არც „ივერიას" ვულოცავთ პატრიოტულ მძულვარების გზაზე დადგომას.

XXI. ჩვენებური კამათი.

–

არა ერთხელ გვქონია ლაპარაკი იმაზე, რომ განსაკუთრებული თვისება ქართველ ცრუ-ლიტერატორისა არ-შეწყნარება, გადაჭარბებული ფუქსავატობა, თავმოყვარეობა და სრული უპრინციპობაა. არა ერთხელ აღგვინიშნავს ის სამწუხარო მოვლენა, რომ ქართველ ცრუ ლიტერატორის ღვარძლიანი გული ბოროტებით და მძულვარებით არის აღსავსე. ქართველ ლიტერატორის ამგვარმა ფსიხიურმა თვისებამ განსაკუთრებული ხასიათი და ელფერი დაადო ჩვენს ყოველდღიურ ჟურნალ-

გაზეთობას. ამ ლიტერატურაში და ჟურნალ-გაზეთობაში ყოველი აზრი, ყოველი პრინციპი, ყოველი წმინდა გრძნობა და გულწრფელი მისწრაფება გაქელილი და წაბილწულია, ვერაფერს ვერ იტყვით ისე, რომ სხვამ თქვენს გულში არ ჩაიხედოს, არ აღმოაჩინოს ამ გულში ყოველი სიბინძურე, არ ჩაჰქოლოს და არ დაჰგმოს თქვენი წმინდათა-წმინდა. პირადად დაბეჩავებულნი, ყოველ ღირსებას ახდილნი, ჩვენ ვცდილობთ სხვაც დავაბეჩავოთ, დავამცირეთ, სხვასაც ავხადოთ ყოველი ღირსება და ნამუსი. ჩვენი მკითხველი-კი, საბრალო მკითხველი, გაშტერებული და დაღონებული ყურს უგდებს საზიზღარ ლანძღვა-გინებას, თვალს ადევნებს ლიტერატორთა ბინძურ ორგიას და გაკვირვებული ეკითხება თავის თავს, რა უფლებით, რა ზნეობის კანონის ძალით სამწერლო წრეში იმგვარი პირები შესულან, რომელთაც არაფრით არ დაუმსახურებიათ საზოგადოების ნდობა და რომელთაც მწერლობა სამასხარაო მოედნად გადაუქცევიათ.

ამ სამწუხარო მოვლენის დასაბუთება ძნელი არ არის ყველასთვის, ვინც კი თვალ-ყურს ადევნებს ჩვენებურ მჯღაბნელ-

თა კინკლაობას. ხოლო ერთ თვალსაჩინო ნიმუშს სალიტერატურო ზნეობა დაცემისას მკითხველი წარსულ კვირის „ივერია“-შიაც იპოვნის.

ამას წინად ჩვენ აღვნიშნეთ სომხების გაშავების უსამართლობა სტუდენტთა დამხმარებელი საზოგადოების კრებაზე და, სხვათა შორის, ვსთქვით, რომ რუს-ქართველების დაკავშირება სომხების წინააღმდეგ არავითარ მოსაზრებით არ გამართლდება. სტუდენტთა დახმარების საქმის მოწყობაში ყველა ერთა წარმომადგენლებს მონაწილეობა უნდა მიეღოთ. ამასთან ჩვენ არ მოვიწონეთ ამ კითხვის შესახებ გამოთქმული „ივერიის“ მოსაზრებანი.

„ივერია“ ძლიერ გაუჯავრებია ჩვენ ნათქვამს. გაზეთი თავის ჩვენდამი გულის წყრომას შემდეგის სიტყვებით აუწყებს მკითხველებს: „ვიცით, ვაჟბატონებო, მიზეზი თქვენის სიფიცხისა და მღელვარებისა ამ არჩევნების გამო. ვიცით ისიც, რომ „ცნ. ფურცლის“ ორს დედა-ბოძს (!), რომელნიც სცდილობდნენ (?!) სტუდ. დახმარებელ საზ. გამგეობაში მოჰყოლოდნენ, ამომრჩევლებმა ღიმილით და თავის ქნევით სკამი გამოაცალეს... პანღურ-ნაკრავებმა, იმ დღიდან ასტეხეს ერთი ზარი და ზეიმი, ქვეყანა იღუპება, სომხები გააშავესო“.

ამგვარად „ივერიის" აზრით, ჩვენ იმიტომ ამოვიღეთ ხმა რუს-ქართველთა უაზრო დაკავშირების გამო, რომ ვცდილობდით გამგეობაში შესვლას, ხოლო ამომრჩევლებმა „პან-

ღური ამოგვკრეს“.

„ივერიას“ ვერ წარმოუდგენია კითხვის სხვანაირი განმარტება. არ გვეთანხმებით, იმიტომ რომ გულ-ნატკენი ხართ, „სკამი გამოგაცალესო“. ასე სჯის „ივერია".

ჩვენ ვთხოვთ „ივერიას" დაგვიმტკიცოს: პირველი, რომ ჩვენ გამგეობაში შესვლის სურვილი გვქონდა მეორე, რომ ჩვენი სურვილი შეწყნარებული არ იქმნა და პანღურით გამოგვაგდეს. ხსენებულ კრებაზედ „ცნ. ფურცლის" რედაქციოსაგან ორი კაცი იყო: რედაქტორი ალ. ჯაბადარი, რომელიც, შეიტანა რა საწევრო ფული, – ხუთი წამის შემდეგ შინ გაბრუნდა, და გ. ლასხიშვილი, რომელმაც გამგეობის წევრობაზედ უარი გამოაცხადა, როდესაც სხვებმა, სხვათა შორის, ისიც დაასახელეს. ასე რომ არც ერთს რედაქციის წევრს გამგეობაში შესვლის სურვილი არა ჰქონია, ამომრჩევლებს არც

ერთი არ გაუშავებია ღა ამის გამო არც ერთი არ ყოფილა ნაწყენი.

„ივერია" ამითი არ დაკმაყოფილდა და თავის მკითხველებს თავი იმგვარად დაანახვა, ვითომ შეურაცხყოფილი არის ჩვენი საქციელით (ე. ი. ვითომ ხმა ამოვიღეთ იმიტომ, რომ პირადად გულნატკენნი ვიყავით) და კეთილშობილურ წყრომასაც იჩენს: „კარგად გიცნობთ, ვინცა ბრძანდებით, ზნეობის და სიმართლის მქადაგებელნო. თუ რასმეს გამოელით, გველივით აჭრელდებით, ათას ფრად კანს იცვლით. ხოლო თუ პირში ჩალა გამოგავლესთ და ან კოჭი ალჩუს არ დაგიჯდათ, სისინს მორთავთ ქვეყნის უმადურებაზედო".

ვსთქვათ, ჩვენ მართლაც გვქონდა სურვილი გამგეობაში შესვლისა. ვსთქვათ, მართლაც გაგვაშავეს და არ შეგვიშვეს გამგეობაში. ამ გაშავებით და დამარცხებით, რატომ უნდა „ავჭრელდეთ გველივით", რატომ უნდა გავყიდოთ ჩვენი სინიდისი, ათასფრად კანი რად უნდა ვიცვალოთ? **რა სახარბიელოა** საქველ-მოქმედო დაწესებულების გამგეობაში ყოფნა? რას **გამორჩება** ამ გამგეობიდან ადამიანი? შრომის და შეწუბის მეტი, რა უნდა ჰპოვოს გამგეობის წევრმა?

ყოველივე ეს უნდა ესმოდეს „ივერიას" , ისიც უნდა ესმოდეს მოხუც ქართულ ორგანოს, რომ სიცრუის თქმა არც მის ჭაღარა თმებს შეჰფერის, არც გასაგონად არის სასიამოვნო.

ოცდა ხუთი წლის გამოცდილებას უნდა ესწავლებინა „ივერიისათვის", რომ გარდა ვიწრო პირად ანგარიშებისა, გარდა სინიდისის სიჩლუნგისა და გრძნობათა დახშვისა არის ჭეშმარიტების და სიმართლის სამეფო, რომ გაზეთის მოვალეობაა გამოიყვანოს მკითხველი პირადი ცხოვრების ფარგლი-

დან და არ ჩაჰკლას ადმიანში ყოველივე კეთილშობილი სუ-
ლის მოძრაობა.

განა „ივერიის" ხანგრძლივმა გამოცდილებამ ახალ რე-
დაქციას სხვა არა უანდერძა-რა, გარდა ფუქსავატობისა, უპ-
რინციპობისა და სხვისი გულში არა-საკადრის პოლიციურ ჩა-
ხედვისა?! რას ჰფიქრობდა რედაქცია, როცა სწერდა ამგვარ
სიტყვებს: „გახუნებულნო, მადა-გაღვიძებულნო (!) რადიკა-
ლებო! რით ვერ გაიგეთ, წარვიდნენ დრონი, როცა თქვენს
ცრუ-დემოკრატობას გასავალი ჰქონდაო". რა უნდა ეუქვა ამ
სიტყვებით „ივერია"-ს? ის, რომ ქვეყნის შეჭმა გვინდოდა,

სხვისის გაჭირვებით გვესარგებლნა? თუ ის, რომ ქვეყანას ვატ-
ყუებდით, პირადი ანგარიში გვალაპარაკებდა? ეს უნდა ეთქვა,
თუ კიდევ რამე სხვა?

რა ძნელია, როცა კაცს გზა-კვალი დაებნევა, ხან აქეთ
ეცემა, ხან იქით; იქანცება და იღლება უმიზნო ხეტიალით.
რა ძნელია, როცა კაცს გაცრუებულ იმედების სიმწარე ალა-
პარაკებს! ნუ თუ ეს არის ქართულ უძველეს გაზეთის ნაამა-
გარი და ნაყოფი?!

XXII. ირლანდია [1])

მე-XIX საუკუნეში.

(შესავალი)

ირლანდია პატარა კუნძულია – გარს ზღვა და ოკეანე
არტყია. ამ ქვეყნის ბუნება მეტად ღარიბია. მიწა კართოფი-
ლის მეტს არას იძლევა. არე-მარე ძრიელ მოსაწყენია, სულ
მუდამ ნისლი და ბურუსი ტრიალებს. ძველის დროიდამ აქ
სცხოვრობს ხალხი, კელტების ჩამომავლობისა, რომელსაც
„აირიშებს" ანუ ირლანდიელებს უწოდებენ. ძველ დროში
ირლანდია იყო დამოუკიდებელი სამეფო. მის დამოუკიდებლო-
ბას საშუალო საუკუნოებში ბოლო მოუღო ინგლისმა. ინგ-
ლისმა შემოიერთა ირლანდია, ე. ი. თავის მეფეებს და პარ-
ლამენტს დაუქვემდებარა ეს ქვეყანა. ხოლო პირველხნობით
არ გააუქმა ირლანდიელების საკანონმდებლო კრებული, ე. ი.
პარლამენტი. ასე იყო 1800 წლამდე. ინგლისს და ირლან-
დიას ჰყავდათ საერთო მმართველობა, საერთო აღმასრულებე-
ლი ძალა, ხოლო ამასთან თავ-თავიანთი პარლამენტი ჰქონ-
დათ, ე. ი. იმგვარი დაწესებულებანი, რომელნიც სცემდნენ
სხვა და სხვა კანონებს, ადგილობრივ მოთხოვნილებათა მიხედ-
ვით. ამნაირ წესს ბევრი ინგლისელი არ თანაუგრძნობდა, მათ

უნდოდათ ირლანდიის სრული მორჩილება და ეს თავისუფლე-
ბის მგზავსი სისტემა თვალში არ მოსდიოდათ. ირლანდიის და
ინგლისს შორის ხშირად უთანხმოება ჩამოვარდებოდა ხოლმე.
ამ უთანხმოებამ თვალსაჩინოდ იჩინა თავი ორ შემთხვევაში –

[1]) საჯარო ლექცია წაკითხული ნაძალადევში.

ერთხელ მაშინ, როდესაც ინგლისს და ამერიკას შუა გაიმარ-
თა ომი; მეორედ – როდესაც საფრანგეთმა გამოუცხადა ინგ-
ლისს ომი (1770-I798) ორივე შემთხვევაში ირლანდიის თა-
ნაგრძნობა მიმართული იყო ინგლისის მტრებისაკენ – ამერი-
კელებისაკენ, რომელნიც იბრძოდნენ თავისუფლებისათვის და
ფრანგებისაკენ, რომელნიც იცავდნენ თავიანთ ახლად დაარ-
სებულ რესპუბლიკას და რევოლიუციის პრინციპს. ინგლისი
აიძულებდა ირლანდიელებს ომში გამოსულიყვნენ და ამ გა-
რემოებამ გამოიწვია ხალხის დიდი უკმაყოფილება. ხალხი სხვა-
ნაირადაც იყო შევიწროებული: მთელ თავისს ნაამაგარს მე-
მამულე – ინგლისელებს აძლევდა და თვითონ მშიერ-მწყურვა-
ლე იმყოფებოდა. ამასთან, როგორც კაფოლიკეთა სარწმუ-
ნოებისა, მას არ ჰქონდა უფლება თავისუფალ ლოცვისა და
აღსარებისა. ყველა ამ გარემოებამ ხალხი ააღელვა, ააჯანყა და
ხელში იარაღი ააღებინა. ინგლისელებს და ირლანდიელებს
შუა მოხდა ცხარე შეტაკება. დიდძალი ხალხი დაიხოცა ამ შე-
ტაკებაში, ბევრი სისხლი დაიღვარა. ბოლოს ინგლისელებმა
გაიმარჯვეს. აუარებელი ჯარი ჩააყენეს ირლანდიაში. სამხედ-
რო კანონები და წესი შემოიღეს დი ბოლოს მოუსპეს ირლან-
დიელებს თვითმმართველობის დაწესებულება – პარლამენტი.
ეს მოხდა 1800 წელს.

ამის შემდეგ იწყება ახალი ხანა ირლანდიის ისტორიისა,
ის ხანა, როდესაც პატარა ირლანდიელ ხალხის ტანჯვა გაორ-
კეცდა, როდესაც ამ ტანჯვამ ისე შეაწუხა ხალხი, რომ გადა-
აწყვეტინა: ყოველი ღონისძიება უნდა ვიხმარო, კანონიერი
და უკანონო და შევიმსუბუქოთ მწარე ბედიო. მე-XIX საუ-
კუნის დასაწყისიდამ იწყება ის ხანაც, როდესაც შრომით,
წვალებით და მხნეობით, ირლანდიელებმა დაუდვეს საფუძვე-
ლი ახალ მომავალს. და აი ამას მოგითხრობთ მოკლედ
ჟამად.

1.

როგორც ვსთქვით, 1800 წლამდე, ირლანდიას ჰქონდა
თავისი პარლამენტი, რომელიც კარგათ თუ ავად განაგებდა

ადგილობრივ საქმეებს. ეს პარლამენტი წაართვეს ირლანდიელებს. ამის გარდა, ირლანდიელები სარწმუნოებით კათოლიკეები არიან, მათი რიცხვი მე-19-ს დასაწ. 4-5 მილიონამდე იყო.

ხოლო ამ კათოლიკეთა შორის ცხოვრობდნენ აგრეთვე გადმოსახლებული ინგლისელები, რომელნიც პროტესტანტების სარწმუნოებას ეკუთვნოდნენ. იმ ხანაში ჯერ კიდევ გამწვავებული იყო სა წმუნოებოივი ბრძოლა. ინგლისში, სადაც მხოლოდ უმცირესობა იყო კათოლიკები, სდევნიდნენ მათ, ავიწროებდნენ და არავითარ მოქალაქობრივ და პოლიტიკურ უფლებებს არ აძლევდნენ. თუმცა ირლანდიაში პროტესტანტი-ინგლისელები უმცირესობას შემდგენდნენ (1/7), მაინც ისინი იყვნენ ბატონები. მათი სარწმუნოება და საყდარი სახელმწიფო სარწმუნოებად იყო ცნობილი. საყდრებს დიდძალი მამულები ჰქონდათ და მათ აძლევდნენ ღალას ირლანდიელები. ყოველგვარი უმაღლესი და საშუალო თანამდებობაც სულ ინგლისელ-პროტესტანტების ხელში იყო. კათოლიკებს არამც თუ არ ჰქონდა მოქალაქობრივი და პოლიტიკური უფლოებები, მათ თითქმის ლოცვის უფლებაც ჰქონდათ წართმეული. ამ ნიადაგზედ იბადებოდა ხალხის უკმაყოფილება, მაგრამ ეს კიდევ არაფერი. უნდა ვიცოდეთ, რომ ირლანდიელი ხალხი ქონებრივადაც ძლიერ შევიწროებული იყო. ირლანდიაში დიდი უმრავლესობა, მეტადრე საუკუნის დასაწყისში, მეურნეობას მისდევდა. მაგრამ, საუბედუროდ, გლეხებს ერთი მტკაველი მიწა არ ჰქონიათ საკუთრებად. მთელი ტერიტრიოა ინგლისელ დიდ-მემამულეებს ეჭირათ (ლენდლორდებს, როგორც იქ ძახიან). ამ მიწას პატარ-პატარა ნაჭრებათ იჯარით აძლევდნენ გლეხებს. ხოლო მემამულეებს ჰქონდათ უფლება მიწიდამ გლეხების აყრისა. ასე რომ ხშირად მოხდებოდა ხოლმე, რომ ცხოვრობს ირლანდიელი გლეხი ათის, ოცის წლის განმავლობაში მიწაზედ, აშენებს სახლს, იჩენს საქონელს და სმვა. ვნახოთ, არ მოუვიდა თვალში მემამულეს. მემამულე ითხოვს გლეხს, ჰყრის მიწიდამ და ხელ-ცარიელს ისტუმრებს. ამგვარმა ეკონომიურმა დამოკიდებულებამ, რომელიც თვითნებობაზედ იყო აშენებული, მეტად შეაწუხა ხალხი, გააღარიბა, გააღატაკა იგი, მწარე ბედი აწყევლინა. მიუმატეთ ამას ისიც, რომ ინგლისელ-პროტესტანტ-გლეხები, რომელთ რიცხვი, მართალია, პატარა იყო, შედარებით კარგათ სცხოვრობდნენ. მემამულეს არ ჰქონდა უფლება მათის აყრისა მიწიდამ. ამ გარემოებამ უფრო გაამწვავა საქმე. უსამართლობა, მიდგომილობა და გულქვავობა ირლანდიელებისადმი უფრო თვალ-

საჩინოდ ჩნდა. მე-19 საუკ. ირლანდიის ისტორია ამ უსამართ-
ლობასთან ბრძოლაა და ამ უსამართლობის გასწორებაა. და
იმ თავითვე მათი სურვილი იყო 1) დამოუკიდებელი პარლა-
მენტის აღდგენა, 2) სარწმუნოებრივი თავისუფლება და აქედამ
წარმომდგარი მოქალაქობრივი თავისუფლება და 3) გლეხკა-
ცების მიწაზედ დამყარება და გაუქმება მემამულეების თვით-
ნებობისა. ამ სამ უმთავრეს საჭიროებიდამ წარმოსდგა უმთავრე-
სი სამი მოძრაობა, პარტია, რომელიც საუკუნის განმავლო-
ბაში მოქმედებდა ირლანდიაში და ინგლისში მრავალ ტან-
ჯულ ხალხის განთავისუფლებისათვის. პირველ პარტიას ჰქონ-
და უფრო **პოლიტიკური** ხასიათი: მისი უმთავრესი სურვილი
იყო ეროვნულ დამოუკიდებლობის აღდგენა; მეორე პარტია
სარწმუნოებრივი თავისუფლებისათვის იბრძოდა; მესამე პარტიის
მიზანი იყო **სოციალური** კითხვა, – ხალხის ეკონომიური განთა-
ვისუფლება. საყურადღებოა, რომ ამ პარტიებს ბევრი რამ ჰქონ-
დათ საერთო და ამიტომ ისინი ხშირად შეთანხმებულად მოქ-
მედებდნენ. ყველას ესმოდა, რომ უმთავრესი კითხვა, ურომ-
ლოდაც დანარჩენ კითხვების გადაწყვეტა შეუძლებელი იყო,
ეროვნულ დამოუკიდებლობის კითხვა იყო. ეროვნულ და-
მოუკიდებლობაზედ იყო დაფუძნებული სარწმუნოებრივი, მო-
ქალაქობრივი და სოციალური თავისუფლება ირლანდიელ
ხალხისა. ინგლისი ჰბატონობდა ირლანდიაში და, რასაკვირვე-
ლია, ყოველთვის ხელს აძლევდა ინგლისის საყდარს, ინგლისელ
მღვდლებს და ინგლისელ დიდ-მემამულეებს – ლენდლორდებს.
ინგლისის პროტესტანტ-საყდრის უპირატესობის მოსპობა
ძნელი იყო, ინგლისელ ლენდ-ლორდების ალაგმა შეუძლებე-
ლი, სანამ ინგლისი ჰბატონობდა **პოლიტიკურად** ირლანდია-
ში. ამ მოსაზრებით აიხსნება, რომ ყველა პარტიები ერთნაი-
რად თანაუგრძნობდნენ ირლანდიის ეროვნულ დამოუკიდებ-
ლობას და აგრეთვე ამითი აიხსნება, რომ ყველა ირლანდიელ
პარტიებს **ეროვნული** ხასიათი ჰქონდათ.

2.

უნდა ვსთქვათ, რომ, როდესაც ირლანდიის პალატა ჯერ
კიდევ ძალაში იყო, 1780 წ. მან გაიყვანა ერთი ღირსშესა-
ნიშნავი კანონი კათოლიკეთა შესახებ. ირლანდიელ გლეხებს
(კათოლიკებს) მიენიჭა საარჩევნო უფლება. ხოლო, როდესაც

ირლანდიის პარლამენტი მოისპო, და ირლანდია დაექვემდება-

რა ინგლისს, ინგლისის კანონ-მდებლობა შეიქმნა სავალდებულო ირლანდიელებისათვის. ინგლისში კი ამ ხანში კათოლიკებს არავითარი პოლიტიკური უფლებები არა ჰქონდათ. ასე რომ ირლანდიელი კათოლიკები პოტიკურის მხრივ მაღლა იდგნენ ინგლისელ კათოლიკებზე. ინგლისმა, რასაკვირველია, ეს უპირატესობაც წაართვა ირლანდიელებს და ერთ დონეზედ დააყენა ინგლისელ-კათოლიკებთან. ამ გარემოებათა ძალდატანებით, ირლანდიელებმა თავისი მოქმედება გადაიტანეს ინგლისში, ინგლისის პარლამენტში და იქ შეუერთდნენ ინგლისელ ლიბერალებს, რომელნიც თანაუგრძნობდნენ კათოლიკეთა განთავისუფლებას. ცნობილი ირნანდიელი წარმომადგენელი, გრატანი 1813 წ-ამ მოყოლებული სულ მუდამ აყენებს კათოლიკეთა კითხვას ინგლისის პარლამენტის საყურადღებოდ. პირველ ხანში ვერას გახდა. ყურს არავინ უგდებდა. ინგლისელი მეფე გიორგი VI-ე წინააღმდეგი იყო სარწმუნოებრივ თავისუფლებისა. ლორდების პალატაც ხომ მტერი იყო ამ კითხვისა. ამ ხანში ირლანდიაში მეტად გამწვავდა კათოლიკეთა მდგომარეობა. ამან გამოიწვია (1823 წ.) „კათოლიკეთა ასოციაციის“ (საზოგადოების) დაფუძნება ირლანდიაში, რომელიც თავისუფლების სახელით ითხოვდა კათოლიკეთა განთავისუფლებას. მთავრობამ გააუქმა ეს საზოგადოება. ბოლოს საქმე მაინც პარლამენტამდის მივიდა და ჯერ მინისტრ კანინგის, მერე პილის დახმარებით, 1829 წ. გამოსცეს კანონი, რომლის ძალით ზოგიერთი განსაკუთრებული ზომები კათოლიკეთა წინააღმდეგ მოსპობილ იქმნენ. მაგრამ რადგან ამ ახალი კანონის ძალით არ ირღვეოდა არსებული უთანასწორობა, ამისათვის, რასაკვირველია, ირლანდიელი ხალხი არ იყო დაკმაყოფილებული და მეტის მხნეობით შეუდგა ბრძოლას. საქმე ის არის, რომ ირლანდიელებს მაინც არა ჰქონდათ მოხელეების თანამდებობის უფლებები (მომრიგებელ-მოსამართლეზისა, მსაჯულებისა და ადმინისტრატიულ მოხელეებისა. არც ხარჯის გადახდა ინგლისელ საყდრების და ეკლესიის შესანახად შეუმცირეს მათ. და ამასთან ხალხი მეტის-მეტად გაღარიბებული და წელში მოწყვეტილი იყო. (რიცხვით ძალიან იმატა, ასე რომ 1826 წ. ირლანდიაში 6,800,000 ითვლებოდა, ხოლო 1836 წ. 8,670,000). ამოდენა ხალხი სხვის მიწებზე

სცხოვრობდა. ირლანდიის ტერიტორია საშინლად დაიკუწა პატარ-პატარა ნაჭრებათ და გლეხებს მიწაზედ სამუდამო ყოფნის უფლება არა ჰქონდათ. იმ დროინდელი მწერლები შემაძრწუნებელ სურათს გვაძლევენ ხალხის ცხოვრებისას. ირლანდიელები მიწაში ჩამძვრალ უფანჯრო ქოხებში სცხოვრობდნენ.

მათ პირდაპირ მიწაზედ ეძინათ ძროხებთან და ღორებთან ერთად. საკვებად მარტო კარტოფილი ჰქონდათ და სასმელად – წყალი. ეს კიდევ არაფერი. შესაფარი მაინც ჰქონდა ხალხს. უბედურება ის იყო, როდესაც ინგლისელი მებატონე ითხოვდა ხოლმე თავის მოიჯარადრეებს დასტოვებდა მათ ულუკმაპუროდ, უსახსროდ, უმიწა-წყლოდ. ხალხის გაჭირვება წარმოუდგენელი იყო, მას სიკვდილი ერჩივნა და მალე აირჩია კიდევაც ეს გზა. ხოლო სანამ იქამდე მივიდოდა, სხვანაირადაც ბევრი ეცადა თავისი ბედი შეემსუბუქებინა.

ამ ხანაში პატრიოტები, კათოლიკები და რევოლიუციონერები შეერთებულად მოქმედებდნენ და მათი წინამძღოლი, გამოჩენილი ირლანდიელი, ო'ოკონელი სამივე პარტიის ინტერესებს იცავდა, რადგანაც თვით ცხოვრებაში ერთი მეორესთან ვიწროდ იყვნენ დაკავშირებულნი. თავისუფლების და თანასწორობის ინტერესი მოითხოვდა – გაუქმებას პროტესტანტების უპირატესობისას, მათთვის ხარკის ძლევას, გაუქმებას მოქალაქობრივ უთანასწორობისას, ირლანდიელების არ შეწყნარებას სამოქალაქო ასპარეზზე, გაუქმებას ინგლისელ-მემამულების ყოვლად-შემძლებლობისას. პატრიოტული, სარწმუნოებრივი და ქონებრივი ინტერესი ერთი-ერთმანეთში გადაწნული ერთ დროშის ქვეშ იწვევდა ყველა მათ, ვისაც თავისუფლების ცეცხლი უღვიოდა გულში და ვისაც ჯერ კიდევ სიცოცხლე არ მოჰბეზრებოდა. ო'ოკონელმა შეაერთა სხვა-დასხვა ჯგუფები და უთხრა, ხალხის ინტერესი მოითხოვს შეთანხმებულ მოქმედებასო. ირლანდიაში გამოცოცხლდა სიცოცხლე, ხალხი აღელვდა, შეინძრა, შეირყა. ათი ათასობით იყრიდა თავს ქალაქების მოედნებზე, ბჭობდა და ემუქრებოდა თავის მტარვალებს. მთავრობაც, თავის მხრით, რასაკვირველია, გულ-ხელ დაკრეფილი არ იმყოფებოდა. ჯარის და მოხელემ ბის შემწეობით ეგრედ წოდებულ „წესს" იცავდა. დააპატიმრა მოძრაობის მოთავე ო'ოკონელი და აგონებდა ხალხს, რომ ძალა ჩემ ხელშია და ამიტომ იმას ვიზამ, რაცა მსურსო.

3.

მაგრამ ყველაფერს აქვს თავისი საზღვარი. ირლანდიელების მოთმინებასაც მოეღო ბოლო. თითქმის ორმოცი წლის განმავლობაში ცდილობდნენ ისინი კანონს არ გადასცილებოდნენ და კანონიერის საშუალებით რაიმე ღონე ეღონათ და თავისი ტამჯვა შეემსუბუქებინათ. ბოლოს იმედები გაუცრუვდათ და სხვა გზა ირჩიეს. მართალია, ხალხის უმრავლესობა მშვიდობიანობის დარღვევას ვერ ჰბედავდა, ის ემორჩილებოდა

ჯერ კიდევ ო'ოკონელს და კათოლიკეთა მღვდლებს, რომელ-
ნიც წინააღმდეგნი იყვნენ არეულობისა და აჯანყებისა. მაგ-
რამ ამ ხალხში, იმის ერთ ნაწილში მაინც დაიბადა ჯგუფი,
რომლის სურვილი იყო იარაღით ბრძოლა. ამ ჯგუფის მიმარ-
თულება იყო რევოლუციონურ-დემოკრატული, ხოლო მათ
დემოკრატიზმს წმინდა ეროვნული ხასიათი ჰქონდა, რადგან
ისინი ფიქრობდნენ და ზრუნავდნენ იარაღის საშუალებით
ეროვნულ დამოუკიდებლობის აღდგენას: ეს იყო იმისთანა მი-
უცილებელი პირობა, ურომლოდაც ხალხის გაჭირვების, სო-
ციალურ კითხვის გადიწყვეტა შეუძლებელი იყო. იმ ჯგუფს
დაერქვა „ახალგაზრდა ირლანდიის" სახელი. ახალგაზდა ირ-
ლანდიელებმა გასწყვიტეს ყოველი კავშირი ო'ოკონელთან და
კათოლიკეთა მღვდლებთან, რადგან ამათ არ ჰსურდათ კანო-
ნის დარღვევა და ქუჩაში იარაღის გამოტანა. ახალგაზდა ირ-
ლანდიელების აზრით მოქმედების ტაქტიკა უნდა შეცვლილი-
ყო და მთავრობის ძალმომრეობაზედ ძალმომრეობით უნდო-
დათ გაეცათ პასუხი.

ამ გარემოებამ ცოტა არ იყოს ჩააფიქრა ინგლისის მთავ-
რობა. პარლამენტში აღიძრა კითხვა, ირლანდიელებს უნდა
მივაქციოთ ყურადღება, თორემ აჯანყებას აპირებენო. მინისტრ
პილმა შეიტანა კანონ-პროექტი ირლანდიელებისთვის სასუ-
ლიერო სემინარიის დაარსების შესახებ და განსაკუთრებულ
კომისიის დაფუძნების შესახებ. ამ კომისიას დაევალა გლეხე-
ბის მდგომარეობის შესწავლა და გააუმჯობესობა მოიჯარად-
რეთა ცხოვრებისა. ეს იყო 1845 წელს. მაგრამ ამავე ხანში
ირლანდიას საშინელი უბედურება ეწვია. კარტოფილს, ერთად-
ერთ ხალხის საკვებს, რაღაც ავადმყოფობა გაუჩნდა და მას
მოჰყვა საერთო შემაძრწუნებელი შიმშილობა. ხალხი ქალაქებს

მიაწყდა, მათხოვრობა დაიწყო, ბალახით და ნაპოვნი ქერქე-
ბით ირჩენდა თავს. გაჩნდა საშინელი ავადმყოფობა, რომელ-
მაც მუსრი გაავლო ხალხს, მეტადრე წვრილფეხობას. გაივსო
ქუჩები და შარა-გზები ადამიანთა მძოვრებით, რომელთაც ეხ-
ვევოდნენ გათამამებული ძერა-ყორნები და ტყიდან გამოსული
ნადირი. თითქოს აივსო და გაიჟღენთა დედა-მიწა ცრემლებით
და დაღვრილ სისხლით [1]). ვინც ამ უბედურებას გადარჩა, ფი-
ცი მისცა თავის თავს სამაგიეროდ გადაეხადა ამ ტანჯვისა და
მწუხარების ჩამდენთათვის და ამ დროიდან დაიწყო ირლან-
დიაში და თვით ინგლიასშიაც განუწყვეტელი არეულობა.

როგორც ვსთქვით, მთავრობამ მოისურვა ზოგიერთ რე-
ფორმის შემოღება. შიმშილობამ უფრო დააშურა ეს საქმე.
ინგლისის პარლამენტში იჩინა თავი შესანიშნავმა სახელმწიფო

მოღვაწემ პილმა, იმ პილმა, რომელიც წინადაც ზრუნავდა ირ-
ლანდიაში რეფორმების შემოღების შესახებ, ხოლო რომელ-
საც, სანამ დიდი გაჭირება არ დაადგათ, არ უჯერებდნენ და
ახლაც, თუმცა პარლამენტში საკამათოდ მიიღეს ამ მინისტრის
წინადადება, მაგრამ ყოველივე ამას დიდი შედეგი არ მოჰყვა. პილს
უნდოდა, კათოლიკეთა სარწმუნოების გლეხები იმ მდგო-
მარეობაში ჩაეყენებინა, რა მდგომარეობაშიაც იყვნენ გადმო-
სახლებული პროტესტანტ-ინგლისელები. (როგორც წინადა
ვსთქვით, მებატონეებს ნება არა ჰქონდათ ბინიდან აეყარათ.
ეს უკანასკნელები). თუმცა დეპუტატთა პალატაში ბევრნი თა-
ნაუგრძნობდნენ ამას, ლორდების პალატაში ვერ გავიდა ეს
წინადადება. (1845 წ.) შემდეგ ამისა, პილმა კიდევ ორი წი-
ნადადება შეიტანა პალატაში: მოიჯარადრეების მდგომარეო-
ბის შემსუბუქებაზე და დავალიანებულ მამულების გაყიდვაზე.
იმას იმედი ჰქონდა, რომ მემამულე, რომელსაც ვალი არ შე-
აწუხებს, უფრო სინიდისიერად და ადამიანურად მოეკიდება
თავის მოიჯარადრეებს. იმ ჟამად დავალიანებული მემამულე-
ები ბევრნი იყვნენ ირლანდიაში. მდიდრულად სცხოვრობდნენ
და რაც აკლდებოდათ, ართმევდნენ მიწის მომუშავეთ. პალა-
ტაში ეს მეორე წინადადება გავიდა, პირველი კი შეაფერხეს.
(1848 წ.) ყველა ამითი საქმე არ გასწორდა. ახალი მემამუ-

---

[1]) ამ ხანაში მცხოვრებთა რიცხვმა ძალიან იკლო, 8,170,000-დან
1851 წ. დაიწია 6,500,000. 1781 წ. – 5,100,000.

ლეები (ესენი ყოველთვის (ინგლისეიბ ლორდები იყვნენ) –
არა დავალიანებულები, ძველად დამყარებულ წესის ძალით
ითხოვდნენ ბინიდან გლეხებს და არა ნაკლებ აწუხებდნენ მათ.
ასე რომ მთავრობამ ვერ შეუმსუბუქა ხალხს მძიმე უღელი და
ამ ხალხის დრტვინვა და უკმაყოფილება დღითი-დღე იზრდე-
ბოდა. გაჩნდა ყაჩაღობა, მემამულეების მკვლელობა. „ახალ-
გაზდა ირლანდიელთა“ პარტიამ კიდევ ამოჰყო თავი. დაარს-
დნენ ფარული საზოგადოებები, კლუბები. ყველა აღელვდა,
ფეხზე წამოდგა, წელში გაიშალა. ამ ხანაში საფრანგეთშიაც
რევოლუცია მოხდა (48 წ.) ირლანდიელებმა ადრესი გაუგ-
ზავნეს საფრანგეთის მაშინდელ დროებით მმართველობას, და-
ხმარება სთხოვეს. საქმე ძალიან გამწვავდა. მთავრობამ განსა-
კუთრებული ზომები მიიღო, აუარებელი ჯარი ჩააყენა ირლან-
დიაში. 118 მოთავე კაცი დააპატიმრა და დაქსაქსა. ჯარს
ხალხთან მოუვიდა შეტაკება. ბოლოს, რასაკვირველია, ფიზი-
კურმა ძალამ სძლია და დროებით მოსპო მოძრაობა. დადუმ-

და ხალხი და ქედი მოიხარა. თითქოს დამშვიდებულად, წყნარად დაიწყო ცხოვრებამ მიმდინარეობა. ხალხი იკრებდა ძალას, სულს იბრუნებდა. ხალხის გულში ნელა-ნელა, შეუმჩნევლად მწიფდებოდა ახალი აზრი და გრძნობა... მოისვენა, შემოიკრიბა ძალ-ღონე და კიდევ აჯანყდა, ზღვასავით აღელდა და აღშფოთდა; და ხელმეორედ ბევრი კაცი და ქალი იმსხვერპლა თავის ტალღებში.

4.

შიმშილობის დროს დიდძალი ხალხი გადასახლდა ამერიკაში. (1848). ირლანდიაში, როგორცა ვსთქვით, აჯანყება მოხდა და ამ აჯანყებამაც აუარებელი კაცი და ქალი იმსხვერპლა. პირველის შეხედვით, ყველა ამ ამბების შემდეგ, თითქოს მოისპო პოლიტიკური სიცოცხლე ირლანდიაში, თითქოს შესდგა ცხოვრების მიმდინარეობა. ხოლო ეს იყო დროებითი. ახალმა მოძრაობამ თავდაპირველად იჩინა თავი ამერიკაში. იქ, გადასახლებულ ირლანდიელთა წრეებში, შესდგა ფარული ნაციონალური საზოგადოებები, რომელთაც „ფენიენებს“ ეძახოდნენ. ამ ფენიენებს, ფარულ (რევოლუციონურ) საზოგადოებებს სურვილი ჰქონდათ გაენთავისუფლებინათ ირლანდია ინგლისის მონობისაგან, დაემყარებინათ რესპუბლიკა და შემ-

დეგ ამისა მიწის-მფლობელობის და იჯარადრობის კითხვა გადაეწყვიტათ. ფენომენებს ამერიკელების იმედი ჰქონდათ, აგრეთვე იმ ირლანდიელ ჯარის კაცებისა, რომელნიც ამერიკის განთავისუფლების დროს ინგლისელების წინააღმდეგ იბრძოდნენ. დიდძალი ირლანდიელი ინგლისის ჯარშიაც იყო. მათიც იმედი ჰქონდათ „ფენიენებს". ამგვარ განზრახვებით წამოვიდნენ ისინი ირლანდიაში და ინგლისში. ირლანდიაში დააარსეს ფარული გაზეთი და მოჰფინეს სხვა-და-სხვა მოწოდებებით მთელი ქვეყანა. მაგრამ არც მათ გაუღიმა ბედმა. ფარული სტამბა აღმოაჩინეს, ჟურნალი დაიჭირეს და მასთან – საქმის მოთავენიც, რომელნიც სასიკვდილოთ იყვნენ დასჯილნი. ამის შემდეგ „ფენიენები" კიდევ ერთხელ ეცადნენ ფეხზე აეყენებინათ მთელი ხალხი, დაურიგეს იარაღი, აფიცრები და ღენერლები ჯარების დამზადებას შეუდგნენ. მაგრამ აქაც ვერა გაიტანეს რა: მთავრობამ დაასწრო და მოსპო აჯანყება. იქ რომ ვეღარა გააწყეს რა, ინგლისში გასწიეს, სადაც არსენალის და თოფ-იარაღის ხელში ჩაგდებას აპირებდნენ. ამ საქმის სათავეში ერთი ამერიკელი ღენერალი იდგა, სახელად კელი. კელი დაიჭირეს, ხოლო მას მეგობრები მიეშველნენ, გაანთავისუფ-

ლეს და გაისტუმრეს ამერიკაში. ბევრი დაისაჯა სასიკვდილოდ ამ საქმეში გარევისათვის.

იტყვიან, რა რჯიდათ, ძლიერ მტერთან ბრძოლა შეუძ-ლებელია. ძალა აღმართსა ხნავს და ირლანდიელებსაც მორ-ჩილების მეტი არა დარჩენოდათ რაო. მაგრამ ირლანდიელებს თავისუფლება უყვარდათ. იმათ იცოდნენ, რომ თუ ეხლა არა, მომავალში მაინც თავისას გაიტანენ. და მაშინ რომ სიმხდალე გამოეჩინათ, ამ მომავალის იმედი არ ექნებოდათ. რას იზამთ, როდესაც ბოროტებას და ძალმომრეობას დიდი სამეფო შე-მოუფარგლავს ამ ქვეყანაში. ადამიანის მსხვერპლი ყოფილა საჭირო ამ ბოროტებასთან საბრძოლველად; მოდით და გაამ-ტყუნეთ ირლანდიელები!

ყველა ამ ამბებმა ხელახლად მიიზიდეს მთავრობის ყურად-ღება. როგორც 1845 წელში პილი გამოვიდა ირლანდიის მომხრეთ ლონდონის პარლამენტში, ისე ეხლა 1869-ში, გამო-ჩენილი გლადსტონი გამოდგა ირლანდიელების მოსარჩლედ. გლადსტონს თავისი აზრები ჰქონდა. ის არ თანაუგრძნობდა რევოლუციას, მხოლოდ ჰფიქრობდა, რომ ხალხის აჯანყება

(რევოლუცია) უმიზეზოდ არ იბადება ხოლმე. იგი ხალხის გა-ჭირვების მთქმელია. და აი რევოლუციის ასაცილებლად, ჰფიქ-რობდა გლადსტონი, საჭიროა ხალხის კეთილდღეობაზედ ზრუნ-ვა ამ მოსაზრებით 1869-71 წლ. განმავლობაში გლად-სტონს შეაქვს პარლამენტში შემდეგი კანონ-პროექტები, რო-მელნიც დამტკიცებული ყვნენ. 1) ინგლისის ეკლესიას, პრო-ტესტანტიზმს წაერთვა ირლანდიაში სახელმწიფო რჯულის ხა-სიათი. ხალხი განთავისუფლდა ხარჯისაგან, რომელსაც აძლევ-და ამ ეკლესიას. ეკლესიის სიმდიდრე სამად გაიყო – ერთი ნა-წილი მასვე დარჩა, მეორე ნაწილი კათოლიკეთა ეკლესიას მი-ეცა, მესამე ნაწილი საქველმოქმედო დაწესებულებებს მოხმარ-დათ – თავშესაფარს, სამკურნალოს და სხვ. ამგვარად, მოისპო ოფიციალური უთანასწორობა ეკკლესიებისა და ყოველივე ის, რაც მასთან იყო დამოკიდებული. 2) გლეხთა მდგომარეობის გასაუმჯოსებლად I870 წ. დამტკიცდა კანონი (Land act), რომლის ძალით მემამულეს უნდა ეზღო იმ შემთხვევაში, თუ დაითხოვდა თავის მოიჯარადრეს. ზოგიერთ პროვინციებში მე-მამულეთ აეკრძალათ მოიჯარადრეების დათხოვნა. მაგრამ უნ-და ვსთქვათ, რომ მემამულეები (ლენდ-ლორდები) მანც სარ-გებლობდნენ ძველის უფლებით და ხშირად იმგვარ ხელშეკ-რულებას სდებდნენ მოიჯარადრეებთან, რომ, მიუხედავად ახალ კანონისა, აიძულებდნენ მათ მიწიდამ აყრას და საზღაურსაც არას აძლევდნენ.

5.

ირლანდიაში ხალხი ძალიან მოიღალა. ამ ხანაში იქ ჩვენ აღარ ვხედავთ მტკიცე პოლიტიკურ ორგანიზაციას. უკმაყოფილება, რასაკვირველია, ჰსუფევდა და ეს აქა-იქ ლენდ-ლორდების მკვლელობაში, მათი საქონლის გაწყვეტაში ისახებოდა. ამ საქმეებში ძლიერ დახელოვნებუ.ლები იყვნენ, ეგრედ წოდებ/ულები, „თეთრი ბიჭები" (whitboys) ან კიდევ „მთვარის ბიჭები“ (moon-lihters) (ასე ეძახდნენ, რადგან ესენი ღამე დაფარფაშებდნენ და რასაც მოასწრობდნენ, აქრობდნენ). მაგრამ ყველა ამას უფრო შემთხვევითი ხასიათი ჰქონდა, ორგანიზაციისა და განსაზღვრულ პოლიტიკური მიზანისა არა ეტყობოდა რა. რაც რამ იყო გამოჩენილი ირლანდიაში, ინგლისში გაემგზავრა სამოქმედოთ. ლონდონის პარლამენტში

შესდგა ირლანდიელთა ახალი პარტია, რომელსაც უწოდებდნენ „ხომ რიულის" (Home rule) პარტიის სახელს. ამ პარტიის მიზანი იყო მოპოვება ირლანდიისათვის პარლამენტისა და დამოუკიდებელ თვითმართველობისა. პოლიტიკურ სრულ თავისუფლებას ისინი აღარ ეძებდნენ.

პარტიის წინამძღოლი ყოვლად შესანიშნავი პარნელი იყო. პარნელი ინგლისელი იყო ჩამომავლობით, პროტესტანტის სარწმუნოებისა. ის სცხოვრობდა ირლანდიაში, თავის თვალით ნახა ამ ქვეყნის უბედურება. აი მთელი თავისი სიცოცხლე და ქონება ირლანდიელების საქმეს შესწირა. ირლანდიელები ლონდონის პარლამენტში, რასაკვირველია, უმცირესობას შეადგენდნენ. ბევრს სცდილობდნენ, მაგრამ ყურს ცოტას უგდებდნენ. შემდეგ მოიგონეს ერთი ხერხი, რომელსაც ობსტრუქციას ეძახიან. სხვა-და-სხვა ხერხით უშლიდნენ ინგლისელებს საქმეების წარმოებას. განგებ ბევრს ლაპარაკობდნენ, აჭიანურებდნენ საჩქარო საქმეებს, ერთის სიტყვით, აფერხებდნენ პარლამენტის მოქმედებას. დეპუტატებს, ჩვეულების ძალით, განუსაზღვრელ ლაპარაკის უფლება ჰქონდათ. სანამ არ გაათავებდნენ, მათი გაჩერება არ შეიძლებოდა .ერთი სხდომა თურმე ოთხშაბათიდან მოყოლებული ხუთშაბათის ორ საათამდე გაგრძელებულა. ამგვარ სიშუალებით პირნელმა მიიზიდა თავისკენ ლონდონის პარლამენტის ყურადღება.

უნდა ვსთქვათ, რომ ლონდონში მყოფ ამ პარტიას ვიწრო კავშირი ჰქონდა ირლანდიასთან და ამერიკელ ირლანდიელებთან. ირლანდიაში, დევეტის მეოხებით (დევიტი იყო რევოლუციონერი „ფენიენი" ბევრჯელ დასჯილი) დაარსდა ერთ-

გვარი საზოგადოება, რომელსაც მიზნად ჰქონდა გლეხების მფარველობა და დაცვა (Land league). ამ საზოგიდოებამ შეიმუშავა შესაფერი პროგრამა: 1) მუდმივი იჯარადრობა; სანამ გლეხი ღალას იხდის, მისი აყრა მიწიდამ შეუძლებელია; 2) თავისუფალი ყიდვის უფლება (fre sale); 3) ყველასთვის თანაბრივი ღალა და საზღვარი, რომელსაც არ უნდა გადასცილდეს ამ ღალის ფასი. პარნელმა მხარი მისცა ამ საზოგადოებას, ურჩევდა მიწიდამ აყრილ გლეხებს, თავის ნებით ნუ დანებდებითო. საზოგადოების წევრებს – გლეხებს აეკრძალათ დათხოვნილ და აყრილ მოიჯარადრების ადგილები დაეჭირათ, – პარნელმა ძალიან გაამხნევა ირლანდიელები. წივიდა ამერიკაში

და იქ ერთ მილიონამდე ფული შეაგროვა. ამრიგად „ხომ რიულის" პარტია სამ ძალისაგან შესდგებოდა – ირლანდიელ გლეხებისაგან, ირლანდიელ დეპუტატებისაგან და ირლანდიელ ამერიკელებისასაგან. 1879 წელს „პარტიის" ორგანიზაცია დასრულდა და მან მოქმედება დაიწყო.

ლადსტონის მინისტრობის დროს (1880–95) სცდილობდნენ როგორმე დაეშოშმინებიათ ირლანდიელები. გლადსტონმა შეიტანა პარლამენტში წინადადება: მიეცეს საზღაური ყოველ მიწიდამ აყრილ მოიჯარადრესო. ამ საზღაურის დასაფასებლათ უნდა დაარსებულიყო განსაკუთრებული კომისია. მაგრამ ირლანდიელ დეპუტატებს არ აკმაყოფილებდა ეს. მათ რადიკალური ცვლილების სურვილი ჰქონდათ. მათი მიზანი იყო – ლენდ-ლორდიზმის (ე. ი. დიდ მამულის მფლობელობის) გაუქმება და ირლანდიის ეროვნული დამოუკიდებლობის აღდგენა. ამ თავის მიზანს ისინი არ სცილდებოდნენ და დიდად ამხნევებდნენ ირლანდიაში დაარსებულ „გლეხ-კაცთა დაცვის საზოგადოების" წევრებს. და ესენიც, წაქეზებულები, მეტს მხნეობას და გამბედაობას იჩენდნენ. საქმე ისე დააყენეს, რომ ვინც ზემოხსენებულ „საზოგადოების" (ლიგის) წევრად არ ითვლებოდა, მას ყოველგვარ საშუალებით სდევნიდნენ; ის კაცი მოსამსახურეს ვერ დაიჭერდა, ვერც მუშა კაცს, მედუქნეები მას არაფერს მიჰყიდდნენ ხოლმე (ბოიკოტაჟი). ამასთან ავაზაკობა და მკვლელობა ხელახლად გაჩაღდა. ისე გაუჭირეს საქმე ლორდებს, რომ აიძულეს 105 კაცს მთავრობის დახმარება ეთხოვნათ. მთავრობამაც, რასაკვირველია, მათ მხარი მისცა და კიდევ გამეორდა ის, რაც ასე ხშირად მომხდარა ამ ბედკრულ ქვეყანაში: დატუსაღება, ხალხის გაღარიბება, სისხლის ღვრა და სხვ...

ინგლისელები დაუფიქრდნენ ამ გარემოებას. პარლამენტის ყურადღება ხელმეორედ ირლანდიისაკენ იყო მიქცეული.

ყველა ამას კიდევ ერთი კანონი მოჰყვა, რომელიც ლონდონის პარლამენტში იყო შეტანილი გასარკვევად. 1) მოიჯარადრეებს ეძლეოდათ უფლება თვითონ დაედგინათ საიჯარადრო ქირა 15 წლის განმავლობაში. 2) ჰპირდებოდნენ აგრეთვე დახმარებას მიწის გამოყიდვის საქმეში. – ირლანდიელები არც ამითი კმაყოფილდებოდნენ და ამბობდნენ – **ერთად ერთი ხსნა ირლანდიისა, იმის ეროვნულ განთავისუფლებაშია. სანამ**

ინგლისის თვალს არ მოვშოდებით, ჩვენ შინაურ საქმეებს ვერ მოვარიგებთო. „იჯარადრობა უნდა მოისპოს ძირიან-ფესვიანად, იძახდა პარნელი!" სანამ მთავრობა „ტერორიზმს", დაშინების სისტემას თავს არ დაანებებს, ნუ გადავიხდით სახელმწიფო ხარჯს. ჩვენ უნდა მოგვენიჭოს ჩვენი წართმეული უფლებებიო.

7.

ინგლისის გონიერ ნაწილს ესმოდა, რომ ირლანდიელების დაკმაყოფილება იყო საჭირო. ირლანდიელების თავგანწირულება იზრდებოდა. თვით ინგლისის მშვიდობიანობა მოითხოვდა პოლიტიკის შეცვლას. აი სწორედ ამ ხანაში გამოიჩინა გლადსტონმა სულდიდობა, გამჭრიახობა და გაბედულება. უთხრა ირლანდიელებს, შეუერთდით ინგლისელ ლიბერალებს და პარლამენტში გავიმარჯვებთ და გავიყვანთ „ჰომრიულ "-ის, ეროვნულ თვით-მმართველობის საკითხსაო. როდესაც ეს შეერთება ირლანდიელებისა და ლიბერალებისა მოხდა, ინგლისის კონსერვატულ ნიწილს თავზარი დაეცა. საშინლად აღელდნენ და აღშფოთდნენ. მათ მხარი მისცეს ირლანდიაში მყოფ ინგლისელებმაც, რომელთაც ჭირსავით ეშინოდათ ირლანდიის დამოუკიდებლობისა. და აი 1886 წელს ლონდონის პარლამენტში მოხდა გაცხარებული შეტაკება ამ ორ ბანაკთა შორის. საუბედუროდ, ირლანდიის ეროვნულ დამოუკიდებლობის მომხრე 311 კაცი აღმოჩნდა, ხოლო წინააღმდეგი 341, ე. ი. 30 ხმამ გადასწყვიტა ეს უდიდესი საისტორიო საკითხი. 30 თანამგრძნობი იყო საჭირო ირლანდიის დასაკმაყოფილებლად და ხანგრძლის ბრძოლის შემდეგ დასასვენებლად. მოხდა სხვანაირად და ირლანდიის კითხვა კიდევ ერთხელ მომავალს გადაეცა.

რას ვხედავთ ჩვენ ამ დროში თვით ინგლისში? რა ცვლილება ხდება იმის პოლიტიკურ საქმეებში? – ამ ხანაში, ირლანდიელების მეოხებით, ინგლისში იბადება სრულიად ახალი

მოძრაობა. საქმე ის არის, რომ ინგლისის დიდი სახელმწიფო სხვა-და-სხვა ნაწილებისაგან შესდგებოდა. ირლინდიის გარდა, მასში შედიოდა შოტლანდია, გალის ქვეყანა და აუარებელი ახალშენები. ამ ქვეყნების წარმომადგენელთ ირლანდიელებმა დაუბადეს ახალი აზრი, აღუძრეს სურვილი დამოუკიდებელ

ცხოვრებისა. ინგლისელ ლიბერალებთან ერთად იმათ გადასწყვიტეს: საჭიროა ინგლისის დაყოფა. ყოველ თვითვეულ ნაწილს მიენიჭოს დამოუკიდებელი მმართველობა. ხოლო, საერთო ინტერესების დასაცავადლ, ამ განცალკევებულ ნაწილთა შორის კავშირის გამტკიცებაა საჭირო. ამგვარ კავშირს „ფედერაციას" უწოდებენ და მის მომხრეებს „ფედერალისტებს“. ამგვარად ირლანდიის „ხომ რიულის" პარტიამ, ერთმა ნაწილმა ინგლისელ-ლიბერალებისა, შოტლანდიის და გალის წარმომადგენლებისამ შეადგინეს ერთი პარტია, რომელსაც ზემოდ აღნიშნული მიმართულება მიეცა.

ირლანდიელებს იმედი ჰქონდათ, ამ შეერთებულის ძალით იქნება ვეღირსოთ იმას, რაც ვერ მოვიპოვეთ საკუთარის ღონითაო. მაგრამ მათი მოლოდინი არ განხორციელდა.

8.

ირლანდიაში რაღას ჰფიქრობდნენ, რას აკეთებდნენ? ჩვენ ვიცით, რომ მოიჯარადრეთა მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად კომასია იყო დაარსებული, რომელიც იჯარადრობის ქირას ადგენდა. ამ კომისიის გადაწყვეტილება სავალდებულო არ იყო ლენდ-ლორდებისათვის, ამიტომაც პრაქტიკული მნიშვნელობა არ ჰქონდა. მშრომელი ხალხი ისევ ისე მემამულის ხელში იყო. რომ ვერა გააწყეს-რა მიწის მომქმედებმა, ნხვა გზა ირჩიეს. მწარმოებელთა საზოგადოებები, „სინდიკატები", შეადგინეს. ამ სინდიკატებს ის ძალა მიეცა, რომ ისინი იჭერდნენ საქმეს პატრონებთან და არა კერძო პირები. სინდიკატი სწყვეტდა იჯარის ფასს, არიგებდა მოიჯარადრეებისა და მემამულეების ურთიერთობას, თუმცა კანონით არ იყო დამტკიცებული ამგვარი სინდიკატები, პირიქით, მთავრობა სდევნიდა კიდეც ამ საზოგადოებების წევრებს, მაგრამ ცხოვრებაში მათ მაინც დიდი გავლენა ჰქონდათ, რადგან მემამულეები ხშირად იძულებულნი იყვნენ დამორჩილებოდნენ ამ სინდიკატების გადაწყვეტილებას. ხოლო ეხლაც, როგორც ბევრჯელ სხვა დროს, წარსულში, – შეტაკება, სისხლის ღვრა და ადამიანის მსხვერპლი ჩვეულებრივი მოვლენა იყო. ამასთან სხვა უბედურებაც მიემატა ირლანდიელებს, რამაც შესამჩნე-

ვად შეასუსტა მათი ძალ-ღონე. ირლანდიის ნაციონალურ
პარტიაში განხეთქილება მოხდა. ჯერ ერთი რომ რომის პაპმა

აუკრძალა კათოლიკეთა მღვდლებს ბრძოლაში მონაწილეობის
მიღება. (რევოლიუცია და სარწმუნოება ერთმანეთის მტე-
რიაო). პარნელსაც, ირლანდიელ მოთავეს, უბედურება შეემ-
თხვა – გამოაშკარავდა მისი კავშირი ერთ ქალთან. ამ გარე-
მოებამ ბოლო მოუღო შესანიშნავ მოღვაწეს. ინგლისში საუ-
კეთესო წარმომადგენლებიც კი ცრუ-მორწმუნეობით იყვნენ
აღჭურვილნი. გლადსტონმა ზურგი შეუქცია პარნელს, გაიგო
რა პარნელის „შეცდომა". მღვდლებმაც გაილაშქრეს პარმე-
ლის წინაადმდეგ და თავის მხრივ ხელი შეუწყეს განხეთქი-
ლებას და ოარტიის დასუსტებას. პარნელი მალე ჰქრება და
გადის საზოგადო ასპარეზიდან. ეს იყო 1890 წელს,

აქ შევწყვეტავთ ჩვენს მოთხრობას. ამას იქით შესანიშნა-
ვი არა მომხდარა-რა ირლანდიის ცხოვრებაში. ირლანდიის
საკითხი დარჩა გადაუწყვეტელი. ირლანდია მოიღალა და ისვე-
ნებს. რას გვეტყვის შემდეგში, როდესაც სულს მოიბრუნებს
და ძალას მოკრეფს, ამას, თუ ვიცოცხლეთ, მომავალში და-
ვინახავთ. დავინახავთ იმასაც, როგორ დაუხვდება ინგლისი,
ევროპა და მთელი გონიერი ნაწილთ კაცობრიობისა მრავალ
ტანჯულ ხალხის ჩივილსა და გოდებას. მხოლოდ ვიტყვით,
რომ მომავალშიაც, როგორც წარსულში, გამწარებული ბრძო-
ლა მოელის ირლანდიას.